


დავით ძამუკაშვილი

სართავორისო ხელუკრულეგები და კონვენციები

ინტელექტუალური
საკუთრების სამართალი



საქართველო მონაწილეა ძირითადი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა სააეტორო უფლებებისა და სამრეწველო საკუთრების სამართლის სფეროში, აგრეთვე ზოგიერთი ორმხრივი და რეგიონული (დსთ ფარგლებში) დადებული შეთანხმებებისა. ამ წიგნში ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად ვრცლად გადმოგვეცა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების არსი და ძირითადი დებულებანი, რომელთა მონაწილეც საქართველოა. მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ძირითადი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ტექსტების მიწოდება მკითხველისათვის, დანართის სახით. დანარჩენი ხელშეკრულებებისათვის საკმარისად მივიჩნიეთ მოკლე მიმოხილვითი დახასიათების წარმოდგენა.

რედაქტორი

რომან შენგელია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები

სანდრო ჯორბენაძე, მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
აკაკი გიგინეიშვილი, დოცენტი

ილუსტრაციები

იოსებ ძამუკაშვილი
ზაალ სულაკაური

გამოცემის რედაქტორი

რამაზ მესხი

☉ დავით ძამუკაშვილი, 2002

ISBN 99940-705-4-1

სარჩევი

I. ზოგადი დებულებები	7
II. კონვენციები და ხელშეკრულებები, რომელთა მონაწილე საქართველოა	11
1. ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია	12
2. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია	36
3. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია	64
4. ისმოს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ	67
5. ისმოს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ	72
6. შეთანხმება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში თანამშრომლობის შესახებ	77
7. საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება	79
8. შეთანხმება გამოგონებათა სამართლებრივი დაცვის სფეროში სახელმწიფოთაშორისი საიდუმლოებების შენარჩუნების ურთიერთზრუნველყოფის შესახებ	87
9. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლი	90
10. შეთანხმება ყალბი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების თავიდან აცილებისა და აღმკვეთი ზომების შესახებ	95
11. ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარების შესახებ	98
12. ხელშეკრულება ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანხვედრი უფლებების შესახებ, კონტრაფაქციული საქონლით ვაჭრობის ჩათვლით (TRIPS)	101
ნაწილი I. ზოგადი დებულებანი და ძირითადი პრინციპები	103
ნაწილი II. ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა ხელმისაწვდომობის, ფარგლების და გამოყენების პირობები ...	103
ნაწილი III. ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების უზრუნველყოფა	111
ნაწილი IV. ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა მოპოვება და შენარჩუნება, მომიჯნავე INTER PARTES პროცედურები	114
ნაწილი V. დავების თავიდან აცილება და მონესრიგება	114
ნაწილი VI. გარდამავალი დებულებები (მუხლები 65-67)	115
ნაწილი VII. ინსტიტუციონალური საშუალებანი; დასკვნითი დებულებანი (მუხლები 68-73)	115
13. დსთ და სხვა ქვეყნებთან დადებული ორმხრივი შეთანხმებები ...	116

ვერდი

ქვირფასი მამის ირაკლი დამუკაშვილის და
ძმის ზაქრო დამუკაშვილის, დაუფინყარი პაპის
შაქრო დამუკაშვილისა და ბებუის ტასიკო
ნადირაძე-დამუკაშვილის ნათელ ხსოვნას.

ავტორისაგან

2000 წელს გამოვეცით წიგნი "ინტელექტუალური საკუთრების სამართალი", რომელიც უმეტესწილად განკუთვნილი იყო იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტთათვის. რამდენადაც იგი მოწონებულ იქნა და შეტანილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამაში საჭიროდ მივიჩნიეთ მისი გადამუშავება. გადავწყვიტეთ მისი ორ ნაწილად გაყოფა. პირველი ნაწილი, რომელიც უკვე გამოცემულია იმავე სათაურით – "ინტელექტუალური საკუთრების სამართალი" აშუქებს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის საფუძვლებს, გადმოცემულს საქართველოსა და უცხოური კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის გამოყენებით.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს მეორე ნაწილს და გამოდის სათაურით "საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები. იგი შექმნილია ზემოთ მითითებული 2000 წელს გამოცემული წიგნის IV კარის "საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები" საფუძველზე. მასში შეტანილია ყველა იმ საერთაშორისო კონვენციისა და ხელშეკრულების ვრცელი ანალიზი, რომელთა მონაწილე საქართველოა, აგრეთვე მოცემულ სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო აქტების მოკლე მიმოხილვა. ამ წიგნის საშუალებით მკითხველი შეიქმნის წარმოდგენას ინტელექტუალური საკუთრების დაცვისადმი გამიზნული თითქმის ყველა საერთაშორისო აქტის შესახებ. მნიშვნელოვნად გადავამუშავეთ და უფრო ვრცლად წარმოვადგინეთ "ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია", "საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება" (PCT), "ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლი" და სხვა. დამატებით შევიტანეთ დსთ ფარგლებში დადებული ხელშეკრულებებისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ორი ხელშეკრულების "სავაჭრო უფლებების შესახებ" და "შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ" ანალიზი.

წიგნისათვის რომ მეტი პრაქტიკული ღირებულება მიგვეცა გადავწყვიტეთ დანართის სახით გამოგვექვეყნებინა კონვენციებისა და ხელშეკრულებების ქართული ტექსტები, რომელთა მონაწილე საქართველოა. ეს ამოცანა ნაწილობრივ შევასრულეთ, რადგან ზოგიერთის ოფიციალური ქართული ტექსტი ვერ მოვიძიეთ. ზოგიერთ შემთხვევაში, პარიზის კონვენცია გვაქვს მხედველობაში, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩვენ მიერ შესრულებული თარგმანის გამოქვეყნება.

ვიმედოვნებთ, რომ ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შესასწავლად სახელმძღვანელო ხასიათის წიგნის მეორედ გამოცემა გადა-

მუშავებული სახით, ორ ნაწილად, საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სისტემის ამოქმედების 10-წლისთავისადმი მიძღვნილი ჩვენი მოკრძალებული წვლილი იქნება.

მადლობა გვინდა გამოვხატოთ კოლეგების მიმართ, რომელთა საქმიანი შეწინააღმდეგება და რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა ამ წიგნის გაუმჯობესება-სრულყოფა და როგორც პირველი ისე მეორე გამოცემის ფინანსური უზრუნველყოფა. განსაკუთრებით მადლიერება გვინდა გამოვთქვათ "საქპატენტის" მისამართით, სადაც ვმუშაობთ მისი დაარსების დღიდან და სადაც მისი ხელმძღვანელის ბატონ დავით გაბუნias მცდელობით შექმნილია ნამდვილი შემოქმედებითი გარემო. სწორედ "საქპატენტში" საქმიანობამ მოგვცა შესაძლებლობა დავვეყარებინა კონტაქტები ქართველ და უცხოელ სპეციალისტებთან, რამაც დიდად შეგვიწყობა ხელი პროფესიული ცოდნის ამაღლებაში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

მონივნებით გვინდა გამოვყოთ გამოჩენილი ქართველი ცივილისტის ბატონ სერგო ჯორბენაძის მხარდაჭერა და ჩვენ შეხედულებებზე მისი მეცნიერული აზრის გავლენა ინტელექტუალურ-საკუთრებითი ურთიერთობებისა და პრობლემების შესწავლის თვალსაზრისით.

დიდია პროფესორების ზურაბ ახვლედიანის, რომან შენგელიას, ლადო ჭანტურიას, ბესარიონ ზოიძეს ღვანლი და მთლიანად თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორებისა და დოცენტების კეთილ განწყობითი რჩევები ჩვენი მეცნიერული შეხედულებების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაზე.

I. ზოგადი დებულებები

ინტელექტუალური საკუთრება კერძო სამართლის სფეროს მიეკუთვნება, შესაბამისად ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო კერძო სამართლის ნაწილია. აქედან გამომდინარე ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალი მიმართულია კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგებისაკენ, როდესაც ამ ურთიერთობების მონაწილე ერთი მხარე მაინც უცხო ქვეყნის პირია.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები წარმოადგენს გონებრივი შემოქმედების შედეგს და უსხეულოა, რის გამოც მათი გავრცელება საზღვრებით ვერ შემოიფარგლება. შესაბამისად, შემქმნელის უფლებების სრულფასოვანი დაცვისათვის, წარმოშობის ქვეყანაში ასეთი ქმნილებების დაცვა საკმარისი არ არის. აქედან გასაგებია, რომ ქვეყნებმა უნდა იზრუნოს როგორც ეროვნული ქმნილებების ისე უცხო ქვეყანაში შექმნილი ქმნილებების თანაბარუფლებიანი დაცვისათვის. ნივთის მესაკუთრისაგან განსხვავებით ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებები მოქმედებს მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე, ანუ ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებები ობიექტს თან არ მისდევს. მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ავტორობის უფლება უნივერსალურია იმ გაგებით, რომ ერთიდაიგივე ნაწარმოებს ან სხვა ქმნილებას არ შეიძლება ჰყავდეს სხვა ავტორი – ეს უფლება ექსტერიტორიულია. აღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყანამ შეიძლება უარი თქვას ავტორის ქონებრივი უფლებების დაცვაზე, მაქრამ ეთიკურ-მორალური ნორმების გათვალისწინებით ავტორობის უფლება და მასთან ერთად სახელის უფლება უნდა დაიცვას ყველა შემთხვევაში, გინდაც რომ არ იყოს ეს ქვეყანა საერთაშორისო თანამშრომლობის მონაწილე.

თავდაპირველად ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დაცვა ძირითადად ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე ხდებოდა. შემდეგ საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ინტენსიფიკაციამ მოითხოვა უფრო ყოვლისმომცველი ინსტრუმენტების ამოქმედე-

ბა. შედეგად, დღეს, უკვე მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს ენიჭება უპირატესობა, რაც ორმხრივ ხელშეკრულებებთან ერთად ქმნის ინტელექტუალური საკუთრების მყარი დაცვის ნიადაგს. რა თქმა უნდა ასეთი ხელშეკრულებების მოქმედებას ანმტიკიცებს ან უარყოფს ეროვნული კანონმდებლობის ნორმები, რომლებითაც განისაზღვრება საერთაშორისო ნორმების ძალის გავრცელების კონკრეტული მექანიზმები და საშუალებები. სწორედ ასეთი მექანიზმების შექმნა და უზრუნველყოფა აკისრია ქვეყნებს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით ერთმანეთთან ურთიერთობების განხორციელებისას.

საზოგადოდ საერთაშორისო (საჯარო) სამართლის წყაროებია საერთაშორისო ხელშეკრულება და საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული ჩვეულება. როგორც ქართველი მეცნიერი თენგიზ ლილუაშვილი აღნიშნავს: "სხვაგვარი ვითარება გვაქვს საერთაშორისო კერძო სამართალში. საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროებია უწინარეს ყოვლისა შინასახელმწიფოებრივი კანონები და სხვა ნორმატიული აქტები. რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებს – ისინი საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროებია მხოლოდ გასაშუალებული სახით".¹ საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების დაცვა საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად კონსტიტუციით არის აღიარებული. მისი მე-6 მუხლი ადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებების პრიმატს, თუ ეროვნული შინასახელმწიფოებრივი აქტი ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელს. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. კვლავ დავიმონმებთ ზემოთ დასახელებულ ნაშრომს და აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის არსიდან გამომდინარე საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმამ ასახვა უნდა ჰპოვოს საქართველოს შინასახელმწიფოებრივ კანონებში და მხოლოდ მაშინ, თუ ეს არ მოხდა საერთაშორისო ხელშეკრულებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა. ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებსაც საქართველო კანონით საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ და სხვა აქტებით დადგენილი წესით მიუერთდა და აღიარა ნორმათა კოლიზიის შემთხვევაში იძენს შინასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტის ძალას.²

¹ თენგიზ ლილუაშვილი "საერთაშორისო კერძო სამართალი", თბილისი, 2000 წ., გვ. 19-20

² 1998 წლიდან საქართველოში მოქმედებს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, რომელიც ადგენს თუ როგორ უნდა განისაზღვროს უცხო ქვეყნის კანონის ნორმა, თუ მხარეებმა ის აიჩიეს სამართლის წყაროდ, თუ კანონი უთითებს მის გამოყენების აუცილებლობაზე; საქართველოს სასამართლოების უფლებამოსილება საერთაშორისო დონეზე; უცხო ქვეყნის პირთა უფლებამოსილებასა და ქმედუნარიანობას და სხვ.

რაც აღინიშნა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ესადაგება საერთაშორისო ინტელექტუალური საკუთრების სამართალსაც. მაშასადამე, ამ მიმართებით, საქართველოში საერთაშორისო სამართლებრივი წყაროებია ყველა ის მოქმედი ეროვნული კანონი და საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც ანესრიგებს ინტელექტუალურ-საკუთრებით ურთიერთობებს, აგრეთვე საერთაშორისო ჩვეულება, რომელიც გამოიყენება ამ სფეროში.

ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებების მფლობელის უფლებები საერთაშორისო დაცვას ექვემდებარება, როგორც წესი, შემდეგი ნიშნების მიხედვით: ობიექტის წარმოშობის ქვეყანა არის თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე; ავტორი არის თუ არა მონაწილე ქვეყნის მოქალაქე ან რეზიდენტი, გააჩნია თუ არა იურიდიულ პირს მოქმედი საწარმო მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე, აღიარებს თუ არა ქვეყანა ზოგიერთ შემთხვევებში ნაცვალგების პრინციპს და ა.შ. სადღეისოდ, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებებს ქვეყნების უმეტესობა ეროვნული კანონებით საკუთარ მოქალაქეთა თანაბრად იცავს. მაგრამ, ხშირ შემთხვევებში, თუ ის ქვეყანა, რომლის მოქალაქის უფლებების დაცვასთანაც გვაქვს საქმე სანაცვლოდ იგივე უფლებებს არ უზრუნველყოფს შინასახელმწიფოებრივი კანონით ან ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, მაშინ უფლებათა საერთაშორისო დაცვა მხოლოდ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით შეიძლება იყოს მიღწეული.

**II. კონვენციები და ხელშეკრულებები,
რომელთა მონაწილე საქართველოა**

1. ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია

(ბერნის კონვენცია)

ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის აუცილებლობა საერთაშორისო დონეზე პირველად წარმოჩინდა 1858 წელს ბრიუსელში გამართული ლიტერატურული და მხატვრული საკუთრების კონგრესზე, რომელსაც დაესწრო სამეცნიერო საზოგადოებების წარმომადგენლები, ეკონომისტები, მწერლები, ჟურნალისტები, გამომცემლები და სხვა მრავალი დაინტერესებული პირი ევროპის წამყვანი ქვეყნებიდან. მაგრამ, ავტორთა უფლებების ერთგვაროვნად დაცვის საკითხი სხვადასვა ქვეყანაში პირველად დაისვა და გარკვეულ წილად მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან დონეზე პირველად გადანყდა 1878 წლის ლიტერატურულ საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც იქნა მოწვეული მწერალთა ფრანგული ასოციაციის ინიციატივით. ამავე კონგრესზე, რომელსაც განთქმული ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო თავკაცობდა დაფუძნდა აგრეთვე მწერალთა და მხატვართა საერთაშორისო ასოციაცია, რომლის უმთავრეს უახლოეს მიზნად გამოცხადდა ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების საერთაშორისო კონვენციის მიღება. კონგრესმა მიიღო გადანყვეტილება, რომელიც უცხო ქვეყანაში წარმოშობილ ნაწარმოებებს ეხებოდა, რომლითაც დადასტურდა და უფრო გაღრმავდა 1858 წლის ლიტერატურული და მხატვრული საკუთრების კონგრესის გადანყვეტილება. კერძოდ, ჩამოყალიბდა პროგრამული კონცეფცია, რომ ყველა ავტორის უფლებები, რომელთა ნაწარმოებებიც გამოიცა ან შესრულდა კონგრესის მონაწილე ქვეყნებში, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, უნდა ყოფილიყო დაცული იმავე წესითა და ფარგლებში, როგორც იყო დაცული საკუთარი ქვეყნის ავტორთა უფლებები. ამ ასოციაციის მცდელობით შემდგომ გაიმართა 1882 წლის რომის კონგრესი და 1883 წლის ბერნის კონფერენცია, რომელზეც მომზადდა მასალები და კონვენციის პროექტი, დიპლომატიურ კონფერენციაზე გამოსატანად. შედეგად 1886 წლის 9 სექტემბერს მიღებულ იქნა ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია, რასაც წინ უსწრებდა 1884 და 1885 წლების დიპლომატიურ კონფერენციებზე მისი განხილვა. ბერნის კონვენცია ღია კონვენციად გამოცხადდა. მას შეუძლია მიუერთდეს ნებისმიერი ქვეყანა. მიერთების ან რატიფიცირების საბუთები უნდა ჩაბარდეს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს. მონაწილე ქვეყნებმა, კონვენციის თანახმად, შექმნეს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირი – ბერნის კავშირი. იმის გათვალისწინებით, რომ საავტორო უფლებათა

დაცვა დიდმნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნაწარმოებების გამოცემისა და სხვაგვარად გავრცელების ახალ ტექნოლოგიებზე კონვენციითვე დადგინდა მისი პერიოდულად გადასინჯვის შესაძლებლობა. ასეთი გადასინჯვები გაიმართა 1908 წელს ბერლინში, 1914 წელს ბერლინში, 1928 წელს რომში, 1948 წელს ბრიუსელში, 1967 წელს სტოკჰოლმში და 1971 და 1979 წელს პარიზში. მათ შედეგად მიღებულ იქნა ცვლილებები და დამატებები ან კონვენციის ახალი აქტები, რომელთა ძირითად ასპექტებსაც მოკლედ გავაშუქებთ ქვემოთ.

ბერნის კონვენციაში, რომლის დადების მიზანია ერთგვაროვანი ნუსით ავტორთა უფლებების საერთაშორისო დაცვა, სრულად აისახა მწერალთა და მხატვართა საერთაშორისო ასოციაციის მიერ 1878 წლის კონგრესზე შემუშავებული კონცეფცია და ავტორთა უფლებების საერთაშორისო დაცვა დაეფუძნა სამი ძირითად პრინციპს. ეს პრინციპებია ეროვნული რეჟიმი, ავტომატური დაცვა, დაცვის დამოუკიდებლობა.

ეროვნული რეჟიმი ნიშნავს იმას, რომ მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოშობილი ნაწარმოები ისეთივე დაცვით უნდა სარგებლობდეს სხვა მონაწილე ქვეყანაში რა დაცვითაც სარგებლობს ამ სხვა ქვეყნის, მოქალაქეთა ავტორობით წარმოშობილი ნაწარმოები. აქედან გამომდინარე ბერნის კონვენციით დაცული იქნება როგორც მონაწილე ქვეყნების მოქალაქეთა მიერ შექმნილი ნაწარმოებები, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქეთა მიერ შექმნილი ნაწარმოებები, მაგრამ იმ პირობით თუ იგი მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიცა პირველად. ამასთან, მოქალაქედ ფიზიკურ პირთან ერთად იურიდიული პირიც იგულისხმება.

ავტომატური დაცვა ნიშნავს იმას, რომ ნაწარმოები ნებისმიერი მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე დაცულია ყოველგვარი ფორმალობების შესრულების გარეშე. აქედან გამომდინარე ნაწარმოების დაცვისათვის არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მაგალითად მისი რეგისტრაცია ან დეპონირება რომელიმე უფლებამოსილ ორგანოში. დაცვით უნდა ისარგებლოს ნაწარმოებმა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ გამოქვეყნებულა.

დაცვის დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ ნაწარმოები დაცვას ექვემდებარება მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, დაცულია იგი თუ არა წარმოშობის ქვეყანაში. ამ მიმართებით მონაწილე ქვეყნებს უფლება აქვთ ნაცვალებით აღარ დაიცვან ნაწარმოები საკუთარ ტერიტორიაზე, თუ ამ ნაწარმოებს წარმოშობის ქვეყანაში ამოეწურა საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა.

ბერნის კონვენცია არის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საერთაშორისო შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, რომელიც ამოქმედების დღიდანვე გახდა უმნიშვნელოვანესი წყარო ეროვნული კანონების საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზაციისა და სრულყოფის თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ მონაწილე ქვეყნები ისედაც ვალ-

დებულნი არიან გაითვალისწინონ საავტორო უფლებათა დაცვის კონვენციით დადგენილი მინიმალური მოთხოვნები ქვეყნები იყენებდნენ (და ამაჟამადაც იყენებენ) ბერნის კონვენციის ნორმებს საკუთარი კანონების ახლად შექმნისა და კონკრეტული ნორმების ჩამოყალიბებისათვის, ხშირ შემთხვევებში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ისინი მისდამი მიერთებული არ იყვნენ. ამ პროცესის მიღმა არც საქართველო დარჩენილა, რომლის ეროვნული კანონიც პრაქტიკულად სრულად შეიცავს ბერნის კონვენციის ძირითად მოთხოვნებს. სანამ ბერნის კონვენციის განვითარების მოკლე რეტრომიმოხილვას წარმოვადგენდეთ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დანვრილებით განვიხილოთ ძირითადი დებულებები და ნორმები პარიზში 1971 წელს რევიზიის შედეგად მიღებული და 1979 წელს შეტანილი ცვლილების შესაბამისი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ლიტერატურაში პარიზის აქტად მოიხსენიებენ და რომლის ნორმებითაც არის შებოჭილი საქართველო.

ბერნის კონვენცია შეიცავს მატერიალურ-სამართლებრივ (1-21-ე მუხლები) და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ (22-ე – 38-ე მუხლები) ნორმებს. გარდა ამისა მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს I-VI მუხლებისაგან შემდგარი დამატებითი კარი, რომელიც განვითარებადი ქვეყნებისათვის გამოსაყენებელ სპეციალურ ნორმებს ითვალისწინებს.

მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები

ეფუძნება რა ზემოთ მოცემულ სამ ძირითად პრინციპს ბერნის კონვენცია აწესებს დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია მე-5 მუხლით და რომლებიც ვალდებულია ცნოს ყოველმა მონაწილე ქვეყანამ ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვით თუ უამისოდ.

კონვენციით მინიჭებული უფლებების მფლობელი სუბიექტები

როგოც აღვნიშნეთ ბერნის კონვენციით დაცვადი ობიექტებია ნებისმიერი გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი მხატვრული, ლიტერატურული, მეცნიერული და ა.შ. ნაწარმოები. შესაბამისად აღარ გაგვიჭირდება დავასახელოთ ის პირები, რომლებსაც ბერნის კონვენცია მიიჩნევს აღნიშნული ნაწარმოებების შექმნის შედეგად წარმოქმნილი უფლებების – საავტორო უფლებების მფლობელებად და კონვენციით დადგენილი მოთხოვნებით თუ შეღავათებით მოსარგებლე სუბიექტებად.

უპირველეს ყოვლისა ეს არის ავტორი. სრულიად გასაგებია, რომ ავტორის უფლებამონაცვლევ კონვენციის სრულფასოვანი სუბიექტია. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ განმარტებას კონვენცია არ იძლევა ავტორად მოიაზრება ფიზიკური პირი, რომლის გონებრივ – შემოქმედები-

თი შრომის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები. ამასთანავე დაწესებულია ავტორობის პრეზუმფცია *iuris tantum*, ანუ საპირისპიროს დამტკიცებამდე ავტორად იგულისხმება ის პირი, რომლის სახელიც (ან საყოველთაოდ ცნობილი ფსევდონიმი) შეიძლება ამოვიკითხოთ ნაწარმოებიდან ჩვეულებრივი წესით. სწორედ ასეთ პირს აქვს კონვენციით მინიჭებული შესაძლებლობა საავტორო უფლებების ხელყოფის შემთხვევაში აღძრას საქმე და მიიღოს შესაბამისი ზომები დარვევის ფაქტის აღსაკვეთად. მას აქვს აგრეთვე უფლება წამოაყენოს სათანადო მოთხოვნები წარმოქმნილი ზიანის მიხედვით, რომლებსაც ითვალისწინებს კონვენციის მონაწილე ქვეყანა საკუთარ მოქალაქეთათვის. მაგრამ იმ შემთხვევებში, როდესაც ავტორის ვინაობა ვერ ირკვევა ნაწარმოებიდან ჩვეულებრივი წესით – ავტორის სახელი მოცემულია უცნობი ფსევდონიმით ან ნაწარმოები გამოქვეყნებულია ავტორის სახელის მითითების გარეშე (ანონიმურად), მაშინ საავტორო უფლებებს, ცხადია, ავტორი ვერ გამოიყენებს, სანამ მისი ვინაობა არ გამოუღვენდება. მაგრამ, იმისათვის, რომ არ შეიქმნას სამართლებრივად მოუწესრიგებელი სიტუაცია საავტორო უფლებათა დაუბრკოლებრივი განხორციელებისათვის კონვენცია ავტორის წარმომადგენლად *iuris conventionis* ასახელებს ნაწარმოების გამომცემელს.

რიგ შემთხვევებში ნაწარმოების ხასიითიდან და ბუნებიდან გამომდინარე საავტორო უფლებათა სუბიექტის განსაზღვა ეროვნულ კანონმდებლობას აკისრია და სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი. მაგალითად, კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებით საერთო სამართლის ქვეყნები საავტორო უფლებათა სუბიექტად უშუალოდ ასეხელებენ კინოფილმების მწარმოებლებს (შემდგომში კინომენარმედ მოვისხენიებთ) და კინომატოგრაფიული ნაწარმოების შექმნამდე არსებული ნაწარმოებების ავტორებს (პოეტებს, სცენარის ავტორებს, კომპოზიტორებს და ა.შ.). ამ ქვეყნებში დამდგმელი რეჟისორი საავტორო უფლებათა სუბიექტად არ მიიჩნევა. მრავალ სხვა ქვეყანაში კი საავტორო უფლებათა სუბიექტებად მხოლოდ შემოქმედებითი ნვლილის შემტანი პირებია (ავტორები) დასახელებული საავტორო უფლებათა სუბიექტებად და შესაბამისად კინომენარმე მათი სუბიექტი არ არის. ასევე, მრავალი ქვეყანა აწესებს ავტორებისგან კინომენარმეზე *cessio legis* (უფლებათა გადაცემის) შესაძლებლობას. ხოლო რიგი ქვეყნებისა ადგენს უფლებათა გადაცემის პრეზუმფციას, თუ შეთანხმება კინომენარმესა და ავტორებს შორის სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ამ არაერთგვაროვნობის დაძლევის მიზნით კონვენცია კინომენარმის სასარგებლოდ კინომატოგრაფიული ნაწარმოების ავტორებს არ ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებებს ასეთი ნაწარმოების ზოგიერთი ფორმით გამოყენებისათვის. კერძოდ, როდესაც საავტორო უფლებათა მფლობელები ავტორებია მათ არა აქვთ უფლება შეენინაალმდეგონ ნაწარმოების კვლავწარმოებას, ეგ ზემპლარების გაყიდვით,

გაქირავებით ან სხვაგვარი გასხვისებით გავრცელებას, საჯარო ჩვენებას, სამავეთულო ქსელით მოსახლეობამდე მის დაყვანას, სამაუწყებლო გადაცემას ან მოსახლეობამდე სხვა გზით დაყვანას, ნაწარმოების სუბტიტირებასა და დუბლირებას. ფაქტობრივად, ბერნის კონვენცია აწესებს კინომენარმის სასარგებლოდ ზემოაღნიშნული უფლებების მფლობელობის პრეზუმფციას *iuris conventionis*. ეს წესი დადგენილია სამართალურთიერთობების იმ ქვეყნებში მოსაწესრიგებლად, რომლებიც კინომენარმეს საავტორო უფლებათა მფლობელად არ მიიჩნევენ და არც *cessio legis* შესაძლებლობას ითვალისწინებენ. იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რომელი პირია კინომენარმე ბერნის კონვენცია ადგენს იმ პირის სასარგებლოდ *iuris tantum* პრეზუმფციას, რომლის სახელწოდებაც (ან სახელი) ჩვეულებრივი წესით ირკვევა ზუსტად კინომატოგრაფიული ნაწარმოებიდან.

გარდა აღნიშნულისა, თუ ნაწარმოების ავტორი უცნობია, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ იგი კონვენციის მონაწილე ქვეყნის მოქალაქეა ურთიერთობათა მომწესრიგებელ სუბიექტად – ავტორის წარმომადგენლად სახელმწიფო გამოდის. კერძოდ, მას შეუძლია დაასახელოს ის უფლებამოსილი პირი, რომელიც გააკონტროლებს უფლებების გამოყენებას კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნებში. მიჩნეულია, რომ ამ ნორმის არსებობა იძლევა ფოლკლორული ნაწარმოებების დაცვის შესაძლებლობას.

ბერნის კონვენცია ადგენს კრიტერიუმებს საავტორო უფლებათა მფლობელი სუბიექტების განსაზღვრისათვის. მოცემულია ორო ძირითადი კატეგორიის კრიტერიუმი: პიროვნული და ტერიტორიალური (იგი ნაწარმოების გამოქვეყნების ტერიტორიასთანაა დაკავშირებული, მას ზოგჯერ მატერიალურ კრიტერიუმად მოიხსენიებენ).

პიროვნული კრიტერიუმის მიხედვით სუბიექტი მოქალაქეობის პრინციპის თანახმად განისაზღვრება. კონვენციით ისარგებლებს ნებისმიერი პირი, რომელიც მონაწილე ქვეყნის მოქალაქეა ან მასთან გათანაბრებული პირია. მოქალაქესთან გათანაბრებული პირი არის ის, რომელსაც მონაწილე ქვეყანაში საცხოვრებელი ადგილი აქვს.

ტერიტორიალური კრიტერიუმის მიხედვით ბერნის კონვენციის სუბიექტად შეიძლება მოგვევლინოს მონაწილე ქვეყნის მოქალაქის გარდა სხვა ქვეყნის მოქალაქეც. ეს მაშინ მოხდება, როდესაც ასეთი პირი პირველად თავის ნაწარმოებს რომელიმე მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე გამოსცემს, ან ერთდროულად გამოსცემს ასეთ ქვეყანაში და ნაწარმოების წარმოშობის ან სხვა ქვეყანაში, რომელიც არ მონაწილეობს ბერნის კონვენციაში. ორ ან მეტ ქვეყანაში ერთდროულად გამოსცემულად ჩაითვლება ნაწარმოები, რომელიც პირველი გამოსცემის დღიდან ათვლით 30 დღის განმავლობაში გამოიცემა სხვა ქვეყანაში. ამ კრიტერიუმის გამოყენებასთან დაკავშირებით საჭიროა გავაშუქოთ თუ რა იგულისხმება გა-

მოცემად³ საერთოდ და ნანარმოების ნარმოშობის ქვეყნად ბერნის კონვენციის მიხედვით.

გამოცემად მოიაზრება ავტორის მიერ ან მისი თანხმობით განხორციელებული ქმედება ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით და მიმართული ნანარმოების ორიგინალის ასლების გამოშვებისკენ. ამასთან, გამოშვებული ასლების რაოდენობამ უნდა შეადგინოს ის გონიერული ოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება მოცემული ნანარმოების ნაირსახეობიდან გამომდინარე საზოგადოებრივი მოთხოვნილობის დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე გამოცემად არ ჩაითვლება დრამატული, მუსიკალურ-დრამატული, მუსიკალური ან კინემატოგრაფიული ნანარმოების დადგმა (შესრულება); ლიტერატურული ნანარმოების საჯარო კითხვა, სამავთულო ქსელით მოსახლეობამდე დაყვანა ან სამაუწყებლო გადაცემა მხატვრული ან ლიტერატურული ნანარმოებისა; ხელოვნების ნანარმოების გამოფენა და არქირექტურული ნანარმოების აგება. კინემატოგრაფიულ ნანარმოებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი დადგმა არ წარმოადგენს გამოცემას იგი გამოცემულად მიიჩნევა თუნდაც, რომ მისი ასლები არ იყიდებოდეს, მაგრამ მოსახლეობამდე დაიყვანებოდეს პროეცირებით, კინოთეატრებში ან ტელევიზიით ჩვენებით. ცალკეულ მუსიკალურ ნანარმოებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გამოცემულად მიიჩნევა, მაგალითად სიმფონია ან კონცერტი, ოპერა, ოპერეტა და ა.შ., რომელთა ჩანაწერებიც გამოქვეყნებულია სულ რამდენიმე ცალად და ისინი არ იყიდება, მაგრამ მათი თხოვება დაუბრკოლებრივ შეუძლია შემსრულებლებს ან იმპრესარიოსს.

ნანარმოების ნარმოშობის ქვეყნად ითვლება ქვეყანა, სადაც იგი გამოიცა. თუ ნანარმოები გამოცემულია მონაწილე და სხვა ქვეყანაში, მაშინ ნარმოშობის ქვეყანა კონვენციის მონაწილე ქვეყანაა. თუკი ნანარმოები ერთდროულად არის გამოცემული კონვენციის მონაწილე ქვეყნებში, მაშინ ნარმოშობის ქვეყნად მიიჩნევა ის ქვეყანა, რომელიც ნაკლები ხანგრძლივობით იცავს საავტორო უფლებებს.

გამოუცემელ ნანარმოებთან დაკავშირებით ნარმოშობის ქვეყანა განისაზღვრება ავტორის მოქალაქეობის მიხედვით. იგივე წესით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როდესაც ნანარმოები გამოქვეყნებულია მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელიც არ არის ბერნის კონვენციის მონაწილე. ანალოგიით განისაზღვრება კინემატოგრაფიული და არქიტექტურული ნანარმოების ნარმოშობის ქვეყანა.

საავტორო უფლებათა მფლობელი სუბიექტის დადგენისათვის ბერ-

³ ბერნის კონვენციის ოფიციალურ ქართულ თარგმანში დაშვებულია უხეში შეცდომა, კერძოდ ერთდროული გამოცემის ვადად დასახელებულია 50 დღე 30 დღის ნაცვლად.

ნის კონვენცია ითვალისწინებს აგრეთვე "მეორე ხარისხოვან", ნაწარმოების ნაირსახეობაზე მიბმულ, კრიტიკიუმებს.

- კინემატოგრაფიული ნაწარმოები გინდაც რომ მისი ავტორები არ იყვნენ მონაწილე ქვეყნის მოქალაქენი ან არ იყოს გამოქვეყნებული რომელიმე ასეთ ქვეყანაში იგი მაინც დაცვადა ბერნის კონვენციით, თუ კინომენარმე მონაწილე ქვეყნის მოქალაქეა ან აქვს საცხოვრებელი ადგილი (ფიზიკური პირი), ან, თუ კინომენარმეს აქვს მონაწილე ქვეყანაში რეგისტრირებული ოფისი (იურიდიული პირი). თუ კინოფილმი ერთობლივად ორი ან მეტი კინომენარმის მიერ არის გამოშვებული მაშინ საკმარისია ერთ-ერთმა მათგანმა დააკმაყოფილოს იურიდიული ან ფიზიკური პირისათვის დადგენილი მოთხოვნა, რათა სუბიექტად კინომენარმენი იქნენ ცნობილი.
- არქიტექტურული ნაწარმოები კონვენციით მინიჭებული უფლებებით ისარგებლებს ნებისმიერი სუბიექტი იმის მიხედვით არის თუ არა პროექტის შესაბამისად განხორციელებული აგებულობა მუდმივად განლაგებული მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე.
- არქიტექტურულ ნაწარმოებში განუყოფლად ჩართული ნაწარმოების შემთხვევაში (მაგალითად, გრაფიკული ან პლასტიკური ნაწარმოები) კონვენციით მინიჭებული უფლებებით მოსარგებლე სუბიექტი ასევე იქნება ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე (ავტორი ან მისი უფლებამონაცვლე), თუ არქიტექტურული ნაწარმოები მუდმივად არის განლაგებული მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე.

კონვენციით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა ნაცვალგებით

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნები ვალდებულია დაიცვან ეროვნული რეჟიმი, ავტომატურად მიანიჭონ ნაწარმოებს დაცვა, აგრეთვე უზრუნველყონ მინიმუმი მოთხოვნები დაცვადი უფლებების მიმართ, ზოგიერთ შემთხვევებში აღნიშნული უფლებების გამოყენება იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა ნებადართულია დაექვემდებაროს ნაცვალგებას:

- გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ, თუ იგი დაცულია ნარმოშობის ქვეყანაში სამრეწველო ნიმუშად, მაშინ კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყანას აქვს უფლება საავტორო სამართლით არ დაიცვას, მაგრამ დაცვა მაინც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, მაგალითად სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონით.
- თუ ნაწარმოების ნარმოშობის ქვეყანაში საავტორო უფლებათა მოქმედების ხანგრძლივობა ნაკლებია ვიდრე იმ ქვეყანაში სადაც მოითხოვება დაცვა, მაშინ დაშვებულია ნაცვალგების გამოყენება და ნაწარ-

მოების დაცვის ვადის დადგენა წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით.

- თუ წარმოშობის ქვეყანა არ ითვალისწინებს ავტორთათვის "droit de suite" – ნაწარმოების თან მიდევნების უფლებას, მაშინ ქვეყანას სადაც მოითხოვება დაცვა შეუძლია ნაცვალგებით შემოფარგლოს სახვითი ხელოვნების ნაწარმოების დაცვა წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით.
- თუ ნაწარმოების დაცვა მოითხოვება ისეთი ქვეყნის მოქალაქე ავტორის მიერ, რომელიც არ არის ბერნის კონვენციის მონაწილე და რომელიც უცხოელ ავტორებთან დაკავშირებით ითვალისწინებენ თავიანთი მოქალაქეებისათვის მინიჭებული უფლებებისაგან განსხვავებით უფრო შეზღუდულ სამართლებრივ დაცვას, მაშინ ბერნის კავშირის წევრი ქვეყნები უფლებამოსილია ასევე შეზღუდონ უფლებები აღნიშნული ქვეყნის მოქალაქე ავტორს.

დაცვის მინიმუმი

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით როდესაც საქართველოში დაცვას მოითხოვს უცხო ქვეყნის ქვეშევრდომი, საჭიროა გადაწყდეს რომელი ქვეყნის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული მოცემული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ბერნის კონვენცია თავად წყვეტს ამ საკითხს და ეროვნული რეჟიმის დანესებით ადგენს, რომ უნდა იქნეს გამოყენებული იმ ქვეყნის კანონი სადაც მოითხოვება დაცვა. იმისათვის, რომ კონვენციის მონაწილე ქვეყნების მოქალაქენი რაც შეიძლება მეტად იქნენ გათანაბრებული უფლებრივად იგი აწესებს დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მინიჭებული უფლებების ფარგლები ქვეყნებს შორის განსხვავდება. თუ მონაწილე ქვეყნის კანონით მინიჭებული უფლებები და მათი ფარგლები მინიმუმ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული ბერნის კონვენციის დაცვის მინიმუმი. მონაწილე ქვეყნებმა უნდა აუცილებლად უზრუნველყონ სულ მცირე დაცვის შემდეგი მოთხოვნები:

- დაცვას უნდა დაუქვემდებარონ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები იმ ზომით რა ზომითაც ამას კონვენცია ადგენს;
- უნდა იქნეს დაცვადი ქონებრივი – განსაკუთრებული და პირადი არა-ქონებრივი (მორალური) უფლებები. განსაკუთრებული უფლებებიდან უნდა იქნეს დაცული შემდეგი უფლებები: კვლავწარმოების (რეპროდუცირების), ადაპტაციის, არანაწილების და სხვაგვარად გადამუშავების, თარგმნის, საჯარო ჩვენებისა და შესრულების, საჯარო კითხვის (დეკლამირების), მაუწყებლობის, კინემატოგრაფიული ნაწარმოებისათვის სპეციალურად დანესებული, ნაწარმოების თან მიდევნების;

- საავტორო უფლებათა ხანგრძლივობა არა ნაკლებ კონვენციით დადგენილსა;

დაცვადი ნაწარმოებები

ბერნის კონვენციის დაცვის ობიექტია კაცის გონებრივ-შემოქმედებითი შრომის ისეთი შედეგი, რომელიც შეიძლება იქნეს მიჩნეული ნაწარმოებად. შესაბამისად კონვენციის მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან დაიცვან ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ატარებს ორიგინალურ ხასიათს და მიეკუთვნება ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვს. მეცნიერული ნაწარმოებები ლიტერატურული ნაწარმოებებია. ნაწარმოებთა სახეები ბერნის კონვენციით არ არის ჩამოთვლილი ამომწურავად და ეს გასაგებიც არის. კაცის გონი სულ ახალ-ახალ ქმნილებებს იგონებს და მოიგონებს მომავალში. შესაბამისად კონვენცია არ ზღუდავს ახალი სახის ნაწარმოებების დაცვისათვის არსებული ან სპეციალურად ჩამოყალიბებული ნორმების გამოყენებას. მთავარია დაცვადი იყოს ნებისმიერი ნაწარმოები განურჩევლად მისი ავტორიანობისა და გამოხატვის ფორმისა. ნაწარმოებების ჩამონათვალს ამ ნაშრომში არ წარმოვადგენთ, მითუმეტეს, რომ საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის ჩამონათვალი და ბერნის კონვენციის ჩამონათვალი პრაქტიკულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. კონვენცია ორიგინალურ ნაწარმოებთა თანაბრად, რასაც კინემატოგრაფიულ ნაწარმოებსაც მიაკუთვნებს, იცავს წარმოებულ ნაწარმოებებს (არსებული ნაწარმოების საფუძველზე შექმნილი ნაწარმოები, მაგალითად თარგმანი, ადაპტაცია, მუსიკალური არანჟირება და ა.შ.), აგრეთვე ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებებისაგან შემდგარ, გარკვეული ნუსით განლაგებულ კრებულებს (მონაცემთა კომპილაციებს, მონაცემთა ბაზებს). ყველა დაცვადი ნაწარმოები უნდა იყოს ინტელექტუალურ (გონებრივ)-შემოქმედებითი ხასიათისა. ნაწარმოების დაცვით მოსარგებლე პირი უნდა იყოს ავტორი და მისი უფლებამონაცვლე. ცალკეულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით კონვენცია უთითებს, რომ დაშვებულია მათი დაცვის დაქვემდებარება რაიმე მატერიალური ფორმით განმტკიცებაზე, მაგალითად თეატრალური ან ქორეოგრაფიული წარმოდგენის ასახვა რაიმე ინფორმაციის მატარებელზე. ზოგიერთი ნაწარმოების დაცვის საკითხის გადაწყვეტას ბერნის კონვენცია ეროვნულ კანონმდებლობას ანდობს. ეს ნაწარმოებებია: სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული და სხვა ოფიციალური ხასიათის დოკუმენტი, ლექცია, ქადაგება, სხვა საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები და სხვ. ამ უკანასკნელი სახის ნაწარმოებთან დაკავშირებით საჭიროა განიმარტოს, რომ გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებად ბერნის კონვენცია მოიაზრებს ისეთ ნაწარმოებს, რომლის გამოყენებაც უკავშირდება მრეწ-

ველობას და იმავდროულად შეიძლება ნარმოადგენდეს სამრეწველო საკუთრების კანონმდებლობით დაცვის ობიექტს. ამასთან, კონვენცია ითვალისწინებს ასეთი ნაწარმოების დაცვისადმი განსხვავებულ პრაქტიკას და ეროვნულ კანონებზე გადააქვს აქცენტი, მათი დაცვის მიმართ კონკრეტული მოთხოვნების დანესების თვალსაზრისით. კერძოდ, ნებადართულია გამოყენებითი ნაწარმოების დაცვა იმ ზომითა და იმ საშუალებებით რა ზომითა და საშუალებებით არის ის დაცული წარმოშობის ქვეყანაში. მაგალითად, თუ იგი დაცულია სამრეწველო ნიმუშად (ორგანზომილებიანი ან სამგანზომილებიანი სახით) სპეციალური კანონის საფუძველზე, მაშინ სხვა ქვეყანას უფლება აქვს მიანიჭოს ასეთ ნაწარმოებს დაცვა იმავე კანონმდებლობით და იმავე ფარგლებით რა ფარგლებითაც ის არის დაცული წარმოშობის ქვეყანაში. მაგრამ, თუ წარმოშობის ქვეყანაში გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები არ არის დაცული სამრეწველო ნიმუშად (რომელიმე შესაბამისი სპეციალური კანონით), მაშინ სხვა ქვეყანაში ასეთი ნაწარმოების დაცვა სავალდებულოა საავტორო უფლებებით. იგივე დაცვა (სავტორო უფლებებით) უნდა მიეცეს გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებს, რომელიც წარმოშობის ქვეყანაში დაცულია სპეციალური კანონით, მაგრამ სხვა ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც მოიხოვება დაცვა სამრეწველო გამოყენებისათვის განკუთვნილი გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების დაცვისათვის სპეციალურ (მაგალითად რეგისტრირებულ სამრეწველო ნიმუშად) კანონს არ ითვალისწინებს.

დაცვადი ნაწარმოებების დახასიათებას ამით დავასრულებთ, რადგან საკითხი ზემოთაც განვიხილეთ გარკვეულ ფარგლებში, ხოლო დაინტერესების შემთხვევაში მკითხველს არ გაუჭირდება მიმართოს ქართულ ენაზე არსებულ ლიტერატურას.⁴

დაცვადი განსაკუთრებული უფლებები

ბერნის კონვენცია უპირველესად ასახელებს კვლავწარმოების, ანუ რეპროდუცირების უფლებას, რადგან მის გარეშე ზოგიერთ შემთხვევაში ნაწარმოებს საერთოდ შეიძლება არ მიენიჭოს რაიმე დაცვა. კონვენცია ფართოდ განიხილავს ამ უფლებას და ავტორებს ანიჭებს მათი ნაწარმოებების ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით კვლავწარმოების (ასლების დამზადების, გადაღების და აშ.), მათ შორის ხმოვანი და ხილვადი ჩანაწერების (აუდიო ან ვიზუალური, ანდა აუდიოვიზუალური) გაკეთების განსაკუთრებულ უფლებას.

ადაპტაციის, არანაწილების და სხვაგვარად გადამუშავების, აგრეთ-

⁴ სანდრო ჯორბენაძე "ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი", თბილისი, 1998წ.; დავით ძამუკაშვილი "ინტელექტუალური საკუთრების სამართალი", თბილისი, 2002წ.

ვე თარგმნის განსაკუთრებულ უფლებებთან დაკავშირებით დავძენთ მხოლოდ იმას, რომ ავტორს ეს უფლებები ეკუთვნის ორიგინალური ნაწარმოების საავტორო უფლებათა მოქმედების ვადის გასვლამდე.

საჯარო ჩვენებისა და საჯარო შესრულების უფლებები შეადგენს ინგლისურად სპეციალური ტერმინით "the right to the communication to the public and public performance" ცნობილ უფლებას, რაც ქართულად შეიძლება გადმოიციეს "მოსახლეობამდე დაყვანისა და საჯარო შესრულების უფლება". როგორც ვხედავთ ამ ტერმინით ორი განსხვავებული უფლებაა წარმოდგენილი, რომლებიც კონვენციით მინიჭებულია დრამატული, დრამატულ-მუსიკალური და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორთათვის. ამ უფლებით მოცულია ნაწარმოების ცოცხალი წარმოდგენა ან შესრულება და ნაწარმოების მოსახლეობამდე დაყვანა მექანიკური საშუალებებით. ეს უფლება არ ეხება სამაუწყებლო გადაცემას, რადგან ამ უკანასკნელს კონვენცია ცალკე გამოყოფს.

საჯარო კითხვის (დეკლამირების) უფლება ეძლევა მხატვრული და ლიტერატურული ნაწარმოების ავტორებს ზემოთ განხილული საჯარო ჩვენების (წარმოდგენის) და მოსახლეობამდე დაყვანის უფლების მსგავსად. უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ, მაგალითად დრამატული ნაწარმოების შესრულებისაგან განსხვავებით დეკლამირება, ჩვენი აზრით წარმოდგენასთან, ანუ სპექტაკლის დადგმასთან ვერ გაიგივდება. ამის გამო მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში კონვენცია საჯარო შესრულებაში კი არ მიუთითებს მისი ფართო გაგებით (რომლითაც რა თქმა უნდა შეიძლება მოცულ იქნეს საჯარო კითხვაც) არამედ საჯარო დადგმაზე ან მის ჩვენებაზე.

სამაუწყებლო გადაცემის (მაუწყებლობის) უფლება მოიცავს სამაუწყებლო ხმოვან ან სატელევიზიო გადაცემას, სამაუწყებლო გადაცემის მოსახლეობამდე დაყვანას სამავთულო ან საეთერო (უმავეთულო) საშუალებით, როდესაც ასეთ გადაცემას ახორციელებს ნაწარმოების გადამცემი სხვა ორგანიზაცია და არა ის, რომელმაც გადასცა პირველადი (ორიგინალური) გადაცემა – რეტრანსლაციის უფლება, რომელიც არ ვრცელდება იმ ორგანიზაციაზე, რომელსაც თავდაპირველი სამაუწყებლო გადაცემის მოწყობის ნება დაერთო. ეს უფლება ვრცელდება აგრეთვე ნაწარმოების მოსახლეობამდე დაყვანაზე რადიო ან ტელემიმლების საშუალებით.

კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებული უფლებები უნდა მოიცავდეს ასეთი ნაწარმოების შექმნამდე არსებული ნაწარმოებების ავტორთა განსაკუთრებულ უფლებებს და კინემატოგრაფიული ნაწარმოების ავტორთა განსაკუთრებულ უფლებებს. არსებული ნაწარმოებების ავტორთა უფლებები შედგება: ლიტერატურული ან მხატვრული და სხვ. ნაწარმოების სასცენარო ან კინემატოგრაფიულ ნაწარმოებში სხვა მიზ-

ნით გამოსაყენებლად გადამუშავების უფლებას; კელავენარმოების უფლებას, მაგალითად მუსიკალური ნაწარმოების ფილმთან სინქრონიზაციის უფლებას; გადამუშავებული ნაწარმოების თარგმნის უფლებას სუბტიტრირების ან დუბლირების გზით; კინოთეატრებში ჩვენების უფლებას; მოსახლეობამდე მაუნყებლობის გზით დაყვანის უფლებას. არსებული ნაწარმოებების ავტორებს აქვრ აგრეთვე განსაკუთრებული უფლება კინემატოგრაფიული ნაწარმოების შექმნის მიზნით გადამუშავებული ნაწარმოების სხვა მხატვრული ფორმით გადამუშავებაზე, მაგალითად სათეატრო დადგმისათვის. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გავუსვავთ ხაზს, რომ იგი დაცულ უნდა იქნეს ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად. აქედან გამომდინარე საავტორო უფლებათა მფლობელს (საკითხი თუ რომელ სუბიექტს ანიჭებს კონვენცია განსაკუთრებულ უფლებებს ზემოთ იქნა განხილული) ეკუთვნის განსაკუთრებული ყველა ის უფლება, რომლებიც აქვს ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების ავტორს იმ უფლებათა ჩათვლით, რომლებიც დაწესებულია სპეციალურად კინემატოგრაფიული ნაწარმოებისათვის.

პირადი არაქონებრივი (მორალური) უფლებები

მორალური უფლებების დაცვის დამკვიდრება ბერნის კონვენციის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა განვიხილოთ, რადგან მათი დაცვა არაერთგვაროვნად ხდებოდა, მაგალითად ანგლო-ამერიკული სისტემის ქვეყნებში მორალური უფლებების დაცვა მინდობილი იყო საერთო სამართლის ნორმებზე და საავტორო სამართლით მათი დაცვა არ იყო გათვალისწინებული. ეს ნორმა დიდი ხნის განმავლობაში ბერნის კონვენციისადმი აშშ-ს მიერთების ერთ-ერთ დამაბრკოლებელი გარემოაბა იყო, ხოლო დიდი ბრიტანეთისათვის პარიზის აქტისადმი მიერთების ხელშეშლელი მიზეზი. მორალური უფლებები ავტორის პიროვნებისაგან განუყოფელი უფლებებია, რაზეც მიუნიშნებს თვით ცნება “პირადი არაქონებრივი”. კონვენცია აღიარებს ამ გარემოებას და მიუთითებს, რომ მათი დაცვა განსაკუთრებულ უფლებებზე დამოკიდებული არაა, ანუ მათი დაცვა მაშინაც კი შეიძლება განხორციელდეს, როდესაც საავტორო განსაკუთრებული უფლებები აღარ მოქმედებს, ან სხვა პირს გადაეცა. მორალურ უფლებებთან დაკავშირებით ბერნის კონვენცია ადგენს, რომ ავტორს შეუძლია: მოითხოვოს ავტორობის უფლების დაცვა; წინ აღუდგეს ნაწარმოებში ნებისმიერი ხასიათის ცვლილების შეტანას, ან დამახინჯებას; ნაწარმოების შინაარსის სხვა ნებისმიერი ხასიათის ხელყოფას, რაც ზიანს მიაყენებს ავტორის პატივსა და რეპუტაციას.

საავტორო უფლებათა ხანგრძლივობის მინიმალურ ზოგად ვადად დადგენილია ავტორის სიცოცხლეს მიმატებული 50 წელი (50 წელი post

mortem auctoris). გასაგებია, რომ საავტორო განსაკუთრებული უფლებების მოქმედების ამ ვადაზე ხანგრძლივი ვადის დანესება სრულიად დასაშვებია – ნაკლებისა არა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბერნის კონვენციის პარიზის აქტს უერთდება ამავე კონვენციის რომის რედაქციით შებოჭილი ქვეყანა, რომელსაც დანესებული აქვს უფრო მოკლე ხანგრძლივობის ვადა. ასეთ ქვეყანას უფლება აქვს შეინარჩუნოს მის მიერ დანესებული ვადის ხანგრძლივობა. განსაკუთრებული უფლებების მოქმედების ხანგრძლივობით სარგებლობისას ქვეყნებს აქვთ უფლება გამოიყენონ ნაცვალგებისა და ურთიერთშეფარდების უფლება. ნაცვალგების უფლება გამოიყენება მხოლოდ კონვენციაში არ მონაწილე ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ, თუ ამ ქვეყანას დანესებული აქვს ნაკლები ვადა ვიდრე იმ ქვეყანას სადაც დაცვა მოითხოვება. თუ ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყანა, სადაც მოითხოვება დაცვა ეროვნული კანონმდებლობით არ უზრუნველყოფს დაცვის მინიმუმ ვადას, მაშინ გამოიყენება კონვენციით დანესებული ვადა. ურთიერთშედარების პრინციპი ნიშნავს იმას, რომ თუ ქვეყანა, რომელშიც მოითხოვება დაცვა ითვალისწინებს მინიმუმთან შედარებით უფრო ხანგრძლივ ვადას (მაგალითად 70 წელს post mortem auctoris), ხოლო ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანა, რომლის მოქალაქეც არის დაცვის მომთხოვნი პირი ითვალისწინებს ნაკლებ ვადას, (მაგალითად 50 ან 60 წელს post mortem auctoris) მაშინ ასეთი ქვეყნის მოქალაქის საავტორო უფლებები იმოქმედებს შესაბამისად 50 ან 60 წელს post mortem auctoris. კერძოდ გერმანიის ან საფრანგეთის მოქალაქე ავტორების განსაკუთრებული უფლებები იმოქმედებს 70 წელს საქართველოში, ხოლო რუსეთის მოქალაქე ავტორების განსაკუთრებული უფლებები დაცული იქნება მხოლოდ რუსეთში მოქმედების ვადით – 50 წლით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონით საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ გათვალისწინებულია 70 წლიანი ვადა.

განსაკუთრებული უფლებების მოქმედების ხანგრძლივობას კონვენცია რიგ შემთხვევებში უკავშირებს ნაწარმოების ნაირსახეობასა და აწესებს დაცვის სპეციალურ ვადებს.

კინემატოგრაფიული ნაწარმოებისათვის დადგენილია, რომ ქვეყნებს შეუძლია საავტორო უფლებათა მოქმედების ვადის ხანგრძლივობა განსაზღვროს 50 წლით მას შემდეგ, რაც იგი ავტორის მიერ ან მისი თანხმობით გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი. თუ ეს მოვლენა არ დამდგარა მაშინ ხანგრძლივობა შეიძლება განისაზღვროს 50 წლით, კინემატოგრაფიული ნაწარმოების შექმნის დღიდან.

ქვეყანაში უცნობი ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნებული ნაწარმოებისათვის შეიძლება საავტორო უფლებათა მოქმედება შემოიფარგლოს 50 წლით მას შემდეგ, რაც ნაწარმოები მართლზომიერად გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი. თუკი ავტორის ვინაობა ეჭვს არ იწვევს ან გამ-

ულავნდება, მაშინ საავტორო უფლებათა მოქმედება განისაზღვრება ჩვეულ პერიოდი ნესით.

ფოტოგრაფიული და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის, რომლებიც და(, იღია როგორც მხატვრული ნაწარმოებები, კონვენცია ანებს, რომ საავტორო უფლებების მოქმედების ვადა არ შეიძლება იყოს 25 წელზე ნაკლები შექმნის დღიდან ათელით⁵.

ბერნის კონვენცია ანებს აგრეთვე საავტორო უფლებათა შესაძლო შეზღუდვების მაქსიმალურ ფარგლებს, რაც მიზნად დაცვის მინიმუმის უზრუნველყოფას ისახავს. შეზღუდვები 2 კატეგორიისაა – კონვენციით დადგენილი და ეროვნული კანონმდებლობით გასათვალისწინებლად ნებადართული. ამასთან, ზოგი შეზღუდვა ითვალისწინებს საავტორო უფლებებით დაცვის უარყოფას საერთოდ, ხოლო ზოგი კვეცავს ამა თუ იმ უფლების ფარგლებს.

კონვენციით დადგენილი შეზღუდვებიდან გამოსაყოფია ახალი ამბების და მომხდარი სხვადასხვა ფაქტების შესახებ ცნობები, რომლებზეც კონვენცია არ ავრცელებს საავტორო უფლებების მოქმედებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული კანონებით ასეთი სახის ობიექტებზე საავტორო უფლებები ვერ წარმოიქმნება.

საავტორო უფლებების გამოყენება შეზღუდულია უშუალოდ კონვენციით, აგრეთვე, მაშინ, როდესაც ნაწარმოები გამოიყენება ციტირებისათვის. ამ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები: ციტატა უნდა იქნეს მოტანილი საჯაროდ ხელმისაწვდომ ნაწარმოებიდან; ციტირება უნდა ხდებოდეს დამკვიდრებული კეთილი ჩვევების დაცვით; ციტატის მოცულობა უნდა იყოს გამართლებული მოტანის მიზნით. ციტირებისას აუცილებელია ავტორის მორალური უფლებების დაცვა, რაც გამოიხატება ავტორის სახელისა და ნაწარმოების დასახელების მითითების ვალდებულებით.

ეროვნული კანონმდებლობით გასათვალისწინებლად ნებადართული შეზღუდვები შეიძლება იყოს საინფორმაციო, სასწავლო და სხვა მიზნებით განპირობებული, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოცემული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებისათვის.

შეზღუდვები საინფორმაციო მიზნებით შეიძლება დანესდეს:

სამართლებრივი, ადმინისტრაციული ხასიათის, ოფიციალური ხასიათის (სასამართლო გადაწყვეტილებების ჩათვლით) ტექსტებისა და მათ თარგმანთა მიმართ.

წარმოთქმული სიტყვების მიმართ, მაგალითად პოლიტიკური ხასია-

⁵ ისმოს ხელშეკრულებით საავტორო უფლებების შესახებ ეს ვადაც გახანგრძლივდა 50 წლამდე.

თის ან სასამართლო პროცესზე წარმოთქმული. ამასთან, ასეთი სიტყვების ავტორებს შეიძლება შეუნარჩუნდეთ კრებულის სახით შედგენილი ნაწარმოების შექმნისა და გამოყენების განსაკუთრებული უფლება.

ლექციებისა და მიმართვების მიმართ, რომლებიც საჯაროდ არის წარმოთქმული ქვეყნებს შეუძლია განსაზღვრონ მოთხოვნები, რომლებიც მონაწილეებზე მათ წარმოდგენას მოსახლეობისათვის პრესის ან მაუწყებლობის მეშვეობით, რაც იქნება შემოფარგლული საინფორმაციო მიზნით.

მიმდინარე მოვლენების შესახებ სტატიების მიმართ, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ-გაზეთებში ან სხვა პერიოდულ გამოცემებში ან გადაიცა მაუწყებლობით ქვეყნებს ასევე შეუძლია განსაზღვრონ მოთხოვნები პრესისა და მაუწყებლობის მიერ მათი გამოყენების მიზნით, ავტორისაგან დაუკითხავად. კონვენცია იძლევა ასეთი მოთხოვნების ჩამონათვალს: სტატიები უნდა ეხებოდეს მიმდინარე მოვლენებს; უნდა აშუქებდეს მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან რელიგიურ საკითხებს; ისინი ადრე უკვე იქნა გამოქვეყნებული; მათი გამოყენება არ არის სპეციალურად აკრძალული უფლებათა მფლობელის მიერ. ყველა ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა დასესხების წყაროს და ავტორის სახელის ზუსტი მითითება.

მიმდინარე მოვლენების შესახებ ნაჩვენები ან გახმოვანებული ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოებების მიმართ ქვეყნებს აქვთ უფლება განსაზღვრონ მათი გამოყენების პირობები ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული საშუალებებით ან სამაუწყებლო გადაცემით, ავტორთაგან თანხმობის მიღების გარეშე.

შეზღუდვები სასწავლო მიზნებით

ბერნის კონვენცია ნებას რთავს მონაწილე ქვეყნებს დაანესონ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების გამოყენება ავტორთა ნებართვის გარეშე სასწავლო მიზნით, ილუსტრაციების სახით წიგნებში ჩასართავად, აგრეთვე რადიო და ტელეგადაცემებში სასწავლო ხასიათის ბგერითი ან გამოსახულებითი ჩანაწერების სახით. ამასთან, დაცული უნდა იყოს იგივე მოთხოვნები, რაც დადგენილია ციტირებისათვის.

შეზღუდვები ნაწარმოების კვლავწარმოებასთან დაკავშირებით

ბერნის კონვენცია უშვებს, რომ მონაწილე ქვეყნებმა დაანესონ კვლავწარმოების უფლების შეზღუდვები გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებისთვის. ასეთმა შეზღუდვებმა არ უნდა შეუქმნას დაბრკოლება საავტორო უფლებათა ჩვეულებრივ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ უნდა შეუშალოს ხელი ავტორთა სამართლებრივი ინტერესების განხორციელებას.

აქედან გამომდინარე, დასაშვებია, მაგალითად პირადი მიზნებისათვის ნაწარმოების რეპროდუქცირება. მაგრამ, რეპროდუქცირება არ უნდა ხდებოდეს ისეთი ტექნიკით, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გამრავლდეს ნაწარმოებების ეგზემპლარები პრაქტიკულად უსაზღვრო რაოდენობით. ასეთ ტექნიკას სადღეისოდ მიეკუთვნება ქსეროაპარატები, რომლებიც იქცა ჩვეულებრივ ეგზემპლართა სამრავალ ტექნიკად. ამიტომ ქსეროკოპირება მთლიანად ნაწარმოებისა ხელს უშლის ავტორების კვლავწარმოების განსაკუთრებული უფლების ჩვეულებრივი წესით გამოყენებას, რაც თავად კონვენციითვე არის აკრძალული.

კვლავწარმოების უფლების კიდევ ერთ შეზღუდვას წარმოადგენს ნაწარმოებების მოკლევადიანი (ეფემერული ჩანერა) ჩანაწერის გაკეთება ავტორთა ნებართვის გარეშე, რაც შეიძლება დადგენილ იქნეს მონაწილე ქვეყნის კანონმდებლობით. ასეთი ჩანერა დასაშვებია მხოლოდ სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ ავტორის ნებართვით განხორციელებული გადაცემისა, ოღონდ საკუთარი ტექნიკური საშუალებებით და საკუთარი გადაცემისათვის გამოსაყენებლად. ასეთი ჩანაწერების შენახვა ოფიციალურ არქივში შეიძლება დაწესებულ იქნეს მონაწილე ქვეყნის კანონმდებლობით იმ შემთხვევაში, როდესაც იგი წარმოადგენს განსაკუთრებულ დოკუმენტურ ფასეულობას.

გარდა აღნიშნული შეზღუდვებისა ბერნის კონვენცია ნებას რთავს მონაწილე ქვეყნებს დაანესონ გამონაკლისები განსაკუთრებული უფლებების განხორციელების თვალსაზრისით და მათი მოქმედება შეზღუდონ მხოლოდ შეთანხმებული და გონივრული გასამრჯელოს მიღების ფარგლებამდე. ასეთ შემთხვევებში ნაწარმოების გამოყენებისათვის არ არის საჭირო ნებართვის მიღება, მაგრამ აუცილებელია ავტორთათვის გასამრჯელოს გადახდა. უფლებათა ასეთი შეზღუდვა საჯარო იძულებით ლიცენზიად შეიძლება მივიჩნიოთ. ბერნის კონვენცია უშვებს აღნიშნული ხასიათის იძულებითი ლიცენზიის გაცემის დაწესების შესაძლებლობას ეროვნული კანონებით, მაუწყებლობისა და ხმოვანი ჩანაწერების განხორციელებისათვის. მაუწყებლობასთან დაკავშირებით იძულებითი ლიცენზირება შეიძლება განხორციელდეს: საეთერო სამაუწყებლო გადაცემისათვის ან ბგერების, გამოსახულების ან სხვაგვარი ნიშნებისაგან შემდგარი ნაწარმოების მოსახლეობამდე დაყვანისათვის, უმავთულო გავრცელებით; სადღეობით ან უსადენო საშუალებებით ეთერში ნაწარმოების შემდგომი გადაცემისათვის იმ ორგანიზაციის სასარგებლოდ, რომელსაც არ გადაუცია პირველი გადაცემა; მოსახლეობამდე დაყვანისათვის რადიოსა ან ტელევიზიის მეშვეობით. გარდა ამისა დაშვებულია იძულებითი ლიცენზირების რეჟიმის დაწესება ნაწარმოების მექანიკური საშუალებებით წარმოდგენისათვის. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ იძულებითი ლიცენზირების დაწესება დასაშვებია თუ: მისი მოქმედება

ქეზლუდულია მხოლოდ მოცემული ქვეყნის ტერიტორიით; არ უნდა იქნეს შებლალული ავტორის მორალური უფლებები; არ უნდა იქნეს შექმნილი დაბრკოლებები ავტორის მიერ სამართლიანი გასამრჯელოს მიღებისათვის. იგივე მოთხოვნები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ნაწარმოების მექანიკური ტექნიკით (რადიო და ტელევიკრანი) მოსახლეობამდე იძულებითი წესით დაყვანისას, ოღონდ საქმე შეიძლება გექონდეს მხოლოდ მუსიკალურ და მასში ჩართული სიტყვიერ ნაწარმოებებთან. იძულებითი ლიცენზირების ყველა შემთხვევაში ნაწარმოები არ შეიძლება იყოს გამოუქვეყნებელი.

უფლებათა გარკვეულ შეზღუდვას წარმოადგენს კონვენციით დადგენილი შესაძლებლობა, რომელიც ეძლევა პარიზის რედაქციას მიერთებულ განვითარებად ქვეყნებს თარგმნის უფლებასთან დაკავშირებით. კერძოდ, დაშვებულია ნაწარმოების თარგმნის უფლების შემოფარგლა 10 წლით (ბერნის კონვენციის 1886 წლის აქტისა და 1896 წლის დამატებითი აქტის მიხედვით). ეს უფლება გამოიყენება მაშინ, როდესაც ნაწარმოების ავტორი თავად არ უზრუნველყოფს თარგმნის შესრულებასა და გამოცემას მოცემულ ქვეყანაში გავრცელებულ ენაზე 10 წლის განმავლობაში. ამასთან, თუ ამ წესს განვითარებადი ქვეყანა იყენებს, მაშინ განვითარებულ ქვეყნებს აქვთ უფლება მატერიალური ნაცვალგებით ისარგებლოს. ეს უფლებაც გარკვეულწილად იძულებითი ლიცენზიის დაწესების უფლებად შეიძლება განვიხილოთ. შესაბამისად დაცულ უნდა იქნეს ასეთი ლიცენზიის დაწესებისათვის და მისით სარგებლობისათვის ყველა ჩვეულებრივი მოთხოვნა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ უფლებათა შეზღუდვის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით იძულებითი ლიცენზიის დაწესება უფრო მეტად უკავშირდება ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ვიდრე სოციალურ-ეკონომიკურ და ა.შ. განვითარების ხელშეწყობას. ასეა სამრეწველო საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებითაც, რომელთა მიმართ იძულებითი ლიცენზიის გაცემა დამოკიდებულია ქვეყანაში საბაზრო მოთხოვნილების საკმარისად დაკმაყოფილებაზე. განსხვავება ის არის, რომ, მაგალითად, გამოგონების შემთხვევაში იძულებითი ლიცენზია შეიძლება მხოლოდ კონკრეტულმა პირმა მოითხოვოს. დაუშვებელია პატენტის გამოყენება საჯარო ლიცენზირების გზით. გამოგონების საჯარო გამოყენების ნებართვა შეიძლება მხოლოდ თავად პატენტის მფლობელმა გასცეს ე.წ. "ღია ლიცენზირების რეჟიმის" გამოცხადებით.

ბერნის კონვენცია შეიცავს აგრეთვე მატერიალურ-სამართლებრივ სხვა ნორმებს. ამჯერად შემოვიფარგლებით იმ ნორმების გაშუქებით, რომლებიც ეხება საავტორო უფლებათა დარღვევით კვლავწარმოებული ნაწარმოების ეგზემპლარების დაყადაღებას, ნაწარმოების სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის კონტროლს და სხვ.

საავტორო უფლებათა დარღვევით კვლავნარმოებული ეგზემპლარები ექვემდებარება დაყადაღებას ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანისას, საბაჟო ორგანოების მიერ ან სხვა ორგანოების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე შეღწევის შემდგომ. დაყადაღება უნდა განხორციელდეს მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების ასლები გამრავლებულია და შემოტანილია ისეთი ქვეყნის ტერიტორიიდან, სადაც ნაწარმოები დაცული არ არის ან აღარ არის, თუკი ქვეყანაში, სადაც ისინი შემოტანილია ნაწარმოები დაცვის ექვემდებარება. ბერნის კონვენცია ადგენს, რომ დაყადაღება უნდა განხორციელდეს მონაწილე ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე ქვეყნის კანონმდებლობით უნდა იქნეს დასახელებული უფლებამოსილი ორგანო და დადგენილ უნდა იქნეს დაყადაღების შესაბამისი წესები. საქართველოში საზღვრის გადაკვეთისას დაყადაღების უფლებამოსილება საბაჟოს მიენიჭა სპეციალური კანონის "ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ" ძალით.

ბერნის კონვენცია უტოვებს ქვეყნებს უფლებას განახორციელონ ცენზურა ნაწარმოების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვების წინ და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება – გასცენ თანხმობა, გააკონტროლონ, ან აკრძალონ ნაწარმოების გასაღების ქსელში მიმოქცევა, პრეზენტაცია, გამოფენაზე გატანა ან ეგზემპლართა წარმოება. ამასთან, კონტროლის უფლება არ ნიშნავს, რომ ქვეყნებს შეუძლია დაანესონ იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი და ამგვარად ჩართონ სამოქალაქო ბრუნვაში ნაწარმოები ავტორის თანხმობის გარეშე.

მნიშვნელოვნად გვესახება აგრეთვე წარმოვადგინოთ ბერნის კონვენციის მოქმედება.

ამჟამად მოქმედებს პარიზის აქტი, რომელთანაც მიერთებულია საქართველო, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის კონვენციის სხვა ტექსტებს ძალა არა აქვს. ნაწარმოებთან დამოკიდებულებით კონვენცია ადგენს, რომ, თუ ნაწარმოებს წარმოშობის ქვეყანაში საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა ამოწურა და საზოგადოებრივი კუთვნილება გახდა იგი ხელახალ დაცვადი ველარ გახდება და მისი დაცვა ვერ განხორციელდება მონაწილე სხვა ქვეყანაშიც. ნაწარმოების დაცვის ასეთი ნორმა გახდა ქვეყნების მიერ ნაცვალგების დანესების საფუძველი საავტორო უფლებათა მოქმედების ვადების შედარების პრინციპით. იმის გათვალისწინებით, რომ შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა სიტუაცია ნაწარმოების დაცვადობის თვალსაზრისით წარმოშობის ქვეყანაში და იმ ქვეყანაში, სადაც დაცვა მოითხოვება კონვენცია ნებას რთავს, რომ ქვეყნებმა ორმხრივი ხელშეკრულებებით მოაწესრიგონ ურთიერთობა. ორმხრივი ხელშეკრულებით მოსაგვარებელი საკითხების მოწესრიგება ნებადართულია აგრეთვე სხვა შემთხვევებშიც. ქვეყნები თავისუფალია დადონ ორმხრივი

ან მრავალმხრივი ხელშეკრულებები საავტორო უფლებათა სფეროში, თუ: ამით ავტორები უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან საავტორო უფლებათა დაცვის თვალსაზრისით; ხელშეკრულებები არ შეეწინააღმდეგება ბერნის კონვენციის მოთხოვნებს. ამასთან, თუ კონვენციისადმი მიერთების მომენტი სათვის ქვეყანას დადებული აქვს სხვა ქვეყანასთან ხელშეკრულება ის ძალას ინარჩუნებს ზემოთ აღნიშნული პირობის გათვალისწინებით. როგორც ვხედავთ, ბერნის კონვენცია ხელს არ უშლის ეროვნული კანონის გამოყენებას და ქვეყანას აძლევს უფლებას შექმნას ავტორთა უფლებების დაცვის უფრო ფართო და ხელსაყრელი პირობები, კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინებით. მაგალითისათვის, დაცვის მინიმუმის შეუბღალავად ქვეყანას შეუძლია უფრო ფართო უფლებებით აღჭურვოს ავტორი და დაანესოს საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა მეტი ხანგრძლივობით ვიდრე ამას კონვენცია ითვალისწინებს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) გენერალური დირექტორი არის უმაღლესი აღმასრულებელი ხელმძღვანელი მუშაკი ბერნის კაბშირისა. ბერნის კონვენციის ადმინისტრირებისათვის შექმნილია საერთაშორისო ბიურო, რომლის მუშეობითაც პარიზის კონვენციის საერთაშორისო ბიუროსთან ერთად დაფუძნდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია. ბიურო უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ბერნის კონვენციის გადასასინჯი კონფერენციების მომზადების პროცესში, აგრეთვე ექსპერტების, ასამბლეისა და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე.

კონვენცია ღია საერთაშორისო ხელშეკრულებაა. ქვეყნები უფლებამოსილია განსაზღვრონ და აირჩიონ კლასი მიერთებისათვის, რის მიხედვითაც მოუხდებათ ყოველწლიური საფასურების გადახდა. კლასების იერარქია დგინდება გაეროს წესების თანახმად. არჩეული კლასი არ ბღალავს ქვეყნის მონაწილეობის თანაბარუფლებიანობას. მიერთების შემთხვევაში კონვენცია ძალაში შედის 3 თვის შემდეგ, რაც ქვეყანამ აცნობა ისმოს გენერალურ დირექტორს მიერთების შესახებ საჭირო დოკუმენტების ჩაბარების თაობაზე. ამ დოკუმენტებით ქვეყანამ შეიძლება დაადგინოს მის ტერიტორიაზე კონვენციის ამოქმედების სხვა ვადა.

დაფუძნებულია ბერნის კავშირის ასამბლეა, რომელშიც ყველა მონაწილე ქვეყანა შედის ერთი წარმომადგენლით და კენჭისყრაზე ერთი ხმის მიცემის უფლებით. ასამბლეა ამტკიცებს კავშირის საქმიანობის პროგრამასა და ბიუჯეტს, ირჩევს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს.

ცვლილებების შეტანა კონვენციის ტექსტში შეიძლება მოითხოვოს ასამბლეის მონაწილე წებისმიერმა ქვეყანამ, აღმასრულებელმა კომიტეტ-

მა ან ისმო-ს გენერალურმა დირექტორმა. ცვლილება შეიტანება თუ მას ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვიდან 3/4 ან 4/5 დელეგატმა. კონვენციის გადასინჯვა მოითხოვს გადაწყვეტილების ერთსულოვნებას.

ქვეყნებს დათქმების გაკათების უფლება აქვთ. კერძოდ მათ შეუძლია:

არ ივალდებულონ 1-21-ე მუხლებისა და დამატებითი კარის მოთხოვნების შესრულება, როცა ქვეყანა არის მონაწილე და/ან უერთდება კონვენციის გადასინჯულ, ახალ აქტს. ასეთი დათქმა მოქმედებს მანამ, სანამ იმოქმედებს კონვენციის ის წინა აქტი, რომელსაც არის მიერთებული ქვეყანა.

მიერთებისას ქვეყანას შეუძლია თარგმნის უფლებასთან დაკავშირებით ზემოთ განხილული "10-წლიანი წესის" საკუთარ ტერიტორიაზე გავრცელების შესახებ დათქმა გააკეთოს.

ქვეყანას უფლება აქვს არ ჩათვალოს თავისი თავი ვალდებულად საერთაშორისო იურისდიქციის შესახებ კონვენციის მოთხოვნის შესრულებისათვის, რომლის თანახმადაც ქვეყნებს შორის თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში კონვენციის დებულებების განმარტების უფლებამოსილება ენიჭება შააგის საერთაშორისო სასამართლოს.

ქვეყნებს შორის ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, როცა ისინი ბერნის კონვენციის სხვადასხვა აქტის მონაწილენი არიან დაწესებულია: კონვენციის მონაწილე ქვეყნები პარიზის აქტის მიხედვით ურთიერთობებში იყენებენ ამ უკანასკნელს, გინდაც, რომ ისინი კონვენციის სხვა აქტებსაც აღიარებდნენ. ქვეყნები, რომლებიც არ მონაწილეობენ კონვენციაში პარიზის აქტის მიხედვით ვალდებული არიან პარიზის აქტის მონაწილე ქვეყნებთან ურთიერთობებში გამოიყენონ პარიზის აქტი, თუნდაც, რომ თვითონ არ ცნობდნენ ამ აქტს. ამასთან, ეს ქვეყნები სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებში გამოიყენებენ იმ უკანასკნელ აქტს, რომელსაც არიან ისინი მიერთებული.

კონვენციის პარიზის აქტი მიღებულია ფრანგული და ინგლისურენოვანი ტექსტებით. ამასთან, მისი არსის განმარტებისას ქვეყნებს შორის უთანხმოებების წარმოქმნის შემთხვევაში გამოიყენება ფრანგულ ენაზე არსებული ტექსტი.

დამატებითი კარი

დამატებითი კარი, რომელიც კონვენციის განუყოფელი ნაწილია შეიცავს შეღავათებს, რომლებითაც შეუძლია ისარგებლონ განვითარებადმა ქვეყნებმა ისე, რომ განვითარებული ქვეყნები ნაცვალგებას ვერ დაუწესებენ. ამ კარის დებულებები მიმართულია ინტელექტუალურ – შემოქმედებითი პროტენციის დაუბრკოლებრივი განვითარების ხელშეწყობისაკენ და აძლევს საშუალებას განვითარებად ქვეყნების მოქალაქეებს გა-

ადვილებული წესით გაეცნონ მსოფლიოში არსებულ ლიტერატურულ, მხატვრულ, მეცნიერულ და სხვა სახის ნაწარმოებებს, რაც მნიშვნელოვანი საწინდარი გახდება კულტურულ-ეკონომიკური და სოციალური განვითარების წინსვლისა. განვითარებადი ქვეყნები ამ კარის დებულებებს იყენებენ იმ ქვეყნებთან ურთიერთობისა, რომლებიც არ არიან მიერთებული კონვენციის პარიზის აქტს, თუ ეს ქვეყნები ცნობენ დამატებითი კარის ნორმებს და არა აქვთ გაკეთებული დათქმა მის მიმართ. შეღავათები ვრცელდება ნაწარმოების თარგმნასთან და კვლავწარმოებასთან დაკავშირებით. განვითარებადი ქვეყანა ამ შეღავათებით სარგებლობის შესახებ ატყობინებს ისმო-ს გენერალურ დირექტორს და შეუძლია ისარგებლოს 10 წლის განმავლობაში. ნებადართულია შემდგომ ხელახალი შეტყობინების გაკეთება შეღავათებით სარგებლობის შესახებ მორიგი 10 წლიანი პერიოდებით. განვითარებად ქვეყანას უფლება აქვს დაანესოს იძულებითი ლიცენზირების სისტემა ნაწარმოებთა თარგმნისათვის და კვლავწარმოებისათვის, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს ასეთი ლიცენზიისადმი დანესებული ჩვეულებრივი მოთხოვნები. კერძოდ, ავტორის მორალური უფლებები უნდა იქნეს "პატივცემული", ანუ არ უნდა შეიბღალოს; ლიცენზიის მოქმედება უნდა შეიზღუდოს მხოლოდ მოცემული ქვეყნის ტერიტორიით; ავტორს უნდა გადაეხადოს გონივრული გასამრჯელო. თარგმნის იძულებითი ლიცენზირება წესდება მხოლოდ სასწავლო და სამეცნიერო კვლევების ჩატარების მიზნებით. ნაწარმოები შეიძლება ითარგმნოს სამაუწყებლო გადაცემისათვის. თუ თარგმანი უნდა შესრულდეს ისეთი ენიდან, რომელიც რამდენიმე ქვეყნის ოფიციალურ ენას წარმოადგენს (მაგ. ფრანგული, ინგლისური, ესპანური ან პორტუგალური), მაშინ ლიცენზირება შეიძლება განხორციელდეს სათარგმნი ნაწარმოების პირველი გამოცემის დღიდან არა ნაკლებ 3 წლის გასვლის შემდეგ, თუ აღნიშნული ნაწარმოები არ ყოფილა გამოქვეყნებული სათარგმნი ენაზე. იძულებითი ლიცენზირება შეიძლება დანესდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარმოდგენილ იქნება მტკიცება, რომ ავტორი ამის ნებართვას არ იძლევა. ავტორს შეუძლია შეწყვიტოს იძულებითი ლიცენზიის მოქმედება, თუ თავად გამოსცემს ნაწარმოებს მოცემული ქვეყნის ენაზე. განვითარებად ქვეყანას აქვს უფლება გამოიყენოს თარგმნის განსაკუთრებული უფლების შეზღუდვა 10 წლიანი წესის პრინციპით.

კვლავწარმოების იძულებითი ლიცენზირება შეიძლება დანესდეს მხოლოდ 5 წლის გასვლის შემდეგ ნაწარმოების პირველი გამოცემის დღიდან. საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის ნაწარმოებზე იძულება შეიძლება განხორციელდეს 3 წლის გასვლის შემდეგ. ეს ვადა ზოგიერთი ნაწარმოებისათვის შეიძლება შეადგენდეს 7 წელს, მაგალითად, პოეზია, მუსიკა; ლური, დრამატული, ფანტაზიური ან მხატვრულ-ხელოვნებითი ნაწარმოები.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ დამატებითი კარის ნორმებით სარგებლობენ, მაგალითად, ისეთი ქვეყნები, როგორც არიან მექსიკა, ინდოეთი, ჩინეთი, ეგვიპტე.

ბერნის კონვენციის პარიზის აქტის წინა აქტების მოკლე მიმოხილვა

თავდაპირველი – 1886 წლის ბერნის აქტი შეიცავდა 21 მუხლსა და დანართებს, მათ შორის საბოლოო პროტოკოლს. კონვენციას ხელი მოაწერა 10 ქვეყნის უფლებამოსილმა დელეგატმა. ეს ქვეყნებია: ბელგია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, ლიბერია, საფრანგეთი, ტუნისი, შვეიცარია, შაიტი.

აქტის ტექსტი ითვალისწინებდა დებულებებს კავშირის დაარსების შესახებ, კონვენციის მოქმედების ფარგლებს, კერძოდ, რომ დაცვას ექვემდებარებოდა როგორც გამოქვეყნებული ისე გამოუქვეყნებელი ნაწარმოები; ეროვნული რეჟიმის პრინციპს, ავტორობის პრეზუმფციას; წარმოშობის ქვეყნის კანონით გათვალისწინებულ დაცვის დამოკიდებულებას სხვა მონაწილე ქვეყანაში; წარმოშობის ქვეყნის განმარტებას; დაცვადი ნაწარმოებების ჩამონათვალს, რომელიც დასაბამიდანვე არ იყო მოცემული ამომწურავად; დაცვის მინიმუმს, კერძოდ თარგმნის, წარმოდგენისა და საჯარო შესრულების უფლებებს; შეზღუდვებს, კერძოდ მუსიკალური ნაწარმოებების თავისუფალ მექანიკურ კვლავწარმოებას და პრესაში გამოქვეყნებული სტატიების თავისუფალ კვლავწარმოებას; ნაწარმოების ეგზემპლარების დაყადაღების შესაძლებლობას და ადმინისტრაციული ხასიათის სხვა დებულებებს, რომელთა ჩამოთვლაც შემდგომ აქტებთან დაკავშირებითაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

1896 წლის პარიზის დამატებითი აქტი შეეხო გარდაცვალების შემდგომ საავტორო უფლების მოქმედების საკითხს და მიიჩნია დაცვადად გარკვეული დროის განმავლობაში. "გამოცემა" განიმარტა ნაწარმოების ასლების გამოცემად რომელიმე მონაწილე ქვეყანაში, თარგმანთან დაკავშირებით დანესდა დაცვის უფრო ხანგრძლივი ვადა.

1908 წელს ბერლინში გადასინჯული ტექსტით შემოტანილ იქნა ახალი დებულებები. დადგინდა, რომ ნაწარმოები დაცვადია ფორმულობების შესრულების გარეშე, აგრეთვე, დამკვიდრდა ნაწარმოების დაცვის დამოუკიდებლობის პრინციპი. დაცვად ნაწარმოებთა რიცხვს მიემატა ქორეოგრაფიული, უხმო წარმოდგენა, არქიტექტურული, კინემატოგრაფიული, ფოტოგრაფიული და ფოტოგრაფიის მსგავსი პროცესით შექმნილი ნაწარმოები. გამოყენებითი ხელფუნების ნაწარმოები, რომელიც სამრეწველოდ არის გამოყენებადი დაექვემდებარა დაცვას, თუ ამას ქვეყანა ითვალისწინებდა. შეტანილ იქნა ზოგიერთ ნაწარმოებებთან დაკავშირებუ-

ლი დაზუსტებანი. თარგმნის უფლება მიჩნეულ იქნა დამოუკიდებელ განსაკუთრებულ უფლებად, ყოველგვარი დათქმების გარეშე. განსაკუთრებული უფლებების დაცვის ხანგრძლივობა განისაზღვრა 50 წლით *post mortem auctoris*.

1914 წლის ბერნის დამატებითი პროტოკოლით დამკვიდრდა ნაცვალგების უფლება იმ ქვეყნებთან მიმართ, რომლებიც არ იყვნენ ბერნის კონვენციის მონაწილენი და არ უზრუნველყოფდნენ ნაწარმოებების ერთგვაროვან დაცვას და რომელთა ავტორებს არ გააჩნდათ საცხოვრებელი ადგილი რომელიმე მონაწილე ქვეყანაში, ხოლო ნაწარმოების პირველი გამოცემის დროს ისინი იყვნენ იმ ქვეყნის მოქალაქენი, რომელიც არ უზრუნველყოფდა ერთგვაროვან დაცვას.

1928 წლის რომში გადასინჯვის შედეგად ერთ-ერთი მთავარი სიახლე იყო ავტორთა მორალური უფლებების დაცვის შემოღება, რასაც ცხარედ ეწინააღმდეგებოდნენ საერთო სამართლის ქვეყნების დელეგატები. მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, ზეპირი ნაწარმოების დაცვის აღიარება, რომელთა მიმართაც ქვეყნებს მიეცათ უფლება დაედგინათ რა შემთხვევებში და რა პირობებით დაცვას არ დაექვემდებარებოდა ზოგიერთი მათგანი, მაგალითად სასამართლოზე წარმოთქმული სიტყვა ან ქადაგება. დამკვიდრდა სამაუწყებლო უფლების (ე.წ. ნაწარმოების საზოგადოებისათვის მიწოდების, ანუ მოსახლეობამდე დაყვანის უფლება) დაცვა. დაშვებულ იქნა იძულებითი ლიცენზიების დანესების უფლება.

1948 წლის ბრიუსელში გადასინჯვის შემდეგ კონვენციით გათვალისწინებულ იქნა კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან ერთად კინემატოგრაფიული პროცესის მსგავსი პროცესით შექმნილი ნაწარმოების დაცვა. მოცემულ იქნა ერთდროული გამოცემის განმარტება. მორალური უფლებების დაცვის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომლებიც რომის გადასინჯვის შედეგად დაცული იყო ავტორის სიცოცხლეში, მიდგომა შეიცვალა. ქვეყნებს მიეცათ ნება დაეცვათ ისინი ავტორის გარდაცვალების შემდეგაც, სულ მცირე სანამ მოქმედებდა განსაკუთრებული უფლებები. კინემატოგრაფიული ნაწარმოები მიჩნეულ იქნა ორიგინალურ ნაწარმოებად დაცვადად. შემოღებულ იქნა საჯარო კითხვის (დეკლამირების) უფლება, აგრეთვე ნაწარმოების თანმიდევნების უფლება. დაზუსტდა განსაკუთრებული უფლებების მოქმედების ვადები კინემატოგრაფიული და გამოყენებითი ხელოვნების, ანონიმურად და უცნობი ფსევდონიმით გამოცემულ ნაწარმოებებთან მიმართებით. დაზუსტდა ნაწარმოების საჯარო წარმოდგენის და შესრულების, სამაუწყებლო უფლებების შინაარსი.

1967 წლის სტოკჰოლმში გადასინჯული აქტით გამოყოფილად დასახელდა კვლავწარმოების უფლება და დანესდა შესაძლო გამონაკლისები. ქორეოგრაფიული ნაწარმოები და უხმო წარმოდგენა დაცვას დაექვემდებარა საინფორმაციო მატარებელზე აუცილებელი დატანის გარეშე, მაგ-

რამ მიეთითა, რომ სავალდებულო იყო მათი გამოხატვა მატერიალური ფორმით. მორალური უფლებების დაცვის ხანგრძლივობა დაექვემდებარა *ius conventionis*-ს. შემოღებულ იქნა დაცვის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული ნაცვალგების შესაძლებლობა "ვადების შედარების" პრინციპით კინემატოგრაფიულ, ფოტოგრაფიულ და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების მიმართ. უარყოფილ იქნა მექანიკური საშუალებებით საჯარო შესრულების უფლება. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებული საავტორო უფლებების სუბიექტთა წრე და ფარგლები დადგინდა იმ სახით, რა სახითაც პარიზის აქტის განხილვისას გადმოვიცით. კონვენციას დაემატა დამატებითი კარი განვითარებადი ქვეყნების სასარგებლოდ. სტოკჰოლმის მრავალი დებულება უცვლელად დარჩა აშშ-ში და მოქმედი ბერნის კონვენციის პარიზის აქტში.

2.სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია

(პარიზის კონვენცია)

პარიზის კონვენციას დიდი ხნის ისტორია აქვს – საუკუნეზე მეტია, რაც იგი მოქმედებს და მისი ფუძემდებლური დებულებანი დღემდე უცვლელია, ამასთან, სამრეწველო საკუთრების დაცვის განხორციელების და განვითარების თვალსაზრისით მას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა გამოიხატება მისი ეგიდით მრავალი სხვა საერთაშორისო შეთანხმების შემუშავებითა და მოქმედებით, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანოს, ჩამოყალიბებით. პროგრამების განხორციელებით, რომლებიც ითვალისწინებს განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენას ეროვნული სამრეწველო საკუთრების სფეროში კანონმდებლობის შემუშავებაში და შესაბამისი დაცვის სისტემის ჩამოყალიბებასა და ამოქმედებაში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო მონაწილეა ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კავშირისა, რაც ჩვენს ქვეყანას აკისრებს ყველა საერთაშორისო ვალდებულების შესრულებას, მიზანშეწონილი იქნება ვრცლად გადმოიცეს პარიზის კონვენციის ისტორია და შინაარსი.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ინტენსიური გახდა ტექნოლოგიების გაცვლა სახელმწიფოთა შორის და საერთაშორისო ვაჭრობამ მალალ საფეხურს მიაღწია, თავი იჩინა სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში მოუწესრიგებელი საკითხების გადანყვევების აუცილებლობამ საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, ამ დროისთვის სხვადასხვა ქვეყნებში უკვე მოქმედებდა ეროვნული კანონმდებლობა გამოგონებათა დაცვის შესახებ. მაგრამ, აღნიშნული ქვეყნების კანონებს გააჩნდა მათთვის დამახასიათებელი თავისებურებები, რაც ძალზე ართულებდა სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების მოპოვებას ერთდროულად სხვადასხვა ქვეყანაში. მენარმეები და გამომგონებლები იძულებულნი იყვნენ, რომ განაცხადები გამოგონების დაპატენტებაზე ერთდროულად წარედგინათ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც სურდათ უფლებების დაცვა. ეს, უპირველესად, იმით იყო გამოწვეული, რომ თუ ერთ ქვეყანაში უკვე გაიცა პატენტი და გამოქვეყნდა აღწერილობა, მეორე ქვეყანაში პატენტის მიღება შეუძლებელი ხდებოდა, რადგან პუბლიკაცია გამოგონების შესახებ ერთ ქვეყანაში იმავე გამოგონებას უკარგავდა სიახლეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა აშკარა გახადა სამრეწველო საკუთრების სფეროში კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საჭიროება საერთაშორისო დონეზე ისე, რომ რაც შეიძლება მეტი ქვეყანა ყოფილიყო ასეთი

პარმონიზაციის მონაწილე. საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა მთელი სიმწვავეით გამოჩნდა 1873 წელს, როდესაც ავსტრია – უნგრეთის იმპერიის მთავრობამ გადაწყვიტა მოეწყო გამოგონებების საერთაშორისო გამოფენა ვენაში და მასში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. უცხოელი ქვეყნების ძალიან ბევრმა წარმომადგენელმა უარი განაცხადა გამოფენაზე საკუთარი გამოგონებების წარდგენის თაობაზე, რადგან არ არსებობდა გამოფენილი გამოგონებების შესაბამისი სამართლებრივი დაცვა. განზრახვა გამოფენის ჩატარებაზე რომ არ ჩაშლილიყო, ავსტრიამ შემოიღო სპეციალური კანონი, რომელმაც უზრუნველყო უცხოელთა უფლებების დაცვა დროებით (გამოფენის მოწყობის პერიოდში). უფლებების დაცვა ვრცელდებოდა გამოგონებებზე, სასაქონლო ნიშნებზე და სამრეწველო ნიმუშებზე. იმავე 1873 წელს ავსტრიაში მოწვეულ იქნა ვენის კონგრესი, რომელიც მთლიანად მიეძღვნა საპატენტო დაცვის რეფორმის საკითხებს. კონგრესმა მიიღო შესაბამისი რეზოლუციები, რითაც დაფუძნდა ძირითადი ფუძემდებლური პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა განხორციელებულიყო საპატენტო დაცვის ქმედითი სისტემა. კონგრესმა მსოფლიოს ქვეყნებისათვის შემუშავა აგრეთვე რეკომენდაციები, რომელსაც უნდა უზრუნველყო ურთიერთგაგება საპატენტო დაცვის საკითხებში, რათა შემუშავებულიყო სათანადო საერთაშორისო შეთანხმების პირობები.

ვენის კონგრესის რეზოლუციების ცხოვრებაში გატარების მიზნით საფრანგეთის მთავრობამ ითავა 1878 წელს პარიზში მოეწვია სპეციალური საერთაშორისო კონგრესი სამრეწველო საკუთრების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. კონგრესმა საქმიან ვითარებაში ჩაიარა და მიიღო გადაწყვეტილება რომელიმე მთავრობას მოეწვია სამრეწველო საკუთრების დაცვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო დიპლომატიური კონფერენცია. მომავალ კონფერენციას უნდა განესაზღვრა შესაბამისი საფუძვლები სამრეწველო საკუთრების სფეროში ერთგვაროვანი კანონმდებლობის შემუშავებისათვის და დაედგინა სათანადო სამართლებრივი პრინციპები. კონგრესის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის მთავრობამ მოამზადა საბოლოო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის დაფუძნებას. ეს პროექტი დაეგზავნა სხვადასხვა ქვეყანას, იმავდროულად საფრანგეთის მთავრობამ დაგზავნა მინვეციებიც, რათა მათ მიეღოთ მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც უნდა გამართულიყო პარიზში 1880 წელს. კონფერენცია წარმატებით ჩატარდა და მასზე იქნა მიღებული კონვენციის პროექტი, რომელიც შეიცავდა ყველა იმ ძირითად პრინციპს და დებულებას, რომლებიც დღესაც სამრეწველო საკუთრების დაცვის კონვენციის მთავარ შინაარსს წარმოადგენს.

ამ დიპლომატიურმა კონფერენციამ ნიადაგი მოამზადა სამრეწველო

საკუთრების დაცვის სფეროში ყოვლისმომცველი საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმებისა და ეროვნული კანონმდებლობისათვის გასათვალისწინებელი პრინციპების დამდგენი სახელმწიფოთაშორისო მთავარი შეთანხმების მიღებისათვის. 1883 წელს პარიზშივე ჩატარდა ახალი დიპლომატიური კონფერენცია, რომელმაც დაავკირგვინა 10 წლიანი მოსამზადებელი ციკლი და რომელიც დასრულდა დღეს მოქმედი სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის დამტკიცებით, მასში მონაწილე 11 ქვეყნის მიერ ხელმოწერით. ეს ქვეყნები იყო ბელგია, ბრაზილია, გვატემალა, ესპანეთი, იტალია, ნიდერლანდები, პორტუგალია, სალვადორი, საფრანგეთი, სერბია და შვეიცარია. პარიზის კონვენციის ძალაში შესვლის მომენტისთვის – 1884 წლის 7 ივლისისთვის მას მიუერთდნენ დიდი ბრიტანეთი, ეკვადორი და ტუნისი. მონაწილე ქვეყნების რაოდენობა გაიზარდა 14-მდე. იმის მიუხედავად, რომ სამრეწველო საკუთრების დაცვა თავისი შინაარსით და იმ სამართლებრივ ურთიერთობათა სიმრავლით, რომლებიც განსაკუთრებული სპეციფიკურობით გამოირჩევა, აღნიშნული კონვენცია იმდენად კარგად იქნა ჩამოყალიბებული და მასში ასახული პრინციპები, ნორმები და მიდგომები იმდენად საფუძვლიანად გადმოიცა, რომ ეს დოკუმენტი დღესაც თითქმის უცვლელად რჩება მთავარ შეთანხმებად, რომელიც საერთაშორისო დონეზე აწესრიგებს სამრეწველო საკუთრების საერთაშორისო დაცვას. მის საფუძველზე განვითარებული ქვეყნები ლეზლობენ თანამედროვე კანონებს და მისი ეგიდით მოქმედებს მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება და ორგანო.

პარიზის კონვენციის თანამედროვე მნიშვნელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება მისი ძირითადი შინაარსის დანერვილებითი განხილვა.

1883 წელს, ხელმოწერის შემდეგ, კონვენციის პირობის თანახმად პერიოდულად ხდებოდა კონფერენციების მოწვევა კონვენციის გადასინჯვის მიზნით და მასში პარიზის კავშირის მთელი სისტემის სრულყოფისთვის გამიზნული ცვლილების შესატანად, ასეთი სახის დიპლომატიური კონფერენციები გაიმართა რომში 1886 წ., მადრიდში 1890 და 1891 წ., ბრიუსელში 1897 და 1900 წ., ვაშინგტონში 1911 წ. ამ კონფერენციებზე შემუშავებულ ტექსტებს სადღეისოდ აღარ გააჩნია პარიზის კონვენციაში მონაწილე ქვეყნებისათვის სავალდებულო მოქმედების ძალა და შემდგომში მათ შინაარსზე ყურადღება აღარ გამახვილდება. მომდევნო კონფერენციები, რომლებზე მიღებული ტექსტებიც ამა თუ იმ ქვეყნისათვის სავალდებულოა, გაიმართა ჰააგაში 1925 წ., ლონდონში 1934 წ., ლისაბონში 1958 წ., სტოკჰოლმში 1967 წ., რომელიც შევსებულ იქნა 1979 წელს. სტოკჰოლმის კონფერენციის რედაქციით მიღებული პარიზის კონვენციის მონაწილეა მისი ნევრი ქვეყნების უმეტესობა. 2002 წლის 1 იანვრისთვის პარიზის კავშირის მონაწილეთა შორის იყო 143 ქვეყანა. საქართველო შეუერ-

თდა პარიზის კონვენციის სტოკჰოლმის აქტს სსრ კავშირის (სსრ კავშირი პარიზის კონვენციის მონაწილე გახდა 1965 წ.) დროს აღებული ვალდებულებების გაგრძელების შესახებ დეკლარაციის საფუძველზე. ეს მოხდა კონვენციის არსებობის 111 წლის თავზე – 1994 წლის 18 იანვარს.

პარიზის კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოსთვის. დოკუმენტები მისი რატიფიცირების შესახებ უნდა ჩაბარდეს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს.

კონვენციის ძირითად დებულებებს ყოფენ ოთხ ჯგუფად.

1-ლი ჯგუფი შეიცავს საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებს, რომლებიც აწესებს პარიზის კავშირის ნევრ ქვეყანათა უფლებებს და მოვალეობებს და რომლებიც აფუძნებს თვით კავშირის ორგანოებს. ამავე ჯგუფში შედის ადმინისტრაციული სამართლის ნორმები. მაგალითად მე-6 მუხლის მე-(3) და მე-(4) პუნქტი ავალებს მონაწილე სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოილაპარაკონ ერთმანეთთან იმ ემბლე-მების და სხვა ნიშნების დაცვის თაობაზე, რომლებიც არ ექვემდებარება სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციას ან გამოყენებას. მე-12 მუხლი ავალებს მონაწილე სახელმწიფოებს შექმნან სამრეწველო საკუთრების ეროვნული სამსახურები, რომლებმაც აუცილებლად უნდა უზრუნველყოს სამრეწველო საკუთრების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება. მე-13 მუხლი ითვალისწინებს კავშირის ასამბლეის შექმნას და განსაზღვრავს ასამბლეის შექმნის წესს, კომპეტენციას და ფუნქციებს, აგრეთვე გადაწყვეტილებების მიღების პროცედურას.

23-ე და 27-ე მუხლები აწესრიგებს წინა რედაქციის ტექსტების მიხედვით კონვენციის აქტების ურთიერთდამოკიდებულებასა და შეფარდებას.

მე-2 ჯგუფის შემადგენელი დებულებები ავალებს სახელმწიფოებს ან რთავს ნებას მიიღონ კანონები სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ. მაგალითად, მე-4D მუხლი ავალებს ან რთავს ნებას მონაწილე ქვეყანას მოაწესრიგოს პრიორიტეტის უფლების გამოყენების ვადები. მე-5A მუხლი მონაწილე ქვეყნებს აძლევს უფლებას განახორციელონ საკანონმდებლო ღონისძიებანი იმ არამართლზომიერ ქმედებათა აღკვეთისთვის, რომლებმაც შეიძლება იჩინოს თავი საპატენტო განსაკუთრებული უფლების ცხოვრებაში გატარების პროცესში. 25-ე მუხლი აწესებს საერთო პრინციპს, რომლის თანახმადაც ქვეყანამ საკუთარი კონსტიტუციის მიხედვით უნდა უზრუნველყოს კონვენციის გამოყენება მის ტერიტორიაზე. ეს მუხლი აზუსტებს, რომ ქვეყანას, რომელიც პარიზის კონვენციის მონაწილეა უნდა, ძალუძდეს, საკუთარი კანონმდებლობის თანახმად კონვენციის დებულებების შესრულება.

მე-3 ჯგუფი შეიცავს სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ მატერიალური სამართლის ზოგადი წესების მთელ რიგს, რომლებიც დაკავშირებულია კერძო პირების უფლება-მოვალეობებთან იმდენად, რამდენ-

ნადაც ეს დებულებები მოითხოვს აღნიშნულ პირთა მიმართ კონვენციაში მონაწილე ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას. ამ ჯგუფს განეკუთვნება კონვენციის ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულება, რომელიც აწესებს, რომ მასში მონაწილე ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე ყველა სხვა მონაწილე ქვეყანაში სარგებლობს იგივე უფლებებით, რითაც სარგებლობს საკუთარი მოქალაქე. ეს პრინციპი ეროვნული რეჟიმის პრინციპად არის ცნობილი. კონვენციის სხვა დებულებები, რომლებიც ასევე ეხება კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს, ითხოვს ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას. ასეთებია, მაგალითად, მე-9 მუხლი, რომელიც ეხება ყადაღის დადებას იმ ნაწარმზე, რომელზეც არამართლზომიერად არის გამოსახული სასაქონლო ნიშანი ან საფირმო სახელწოდება; მე-10 მუხლი, რომელიც ეხება ცრუ აღნიშვნას ან მითითებებს ნაწარმის წარმოშობის ადგილის თაობაზე.

მე-4 ჯგუფი მოიცავს მატერიალური სამართლის ნორმებს, რომლებიც ეხება კერძო პირთა უფლებებსა და მოვალეობებს და რომლებიც არ ითხოვს ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას და თავად აწესრიგებს კონკრეტულ ურთიერთობებს. ამ ჯგუფის ისევე როგორც, წინა ჯგუფის, დებულებებისათვის გასარკვევია პირდაპირ გამოიყენება ის მოქმედი ნორმების სახით მოცემულ ქვეყანაში, თუ უნდა არსებობდეს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დებულებების გამოყენებას. საკითხის მონესრიგება კონკრეტულ სახელმწიფოში დამოკიდებულია კონსტიტუციურ სისტემაზე. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ნიდერლანდები, საფრანგეთი, კონსტიტუციური სისტემა აძლევს უფლებას ადმინისტრაციულსა და სასამართლო ორგანოებს დაინტერესებულ პირთათვის გამოიყენონ საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები, როგორც სამართლის მოქმედი წყარო. ამ ქვეყნებში კონვენციის დებულებანი გამოიყენება ეროვნული კანონმდებლობის ჩარევის გარეშე.

დიდ ბრიტანეთში, ნორვეგიასა და შვეციაში საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები "ბოჭავს" სახელმწიფოს, მაგრამ არ ვრცელდება კერძო პირებზე, თუ ეს ნორმები არ იქნება ინკორპორირებული ეროვნულ კანონმდებლობაში.

აღსანიშნავია, რომ როგორც არ უნდა იყოს ამა თუ იმ სახელმწიფოს კონსტიტუციური სისტემა, ამ ჯგუფის დებულებები შეადგენს სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ ზოგადი ნორმების ძალზე მნიშვნელოვან კომპლექსს. ეს ნორმები ან უშუალოდ, ან ეროვნული კანონმდებლობის მეშვეობით უნდა იყოს აღიარებული პარიზის კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოს მიერ. იმ დებულებებიდან, რომლებიც მზადაა პირდაპირ გამოსაყენებლად ეროვნული კანონმდებლობის გარეშე, უნდა გამოიყოს 1-ლი მუხლის მე-2 – მე-4 პუნქტები, რომლებიც განსაზღვრავს სამრეწველო საკუთრებას და იძლევა სამრეწველო საკუთრების დაცვის

ობიექტების ჩამონათვალს. სპეციალისტების აზრით ტერმინი "სამრენველო საკუთრება", რომელიც ფართოდ დამკვიდრდა მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით (მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით), უფრო ტრადიციულ, ვიდრე მეცნიერულად დახვეწილ ტერმინს წარმოადგენს. იგი გამოიყენება საკუთრების უფლების მსგავს განსაკუთრებულ უფლებათა აღსანიშნავად, რომლებიც ეხება შემოქმედებითი ხასიათის იდეებს, განმასხვავებელი თვისებების მქონე ნიშნებსა და აღნიშვნებს მენარმოების ან ვაჭრობის სფეროში. მათ რიგში უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ნესები, რომლებიც მიმართულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისაკენ. "სამრენველო საკუთრება", გ.ბოდენსაუზენის აზრით, მხოლოდ ანალოგიით შეიძლება შედარდეს ჩვეულებრივად გაგებულ "საკუთრებას". იგი ვრცელდება არა მარტო სამრენველო ობიექტებზე, არამედ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმებზეც, რაც არ არის სანივთო საკუთრებასთან აუცილებელ კავშირში. სამრენველო საკუთრების განსაზღვრას თეორიულის გარდა პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. მაგალითად, გადასაწყვეტია მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვა განეკუთვნება თუ არა "სამრენველო საკუთრებას". ეს საკითხი ღიადაა დარჩენილი და, ჩვენი აზრით, შეიძლება კონკრეტულმა სახელმწიფომ თავისი შეხედულებისამებრ თვითონ გადაწყვიტოს. მაგალითად, რადგან აშშ-ში მცენარეთა ჯიშების დაცვა ხდება პატენტის გაცემით, რომელიც სამრენველო საკუთრების დაცვის ობიექტია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამერიკის კანონმდებლობამ სამრენველო საკუთრების სასარგებლოდ გადაწყვიტა ეს საკითხი. რაც შეეხება საქართველოს, ამ ობიექტის დაცვის შესახებ 1996 წლიდან მოქმედებს კანონი სელექციური მიღწევების შესახებ, რომელიც ძირითად ნაწილში იზიარებს მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დებულებებს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსი სასელექციო მიღწევის დაცვას სამრენველო საკუთრებისადმი მიძღვნილ კარში მოიხსენიებს. მაშასადამე სასელექციო მიღწევა ჩვენშიც სამრენველო საკუთრების ობიექტია.

სტოკჰოლმის 1967 წლის დიპლომატიურ კონფერენციაზე გადასაწყვეტი იყო აგრეთვე, საავტორო მონუმობათა საკითხი. აღნიშნულმა კონფერენციამ კონვენციის მეოთხე მუხლის ახალ რედაქციაში საავტორო მონუმობა ჩართო, როგორც სამრენველო საკუთრების ობიექტი. შესაბამისად, საავტორო მონუმობის მიმართ პარიზის კონვენციის ძალით, ხოლო მცენარეთა ჯიშის მიმართ – კონკრეტული სახელმწიფოს ნებით და პარიზის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, უცხოელი მოქალაქენი უნდა განიხილებოდნენ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა თანაბრად და ამ ობიექტებისათვის უნდა გამოიყენებოდეს ამ კონვენციის ნორმები. ამავე დროს, პარიზის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეებს არ ექნებათ

უფლება მოსთხოვონ სხვა სახელმწიფოს ნაცვალგების პრინციპის განხორციელება.

განვიხილოთ უფრო დანვრილებით პარიზის კონვენციის ძირითადი არსი.

სამრენველო საკუთრების დაცვის ობიექტები

კონვენციის პირველი მუხლი იძლევა ჩამონათვალს და განმარტავს ამ ობიექტებს. მათ განეკუთვნება პატენტები გამოგონებებზე, სასარგებლო მოდელები, სამრენველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდება, წარმოშობის აღნიშვნა ან წარმოშობის ადგილის დასახელება (მინიშნება), აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა.

სამრენველო საკუთრების დაცვის ობიექტების განმარტება კონვენციაში შეტანილ იქნა ჰააგის 1925 წლის კონფერენციის შემდეგ. ამ მომენტიდან მოყოლებული ეს განმარტება უცვლელია. გარდა ამისა, 1958 წლის ლისაბონის კონფერენციამ მასში შეიტანა მომსახურების ნიშნების განმარტებაც.

1) პატენტი

კონვენცია არ განსაზღვრავს პატენტის რაობას, რაც ეროვნულ კანონმდებელს აძლევს საშუალებას თვითონ განმარტოს, თუ რომელი ობიექტებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული კონვენცია. მაგალითად, თუ ეროვნული კანონმდებლობით მცენარეთა ახალ ჯიშებზე გაიცემა პატენტი, მაშინ კონვენცია ვრცელდება ამ პატენტებზეც. ამდენად, გ. ბოდენ-ხაუზენის კომენტარის თანახმად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პატენტი უნდა განიმარტოს, როგორც სამრენველო განხორციელებადობის მქონე გამოგონების გამოყენების განსაკუთრებული უფლება. პატენტს სახელმწიფოს სახელით შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო გასცემს, მაგრამ იგი ადმინისტრაციულ აქტად არ განიხილება პარიზის კონვენციით. პირიქით იგი სამოქალაქო ბრუნვის საგნად არის მიჩნეული და გათანაბრებულია საკუთრებასთან, რომლის ობიექტსაც უსხეულო ნივთი წარმოადგენს. ამ მიდგომას იზიარებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც და საპატენტო კანონიც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით სასელექციო მიღწევა სამრენველო საკუთრებას განეკუთვნება, მაგრამ პარიზის კონვენცია ამ ობიექტზე მაინც ვერ გავრცელდება. ამის დასტური ისიც არის, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სასელექციო მიღწევაზე პატენტი არ გაიცემა. მასზე მონმობა გაიცემა, რომელიც პარიზის კონვენციის ობიექტი არ არის.

განმარტოთ თუ რა მოცულობისაა "სამრეწველო საკუთრება". კონვენციის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ ტერმინი "სამრეწველო საკუთრება" ვრცელდება არა მარტო მრეწველობასა და ვაჭრობაზე, არამედ სოფლის მეურნეობაზე, სამთო მრეწველობასა და სამრეწველო წესით დამზადებულ ან ბუნებრივი წარმოშობის ყველა სახის პროდუქტზე. როგორც ვხედავთ, განმარტება არ ვრცელდება ადამიანის საქმიანობის ისეთ მნიშვნელოვან სფეროზე, როგორიცაა მედიცინა. შესაბამისად, საპატენტო დაცვის გავრცელება მკურნალობის მეთოდებზე ამ განმარტების ფარგლებს გარეთ გასვლას ნიშნავს.

2) სასარგებლო მოდელი

სასარგებლო მოდელი განიხილება, როგორც "მცირე პატენტი". შესაბამისად, მასზე განსაკუთრებული უფლება დაცულია უფრო ნაკლები ვადით, ვიდრე გამოგონების პატენტებზე. პატენტუნარიანობის მოთხოვნებიც უფრო დაბალი დონისაა. მაგალითად, საქართველოს საპატენტო კანონით საგამომგონებლო დონის მოთხოვნა საერთოდ არ არის დანესებული. სასარგებლო მოდელის დონეს განსაზღვრავს ის, რომ იგი აუცილებლად უნდა იყოს არსებული ობიექტის "გაუმჯობესება", ანუ იმ ნიშანთვისებებით, რომლებიც სარგებლიანობას უზრუნველყოფენ უნდა აღემატებოდეს არსებულს.

3) სამრეწველო ნიმუში

ეს ობიექტი განიხილება, როგორც ნაკეთობის, ან სხვა სახის სასარგებლო ნივთის გამოხატვა მისი ცალკეული არსებითი ელემენტების გამოყოფით ისე, რომ გადმოიცეს ამ ნივთის ფორმისა და ზედაპირის და თავისებურება ორნამენტული ელემენტების ან სხვა მხატვრული საშუალებების მეშვეობით. სხვაგვარად რომ ითქვას, სამრეწველო ნიმუში უნდა გამოხატავდეს ნივთის გარეგან სახეს. ნივთის ასეთი გარეგანი სახის ავტორს (მფლობელს) ენიჭება განსაკუთრებული უფლება მის წარმოებასა და გამოყენებაზე.

4) სასაქონლო ნიშანი

ეს ობიექტი განიმარტება, როგორც სპეციალური აღნიშვნა, რომელიც განკუთვნილია, ერთი საწარმოს პროდუქციის განსასხვავებლად სხვა საწარმოს პროდუქციისაგან. მის მფლობელს ენიჭება განსაკუთრებული უფლება ნიშნის ან მისი ვარიანტების გამოყენებაზე ერთგვაროვანი ან მსგავსი პროდუქციისათვის.

5) მომსახურების ნიშანი

სასაქონლო ნიშანთან ახლო ანალოგიის გამო ქვეყნების დიდი ნაწილი, მათ შორის საქართველო, ამ ობიექტს იცავს სასაქონლო ნიშნების მსგავსად, როგორც წესი იგივე კანონმდებლობით. მომსახურების ნიშანი ისეთი ნიშანია, რომელიც ორი სხვადასხვა საწარმოს მომსახურების განსახვავებლადაა განკუთვნილი.

ქვეყნები არ არიან ვალდებული შემოიღონ სპეციალური კანონი. შესაბამისად, პარიზის კონვენციის ეს ნორმა მოქმედ ნორმად შეიძლება იქნეს განხილული და ყველას შეუძლია მასზე დაყრდნობით კონვენციის წევრ ქვეყანაში მოითხოვოს მომსახურების ნიშნის დაცვა. ქვეყნებს შეუძლიათ მათი დაცვა განახორციელონ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის კანონმდებლობით.

აქედან გამომდინარე, ქვეყანას თუ არა აქვს მიღებული სპეციალური კანონი, ვერ დაავალდებულებენ რეგისტრაციაში გაატაროს მომსახურების ნიშნები.

ამჟამად ნიშნების შესახებ კანონმდებლობის საერთაშორისო ჰარმონიზაციის გავლენით სულ უფრო ნაკლებია იმ ქვეყანათა რიცხვი, რომლებსაც არა აქვს მოქმედი სპეციალური კანონი მომსახურების ნიშნების დაცვის შესახებ.

5.1) კოლექტიური ნიშნები

კონვენცია მე-7ბის მუხლით ავალებს ქვეყნებს მიიღონ განაცხადები და დაიცვან გაერთიანებების (ასოციაციების) კუთვნილი კოლექტიური სარგებლობის ნიშნები. როგორც წესი, ეს ეხება კოლექტიური ნიშნის გამოყენებას მენარმეთა, გამსაღებელთა, კომერსანტთა გაერთიანებების ისეთ საქონელზე რომელიც იწარმოება მოცემულ ქვეყანაში, რეგიონში ან ადგილზე, ან მას გააჩნია სხვაგვარი საერთო მაჩვენებლები. სახელმწიფოს, ან საზოგადოებრივი ორგანოს ნიშნებს ეს დებულება არ ეხება. კოლექტიური ნიშანი ემსახურება მომხმარებელს საქონლის წარმოების (წარმოშობის) გეოგრაფიული ადგილის, მასალის, წარმოების ხერხის (ტექნოლოგიის), ხარისხის ამოცნობაში. იგულისხმება საქონელი, რომელიც იწარმოება გაერთიანებაში შემავალ სხვადასხვა საწარმოს მიერ და რომელიც მისი მფლობელის კონტროლით იყენებს კოლექტიურ ნიშანს როდესაც მფლობელი ნიშნის გამოყენებაზე რთავს ნებას საწარმოებს, რომლებიც არ შედის გაერთიანებაში, მაგრამ აკმაყოფილებს მოცემული საქონლის ხარისხობრივ მაჩვენებლებსა და არ ლახავს ნიშნის რეპუტაციას, კოლექტიური სარგებლობის ნიშანი "სასერთიფიკაციო ნიშანს" წარმოადგენს. კონვენციის ამ დებულების გამოყენებისათვის საჭიროა, რომ არსებობდეს გაერთიანება, რომელსაც აქვს კოლექტიური ნიშანი და

რომლის არსებობაც არ ეწინააღმდეგება მისი დაფუძნების შესახებ ქვეყნის კანონმდებლობას. კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციის შესახებ უარის თქმა დაუშვებელია იმ მოტივით, რომ გაერთიანება არ არის რეგისტრირებული იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება კოლექტიური ნიშნის დაცვა. გაერთიანებას არ მოეთხოვება, რომ გააჩნდეს სამრეწველო ან კომერციული სანარმო. გაერთიანებას, რომელსაც არ გააჩნია სანარმო, შეუძლია ანარმოს კოლექტიური ნიშნის კონტროლი სხვა სანარმოების მიერ გამოყენებისას და გააჩნდეს სასერტიფიკაციო ნიშანი.

კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციას უარი ვერ ეთქმის იმის საფუძველზე, რომ გაერთიანება არ არის დაფუძნებული იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც მოითხოვება დაცვა.

6) საფირმო სახელწოდება

სამრეწველო საკუთრების ამ ობიექტის შინაარსი ზემოთ იქნა გადმოცემული დანვრილებით. ამიტომ, გავაშუქებთ მხოლოდ პარიზის კონვენციის მოთხოვნებს მისი დაცვისადმი. კონვენციის მე-8 მუხლი მონაწილე ქვეყნებისგან ითხოვს უზრუნველყოფილი იყოს, საფირმო სახელწოდების დაცვა და რომ აუცილებელი არ არის სპეციალური რეგისტრაცია. ეს პირობა ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც საფირმო სახელწოდება სასაქონლო ნიშნის ნაწილს წარმოადგენს.

პარიზის კონვენციის თანახმად, საფირმო სახელწოდება დაცულია მესამე პირის არაკეთილსინიდიისიერი ქმედებებისაგან, რაც შეიძლება იგივე სახელწოდების ან მისი მიმსგავსების (რამაც შეიძლება აღრევა ან შეცდომაში შეყვანა გამოიწვიოს) გამოყენებით გამოიხატოს. საფირმო სახელწოდების დაცვაზე, როგორც სხვა ობიექტებზე, ვრცელდება კონვენციით დადგენილი ეროვნული რეჟიმის პირობები. თუ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებისთვის განსხვავებულ დაცვას იმავე ქვეყნის ისეთ საფირმო სახელწოდებასთან შედარებით, რომელიც რეგისტრირებული არ არის, მაშინ აღნიშნული ქვეყანა არ არის ვალდებული განსხვავებული დაცვა მიანიჭოს არარეგისტრირებულ უცხოურ და ადგილობრივ საფირმო სახელწოდებებს. ამასთან, კონვენციის აღნიშნული კომენტარის თანახმად, თუ არსებობს შეცდომაში შეყვანის საშიშროება (სხვა სახელწოდებასთან ან სასაქონლო ნიშანთან ურთიერთმსგავსების გამო), მაშინ უცხოური საფირმო სახელწოდების დაცვა შეიძლება იქნეს დამოკიდებული ფაქტიურ გამოყენებაზე მოცემული ქვეყნის ფარგლებში.

7) წარმოშობის აღნიშვნა და წარმოშობის ადგილის დასახელება

პარიზის კონვენციის გაგებით წარმოშობის აღნიშვნა მოიცავს ნებისმიერ სახელწოდებას, მითითებას ან აღნიშვნას (ნიშანს, სიმბოლოს), რაც ამა თუ იმ ქვეყანაზე, ან ქვეყნის სხვადასხვა ადგილზე მიუთითებს იმ მიზნით, რომ მომხმარებელს აუწყოს საქონლის წარმოშობის ამ ქვეყანასთან ან კერძოდ იქაურობასთან კავშირი. მაგალითად: ნაწარმოებია საქართველოში, ქართული ღვინო, ან, უბრალოდ, ჩინეთი, პოლივუდი, პარიზი, ან იმერული ყველი, მეგრული გოჭი, აჭარული ხაჭაპური და სხვ.

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება კი უფრო ვიწრო შინაარსისაა. იგი, გარდა იმისა, რომ უკავშირდება მხოლოდ მოცემულ ქვეყანას ან მის რომელიმე კონკრეტულ ადგილს, აუცილებლად გულისხმობს, მის ამ ადგილთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ თვისებებს, რასაც იგივე სახის საქონელი ვერ შეიძენს, თუ სხვა ადგილზე იქნა ნაწარმოები.

გვინდა ხაზი გავუსვათ პარიზის კონვენციის მე-10 და მე-10^{bis} მუხლების მოთხოვნებს. მათში გათვალისწინებულია მომხმარებელთა დაცვა ამ აღნიშვნების არაკანონიერი გამოყენების შემთხვევაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანისგან დაცვასთან. იკრძალება წარმოშობისა და ადგილწარმოშობის აღნიშვნების პირდაპირი თუ არაპირდაპირი გამოყენება, როდესაც ამას არაუფლება-მოსილი პირი აკეთებს. პარიზის კონვენცია, აღნიშნულთან დაკავშირებით, შეიცავს საქონლის დაყადაღების მოთხოვნასაც.

გარდა ამისა, კონვენცია ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ მენარმეთა ინტერესების დაცვა ქვეყანაში აწარმოოს მენარმეთა გაერთიანებებმა, რომლებიც უფრო ეფექტურად დააყენებენ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოთა წინაშე სათანადო მოთხოვნებს და მათი განხორციელების უზრუნველყოფას მიაღწევენ.

რადგან სამრეწველო საკუთრების ეს ობიექტი ფაქტობრივად ყოველთვის გეოგრაფიულ დასახელებასთან არის დაკავშირებული და მას არ შეიძლება ჰყავდეს ერთი მეპატრონე, კონვენცია ადგენს ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული პირი. ასეთად მიიჩნევა საქონლის დამამზადებელი – მწარმოებელი, მენარმე ან ვაჭარი. ამასთან, აღნიშნულ პირს საწარმო უნდა ჰქონდეს იმ მოცემულ გეოგრაფიულ ადგილზე უშუალოდ ან იმ რაიონში, რომელშიც ეს ადგილი შედის, ან ქვეყანაში (თუ ცრუ მითითებებისას ქვეყანა არის დასახელებული). ეს ნორმა პირდაპირი მოქმედების ნორმად არის გადმოცემული, თუ მის გამოყენებას მიმართავენ სასამართლოში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს ეროვნული ტრადიციებით წარმოებული პროდუქტები, რომლებსაც საკუთარი სახელი გააჩნიათ და

რომლებიც საშუალებას იძლევიან დავასკვნათ კონკრეტული პროდუქციის წარმოშობა ამა თუ იმ ქვეყნიდან. მაგალითად, "ჩურჩხელა" ან "სულუგუნი" ისეთი აღნიშვნებია, რომლებიც მიენიშნებენ ასეთი პროდუქციის ქართულ წარმოშობაზე. ეს კარგადაა ცნობილი ყოფილი სსრ კავშირის სივრცეში. ამ აღნიშვნებს დაცვა ესაჭიროებათ, თუნდაც იმიტომ, რომ სულუგუნის წარმოების უამრავი მაგალითი გვაქვს რუსეთისა და ყოფილი სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში, რაც თუ ასე გაგრძელდა გამოიწვევს "სულუგუნისთვის" წარმოშობის მინიშნების ფუნქციის დაკარგვას და, შესაძლებელია, (რადგან იმ ქვეყნებში ვერ იქნება დაცული ამ ყველის წარმოების ქართული ტრადიციები და პირობები) ხარისხის გაუარესებასა და მომხმარებელთა თვალში საქართველოს ტრადიციების რეპუტაციის შელახვას.

ჩვენი აზრით, აუცილებელია დაჩქარდეს ახლად მიღებული კანონის ამოქმედება, ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების დადება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ახლადმიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, კერძოდ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დადებული შეთანხმება ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანხვედრი უფლებების შესახებ იყენებს ტერმინს "გეოგრაფიული აღნიშვნა", რომელიც აერთიანებს პარიზის კონვენციის ორივე ცნებას – საქონლის წარმოშობის აღნიშვნასა და წარმოშობის ადგილის დასახელებას. საქართველოს კანონით საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ გეოგრაფიული აღნიშვნა და საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება ერთმანეთისაგან განსხვავებული ობიექტებია.

8) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა

ეს ობიექტიც ადრე უკვე იქნა დაწვრილებით განხილული, ამიტომ, შემოვიფარგლებით პარიზის კონვენციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დებულებებს გაშუქებით. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების ამკრძალავი ნორმები შესულია კონვენციის მე-8, მე-9, მე-10, მე-10^{bis}, მე-10^{ter} მუხლებში.

კონვენცია ითხოვს, რომ ქვეყნებმა აუცილებლად განახორციელონ ეფექტური დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან, მაგრამ არ აკონკრეტებს, როგორ და რანაირად. ამ საკითხის გადწყვეტა დაკისრებულია ეროვნულ კანონმდებლობაზე.

მე-10^{bis} მუხლი გადმოსცემს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციაა ნებისმიერი ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც წინააღმდეგობაშია

(ან უპირისპირდება) კომერციულ ან სამენარმეო საქმიანობაში დამკვიდრებულ პატიოსან ჩვევებს (პრაქტიკას).

პარიზის კონვენცია გამოყოფს ზოგიერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქმედებებს, რომლებიც უნდა იქნეს აკრძალული. ეს ქმედებებია, მაგალითად:

- რომლებიც იწვევს კონკურენტების ნაწარმის, საქონლის ან სამენარმეო, ან კომერციული საქმიანობის აღრევას. ეს მოთხოვნა არ შემოიფარგლება მხოლოდ სასაქონლო ნიშნებით ან საფირმო სახელწოდებებით, არამედ მოიცავს ნაწარმის ფორმის, შეფუთვის, ან სავაჭრო კაზმულობის, ან სხვაგვარი საშუალების (მაგალითად, საქმიანობის სტილი) გამოყენებას.
- რომლებიც შეიცავს მოტყუებითი ხასიათის განცხადებებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონკურენტის სახელისა და საქმიანობის დისკრედიტაცია, ჩირქი მოსცხოს მისი ნაწარმის თვისებებს და რეპუტაციას და ა.შ. ამასთან, პარიზის კონვენცია ეროვნული კანონმდებლობის საკითხად მიიჩნევს ისეთი ქმედების შეფარდებას არაკეთილსინდისიერი კონკურენტის აქტთან, რომელიც არც თუ მოტყუებითია (შეიცავს სიმართლეს) და ითხოვს შესაბამისი სანქციის დადგენას, ან საკითხის სხვაგვარად მონესრიგებას.
- რომლებიც შეიცავს შეცდომაში შემყვან მითითებებს, ან განცხადებებს საქონლის წარმოების ტექნოლოგიის შესახებ, მახასიათებლების შესახებ, მათი ხარისხის შესაბამისობის შესახებ, მოცემული ნაწარმის ბუნების შესახებ და ა.შ. ჩვენის აზრით, კონკურენტის ეს მოთხოვნა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მთავარი იარაღი უნდა იყოს. მაგრამ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონი ვერ იცავს მომხმარებელთა უფლებებს აღნიშნული მოთხოვნების თვალსაზრისით და დიდად დასახვეწია.

ქირითადი დეპულეზები

ეროვნული რეჟიმი

პარიზის კონვენციის მეორე და მესამე მუხლებში მოცემულია ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც უარყოფს დისკრიმინაციას და დღემდე უცვლელი რჩება. კონვენციის მონაწილე ქვეყნებმა იკისრეს ვალდებულებები და მოვალენი არიან ამ კონვენციაში გაერთიანებულ სახელმწიფოთა მოქალაქეებს სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით მიანიჭონ ისეთივე უფლებები, რაც გააჩნიათ საკუთარ მოქალაქეებს. ის დებულება, რომ ეროვნული რეჟიმის პრინციპით სარგებლობის შესაძლებლობა ენიჭებათ კონვენციაში მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს, არ ნიშ-

ნავს იმას, რომ მესამე ქვეყნების მოქალაქეებს საერთოდ არა აქვთ უფლება ისარგებლონ იგივე რეჟიმით. საამისოდ უნდა შესრულდეს გარკვეული პირობები. კერძოდ, ეს პრინციპი ვრცელდება პარიზის კავშირის არანაწევრი ქვეყნების მოქალაქეებზეც, თუ მათ გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი, ან "ნამდვილი სამენარმეო, ან სავაჭრო სანარმო" მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ დებულებიდან ჩანს, თუ რამდენად თანაბარუფლებიანი და დახვეწილია კონვენციის ტექსტი ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. სწორედ ამ პრინციპის განხორციელებითაა შესაძლებელი სამრეწველო საკუთრებაზე ადეკვატური უფლებების მოპოვება საზღვარგარეთ.

ეროვნული რეჟიმი გამოიყენება კონვენციის მონაწილე ქვეყნების მოქალაქეთათვის. ტერმინი "მოქალაქე" ფართო გაგებითაა გადმოცემული და მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს.

ფიზიკური პირისათვის მოქალაქეობის მინიჭების ან ჩამორთმევის საკითხებს აწესრიგებს შესაბამისი ქვეყნის ეროვნული კანონი. ამდენად, მხოლოდ ამ ქვეყნის კანონი შეიძლება იქნეს გამოყენებული მოქალაქეობის სტატუსის საკითხის განსაზღვრისას, მათ შორის, თუ საკითხი წყდება უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში.

საკითხის გადანყვეტა, თუ როგორაა დაცული ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქე საკუთარი სახელმწიფოს მიერ, მთლიანადაა დამოკიდებული ამ ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაზე. შესაბამისად, მოქალაქეთა უფლებების დასაცავად ვერ იქნება გამოყენებული პარიზის კონვენცია, თუ კონსტიტუცია ან სპეციალური კანონი არ იძლევა ამის უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე მუხლის თანახმად, თუ ეროვნული კანონმდებლობა წინააღმდეგობაშია საერთაშორისო ხელშეკრულებასთან, მაშინ გამოიყენება ამ უკანასკნელის წესები. მაშასადამე, საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს პარიზის კონვენციის შესაბამისი დებულებების გამოყენება, თუ არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებები ეროვნულ კანონმდებლობასა და პარიზის კონვენციის შორის.

ეროვნული რეჟიმის პრინციპი ვრცელდება ყველა იმ შეღავათებზე, რაც გათვალისწინებულია ქვეყნის კანონმდებლობით საკუთარ მოქალაქეთათვის. ამ დებულების თანახმად ეროვნული კანონმდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნის მოქალაქეთათვის იმ სახით, რა სახითაც გამოიყენება საკუთარი მოქალაქისათვის. ეს იმავდროულად, ნიშნავს იმას, რომ მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს არა აქვთ უფლება მოითხოვონ სხვა ქვეყანაში ნაცვალგების პრინციპის გავრცელება. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პატენტის მოქმედების ვადა აითვლება მისი გაცემის თარიღიდან ამერიკელ მოქალაქეს არა აქვს უფლება იგივე მოითხოვოს საქართველოში, რადგან აქ პატენტის მოქმედება იწყება "საქპატენტში" განაც-

ხადის შეტანის დღიდან. ასევე, საქართველოს მოქალაქეს არ აქვს უფლება მოითხოვოს ამერიკის შეერთებულ შტატებში "წინათსარგებლობის" პრინციპის გავრცელება იმ მოტივით, რომ საქართველოს საპატენტო კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ უფლების გამოყენებას. ამერიკელი მოქალაქე კი საქართველოში ისარგებლებს აღნიშნული პრინციპით.

ნაცვალგების პრინციპის გამოყენება შეიძლება არ ვრცელდებოდეს როგორც კოდიფიცირებულ სამართალზე, ასევე სასამართლოთა პრაქტიკაზე, საპატენტო უწყებების ან სხვა სახელმწიფო ადმინისტრაციული დაწესებულებების პრაქტიკაზე. მაგალითად, აშშ-ს საპატენტო უწყება საპატენტო განაცხადს განსახილველად არ მიიღებს, თუ იგი უშუალოდ გამოგონების ნამდვილმა ავტორმა არ წარადგინა და განაცხადებას სპეციალური ფიცი (დეკლარაცია) არ დაურთო, რომ იგი არის პირველი და ნამდვილი გამომგონებელი.

პარიზის კონვენცია იძლევა ეროვნული რეჟიმის პრინციპიდან ზოგიერთი გამონაკლისის გაკეთების უფლებას. ეროვნული კანონმდებლობის დებულებანი რჩება ძალაში უპირობოდ, როდესაც საკითხი ეხება სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოთა კომპეტენციას, აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის არჩევას და რწმუნებულის დანიშვნას. მაშასადამე, ეროვნული კანონმდებლობის წმინდა პროცედურული ხასიათის მოთხოვნები, რომლებიც უცხოელთათვის ანესებენ განსაკუთრებულ პირობებს სასამართლო და ადმინისტრაციული პროცედურის სფეროში, უნდა იქნეს გამოყენებული კონვენციის მონაწილე წებისმიერი ქვეყნის მოქალაქის მიმართ.

ეს ნესი იძლევა შესაძლებლობას, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ დაადგინოს ისეთი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეეძლება განაცხადის წარდგენა საქართველოს საპატენტო უწყებაში, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე რწმუნებულის მეშვეობით. ეროვნული რეჟიმის შეზღუდვის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ის, რომ სასამართლოში სარჩელი შეიტანება მხოლოდ მოსარჩელეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, (ანუ იმ ქვეყანაში, სადაც მოსარჩელეს გააჩნია საცხოვრებელი ადგილი), ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც მოსარჩელეს გააჩნია ნამდვილი მოქმედი საწარმო.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად გადმოიცეს ეროვნული რეჟიმის პრინციპის შინაარსი, უნდა გაირკვეს, თუ რას ნიშნავს ტერმინი "საცხოვრებელი ადგილი" და "ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან სავაჭრო საწარმო".

კონვენციის თანახმად, პირს გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, თუ იგი ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობს მოცემულ ადგილზე, ისე, რომ არც კი აფორმებს თავის ამ ადგილზე ყოფნას იურიდიულად. მაშასადამე ქვეყნის ტერიტორიის ამა თუ იმ ადგილზე ცხოვრება საკმარისია,

რომ დაკმაყოფილდეს "საცხოვრებელი ადგილის" მოთხოვნა. ამასთან, სრულიადაც არ არის აუცილებელი მოცემულ ადგილზე იურიდიული გაფორმება.

"ნამდვილი (მოქმედი) სამრეწველო ან სავაჭრო სანარმო" ნიშნავს, რომ პირს უნდა გააჩნდეს ასეთი სანარმო და ახორციელებდეს სამეწარმეო ან კომერციულ საქმიანობას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს ისეთი ვითარება, როდესაც პირს გააჩნია მხოლოდ საფოსტო ყუთი მოცემულ ქვეყანაში, ან იჯარით აქვს აღებული რაიმე ფართი მცირე კანტორისათვის და არ ეწევა სამეწარმეო ან კომერციულ საქმიანობას.

საკუთარ ქვეყანაში სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით მოქალაქეს არ მოეთხოვება აუცილებლად გააჩნდეს მოქმედი სანარმო ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

პრიორიტეტის უფლება

კონვენციის მეოთხე მუხლი ადგენს, რომ სწორად გაფორმებული და სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების მოსაპოვებლად ერთ-ერთ მონაწილე ქვეყანაში პირველად წარდგენილი განაცხადის საფუძველზე განმცხადებელს (ან უფლებამონაცვლეს) უფლება აქვს 6 ან 12 თვის მანძილზე მოითხოვოს სამრეწველო საკუთრების დაცვა კონვენციის ნებისმიერ პირველ ქვეყანაში მოპოვებული პრიორიტეტის უფლების გამოყენებით. ამასთან, სხვა ქვეყნებში განაცხადები ჩაითვლება მიწოდებულად იმავე თარიღით, რა თარიღიც გააჩნდა პირველად მიწოდებულ განაცხადს.

პირველ ქვეყანაში მიწოდებული პირველი განაცხადის აღსანიშნავად, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია ვიხმაროთ ტერმინი "პირველი განაცხადი", რადგან მის საფუძველზე, იგივე ობიექტზე, შეიძლება 140-ზე მეტ ქვეყანაში გაიცეს დამცავი დოკუმენტი.

პირველი განაცხადის საფუძველზე წარმოქმნილი საკონვენციო პრიორიტეტის უფლება გამოიხატება იმით, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ყველა შემდგომ მიწოდებული განაცხადი, ისარგებლებს უპირატესობით პირველი განაცხადის მიწოდების თარიღის შემდეგ განხორციელებულ ყველა იმ ქმედების მიმართ, რომელსაც ჩვეულებრივ პირობებში შეეძლო გაექარწყლებინა განმცხადებლის უფლებები ან ობიექტის დაცვითუნარიანობა.

პრიორიტეტის უფლების მოთხოვნის 6 თვიანი ვადა ვრცელდება სამრეწველო ნიმუშებსა და სასაქონლო ნიშნებზე, ხოლო 12 თვიანი – გამოგონებებსა და სასარგებლო მოდელებზე. მართალია, ამ დებულებაში არ არის მოხსენიებული მომსახურების ნიშნები, მაგრამ კონვენციის წევრ

ქვეყანას უფლება აქვს გააერცელოს მასზე სასაქონლო ნიშნების დაცვისა და გაფორმების მოთხოვნები.

რადგან პრიორიტეტის უფლება შეიძლება იქნეს მოთხოვნილი მხოლოდ სწორად გაფორმებული პირველი განაცხადის საფუძველზე და მხოლოდ იმ ობიექტზე და იმ ფარგლებში, რაც მასშია წარმოდგენილი, დაუშვებელია, რომ ამ განაცხადს მოჰყვეს მეორე, უფრო გაუმჯობესებული, ან უკეთესად გაფორმებული განაცხადი, რომელსაც განმცხადებელი საკონვენციო პრიორიტეტის საფუძველად გამოიყენებს. კონვენციაში ტერმინი "სწორად გაფორმებული განაცხადის" შინაარსი არ არის ახსნილი. იგულისხმება, რომ განაცხადი ისე უნდა იყოს გაფორმებული, რომ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის შედეგად მას დაუდგინდეს განაცხადის შეტანის თარიღი პირველი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

საკონვენციო პრიორიტეტის უფლებით შეიძლება ისარგებლოს ნებისმიერმა პირმა, რომელზეც ვრცელდება ეროვნული რეჟიმის პრინციპი. ამასთან, ეს უფლება შეიძლება გადაეცეს სხვა პირს ისე, რომ იმავდროულად არ გადაეცეს მას "პირველი განაცხადი" ფიზიკურად. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელს შეუძლია პრიორიტეტით სარგებლობის უფლება მრავალ პირს დაუთმოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოსაყენებლად.

კონვენცია პრიორიტეტის უფლების ფარგლების განსაზღვრისათვის ადგენს "მრავლობითი" ან "ნაწილობრივი" პრიორიტეტის მოთხოვნის შესაძლებლობას, როდესაც საქმე გვაქვს საპატენტო დაცვასთან. "მრავლობითი პრიორიტეტის" მოთხოვნისათვის შეიძლება გაერთიანდეს ორი ან მეტი განაცხადი (თუ გამოგონების ერთიანობის პირობა არ ირღვევა) და დადგინდეს პრიორიტეტები ყველა პირველი განაცხადის მიხედვით. კონვენციის ეს დებულება კარგად პასუხობს პრაქტიკულ მოთხოვნილებებს. განაცხადის მიწოდების შემდეგ გამომგონებელი ხშირად უფრო სრულყოფს და ხვეწს საგამომგონებლო იდეას, შეაქვს კორექტივები და დამატებები, რომელთაგანაც თითოეული შეიძლება გახდეს დამოუკიდებელი დაცვის საგანი და გაფორმდეს მომდევნო განაცხადით. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება წინა და მომდევნო განაცხადების გაერთიანება და საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნის ვადის გასვლამდე მონაწილე ქვეყანაში გაერთიანებული განაცხადის მიწოდება. ასეთი პრიორიტეტის მოთხოვნა დასაშვებია მაშინაც კი, როდესაც მრავლობითი პრიორიტეტის დადგენა მოითხოვება სხვადასხვა ქვეყანაში ადრე მონოდებული პირველი განაცხადების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ სასაქონლო ნიშნებისათვის იგივე შესაძლებლობა არ არის კონვენციით გათვალისწინებული და თუ განმცხადებელს ორი ან მეტი განაცხადის საფუძველზე, რომლებითაც განსხვავებულ საქონლის ჩამონათვალზე მოითხო-

ვება ნიშნის რეგისტრაცია, სურს ერთი გაერთიანებული განაცხადის შეტანა მრავლობითი პრიორიტეტის მოთხოვნით, საკითხს გადაწყვეტს მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა. ქვეყნების უმეტესობა არ ცნობს ასეთ პრაქტიკას, მაგრამ სასამართლო პრეცედენტების მიხედვით გვხვდება საკითხის მონესრიგების მაგალითები მრავლობითი პრიორიტეტის სასარგებლოდ.

საგამოფენო პრიორიტეტის უფლება

პარიზის კონვენციის დაფუძნების ერთ-ერთი მიზეზი გამოფენაზე სამრეწველო საკუთრების ექსპონატების დაუცველობა იყო და ამდენად ეს დებულება თავიდანვე, 1883 წლიდანვე მოქმედებს. კონვენციის მეთერთმეტე მუხლის თანახმად, მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან მიანიჭონ ოფიციალურ ან ოფიციალურად ცნობილ გამოფენაზე ექსპონირებულ გამოგონებებს, სასარგებლო მოდელებს, სამრეწველო ნიმუშებს, სასაქონლო ნიშნებს დროებითი დაცვა, ამასთან, დროებითი დაცვის საშუალებანი უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით. შეიძლება დანესდეს საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობის უფლება ადრე განხილული საკონვენციო პრიორიტეტის მსგავსად. ასეთი უფლება დროებითია, რადგან იგი ინურება, თუ მისით სარგებლობის უფლება არ განხორციელდა რალაცა დროის ვადაში, მაგალითად, გამოფენის დამთავრებიდან ექვს თვეში.

ქვეყნებს უფლება აქვთ დაანესონ პატენტუნარიანი ობიექტების დაცვის სხვაგვარი საშუალება, მაგალითად, დაადგინონ, რომ ექსპონირება არ აბათილებს გამოგონების სიახლეს და რომ ექსპონირებული ობიექტის გამოყენება უნებართვოდ აკრძალულია. ასევე, ექსპონატის მფლობელს შეიძლება დაუნესდეს პირველი მოსარგებლის უფლება, რაც დაუპირისპირდება მესამე პირთა შესაძლო უფლებებს. საქართველოს საპატენტო კანონის 30(2)-ე მუხლით დანესდა საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობის უფლება, რომლის გამოყენებაც დაშვებულია ობიექტის ექსპონირების დღიდან 6 თვის განმავლობაში.

გარდა ამისა, საქართველოს საპატენტო კანონის მე-15 მუხლი ადგენს, რომ სიახლეს ვერ გააბათილებს ინფორმაციის გახსნა განაცხადის შეტანის თარიღამდე, თუ ინფორმაცია გავრცელდა ამ თარიღამდე არა უმეტეს 12 თვით ადრე – გამოგონებისათვის და არა უმეტეს 6 თვით ადრე – სასარგებლო მოდელისა და სამრეწველო ნიმუშისათვის. როგორც ვხედავთ, მოცემული ვადები უდრის ან აღემატება საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობის ვადებს. ამდენად, ნორმა საგამოფენო პრიორიტეტის შესახებ ზედმეტად გვეჩვენება, რადგან მისი შინაარსი ის არის, რომ არ გააბათილდეს განაცხადებული ობიექტის სიახლე და არ მოისპოს პატენ-

ტის მიღების შესაძლებლობა. ამასვე ემსახურება ძელავათიანი პერიოდის დადგენა საპატენტო კანონის მე-15 მუხლის თანახმად, რომელიც ვრცელდება და ფარავს საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობის დადგენილ ვადებს.

რა სახის გამოფენაა ესა თუ ის გამოფენა, წყვეტს შესაბამისი ქვეყნის სასამართლო, ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო. გამოფენების განმარტება მოყვანილია კონვენციაში საერთაშორისო გამოფენების შესახებ, რომელიც დაიდო პარიზში 1928 წლის 22 ნოემბერს. გამოფენა ოფიციალურია, თუ ის მონყობილია სახელმწიფოს ან საჯარო ხელისუფლების სხვა ორგანოს მიერ. გამოფენა ოფიციალურადაა მიჩნეული თუ იგი ასეთად მიიჩნია სახელმწიფომ ან საჯარო ხელისუფლების სხვა ორგანომ. გარდა ამისა, დროებითი დაცვის უფლებით სარგებლობისთვის გამოფენა საერთაშორისო უნდა იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი განმარტებების განუსაზღვრელობის გამო, ზოგიერთი ქვეყანა ატყობინებს საერთაშორისო ბიუროს იმ გამოფენების დასახელებას, რომლებზედაც სურს გაავრცელოს დროებითი დაცვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პარიზის კონვენცია ეხება აგრეთვე სამრეწველო საკუთრების ისეთი ობიექტების დაცვის საკითხებს, როგორცაა სასაქონლო და მომსახურების ნიშნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა და სხვა, რომელთა კონკრეტული განხილვა ამ ნიშნში მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

პატენტებისა და ნიშნების დამოუკიდებლობა

პატენტებისათვის ეს პრინციპი გადმოცემულია კონვენციის მე-4ბის მუხლში, ნიშნებისათვის კი მეექვსე მუხლში. დანესებულია, რომ უფლებების გაფორმებისას და დამცავი დოკუმენტების ძალაში შენარჩუნებისას გამოიყენება მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა, ანუ მოქმედებს ეროვნული რეჟიმი. არც პატენტის და არც ნიშნის ბედი არ არის დამოკიდებული სხვა ქვეყანაში ამავე გამოგონებაზე, პატენტის გაცემა არ გაცემის ან ნიშნის რეგისტრაციის საკითხის გადანყვეტაზე. თუ ერთმა ქვეყანამ უარი თქვა პატენტის გაცემაზე, ან ნიშნის რეგისტრაციაზე, ეს არ ავალდებულებს სხვა მონაწილე ქვეყანას იგივე გადანყვეტილება გამოიტანოს. ამდენად, სხვადასხვა ქვეყანაში ერთ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე გაცემული პატენტები ისევე, როგორც რეგისტრირებული ნიშნები, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელია. კონვენცია აკონკრეტებს, რომ პატენტს, რომელიც გაცემა საკონვენციო განაცხადის საფუძველზე, მოქმედების ვადა უნდა აეთვალოს ისე, რომ საკონვენციო პრიორიტეტის თარიღი არ იქნეს მიღებული მხედველობაში.

პრიორიტეტის მოთხოვნისათვის უნდა შესრულდეს კონვენციის მონაწილე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით დაწესებული ფორმალური მოთხოვნები. აუცილებელ მოთხოვნათა რიცხვს განეკუთვნება განმცხადებლის ვალდებულება მიუთითოს პირველი განაცხადის წარდგენის თარიღი და ქვეყანა. აგრეთვე, დასაშვებია მოთხოვნილ იქნეს პირველი განაცხადის ნომრის ჩვენება, როგორც აუცილებელი პირობა. გარდა ამისა, ეროვნულმა კანონმდებლობამ შეიძლება დააწესოს პირველი განაცხადის ასლის (დამონმებული შესაბამისი ქვეყნის უწყების მიერ) და მისი თარგმანის წარდგენის აუცილებლობა. ამ ასლის წარდგენისათვის არ შეიძლება დაწესდეს ლეგალიზაცია, ხოლო წარდგენის ვადა არ უნდა იყოს მთვეზე ნაკლები პრიორიტეტის მოთხოვნის სურვილით განაცხადის მიწოდების დღიდან.

აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტის უფლებაზე უარის თქმა ვერ გამოიწვევს სასაქონლო, ან მომსახურების ნიშნის რეგისტრაციის უარყოფას, აგრეთვე, პატენტის გაცემაზე უარის თქმას.

იმ ქვეყნებისათვის, სადაც პატენტი მოქმედებს ეროვნული კანონმდებლობით, საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანიდან პატენტის მოქმედების ვადა უნდა აითვალოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესით. მაგალითად, საქართველოში ასეთი პატენტი (ისევე როგორც არასაკონვენციო) იმოქმედებს "საქპატენტში" განაცხადის მიწოდების დღიდან (მიუხედავად საკონვენციო პრიორიტეტისა, რომელიც უფრო ადრინდელი თარიღი იქნება).

ასეთივე წესი ვრცელდება სასაქონლო ნიშნებზე.

აგრეთვე, არ შეიძლება გაბათილდეს პატენტი ან ნიშნის რეგისტრაცია სხვა ქვეყანაში გაბათილების გამო.

გამომგონებლის უფლება სახელის მოხსენიებაზე

კონვენციის მე-4^ლ მუხლი ეხება კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს და აწესრიგებს გამომგონების, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშების ავტორების პირადი არაქონებრივი უფლების დაცვის პრობლემას. გამომგონებლის ეს უფლება კონვენციაში დაფიქსირდა ლონდონის 1934 წლის კონფერენციაზე. გამომგონებელს შეუძლია მოითხოვოს მისი სახელის მითითება პატენტში. ამ უფლების განხორციელება მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც პატენტი სხვა პირზე გაიცემა, რაზედაც გამომგონებლის თანხმობა არსებობს. მოცემული წესი ეფუძნება ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, რომლის მიხედვითაც პირადი არაქონებრივი უფლებები, კერძოდ, ავტორობისა და სახელის უფლება, განუსხვისებელი უფლებებია და ქონებრივი უფლებების გადაცემა პირადი არაქონებრივი უფლებების გადა-

ცემას ვერ გამოიწვევს. გამომგონებლის მორალური უფლებების დაცვის მოცემული ნორმა პარიზის კონვენციას ჰარმონიულს ხდის ბერნის კონვენციასთან და ხაზს უსვამს ავტორობის უფლების ერთიან ბუნებას განურჩევლად იმისა, ავტორი გამომგონებელია, თუ მწერალი ან კომპოზიტორი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, გამომგონებელს უფლება აქვს მოითხოვოს სახელთან დაკავშირებული ყველა უფლების გამოყენება. ჩვენი აზრით, პარიზის კონვენციის მოცემული ნორმა გამომგონებლის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველია.

გარდა აღნიშნულისა, ბერნის კონვენციის მსგავსად, პარიზის კონვენცია უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ გამომგონებელი ანონიმად დარჩეს, რაც მხოლოდ მის სურვილზეა დამოკიდებული. ბერნის კონვენციისაგან განსხვავებით, ანონიმად დარჩენა საპატენტო ქონებრივი უფლებების დაცვის ვადებსა და მათ ათვლაზე გავლენას ვერ იქონიებს.

იძულებითი ლიცენზია

შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს ეკუთვნის უფლება, რომლის არსი ის გახლავთ, რომ თუ პატენტი არ გამოიყენება, ან არასაკმარისად გამოიყენება, დაანესოს იძულებითი ლიცენზიის გაცემის რეჟიმი. საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად იძულებითი ლიცენზია შეიძლება მოთხოვნილ იქნეს აგრეთვე ისეთი პატენტის მფლობელის მიერ, რომელმაც თავისი გამოგონების გამოყენებით შეიძლება დაარღვიოს სხვა პატენტიდან გამომდინარე უფლებები. ეს წესი არ ენააღმდეგება პარიზის კონვენციას და იმავდროულად თანხმობაშია საპატენტო დაცვის თანამედროვე ტენდენციებთან. ამ უფლების განხორციელება შეიძლება მხოლოდ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ – განაცხადის მიწოდებიდან არაუადრეს 4 წლისა, ან პატენტის გაცემიდან – 3 წლისა. ამასთან, პატენტმფლობელს უნდა მიეცეს გონივრული გასამრჯელო. ასეთი წესით გაცემული იძულებითი ლიცენზია არ შეიძლება იყოს განსაკუთრებული. დაუშვებელია ლიცენზიატის მიერ მისი გადაცემა ან სუბლიცენზიის გაცემა. კონვენციის მე-5(4) მუხლი გამონაკლისს ანებს. იძულებითი ლიცენზია შეიძლება იქნეს გადაცემული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაცემა ხდება სანარმოსთან, ან გუდვილთან ერთად. გვინდა აღვნიშნოთ, რომ პარიზის კონვენციის რუსული ოფიციალური ტექსტის მე-5(4) მუხლის ბოლო ოთხი სტრიქონი საპირისპიროდ იკითხება, ამასთან მასში, საერთოდ არ არის მოხსენიებული გუდვილი. ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ეს საკითხი და აღმოჩნდა, რომ ორიგინალში (ფრანგული ტექსტი) და ინგლისურ ოფიციალურ ტექსტში გუდვილი აუცილებლად ფიგურირებს. თუ საქართველოში მოსამართლეს საკითხის განსჯა, მოუხდება პარიზის კონვენციის მოცემული მუხლის გამოყენებით, მაშინ ის

არ უნდა დაეყრდნოს რუსულ ოფიციალურ ტექსტს, რადგან ის მცდარია. უმჯობესია გამოყენებულ იქნეს ან ამ ნიგნში წარმოდგენილი კონვენციის ქართული თარგმანი (სანამ ოფიციალური ქართული თარგმანი არ არსებობს), ან ფრანგული, ან ინგლისური ტექსტი.

საპატენტო უფლებების გაუვრცელებლობა საერთაშორისო ტრანსპორტზე

თუ გამოგონების გამოყენება აუცილებელი გახდა მაშინ, როდესაც სატრანსპორტო საშუალება დროებით იმყოფება ან ტრანზიტით გადააქვს მოცემულ ქვეყანაში დაპატენტებული პროდუქცია, პატენტმფლობლისაგან რაიმე წინასწარი ნებართვის ან ლიცენზიის აღება საჭირო არ არის.

ნიშნის გამოყენება

სასაქონლო ნიშნების აუცილებელ გამოყენებას, გამოყენების ფორმასა და თანამფლობელთა მიერ გამოყენებას ეხება კონვენციის მეხუთე მუხლი. ამ მუხლის დებულებების მისადაგება მომსახურების ნიშნებისათვის საეკლდებულო არ არის მონაწილე ქვეყნებისათვის და მხოლოდ მათ ეროვნულ კანონმდებლობაზე დამოკიდებული.

ნიშნის აუცილებელი გამოყენების მოთხოვნას კონვენცია არ შეიცავს, მაგრამ მოითხოვს, რომ თუ ეროვნული კანონმდებლობა ამას ანებს, მაშინ მფლობელს უნდა მიეცეს გონივრული დროის პერიოდი და საშუალებანი. ამ პერიოდის გასვლამდე, ნიშნის რეგისტრაცია ვერ გაუქმდება. ამასთან, ნიშნის გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც მფლობელი ვერ მოიტანს პატივსადავს არგუმენტებს უმოქმედებასთან დაკავშირებით. საპატიო მიზეზია, მაგალითად, ნიშნის გამოყენებლობა ქვეყანაში შესაბამისი საქონლის წარმოების ან იმპორტირების აკრძალვის გამო.

მოცემული მუხლი უშვებს, რომ მფლობელმა გამოიყენოს რეგისტრირებული საგანი უმნიშვნელოდ განსხვავებული საკუთარი ნიშანი. განსხვავებებმა არ უნდა გამოიწვიოს ნიშნის დამახასიათებელი ორიგინალურობის ცვლილება, რათა არ გახდეს მისი რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი.

დაშვებულია თანამფლობელთა მიერ ერთი და იგივე ნიშნის ერთსა და იმავე საქონელზე (ან მსგავს საქონელზე) ერთდროული გამოყენება. ასეთი გამოყენება ნიშნის რეგისტრაციას ვერ დააბრკოლებს.

ნიშნის ერთდროული გამოყენება აკრძალულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს შეცდომაში შემყვანია ან საზოგადოებრივ ინტერესებს ეწინააღმდეგება. როგორც მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, ლიცენზი-

ატსა და ნიშნის მფლობელს ნიშნის ერთდროულად გამოყენების უფლება არა აქვთ. ეს უფლება მხოლოდ ნიშნის თანამფლობელებზე ვრცელდება. ნიშნების რეგისტრაცია დამოკიდებული არ არის იმაზე, დაიტანს მფლობელი საქონელზე რაიმე ინფორმაციას ნიშნის შესახებ (მაგალითად "რეგისტრირებული" ან "განაცხადი წარდგენილია და განიხილება უწყების მიერ"), თუ არა. ეროვნულმა კანონებმა შეიძლება გაითვალისწინოს სხვა შედეგები ნიშნის შესახებ ინფორმაციის არ მითითებისა, მაგალითად, დაანესონ, რომ ზიანის ანაზღაურება შეიძლება იყოს დამოკიდებული აღნიშნულ ფაქტზე.

ნიშნების რეგისტრაციის ძალაში შენარჩუნებისათვის დანესებული საფასურების გადასახდელად გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ ნ-თვიანი საშელავათო პერიოდი. ითვლება, რომ ამ პერიოდში უფლება ნიშანზე მოქმედებს დროებით. ამავე მუხლში პატენტების აღდგენის შესაძლებლობა დაშვებულია უფლებათა დაკარგვის შემდეგ, რაც არ ვრცელდება სასაქონლო ნიშნებზე.

საყოველთაოდ ცნობილი ნიშნები

კონვენციის 6ბის მუხლი ავალებს მონაწილე ქვეყნებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვას. ქვეყნებმა უნდა უარყონ განაცხადი, გააბათილონ რეგისტრაცია და აკრძალონ ისეთი ნიშნის გამოყენება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს აღრევა ამ ქვეყანაში მოქმედ საყოველთაოდ ცნობილ ნიშანთან. კონვენციის ამ დებულების შინაარსი ის არის, რომ საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი რეგისტრაციის გარეშეც უნდა იყოს დაცული. საყოველთაოდ ცნობილ ნიშანს შესაბამისად მაღალი რეპუტაციაც გააჩნია და ამიტომ არის აუცილებელი მასზე გამორჩეული დაცვის რეჟიმის გავრცელება. ამ დებულების მართებულობა იმითაც დასტურდება, რომ თუ მოხდება ცნობილი ნიშნის მსგავსი ან იდენტური ნიშნის რეგისტრაცია ან გამოყენება, მაშინ ცხადია იქნება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი, რაც ფრიად მავნე იქნება თავად საზოგადოებისათვის. მაგალითად, ლალიძის წყლების აღმნიშვნელი ნიშანი რომ სხვამ გამოიყენოს, უდავო იქნება ზიანი როგორც მესაკუთრისთვის, ასევე საზოგადოებისათვის, თუნდაც იმიტომ, რომ წყლის ხარისხი სრულიად სხვა იქნება.

ცნობილია თუ არა, ესა თუ ის ნიშანი ქვეყანაში, წყვეტს შესაბამისი სასამართლო ან კომპეტენტური სხვა ორგანო, მაგალითად, საქართველოს საპატენტო უწყება. აუცილებელი არ არის მოცემულ ქვეყანაში ცნობილი ნიშნით მარკირებული საქონლით ინტენსიური ვაჭრობა ფაქტი იყოს. ნიშანი შეიძლება ცნობილი გახდეს ამ ქვეყანაში რეკლამის განევის

ხარჯზე ან სხვა ქვეყანაში გაჩაღებული სარეკლამო კომპანიის მეშვეობით. მაგალითად, საქართველოში არც თუ ისე დიდი ხნის წინათ კოკა-კოლას სასმელები არ იყიდებოდა, მაგრამ ნიშანი საყოველთაოდ იყო ცნობილი, ალბათ, უკვე 60-იანი წლებიდან.

თუ მოხდა ცნობილი ნიშნის იდენტიური, ან მსგავსი ნიშნის რეგისტრაცია, მაშინ უნდა დადგინდეს არანაკლებ ხუთწლიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც ცნობილი ნიშნის მფლობელს უფლება აქვს მოითხოვოს სადავო რეგისტრაციის გაუქმება. ეს პირობა არ არის საჭირო, თუ რეგისტრაცია მოტყუების გზით იქნა განხორციელებული, მაშინ შედავების ვადა განუსაზღვრელია.

სახელმწიფო გერბის, კონტროლის ოფიციალური დამლისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ემბლემის ნიშნებში გამოყენების აკრძალვა

პარიზის კონვენცია მუხლით 6-ტერ კრძალავს სახელმწიფო გერბის, კონტროლის ოფიციალური დამლის ან საერთაშორისო ორგანიზაციათა ემბლემის რეგისტრაციას, ან ავალებს ქვეყნებს რეგისტრაცია ცნონ ბათილად, ან აკრძალონ მათი გამოყენება სასაქონლო ნიშნად, ან მის ნაწილად. ეს ქმედება აკრძალულია, თუ არ არსებობს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის ნებართვა.

თუ არსებობს შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ნებართვა ამ სახელმწიფო სიმბოლიკის გამოყენებაზე, მაშინ კონვენციის ეს დებულება არ გამოიყენება. ანალოგიური სიტუაციაა საერთაშორისო ორგანიზაციების ემბლემების მიმართაც.

პარიზის კონვენცია კრძალავს აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციების სრული ან შემოკლებული სახელწოდების გამოყენებას. ეს პირობა ვრცელდება იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ, რომელთა მონაწილე კავშირის ერთი სახელმწიფო მაინც არის. მაგალითად, ასეთებს განეკუთვნება "WIPO", "UNESCO", "NATO" და სხვა.

აღსანიშნავია, რომ, თუ შესაბამისი ქვეყნის სიმბოლიკის გამოყენების ნებართვა არსებობს, მაშინ მათი გამოყენება ვერ აიკრძალება სხვა სახელმწიფოს სიმბოლიკასთან მსგავსების ან იდენტურობის გამო. მაგალითად, საქართველოს მოქალაქეს, თუ მას შესაბამისი ნებართვა გააჩნია, ვერ აუკრძალავენ აშშ-ს ტერიტორიაზე სიტყვა "GEORGIA"-ს გამოყენებას.

პარიზის კონვენციის ამ დებულების ეფექტურობის გაზრდის თვალსაზრისით შემოღებულია პროცედურა, რომლის თანახმადაც მონაწილე ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სიმბოლიკა ეგზავნება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო

სო ბიუროს, რომელიც მათ გამოსახულებას ავრცელებს პარიზის კავშირის ქვეყნებს შორის. სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა, სხვადასხვა მიზეზებით, ჯერ საერთაშორისო ბიუროში გაგზავნილი არ არის.

ნიშნის გადაცემა

პარიზის კონვენციის მე-6^{quater} მუხლი ადგენს, რომ, თუ ქვეყანაში ნიშნის გადაცემა დაკავშირებულია სამრეწველო ან სავაჭრო სანარმოს ერთდროულად გადაცემასთან, მაშინ საკმარისია მოცემულ ქვეყანაში განლაგებული სანარმოს ან გუდვილის გადაცემა. ადრე აღნიშნული ნიშნების დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, მფლობელი არ არის ვალდებული ნიშნის გადაცემასთან ერთად გადასცეს სხვა ქვეყანაში განლაგებული მისი სანარმოს ნაწილი. ანუ, ერთ ქვეყანაში ნიშნის ან სანარმოს (ან მისი ნაწილის) გადაცემა არ იწვევს ასეთი ქმედების განხორციელების ვალდებულებას სხვა ქვეყანაში. ეს დებულება ვრცელდება იმ ქვეყნებზე, რომელთა კანონმდებლობა ავალებს ნიშნის მფლობელს ერთდროულად გადასცეს სასაქონლო ნიშანი და სანარმო.

ქვეყნები არ არიან ვალდებულნი გაავრცელონ აღნიშნული პრინციპი მომსახურების ნიშნებზე, მაგრამ არც აკრძალულია, თუ ამას ეროვნული კანონი გაითვალისწინებს.

საქართველოს კანონმდებლობით ნიშნის გადაცემასთან ერთად არ მოითხოვება სანარმოს ან მისი ნაწილის გადაცემა.

უნდა აღინიშნოს, რომ პარიზის კონვენციის განხილული ნორმა უკვე მოძველდა, რადგან დღევანდელი საერთაშორისო ხელშეკრულებები მიმართულია იქით, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემა არ იყოს დამოკიდებული სანარმოს გადაცემაზე.

პარიზის კონვენციის ნევრ ქვეყნებს უფლება აქვთ არ ცნონ ნამდვილად სანარმოსთან ერთად ნიშნის გადაცემა, თუ სასაქონლო ნიშნის გამოყენება ახალი მფლობელის მიერ იწვევს, ან შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, მაგალითად, ნანარმის თვისებების შესახებ. ასეთი ვითარება შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ნიშანი გადაეცემა საქონლის რალაც გარკვეულ ნაწილზე, რის გამოც წარმოიშობა სიტუაცია, როდესაც ნიშანს ერთდროულად იყენებს ძველი და ახალი მფლობელი. მიუხედავად იმისა, რომ ნიშანი გამოიყენება განსხვავებული ნანარმისათვის, მომხმარებელმა საქონლის ხარისხი უნებლიედ შეიძლება ისევ ძველ მფლობელს დაუკავშიროს. თუ ძველი მფლობელის საქონელი მაღალი ხარისხით ხასიათდება, ხოლო ახალი მფლობელის ნანარმის ხარისხი ჯერ კიდევ არ არის მისი დონისა, მაშინ, გასაგებია, მყიდველი შეიძლება მოტყუდეს.

ტელ-კელი (TELLE QUELLE)

პარიზის კონვენციის მე-ჩქუინქუეის მუხლი ნიშნის მფლობელის სასარგებლოდ ითვალისწინებს კიდევ ერთ საშელავათო პირობას, რომელიც ეხება უკვე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს. როდესაც სხვა ქვეყანაში მოითხოვება ისეთი ნიშნი რეგისტრაცია, რომელიც საკუთარ ქვეყანაში უკვე რეგისტრირებულია, მაშინ, თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილ მასალებში ნიშანმა ცვლილება არ განიცადა, იგი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში კონვენციის ამ დებულების თანახმად. ეს დებულება ძალაშია მაშინაც, როცა ეროვნული კანონმდებლობით ამგვარი ნიშნის დაცვა გათვალისწინებული არ არის. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ციფრობრივი ნიშნების რეგისტრაციას, მაგრამ იძულებული იყო ამ დებულების თანახმად, რომელიც ნიშნის უცვლელობას ითვალისწინებს და "ტელ-კელის" პრინციპად არის ცნობილი, რეგისტრაციაში გაეტარებინა ციფრებისაგან შემდგარი ნიშანი ასევე, საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია რეგისტრაცია ისეთი ნიშნებისა, რომლებიც მიუთითებენ საქონლის წარმოების ან გასაღების ადგილზე. ასეთი აღნიშვნა შეიძლება იყოს მხოლოდ გეოგრაფიული დასახელება. მიუხედავად ამ აკრძალვისა, "საქპატენტში" "ტელ-კელის" პრინციპის გაელენით ხდება ზოგიერთი ასეთი ნიშნის რეგისტრაცია, მაგალითად, რეგისტრაციაში გატარდა "ნიუპორტი", "ნევადა" და სხვა.

ეს პრინციპი ვერ გავრცელდება ისეთ ნიშანზე, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით სასაქონლო ნიშნად ვერ განიხილება. მაგალითად, თუ სამგანზომილებიანი ობიექტი ან ბგერითი აღნიშვნა სასაქონლო ნიშნად არ მიიჩნევა, მაშინ ქვეყანა ვალდებული არ არის დაემორჩილოს ტელ-კელის პრინციპს. ეს პრინციპი ასევე ვერ გავრცელდება ისეთ ნიშანზე, რომელიც არ აკმაყოფილებს განმასხვავებელუნარიანობის კრიტერიუმს. გარდა ამისა, უარი ეთქმევა ისეთ ნიშანსაც (დაცვის თაობაზე), რომელიც ეწინააღმდეგება მოცემული ქვეყნის მორალს, ან საზოგადოებრივ წესრიგს. ნიშანი დაცვას არ ექვემდებარება მაშინაც, თუ იგი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განევის მიზეზი ხდება. გარდა აღნიშნულისა, ამ პრინციპის პირობით ნიშანი დაცვას არ დაექვემდებარება, თუ მისი გამოყენება არღვევს სხვა პირის უფლებებს სასაქონლო ნიშანზე ან სხვა უფლებებს, მაგალითად, საფირმო სახელწოდებაზე ან საავტორო უფლებებს.

ტელ-კელის პრინციპით ვერ ისარგებლებს პირი, რომლის ნიშანი არ არის რეგისტრირებული წარმოშობის ქვეყანაში. ეს იმას ნიშნავს, რომ პირი, რომელსაც განსაკუთრებული უფლება მოპოვებული აქვს წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ ნიშანი არ არის ამ ქვეყანაში რეგისტრირებული, სხვა ქვეყანაში განსაკუთრებული უფლებების მოსაპოვებლად პარიზის კონვენციის ამ პრინციპს ვერ დაეყრდნობა.

მფლობელის ნებართვის გარეშე ნიშნის რეგისტრაცია აგენტის მიერ

კონვენციის მუხლი ნსეპტიეს ადგენს, რომ, თუ ნიშნის მფლობელის აგენტმა, ან სხვა მისმა წარმომადგენელმა მიაწოდა განაცხადი ნიშნის რეგისტრაციაზე, ან გაატარა რეგისტრაციაში ნიშანი თავის სახელზე, მფლობელის თანხმობის გარეშე, მაშინ ნიშნის მფლობელს უფლება აქვს წინ აღუდგეს რეგისტრაციას, ან მოითხოვოს რეგისტრაციის გაბათილება. მფლობელს ასევე უფლება აქვს შეენიშნა დამდგომს ნიშნის უნებართვო გამოყენებას. ამასთან, ნიშნის მფლობელს უნდა დაუდგინდეს გარკვეული დრო აღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად. კონვენცია ნიშნის მფლობელად თვლის ნებისმიერ პირს, რომელსაც მოპოვებული აქვს განსაკუთრებული უფლება კონვენციის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის იმ ქვეყანაში, სადაც აგენტმა, ან წარმომადგენელმა მიაწოდეს განაცხადი, ან უკვე მოასწრეს რეგისტრაცია. აღნიშნული ვითარება გამორიცხული არ არის, რადგან რიგი ქვეყნებისა არ ატარებს ექსპერტიზას ფარდობით საფუძველზე დაყრდნობით და ნიშანს არეგისტრირებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის შემდეგ.

დასაშვებია აგრეთვე, რომ ნიშნის მფლობელმა მოითხოვოს აგენტის, ან წარმომადგენლის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი, ან რეგისტრირებული ნიშნის თავის სახელზე რეგისტრაცია.

საქონლის ნაირსახეობა, რომლისთვისაც გამოიყენება ნიშანი

საქონლის სახეობას ნიშნის რეგისტრაციაზე გავლენა არ უნდა ჰქონდეს, ასეთია კონვენციის კიდევ ერთი საეკონომიკური დებულების შინაარსი, რომელიც მოცემულია მის მეშვიდე მუხლში. არა აქვს მნიშვნელობა დაშვებულია თუ არა მოცემულ ქვეყანაში რომელიმე საქონლით ვაჭრობა. ასევე, თუ საქონელი ისეთი ხარისხისაა, რომ ვერ პასუხობს უსაფრთხოების დაცვის პირობებს, ნიშანი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში საქონელზე ვაჭრობის გაცემის ნებართვისაგან დამოუკიდებლად. მაგალითად, თუ ქვეყანაში აკრძალულია იარაღით ან ძვირფასი ლითონებით ვაჭრობა, ამ საქონლის მიმართ სასაქონლო ნიშანს დაცვა მაინც უნდა მიეცეს და გატარდეს რეგისტრაციაში. დროთა განმავლობაში სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს და დაიშვას ასეთი საქონლით ვაჭრობა, მაშინ ნიშნის მფლობელის უფლებები უკვე მოპოვებული იქნება და იგი არ დაზარალდება, რაც მოხდებოდა, თუ ნიშანი რეგისტრაციაში არ გატარდებოდა.

პროდუქციის დაყადაღება

პარიზის კონვენცია მასში მონაწილე ქვეყნებისაგან ითხოვს, რომ არ იქნეს დაშვებული ქვეყანაში ისეთი საქონლით ვაჭრობა, რომელზეც არა-

კანონიერად გამოიყენება სასაქონლო ნიშანი, ან საფირმო სახელწოდება. მე-9 მუხლის თანახმად, ყოველი ასეთი საქონელი უნდა იქნეს დაყადაღებული ქვეყანაში შეტანისას. თუ ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ასეთ სანქციას, მაშინ ქვეყანამ უნდა აკრძალოს ასეთი საქონლის შეტანა, ან გაითვალისწინოს საქონლის ქვეყნის შიგნით დაყადაღება. ტრანზიტით გამავალი საქონელი ასეთ სანქციებს შეიძლება არ დაექვემდებაროს.

ამ მუხლით მოცემული სანქციების გატარება მოითხოვება ეროვნული რეჟიმის შესაბამისად.

კონვენციის დანარჩენი დებულებები ეხება პარიზის კავშირის ადმინისტრაციული ორგანოების დაფუძნებასა და ფუნქციონირებას, ქვეყნების მიერთებას, ფინანსებს და ა.შ., რომელთა დანერგვითი განხილვა მიზნად არ დაგვისახავს. თუ მკითხველი დაინტერესდება აღნიშნული ნორმებით შეუძლია უშუალოდ გაეცნოს მათ ამ წიგნში მოყვანილი პარიზის კონვენციის ტექსტის ნაკითხვით.

3. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, შემდგომში ისმო, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაა, იგი 1974 წლიდან არის გაეროს სპეციალიზებული დანესებულება. კონვენციას, რომელმაც დააფუძნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, ხელი მოეწერა 1967 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1970 წ.

დასაბამი ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებას მიეცა 1883 წლის სამრენველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციით და 1886 წლის ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციით. ორივე კონვენცია ითვალისწინებდა საერთაშორისო სამდივნოების შექმნას, მათ ზედამხედველობას უწევდა შევიცარიის მთავრობა. თანამდებობრივი პირები, რომლებიც ახორციელებდნენ კონვენციების აღმინისტრაციულ ხელმძღვანელობას, იმყოფებოდნენ ბერნში. საქმიანობას ფაქტიურად ეწეოდა ორი სამსახური – ერთი სამრენველო საკუთრების, ხოლო მეორე საავტორო უფლებათა სფეროში. 1893 წელს ეს ორი სამსახური გაერთიანდა და ფუნქციონირებდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაერთიანებული საერთაშორისო ბიუროს სახელწოდებით. 1960 წელს ეს ბიურო გადავიდა ჟენევაში.

1967 წლიდან სტოკჰოლმში დიპლომატიურ კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ბიუროს ნაცვლად დაარსებულიყო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, შემოკლებით ისმო (ინგლისურად – WIPO, ფრაგულად და ესპანურად OMPI, რუსულად – ВОИС).

ყველა ადმინისტრაციული მუხლი, რომელიც გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ბიუროს ეგიდით დადებულ მრავალმხრივ ხელშეკრულებებში, ხელახლა იქნა მიღებული. მათი გადახედვა მოხდა იმის გამო, რომ ისმოს წევრ ქვეყნებს სურვილი ჰქონდათ ეს ორგანიზაცია ყოფილიყო სამთავრობათაშორისო, ან სამთავრობათაშორისო ორგანოთა ორგანიზაცია, და ამავე დროს, შევიცარიის მთავრობისგან დამოუკიდებელი. ქვეყნების სურვილით ისმო გახდა გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაცია 1974 წლის 17 დეკემბერს.

ისმოს ძირითადი მიზნებია:

- ხელი შეუწყოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას მსოფლიოში.
- ამისათვის მისი ხელმძღვანელობით იდება მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები სახელმწიფოთა შორის. ისმო ზრუნავს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაზე და, როდესაც მიზანშეწონილია, ამ თანამშრომლობაში მონაწილეობის მისაღებად ინვესტს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც კომპეტენტურნი არიან მოცემულ საკითხებში.

- უზრუნველყოს ადმინისტრაციული კოოპერირება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებულ საერთაშორისო თანამშრომლობის კავშირებს შორის.

არსებული საერთაშორისო შეთანხმებები იყოფა სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფს წარმოადგენს საერთაშორისო დაცვის დამფუძნებელი ხელშეკრულებები. ესენია სამრეწველო საკუთრების პარიზის კონვენცია; ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია; შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლების და მაუნყებლობის ორგანიზაციების დაცვის კონვენცია; ისმოს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ; მადრიდის ხელშეკრულება საქონელზე ცრუ და შეცდომაში შემყვანი აღნიშვნების მითითების აღკვეთის შესახებ; ლისაბონის შეთანხმება ადგილწარმოშობის დაცვის და რეგისტრირების შესახებ; ოლიმპიურ სიმბოლოთა დაცვის შესახებ ნაირობის ხელშეკრულება.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება ხელშეკრულებები, რომლებიც ხელს უწყობს საერთაშორისო დაცვას. ამ ჯგუფში შედის: ხელშეკრულება საპატენტო კოოპერაციის შესახებ; სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრირების შესახებ მადრიდის ხელშეკრულება; სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრირების მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლი; ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ; ლისაბონის ზემოაღნიშნული ხელშეკრულება (იგი მიეკუთვნება ორივე ჯგუფს); საპატენტო პროცედურისთვის მიკროორგანიზმების დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ ბუდაპეშტის ხელშეკრულება; სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის ხელშეკრულება.

მესამე ჯგუფში შედის ხელშეკრულებები, რომლებიც ადგენს საკლასიფიკაციო სისტემებს და მათი გაუმჯობესებისა და განახლების პროცედურებს. ესენია: საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შესახებ სტრასბურგის ხელშეკრულება; სასაქონლო ნიშნების და მომსახურების რეგისტრაციისთვის საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის ხელშეკრულება; სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციის დაფუძნების შესახებ ვენის შეთანხმება; სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაფუძნების შესახებ ლოკარნოს ხელშეკრულება.

ისმო დახმარებას უწევს ქვეყნებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის ამაღლებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო თანამშრომლობაში. ეწევა კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმიანობას, იძლევა იურიდიულ კონსულტაციებს და დახმარებას უწევს ქვეყნებს კანონების შემოღებისას, ან მათი განახლებისას, ქვეყნების თხოვნით ქმნის, ან ეხმარება

სამრეწველო საკუთრების დაცვის უწყებების გაძლიერებას, ხელს უწყობს საინოვაციო და საგამომგონებლო საქმიანობას, ხელმისაწვდომს ხდის სა-
პატენტო დოკუმენტებში არსებულ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცი-
ის გამოყენებას.

ამ კონვენციამ დაამკვიდრა ცნება “ინტელექტუალური საკუთრება” და განსაზღვრა მისი ფარგლები, ობიექტების შეუზღუდავი ჩამონათვლის მოცემით. ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს, რომლებ-
ბიც განეკუთვნება:

- ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ხასიათის ნაწარმოებებს,
- მსახიობთა საშემსრულებლო მოღვაწეობას, ხმის ჩანერას, რადიო და ტელე გადაცემებს,
- გამოგონებებს ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში,
- სამეცნიერო აღმოჩენებს,
- სამრეწველო ნიმუშებს,
- სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებსა და კომერციულ აღნიშვნებს,
- არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვას, აგრეთვე ყველა სხვა უფლებას, რომლებიც სამრეწველო, სამეცნიერო, ლიტერატურულ ან მხატვრულ სფეროში ინტელექტუალური საქმიანობის შედეგია”.

მოცემული ჩამონათვლის პირველი, მეორე და ბოლო პოზიციები განსაზღვრავს საავტორო სამართლის მოქმედების სფეროს, ხოლო დანარჩენი უმთავრესად სამრეწველო საკუთრების სამართალს ეკუთვნის.

ისმო იმართება შემდეგი ოთხი ორგანოს მიერ: გენერალური ასამბლეა, კონფერენცია, საკოორდინაციო საბჭო და ისმოს საერთაშორისო ბიურო (სამდივნო).

გენერალური ასამბლეა უზენაესი ორგანოა. იგი ნიშნავს გენერალურ დირექტორს და წყვეტს ყველა კარდინალურ საკითხს. ასამბლეაში მონაწილეობას იღებს ისმოს ყველა წევრი, ან რომელიმე კავშირში მონაწილე ქვეყნები.

კონფერენცია იძლევა რეკომენდაციებს ამა თუ იმ საკითხზე, ადგენს ორწლიან პროგრამებს განვითარებადი ქვეყნების დახმარებისთვის, ლეგულობს ბიუჯეტს. მის მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვს ისმოს ყველა წევრ ქვეყანას.

საკოორდინაციო საბჭო საკონსულტაციო ორგანოა. იგია აგრეთვე გენერალური ასამბლეისა და კონფერენციის აღმასრულებელი ორგანო.

ისმოს საერთაშორისო ბიურო, ანუ სამდივნო, წარმოადგენს ორგანოს, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და მის შემადგენლობაში არიან მუდმივი თანამშრომლები სხვადასხვა ქვეყნებიდან.

4. ისმოს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ

როგორც ვიცით ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია დრო და დრო გადაისინჯება ხოლმე, რათა მისი ძირითადი დებულებები და ნორმები არ ჩამორჩეს ცხოვრებას და მოუწესრიგებელი არ დარჩეს ისეთი სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებსაც წარმოშობს კაცობრიობის მიერ ახალი ტექნიკური ობიექტების შექმნა და გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. საავტორო უფლებათა დაცვის შემოღება მნიშვნელოვან წილად გამოიწვია სწორედ ტექნიკის განვითარებამ, ხოლო XX საუკუნე ხასიათდება ტექნიკის ახალი ობიექტების, შეიძლება ითქვას "მოულოდნელად სწრაფი" პრაქტიკული გამოყენებით, იმ ზომით, რომ მოსახლეობის ყოფის ნაწილი ხდება. ამ კუთხით განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს კომპიუტერების გამოჩენა, რასაც თან მოჰყვა კომპიუტერული ქმნილებების გავრცელება, კომპიუტერული მონაცემთა ბაზების (ელექტრონული მონაცემთა ბაზების) ფართო გამოყენება და საერთოდ ახალი საინფორმაციო სისტემებისა და ქსელების, მათ შორის გლობალური, მაგალითად ინტერნეტი, საყოფაცხოვრებო დონემდე დაყვანა. გარდა ამისა გამოყენება ჰპოვა ნაწარმოებების კვლავწარმოებისა და მოსახლეობამდე დაყვანის ახალ-ახალმა საშუალებებმა, მაგალითად ასლების გადამღები რეპროგრაფიული ტექნიკა, ვიდეოტექნიკა, კომპაქტ დისკები – CD, DVD და ა.შ., თანამგზავრული სამაუნჯებლო ტექნიკა, კაბელური ტელეტექნიკა. ცხადია, ტექნიკის ასეთი განვითარება დღის წესრიგში აყენებს საავტორო უფლებების დაცვის თავისებურებების გათვალისწინებას და საჭიროების შემთხვევაში ახალი ნორმების შემოღებას.

წარმოჩენილი პრობლემების ანალიზმა ცხადყო, რომ საავტორო უფლებათა ეფექტური საერთაშორისო დაცვა, რასაც ბერნის კონვენცია ისახავს მიზნად ვეღარ მიიღწევა და რომ საჭიროა ახალი პირობებისათვის ახალი ნორმების ამოქმედება. ისმო-ს ორი სპეციალისტთა ჯგუფი სწავლობდა ამ საკითხებს და შემუშავებულ იქნა წინადადება ბერნის კონვენციის დამატებით საავტორო უფლებათა შესახებ ახალი საერთაშორისო ხელშეკრულება მიღებულიყო.

1996 წელს გაიმართა დიპლომატიური კონვენცია, რომელზეც მიღებულ იქნა ახალი საერთაშორისო აქტი "ისმო-ს ხელშეკრულება საერთაშორისო უფლებების შესახებ" (შემდგომ ისმო-ს ხელშეკრულება). იგი ღიაა ხელმოწერისათვის 1997 წლის 31 დეკემბრიდან, მაგრამ ძალაში შესული ჯერ არ არის, რადგან საჭიროა, რომ 30-მა ქვეყანამ ჩააბაროს ისმო-ს გენერალურ დირექტორს რატიფიცირების ან მიერთების აქტი. საქართველომ მოახდინა რატიფიცირება 2001 წლის მაისში. უნდა ითქვას, რომ მი-

სი მიღება არ ენიანალმდევება ბერნის კონვენციას და დადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყნებს განსაკუთრებულ შემთხვევებში უფლება აქვთ დადონ სპეციალური ხელშეკრულებები ერთმანეთში, რომლებიც საავტორო უფლებების უფრო ფართო დაცვას ემსახურება. ისმო-ს ხელშეკრულება მიუთითებს, რომ იგი არ არის არანაირ კავშირში არც ერთ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან, გარდა ბერნის კონვენციისა. მას შეიძლება მიუერთდეს ისმო-ს ნეერი ან ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყანა. იგი შეიცავს მატერიალურ-სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართლებრივ ნორმებს. ჩვენ უფრო დანერვილებით განვიხილავთ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების მოკლე წარმოდგენით შემოვიფარგლებით, რომლებითაც (მე-15 – 24-ე მუხლები) გათვალისწინებულია ასამბლეის დაფუძნება, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა, ისმო-ს ორგანოებთან ურთიერთობა, ხელშეკრულებასთან მიერთებისა და მისი ამოქმედების წესი.

მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები

ისმო-ს ხელშეკრულება ეხება ორი სახის ნაწარმოებებს, რომლებიც უნდა მივიჩნიოთ ამ ხელშეკრულებით დაცვად ობიექტებად, ესენია – კომპიუტერული პროგრამა და მონაცემთა კომპილაცია, ანუ მონაცემთა ბაზა (ჩვენ შემდგომში ამ უკანასკნელთა გამაერთიანებელ ტერმინას "მონაცემთა კრებული" გამოვიყინებთ). ისმო-ს ხელშეკრულება მოიხსენიებს აგრეთვე კინემატოგრაფიულ და ფოტოგრაფიულ ნაწარმოებს. ახალი ობიექტები აგრძელებს ბერნის კონვენციის ნაწარმოებების ჩამონათვალს, რომელიც ამომწურავი არ არის. ეყრდნობა რა ბერნის კონვენციას ისმო-ს ხელშეკრულება თავის ობიექტებს დაცვას ანიჭებს ზემოთ აღნიშნული კონვენციის ყველა ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით *mutatis mutandis*. აქედან გამომდინარე კომპიუტერული პროგრამაც და მონაცემთა კრებულიც უნდა აკმაყოფილებდეს დაცვადი ნაწარმოების კრიტერიუმებს. კომპიუტერულ პროგრამასთან დაკავშირებით პირდაპირ არის ნათქვამი, რომ იგი დაცვას ექვემდებარება როგორც ლიტერატურული ნაწარმოები. მონაცემთა კრებულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ელექტრონული ქსელების გამოყენებამ ხელი შეუწყო სისტემურად ან უამისოდ, ელექტრონული ფორმითა და სივრცეში განლაგებული სხვადასხვა გვარი მონაცემების მზარდ გამოყენებას. მონაცემთა ასეთი კრულები ისმო-ს ხელშეკრულებით, ანუ საავტორო-სამართლებრივი ნორმებით დაცვადი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ინტელექტუალურ-შემოქმედებით ხასიათს ატარებს. მონაცემთა კრულები, რომლებიც ამ

მოთხოვნას არ აკმაყოფილებს სხვა კანონმდებლობით შეიძლება იქნეს დაცული.

ისმო-ს ხელშეკრულება აწესებს შემდეგ განსაკუთრებულ უფლებებს დაცვადი ობიექტების ავტორების სასარგებლოდ:

- გავრცელების;
- გაქირავების;
- საჯარო გადაცემის.

გავრცელების უფლება ისმო-ს ხელშეკრულებით განიმარტება ტერმინის "გავრცელება" ვინრო გაგებით და შეზღუდულია გაყიდვის ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემით. აქედან გამომდინარე განსაკუთრებული უფლება ვრცელდება მხოლოდ ავტორის მიერ გაყიდვის ან მფლობელობის სხვაგვარად გადაცემის გზით, ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის საზოგადოებისათვის მიწოდების ნებართვის გაცემით. ასეთი ფორმულირებით დაძლეულია ბერნის კონვენციის ხარვეზი, რომლითაც გათვალისწინებული ანალოგიური განსაკუთრებული უფლებები, მათ შორის მოსახლეობამდე დაყვანის (საზოგადოებისათვის მიწოდების) უფლება ვრცელდება მხოლოდ კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებზე. საზოგადოებისათვის მიწოდება შეიძლება განხორციელდეს როგორც ტრადიციული, მაგალითად ტელე ან რადიოსაკომუნიკაციო ხერხით ასევე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ანუ კომპიუტერული ქსელებით. დადგენილია ქვეყნების უფლება დაანესონ "უფლებათა ამონაწერის" პრინციპის შესაბამისი შემზღუდავი ნორმები ეროვნული კანონმდებლობით.

გაქირავების უფლება

ისმო-ს ხელშეკრულება სავალდებულოს ხდის კომპიუტერული პროგრამების, კინემატოგრაფიული ნაწარმოებების და ყველა იმ ნაწარმოების გამოყენებისათვის, რომლებიც ჩართულია ფონოგრამაში გათვალისწინებულ იქნეს გაქირავების განსაკუთრებული უფლება ავტორთა სასარგებლოდ. ამასთან, ამ უფლებით სარგებლობისათვის კომპიუტერული პროგრამა აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს გაქირავების ძირითად ობიექტს; კინემატოგრაფიული ნაწარმოებისათვის კი ცხადი უნდა იყოს, რომ გაქირავებას თან სდევს შეუზღუდავი რაოდენობით ასლების დამზადების შესაძლებლობა, რაც გამოიწვევს მატერიალურ ზიანს კვლავნარმოების უფლების განხორციელების შემთხვევაში.

გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ თუ ქვეყანა 1994 წლის 15 აპრილამდე უზრუნველყოფდა ფონოგრამაში ჩართული ნაწარმოებების ავტორების უფლებებს სხვა სახით, მაგალითად სამართლიანი გასამრჯელოს გაცემის გზით, მაშინ მას შეუძლია შეინარჩუნოს ასეთი წესი და არ გაითვალისწინოს გაქირავების უფლების დაწესება ასეთ ავტორთათვის.

საჯარო გადაცემის უფლება

ისმო-ს ხელშეკრულება ითვალისწინებს ავტორებისათვის საჯარო გადაცემის უფლების დანესებას, რომელიც უნდა განიმარტოს ფართო გაგებით. კერძოდ, ამ უფლებით მოიაზრება ნაწარმოების დაყვანა მოსახლეობამდე (საზოგადოებისათვის მიწოდება) სადენებიანი (მავთულიანი) ან უსადენო სამაუნწყებლო გადაცემის გზით, ისე, რომ ნებისმიერ პირს შეეძლოს აღიქვს ხმოვანი ან ხილული სახით იმ ადგილას, სადაც მას სურს და იმ დროს, როცა მას სურს. ასეთი ფორმულირებით გადალახულ იქნა ბერნის კონვენციის ხარვეზი და ახლა ამ უფლებით უეჭვოა, რომ მოცულია ელექტრონული სივრცით, კერძოდ ინტერნეტით, ნაწარმოების გადაცემის უფლება.

ფოტოგრაფიული ნაწარმოების დაცვის ხანგრძლივობა

ისმო-ს ხელშეკრულება ერთ შემთხვევაში უარს ამბობს ბერნის კონვენციის ნორმაზე. ფოტოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებით იგი ანებს, რომ არ უნდა იქნეს გამოყენებული ბერნის კონვენციის მე-7(4) მუხლი, რომელიც ადგენს ამ ნაწარმოებზე საავტორო უფლებათა მოქმედების ხანგრძლივობას. შესაბამისად, ამ უფლებათა მოქმედების მინიმალური ხანგრძლივობა გახდა 50 წელი, ნაცვლად 25-ისა.

შეზღუდვები და გამონაკლისები

ისმო-ს ხელშეკრულება ანებს ზოგიერთი შეზღუდვებისა და გამონაკლისების დადგენის შესაძლებლობას ეროვნული კანონმდებლობით. ეს დასაშვებია, თუ გამონაკლისები და შეზღუდვები არ აბრკოლებს ნაწარმოების გამოყენებას ჩვეულებრივი წესით; და უსაფუძვლოდ არ ეწინააღმდეგება ავტორთა სამართლებრივად განმტკიცებულ ინტერესებს. ამასთან, შეზღუდვებისა და გამონაკლისების ფარგლები არ უნდა გასცდეს ბერნის კონვენციით დადგენილს.

გარდა აღნიშნულისა ისმო-ს ხელშეკრულება ითვალისწინებს ქვეყნების ვალდებულებას გაატარონ ქმედითი ზომები ავტორთა ინტერესების დასაცავად ახალი ტექნოლოგიების გამოყენებიდან გამომდინარე შექმნილ ვითარებაში. კერძოდ, გათვალისწინებულია ვალდებულებები, რომლებიც ეხება ტექნიკურ ზომებს და ინფორმაციას უფლებათა მართვისათვის.

ტექნიკურ ზომებთან დაკავშირებული ვალდებულებანი

ქვეყნები ვალდებულია მიიღონ შესაბამისად დამაკმაყოფილებელი სამართლებრივი ღონისძიებები ავტორთა მიერ გამოყენებული ისეთი ტექნიკური ზომების გვერდის ავლის საწინააღმდეგოდ, რომლებიც ხელს უშლის ნაწარმოებების უნებართვო გამოყენებას (მაგალითად, კოდირება). გასაგებია, რომ ეს ვალდებულებანი უნდა აისახოს ეროვნულ კანონმდებლობაში, რაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ელექტრონულ სივრცეში ავტორთა უფლებების კომპლექსურ დაცვას.

უფლებათა მართვისათვის ინფორმაციასთან დაკავშირებული ვალდებულებანი

ისმო-ს ხელშეკრულებით ყურადღება გამახვილებულია ინფორმაციაზე, რომელიც საჭიროა ავტორთა უფლებების ეფექტური მართვისათვის. გასაგებია, რომ თუ არ იარსებებს ისეთი ინფორმაცია, რომელიც იძლევა ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის, ანდა თავად ნაწარმოების ამოცნობის შესაძლებლობას, მაშინ ძალზე გართულდება საავტორო უფლებათა გამოყენება და მართვა. ამიტომ ისმო-ს ხელშეკრულება ავალდებულებს ქვეყნებს გაითვალისწინონ და მიიღონ სამართლებრივი ზომები ასეთი ინფორმაციის განადგურების ან შეცვლის საწინააღმდეგოდ, გათვალისწინებულია ნაწარმოების მართლსაწინააღმდეგო გავრცელების აღკვეთა, მათ შორის იმპორტი, ეთერში გადაცემა ან მოსახლეობამდე სხვაგვარად დაყვანა, როცა ცნობილია, რომ ნაწარმოების ეგზემპლარებიდან მოსპობილია ან შეცვლილია უფლებათა მართვისათვის გათვალისწინებული ინფორმაცია.

ისმო-ს ხელშეკრულება საგანგებოდ ითვალისწინებს ნორმას, რომელიც ავალდებულებს ქვეყნებს მიიღონ სამართლებრივად საკმარისი ყველა ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ავტორთათვის დადგენილი უფლებების განხორციელება დაუბრკოლებრივ. საამისოდ ქვეყნებს დაეკისრა ეროვნული კანონებით შესაბამისი ნორმების გათვალისწინება, მათ შორის გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ.

ისმო-ს ხელშეკრულება დადებულია ინგლისურ, არაბულ, ჩინურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, რომელთა ტექსტების ძალაც სრულიად თანაბარია.

5. ისმოს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ

უენევაში, ისმოს შტაბ-ბინაში გამართულ 1996 წლის დეკემბრის დიპლომატიურ კონფერენციაზე ერთდროულად იქნა მიღებული ორი ახალი ხელშეკრულება. ერთი – საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება, გამიზნულია ციფრულ სივრცეში საავტორო უფლებების დაცვის საკითხის მოგვარებისკენ, რასაც ველარ უზრუნველყოფს ბერნის კონვენცია, ხოლო მეორე, იმავე მიზნით იქნა მიღებული და ემსახურება მომიჯნავე უფლებების დაცვის მოგვარებას იმ გარემოების გათვალისწინებით, რასაც ველარ უზრუნველყოფს რომის კონვენცია. აქედან გამომდინარე ისმო-ს ამ ორ ხელშეკრულებას ბევრი საერთო ნიშანი ახასიათებს და შესაბამისი საკითხების განხილვისას მასზე მითითებით შემოვიფარგლებით, რადგან ზემოთ წარმოვადგინეთ.

ეს ხელშეკრულება ასევე ღია ხელშეკრულებაა და მას შეუძლია მიუერთდეს ისმო-ს ნევრი და ევროპის გაერთიანებაში შემავალი ნებისმიერი ქვეყანა. მიერთებისა და ფუნქციონირების სხვა წესები ანალოგიურია საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულებისა. ასევე, ეს ხელშეკრულება ჯერ კიდევ ძალაში არ შესულა, რადგან მოითხოვება 30 ქვეყნის მიერ რატიფიცირების ან მიერთების საბუთების ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის ჩაბარება.

შემსრულებლებისა და ფონოგრამების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების (სიადვილისათვის შემდგომ "ხელშეკრულებად" მოვიხსენიებთ) განხილვისას კვლავ შემოვიფარგლებით მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების გაშუქებით.

ხელშეკრულება არ არის რაიმე სახით დამოკიდებული სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, გარდა ეროვნულ რეჟიმთან, შემსრულებლის უფლებებთან და დაცვის ვადებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც რომის კონვენციაზე არის მითითებული. იგი შეიცავს ტერმინთა განმარტებებს, რომელთაგანაც აღვნიშნავთ, რომ მე-2 მუხლის ე) პუნქტით ხელშეკრულების ქართული ტექსტი გვთავაზობს "გამოქვეყნების" განმარტებას, ხოლო აღნიშნული ნორმა დედნის მიხედვით ეხება "გამოცემას", რაზეც მეტყველებს ქართულად მოცემული თავად განმარტების შინაარსიც.

ხელშეკრულების დაცვის ობიექტებია შესრულება და მისი ჩანაწერი ფონოგრამის სახით, შესაბამისად მოცემულია ორი სუბიექტის შემსრულებლისა და ფონოგრამის დამაზადებლის უფლებები, რადგან მომიჯნავე უფლებების მთავარი (შემოქმედებითი ნვლილის გაღების თვალსაზრისით) სუბიექტის – შემსრულებლის უფლებები თითქმის ყოველთვის არის დაკავშირებული ხმოვანი ჩანაწერების დამზადებასთან და ფართო

გავრცელებასთან. უფლებების დაცვა ან განხორციელება არ არის დაკავშირებული არანაირ ფორმალობებთან.

შემსრულებლის უფლებები

ხელშეკრულება ეხება შემსრულებლის როგორც პირად არაქონებრივ (მორალურ) ისე ქონებრივ – განსაკუთრებულ უფლებებს.

მორალური უფლებები მინიჭებულია შემსრულებლად აღიარებისა და შესრულების ჩანაწერის დამახინჯების, ცვლილების ან სხვაგვარი ხელყოფის ფარგლებში. ეს უფლებები ბერნის კონვენციით ავტორებისათვის დადგენილი უფლებების ანალოგიურია.

განსაკუთრებული უფლებები ორი კატეგორიისაა – ცოცხალი და ჩანერილი შესრულებიდან გამომდინარე.

ცოცხალ შესრულებასთან დაკავშირებით შემსრულებელს ეკუთვნის საეთერო მაუწყებლობის (განმეორებითი გადაცემის გარდა), მოსახლეობამდე დაყვანის (საზოგადოებისათვის მიწოდების) და ჩანერის განსაკუთრებული უფლებები. საეთერო მაუწყებლობის³ და მოსახლეობამდე დაყვანის უფლებები საჯარო გადაცემის უფლებას წარმოადგენს, მაგრამ მეორე შემთხვევაში ელექტრონულ სივრცეში მოქმედების ფარგლები რომ გამოჩნდეს მას მოიხსენიებენ ტერმინით “მოსახლეობამდე დაყვანა, ანუ საზოგადოებისათვის მიწოდება” (“communication to the public” ნაცვლად “სადენების საშუალებით ან სხვა გზით გადაცემისა”). ითვლება, რომ ასეთი ტერმინის შინაარსი უნდა განიმარტოს ფართო გაგებით ისე, როგორც განმარტებულია ისმოს-ს ხელშეკრულებაში საავტორო უფლებების შესახებ. გამომდინარე აქედან, ამ უფლებით მოცულია შესრულების დაყვანა მოსახლეობამდე (საზოგადოებისათვის მიწოდება) სადენებიანი (მავეთულიანი) სამაუწყებლო გადაცემის ან სხვა გზით, გარდა საეთერო გადაცემისა, ისე, რომ ნებისმიერ პირს შეეძლოს აღიქვას ხმოვანი სახით იმ ადგილას, სადაც მას სურს და იმ დროს, როცა მას სურს.

ფონოგრამაზე ჩანერილ შესრულებასთან დაკავშირებით შემსრულებელს ეკუთვნის კვლავწარმოების (რეპროდუცირების), გავრცელების, გაქირავებისა და მოსახლეობამდე დაყვანის განსაკუთრებული უფლებები.

კვლავწარმოების უფლებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იგი განიმარტება ჩვეულებრივი გაგებით და მონაწილე ქვეყნები არ არიან ვალდებული დაანესონ უფლებათა ამონაწერის პრინციპიდან გამომდინარე რაიმე შეზღუდვები ან საერთოდ შემოიღონ რაიმე მომწესრიგებელი ნორმები. კვლავწარმოების უფლება ვრცელდება ციფრულ გარემოში კვლავწარმოებაზეც, მათ შორის, შესრულებისა და მისი ჩანაწერის (ფონოგრამის) ელექტრონულ სივრცეში უნებართვო განთავსება და/ან შე-

ნახვა წარმოადგენს კვლავწარმოების ერთ-ერთ ფორმას დიპლომატიურ კონფერენციაზე შეთანხმებული დებულებების გათვალისწინებით, ამ საკითხთან დაკავშირებით. იგივე ვითარებაა გასათვალისწინებელი ფონოგრამის დამამზადებელთა და ავტორთა ანალოგიური უფლების ფარგლების განსაზღვრისას.

გავრცელების უფლება იმ სიტყვებითა და მოცულობით არის მოცემული, როგორც საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულებით არის ეს გათვალისწინებული. ამიტომ განხილვას ალარ გავიმეორებთ. ორივე შემთხვევაში გამოყენებული ტერმინებით "ასლი" და "ორიგინალი" უნდა ითქვას იგულისხმება ნაწარმოების ან ჩანაწერის ეგზემპლარები ბრუნვაში ჩართული სხეულებრივი ფორმით. ეს განმარტება მართებულია აგრეთვე ფონოგრამის დამამზადებლის გავრცელების უფლების შესაბამისი ნორმისთვის.

გაქირავების უფლების დაწესება დასაშვებია ისე, როგორც ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე ლოგიკურია ის, რომ ქვეყნებს, რომლებიც სხვა გვარად ანესრიგებდნენ საკითხს 1994 წლამდე (TRIPS-ის მოთხოვნათა შესაბამისად) დარჩათ უფლება შეინარჩუნონ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესი. მაგალითად, საერთო სამართლის ქვეყნებს (აშშ, ინგლისი და სხვ.) შემსრულებლებისათვის ფონოგრამაზე ჩანერილ შესრულებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული უფლებები დაწესებული არა აქვთ და შესაბამისად არ არიან ვალდებული დაანესონ ისინი, მათ შორის გაქირავების განსაკუთრებული უფლება.

ხელშეკრულება ხაზგასმით ითვალისწინებს, ქვეყნების ვალდებულებას, რომ თუ გაქირავების უფლება დაწესებულია იგი არ უნდა ინურგობდეს შემსრულებლის მიერ ან მისი თანხმობით ფონოგრამის ეგზემპლარების გავრცელებასთან ერთად. გამოთქმულს ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ფონოგრამის დამამზადებლის ანალოგიური უფლების შესახებ ხელშეკრულების ნორმა არ შეიცავს მითითებას ეროვნულ კანონმდებლობაზე.

მოსახლეობამდე დაყვანის განსაკუთრებული უფლება იგივე სიტყვებით არის გადმოცემული, როგორც საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულებით. ამიტომ განხილვას ალარ გავიმეორებთ, ოღონდ აღვნიშნავთ, რომ ინგლისურ ტექსტში (დედანი) სიტყვები "communication to the public" შეცვლილია სიტყვებით "making available of phonograms", რაც იგივე მნიშვნელობისაა და უფრო მკაფიოდ ეთანადება ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ქართულ ტერმინს "მოსახლეობამდე დაყვანა" ან "საზოგადოებისათვის მიწოდება", ვიდრე "ჩანერილი შესრულების საჯარო გადაცემა", რომელიც მოცემულია ხელშეკრულების ქართულ ოფიციალურ თარგმანში. ამ უფლების მოცულობა ვრცელდება ნებისმიერ, მათ შორის

ელექტრონულ სივრცეში გავრცელებაზე. ელექტრონულ სივრცესთან დამოკიდებულება ზოგადი განმარტებითი მუხლიდანაც ვლინდება, სადაც მოცემულია მაუნყებლობის, ფონოგრამის, გავრცელების, ჩანაწერისა და მოსახლეობამდე დაყვანის განმარტებები, რომლებიდანაც ირკვევა, რომ ისინი შეიძლება შეიცავდეს ხმების ციფრულ გამოსახულებებს, რომლებიც აქამდე არ არსებობდა, მაგრამ არის წარმოქმნილი ელექტრონული საშუალებებით.

ელექტრონულ სივრცეში შემსრულებლის (იგივე ითქმის ფონოგრამის დამამზადებლების, აგრეთვე ავტორების შესახებ) განსაკუთრებული უფლებების ძალა ვრცელდება შესრულების (ნაწარმოების) ელექტრონულ გარემოში შენახვაზე, ელექტრონულ სივრცეში გადაგზავნაზე (გადანოდებაზე, გავრცელებაზე).

ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები

ხელშეკრულების ამ სუბიექტისათვის განსაზღვრულია მხოლოდ განსაკუთრებული უფლებები, რომლებიც ფონოგრამაზე დატანილი შესრულებიდან გამომდინარე შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებების მსგავსია *mutatis mutandis*. ფონოგრამის დამამზადებელს ეკუთვნის კვლავწარმოების (რეპროდუცირების), გავრცელების, გაქირავებისა და მოსახლეობამდე დაყვანის განსაკუთრებული უფლებები. შესაბამისად ამ უფლებათა დახასიათებას აღარ მივიჩნევთ მიზანშეწონილად.

ხელშეკრულებით დადგენილია შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლებისათვის ერთიანი გასამრჯელოს მიღების უფლების დადგენის შესაძლებლობა, ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც შეიძლება ცალ-ცალკე ან ერთობლივად იქნეს მოთხოვნილი. ამასთან, გასამრჯელოს ანაწილებენ თვითონ ამ უფლების სუბიექტები. ქვეყნებს შეუძლია დაადგინონ შეზღუდვები გასამრჯელოს მიმართ. მაგალითად, მიუხედავად იგი მხოლოდ რაიმე სახით გამოყენებას. ეს ნორმა რომის კონვენციით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმის ანალოგიურია. ამასთან, ეროვნული კანონმდებლობით ამ ნორმის დანესება სავალდებულო არ არის.

უფლებათა მოქმედების ხანგრძლივობა

შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებების მოქმედება დადგენილია არანაკლებ 50 წლით, შესრულების ფონოგრამაზე განმტკიცების (ჩანერის) თარიღიდან ათვლით, მოცემული წლის დასრულების დღიდან.

ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებების მოქმედება დადგენილია ასევე არანაკლებ 50 წლით, ოღონდ ამ ვადის ათვლა იწყება იმ წლის ბოლო დღიდან, როდესაც ფონოგრამა გამოიცა, ხოლო,

თუ გამოცემა არ მომხდარა, მაშინ ფონოგრამაზე შესრულების განმტკიცების დღიდან. ამასთან, ამ ნორმის გამოყენებისათვის ერთმანეთთან გაიგივებულია ფონოგრამის გამოცემა და მისი მოსახლეობამდე დაყვანა სამავთულო ან უსადენო ტექნიკის საშუალებებით მიწოდებით იმ ადგილას და იმ დროს, როდესაც მომხმარებელი ისურვებს.

ხელშეკრულება ითვალისწინებს შეზღუდვებისა და გამონაკლისების დანესების შესაძლებლობას მონაწილე ქვეყნების მხრივ, იმ ფარგლებით და იმდაგვარად, როგორც ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებებიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებებისათვის. ეს ნორმა ანალოგიურია რომის კონვენციის შესაბამისი ნორმისა.

საავტორო უფლებათა შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მსგავსად ამ ხელშეკრულებით მოცემულია მოთხოვნები ქვეყნების მიმართ, რათა აუცილებლად გაითვალისწინონ უფლებათა დარღვევის სანინააღმდეგოდ მიმართული, უფლებათა მფლობელის მიერ გამოყენებული ტექნიკური ზომების, აგრეთვე უფლებათა მართვისათვის საჭირო ინფორმაციის გვერდის ავლის, მოშლის, ან განადგურების აღკვეთისათვის.

უფლებათა უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია საავტორო უფლებათა შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მსგავსი მოთხოვნები.

6. შეთანხმება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში თანამშრომლობის შესახებ

ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოჩინდა ნაწარმოებების ერთგვაროვანი დაცვის საკითხის მონესრიგების აუცილებლობა პოსტსაბჭოურ სივრცეში. შეიქმნა საშიშროება, როდესაც ერთ დროს საერთო კუთვნილებად აღიარებული და ხშირად სსრკ ორი ან მეტი რესპუბლიკის მოქალაქის მიერ ერთობლივად შექმნილი ნაწარმოებიდან გამომდინარე უფლებები სრულიად დაუცველი შეიძლება ყოფილიყო ცალკე აღებული რომელიმე დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიაზე ან მთლიანად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრის ტერიტორიაზე. ასეთი მოუწესრიგებელი ვითარების თავიდან აცილების მიზნით, დსთ ქვეყნებმა მოილაპარაკეს გამოეყენებინათ ეროვნულ კანონებთან ერთად სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას არსებული შესაძლებლობები და საშუალებები, საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებისა და უფლებების ჩათვლით. საკითხის ამგვარი მონესრიგება საშუალებას იძლევა განხორციელდეს საავტორო და მომიჯნავე უფლებების მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი დაცვა საბჭოთა კავშირის არსებობის დროინდელი ვალდებულებების შესრულების საფუძველზე, რასაც განამტკიცებს დსთ ქვეყნების მიერ ახალი ეროვნული კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებისა და დებულებების გამოყენება.

1993 წლის 24 სექტემბერს მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე დსთ ქვეყნების მთავრობათა მეთაურებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვასთან დაკავშირებული თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც წარმოუდგენთ მკითხველს.

შეთანხმება შედგება პრეამბულისაგან და 7 მუხლისაგან, პრეამბულით ჩამოყალიბებულია მისი დადების მიზანი, რაზეც ზემოთ გვექონდა საუბარი. იგი ეყრდნობა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, 1991 წლის შეთანხმებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნის შესახებ, 1991 წლის აღმა-ათის დეკლარაციას და 1992 წლის სამართალმემკვიდრეობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს ყოფილი სსრ კავშირის იმ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომლებიც ურთიერთ ინტერესს წარმოადგენს.

მონაწილე მხარეებმა 1-ლი მუხლითვე იკისრეს უზრუნველყოთ თავის ტერიტორიებზე ყოფილი სსრ კავშირის საავტორო უფლებათა შესახებ მსოფლიო კონვენციაში მონაწილეობიდან გამომდინარე საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება. აღნიშნული ეხება იმ ნაწარმოებებს, რომლებიც დაცვას ექვემდებარებოდა მსოფლიო კონვენციის 1952 წლის რედაქციით, იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა კავშირისათვის იგი

ძალაში შევიდა 1973 წლის 27 მაისიდან. ამასთან, ამავე მუხლით აღინიშნა ქვეყნების ვალდებულება იუნესკოს გენერალური დირექტორისათვის ამ შეთანხმების შესაბამისი განცხადების დეპონირებისათვის გაგზავნის შესახებ.

მე-2 მუხლის თანახმად მონაწილე ქვეყნები ერთმანეთთან ურთიერთობისას მსოფლიო კონვენციას გამოიყენებენ იმ ნაწარმოებების მიმართ, რომლებიც შექმნა 1973 წლის 27 მაისის შემდეგ, აგრეთვე, ამ თარიღამდე დაცული ნაწარმოებების მიმართ. ამასთან ხაზგასმულია, რომ დაცვა განხორციელდება იმ პირობებით, რაც დადგენილია საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთათვის. ანუ, ნაწარმოები დაცვას დაექვემდებარა ეროვნული რეჟიმის გამოყენებით. განსახილველი შეთანხმებით მონაწილე ქვეყნებს მიეცათ ნაცვალგების პრინციპის გამოყენების შესაძლებლობა საავტორო უფლებათა დაცვის ვადების შედარების მიხედვით. შესაბამისად ქვეყანა არ არის ვალდებული დაიცვას სხვა მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოშობილი და დაცული ნაწარმოები საკუთარ ტერიტორიაზე იმაზე მეტ ხანს ვიდრე აღნიშნული სხვა ქვეყანა იცავს.

მომდევნო მუხლებით ქვეყნებმა იკისრეს ვალდებულება კანონპროექტების შექმნისა და მიღების შესახებ საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფით. კერძოდ, შეთანხმება მიუთითებს, რომ მომავალი ეროვნული კანონებით უნდა იყოს დაკმაყოფილებული ბერნის კონვენციის, ფონოგრამების უნებართვო კვლავწარმოებისაგან ფონოგრამების მწარმოებლების უფლებების დაცვის ფენევის კონვენციისა და რომის კონვენციის მოთხოვნები. საქართველომ ყველა ეს ვალდებულება შეასრულა.

დანარჩენი მუხლები ითვალისწინებს ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულებებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევის თავიდან აცილებისა და არდაშვების მიზნით.

გათვალისწინებულია, აგრეთვე, ორმაგი დაბეგვრის დაუშვებლობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების გამოყენებით მიღებულ გასამრჯელოსთან დაკავშირებით.

საქართველომ განხილულ შეთანხმებისადმი მიერთების დასტური განაცხადა 1995 წლის 10 თებერვალს.

7. საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება

1970 წელს ვაშინგტონში ხელმოწერილი და 1978 წლიდან სრულფასოვნად ამოქმედებული საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება არის მრავალმხრივი, საპატენტო უფლებების მოპოვების პროცედურებთან დაკავშირებული ხელშეკრულება. მისი დადების მიზანია ხელი შეუწყოს განმცხადებლებს საზღვარგარეთ გამოგონებების დაპატენტების თვალსაზრისით, რისთვისაც ადგენს მნიშვნელოვან მატერიალურ-სამართლებრივ და ორგანიზაციული ხასიათის შეღავათებს. მიღწეულია კოოპერირება განაცხადის მიწოდებასთან, საინფორმაციო ძიებასთან და საპატენტო ექსპერტიზასთან დაკავშირებით, აგრეთვე საპატენტო ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით. იგი არ ითვალისწინებს საერთაშორისო პატენტის გაცემას. პატენტის გაცემა მხოლოდ ეროვნული ან რეგიონული უწყებების უფლებამოსილებათა. საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება ღია ხელშეკრულებათა. მას შეუძლია მიუერთდეს პარიზის კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყანა, აგრეთვე სამრავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება პატენტის გაცემის რეგიონულ სისტემას. მსოფლიოში მოქმედი ასეთი ორგანიზაციები სადღეისოდ ყველა განვეერიანებულია PCT კავშირში. საქართველო მიუერთდა 1994 წელს პარიზის კონვენციას მიერთებასთან ერთად, სამთავრობო დეკლარაციის საფუძველზე, რითაც ჩვენმა ქვეყანამ იკისრა საბჭოთა კავშირის დროს აღებული ვალდებულებების შესრულების გავრცელება. მონაწილე ქვეყნების მიერ შექმნილია კავშირი – PCT კავშირი,⁶ რომლის საქმიანობაც ფინანსირდება საერთაშორისო განაცხადებისათვის დაწესებული საფასურების ხარჯზე. ამჟამად მონაწილე ქვეყნების რაოდენობამ 100 გადააჭარბა, რაც მის ქმედითუნარიანობაზე და მაღალ ეფექტურობაზე მოწმობს. ამის მაგალითი ისიც არის, რომ საქართველოში უცხო ქვეყნიდან პატენტის მიღების სურვილით მოწოდებული განაცხადების რიცხვიდან 98%-ზე მეტი PCT განაცხადებზე მოდის. საქართველოდან უცხო ქვეყანაში დაპატენტების მსურველებიც უპირატესობას სწორედ ამ სისტემას ანიჭებენ. PCT გაყინულ საერთაშორისო აქტს არ წარმოადგენს, იგი მრავალგზის გადაისინჯა სრულყოფისა და თანამედროვე საპატენტო სამართლის განვითარებასთან მისი ნორმების შეხამების მიზნით. იგი შედგება პრეამბულისაგან, 8 ნაწილად დაყოფილი 69 მუხლისაგან და მისი განუყოფელი ნაწილისაგან – ხელშეკრულების ინსტრუქციისაგან. | ნაწილი "საერთაშორისო განაცხადი" შეიცავს 24 მუხლს; | –

⁶ მონაწილე ქვეყნებმა თავიდანვე მოილაპარაკეს, რომ საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების შემოკლებულად აღსანიშნავად ნებისმიერ ენაზე გამოიყენებდნენ ინგლისური დასახელებას Patent Cooperation Treaty შემოკლებას – PCT, რასაც ჩვენც დავიცავთ ამ ნიგნში.

"საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზა" შეიცავს 10 მუხლს; III – "ზოგადი დებულებები" შეიცავს 7 მუხლს; IV – "ტექნიკური მომსახურება" შეიცავს 3 მუხლს; V – "ადმინისტრაციული დებულებები" შეიცავს 7 მუხლს; VI – "დავები" შედგება 1 მუხლისაგან; VII – "გადასინჯვა და ცვლილებები" შედგება 2 მუხლისაგან; ბოლო VIII ნაწილი შეიცავს 8 მუხლს. ინსტრუქცია შედგება 107 წესისაგან. გარდა ამისა, ისმო-ს მიერ შემუშავებული ადმინისტრაციული ინსტრუქცია, რომელიც გამოიყენება უწყებების მიერ და რომელიც აწესებს ზოგად წესებს საპატენტო დოკუმენტაციის, მაგალითად განაცხადისათვის ნომრის მინიჭებისა და ზოგიერთი საგანაცხადო მასალების, მაგალითად, ამინომჟავების თანამიმდევრობის წარმოდგენის მიმართ, აგრეთვე ითვალისწინებს მეთოდოლოგიურ მიდგომებს გამოგონების ერთიანობის განსაზღვრისათვის.

PCT ფუნქციონირებს საერთაშორისო ორგანოებისა და ეროვნული უწყებების მეშვეობით. საერთაშორისო ორგანოებს წარმოადგენს: საერთაშორისო ბიურო, განლაგებული ისმო-ს შტაბ-ბინაში, ჟენევაში; საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ორგანოები – ავსტრალიის, ავსტრიის, აშშ-ს, ვეროპის, ესპანეთის, იაპონიის, რუსეთის, სამხრეთ კორეის, შვეციისა და ჩინეთის საპატენტო უწყებები; საერთაშორისო წინასწარი (პირობითი) ექსპერტიზის ორგანოები – იგივე საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ორგანოებია, ესპანეთისა და სამხრეთ კორეის გარდა.

PCT ითვალისწინებს განაცხადების მიღებისა და განხილვის ორ ფაზას, რომლების შესახებ ნორმებს "ხელშეკრულების თავებსაც უწოდებენ". I ფაზა (შესაბამისად I თავი) საერთაშორისო ფაზას წარმოადგენს, ხოლო II ფაზა (შესაბამისად II თავი) ეროვნული ფაზაა. ქვეყნები ვალდებულია I თავს აუცილებლად მიუერთდნენ. II თავი ფაკულტატურია.

საერთაშორისო ფაზა

საერთაშორისო განაცხადის მიწოდებით იწყება საერთაშორისო ფაზა, რომელიც მოიცავს ფორმალური მოთხოვნების შემოწმებას (მონმდებმა მხოლოდ განაცხადის შედგენის და გაფორმების შესაბამისობა PCT მოთხოვნებთან, ხელმოწერების არსებობა, კომპლექტაცია და სხვა), საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ჩატარებასა და განაცხადის გამოქვეყნებას პრიორიტეტის თარიღიდან არაუგვიანეს მე-18 თვისა. საერთაშორისო ფაზის ეს ნაწილი ხორციელდება I თავის მოთხოვნებთან შესაბამისობით. განმცხადებლის სურვილით შეიძლება ჩატარდეს საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზა II თავის ნორმების მიხედვით. ამ საერთაშორისო პროცედურების დასრულების შემდეგ ხორციელდება ეროვნული ფაზა, თუ განმცხადებელი გადაწყვეტს.

განაცხადის მიწოდება

საერთაშორისო განაცხადის მიწოდების უფლება აქვს მონაწილე ქვეყნის მოქალაქეს, რეზიდენტს ან ამ ქვეყანაში მოქმედი საწარმოს მქონე პირს. განაცხადი მიეწოდება ეროვნულ უწყებას, რომელიც, როგორც წესი, წარმოადგენს თითოეული მონაწილე ქვეყნის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოს – რომლებსაც “მიმღებ უწყებად” მოიხსენიებს PCT. განაცხადის მიწოდება დასაშვებია ნებისმიერ ენაზე, მისი თარგმანის შემდგომ მიწოდების უზრუნველყოფით, დადგენილ ვადაში. საერთაშორისო ფაზის შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად განაცხადი უნდა ითარგმნოს (ან უნდა იყოს თავიდან წარდგენილი) ქვეყნის მიერ დასახელებული საერთაშორისო საძიებო ორგანოსა და საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის ორგანოს მუშა ენაზე. საქართველოსათვის ეს ენებია ინგლისური და რუსული. განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას ეროვნული კანონის მოთხოვნები საერთაშორისო განაცხადის მიმღები უწყებისათვის მიწოდებისას. საქართველოს მაცხოვრებელმა განმცხადებელმა უნდა სთხოვოს “საქპატენტს” საზღვარგარეთ დაპატენტების ნებართვა. დადებითი პასუხის მიღების ან 2 თვეში პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში განაცხადი დაექვემდებარება საერთაშორისო ფაზას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმღები უწყება ამონიშნავს განაცხადს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების თვალსაზრისით, კერძოდ, ხომ არ განეკუთვნება გამოგონება დასასაიდუმლოებელთა რიცხვს. შესაბამისად, ჯერ განხორციელდება საიდუმლო განაცხადების განხილვისათვის დადგენილი წესი და განაცხადი ან დაექვემდებარება საერთაშორისო ფაზას, ან არა. საერთაშორისო განაცხადი შეიძლება თავდაპირველადვე მიწოდოს მიმღებ უწყებას, ანუ იგი შეიძლება არ ეფუძნებოდეს ადრინდელ განაცხადს. ამ შემთხვევაში საერთაშორისო განაცხადის მიღების თარიღი და პრიორიტეტის თარიღი ერთმანეთს დაემთხვევა. შესაბამისად ყველა ვადა PCT-ს მიხედვით აითვლება ამ თარიღიდან. პარიზის კონვენციის მიხედვით შეიძლება საერთაშორისო განაცხადით მოთხოვნილ იქნეს ადრინდელი – პირველი განაცხადის პრიორიტეტი, ანუ საერთაშორისო განაცხადი შეიძლება ეფუძნებოდეს ეროვნულ უწყებაში უკვე შეტანილ განაცხადს. ამ შემთხვევაში საერთაშორისო განაცხადის მიწოდების თარიღი და პრიორიტეტის თარიღი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ზოგიერთი ვადა, მაგალითად გამოქვეყნებისათვის დადგენილი აითვლება მხოლოდ პრიორიტეტის თარიღის მიხედვით. საერთაშორისო განაცხადის მიღების თარიღი კი განმსაზღვრელი იქნება, მაგალითად, პატენტის მოქმედების ვადის ათვლისათვის შესაბამის ქვეყანაში, რადგან საერთაშორისო განაცხადის მიწოდების თარიღი PCT-ს მიხედვით მიიჩნევა ეროვნულ უწყებაში მიწოდების თარიღად. ეს თარიღი იმოქმედებს იმდენი და იმ ეროვნულ-

ლი უწყებების წინაშე, რომლებიც აღნიშნა განმცხადებელმა განცხადების ბლანკში და აირჩია აღნიშნული ქვეყნების ტერიტორიაზე პატენტის მიღების სურვილით. საერთაშორისო განაცხადის მიწოდების თარიღს ადგენს მიმღები უწყება და ანიჭებს მას საერთაშორისო განაცხადის ნომერს. გარდა ამისა მიმღები უწყება ამონმებს PCT მოთხოვნებით დაწესებულ ფორმალობებს. თუ ეს მოთხოვნები დაცულია და შესაბამისი საფასურები გადახდილია მიმღები უწყება გადაუგზავნის განაცხადის ერთ ეგზემპლარს "სარეგისტრაციო ეგზემპლარი" საერთაშორისო ბიუროს, მეორე ეგზემპლარს "საინფორმაციო ძიებისათვის განკუთვნილი ეგზემპლარი" საერთაშორისო საძიებო ორგანოს (საქართველოს შემთხვევაში საქპატენტი ასეთ ეგზემპლარს უგზავნის ან ევროპის საპატენტო უწყებას ან "როსპატენტის" სამრეწველო საკუთრების ფედერალურ ინსტიტუტს). მესამე ეგზემპლარი "საშინაო ეგზემპლარი" რჩება მიმღებ უწყებას. განმცხადებელი იხდის შემდეგ საფასურებს: საბაზისოს; ქვეყნების აღნიშვნის, რომელიც გადაიხდება თითოეული აღნიშნული ქვეყნისათვის, მაგრამ მენ ქვეყნის შემდგომ აღნიშვნისათვის საფასურის გადახდა აღარ მოითხოვება, ანუ რომც იყოს აღნიშნული PCT-ში შემავალი ყველა ქვეყანა გადაიხდება მხოლოდ 5 ქვეყნის აღნიშვნის საფასური; საერთაშორისო ბიუროსათვის განკუთვნილს. ამასთან დაწესებულია შეღავათები იმ ქვეყნების მოქალაქეთათვის, რომლებშიც ერთ სულ მოსახლეზე მოდის 3000\$-ზე ნაკლები ეროვნული შემოსავალი. საქართველოც ასეთ ქვეყანათა რიცხვს არის მიკუთვნებული და შესაბამისად განმცხადებელი გადაიხდის 75%-ით შემცირებულ საფასურს. გარდა აღნიშნულისა განმცხადებელი იხდის განაცხადის დამუშავებისა და გადაგზავნის საფასურს მიმღები უწყების სასარგებლოდ. საერთაშორისო განაცხადი შეიძლება წარდგენილ იქნეს, აგრეთვე, ელექტრონული სახით, ქალაქის მატარებელზე შემდგომი მიწოდების უზრუნველყოფით, რაც ხელსაყრელია განმცხადებლისათვის, რადგან კიდევ უფრო უმცირებს გადასახადს. საერთაშორისო განაცხადის მიწოდება დასაშვებია პირდაპირ საერთაშორისო ბიუროში. არ არის გამორიცხული, რომ საერთაშორისო განაცხადი შემთხვევით მოხვდეს სხვა ქვეყნის უწყებაში, რომელიც განმცხადებლის მოქალაქეობიდან გამომდინარე არ არის მიმღები უწყება. ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო განაცხადი აღირიცხება და, რადგან შეცდომით სხვა უწყებაში მიწოდებული საერთაშორისო განაცხადი საერთაშორისო ბიუროში მიწოდებულად ითვლება იგი გადაეგზავნება საერთაშორისო ბიუროს. ასეთი განაცხადებიც გაივლის მიმღები უწყების მიერ განსახორციელებად ზემოთ აღწერილ პროცედურას. ამის გათვალისწინებით განმცხადებელს ყოველთვის ურჩევნია საერთაშორისო განაცხადი საკუთარ მიმღებ უწყებას მიანოდოს, რომელიც იმავდროულად აღმოუჩენს საჭირი პირველად დახმარებას ფორმალობების გადალახვის თვალსაზრისით, რაც

იმის გარანტია გახდება, რომ ფორმალობების შეუსრულებლობის მიზეზით მისი საერთაშორისო განაცხადი არ იქნება უარყოფილი. რაც მნიშვნელოვანია, გარანტირებული იქნება ეროვნულ უწყებაში დედა ენაზე მიწოდებული განაცხადისათვის მინიჭებული პრიორიტეტით სარგებლობა. საერთაშორისო ფაზის განხორციელების ვადები აითვლება პრიორიტეტის თარიღიდან.

საერთაშორისო საინფორმაციო ძიება

საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ორგანო ატარებს გამოგონების მიმართ საერთაშორისო საინფორმაციო ძიებას, რომელიც მოიცავს PCT მინიმუმს – 1920 წლიდან არსებულ საპატენტო ინფორმაციას შემდეგი ქვეყნების მიხედვით: აშშ, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, საბჭოთა კავშირის (რუსეთის), საფრანგეთის, შვეიცარიის. მინიმუმში შედის აგრეთვე გამოქვეყნებული ყველა საერთაშორისო და რეგიონული განაცხადი და სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი, რომელთა სიაც განსაზღვრულია. ინფორმაცია, რომელიც არ არის გამოქვეყნებული ძიების ჩამტარებელი ორგანოს მუშა ენაზე ან ენებზე მხედველობაში არ მიიღება, თუ არ არსებობს ინგლისური რეფერატი. ასეთი წესი მოქმედებს, მაგალითად, იაპონურ ან რუსულ ენაზე გამოქვეყნებული საპატენტო ინფორმაციის მიმართ. საერთაშორისო ძიება მთავრდება პრიორიტეტის თარიღიდან ათვლით არაუგვიანეს 9 თვისა, ან საერთაშორისო ძიებისათვის განკუთვნილი განაცხადის ეგზემპლარის მიღების დღიდან არა უგვიანეს 3 თვისა, თუ ეს თარიღი უფრო გვიან იწურება. საერთაშორისო საინფორმაციო ძიება არ მთავრდება, მაგალითად, ისეთი ინფორმაციის მოძიებით, რომელიც სრულად შეიცავს გამოგონების არსებით ნიშნებს და ფაქტობრივად აბათილებს გამოგონების სიახლეს. ეს იმიტომ, რომ საერთაშორისო ფაზის დროს არ გამოიტანება გადანყვეტილება პატენტის გაცემა – არგაცემის თაობაზე. შესაბამისად საინფორმაციო ძიების განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია შექმნას სრული სურათი არსებული ტექნიკის დონის შესახებ, გამოგონების მიმართ. საინფორმაციო ძიება ტარდება გამოგონების ფორმულის მთლიანი მოცულობით, იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამოგონების ერთიანობა დარღვეულია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში განმცხადებელი გადაიხდის დამატებით საფასურს. საინფორმაციო ძიება მთავრდება საერთაშორისო საინფორმაციო ძიების შესახებ ანგარიშის შედგენით, რომელშიც მიეთითება გამოგონების შესატყვისი ყველა საინფორმაციო წყარო გამოგონების ფორმულის შესაბამის მუხლთან მიმართებით. ანგარიში არ შეიცავს რაიმე დასკვნას პატენტუნარიანობის შესახებ. ანგარიში გადაეგზავნება საერთაშორისო ბიუროს, რომელიც ურთავს მას საერთაშორისო განაცხადს, აგრეთვე განმცხადებელს, რომელსაც აქვს უფლება ანგარიშში მითითებული ინფორმაციის ანალიზის

შემდეგ შეცვალოს გამოგონების ფორმულა დასაშვებ ფარგლებში ან შეწყვიტოს დაპატენტება, თუ პატენტუნარიანობა ბათილდება. ყველა შემთხვევაში პროცედურა მომგებიანია განმცხადებლისათვის, რადგან იზოგება სიტუაციის არცოდნის შემთხვევაში გასანევი ხარჯები, ან განაცხადის დაპატენტება გრძელდება მაღალი გარანტიით.

განაცხადის გამოქვეყნება

საერთაშორისო ბიურო საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ორგანოსაგან ანგარიშის მიღების შემდეგ აკომპლექტებს განაცხადს და აქვეყნებს მას. საერთაშორისო გამოქვეყნება ხდება პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის გასვლის შემდეგ, თუ მანამ განმცხადებელმა, რომელსაც არ სურდა გამოქვეყნება, არ გაიტანა განაცხადი. გამოქვეყნებას ექვემდებარება განაცხადი საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ანგარიშთან და შეცვლილი გამოგონების ფორმულასთან ერთად. ამიტომ, გასაგებია, რომ ასეთი წესით გამოქვეყნებული ინფორმაცია ძალზე ღირებულია ტექნიკის შესაბამისი დარგის სპეციალისტებისათვის. ამასთან, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, იაპონურ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენაზე მიწოდებული განაცხადი ქვეყნდება ამავე ენებზე, სხვა ენებზე მიწოდებული განაცხადები კი ქვეყნდება ინგლისურად გადათარგმნილი. გამოგონების რეფერატები ქვეყნდება როგორც შედგენილი განაცხადის ენაზე, ისე ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. გამოქვეყნების შემდეგ მესამე პირებს შეუძლიათ ზუსტად იცოდნენ არსი, განმცხადებლისა და ავტორების ვინაობა, ქვეყნები, რომლებშიც განმცხადებელს სავარაუდოდ სურს მიიღოს პატენტი. კონკურენციული სტრატეგიიდან გამომდინარე, განმცხადებლები, პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში, უკლებლივ აღნიშნავენ საერთაშორისო განაცხადის განცხადების ბლანკში ჩამოთვლილ ქვეყნებს, ამიტომ ამ ქვეყნებს "აღნიშნული ქვეყნები" ეწოდება.

საერთაშორისო წინასწარი (პირობითი) ექსპერტიზა

თუ განმცხადებელი მოისურვებს ამ არასავალდებულო საერთაშორისო ფაზით სარგებლობას იგი ვალდებულია პრიორიტეტის თარიღიდან არაუგვიანეს მე-19 თვისა (შელავათების გათვალისწინებით) მოითხოვოს საერთაშორისო ექსპერტიზის ჩატარება და გადაიხადოს შესაბამისი საფასური. მოთხოვნა განმცხადებელმა უნდა გაუგზავნოს უშუალოდ საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის ჩამტარებელ უფლებამოსილ ორგანოს, რაშიც მას მიმღები უწყება დაეხმარება. ეს მოთხოვნა იურიდიულად მნიშვნელოვანი იყო 2002 წლამდე, რადგან განმცხადებელს ეძლეოდა შესაძლებლობა გადაედო ეროვნული ფაზის დანყება იმ ვადით, რა დროც სჭირდება წინასწარი ექსპერტიზის ჩატარებას. ამჟამად დანესდა და საქართველომ თანხმობა განაცხადა ეროვნული ფაზის დანყების ერთიანი ზღვრული ვადა. საერთაშორისო ექსპერტიზა მთავრდება პრიორიტეტის

თარილიდან არა უგვიანეს 27-ე თვისა. როგორც ვხედავთ, მისი ხანგრძლივობა 8 თვეს შეადგენს, რაც განპირობებულია იმით, რომ ამ პროცედურის დროს ექსპერტი უკავშირდება განმცხადებელს, მათ შორის არსობრივი საკითხების განხილვის ირგვლივ. კერძოდ, თუ საერთაშორისო ექსპერტი თვლის, რომ არ კმაყოფილდება პატენტუნარიანობის რომელიმე კრიტერიუმი იგი აცნობებს თავის აზრს განმცხადებელს, რომელიც იძლევა შესაბამის განმარტებებს ან ცვლის გამოგონების ფორმულას და საგანაცხადო მასალებს, დასაშვებ ფარგლებში. როდესაც განმცხადებელი საბოლოოდ გადაწყვეტს თუ რომელ ქვეყნებში აპატენტებს გამოგონებას, იგი უთითებს მათ და აცყობინებს საერთაშორისო ექსპერტიზის ჩამტარებელ ორგანოს ექსპერტიზის მოთხოვნასთან ერთად. ამ ქვეყნებს "არჩეულ ქვეყნებს" უწოდებენ, ხოლო მათ საპატენტო უწყებებს "არჩეულ საპატენტო უწყებებს". ექსპერტიზის შედეგები ფორმდება საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნის სახით, რომელშიც მიეთითება აკმაყოფილებს თუ არა გამოგონება პატენტუნარიანობას, თითოეული კრიტერიუმის მიხედვით. დასკვნა გამოიჩენება გამოგონების ფორმულის ყოველი მუხლის მიმართ. იგი გადაეგზავნება საერთაშორისო ბიუროს და განმცხადებელს. იგი არ ქვეყნდება. დასკვნის მე-3 ეგზემპლარი ეგზავნება მხოლოდ იმ ქვეყნების საპატენტო უწყებებს, სადაც განმცხადებელი საბოლოოდ გადაწყვეტს დააპატენტოს გამოგონება. ამ დასკვნის პირობითობა ის არის, რომ საბოლოოდ არჩეული ქვეყნების საპატენტო უწყებებისათვის იგი სავალდებულო საბუთს არ წარმოადგენს. ანუ, დასკვნა რომც იყოს ყოველმხრივ დადებითი პატენტი მაინც შეიძლება არ გაიცეს და პირიქით.

ეროვნული ფაზა

დაპატენტების ეს ფაზა იწყება საერთაშორისო ფაზის დასრულების შემდეგ. იგი შეიძლება დაიწყოს პრიორიტეტის დღიდან არაუგვიანეს 30 თვის გასვლის შემდეგ. ამასთან, საქართველოსათვის ამ თარიღით შეუძლია ისარგებლოს განმცხადებელმა PCT საერთაშორისო ფაზის ორივე თავის შესაძლებლობებით ან მხოლოდ პირველი თავით, რომელიც შემოიფარგლება საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ჩატარებით. თუ დასაპატენტებლად არჩეულია ქვეყანა, რომელიც ამ დებულებას არ იზიარებს (PCT ქვეყნებს შეუძლიათ არ მიიღონ სამოქმედო ეს წესი), მაშინ განმცხადებელმა PCT | თავის განხორციელების შედეგების მიხედვით ეროვნული ფაზის დაწყება უნდა მოასწროს პრიორიტეტის თარიღიდან 20 თვის გასვლამდე. ეროვნული ფაზის დაწყება დამოკიდებულია განმცხადებლის სურვილზე, რასაც იგი ადასტურებს არჩეულ უწყებაში შესაბამისი განცხადების მიწოდებით. ეს განცხადება შეიძლება იყოს ეროვნულ ენაზე გაფორმებული პატენტის მიღების შესახებ განცხადების ბლან-

კი, რომელიც მიენოდება ზემოთ მითითებული 20 ან 30 თვის გასვლამდე. ამ მომენტისათვის განმცხადებელი ვალდებულია შეასრულოს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები და უზრუნველყოს განაცხადის ეროვნულ ენაზე თარგმნა, პატენტრწმუნებულისათვის დავალების მიცემის შესახებ მინდობილობის მიწოდება და სხვა ფორმალობების დაცვა. აღსანიშნავია, რომ თარგმანის და მინდობილობის მიმართ არ მოითხოვება ლეგალიზაცია ან ნოტარიული დამონმება. ამ მოთხოვნების შესრულების შემდეგ არჩეული უწყება ანარმოებს ექსპერტიზას ეროვნული კანონის მოთხოვნებთან შესაბამისად, გამოაქვს გადაწყვეტილება და გასცემს ან არ გასცემს პატენტს. "საქპატენტი" ითვალისწინებს საერთაშორისო საინფორმაციო ძიების შედეგებს და განმცხადებლებს ორჯერ უმცირებს არსობრივი ექსპერტიზისათვის დაწესებული საფასურის ოდენობას. დიდ შეღავათს წარმოადგენს წინასწარი საერთაშორისო ექსპერტიზის დასკვნა, რომელსაც, ჩვეულებრივ იყენებს "საქპატენტის" ექსპერტი, თუმცა რიგ შემთხვევებში გამოაქვს საკუთარი გადაწყვეტილება, რომელიც განსხვავდება საერთაშორისო ორგანოს დასკვნისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში "საქპატენტის" ექსპერტები საინფორმაციო ძიების პროცესში ავლენენ გამოგონებასთან უფრო ახლო მდგომ ინფორმაციას, რომელიც საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ანგარიშში არ იყო მითითებული.

საქართველოს მკვიდრი განმცხადებლებისათვის საყურადღებოა ზოგიერთ ქვეყანაში PCT პროცედურის განხორციელების თავისებურება. ასე მაგალითად, აშშ-ში დაპატენტების სურვილის შემთხვევაში განმცხადებლად შეიძლება იყოს მითითებული მხოლოდ ნამდვილი ავტორი. გარდა ამისა, ზოგიერთმა ქვეყანამ, რომელიც რეგიონული საპატენტო ორგანიზაციის წევრია განაცხადა, რომ მათ მიმართ PCT პროცედურა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რეგიონულ უწყებაზე მითითებით. ევროპიდან ეს ქვეყნებია: ბელგია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, კვიპროსი, მონაკო, ნიდერლანდები და საფრანგეთი. აქედან გამომდინარე, თუ PCT პროცედურით ამ ქვეყნებში გადაწყდება პატენტის მიღება, მაშინ განმცხადებელი მიიღებს პატენტს ევროპის უწყებაში შემავალ ყველა ქვეყანაში. ეროვნული ფაზის განხორციელება ევროპის საპატენტო უწყების წინაშე ძვირი პროცედურაა. თუ ერთ ან რამდენიმე ქვეყანაშია სასურველი პატენტის მიღება, მაშინ განმცხადებელს ურჩევნია პატენტი PCT-ს გარეშე მიიღოს, განაცხადის შესაბამისი ქვეყნის უწყებისადმი პირდაპირ მიწოდებით.

საერთოდ, საქართველოს მაცხოვრებელ განმცხადებელს ვურჩევთ საზღვარგარეთ დაპატენტებისათვის PCT სისტემის გამოყენებას, თუ აუცილებელია არანაკლებ 5 ქვეყანაში გამოგონების დაცვა, ამ თავისებურებაზე უთითებენ საპატენტო სამართლის სფეროში დასაქმებული პრაქტიკოს სპეციალისტები.

8. შეთანხმება გამოგონებათა სამართლებრივი დაცვის სფეროში სახელმწიფოთაშორისი საიდუმლოებების შენარჩუნების ურთიერთუზრუნველყოფის შესახებ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრის (შემდგომ "დსთ") ფარგლებში პრაქტიკულად 1993 წელს დადებული სამრეწველო საკუთრების დაცვის ღონისძიებათა და სამრეწველო საკუთრების დაცვის საკითხებზე სახელმწიფოთაშორისი საბჭოს (შემდგომ "საბჭო") შექმნის შესახებ შეთანხმების⁷ მიხედვით მოქმედი საბჭოს ინიციატივით შემუშავდა და დაიდო რამდენიმე ხელშეკრულება, რომლებსაც პოლიტიკური დატვირთვა არა აქვს. ერთ-ერთი მათგანია განსახილველი სამთავრობათაშორისო შეთანხმება. იგი ეყრდნობა 1993 წლის დსთ შეთანხმებას სახელმწიფოთაშორისი საიდუმლოებების შენარჩუნების ურთიერთუზრუნველყოფის შესახებ. გამოგონებათა სფეროში სახელმწიფოთაშორისი საიდუმლოების შენარჩუნების ურთიერთუზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება ემსახურება ტექნიკურ-ინოვაციური ისეთი საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც წარმოიშვა საბჭოთა კავშირის არსებობისას და რომლებიც შეადგენს სახელმწიფოთაშორისო საიდუმლოებას. ასეთი გამოგონებები კი მრავლად იყო, რადგან საბჭოთა კავშირის დროს მრავალი თემატიკა მუშავდებოდა ორი ან მეტი საბჭოთა რესპუბლიკის სპეციალისტის მონაწილეობით. აქედან გამომდინარე, გასაგებია რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს შეთანხმება დსთ ქვეყნებს შორის აღნიშნული ტიპის გამოგონებების საიდუმლოდ დატოვებისა თუ ღიად გამოყენების შესახებ.

განსახილველი შეთანხმება შედგება პრეამბულის, 11 მუხლისა და 2 დანართისაგან. პრეამბულაში გამოხატულია შეთანხმების მიზანი. იგი შეიცავს ტერმინთა განმარტებებს.

საიდუმლო გამოგონებად მიჩნეულია მხარეთა კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი გამოგონება. ამ განმარ-

⁷ საქართველო ამ შეთანხმებას მიერთებული არ არის, რაც ჩვენი აზრით ხელს არ უწყობს სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში საქართველოსათვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას დსთ სახელმწიფოთა ფარგლებში. ასეთი საკითხები რომ არსებობს თუნდაც იმითი მტკიცდება, რომ საქართველოს ინიციატივით მომზადდა და ხელი მოეწერა "ყალბი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების თავიდან აცილებისა და აღმკვეთი ზომების შესახებ" შეთანხმებას. ამ შეთანხმების მომზადებისა და ხელმოწერისათვის გასატანად საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისათვის საქართველოს წარმომადგენლებს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტისას საქართველოს ხმის უფლება არ ჰქონდა, რადგან მონაწილეობდა დამკვირვებლის სტატუსით. ეფიქრობთ სასარგებლო იქნება აღნიშნული შეთანხმებისადმი მიერთება და საბჭოს სხდომებზე სრულუფლებიანი მონაწილეობა.

ტებიდან ნათელი არ არის მიეკუთვნება თუ არა განსახილველი ხელშეკრულების სფეროს ერთი ქვეყნის კანონმდებლობით საიდუმლოდ მიჩნეული, ხოლო მეორე ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად ასეთად არ მიჩნეული გამოგონება.

საიდუმლო გამოგონების განსაიდუმლოება ნიშნავს საიდუმლო გრიფის მოხსნას.

განმცხადებელი ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომლის სახელითაც იქნა შეტანილი განაცხადი გამოგონების პატენტის ან საავტორო მონუმობის მისაღებად სსრ კავშირის საპატენტო უწყებაში.

გარდა აღნიშნულისა განმარტებულია "საიდუმლო გამოგონების დამცავი დოკუმენტი", "დაინტერესებული მხარე" და "კომპეტენტური ორგანო", რომლებზეც ყურადღებას აღარ შევაჩერებთ, რადგან ამ ტერმინების არსი, ჩვენი აზრით, ისედაც ნათელია.

შეთანხმება ანესრიგებს ისეთ საიდუმლო გამოგონებებთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებას, რომლებზეც მის ამოქმედებამდე გაიცა, ან წარდგენილი იყო და ჯერ არ იყო გაცემული (ან ჯერ კიდევ არ არის გაცემული) სსრკ დამცავი დოკუმენტი. ჩვენ გავაშუქებთ პირველ შემთხვევასთან დაკავშირებულ საკითხებს, რადგან მეორე შემთხვევა სადღეისოდ პრაქტიკულად აღარ არსებობს. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ განსახილველი შეთანხმება ითვალისწინებს ექსპერტიზა დუსრულებელი გამოგონების პატენტის მიღების შესაძლებლობას შუამდგომლობის წარდგენის საფუძველზე (მე-2 დანართი, რომელიც 3 მუხლს შეიცავს, მთლიანად ეძღვნება ასეთი შუამდგომლობის წარდგენის წესს), თუ ასეთი შუამდგომლობის წარდგენის მომენტისათვის არ იყო გასული პატენტის მოქმედების 20 წლიანი ვადა. რადგან საბჭოთა კავშირი აღარ არსებობდა დამცავი დოკუმენტის გაცემა ევალეზობდა რუსეთის საპატენტო უწყებას, იმის გამო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის საპატენტო უწყება, როგორც ვიცით, მდებარეობდა მოსკოვში და იყო ერთადერთი.

როდესაც ორი ან მეტი ქვეყნის ტერიტორიიდან იქნა წარდგენილი გამოგონება საავტორო მონუმობის ან პატენტის მისაღებად, აგრეთვე ასეთი გამოგონების დოკუმენტის არსებობისას განსაიდუმლოების საკითხის გადასაწყვეტად შექმნილია დროებითი სამუშაო ჯგუფი. ამ ჯგუფის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა დავალებული აქვს რუსეთის საპატენტო უწყებას. გამოგონების განსაიდუმლოების წესს ეხება 1-ლი დანართი, რომელიც შედგება 10 მუხლისაგან. საიდუმლო გამოგონების განსაიდუმლოების აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილებას ლეზულობს დაინტერესებული მხარე, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად დროებით სამუშაო ჯგუფს ეგზავნება წარდგინება, რომელსაც აღნიშნული ჯგუფი უგზავნის განსახილველი შეთანხმების ყველა მონაწილე მხარის კომპეტენტურ ორგანოს, რომ-

ლებათაც მხარეთა გადანყვეტილებით მიჩნეულ იქნა საპატენტო უწყებები. კომპეტენტური ორგანოები დროებით სამუშაო ჯგუფს ანვდიან შესაბამის დასკვნას განსაიდუმლოების შესახებ. დასკვნების განხილვის შემდეგ დროებითი სამუშაო ჯგუფი ლებულობს საბოლოო გადანყვეტილებას გამოგონების განსაიდუმლოების შესახებ. განსაიდუნლოების შემდეგ საიდუმლო გამოგონების შესახებ მონაცემები შეიძლება გამოქვეყნდეს ან გადაეცეს სხვა ქვეყნებს მხოლოდ დაინტერესებული მხარის, ანუ იმ მხარის მიერ, რომლის ქვეშევრდომიც არის პატენტის მფლობელი ან საავტორო მონმობით მითითებული განმცხადებელი.

განსახილველი შეთანხმება ითვალისწინებს მხარეთა ტერიტორიებზე საიდუმლო გამოგონების საავტორო მონმობის მოქმედების შეწყვეტის შესაძლებლობას, ეროვნული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. იმავე დროულად ნებადართულია ეროვნულ უწყებაში განაცხადის შეტანა და ასეთი გამოგონების საფუძველზე ეროვნული პატენტის მიღება, რომელიც იმოქმედებს საავტორო მონმობის მისაღებად სსრ კავშირის საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანის თარიღიდან 20 წლიანი ვადის გასვლამდე დარჩენილი დროის განმავლობაში.

9. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების ამოქმედების პროტოკოლი

ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების ამოქმედებიდან თითქმის ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ დაიდო იმავე მიზანს დამორჩილებული კიდევ ერთი ხელშეკრულება. სათაურის მიუხედავად მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლი (შემდგომ პროტოკოლი) დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა. მადრიდის ხელშეკრულების მხარედ ყოფნის მიუხედავად, მას შეუძლია მიუერთდეს პარიზის კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყანა ან სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია, მაგალითად ნიშნების მარეგისტრირებელი ევროპის რეგიონული ორგანიზაცია. ამასთან მადრიდის ხელშეკრულების მონაწილედ ყოფნის მიუხედავად პროტოკოლის მონაწილე ქვეყნები ხდებიან მადრიდის ხელშეკრულებით შექმნილი ნიშნების რეგისტრაციის საერთაშორისო კავშირის წევრები.

პროტოკოლის მომზადება და სამოქმედოდ შემოღება განპირობებული იყო მადრიდის ხელშეკრულების იმ ხარვეზებით, რომლებსაც მიერთების ხელშემშლელ გარემოებად თვლიდა ზოგიერთი წამყვანი ქვეყანა, განსაკუთრებით ინგლისი, ამერიკა და იაპონია. ძირითადად, ეს გარემოებები იყო საერთაშორისო რეგისტრაციისათვის განაცხადის მიწოდების დამოკიდებულება წარმოშობის ქვეყანაში არსებულ რეგისტრაციაზე, წარმოშობის ქვეყანაში რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში საერთაშორისო რეგისტრაციის გაუქმება, განაცხადის მიღება და განხილვა მხოლოდ ერთ, კერძოდ, ფრანგულ ენაზე, ქვეყნებისათვის განაწილებული საფასურის ოდენობის სიმცირე. 1980 წლიდან დაწყებული პროტოკოლის მომზადების პროცესში, რასაც მრავალი წელი დასჭირდა, მიღწეულ იქნა დამაბრკოლებრივი გარემოებების აღმოფქვრა და ახალი საერთაშორისო აქტის ხელმოწერით დაგვირგვინება. ეს მოხდა 1989 წლის 27 ივნისს, ხოლო ამოქმედება მოხდა 1995 წლის 1 დეკემბერს. საქართველო მას მიუერთდა 1998 წლის 20 მაისიდან (ძალაში შევიდა 1998 წლის 20 აგვისტოდან), მადრიდის ხელშეკრულებასთან მიერთების გარეშე.

პროტოკოლი შედგება 26 მუხლისაგან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ინსტრუქცია, რომელიც საერთოა მადრიდის ხელშეკრულებისთვისა და პროტოკოლისათვის. მადრიდის ხელშეკრულებასა და პროტოკოლს მრავალი საერთო წესი ახასიათებს, უფრო ნაკლებია განსხვავებები, რაზედაც გვსურს გავემახვილოთ ყურადღება. კერძოდ პროტოკოლის მიხედვით:

1. განაცხადი საერთაშორისო რეგისტრაციისათვის შეიძლება მიწოდებულ იქნეს როგორც ნიშნის ეროვნული რეგისტრაციის საფუძველზე ისე განაცხადის საფუძველზე. ამით განმცხადებელს პარიზის კონვენ-

- ციით დადგენილი პრიორიტეტის უფლებით სარგებლობის რეალური საშუალება მიეცა, რადგან აღარ არის საჭირო ეროვნული რეგისტრაციის პროცესის დამთავრების ლოდინი, რომელიც მრავალ ქვეყანაში გრძელდება საკონვენციო პრიორიტეტის უფლების გამოყენებისათვის დაწესებული ზღვრულ ვადაზე მეტ ხანს.
2. საერთაშორისო განაცხადის მიწოდებისათვის და განხილვისათვის გამოიყენება ინგლისური და ფრანგული ენა. ამასთან, თუ განაცხადი მიწოდებულია მადრიდის ხელშეკრულების და პროტოკოლის ქვეყნების მიმართ ერთდროული რეგისტრაციის მოთხოვნით, განაცხადს ფრანგულ ენაზე თარგმნის საერთაშორისო ბიურო.
 3. საერთაშორისო რეგისტრაცია ავტომატურად აღარ უქმდება წარმოშობის ქვეყანაში რეგისტრაციის გაუქმებასთან ერთად. წარმოშობის ქვეყანაში გაუქმებული ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელს უფლება აქვს აქციოს საერთაშორისო რეგისტრაცია ეროვნულ განაცხადებად და განაცხადის შეტანის თარიღად გამოიყენოს გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი.
 4. მონაწილე ქვეყნებს აქვთ უფლება შეენიშნა ლმდეგონ რეგისტრაციას და უარი თქვან თავიანთ ტერიტორიაზე საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელების თაობაზე 18 თვის განმავლობაში, ნაცვლად 12 თვისა. როდესაც ეროვნული რეგისტრაცია ითვალისწინებს შედავებას მესამე პირთა მხრიდან და შედავება შეტანილ იქნა (მაგალითად, "საქპატენტის" სააპელაციო პალატაში) უწყება ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ საერთაშორისო ბიუროს არაუგვიანეს 7 თვისა შედავების მიწოდების დღიდან. შესაბამისად, გამოდის, რომ, თუ შედავება დაიწყო მე-18 თვეს, უარის თქმისათვის ეროვნულ უწყებას 24 თვეზე მეტი ეძლევა.
 5. ქვეყანას შეუძლია მოითხოვოს ნაცვლად იმ საერთაშორისო საფასურებისა, რომლებიც უნდა განანილდეს მოცემულ ქვეყანაზე, ინდივიდუალური საფასურების დაწესება. ამ შემთხვევაში საფასურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რასაც ქვეყანა მიიღებდა ეროვნული პროცედურით, ნიშნის 10 წლით რეგისტრაციის ჩათვლით გამოკლებული საერთაშორისო ბიუროსათვის განკუთვნილი საფასურების მიხედვით.
 6. პროტოკოლის ნევრი შეიძლება გახდეს რეგიონული უწყება, როგორც საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომლისთვისაც მიწოდებული განაცხადი შეიძლება გახდეს საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველი.
 7. ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაცია წარმოებს 10 წლით, ყოველი მომდევნო 10 წლიანი პერიოდით უსასრულოდ გაგრძელების უფლებით, ნაცვლად 20 წლით რეგისტრაციისა, ხელშეკრულების მიხედვით.

დანარჩენ ასპექტებში მადრიდის ხელშეკრულება და პროტოკოლი ძირითადად შეიცავს მსგავს პროცედურულ და სხვა მოთხოვნებს. განაცხადი უნდა მიენოდოს წარმოშობის ქვეყნის უწყებას განსაზღვრულ (პროტოკოლისთვის ინგლისურ ან ფრანგულ) ენაზე და სპეციალური საბუთების გამოყენებით, რომელთა ფორმაც დადგენილია. საერთაშორისო რეგისტრაცია შეიძლება იქნეს მოთხოვნილი მხოლოდ საქონლის იმ ჩამონათვლის მიხედვით, რომელიც ფიგურირებს ეროვნულ განაცხადში ან ეთანადება რეგისტრირებულ ნიშანს. ნიშნად რეგისტრაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სიტყვიერი, გამოსახულებითი და კომბინირებული, ან ხმოვანი სიმბოლოსათვის, აგრეთვე კოლექტიური ნიშნისათვის.

განაცხადში უნდა იქნეს წარმოდგენილი: განმცხადებლის ამოცნობისათვის საკმარისი მონაცემები, ნიშნის გამოსახულება დადგენილი ზომით, მითითება ფერზე ან ფერთა კომბინაციაზე, თუ დაცვა ფერადი სახით მოითხოვება; მითითება იმაზე ორგანზამილებიანი ნიშანია დაცვადი, თუ მოცულობითი; საქონლის ჩამონათვალი, დაჯგუფებული საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით; ნიშნის სიტყვიერი აღწერა (რას წარმოადგენს სიმბოლო), თუ ეროვნული განაცხადი ასეთ აღწერას შეიცავს და სხვა მონაცემებს.

განაცხადის მიწოდებისათვის უნდა იქნეს გადახდილი დადგენილი საერთაშორისო და ეროვნული უწყებისათვის განკუთვნილი საფასური. საერთაშორისო განაცხადი შეიძლება ეფუძნებოდეს ორ ან მეტ ეროვნულ განაცხადს. განაცხადი შეიძლება მიწოდებულ იქნეს წარმოშობის ქვეყნიდან, რომელიც შეიძლება იყოს მადრიდის კავშირის ის ქვეყანა: სადაც განმცხადებელს აქვს მოქმედი საწარმო; სადაც განმცხადებელს საცხოვრებელი ადგილი აქვს; რომლის მოქალაქეც არის განმცხადებელი. განმცხადებლად შეიძლება იყოს წარმოდგენილი რამდენიმე პირი. ხელშეკრულებისაგან განსხვავებით პროტოკოლი არ ითხოვს, რომ განმცხადებელი იყოს აუცილებელ კავშირში წარმოშობის ქვეყანასთან. საერთაშორისო განაცხადის შეტანის თარიღად ითვლება ეროვნული განაცხადის შეტანის დღე, თუ საერთაშორისო განაცხადი შეტანილ იქნა ამ დღიდან ორი თვის განმავლობაში. თუ არადა განაცხადის შეტანის თარიღი საერთაშორისო განაცხადის მიწოდების თარიღი იქნება. განმცხადებელი არ არის ვალდებული მიმართოს წარმომადგენელს – პატენტრწმუნებულს. მას იგი დასჭირდება მხოლოდ თუ მოუხდება შედავების შეტანა იმ ქვეყანაში, რომელიც უარს აცხადებს საერთაშორისო რეგისტრაციის თავის ტერიტორიაზე გავრცელებაზე. ეს უფლება უწყებას აქვს იმ შემთხვევაში, თუ განაცხადებული ნიშანი არ პასუხობს ზნეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის ნორმებს, ან აღიზიანებს რელიგიურ გრძნობებს (უცხო ენაზე დანერილი სიტყვა შეიძლება ქართულად უხამსად ან შეურაცხმყოფლად იყოს წაკითხული), ან თუ აღმოჩნდება, რომ ნიშნის საერთაშორისო

რეგისტრაცია არღვევს მოცემულ ქვეყანაში (მაგალითად საქართველოში) მესამე პირთა უკვე არსებულ უფლებებს.

მიღებული საერთაშორისო განაცხადი ეროვნული უწყების (მაგალითად "საქპატენტის") მიერ გადაიგზავნება საერთაშორისო ბიუროს მისამართით, რომელიც ამონებს განაცხადს ფორმალური მოთხოვნების მიმართ და ახდენს რეგისტრაციას საერთაშორისო რეესტრში. ამის შემდეგ საერთაშორისო ბიურო დაუყოვნებლივ აქვეყნებს მონაცემებს ოფიციალურ ბიულეტენში სახელწოდებით "WIPO Gazette of International Marks. Gazette OMPI des marques internationales", რომელიც ამ სახით გამოდის 1996 წლიდან. საერთაშორისო ბიურო დაუყოვნებლივ უგზავნის მონაწილე ქვეყნებს მონაცემებს საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ და ბიულეტენს. ამ მასალების მიღების შემდეგ აითვლება ეროვნული უწყების ვადა უარის თქმისათვის. თუ დადგინდა ვადაში ეროვნულმა უწყებამ არ განაცხადა უარი, მაშინ საერთაშორისო რეგისტრაცია მის ტერიტორიაზე ითვლება ძალის მქონედ და შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ სასამართლო გზით.

წარმოშობის ქვეყანად უცვლელად რჩება ის ქვეყანა, საიდანაც წარმოიშვა განაცხადი. ეს ვითარება არ იცვლება მაშინაც, როდესაც საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელობა სხვა ქვეყნის მოქალაქეს ან საწარმოს გადაეცემა. წარმოშობის ქვეყანაზე საერთაშორისო რეგისტრაციის ძალა არ ვრცელდება, რადგან საფუძველი ეროვნული განაცხადი ან რეგისტრაციაა.

რეგისტრაციის თარიღიდან საერთაშორისო რეგისტრაცია მონაწილე ქვეყნებში იგივე ძალის მქონეა, რა ძალაც ეროვნულს აქვს. განაცხადის მიწოდების ნაცვლად დასაშვებია საერთაშორისო რეგისტრაციის ძალის გავრცელება სასურველ ქვეყანაზე, ტერიტორიული გაფართოების მოთხოვნით.

საქონლის კლასები, რომლის მიხედვითაც განხორციელდა საერთაშორისო რეგისტრაცია არ განსაზღვრავს დაცვის მოცულობას, იგი დგინდება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.

თუ წარმოშობის ქვეყანაში ნიშნის რეგისტრაცია არ გაუქმდება 5 წლის განმავლობაში, მაშინ ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება წარმოშობის ქვეყანაში, მაგალითად სასამართლოს გადაწყვეტილებით, ველარ იქონიებს გავლენას საერთაშორისო რეგისტრაციაზე.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ პროტოკოლი ამტკიცებს თავის ეფექტურობას, რაც დასტურდება იმით, რომ მას პრაქტიკულად ყველა წამყვანი ქვეყანა მიუერთდა აშშ-ს ჩათვლით.

ამჟამად საქართველოში უცხო ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები სასაქონლო ნიშანზე უმთავრესად საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე იპოვებენ უფლებებს. საშუალო მაჩვენებლებით ყოველ-

ნლიურად საქართველოში პროტოკოლის მეშვეობით რეგისტრირდება 2000-ზე მეტი ნიშანი. საერთაშორისო რეგისტრაციას ახორციელებან აგრეთვე საქართველოში მოქმედი მენარმენი, რომლებიც პროტოკოლს იყენებენ პრაქტიკულად ყოველთვის, როდესაც უცხო ქვეყანაში სურთ მოიპოვონ უფლებები. ეს გასაგებიც არის, რადგან პროტოკოლი ხელსაყრელია, თუნდაც იმ გაგებით, რომ პატენტრწმუნებულისათვის გადასახდელი ხარჯები იზოგება იმ პროპორციით რამდენი ქვეყანაც არის არჩეული.

იმისათვის, რომ მადრიდის ხელშეკრულებამ თავისი მნიშვნელობა არ დაკარგოს პროტოკოლი ითვალისწინებს ნორმას, რომლის თანახმადაც: თუ საერთაშორისო განაცხადის წარმოშობის ქვეყანა იმავდროულად მადრიდის ხელშეკრულების მონაწილეა, მაშინ პროტოკოლი არ გამოიყენება იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ასევე მადრიდის ხელშეკრულებისა და პროტოკოლის წევრები არიან. ამ შემთხვევაში საერთაშორისო განაცხადი შეიძლება დაფუძნებულ იქნეს მხოლოდ ეროვნულ რეგისტრაციაზე და, საერთოდ, გამოიყენება მხოლოდ მადრიდის ხელშეკრულება, ანუ მოქმედებს მადრიდის ხელშეკრულების შენარჩუნების დებულებები.

10. შეთანხმება ყალბი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების თავიდან აცილებისა და აღმკვეთი ზომების შესახებ

1999 წლის 4 ივნისს ხელი მოეწერა დსთ ქვეყნების შეთანხმებას, რომელიც გამიზნულია მხარეთა ტერიტორიებზე საქონლის გასაღებისას ყალბი სასაქონლო ნიშნების ან გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების არდაშვება. იგი შემუშავდა და წარდგენილ იქნა ხელმოსაწერად საქართველოს ინიციატივით, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტის" სპეციალისტებმა. საქართველოსათვის ყალბი სასაქონლო ნიშნების ან გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების დაუშვებლობა დსთ ქვეყნების ტერიტორიებზე (არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ საკითხის მოგვარება ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ტერიტორიებზეც) ძალზე მნიშვნელოვანია განთქმული ქართული ღვინოების (ხვანჭყარა, ქინძმარაული, წინანდალი და ა.შ.), კონიაკის (გრემი, ვარციხე და სხვ) და მინერალური წყლების (ბორჯომი) ათწლეულების მანძილზე ფართო გამოყენებით მოხვეჭილი განსაკუთრებული სახელის (გუდვილის) შესანარჩუნებლად, რაც ხელსაყრელი და მომგებიანი პირობებით, საქართველოში წარმოებული პროდუქციის გასაღების საწინდარია. შეინიშნებოდა ისეთი ვითარება (იგი დღესაც არ არის ჯერ აღმოფხვრილი), რომ ქართული ღვინისა და კონიაკის სახელი მკვეთრად ილახებოდა, მასობრივი ფაქტორების გამო.⁸

მოცემული შეთანხმება შედგება პრეამბულისა და 31 მუხლისაგან. იგი ეყრდნობა 1993 წლის შეთანხმებებს: სამრეწველო საკუთრების დაცვის ღონისძიებათა და სამრეწველო საკუთრების დაცვის საკითხებზე სახელმწიფოთაშორისი საბჭოს შექმნის შესახებ; ურთიერთშეთანხმებული ან-

⁸ უნდა გავიხსენოთ 1992 წელი, როდესაც ჯერ კიდევ "საქპატენტის" ჩამოყალიბებამდე არსებულმა საპატენტო ექსპერტიზის ცენტრმა "პატენტცენტრმა" წერილობით მიმართა და რამდენიმეჯერ შეხვდა მაშინდელი "სამტრესტის" ხელმძღვანელობას, რათა იმთავითვე მიღებულიყო შესაბამისი ზომები ტრადიციულ ბაზარზე ქართული ღვინისა და კონიაკის განთქმული სახელწოდებების სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად. იგივე გაკეთდა მინერალურ წყლებთან დაკავშირებით. სამწუხაროდ "პატენტცენტრის" მცდელობა მაშინ ვერ იქნა გაგებული შესაბამისი ორგანოების მიერ. შედეგად, საკითხი დღესაც არ არის გადაწყვეტილი, რადგან სამშობლოშიც კი - საქართველოში განთქმული სახელწოდებები, რომლებიც საქონლის ადგილწარმოშობას უკავშირდება, დღესაც არ არის დაცული. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ კანონი საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ 1999 წელს იქნა მიღებული და დაცვის მექანიზმის არ არსებობის გამო ღვინის და კონიაკის, აგრეთვე მინერალური წყლების განთქმული დასახელებების დაცვა დღემდე ვერ მოხერხდა.

ტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარების შესახებ და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამართალდარღვევათა აღკვეთისადმი მიმართული თანამშრომლობის შესახებ 1998 წლის ხელშეკრულებებს.

პრეამბულის მიხედვით განსახილველი შეთანხმების მიზანი ყალბი აღნიშვნების გამოყენების აღკვეთისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება ქვეყნების მიერ ურთიერთკოორდინაციის საფუძველზე.

მოცემულია ტერმინთა: "საქონელი", "სასაქონლო ნიშანი", "გეოგრაფიული აღნიშვნა", "ყალბი სასაქონლო ნიშანი", "დაცვის სამართლებრივი საშუალებანი" და "დაინტერესებული მხარე" განმარტებები. პირველ სამ ტერმინზე არ შეეჩერდებით, რადგან მათი განმარტება არ განსხვავდება საქართველოში, ან სხვა ქვეყანაში მიღებულისაგან. ყალბ სასაქონლო ნიშნად იგულისხმება არამართლზომიერად, ანუ უფლებათა მფლობელის თანხმობის გარეშე გამოყენებული, ან მომხმარებლის თვალში შეცდომის (ცრუ მინიშნების) გამომწვევი სასაქონლო ნიშანი. დაცვის სამართლებრივ საშუალებებად მიიჩნევა მხარეთა სამართლებრივი რეჟიმით დაშვებული ღონისძიებათა კომპლექსი, მიმართული ყალბი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების აღკვეთისაკენ. დაინტერესებული მხარე ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც ჩართულია ნამდვილი საქონლის წარმოებასა, გასაღებასა ან მოხმარებაში და რომელიც საქმიანობს საქონლის წარმოშობის ადგილად ყალბად მინიშნებულ ადგილას (რაიონში, ქვეყანაში სადაც ეს ადგილი მდებარეობს); ან ყალბად მითითებულ ქვეყანაში, ან ქვეყანაში, სადაც გამოიყენება ყალბი გეოგრაფიული აღნიშვნა ან ყალბი სასაქონლო ნიშანი.

განსაზღვრულია, რომ მხარეები თანამშრომლობენ: ყალბი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების გამოვლენისა და აღკვეთის საკითხებში; საკუთარი საბაჟო საზღვრების გავლით შეთანხმების სხვა მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე ისეთი საქონლის გაშვების სანადალმდეგო ზომების მიღების საკითხებში, რომლებზეც დატანილია ყალბი სასაქონლო ნიშნები და გეოგრაფიული აღნიშვნები. მხარეებმა ივალდებულეს ერთობლივი ქმედებების განხორციელება.

აგრეთვე მხარეებმა ივალდებულეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უარი თქვან სასაქონლო ნიშნად რეგისტრირებაზე ან უფლებების გადაცემაზე, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გაბათილებაზე, თუ ამას დაინტერესებული მხარე დასაბუთებულად მოითხოვს. აღნიშნული ქმედებები განხორციელდება იმ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნის შესაბამისი სასაქონლო ნიშანი შედგება ან შეიცავს ცრუ მინიშნების მქონე ან აღრევის გამომწვევ გეოგრაფიულ აღნიშვნას.

შეთანხმების დანარჩენი მოთხოვნები და დებულებები არ განსხვავდება ინტელექტუალურ საკუთრებითი ვაჭრობის თანხვედრი უფლებების შესახებ (TRIPS) ხელშეკრულებისაგან, რის გამოც შემდგომ განხილვას

მიზანშეწონილად აღარ მივიჩნევთ.⁹ ამ შეთანხმების ფარგლებში სამრეწველო საკუთრების დაცვის საკითხებზე სახელმწიფოთაშორისი საბჭოს 2002 წლის ივნისის სხდომაზე მოგვარდა ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი – ქვეყნების სრულუფლებიანი წარმომადგენლები შეთანხმდნენ საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებების ერთიანი რეესტრის შექმნის თაობაზე. საბჭოს სხდომაზე საკითხი გაიტანა საქართველოს სახელით დამკვირვებლის სტატუსით მოქმედმა “საქპატენტის” გენერალურმა დირექტორმა.

⁹ ჩვენი აზრით TRIPS-ის მსგავსი ხელშეკრულების დადება დსთ ფარგლებში გამართლებული არ იყო, რადგან იგი არ ითვალისწინებს ქვეყნების მიერ ყალბი აღნიშვნების გამოყენების სანინაარმდეგო კონკრეტულ სამართლებრივ ზომებსა და საშუალებებს. შესაბამისად, 1999 წელს დადებული განსახილველი შეთანხმებით კონკრეტული ზომების გატარება დღესაც ვერ ხერხდება მონაწილე ქვეყნებში და ვერ მოხერხდება კიდევ საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში. უფრო მართებულად გვესახება ორმხრივი ხელშეკრულებები დადებულიყო და პარიზის კონვენციის შესაბამისი მუხლების გამოყენების საფუძველზე კონკრეტული ღონისძიებები მიღებულიყო. თავის დროზე ეს აზრი ჩვენ გამოვთქვით მოცემულ სფეროში პოლიტიკის გამტარებელ კომპეტენტურ პირთა წინაშე.

11. ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარების შესახებ

დსთ ფარგლებში არსებულ შეთანხმებათა რიცხვიდან ერთერთი პირველი იყო 1993 წლის 12 მარტს მთავრობათა ხელმძღვანელების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ურთიერთშეთანხმების შესახებ და იმავე წლის 23 დეკემბერს მის საფუძველზე მიღებული ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარების შესახებ. ამ უკანასკნელმა ხელშეკრულებამ თავისი მოქმედება შეწყვიტა 2000 წლის 25 იანვარს, იმავე სათაურით ახალი ხელშეკრულების მიღების გამო, რომლის მოკლე მიმოხილვასაც წარმოვადგენთ ქვემოთ, იმ ძირითადი დებულებების გაშუქებით, რომლებიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციას ეხება. ხელშეკრულებას განუყოფელ ნაწილად ერთვის ორი დანართი: 1. "დებულება მონოპოლისტური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისადმი მიმართული სახელმწიფოთაშორისი ერთობლივი ქმედებების შესახებ"; 2. "დებულება ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფოთაშორისი საბჭოს შესახებ".

ხელშეკრულება მიზნად ისახავს ერთობლივი მოქმედებების კოორდინირებას მონოპოლისტური საქმიანობის ან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის არ დაშვების, შეზღუდვისა და აღკვეთისათვის; მონაწილე ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას; კონკურენციის განვითარებისათვის, სასაქონლო ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის, აგრეთვე მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის შესაბამისი პირობების შექმნას; მენარმე სუბიექტების მონოპოლისტური საქმიანობის შეფასების განხილვის წესის და შეფასების ერთმანეთთან შეთანხმებას და ამ საფუძვლებზე თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბებას.

ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და 7 მუხლისაგან, აგრეთვე, ზემოთ მითითებული 2 დანართისაგან. 1-ლი მუხლი შეიცავს შემდეგ ტერმინთა განმარტებას: "მეურნე სუბიექტი", "სასაქონლო ბაზარი", "კონკურენცია", "დომინირებული მდგომარეობა", "მონოპოლისტური საქმიანობა", "არაკეთილსინდისიერი კონკურენცია", "ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა", "ანტიმონოპოლიური ორგანო", "მოკვლევა (გამოკვლევა)".

კონკურენციად მიიჩნევა მეურნე სუბიექტების შეჯიბრითობა, როდესაც მათ მიერ დამოუკიდებლად განხორციელებული მოქმედებები ეფექტურად ზღუდავს ყოველი მათგანის ცალმხრივად ზემოქმედების შესაძლებლობას საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე, შესაბამის სასაქონლო ბაზარზე, რაც ხელს უწყობს მოხმარებლისათვის საჭირო საქონლის წარმოებას.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია განმარტებულია როგორც მეურნე სუბიექტების ნებისმიერი მოქმედებები (უმოქმედება), რომლებიც მი-

მართულია სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობის მოპოვებისაკენ, თუ ეს მოქმედებები ენიანაღმდეგება ეროვნულ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, საქმიანი მიმოქცევის ჩვეულებებს და თუ მათ შეუძლია მიაყენოს, ან უკვე მიაყენეს ზიანი მენარმე სუბიექტებს, ან საქმიან რეპუტაციას.

მე-3 მუხლი ადგენს კონკურენციის განვითარების ზოგად პრინციპებს და დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებიც ეროვნული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის თანახმად კვალიფიცირდება როგორც კონკურენციის შემზღუდავი ან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამომხატველი ქმედებები ან, სხვა მართლზომიერად მოქმედი მეურნე სუბიექტებისათვის ან მომხმარებლებისათვის ზიანის მიმყენებელი ქმედებები. ამავე მუხლით ჩამოთვლილია, აგრეთვე, თუ რა მიეკუთვნება დომინირებული მდგომარეობით ბოროტად სარგებლობას, მენარმე სუბიექტების მიერ დადებულ ანტიკონკურენტულ ხელშეკრულებებს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებას.

იმის გამო, რომ ქმედებათა ჩამონათვალი, რომლებიც განსაზვრავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას უფრო სრულია და დახვენილია ვიდრე მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონით არის მოცემული, მთლიანად და სიტყვა-სიტყვით წარმოვადგენთ მათ (რუსული ტექსტიდან ჩვენეული თარგმნით).

“არაკეთილსინდისიერი კონკურენციაა, კერძოდ:

ცრუ, უზუსტო ან დამახინჯებული ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებსაც შეუძლიათ მიაყენონ ზიანი სხვა მეურნე სუბიექტს, ან მის საქმიან რეპუტაციას;

მომხმარებლის შეცდენა საქონლის ხასიათის, სამომხმარებლო თვისებებისა და ხარისხის, აგრეთვე, დამზადების ხერხისა და ადგილის თაობაზე;¹⁰

მენარმე სუბიექტის მიერ განხორციელებული სარეკლამო საქმიანობის მსვლელობისას არაკორექტული შედარების გაკეთება მის მიერ წარმოებული ან გასასაღებლად გამოტანილი საქონლისა სხვა მენარმე სუბიექტების საქონელთან;

სხვა მენარმე სუბიექტის სასაქონლო ნიშნის, საფირმო სახელწოდების ან საქონლის მარკირების თვითნებური გამოყენება, აგრეთვე საქონლის შეფუთვის, გარეგანი გაფორმების თვითნებური კოპირება;

მფლობელის თანხმობის გარეშე სამეცნიერო-ტექნიკური, სანარმოო

¹⁰ ხელშეკრულების ამ ნორმის სხვა პირობებისა და მოთხოვნების გამოყენებით, აგრეთვე პარიზის კონვენციის გათვალისწინებით შესაძლებელია დსთ ქვეყნების ტერიტორიებზე საქონლის ადგილწარმოშობის მიმნიშნებელი აღნიშვნების, განსაკუთრებით ამ ტერიტორიებზე საყოველთაოდ ცნობილი აღნიშვნების, დაცვა.

ან სავაჭრო ინფორმაციის, მათ შორის კომერციული საიდუმლოების მოპოვება, გამოყენება და გათქმა.”

ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები ეხება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების განხორციელებას, კანონმდებლობის დაახლოებას, სახელმწიფოთაშორისი საბჭოს დაფუძნებას და სხვა საკითხებს.

12. ხელშეკრულება ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანხვედრი უფლებების შესახებ, კონტრაფაქციული საქონლით ვაჭრობის ჩათვლით (TRIPS)

სანამ უშუალოდ ამ ხელშეკრულების შინაარსს შევხებოდეთ, აღვნიშნავთ, რომ მისი დადება განპირობებული იყო უკვე არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, მათ შორის პარიზის კონვენციაში ისეთი ქმედითი ფაქტორების უქონლობით, რომლებიც აბრკოლებდნენ და კვლავაც აბრკოლებენ ინტელექტუალური საკუთრების დაცვას საერთაშორისო, თუ ეროვნულ, დონეზე. საქმე იმაშია, რომ პარიზის კონვენცია, ისევე როგორც ბერნის კონვენცია, ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ, ეროვნული რეჟიმის პრინციპისა და საპრიორიტეტო შეღავათების გარდა, სხვა არსებით სავალდებულო ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამრეწველო საკუთრების (ასევე საავტორო უფლებების) დაცვას არ შეიცავენ. უფლებათა განხორციელების უზრუნველყოფა გადატანილია ეროვნულ კანონმდებლობაზე, თავად ხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულებები კი არ აწესებენ ამ მიმართებაში რაიმე მინიმალურ მოთხოვნებს. თანამედროვე ცხოვრება გამოირჩევა თავისი დინამიზმით. ჩვენ იმის მოწმენი ვართ, თუ რამდენად სწრაფად იცვლება ვითარება ცხოვრების ყველა სფეროში, როგორი ინტენსიურობით ვითარდება საერთაშორისო ურთიერთობები და განსაკუთრებით ვაჭრობა. ასეთი ვითარება დღის წესრიგში აყენებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ქმედითი უზრუნველყოფის საკითხს, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია გაცხოველებული ვაჭრობის დროს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მსოფლიოში იმართება მრავალმხრივი შეხვედრები და მოლაპარაკებები, რომელთა დროსაც მხარეები ეძებენ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხების გადანყვეტის გზებს. ერთ-ერთი ასეთი საერთაშორისო მრავალმხრივი მოლაპარაკება გაიმართა ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების (GATT) ეგიდით, რომელიც ურუგვაის რაუნდით არის ცნობილი და რომლის შედეგებიც აისახა 1993 წლის 15 დეკემბრის შეჯამებულ დოკუმენტში.

ხელშეკრულება, რომელშიც გადმოიცა ურუგვაის რაუნდის შედეგები, იქცა ახალ ფუძემდებლურ შეთანხმებად, რომელმაც დააფუძნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (შემოკლებით ვიხმართ "ემო", ინგლისური შემოკლებაა – "WTO", რუსული – "BTO"). ხელშეკრულება მონონებულ იქნა და ხელი მოეწერა 1994 წლის 15 აპრილს მარაკეში. ემო-ს დამფუძნებელი შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანართი გახდა ხელშეკრულება ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანხვედრი უფლებების შესახებ (TRIPS). მარაკეში ხელმოწერილი ხელშეკრულება ძალა-

ში შევიდა 1995 წლის I იანვარს და მასთან ერთად ფუნქციონირება დაიწყო ახალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ.

ვმო-ს წვერი ქვეყნები, მათ შორის საქართველო (1999 წლის ოქტომბრიდან), ვალდებულნი გახდნენ შეასრულონ TRIPS-ის მოთხოვნები და ამის უზრუნველსაყოფად დაწესდა I-წლიანი გარდამავალი პერიოდი. ვმო-ს მონაწილე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის TRIPS-ის ძალაში შესვლისთვის დაწესდა 4-წლიანი პერიოდი. აღნიშნული პერიოდი არ ვრცელდება იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ეროვნულ რეჟიმსა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს ეხება.

ვმო-ს დამფუძნებელი ხელშეკრულებით დაწესდა TRIPS-ის საბჭო, რომლის ფუნქციაა მეთვალყურეობა გაუნიოს TRIPS-ის ცხოვრებაში გატარებას. ეს საბჭო გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ მოამზადებს მიმოხილვით დასკვნას თუ როგორ შესრულდება TRIPS-ის მოთხოვნები.

TRIPS-ის საბჭო თავის საქმიანობას აწარმოებს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირში. ამას თავად TRIPS-ის ხელშეკრულება განაპირობებს, რომლის პრეამბულაში აღნიშნულია: "გააჩნიათ რა იმის სურვილი, რომ ვმო-სა და ისმო-ს შორის დაამყარონ ურთიერთ დახმარებისაკენ მიმართული ურთიერთობანი...".

TRIPS-ი მუხლით 63.2 მოითხოვს კონსულტაციების გამართვას ისმოსა და ვმო-ს შორის ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება ქვეყნის მიერ წარმოდგენილ კანონების შესაბამისობას ამ ხელშეკრულებისადმი. TRIPS-ის საბჭო ვალდებულია, აგრეთვე, მხედველობაში იქონიოს მხარეების მიერ პარიზის კონვენციის ხტერ მუხლის შესრულება, რომელიც ქვეყნის ოფიციალური სამბოლიკის გამოყენებას ეხება.

TRIPS-ის მთავარი მიზანია ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, რაც აუცილებელი პირობაა კეთილსინდისიერი საქმიანობის განხორციელებისათვის. თუ ამ ხელშეკრულების მოთხოვნებს ვერ შეასრულებს რომელიმე სახელმწიფო, ის ვმო-ს წვერი ვერ გახდება. ამის გამო, ამჟამად, მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, მიმდინარეობს ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის გადასინჯვა TRIPS-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. საქართველოს კანონმდებლობაც უნდა შემონმდეს ყურადღებით – როგორც მოქმედი, ასევე კანონპროექტები. TRIPS-ის ნორმების შინაარსის გადმოცემისას შევეცდებით მცირე შედარება მოვახდინოთ და გამოვთქვათ საკუთარი შეხედულება.

TRIPS-ი შეიცავს VI ნაწილს.

ნაწილი I. ზოგადი დებულებანი და ძირითადი პრინციპები

ეს ნაწილი შედგება 8 მუხლისაგან. პირველი მუხლით განსაზღვრულია ვალდებულებათა ხასიათი და მოცულობა. მასში ნათქვამია, რომ ინტელექტუალური საკუთრების ქვემ იგულისხმება ობიექტები, რომლებიც მოყვანილია მეორე ნაწილის 1-7 განყოფილებებში. ამ ობიექტთა შორის არ ფიგურირებს სამრეწველო საკუთრების ისეთი ობიექტი, როგორც არის სასარგებლო მოდელი. გამომდინარე აქედან, ქვეყანას შეუძლია, მაგრამ ვალდებული არ არის უზრუნველყოს სასარგებლო მოდელის დაცვა. ეს ნაწილი აწესებს, რომ მონაწილე ქვეყნები ვალდებულნი არიან შეასრულონ პარიზის კონვენციის 1-12 და 19 მუხლის მოთხოვნები.

მოცემულია, აგრეთვე, ეროვნული რეჟიმის პრინციპის შესრულების ვალდებულება, რომელიც სრულად ეთანადება პარიზის და ბერნის კონვენციის მოთხოვნებს.

გათვალისწინებულია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მოთხოვნა, რაც არ არის არც ერთ სხვა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაში. ამ პრინციპის თანახმად, ყველა ქვეყანა ვალდებულია ემო-ს მონაწილე ყველა ქვეყანას მიანიჭოს იგივე შეღავათები, პრივილეგიები და იმუნიტეტი, რასაც ის ანიჭებს რომელიმე ერთ ქვეყანას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში. ეს პირობა ვრცელდება ყველა სხვა ქვეყანაზე დაუყოვნებლივ და ყოველგვარი პირობის გარეშე.

აღნიშნულია, რომ უფლებათა ამონურვის განსაზღვრისათვის TRIPS-ის დებულებები არ უნდა იქნენ გამოყენებული. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის თაობაზე მე-3 და მე-4 მუხლის მოთხოვნები.

ამ ნაწილში ცალკე მუხლად არის ჩამოყალიბებული TRIPS-ის მიზნები (მუხლი 7): "...ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა დაცვა და განხორციელება ხელს უწყობდეს ტექნოლოგიურ ინოვაციებს და მათ გადაცემასა და გავრცელებას...".

ნაწილი II. ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა ხელმისაწვდომობის, ფარგლების და გამოყენების პირობები

ეს ნაწილი შედგება 8 განყოფილებისაგან და სულ შეიცავს 32 მუხლს (მუხლები 9-40).

პირველი განყოფილება ეხება საავტორო და მომიჯნავე უფლებებს და შეიცავს 6 მუხლს (9-14). მოთხოვნები, ჩამოყალიბებული ამ განყოფილებაში, იგივეა, რაც ბერნის კონვენციაში არის ასახული და სავალდებულოა შესასრულებლად. ამასთან, დებულებებიც, რომელთა შესრულება სავალ-

დებულო არ არის, კერძოდ, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ვმო-ს ნეერი ქვეყნები არ არიან შებოჭილი ამ ხელშეკრულების ძალით, რაიმე ვალდებულებით და არ არიან აღჭურვილი რაიმე უფლებით ბერნის კონვენციის ბზის მუხლის მიმართ. ეს მუხლი ეხება არაქონებრივ უფლებებს და, ამდენად, გასაგები არის TRIPS-ის პოზიცია, რადგან აღნიშნული უფლებები ვაჭრობის თანხედრი ვერ იქნებიან. ამავე მუხლის მეორე პუნქტი ანებს, რომ საავტორო უფლებათა დაცვა ვერ გავრცელდება იდეებზე, ტექნოლოგიურ პროცესებზე, მუშაობის პრინციპებზე და მათემატიკურ კონცეფციებზე. ბერნის კონვენციაში ეს მოთხოვნა პირდაპირ არ არის გადმოცემული, მაგრამ, ჩვენის აზრით, განსხვავება ამ ორ საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის არ არის, რადგან იდეები და ა.შ. "ნაწარმოებად" ვერ იქნება განხილული, რომელსაც ბერნის კონვენცია იცავს.

TRIPS-ი შეიცავს კომპიუტერული პროგრამების დაცვის პირობას, როგორც ნაწარმოებისა. აღნიშნული პირობა შეიძლება შესრულდეს საავტორო უფლებათა კანონმდებლობით (ლიტერატურული ნაწარმოების დაცვის მსგავსად) ბერნის კონვენციის თანახმად. ასეთი მოთხოვნა იმის შედეგია, რომ ბერნის კონვენცია პირდაპირ არ ითვალისწინებს კომპიუტერული პროგრამის დაცვას.

გარდა აღნიშნულისა, მე-11 მუხლი ავალდებულებს TRIPS-ის მონაწილე ქვეყნებს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კომპიუტერულ პროგრამებზე და კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე მაინც გაქირავების უფლება. ამასთან, კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებით გაქირავების უფლების დანესება შეიძლება იყოს დამოკიდებული იმაზე, თუ რა რაოდენობით იქნა გამრავლებული ასლები კომერციული გაქირავების შედეგად. თუ ასლები გამრავლდა ისეთი რაოდენობით, რომ მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა განსაკუთრებული უფლების მფლობელ პირს, მაშინ გაქირავების უფლების დანესება სავალდებულო იქნება.

რაც შეეხება კომპიუტერული პროგრამის გაქირავების უფლებას, აღინიშნება, რომ ეს უფლება არ მოიცავს ისეთ გაქირავებას, რომელსაც განსაკუთრებით უშუალოდ კომპიუტერული პროგრამა არ წარმოადგენს, ანუ თუ გაქირავებისას კომპიუტერული პროგრამა მეორეხარისხოვანია.

მე-14 მუხლი ვრცელდება შემსრულებელთა, ფონოგრამის მწარმოებელთა (გამსალებელთა) და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებებზე. ეს მუხლი ძირითადად სრულ თანხმობაშია რომის კონვენციასთან, თუმცა შეიცავს განსხვავებულ დებულებასაც ფონოგრამებთან დაკავშირებით. კერძოდ, ქვეყნები ვალდებული არიან გაანესონ ფონოგრამის გაქირავების უფლება და გაავრცელონ ის.

ეს უფლება ფონოგრამის გამამსალებელზე. რაც შეეხება ავტორებსა და შემსრულებლებს, რომელთა ნაწარმოები, ან შესრულება არის ფონოგრამაზე ჩანერილი, მათზე გაქირავების უფლების გავრცელება ქვეყნის

ნებაზეა დამოკიდებული. მათზე გაქირავების უფლების გავრცელება და-საშვებია, თუ ფონოგრამის დამამზადებელს არ მიადგება ქონებრივი ზი-ანი.

საქართველო პირველი განყოფილების მოთხოვნებს მთლიანობაში აკ-მაყოფილებს. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა საქარ-თველოს საავტორო სამართალი, რომელმაც გაიზიარა ბერნისა და რომის კონვენციის, აგრეთვე, TRIPS-ის განხილული განყოფილების მოთხოვნე-ბი.

მეორე განყოფილება მთლიანად ეხება სასაქონლო ნიშნებს და შეიცავს მუხლებს 15-21.

ჩამოყალიბებულია შემდეგი პირობები და მოთხოვნები:

- ნიშანი განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ხილვადი აღნიშვნა. ქვეყნებს უფლება აქვთ გაითვალისწინონ სასაქონლო ან მომსახურე-ბის ნიშნად სხვა სახის აღნიშვნების დაცვაც.
- ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება იყოს დამოკიდებული მის გამოყენე-ბაზე, მაგრამ ასეთმა პირობამ ხელი არ უნდა შეუშალოს განაცხადის მიწოდებას. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ნიშანი, განაცხადის მიწოდე-ბის დღიდან სამი წლის განმავლობაში, არ გამოიყენებოდა, არ უნდა იყოს განაცხადის უარყოფის ერთადერთი მიზეზი.
- საქონლის ნაირსახეობა არ შეიძლება იქცეს ნიშნის რეგისტრაციის და-მაბრკოლებელ გარემოებად.
- ემო-ს მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ მონა-ცემები სასაქონლო ნიშანზე. გამოქვეყნება უნდა მოხდეს ან რეგისტ-რაციამდე, ან დაუყოვნებლივ რეგისტრაციის შემდეგ. ქვეყნებმა, მე-სამე პირთათვის, უნდა გაითვალისწინონ სარჩელის შეტანის შესაძ-ლებლობა ნიშნის ბათილად ცნობის შესახებ. ეს აუცილებელი პირო-ბაა. ამასთან ერთად, მხარეებს უფლება აქვთ გაითვალისწინონ შედა-ვებების შესაძლებლობა ნიშნის რეგისტრაციამდე. ეს პირობა შეიძლე-ბა შესრულდეს, თუ ნიშანი გამოქვეყნდა რეესტრში შეტანამდე.
- რეგისტრაციით მოპოვებული განსაკუთრებული უფლებები უნდა შე-იცავდეს ნიშნის მფლობელის უფლებას, რომ მან აუკრძალოს ნების-მიერ პირს იდენტური ან მსგავსი აღნიშვნების გამოყენება იდენტურ ან მსგავს საქონელზე. იგივე შედეგი იგულისხმება, თუ საქონელი და მომსახურება იდენტურია. TRIPS-ი აქვე, მე-16 მუხლში, ითვალისწი-ნებს, აგრეთვე, საყოველთაოდ ცნობილი ნიშნების დაცვის გაფართო-ებას და მიუთითებს პარიზის კონვენციაზე.
- დაიშვება გამონაკლისების დანესება, როდესაც განსაკუთრებული უფ-ლება ვერ გავრცელდება, მაგალითად, აღწერილობით ფრაზაზე. თუ ამ ფრაზას მესამე პირი კეთილსინდისიერად იყენებდა, ან იყენებს და მისი ინტერესების სფეროში კანონისმიერად შედის ასეთი გამოყენე-

ბა, მაშინ განსაკუთრებული უფლება შეიძლება შეიზღუდოს და შეიკვეცოს აღნიშნული ქმედებით. ეს პირობა საქართველოს კანონმდებლობით სასაქონლო ნიშნების შესახებ გათვალისწინებული არ არის.

- რეგისტრაცია და ნიშნის რეგისტრაციის ყოველი მომდევნო გაგრძელება უნდა ხდებოდეს არანაკლებ 7 წლის ვადით.
- თუ რეგისტრაციის შენარჩუნებისათვის ან გაგრძელებისათვის დათქმულია ნიშნის აუცილებელი გამოყენების პირობა, მაშინ რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ ნიშნის უწყვეტად არ გამოყენების შემთხვევაში 3 წლის განმავლობაში მაინც. ამასთან, რეგისტრაცია გაუქმდება მხოლოდ მაშინ, თუ მფლობელმა ვერ გაამართლა უმოქმედება პატივსადები მიზეზით.
- ვაჭრობისას ნიშნის გამოყენება არ შეიძლება იქნეს შეზღუდული რაიმე ისეთი პირობით, რომელიც ავალდებულებს მფლობელს საკუთარი ნიშნის სხვა სასაქონლო ნიშანთან ერთად გამოყენების, ან სპეციალური რაიმე ფორმით გამოყენებას და ა.შ. ამასთან, ეს პირობა არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება დანესდეს მოთხოვნა აუცილებელ გამოყენებაზე ისეთი ნიშნებისა, რომლებიც ემსახურებიან სანარმოს და საქონლის გამოცნობას. ასეთი ნიშნების ერთმანეთთან ერთად (შერწყმულად) გამოყენების მოთხოვნა არ შეიძლება იქნეს დაშვებული. საქართველოს კანონმდებლობა ასეთ ნორმას არ შეიცავს.
- არ არის დაშვებული იძულებითი ლიცენზირების დანესება. ამასთან, მფლობელს უნდა ჰქონდეს უფლება ნიშნის გადაცემაზე, როგორც სანარმოსთან ერთად, ასევე სანარმოს გარეშეც.

მესამე განყოფილება ეხება გეოგრაფიულ აღნიშვნებს და მოიცავს სამ მუხლს: 22-24.

ტერმინი "გეოგრაფიული აღნიშვნა" საერთაშორისო სამართალში პირველად TRIPS-ის ხელშეკრულებას შემოაქვს. ეს ტერმინი განიმარტება როგორც აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს, რომ საქონელი წარმოშობილია ვმოს-ს მონაწილე ქვეყნიდან, მისი რეგიონიდან ან ადგილიდან. ამასთან, საქონლის განსაკუთრებული ხარისხი, რეპუტაცია, ან სხვა თვისება თუ მახასიათებელი უმთავრესად უნდა იყოს დამოკიდებული მის გეოგრაფიულ წარმოშობაზე. ეს განმარტება კრებითია და შეიცავს წარმოშობის აღნიშვნასა და ადგილწარმოშობის დასახელებას. ეს საკითხი ადრე უკვე განვიხილეთ, ამდენად, აღარ შევჩერდებით მასზე.

მესამე განყოფილების მუხლები მხარეებისაგან ითხოვს:

- გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისი საშუალებანი, რომ არ იქნეს გამოყენებული შეცდომაში შემყვანი აღნიშვნები ნამდვილი გეოგრაფიული აღნიშვნის მიმართ; აკრძალულ იქნეს ქმედებანი გეოგრაფიული აღნიშვნასთან დაკავშირებით, რომლებიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენენ.

- ex officio ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით უნდა იყოს აკრძალული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, ან შესაძლებელი უნდა იყოს მისი გაბათილება, თუ ის შეიცავს გეოგრაფიულ დასახელებას, რომელიც მოცემულ საქონელთან კავშირში არ არის.
- შეიძლება იყოს დაცული ისეთი გეოგრაფიული დასახელება, რომელიც ჭეშმარიტია, როგორც მოცემული გეოგრაფიული ადგილის დასახელება, მაგრამ ქმნის შთაბეჭდილებას თითქოს საქონელი სხვა ტერიტორიიდან არის წარმოშობილი. ამგვარი აღნიშვნის მაგალითად, ჩვენის აზრით, გამოდგება ლუდის ცნობილი აღნიშვნა "PILSEN". თავად გეოგრაფიული ადგილი წარმოადგენს ქალაქს ჩეხეთში, ხოლო აღნიშვნას იყენებენ როგორც ჩეხი, ასევე გერმანელი მწარმენი.
- უნდა იყოს დაწესებული ისეთი შესაძლებლობანი, რომ აღიკვეთოს გამოყენება გეოგრაფიული აღნიშვნისა ღვინისთვის, თუ სინამდვილეში ღვინო იმ ადგილიდან არ არის წარმოშობილი, იგივე პირობა საქმიანობად არის დათქმული 23-ე მუხლით მაგარი სასმელებისათვის. ამასთან, TRIPS-ის ეს მუხლი ეყრდნობა ლისაბონის ხელშეკრულებას და კრძალავს ისეთი აღნიშვნების გამოყენებასაც, რომლებიც შეიცავენ ფრაზას: "ტიპის", "სახის", "სტილის", "მაგვარი", "მსგავსი", "იმიტაცია" და სხვა. ეს ქმედება აკრძალულია, თუ გეოგრაფიული აღნიშვნა სწორად არის ნაჩვენები. მაგალითად, აიკრძალება აღნიშვნა "მუკუზუნის ტიპის", "წინანდლის მსგავსი" და სხვა. აკრძალულია ღვინოებისათვის, ან მაგარი სასმელებისთვის გეოგრაფიული აღნიშვნის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია, თუ წარმოშობა და აღნიშვნა ერთმანეთს არ შეეფერება.
- თუ ღვინოებს ერთნაირი გეოგრაფიული აღნიშვნა გააჩნია, მაშინ დაცვა ორივე გეოგრაფიულ აღნიშვნას მიენიჭება. ამასთან, უნდა დაწესდეს რაიმე განმასხვავებელი ელემენტების დამატება.

ამ განყოფილების დანარჩენი მოთხოვნები ეხება საერთაშორისო მოლაპარაკებების გამართვასა და გამონაკლისებს. აღსანიშნავია 24-ე მუხლის მოთხოვნა, რომ ვმო-ს ქვეყნებს უფლება არ აქვთ შეამცირონ გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვის მოცულობა, იმასთან შედარებით, რაც არსებობდა წარმოშობის ქვეყანაში მისი ვმო-ში განვერიანებამდე. ამასთან, ვერ აიკრძალება ერთნაირი, ან მსგავსი გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეთა მიერ, თუ ისინი ამ აღნიშვნით კეთილსინდისიერად სარგებლობდნენ (იყენებდნენ) არანაკლებ 10 წელიწადს 1994 წლის 15 აპრილამდე. ამავე მუხლში გათვალისწინებულია, რომ ვერ აიკრძალება ვაჭრობისას საკუთარი სახელის გამოყენება, თუ ასეთი გამოყენება შეცდომაში შემყვანი არ არის. TRIPS-ის პირობები არ ავალდებულებენ მხარეებს დაიცვან ის გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც არ არიან დაცულნი, ან მათი დაცვა შეწყდა წარმოშობის ქვეყანაში.

საქართველოში ჯერ კიდევ გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა არ ხორციელდება, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობისთვის მნიშვნელოვანი ხარვეზია.

მეოთხე განყოფილება მიძღვნილია სამრეწველო ნიმუშების დაცვისადმი და შეიცავს 2 მუხლს.

ეს განყოფილება ავალდებულებს მხარეებს, რომ მათ უზრუნველყონ სამრეწველო ნიმუშების დაცვა. ამ განყოფილების სხვა პირობა პარიზის კონვენციის შესაბამისია და მათზე აღარ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. ერთი მოთხოვნა კი ახალია. 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითხოვს, რომ უზრუნველყოფილი იყოს საფეიქრო ნიმუშების და ტანსაცმლის მოდელების დაცვა, ან სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონმდებლობით, ან საავტორო სამართლით.

სამრეწველო ნიმუშების დაცვა უნდა იყოს დანესებული არანაკლებ 10 წლისა, თუ მათი დაცვა ხორციელდება სპეციალური კანონით და არა საავტორო სამართლით.

მეხუთე განყოფილება შეიცავს 8 მუხლს (27-34) და ეხება პატენტებს.

TRIPS-ი, პარიზის კონვენციისაგან განსხვავებით, მოითხოვს, რომ პატენტი უნდა იყოს გაცემული ნებისმიერ გამოგონებაზე, რომელიც ნარმოადგენს ნაწარმსა (პროდუქტს) თუ ხერხს. დათქმულია, რომ პატენტით დაცვას ექვემდებარება გამოგონება განურჩევლად იმისა, ტექნიკის რომელ დარგს ეკუთვნის. აგრეთვე აღნიშნულია, რომ საპატენტო უფლებები უნდა მოქმედებდნენ იმისაგან დამოუკიდებლად, თუ სად შეიქმნა გამოგონება; ტექნიკის რომელ დარგს ეკუთვნის; აგრეთვე იმის მიუხედავად, შემოტანილია ნაწარმი ქვეყნის გარედან, თუ მის ტერიტორიაზეა დამზადებული.

გამოგონების კრიტერიუმები იგივეა, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში უკვე მიღებული.

განყოფილება შეიცავს, პარიზის კონვენციისაგან განსხვავებულ სხვა, პირობებს, როგორცაა:

- მხარეებს უფლება აქვთ აკრძალონ პატენტის გაცემა, თუ საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეთა სიცოცხლის, აგრეთვე, გარემოს დაცვას ექმნება სერიოზული საშიშროება. გარდა ამისა, ქვეყნებს აქვთ უფლება, მაგრამ არა ვალდებულება, რომ არ გაითვალისწინონ პატენტის გაცემა ადამიანისა და ცხოველების მკურნალობის დიაგნოსტიკურ, თერაპევტულ, ან ქირურგიულ ხერხებზე. აგრეთვე დაშვებულია, რომ ვმო-ს ქვეყნებმა არ დაანესონ პატენტის გაცემა მცენარეებზე და ცხოველთა ჯიშებზე (მიკროორგანიზმების გამოკლებით) და მცენარეთა, ან ცხოველების გამოყვანის ბიოლოგიურ პროცესებზე.
- განსაკუთრებული უფლებების მოცულობას, უნდა შეადგენდეს: თუ პა-

ტენტიის საგანს ნაწარმი წარმოადგენს – აკრძალულ ქმედებად უნდა განიხილებოდეს ამ ნაწარმის უნებართვო დამზადება, გამოყენება, გასაყიდად შეთავაზება, გაყიდვა, ქვეყნის გარედან შემოტანა (იმპორტი); თუ პატენტის საგანი ხერხია – უნდა იკრძალებოდეს ამ ხერხის გამოყენება და ამ ხერხის გამოყენებით მიღებული (დამზადებული) ნაწარმის უნებართვო გამოყენება, გასაყიდად შეთავაზება, გაყიდვა ან იმპორტი.

- პატენტის გასხვისება, გადაცემა, აგრეთვე, მის საფუძველზე ლიცენზიის გაცემა უნდა იყოს დაშვებული.
- საპატენტო უფლებების გაფორმებისათვის ქვეყნებმა უნდა დაანესონ მოთხოვნა გამოგონების აღწერილობისადმი. კერძოდ, გამოგონება ისე უნდა იყოს აღწერილი, რომ მისი განხორციელება იყოს შესაძლებელი სპეციალისტის მიერ. აგრეთვე, დასაშვებია, რომ მოთხოვნილ იქნეს გამოგონების საუკეთესო ვარიანტის აღწერა, როგორც ეს გამომგონებელს განაცხადის შეტანის თარიღამდე აქვს წარმოდგენილი.
- დანესებულია განსაკუთრებული უფლების შეზღუდვები, რომლებიც გამოგონების იძულებით გამოყენებას ეხება. ყურადსაღებია, რომ ცალკე არის გამოყოფილი ნახევრადგამტარებთან დაკავშირებული გამოგონებანი. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ გამოგონებას იყენებენ პატენტმფლობელის ნებართვის მიუხედავად, გამოყენება უნდა ატარებდეს არაკომერციულ ხასიათს, ან უნდა იყოს მიმართული კონკურენციის შეზღუდვის აღკვეთისაკენ, თუ ამას ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოები დაადგენენ.

როდესაც იძულებითი ლიცენზია გაიცემა ისეთ პატენტზე, რომელიც სხვა უფრო ადრინდელი პატენტის დარღვევის გარეშე ვერ იქნება გამოყენებული, მაშინ:

- ა) გამოგონება, რომლის იძულებითი ლიცენზირება არის განზრახული უნდა წარმოადგენდეს მნიშვნელოვან ტექნიკურ მიღწევას, დიდი ეკონომიკური ეფექტით.
- ბ) პატენტის მფლობელს, რომლის უფლებაც ირღვევა, უნდა მიეცეს "ჯვარედინი" ლიცენზიის საფუძველზე აღნიშნული დიდი ეფექტის მქონე გამოგონების გამოყენების საშუალება.
- გ) ლიცენზია უფროს პატენტზე არ უნდა ექვემდებარებოდეს გადაცემას ჯვარედინი ლიცენზიით მოპოვებული უფლების გარეშე.
- პატენტის გაუქმების შემთხვევაში მის მფლობელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებების აღსადგენად.
- პატენტის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 20 წელიწადზე ნაკლები განაცხადის შეტანის თარიღიდან.
- სამოქალაქო სამართლებრივი დავის განხილვისას, რომელიც დაკავშირებულია ისეთ ხერხზე მოქმედი პატენტის დარღვევასთან, რომე-

ლიც განკუთვნილია პროდუქტის (ნაწარმის) მისაღებად, სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს მტკიცებულებების წარმოდგენა მოპასუხეს მოსთხოვოს. თუ მტკიცებულება წარმოდგენილ არ იქნა, მაშინ ითვლება, რომ ნაწარმი მიღებულია დაპატენტებული ხერხით. ამასთან, ამგვარი გადანყევილობა მიიღება, თუ ნაწარმი ახალია ქვეყნის ბაზრისათვის, ან თუ დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ნაწარმის დამზადება მოხდა დაპატენტებული ხერხით, ხოლო პატენტმფლობელს, გონიერი ღონისძიებების გატარების მიუხედავად, არ მიეცა საშუალება, რომ დაედგინა, რომელი ხერხით იქნა მიღებული აღნიშნული ნაწარმი.

მეექვსე განყოფილება შეიცავს სამ მუხლს (35-38) და ადგენს მოთხოვნებს ინტეგრალური მიკროსქემების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ. საქართველო ჯერ ინტეგრალურ მიკროსქემებს არ იცავს.

TRIPS-ი ყურდნობა ვაშინგტონის ხელშეკრულებას ინტელექტუალურ საკუთრებაზე ინტეგრალურ მიკროსქემებთან დაკავშირებით.

ინტეგრალური მიკროსქემის დაცვა უნდა იყოს განხორციელებული სპეციალური სამრეწველო საკუთრების, ან საავტორო სამართლის სფეროში მოქმედი კანონით.

აკრძალულ უნდა იქნეს: იმპორტი, კომერციული მიზნებისათვის გავრცელება ისეთი ტოპოლოგიისა, რომელიც ინტეგრალურ მიკროსქემაში არის განხორციელებული. იგივე ეხება ნაწარმს, რომელიც დამზადებულია აღნიშნული ტოპოლოგიის საფუძველზე.

დანესებულია განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვები საპატენტო უფლებების შეზღუდვების ანალოგიურად.

ინტეგრალური მიკროსქემა უნდა იყოს დაცული არანაკლებ 10 წლისა განაცხადის წარმოდგენის, ან პირველად გამოყენების დღიდან. გამოყენება კომერციული უნდა იყოს, ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში იქნება გამოყენებული. დაცვა შეიძლება იყოს განსაზღვრული მისი შექმნიდან 15 წლის ვადით.

მეშვიდე განყოფილება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას ითვალისწინებს და შედგება ერთი მუხლისგან.

TRIPS-ი ითხოვს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტური დაცვისათვის იყოს გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ეს გათვალისწინებულია, ისევე როგორც კანონით ანტიმონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 1105-ე მუხლი იყენებს ტერმინს "საწარმოო – კომერციული საიდუმლოება" და განმარტავს მას, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ ან კომერციულ ინფორმაციას, რაც დასტურდება

მისი საიდუმლოდ შენახვისათვის განეული აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებებით.

TRIPS-ი ითხოვს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის მფლობელ პირს უნდა შეეძლოს წინ აღუდგეს ამ ინფორმაციის უკანონო გავრცელებას, გახსნას ან გამოყენებას, თუ ეს ინფორმაცია მფლობელის კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამასთან, ინფორმაცია უნდა იყოს:

- საიდუმლო, და არ უნდა იყოს იოლად ხელმისაწვდომი;
- გააჩნდეს კომერციული ღირებულება თავისი საიდუმლოების გამო;
- უნდა იყოს მისი საიდუმლოდ შენახვის გონივრული ღონისძიებებით დაცული.

აღნიშნული, ეს პირობები სრულად არის წარმოდგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

მერვე განყოფილება ითვალისწინებს სახელშეკრულებო ლიცენზირების ისეთ პირობებზე კონტროლის განხორციელებას, რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას. განყოფილება შეიცავს ერთ, მე-40 მუხლს.

ქვეყნებს უფლება აქვთ დაანესონ მოთხოვნები, რომლებიც მიმართული იქნება ისეთი ქმედებების არ დაშვებისაკენ, რომლებიც შესულია სალიცენზიო ხელშეკრულებებში და რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას, აგრეთვე არახელსაყრელ პირობებს ქმნიან ვაჭრობის განხორციელებისათვის ან ტექნოლოგიების გადაცემასა და გავრცელებისათვის.

ნაწილი III. ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების უზრუნველყოფა

TRIPS-ის ეს ნაწილი სამართლებრივი უზრუნველყოფის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია იმ უფლებებისათვის, რომლებიც მოპოვებულია, ან მათ მოსაპოვებლად შესაბამისი ნაბიჯებია გადადგმული. ნაწილი შედგება ხუთი განყოფილებისაგან და მოიცავს 22 მუხლს.

პირველი განყოფილება ზოგად ვალდებულებებს აწესებს ინტელექტუალურ საკუთრებაზე და ეყრდნობა უფლებების უზრუნველყოფის პრინციპებს. უნდა იყოს გათვალისწინებული უფლებების დარღვევის თავიდან აცილებითი საშუალებანი. ეს საშუალებანი და ღონისძიებანი არ უნდა იყოს ზედმეტად გართულებული ან ძვირი, არ უნდა იწვევდეს ვადების გახანგრძლივებას, ან შეფერხებებს. გადანყვეტილებანი, საქმის არსის მიხედვით, უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ეფუძნებოდეს მხოლოდ მტკიცებულებებს, ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეს არგუმენტების წარმოდგენის შესაძლებლობა და დაშვებული უნდა იყოს გადანყვეტილებათა გადასინჯვა.

მეორე განყოფილება აწესებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პროცედურებსა და საშუალებებს. უფლებათა განხორციე-

ლებისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება უნდა ხდებოდეს ნათელ და სამართლიან საფუძველზე. აუცილებელია მტკიცებულებათა წარმოდგენა, ამასთან, თუ მხარე საშუალებას არ იძლევა, უნდა იყოს შესაძლებელი გადანყვეტილების გამოტანა არასრული მტკიცებულების მიხედვით. სასამართლოს უნდა შეეძლოს დაავალდებულოს მხარე, თავი შეიკავოს დარღვევისაგან (სასამართლო აკრძალვა). ასეთი გადანყვეტილება გამოიყენება ისეთი საქონლის იმპორტის არ დაშვების მიზნით, რომელიც არღვევს უფლებებს. მაგრამ, თუ პირმა არ იცოდა და არ ჰქონდა საკმარისი შესაძლებლობები და პირობები, რომ სცოდნოდა დარღვევის შესახებ, მაშინ ეს ზომა არ გამოიყენება. ასევე არ გამოიყენება სასამართლო აკრძალვები იძულებითი ლიცენზიის გამოყენების დროს.

თუ ქვეყანა არ ითვალისწინებს სასამართლო აკრძალვას, მაშინ უნდა იქნეს გათვალისწინებული დეკლარაციული სასამართლო გადანყვეტილება და შესაბამისი კომპენსაციის გადახდის დაკისრება.

ვმო-ს მონაწილე ქვეყანაში უნდა იყოს გათვალისწინებული, აგრეთვე, დაცვის სხვა საშუალებანი. კერძოდ, უნდა იყოს დაშვებული სავაჭრო ქსელიდან კონტრაფაქციული საქონლის ამოღება, მასალისა და მონყობილობის განადგურება, რომელიც გამოიყენებოდა აღნიშნული საქონლის დასამზადებლად.

უნდა იყოს უზრუნველყოფილი უფლება ინფორმაციაზე. ეს პირობა ითვალისწინებს სასამართლო ორგანოს უფლებამოსილებას, რომ წაუყენოს მოთხოვნა დამრღვევ პირს, რომელმაც უნდა მიანოდოს ინფორმაცია უფლებათა მფლობელ პირს მესამე პირთა შესახებ, რომლებიც მონაწილეობენ კონტრაფაქციული საქონლის გასაღებას ან დამზადებაში. სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლება დააკისროს შესაბამის მოდავე მხარეს ზიანის ანაზღაურება ადვოკატის ჰონორარის ჩათვლით.

ადმინისტრაციული საშუალებანი უნდა შეესაბამებოდნენ ამ განყოფილების პირობებს.

მესამე განყოფილება აწესებს დროებით საშუალებებს, რაც უნდა ითვალისწინებდეს სასამართლოსათვის შემდეგი უფლებამოსილების მინიჭებას:

- გადანყვიტოს მტკიცებულებათა შენარჩუნების (შენახვის) საკითხი;
- მეორე მხარის მოსმენის გარეშე მიიღოს გადანყვეტილება დროებითი ზომების მისაღებად;
- მოითხოვოს მტკიცებულებების წარმოდგენა;
- მიიღოს გადანყვეტილება კომპენსაციის გადახდაზე, დარღვევის შესახებ საბოლოო გადანყვეტილების გამოტანამდე;
- მოითხოვოს საქონლის იდენტიფიცირებისათვის სხვა ინფორმაციის წარმოდგენა;
- სასამართლომ უნდა შეწყვიტოს დროებითი ზომების ძალაში ყოფნა,

თუ სასამართლო პროცესი განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდეგ ჯერ არ დაწყებულა.

მეოთხე განყოფილება ადგენს სასაზღვრო საშუალებათა განხორციელების განსაკუთრებულ მოთხოვნებს. მონაწილე ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ გათვალისწინებული ისეთი ზომები და საშუალებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის, რომ აღკვეთილ იქნეს ქვეყანაში კონტრაფაქციული საქონლის შეტანა. ეს აქტი უნდა განხორციელდეს სასამართლოში, ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის საფუძველზე. საქონელი, როდესაც საკმარისი საფუძველი გააჩნია უფლებათა მფლობელს, რომ ივარაუდოს კონტრაფაქციული საქონლის შემოტანის შესაძლებლობა შეიძლება იქნეს დაყადაღებული ქვეყნის საზღვარზე საბაჟო ორგანოს მიერ. ეს არ ეხება ისეთ საქონელს, რომელიც ტრანზიტით გადის ქვეყნის ტერიტორიაზე.

საბაჟო ორგანოებს უფლება უნდა ჰქონდეთ მოითხოვონ განმცხადებლისაგან ფულადი შენატანის სახის, ან სხვაგვარი გარანტიის უზრუნველყოფა. ამგვარი შენატანი საკმარისი უნდა იყოს მოპასუხის უფლების დასაცავად. იმპორტიორი და განმცხადებელი დროულად უნდა იყვნენ ინფორმირებული საქონლის დაყადაღების შესახებ.

დადგენილია, აგრეთვე, საქონლის დაყადაღების შესაბამისი ხანგრძლივობა. განმცხადებელი, რომელმაც მოითხოვა საქონლის დაყადაღება, თუ მისმა გაუმარღებელმა ქმედებამ ზიანი მიაყენა იმპორტიორს, საქონლის მიმღებს, ან საქონლის მფლობელს, ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი კომპენსაცია. განსაკუთრებული უფლების მფლობელს უნდა მიეცეს უფლება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ჩაატაროს საქონლის ინსპექცია. ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება მიიღონ გადაწყვეტილება კონტრაფაქციული საქონლის განადგურების, ან მიმოქცევიდან ამოღების შესახებ.

მეხუთე განყოფილება სისხლის სამართლებრივ პროცედურებს ეხება. დაწესებულია, რომ ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ სისხლის სამართლებრივი ზომები და ჯარიმები. ეს საშუალებანი უნდა იქნეს გამოყენებული სასაქონლო ნიშნების განზრახ გაყალბების შემთხვევაში ან საავტორო უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, თუ კომერციულ მასშტაბებში იქნა ჩადენილი ეს ქმედებები. უნდა იქნეს გათვალისწინებული დაპატიმრება და თავისუფლების აღკვეთა, ფულადი ჯარიმები, რაც სხვა ამგვარი სიმძიმის დანაშაულებრივ ქმედებებთან შეფარდებული იქნება. აღმკვეთი ზომები შეიძლება ითვალისწინებდნენ, აგრეთვე, საქონლისა და სხვა მისი წარმოებისათვის განკუთვნილი საშუალებების დაყადაღებას, კონფისკაციასა და განადგურებას. ქვეყნებს შეუძლიათ სისხლის სამართლებრივი საშუალებები გაითვალისწინონ უფლებათა დარღვევის სხვა

შემთხვევებშიც, თუ დარღვევა განზრახ ხდება და კომერციულ მასშტაბს მოიცავს.

ნაწილი IV. ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა მოპოვება და შენარჩუნება, მომიჯნავე INTER PARTES პროცედურები

ეს ნაწილი ერთი მუხლისაგან შედგება და ანებს უფლებათა მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის ფორმალური მოთხოვნების ისეთ პრინციპებს, რომელთა განხორციელებაც მიზნად ისახავს არ დაუშვას უფლებების მოქმედების შემცირება ამ მოთხოვნების შესრულების გამო. ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ გონივრული ვადები ფორმალობებისათვის. ამ ნაწილის მთავარი მოთხოვნა ისიც არის, რომ ქვეყნები ვალდებული არიან უფლებათა მოპოვებელ და სხვა დაინტერესებულ პირს მისცენ შესაძლებლობა საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილების სასამართლოში ან კვაზისასამართლო ორგანოში გასაჩივრებაზე.

ნაწილი V. დავების თავიდან აცილება და მონესრიგება

ეს ნაწილი შედგება ორი მუხლისაგან (53-64). ქვეყნები ვალდებული არიან ხელმისაწვდომი გახადონ (გამოქვეყნების გზით, ან სხვაგვარად) კანონები და წესები, საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებანი და ადმინისტრაციული ნორმები. ამასთან, აღნიშნულია, რომ კანონები, წესები და გადაწყვეტილებანი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეროვნულ ენაზე. გარდა ამისა, მოითხოვება საერთაშორისო ორმხრივი, ან მრავალმხრივი ხელშეკრულების გამოქვეყნება. ეს მოთხოვნები პარიზისა და ბერნის კონვენციებშიც არის წარმოდგენილი. ვაჭრობის პროცესში ოფიციალური სიმბოლიკის გამოყენების აკრძალვისათვის (უნებართვოდ) გათვალისწინებულია შეტყობინების გავზავნა საერთაშორისო ბიუროში, თანახმად პარიზის კონვენციის 6-ტერ მუხლისა.

TRIPS-ი ანებს დავების მონესრიგების შესაძლებლობას ქვეყანათა შორის და უთითებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულების პირობების გამოყენებაზე. კერძოდ, მითითებულია GATT-ის შეთანხმების XXII და XXIII მუხლები. ამ მუხლების 1(b) და 1(c) პუნქტების თანახმად, პრეტენზიები წარედგინება TRIPS-ის საბჭოს, რომელიც თავის რეკომენდაციებთან ერთად მიაწვდის მათ ვმო-ს მინისტრთა კონფერენციას განსახილველად, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კონსენსუსის საფუძველზე.

ნანილი VI. გარდამავალი დებულებები (მუხლები 65-67)

ეს ნანილი აწესებს TRIPS-ის გამოყენების დანყების თარიღებს. დადგენილია განსხვავებული პირობები ნაკლებად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომ მათ გასწიონ ყველა საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები. დათქმული არის ვალდებულებანი განვითარებული ქვეყნებისათვის და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის მათ მიერ განვითარებად ქვეყნებისათვის შესაბამისი ტექნიკური და სხვა სახის დახმარების აღმოჩენის თაობაზე. ისმოსა და ვმო-ს შორის ამის შესახებ დადებულია სპეციალური შეთანხმება.

ნანილი VII. ინსტიტუციონალური საშუალებანი; დასკვნითი დებულებანი (მუხლები 68-73)

68-ე მუხლის თანახმად, შექმნილია ვაჭრობის თანხვედრი ინტელექტუალური საკუთრების სპეციალური საბჭო, რომელიც ანარმოებს კონსულტაციებს და აკონტროლებს ვმო-ს წერილი ქვეყნების მიერ TRIPS-ის ვალდებულებების შესრულებას.

ქვეყნები ვალდებული არიან ითანამშრომლონ, რომ არ დაუშვან ერთმანეთის ტერიტორიაზე ისეთი საქონლის მიმოქცევა, რომლებიც არღვევენ უფლებებს ინტელექტუალურ საკუთრებაზე. ამისათვის მათ უნდა შექმნან შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში საკონტაქტო პუნქტები, უპირველესად ინფორმაციის ერთმანეთთან გაცვლის მიზნით. ეს ორგანოები მზად უნდა იყვნენ ურთიერთშეთანხმებულად იმოქმედონ ფალსიფიცირებული საქონლის გავრცელების აღკვეთისათვის.

მოცემულია სხვა პირობებიც, რომლებიც არსებულ უფლებათა გამოყენებას ეხება. TRIPS-ის რეალიზაციის კონტროლისათვის საბჭო 2000 წლის 1 იანვრის შემდეგ ორ წელიწადში ერთხელ იხილავს შედეგებს.

მუხლი 72 ადგენს, რომ მონაწილე ქვეყანას რაიმე დათქმების გაკეთების უფლება არ აქვს, TRIPS-თან მიმართებაში, თუ არ იქნა ამაზე სხვა მონაწილე ქვეყნების თანხმობა მიღებული.

გარდა ამისა, TRIPS-ი შეიცავს ნორმას, რომლის თანახმადაც ქვეყანა თავისუფლდება ვალდებულებისგან გამომდინარე ყველა იმ მოთხოვნების შესრულებიდან, რომლებიც წინააღმდეგობაში არიან მისი უსაფრთხოების ინტერესებთან. დასახელებულია, რომ ასეთ ქმედებებად შეიძლება იქნეს განხილული ქმედებები, დაკავშირებული იარაღით ვაჭრობასთან, ბირთვულ მასალებთან, ომიანობის პერიოდთან, ან გაეროს წინაშე ვალდებულების შესრულების დაბრკოლებასთან.

ასეთი პირობები არც ერთ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას არ ახასიათებს, რაც აღნიშნულია ისმოს მიერ 1996 წელს მომზადებულ სპეციალურ მემორანდუმში TRIPS-ის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

13. დსთ და სსკვა ქვეყნებთან დადებული ორმხრივი შეთანხმებები

13.1 სამთავრობათშორისი შეთანხმებები დსთ ფარგლებში

დსთ ქვეყნებთან დადებული მრავალმხრივი შეთანხმებების ფარგლებში საქართველო მონაწილეა ამავე ქვეყნებთან ორმხრივი სამთავრობათშორისი შეთანხმებებისა, რომლებიც ითვალისწინებს სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობას. პირველი ორმხრივი ხელშეკრულებები გაფორმდა 1996 წელს უზბეკეთსა და სომხეთთან. 1997 წელს: აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან. ყოველი ცალკეულად აღებული ხელშეკრულება ძირითადად ეხება ერთსა და იმავე საკითხებს და ერთგვაროვნად აწესრიგებს სამრეწველო საკუთრების ობიექტებიდან გამომდინარე მოსაგვარებელ სამართლებრივ ურთიერთობებს. ასეთი მიდგომა გასაგებიც არის. ერთ დროს ერთ სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფ ქვეყნებს მოუხდათ თავიდან აეშენებინათ საკუთარი სახელმწიფოები. ამ პროცესის დასაწყისშივე წარმოჩინდა ინტელექტუალურ საკუთრებასთან, განსაკუთრებით კი სამრეწველო საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებული მრავალი საკითხის მოუნესრიგებლობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო უკვე მოქმედი საავტორო მონმობების გამოყენების რეჟიმის განსაზღვრა და შესაბამისი სამართლიანი საშუალებებისა და მექანიზმების შექმნა. პირველ პლანზე გამოგონებებისა და სამრეწველო ნიმუშების საკითხი იდგა. საავტორო მონმობის მოქმედება დროით შეზღუდული არ იყო და ვრცელდებოდა საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანაზე. ახალ პირობებში გასარკვევი იყო რა უფლებებით ისარგებლებდნენ საავტორო მონმობებით ავტორებად და განმცხადებლად მითითებული პირები. ერთ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირები ერთი ქვეყნის ქვეშევრდომნი იყვნენ ნაკლები სირთულის გადალახვა იყო მოსალოდნელი. მეორე შემთხვევაში, როდესაც ავტორები ან განმცხადებლები სხვადასხვა ქვეყნის ქვეშევრდომნი იყვნენ საქმე საკითხების უფრო რთულ სპექტრთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა დსთ ქვეყნების მოქალაქენი და იურიდიული პირები ტრადიციულად თანაბარ მდგომარეობას იყვნენ მიჩვეული საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, შესაბამისად სასურველი იყო ასეთი სამართლებრივი რეჟიმის შენარჩუნება ან სხვაგვარი სამართლიანი რეჟიმის გამოძებნა. ზემოთ მითითებულ ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებები მიმართულია ძირითადად აღნიშნული საკითხების ერთგვაროვნად მოწესრიგებისაკენ. აღნიშნული შეთანხმებების ტექსტების შემუშავებაც კი ხდებოდა ერთმანეთთან კონსულტაციების შედეგად, რომლის დროსაც იქმნებოდა მათი სტრუქტურა და ყალიბდებოდა სახელშეკრულებო დებულებები და მოთ-

ხოვნები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნები არც ისახავდნენ მიზნად ორმხრივი შეთანხმებების განსხვავებული ტექსტის შემუშავებას.

შეთანხმებებით (რომლებიც როგორც ნეი 12-16 მუხლისაგან შედგება) გათვალისწინებულია თანასწორ უფლებიანობის საფუძველზე გამოგონებებთან, სამრეწველო ნიმუშებთან და სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება. როგორც ვხედავთ სამრეწველო საკუთრების (რაც პარიზის კონვენციის მიხედვით გაიგება) ობიექტების ჩამონათვალში არ არის სასარგებლო მოდელი. ეს ფაქტი ცხადად მიგვანიშნებს იმაზე, რომ სამართლებრივი მოწესრიგება უმთავრესად განზრახულია იმ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გადმოვიდა საბჭოთა კავშირის არსებობის დროიდან – სასარგებლო მოდელის დაცვა გათვალისწინებული არ იყო. შეთანხმებები ითვალისწინებს, აგრეთვე, ეროვნული სამართლებრივი აქტების ჰარმონიზაციას, მხარეთა მოქალაქეთათვის უფლებათა მოპოვებასთან დაკავშირებულ ორმხრივად გამართლებულ პროცედურულ ელემენტებს, ინფორმაციის და საკანონმდებლო აქტების ურთიერთგაცვლას.

შეთანხმებები ეყრდნობა ეროვნული რეჟიმის განხორციელებას. დამკვეთულია მხარეთა ტერიტორიებზე საავტორო მონუმენტების შეწყვეტა და ავტორებისათვის და განმცხადებლებისათვის მათ საფუძველზე ეროვნული დამცავი დოკუმენტების მიღების შესაძლებლობა. მხარეთა ქვეშევრდომებს შეუძლიათ პირდაპირ მიანოდონ განაცხადები საპატენტო უწყებებს, პატენტრწმუნებულის აყვანის გარეშე. ექსპერტიზისათვის და უფლებათა ძალაში შენარჩუნებისათვის საფასურების გადახდა, ზოგ შემთხვევაში გათვალისწინებულია იმავე ოდენობით, რა ოდენობითაც საკუთარ მოქალაქეებს უხდებათ. ზოგ შემთხვევაში კი, მაგალითად ყაზახეთთან და თურქმენეთთან დადებული შეთანხმებების მიხედვით საფასურები, რომლებიც უნდა გადაიხადოს საქართველოს ქვეშევრდომმა განმცხადებელმა უცხოელი განმცხადებლებისათვის დანესებულის ტოლია და პირიქით. განაცხადების განხილვის პროცედურა დახურულია, ანუ განაცხადის არსი მკაცრად კონფიდენციალურია, სანამ არ დადგება გამოქვეყნებისათვის კანონით დადგენილი ვადა.

თუ მხარეთა ტერიტორიაზე ეროვნული დამცავი დოკუმენტის მიღებამდე გამოიყენებოდა ან საკმარისი სამზადისი განხორციელდა გამოგონების ან სამრეწველო ნიმუშის გამოყენებისათვის, მაშინ დაშვებულია მათი შემდგომი გამოყენება ნებართვის მიღების გარეშე. ამასთან, გამოყენებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს გასამრჯელო შესაბამისად იმ ქვეყნის კანონმდებლობისა, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა გამოყენება.

შეთანხმებების შესრულებისათვის პასუხისმგებელ და უფლებამოსილ ორგანოებად დასახელებულია საპატენტო უწყებები.

ერთმანეთთან კავშირი და საბუთების გაგზავნა წარმოებს რუსულ ენაზე.

გვიანდა აღნიშნოთ, რომ დსთ ფარგლებში მრავალი სხვა ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით სამრეწველო საკუთრების სფეროში დადებული თანამშრომლობის შეთანხმებები პრაქტიკულად მოქმედებს. მაგალითად, უზბეკეთის მოქალაქემ უკვე ისარგებლა საქართველოსთან დადებული შეთანხმებით და "საქპატენტს" მიანოდა განაცხადი გამოგონების პატენტის მისაღებად. თავის მხრივ საქართველოს მოქალაქეებმაც ისარგებლეს აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან და ყაზახეთთან დადებული შეთანხმებებით და იქ დაარეგისტრირეს სიტყვიერი სასაქონლო ნიშნები "აბრეშუმის გზა" და "დიდი აბრეშუმის გზა", შესაბამისად რუსული და ლათინური დამწერლობით.

ვფიქრობთ ამგვარი შეთანხმებების დადება დსთ დანარჩენ ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან და ბელარუსთან დიდად სასურველია.

13.2 სამთავრობათშორისი შეთანხმებები სხვა ქვეყნებთან

დსთ ქვეყნებთან დადებული შეთანხმებების გარდა საქართველოს 1997 წელს გაფორმებული აქვს სამთავრობათშორისი შეთანხმებები სამრეწველო საკუთრების სფეროში თანამშრომლობის შესახებ რუმინეთთან და თურქეთთან, ხოლო 2001 წელს ბულგარეთთან. ზემოთ განხილულის მსგავსად ეს შეთანხმებებიც ერთგვაროვნად მსგავსი ტექსტებით არის წარმოდგენილი. მათი მიზანი სამრეწველო საკუთრების ობიექტების ადეკვატური დაცვისკენ არის მიმართული. ამ ქვეყნებთან საკითხების მონესრიგება მნიშვნელოვანია არა მარტო სამეცნიერო-ტექნიკური პროტენციის განვითარებასთან მჭიდრო კავშირში მყოფ ისეთ ობიექტთან დაკავშირებით, როგორც გამოგონებაა, არამედ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენებასთან დაკავშირებითაც. ამ მიმართებით საქართველომ ზიანი უკვე ნახა, რადგან ბულგარელ და რუმინელ მენარმეთა მიერაც ფართოდ განხორციელდა განთქმული ქართული ლვინოებისა და მინერალური წყლის "ბორჯომის" ფალსიფიცირება და გასასაღებად დსთ ქვეყნების ტერიტორიაზე შეტანა. თურქეთისათვის საკითხის მნიშვნელობა სრულიად გასაგებია, რადგან სწორედ ეს ქვეყანა იქცა საქართველოსათვის საქონლის პირდაპირ თუ ტრანზიტით მიმწოდებელ უმსხვილეს ქვეყნად.

შეთანხმებები შედგება 10 მუხლისაგან და ითვალისწინებს სამრეწველო საკუთრებასთან, მათ შორის მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლას.

სამრეწველო საკუთრების ობიექტების დაცვისათვის, მხარეთა ტერიტორიაზე მეორე მონაწილე ქვეყნის ქვეშევრდომი პირები სარგებლობენ

ეროვნული რეჟიმით. ამ საკითხთან დაკავშირებით თუ უთანხმოება წარმოიშვა მხარეებმა უნდა მიმართონ პარიზის კონვენციის სტოკჰოლმის აქტს.

მხარეებმა ივალდებულეს გეოგრაფიული აღნიშვნების ჩამონათვლის ურთიერთგაცვლა. ეს მოთხოვნა ემსახურება მითითებული აღნიშვნების არამართლზომიერი რეგისტრაციის განუხორციელებლობას სასაქონლო ნიშნად.

გარდა აღნიშნულისა, მხარეთა მოქალაქეებს ან იურიდიულ პირებს შეუძლიათ მშობლიური ქვეყნის მოქალაქეთა თანაბრად ისარგებლონ მეორე მხარის ტერიტორიაზე არსებული და მოქმედი საპატენტო ფონდებით, საბიბლიოთეკო მომსახურებით, მონაცემთა ბაზებით.

საჭიროების შემთხვევაში ნებადართულია სამრეწველო საკუთრების ობიექტების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი ინსტრუქციებისა და წესების შემოღება, თუ ამას სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური ან სამენარმეო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობა მოითხოვს.

შეთანხმებების შესრულებისათვის პასუხისმგებელ და უფლებამოსილ ორგანოებად საპატენტო უწყებებია დასახელებული.

თანამშრომლობა წარიმართება ინგლისურ ენაზე.

13.3. საუწყებათშორისი შეთანხმებები

სამთავრობათშორისი ხელშეკრულებების არარსებობის მიუხედავად მოქმედებს ზოგიერთი უწყებათაშორისი ორმხრივი აქტი. ასე მაგალითად, გერმანიის საპატენტო უწყებასთან "საქპატენტს" სამართლებრივად დაკავშირებს ურთიერთგაგების მემორანდუმი. ამ ქვეყანასთან საქართველოს თბილი ურთიერთობები ჯერ კიდევ 1991 წლიდან ჩამოუყალიბდა, როდესაც საქართველოს ესტუმრა გერმანიის საპატენტო უწყების პრეზიდენტი ბატონი ერიკ ჰოისერი. იგი მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტი და გამოცდილი ორგანიზატორი იყო. საამისოდ იმის თქმაც კმარა, რომ მისი მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგად ჩინეთმა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აამოქმედა სამრეწველო საკუთრების დაცვის სისტემა.

დღესაც გერმანიის საპატენტო უწყება დახმარებას უწევს საქართველოს სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და ინფორმაციის უანგაროდ მიწოდების საშუალებით, აგრეთვე, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციების მიცემით. გერმანიის უწყებასთან დადებული მემორანდუმის განხილვას აღარ გავაგრძელებთ, იგი დანარჩენში ითვალისწინებს სპეციფიკურ საკითხებს.

უნგრეთისა და საფრანგეთის საპატენტო უწყებებთან "საქპატენტს" დადებული აქვს ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები,

რომლებიც ითვალისწინებს ინფორმაციის გაცვლას ერთმანეთისათვის, დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას, საინფორმაციო ბაზების ავტომატიზების საკითხებში ერთმანეთთან თანამშრომლობას სპეციალისტების მივლინების ჩათვლით და სხვა. განსაკუთრებით ხაზგასმულია თანამშრომლობა გეოგრაფიული აღნიშვნებისა და საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის მონესრიგებისათვის ერთმანეთისათვის ხელშეწყობა. ამ მხრივ საფრანგეთში უკვე რამდენიმეჯერ მოენყო სპეციალისტების მივლინება საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის მექანიზმის შესამუშავებლად საფრანგეთის გამოცდილების მაგალითზე. საქართველოშიც იქნა მივლინებული რამდენიმე ფრანგი სპეციალისტი. ასე, რომ სამთავრობათშორისი შეთანხმებების მსგავსად საუნყებათშორისი შეთანხმებებიც პრაქტიკულად მოქმედი აქტებია.

**III. სსკვა კონვენციები და ხელშეკრულებები,
რომელთა მონაწილე საქართველო არ არის**

14. მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია

მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანას კაცობრიობა უხსოვარი დროიდან ახორციელებს, ალბათ მას შემდეგ, რაც ადამიანმა პირველად მოჰკიდა ხელი მინათმოქმედებას. ადამიანი თავისდაუნებურად სელექციონერი ხდება. მაგალითად, ჯერ კიდევ პლინისუსს აქვს მოყვანილი ცნობა ახალი მუსკატური ვაზის (APIANA UVA) ჯიშის შესახებ. პირველი სელექციონერები შემთხვევით შერჩეული ჯიშების შეჯვარების საფუძველზე ქმნიდნენ ახალ ჯიშებს. რა თქმა უნდა, შემდგომში სელექციონერთა საქმიანობა მიზანმიმართულ და მეცნიერულ ხასიათს ღებულობს. სასელექციო საქმიანობა სულ უფრო მასშტაბური ხასიათისა ხდება და ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა გასული საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისიდან. ქვეყნები ღებულობენ სამართლებრივ აქტებს სელექციონერთა უფლებების დასაცავად, რომელთა წინამორბედად პაპის 1833 წლის ედიქტს ასახელებენ. იგი ეხებოდა გამოგონებებსა და აღმოჩენებზე (ტექნიკასა და სოფლის მეურნეობის სფეროში) უფლებების ფლობას. თავისი ძალზე ზოგადი შინაარსის გამო ედიქტი პრაქტიკულ ცხოვრებაში ვერ გატარდა. შემდგომ მცენარეთა დაცვის კანონები მიიღეს აშშ-მ, საფრანგეთმა, გერმანიამ, ჩეხეთმა, ნიდერლანდებმა, ესპანეთმა, უნგრეთმა, დანიამ, დიდმა ბრიტანეთმა, შვეიცარიამ და ა.შ., შესაბამისად, გამოიკვეთა მზარდი ინტერესი მცენარეთა ახალი ჯიშების საერთაშორისო დაცვის დაფუძნებისადმი.

საერთაშორისო კონვენციის მიღებაში დიდი წვლილი შეიტანა სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო ასოციაციამ (AIPPI, საქართველოში 1998 წლიდან ფუნქციონირებს ამ ასოციაციის საქართველოს ეროვნული ჯგუფი) და მცენარეთა ჯიშების დაცვის მცენარეთა სელექციონერების საერთაშორისო ასოციაციამ. AIPPI ამ საკითხს 1932 წლიდან აყენებს თავის ფორუმებზე. საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ვენის 1952 წლის კონგრესზე დაეთმო. შეხვედრებზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად განიხილებოდა მცენარეთა ჯიშების პატენტით (აშშ-ს მსგავსად) დაცვის საკითხი, რაც საბოლოოდ უარყოფილ იქნა 1956 წელს. 1957 წელს მოწვეულ იქნა პარიზის კონფერენცია. შედეგად გამოიკვეთა სურვილი საერთაშორისო კონვენციის მიღების თაობაზე, რაც ხელს შეუწყობდა მცენარეთა ახალი ჯიშებით ვაჭრობის განვითარებას. შემდგომ საფრანგეთის მთავრობამ მოინვია დასაველეთ ევროპის 12 ქვეყანა, რომლებსაც ერთგვაროვანი შეხედულება გააჩნდა მცენარეთა დაცვის თაობაზე. შემუშავდა კონვენციის ძირითადი პრინციპები და 1961 წელს პარიზში ხელი მოეწერა მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციას, რომელიც 1968 წელს ამოქმედდა. 1961 წლის კონვენციას ხელი მოაწერეს ბელგიამ, დანიამ, საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ნი-

დერლანდებმა, შვეიცარიამ, დიდმა ბრიტანეთმა. კონვენცია გადასინჯულ იქნა 1972, 1978 და 1991 წლებში. კონვენციის ძალაში შესვლისა და მისი გადასინჯვის ერთ-ერთი მთავარი შედეგი ის არის, რომ ქვეყნებმა ივალდებულეს მცენარეთა ახალ ჯიშებზე სელექციონერთა უფლებების დაცვის განხორციელება კონვენციით დადგენილი პრინციპების შესაბამისად – ანუ, საერთაშორისო ნორმებთან პარამონიზაციის საფუძველზე. უნდა ითქვას, რომ საქართველო დღემდე არ მიერთებია ამ კონვენციას, რითაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად ფერხდება ქართველ სელექციონერთა უფლებების დაცვა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე.

მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციამ დააფუძნა კავშირი, რომელსაც მასში შემავალი ქვეყნები შეადგენენ. კავშირის ფრანგული დასახელების აბრევიატურას "UPOV" (Union Internationale pour la Protection des Obtentions Vegetales) ფართოდ იყენებენ როგორც კონვენციის, ასევე კავშირის აღსანიშნავად. ჩვენი აზრით, უპრიანი იქნებოდა სხვა ქვეყნების მსგავსად, ქართულადაც გამოგვეყენებინა ამ კონვენციის აღსანიშნად შემოკლებული, საერთაშორისოდ ქცეული დასახელება "უპოვი".

პარიზისა და ბერნის კონვენციის მსგავსად, უპოვი ძირითად პრინციპად ეროვნული რეჟიმის პრინციპს აცხადებს. ამ პრინციპის შინაარსს აღარ გავიმეორებთ.

მცენარეთა ჯიშების დაცვისათვის დაწესებულია კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა უპასუხოს ჯიშმა. ეს კრიტერიუმები იგივეა, რაც მოყვანილია საქართველოს კანონში სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ. კერძოდ, ჯიშს უნდა ახასიათებდეს სიახლე, განსხვავებულობა, ერთგვაროვნება, სტაბილურობა. უპოვი, პარიზის კონვენციისაგან განსხვავებით, აწესებს აგრეთვე, განაცხადის ნებისმიერ ქვეყანაში მიწოდების უფლებას. სელექციონერს შეუძლია თვითონ განსაზღვროს და აირჩიოს კავშირის ის ქვეყანა, სადაც ის საჭიროდ მიიჩნევს განაცხადის მიწოდებას. ამასთან, ასეთი განაცხადის მიწოდების შემდეგ სელექციონერს უფლება აქვს არ დაელოდოს მისი განხილვის შედეგს და მიანოდოს განაცხადი იგივე ჯიშის დაცვაზე სხვა ქვეყანაში.

პარიზისა და ბერნის კონვენციის მსგავსად, უპოვი აწესებს ჯიშის დაცვის დამოუკიდებლობის პრინციპს.

დაწესებულია, აგრეთვე, პარიზის კონვენციიდან ცნობილი პრიორიტეტის უფლება, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული პირველი განაცხადის მიწოდების დღიდან 12 თვის განმავლობაში.

უპოვი ნევრი ქვეყნებისაგან ითხოვს ჯიშის ექსპერტიზის ჩატარებას და რთავს ნებას მოსთხოვონ სელექციონერს ყველა საჭირო ინფორმაციის, აგრეთვე სანერგე მასალის ან თესლის მიწოდება.

უპოვი განსაზღვრავს სელექციონერის უფლებებს და იძლევა იმ

ქმედებების ჩამონათვალს, რაზედაც არის საჭირო სელექციონერის ნებართვა. საქართველოს კანონი სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ ასევე იძლევა ამ უფლებათა ამომწურავ ჩამონათვალს, მაგრამ ოდნავ განსხვავებულად. კერძოდ, კანონის მე-16(გ) მუხლი ერთ-ერთ ქმედებად ასახელებს შენახვას, რასაც უპოვი არ ითვალისწინებს. სამაგიეროდ, გამორჩენილია ისეთი ქმედება, როგორცაა "გასაყიდად შეთავაზება". ვფიქრობთ, საქართველოს კანონის რედაქცია უნდა გასწორდეს უპოვის გათვალისწინებით, რადგან შენახვა შეიძლება სულაც არ ისახავდეს კომერციულ მიზნებს.

უპოვი შეიცავს უფლებათა ამონურვისა და შეზღუდვის ნორმებს და ასახელებს ქმედებებს, რომლებიც სელექციონერის უფლებების სფეროს არ განეკუთვნება. ამასთან, როდესაც უფლებათა შეზღუდვა მიზნად ისახავს მესამე პირისათვის რაიმე ქმედების განხორციელებაზე ნებართვის გაცემას, ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი გასამრჯელოს გაცემა სელექციონერისათვის.

უპოვი ასახელებს დაცვის ხანგრძლივობის მინიმალურ ვადას, რომელიც მცენარეთა უმეტესი სახეობისათვის შეადგენს 20 წელიწადს, ხოლო მერქნიანი ჯიშებისა და ვაზისათვის – 25 წელიწადს.

უპოვი მთელ თავს უძღვნის ჯიშის დასახელებას და ანესებს შესაბამის მოთხოვნებს, რაც ძირითადად ასახულია საქართველოს კანონში. დადგენილია მოთხოვნა, რომ ჯიშის დაცვა უპოვის ფარგლებში უნდა ხდებოდეს ერთი დასახელებით. ქვეყანას უფლება აქვს მოითხოვოს ჯიშის დასახელების შეცვლა. ქვეყნები ერთმანეთს აცნობენ რეგისტრირებული ჯიშების დასახელებებს. დასახელების გამოყენება სავალდებულოა, თუნდაც ჯიშის დაცვის ვადა ამონურული იყოს.

საყურადღებოა დასახელების სხვა მოთხოვნებთან ერთად მე-20(8) მუხლის შინაარსი, რომელიც სასაქონლო ნიშნებს უფრო მოუხდება, ვიდრე ჯიშების დაცვას. კერძოდ, მის მიხედვით დასაშვებია ჯიშის ასოცირება რეგისტრირებული ნიშნის დასახელებასთან.

უპოვი იძლევა სელექციონერის უფლებების ბათილად ცნობისა და გაუქმების ამომწურავ ჩამონათვალს, რასაც ძირითადად შეესაბამება საქართველოს კანონი.

მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის კონვენციის სხვა დანარჩენი დებულებები წარმოადგენს კავშირის ფუნქციონირების ადმინისტრაციულ ნორმებს.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველო უპოვის კავშირის ნევრი ჯერ არ გამხდარა. ამჟამად მასში გაერთიანებულია 35 ქვეყანაზე მეტი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველომ სასწრაფოდ გადაწყვიტოს უპოვში გაერთიანების საკითხი, რადგან ეს კავშირი ქმედით დახმარებას უწევს ქვეყნებს სასელექციო ჯიშების დაცვის სისტემის ამოქმედებისა და განვითარების საქმეში ანესებს დაცვის საერთაშორისო ნორმებს.

15. საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენცია

ბერნის კონვენციის ძირითადი დებულებები არ გაიზიარა ზოგიერთ-მა ისეთმა ქვეყანამ, რომლის კანონმდებლობაც ითვალისწინებდა საავტორო უფლებათა დაცვისათვის ნაწარმოებების აუცილებელ რეგისტრაციას. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნებოდა ამერიკის შეერთებული შტატები (რომელიც სულ რამდენიმე წელია, რაც ბერნის კონვენციას მიუერთდა), საბჭოთა კავშირი და ლათინური ამერიკისა და აზიის განვითარებადი ქვეყნები. განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ აშშ შეურიგებელი პოზიცია ბერნის კონვენციისადმი, რომელიც ძალას არ იშურებდა ახალი საერთაშორისო ხელშეკრულება დადებულებით მისი ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით. შედეგად, 1948-1951 წწ შემუშავდა ახალი კონვენციის ტექსტი, რომელიც მიღებულ იქნა უენეის სამთავრობათაშორისო კონფერენციაზე 1952 წელს. კონვენცია ძალაში შევიდა 1955 წლიდან. კონვენციის სათაურიდანვე ჩანს, რომ მას მიზანი ჰქონდა შეეცვალა უკვე არსებული სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის ბერნის კონვენცია. კონვენციას ეწოდა Universal Copyright Convention. ქართულად "საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენცია". ამ კონვენციის ერთ-ერთი აქტიური წევრი საბჭოთა კავშირი იყო. ბერნის კონვენციას საბჭოთა კავშირი არ მიერთებია. ბერნის კონვენციით დადგენილი მინიმალური მოთხოვნები არანაირად არ ესადაგებოდა საბჭოურ წყობას, რადგან სახელმწიფო ავტორთა უფლებების გამოყენების მართვას თავის სასარგებლოდ ვერ წარმართავდა და ვერ შეზღუდავდა ქონებრივ უფლებებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საავტორო უფლებების შესახებ კონვენციის ადმინისტრირებას ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია არ ეწევა. საქართველომ არ გამოთქვა სურვილი, გაეგრძელებინა საბჭოთა კავშირის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი და არ მიუერთდა მსოფლიო კონვენციას. როგორც ვიცით, საქართველო ბერნის კონვენციის წევრი გახდა.

მოკლედ გადმოვცემთ განსახილველი კონვენციის ძირითად დებულებებს.

კონვენციის მონაწილე ქვეყანა ვალდებულია ავტორთა და სხვა სუბიექტთა უფლებების დაცვის მიზნით მიიღოს ყველა საჭირო და საკმარისი ზომა. ქვეყნებმა დათქვეს, რომ საავტორო უფლებების დაცვას განახორციელებდნენ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში. ამასთან, დაცვით სარგებლობა შეუძლიათ მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს. ეს დებულება შემდგომ შეივსო პროტოკოლით, რომელმაც დაცვის სუბიექტად აღიარა აგრეთვე, ლტოლვილები და მოქალაქეობის არმქონე პირები, თუ ისინი მუდმივად ცხოვრობენ რომელიმე წევრ ქვეყანაში.

დაეყრდნო რა ეროვნული კანონმდებლობით ავტორთა უფლებების დაცვის პრინციპს, მსოფლიოკონვენციამ მთლიანად მიანდო ქვეყნებს ფორმალობების დანესების საკითხის გადაწყვეტა, საავტორო უფლებათა წარმოშობის თვალსაზრისით. ამდენად, საავტორო უფლება, კონვენციის ერთ ნევრ ქვეყანაში ნანარმოების შექმნის მომენტიდანვე წარმოიშობოდა, ხოლო სხვა ქვეყანაში სპეციალურ რეგისტრაციაზე ან დეპონირებაზე იყო დამოკიდებული.

მსოფლიო კონვენციამ შემოიტანა საავტორო უფლებათა დაცვის გამაფრთხილებელი აღნიშვნა – ©. ჩვენ ამ საკითხს უკვე შევეხეთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მსოფლიო კონვენციის თანახმად, ამ აღნიშვნაზე დამოკიდებული იყო ნანარმოების დაცვა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, თუ ნანარმოები ამ სხვა ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გამოქვეყნდა. საქართველოს საავტორო სამართალმა, დანარჩენი ქვეყნების მსგავსად (ამჟამად თვით აშშ-ს ჩათვლით, რომელიც იძულებული შეიქმნა მიერთებოდა ბერნის კონვენციას), გაიზიარა საავტორო (ასევე მომიჯნავე) უფლებების დაცვის გამაფრთხილებელი აღნიშვნის არსებობის შესაძლებლობა. მაგრამ გამოქვეყნებულ ნანარმოებზე მის მოთავსებაზე საავტორო უფლებათა დაცვა დამოკიდებული არ არის, ხოლო გამოყენება ნებაყოფლობითია. გამოუქვეყნებული ნანარმოები, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეს ეკუთვნის, დაცვით სარგებლობს იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კანონი ითვალისწინებს გამოუქვეყნებელი ნანარმოების დაცვის სპეციალურ ნორმებს.

კონვენციამ დაანესა მინიმალური დაცვის ვადა, რომელიც შეადგენს ავტორის სიცოცხლის ხანგრძლივობას მიმატებული 25 წელი. თუ რომელიმე ქვეყნის კანონი ორ თანამიმდევრულ ვადას აწესებს, მაშინ პირველი დროის პერიოდი არ უნდა იყოს 25 წელზე ნაკლები. ფოტოგრაფიული და გამოყენებითი ხელოვნების ნანარმოებისათვის მინიმალური დაცვის ვადა განისაზღვრა 10 წლით. ამ ვადების გამოყენებისათვის კონვენციამ დაანესა, რომ, თუ ურთიერთვალდებულება არ არსებობს, ქვეყანა არ არის მოვალე თავის ტერიტორიაზე დაიცვას სხვა ქვეყნის მოქალაქის უფლებები, გაავრცელოს საკუთარი ქვეყნის ვადები. ანუ, თუ სხვა ქვეყანაში დაცვის ვადა განსაზღვრულია, მაგალითად, 30 წლით, ხოლო მოცემულ ქვეყანაში (რომელშიც უცხო ქვეყნის ავტორი ითხოვს დაცვას) 45 წლით, მაშინ ამ სხვა ქვეყნის ავტორს დაცვა მიენიჭება მისი ქვეყნის კანონის შესაბამისად – 30 წლის განმავლობაში.

ნანარმოების დაცვის ვადის განსაზღვრისათვის უნდა ვიცოდეთ, რომ, მსოფლიო კონვენციის თანახმად, სხვადასხვა ქვეყანაში მისი ერთდროულად გამოქვეყნების შემთხვევაში წარმოშობის ქვეყნად ის ქვეყანა ითვლება, რომელიც საავტორო უფლებათა დაცვის უმცირეს ვადას ითვალისწინებს.

მსოფლიო კონვენცია საგანგებოდ შეეხო თარგმნის უფლებას. ზოგი ქვეყანა ავრცელებს საავტორო უფლებას თარგმანზე, ზოგიც მნიშვნელოვნად ზღუდავს მას. ამასთან, ქვეყნები სხვადასხვა ვადით ანებსებენ მთარგმნელის უფლების მოქმედებას და ზოგი მას საავტორო უფლებათა დაცვის ვადას უტოლებს. გარდა ამისა, ზოგ ქვეყანაში მოქმედებს მკაცრი იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი და ა.შ. მსოფლიო კონვენციამ პრაქტიკულად ცნო ქვეყნის უფლება საკუთარი კანონმდებლობით მოაწესრიგოს ეს საკითხი.

მსოფლიო კონვენციამ ნაწარმოების დაცვა დამოკიდებელი გახადა მისი მატერიალური ფორმით გამოსახვაზე. ამიტომ დაცვადი ვერ იქნებოდა მაგალითად, ცოცხალი წარმოდგენა.

ჩვენ გადმოვეცით მსოფლიო კონვენციის ის ძირითადი დებულებები, რომლებიც არსებითად განსხვავდება ბერნის კონვენციისაგან.

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ TRIPS-ი ეყრდნობა ბერნის კონვენციას. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ აშშ ბერნის კონვენციას მიუერთდა და ნაწარმოების დაცვისათვის ფორმალობების აუცილებელი განხორციელება უარყო.

16. შემსრულებლის, ფინოგრამების დამამზადებლისა და მაუნუებლოვის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (რომის კონვენცია)

მომიჯნავე უფლებების დაცვა უკავშირდება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას. პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ამ უფლებების დაცვას ისახავდა მიზნად ინგლისის 1911 წლის კანონია (Copyright Act). ამ კანონმა გაითვალისწინა ხმის ჩანაწერების დამამზადებელთა უფლებების დაცვა, რაც შემდგომში საერთო სამართლის მიმდევარი სხვა ქვეყნების ზოგიერთი კანონითაც იქნა გათვალისწინებული.

საერთაშორისო დონეზე მომიჯნავე უფლებების დაცვის საკითხი პირველად განხილულ იქნა ბერნის კონვენციასთან დაკავშირებით 1928 წელს მონეულ დიპლომატიურ კონფერენციაზე. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც ქვეყნების მთავრობებს ეთხოვა შემსრულებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის საკითხების განხილვა. ამას მოჰყვა საკითხის მრავალგზის განხილვა სხვადასხვა დონის საერთაშორისო კონფერენციაზე. შედეგად მომზადდა საერთაშორისო კონვენციის რამდენიმე პროექტი. შემსრულებელთა უფლებების დაცვის გარდა გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე მაუნუებლობის ორგანიზაციების ინტერესები. ეს პროექტებია: 1951 წლის რომის პროექტი, 1957 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტი და 1957 წლის მონაკოს პროექტი. 1960 წელს ისმომ, იუნესკომ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ პააგაში მიიღეს კონვენციის პროექტის საბოლოო ტექსტი, რომელიც განხილულ იქნა 1961 წლის 26 ოქტომბრის რომის დიპლომატიურ კონფერენციაზე, სადაც დამტკიცდა ამჟამად მოქმედი შემსრულებლების, ფონოგრამებისა და მაუნუებლობის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (შემდგომში რომის კონვენცია). რომის კონვენციაში განუერთანება დამოკიდებულია, გაეროს გარდა, ბერნის კავშირის ან საავტორო უფლებათა დაცვის უნივერსალური კონვენციის (უნივერსალ ჩოპყრიგჰტ ჩონენტიონ) წევრობაზე. რომის კონვენციამ თავისი პირველივე მუხლით აღიარა, რომ მომიჯნავე უფლებების დაცვა ხორციელდება საავტორო უფლებების პატივისცემით. ამდენად, მომიჯნავე უფლებების გამოყენება არანაირ დაბრკოლებას არ უქმნის საავტორო უფლებების დაცვას. მოცემული პრინციპი, ისევე როგორც რომის კონვენციის სხვა პრინციპები და მოთხოვნები, მთლიანად გაითავისა საქართველოს საავტორო სამართალმა.

ბერნისა და პარიზის კონვენციების მსგავსად, რომის კონვენცია, მომიჯნავე უფლებების დაცვის თვალსაზრისით, აღიარებს ეროვნული რეჟიმის პრინციპს და აწესებს მომიჯნავე უფლებების დაცვის მოცულობის

მინიმუმს. ქვეყნებს ამ მინიმუმის შემცირების უფლება არა აქვთ, მათ შეუძლია მხოლოდ დაცვის უფრო ფართო ფარგლების დაწესება. ამასთან, რომის კონვენციის ნევრმა ქვეყანამ შეიძლება სხვა მონაწილე ქვეყნის მოქალაქეთა მომიჯნავე უფლებების დაცვა გაითვალისწინოს იგივე ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს ამ სხვა ქვეყნის კანონმდებლობა საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

კონვენცია საზღვრავს, თუ ვინ იგულისხმება შემსრულებლად. ეს განსაზღვრება სრულად ემთხვევა საქართველოს საავტორო სამართალში არსებულს.

შემსრულებლის თანხმობა თუ არ იქნა, მას შეუძლია ნებისმიერ პირს აუკრძალოს: შესრულების რადიო- და პირდაპირი ტელეგადაცემა; ასეთი გადაცემების ფიქსაცია (ჩანერა) და მისი კვლავნარმოება, თუ პირველი ჩანერა მოხდა შემსრულებლის თანხმობის გარეშე, ან, თუ ჩანერა განხორციელდა იმ მიზნებისაგან განსხვავებით, რაზედაც იყო შემსრულებლის თანხმობა გაცემული.

ფონოგრამის დამამზადებლის თანხმობის გარეშე იკრძალება ფონოგრამის პირდაპირი ან ირიბი სახით კვლავნარმოება. თუ ფონოგრამა მეორადი გამოყენებისათვისაა (მაგ. რადიო- ან ტელეგადაცემებში), მაშინ ამ ფონოგრამის გამოყენებელმა პირმა უნდა გაილოს გარკვეული გასამრჯელო დამამზადებლის, ან მაუწყებლობის ორგანიზაციის სასარგებლოდ. ასეთი ნორმის არ გათვალისწინება სავალდებულო არ არის.

მაუწყებლობის ორგანიზაციას უფლება აქვს აკრძალოს თავისი გადაცემის კვლავნარმოება, ჩანერა, ჩანანერის კვლავნარმოება, ტელეგადაცემის საჯაროდ ჩვენება, თუ ეს გადაცემა ხორციელდება თავისუფლად დასასწრებ ადგილზე, რისთვისაც ფულადი გადასახადი არის დაწესებული.

რომის კონვენცია მოიცავს აგრეთვე, უფლებების შეზღუდვებს, რომელიც იმგვარადვე გადმოცემული საქართველოს საავტორო სამართალში.

მომიჯნავე უფლებების მოქმედება დროში უნდა იყოს 20 წელზე არანაკლები, რაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია და დაწესებულია უფრო მეტი ხანგრძლივობითაც.

რომის კონვენცია ბერნის ან პარიზის კონვენციების მსგავსი კავშირის შექმნას არ ითვალისწინებს.

ამჟამად, რომის კონვენციის ნევრი ქვეყნების რაოდენობამ გადააჭარბა 55-ს. მიზანშეწონილი იქნება საქართველოც შეუერთდეს მას, მით უფრო, რომ ეს კონვენცია ერთადერთია (საერთაშორისო კონვენციების რიცხვში), რომელმაც პირველად შემოიღო მომიჯნავე უფლებების დაცვა მთელი სისრულით და არ აღმოცენებულა ეროვნული კანონმდებლობებიდან.

17. ფონოგრაფიის მწარმოებლების უფლებების დაცვის კონვენცია მათი ფონოგრაფიის უნებართვო კვლავწარმოებისაგან

ფონოგრამის მწარმოებლების უფლებების დაცვის ეს კონვენცია მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულების – რომის კონვენციის, დამატებით სპეციალურ ხელშეკრულებას წარმოადგენს. ეს კონვენცია ძალზე სწრაფად მომზადდა და ასევე სწრაფად მოენერა ხელი. ეს იმით აიხსნება, რომ ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე განსაკუთრებით მომძლავრდა ფონოგრამების მეკობრული წარმოება და გასაღება. ყოფილი სოციალისტური სისტემის წგრევამ კიდევ უფრო გაამძაფრა მეკობრეობისაგან დაცვის საკითხები. აღნიშნული ქვეყნები კანტიკუნტად თუ ხდებიან რომის კონვენციისა და მომიჯნავე უფლებების სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო აქტების მონაწილენი.

სოციალისტური სისტემა ჯერ კიდევ არსებობდა, როდესაც მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნები შემოთავაზებული იყვნენ მეკობრეობის მასშტაბების განვითარებით, რაც განსაკუთრებით ფონოგრამებთან დაკავშირებით იგრძნობოდა. პირატული ფონოგრამები, რომლებზეც პოპულარული ანსამბლების შესრულებები (სიმღერები) იყო ჩანერილი, მილიონობით ეგზემპლარებად იყიდება მსოფლიოში. მეკობრეთა შემოსავალი და, შესაბამისად, ორიგინალური ფონოგრამების დამამზადებლების ზიანი მილიონობით აშშ-ს დოლარს აღწევს. უკვე არსებულმა რომის კონვენციამ ყველა მტკივნეული პრობლემა სამართლებრივად ვერ მოაწესრიგა. შედეგად გადაწყდა სპეციალური საერთაშორისო კონვენციის შემუშავება და ამოქმედება.

საკითხი საერთაშორისო დონეზე პირველად 1970 წელს განიხილეს, ხოლო 1971 წლის ოქტომბერში ჟენევაში ხელი მოენერა ახალ კონვენციას, რომელსაც მოკლედ მოიხსენიებენ როგორც "კონვენციას ფონოგრამების შესახებ". ამჟამად, მისი წევრების რიცხვი უკვე აჭარბებს 50. პრაქტიკულად მას მიუერთდა რომის კონვენციის ყველა წევრი ქვეყანა. ინგლისურად ამ კონვენციის სრული სათაურია "CONVENTION FOR THE PROTECTION OF PRODUCERS OF PHONOGRAMS AGAINST UNAUTHORIZED DUPLICATION OF THEIR PHONOGRAMS".

ფონოგრამების შესახებ კონვენციის ღირშესანიშნაობა ის არის, რომ მასში ასახვა პოვა ეროვნული ქვეყნების კანონებით განსაზღვრულმა დაცვის საშუალებებმა. შესაბამისად, კონვენცია მის წევრებს უფლებას აძლევს გამოიყენონ ნებისმიერი აღნიშნული საშუალება. ამდენად, ქვეყანას, რომელიც მიუერთდა კონვენციას ფონოგრამების შესახებ, შეუძ-

ლია პირდაპირ გამოიყენოს მასში არსებული საშუალებები და ამისათვის აუცილებელი აღარ არის ცვლილებების შეტანა ეროვნულ კანონში.

რომის კონვენცია აძალბებს მის წევრებს გაითვალისწინონ მომიჯნავე უფლებათა სუბიექტების უფლებები, კერძოდ, რაიმე ქმედებაზე ნების დართვისა და აკრძალვის უფლებები. ფონოგრამების შესახებ კონვენცია კი ქვეყნებს არჩევანის უფლებას აძლევს. კერძოდ, ქვეყნებს შეუძლია აირჩიოს შესაბამისი სამართლებრივი საშუალებანი, რომლებიც აკრძალული ქმედების განხორციელების თავიდან აცილებისაკენ ან "დათრგუნვისაკენ" (რეპრესიებისაკენ) არის მიმართული. რომის კონვენციისაგან განსხვავებით, კონვენცია ფონოგრამების შესახებ ეროვნულ პრინციპს არ ითვალისწინებს. ის კონკრეტულად ჩამოთვლის აკრძალულ ქმედებებს, რომელთა წინააღმდეგაც მონაწილე ქვეყნებმა უნდა განახორციელონ ქმედითი დაცვა.

კიდევ ერთი განსხვავება რომის კონვენციისაგან ისაა, რომ კონვენცია ფონოგრამების შესახებ ღია კონვენციაა, ანუ მას შეიძლება მიუერთდეს ნებისმიერი გაეროს, ან მისი სპეციალიზებული ორგანიზაციის წევრი ქვეყანა. რომის კონვენციისადმი მიერთებისათვის კი აუცილებელია ქვეყანა, ბერნის ან უნივერსალური კონვენციის წევრი იყოს.

ფონოგრამების შესახებ კონვენციის ძირითადი დებულებებია:

დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი ის პირი, რომელიც აკმაყოფილებს მოქალაქეობის კრიტერიუმს. ქვეყნებმა, რომლებიც თავისი კანონმდებლობით ამას არ ითვალისწინებენ, მიერთებისას შეიძლება სპეციალური განცხადებით (დამატებით) ივალდებულონ ამ კრიტერიუმებისათვის დაქვემდებარება. საქართველოს საავტორო სამართალი დაცვის სუბიექტის განსაზღვრისათვის მოქალაქეობის პრინციპს აღიარებს.

ფონოგრამების დამამზადებლები უნებართვო კვლავწარმოებასთან ერთად დაცული არიან არაკანონიერი გზით დამზადებული ფონოგრამების ასლების დისტრიბუციისა და დისტრიბუციისათვის იმპორტისაგან. ფონოგრამების კანონიერად დამზადებული და გავრცელებული ეგზემპლარების ხელახალი გავრცელება დამამზადებლის მიერ ვეღარ აკრძალება და ვერც ჰონორარი იქნება მოთხოვნილი. ჩვენი აზრით, საქართველოს საავტორო სამართალი ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დასკვნა პირდაპირ არ გამომდინარეობს, განსაკუთრებით დისტრიბუციის აქტის თაობაზე. თუ ვივარაუდებთ, რომ ტერმინი "გავრცელება" დისტრიბუციასაც მოიცავს, მაშინაც კი ბუნდოვანი იქნება, დაცულია თუ არა ფონოგრამის დამამზადებელი დისტრიბუციისათვის იმპორტისაგან.

ფონოგრამების შესახებ კონვენცია ქვეყნის კომპეტენციაში ტოვებს იმ საკითხის გადაწყვეტას, თუ რა კანონმდებლობით იქნება დაცული დამამზადებელი. იგი შეიძლება დაცული იქნეს საავტორო სამართლით სპე-

ციალური უფლებების (მომიჯნავე) შემოღებით, საავტორო უფლებით დაცვასთან ერთად, ერთიანი საკანონმდებლო აქტით, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონმდებლობით, ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ფონოგრამების შესახებ კონვენციით დაშვებულია უფლებათა იმგვარივე შეზღუდვების დანესება, რაც საავტორო უფლებებთან დაკავშირებით არის ცნობილი.

დადგენილია დაცვის მინიმალური ვადა, რომელიც 20 წელზე არანაკლები უნდა იყოს. საქართველოს საავტორო სამართალი ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

კონვენცია ფონოგრამების დაცვის შესახებ იძლევა საშუალებას, რომ ქვეყნებმა თავისი კანონმდებლობით გაითვალისწინონ შემსრულებელთა ინტერესები და დაუნესონ მათ დამატებითი უფლებები.

საქართველოს საავტორო სამართალი ფართოდ იცავს შემსრულებელთა უფლებებს და უტოვებს მათ დამამზადებლისაგან ჰონორარის მოთხოვნის უფლებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შემსრულებელს ამ უკანასკნელისათვის ხელშეკრულებით აქვს დათმობილი უფლებები. შემსრულებელს, ასეთ შემთხვევაში, ჰონორარის მოთხოვნის უფლება უნარჩუნდება დამამზადებლის მიერ ფონოგრამების გაქირავებისას.

18. კონვენცია პროგრამების მატარებელი, თანამგზავრით გავრცელებული სიგნალების ბანანოების შესახებ

თანამგზავრით გავრცელებული, პროგრამის მატარებელი სიგნალების უნებართვო განაწილებისაგან საერთაშორისო დაცვის აუცილებლობა გამოწვეულია იმავე პრობლემებით, რაც ფონოგრამების შესახებ კონვენციის დახასიათებისას აღვნიშნეთ.

ეს კონვენცია მომიჯნავე უფლებათა დაცვის სპეციალური ხელშეკრულებაა და მჭიდრო ვადებში შემუშავდა და დაიდო. საკითხი მწვავედ დაისვა 1965 წლიდან, ხოლო უკვე 1974 წლის მაისში ბრიუსელში ხელი მოეწერა ახალ კონვენციას, რომელსაც მოკლედ მოიხსენიებენ, როგორც "კონვენციას თანამგზავრების შესახებ". მისი სრული ინგლისური დასახელებაა: "Convention Relating to the Distribution of Programme - Carrying Signals Transmitted by Satellite". სატელიტების შესახებ კონვენციის ნევრი ქვეყნების რაოდენობა ორ ათეულს აღემატება. ამ კონვენციის ძირითადი განსხვავებები რომის კონვენციისაგან ფონოგრამების შესახებ კონვენციის ანალოგიურია.

სატელიტების შესახებ კონვენცია აწესებს მხოლოდ ერთ მთავარ სავალდებულო მოთხოვნას: აეკრძალოს დისტრიბუტორს, რომელსაც "ხელში ჩაუვარდა" გავრცელებული ან მის ტექნიკურ საშუალებებზე გამავალი სიგნალი, რომელიც დისტრიბუციისათვის არ იყო განკუთვნილი, სხვა პირთათვის გავრცელების აკრძალვა ეს ქმედება აკრძალვას ექვემდებარება იმისდა მიუხედავად, განკუთვნილია თუ არა თანამგზავრით გავრცელებული სიგნალები საჯაროდ მიღებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მათი გავრცელება არ შეადგენს გადაცემას, რომელსაც მაუწყებლობის ორგანიზაცია ახორციელებს რომის კონვენციის განმარტების თანახმად. სატელიტების შესახებ კონვენცია გამოიყენება, როდესაც წარმოებული სიგნალები ვრცელდება კაბელით ან "მავთულის" გარეშე. ამ უკანასკნელ მოთხოვნას რომის კონვენცია არ შეიცავს.

საქართველოს საავტორო სამართალი არ ითვალისწინებს რაიმე პირდაპირ ნორმას, რომელიც თანამგზავრით გავრცელებულ სიგნალებს ეხება.

კონვენცია სატელიტების შესახებ იცავს მხოლოდ პროგრამის შემუშავებელი ორგანიზაციის უფლებებს. იგი ითვალისწინებს შეზღუდვებს, რომლებიც ანალოგიურია საქართველოს საავტორო სამართალში მოცემულისა.

გარდა ამისა, კონვენციის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სიგნალებზე, რომლებსაც სამაუწყებლო მიზნებისათვის გაშვებული სპეციალური თანამგზავრი გადასცემს.

რაც შეეხება უფლებათა დაცვის ვადებს, კონვენცია ამ საკითხს ეროვნული კანონმდებლობის გადასაწყვეტად ტოვებს და რაიმე მინიმუმს არ ასახელებს.

საქართველო, ამ კონვენციის ნევრიც არ არის.

19. ხელშეკრულება საპატენტო კანონმდებლობის შესახებ

ამ ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებდა ისმო-ს მიერ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ექსპერტებისაგან შემდგარი ჯგუფის მრავალწლიანი მძიმე მუშაობა და მრავალი საორგანიზაციო შეხვედრა იმისათვის, რომ დადებულიყო ხელშეკრულება, რომელიც დააფუძნებდა საპატენტო კანონმდებლობის პარამონიზებულ საერთაშორისო ძირითად პრინციპებს, ფორმალური მოთხოვნების ნაწილში. ეს მცდელობა დაგვირგვინდა და ხელშეკრულებას სათაური კი შემორჩა ფართო მოცულობისა, მაგრამ სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ ხელშეკრულების მსგავსად მისი შინაარსი შემოფარგლულია საერთაშორისო ფორმალური მოთხოვნების დანესებით. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საპატენტო კანონმდებლობის მატერიალური ნორმების პარამონიზაციის მიზნით ახალი საერთაშორისო ხელშეკრულების შემუშავება. ხელშეკრულება დაიდო 2000 წელს, საქართველო მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვში არ არის.

ხელშეკრულება მიმართულია იმისკენ, რომ განმცხადებელს რაც შეიძლება ნაკლები ფორმალური ხასიათის სირთულე შეექმნას საპატენტო განაცხადის სწორად მიწოდებისათვის.

ხელშეკრულება უმეტესწილად განიხილავს უწყების მიერ შესაბამისი პროცედურის ჩატარებას.

მოთხოვნები ჩამოყალიბებულია:

- განაცხადის მიმართ;
- ცვლილებათა მიმართ, როგორც ექსპერტიზის დროს ისე პატენტის გაცემის შემდეგ;
- ფორმალური მოთხოვნების პროცედურის მიმართ;
- გამოგონების ერთიანობის მიმართ და სხვ.

აღნიშნული მოთხოვნები წარმოდგენილია ხელშეკრულების 27 მუხლით და ინსტრუქციით, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. გათვალისწინებულ მაქსიმალურ მოთხოვნათა გარდა ეროვნულ უწყებებს სხვა მოთხოვნების დანესების უფლება აღარ აქვს.

მაგალითად, ეროვნული საპატენტო უწყება ვალდებულია დაადგინოს განაცხადის შეტანის თარიღი და ექსპერტიზა გააგრძელოს, თუ საგანაცხადო მასალები შეიცავს საბუთებს, საიდანაც ცხადად არა ჩანს, მაგრამ ივარაუდება, რომ ერთი მათგანი აღწერილობის სახით არის წარმოდგენილი, მეორე – გამოგონების ფორმულის სახით. მთავარია რამენაირად ირკვევოდეს განმცხადებელთან კავშირის დასამყარებელი მისამართი და იყოს მოცემული მისი ამოცნობის საკმარისი მონაცემები. ამ საბუთებიდან ერთი მაინც, რომ არ იყოს წარმოდგენილი უწყებას ეროვნული კანონის მიხედვით შეუძლია განმცხადებელს ხარვეზის გამოსასწორებლად და-

მატებითი ვადა მისცეს. თუ მიცემული ვადის განმავლობაში გამორჩენილი საბუთები წარდგენილ იქნება, მაშინ უწყება აგრძელებს საქმისწარმოებას და განაცხადს შეტანის თარიღად ბოლო საბუთის წარმოდგენის თარიღს უდასტურებს. დაწესებულია, რომ შეტანის თარიღის დასადგენად არ არის სავალდებულო ქვეყნის ოფიციალურ ენაზე ყველა საგანაცხადო საბუთის წარმოდგენა განაცხადის შეტანისთანავე. საკმარისია თავდაპირველად ოფიციალურ ენაზე წარმოდგენილი იყოს განცხადების ბლანკი, ხოლო უცხო ენაზე წარმოდგენილ სხვა საბუთებზე მიენიშნოს რომელი რომელია, მაგალითად ესა და ეს საბუთი არის აღწერილობა ან გამოგონების ფორმულა.

დაწესებულია საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნის ფორმა და ვადები, რაც საქართველოში დადგენილისაგან დიდად არ განსხვავდება. საპრიორიტეტო საბუთების წარმოდგენის მოთხოვნა ქვეყნის კანონმდებლობაზეა მიმდობილი.

საერთაშორისო განაცხადებთან დაკავშირებით ქვეყნებს არა აქვთ უფლება გადაუხვიონ საერთაშორისო მოთხოვნებს განაცხადის გაფორმების მხრივ.

ცვლილებების შეტანის შესახებ დაწესებულ მოთხოვნათაგან აღსანიშნავია, რომ განმცხადებელს ან პატენტის მფლობელს ერთი წერილობითი განცხადების საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს მრავალი ცვლილების შეტანა, ხოლო მათი რაოდენობა განსაზღვრული არ არის.

ხელშეკრულება შეიცავს წარმომადგენლობის განევაზე გასაცემ მინდობილობის სტანდარტულ ბლანკს და აწესებს, რომ თუ ასეთი შინაარსის ბლანკის მიხედვით არის გაფორმებული მინდობილობა, სხვა ფორმალური მოთხოვნები ამ დოკუმენტისადმი ვეღარ დაწესდება.

აკრძალულია მინდობილობაზე ან განაცხადის დამონმებულ ასლზე ან საგანაცხადო მასალების თარგმანზე ხელმოწერის ლეგალიზაციის, ნოტარიუსის ან სხვაგვარი დამონმების მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ისეთ მნიშვნელოვან ქმედებას, როგორცაა პატენტის გაუქმება ან განაცხადის გამოსმობა.

სტანდარტულ მონაცემების მინიმუმს და სტანდარტული საბუთების ფორმას ითვალისწინებს ინსტრუქცია. იგი აგრეთვე ითვალისწინებს მინიმალურ ვადებს, რაც განმცხადებელს უნდა მიეცეს პროცედურული მოთხოვნების შესასრულებლად.

ხელშეკრულება დადებულია ესპანურ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, არაბულ და ჩინურ ენებზე, რომელთაგანაც ყველა ტექსტი თანაბარი ძალის მქონეა.

რადგან საქართველო ამ ხელშეკრულებისადმი მიერთებული არ არის მისი მოთხოვნების დაწერილებით განხილვას აღარ წარმოვადგენთ.

20. საპატენტო პროცედურისათვის

მიკროორგანიზმების დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ ბუდაპეშტის ხელშეკრულება

საპატენტო სამართალი, როგორც ცნობილია, პატენტის გაცემის საგნად ცნობს მიკროორგანიზმების შტამს. დამკვიდრებული პრინციპების თანახმად პატენტის გასაცემად არ კმარა მხოლოდ შტამის აღწერილობა. განმცხადებელს, ყველა ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, დეპონირებული უნდა ჰქონდეს განაცხადში აღწერილი შტამი. მიკროორგანიზმის დეპონირებისათვის საჭიროა შეიქმნას სპეციალური პირობები, შტამს გაენიოს მუდმივი მეთვალყურეობა. ამისათვის სპეციალური დანადგარების გარდა სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტებიც არის საჭირო. ამ მიზეზების გამო, ყველა ქვეყანა ვერ ახერხებს საკუთარი დეპოზიტორიუმის ქონებას. საერთოდ, ყოველგვარი გაუგებრობისა და სირთულის თავიდან ასაცილებლად შეიძლება გამოკვეთილად მიეცეს უპირატესობა შესაბამისი საერთაშორისო ორგანოების არსებობას. სპეციალისტების ძალისხმევა საერთაშორისო დეპონირების დანესების შესახებ დაგვირგვინდა 1977 წლის ბუდაპეშტის ხელშეკრულების მიღებით, რომელმაც სამართლებრივად მოაწესრიგა მიკროორგანიზმების დეპონირების საკითხი საპატენტო პროცედურისათვის. ხელშეკრულების ინგლისური დასახელებაა: "Budapest Treaty on the International Recognition of the Deposit of Microorganisms for the Purposes of Patent Procedure". ბუდაპეშტის ხელშეკრულებას მიერთებულია ორმოცამდე ქვეყანა. საქართველო მისი წევრი არ არის, მაგრამ ცნობს ბუდაპეშტის ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოების – დეპოზიტორიუმის მიერ გაცემულ დოკუმენტაციას შტამის დეპონირების შესახებ. ბუდაპეშტის ხელშეკრულების წევრი შეიძლება გახდეს პარიზის კონვენციის წევრი ქვეყანა.

დეპონირება ნიშნავს ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის შესაბამისად განხორციელებულ შემდეგ ქმედებებს: დეპონირების საერთაშორისო ორგანოებისათვის მიკროორგანიზმის გადაცემას, რომელიც ლეზულობს და იბარებს მას. დეპონირებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მიკროორგანიზმის შენახვა.

საერთაშორისო დეპონირების ორგანო უნდა წარმოადგენდეს დანესებულებას, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პერსონალი და სამეცნიერო საქმიანობისათვის განკუთვნილი მოწყობილობა. მას ადვილად უნდა დაუკავშირდეს მესამე პირი, როგორც მიკროორგანიზმების ჩაბარების, ისე შენახვის სურვილით. ორგანომ უნდა გასცეს მონშობა, რომელიც დაამონშებს მიკროორგანიზმის ცხოვრებისუნარიანობას. გარდა ამისა, ამ ორგანომ უნდა გასცეს დეპონირებული მიკროორგანიზმი.

ბუდაპეშტის ხელშეკრულების გამოყენება განსაკუთრებით ხელსაყ-

რელია საპატენტო განაცხადის მრავალ ქვეყანაში მიწოდების შემთხვევაში. მაშინ საკმარისი იქნება მხოლოდ ერთ საერთაშორისო ორგანოში დეპონირება. ამჟამად საერთაშორისო დეპოზიტორიუმის უფლება მოპოვებული აქვს 41 ინსტიტუტსა და კოლექციას, მათ შორის არის ყოფილი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ინსტიტუტები: რუსეთი – 3, ლატვია, ბულგარეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი – თითო.

ბუდაპეშტის ხელშეკრულებას აქვს კავშირი, და მისი წევრი ქვეყნები შეადგენენ ასამბლევას.

21. საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შესახებ სტრასბურგის შეთანხმება

როგორც ცნობილია, მსოფლიოში ყოველწლიურად გაიცემა მილიონზე მეტი გამოგონების პატენტი. შესაბამისად ქვეყნდება ოფიციალური ინფორმაცია ამ გამოგონებათა შესახებ. აგრეთვე, ქვეყნდება სხვა პუბლიკაციები, რომლებიც საპატენტო ინფორმაციასაც შეიცავს. ამასთან, გამოგონების გარდა რეგისტრირდება მონუმობის გაცემით ან პატენტდება დიდი რაოდენობა ე.წ. მცირე გამოგონებებისა, რომლებსაც სასარგებლო მოდელად იცნობს სამრეწველო საკუთრების სამართალი. მაგალითად, მხოლოდ იაპონია ყოველწლიურად აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას 200 ათასზე მეტ სასარგებლო მოდელზე. აღნიშნული ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მსოფლიოში იქმნება საპატენტო ინფორმაციის მთელი ოკეანე. იმისათვის, რომ ამ ოკეანეში გზა გავიკვლიოთ, საჭიროა გვყავდეს მეგზური ან გვექონდეს ინსტრუმენტი, რომელიც დაგვეხმარება სწორი გზის მოძებნაში. ასეთ ინსტრუმენტად გვევლინება საპატენტო კლასიფიკაცია. დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნები გერმანია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია სარგებლობენ საკუთარი ეროვნული კლასიფიკაციით. ზოგიერთი მათგანი დღესაც იყენებს ეროვნულ კლასიფიკაციას, მაგალითად, აშშ და იაპონია. საბჭოთა კავშირი სარგებლობდა უმნიშვნელოდ სახეცვლილი გერმანული კლასიფიკაციით.

სპეციალისტები და დაინტერესებული ყველა პირი, ცხადია, ამჯობინებს, რომ ერთგვაროვანი საშუალება ჰქონდეს საპატენტო ინფორმაციის მოსაძებნად. საერთაშორისო ერთიანი კლასიფიკაციის მიღების საკითხი უფრო აქტუალური გახდა მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფ განვითარებასთან ერთად. შედეგად, შემუშავდა და 1971 წელს სტრასბურგში ხელი მოეწერა საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის ხელშეკრულებას. ინგლისურად მისი სრული სათაურია: "Strasbourg Agreement Concerning the International Patent Classification". კონვენცია გადასინჯულ იქნა 1979 წელს. მასში მონაწილეობს ოთხ ათეულამდე ქვეყანა, საქართველო მიერთებული არ არის, მაგრამ ეროვნული საპატენტო სისტემის ამოქმედების პირველი დღიდანვე სარგებლობს საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციით. საერთაშორისო კლასიფიკაციას იყენებს გაცილებით მეტი ქვეყანა, ვიდრე წევრად ჰყავს სტრასბურგის ხელშეკრულებას.

ამ ხელშეკრულებით დამკვიდრებული გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია (შემოკლებით გსკ) შედგება 8 კარისაგან და შეიცავს 100-ზე მეტ კლასს. კლასები, თავის მხრივ, დაყოფილია ქვეკლასებად, შემდეგ ჯგუფებად და ქვეჯგუფებად. კლასიფიკაცია სულ შეიცავს 67 ათასამდე მცირე რუბრიკას. ყოველ რუბრიკას შერჩეული აქვს ინდექსი, რომელიც შეიცავს ლათინური ალფაბეტის ასოსა და არაბულ ციფრებს. საერთაშო-

რისო საპატენტო კლასის ჩანაწერის მაგალითია A61K 33/34. პირველი ასო A მიუთითებს, რომ გამოგონება ადამიანის ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ ობიექტს წარმოადგენს. ეს ლათინური ასო A ციფრებთან ერთად (ამ შემთხვევაში 61) მიუთითებს, რომ გამოგონება მიეკუთვნება მედიცინის სფეროს. შემდეგ კვლავ ლათინური ასო ემატება (ამ შემთხვევაში K) და კომბინაცია A61K მიუთითებს, რომ გამოგონება მკურნალობის ხერხებს ეკუთვნის. ხოლო შემდგომი ციფრები ჯგუფისა და ქვეჯგუფის მაჩვენებელია და მთლიანად საკლასიფიკაციო ინდექსი A61K 33/34 ნიშნავს, რომ გამოგონება ეკუთვნის ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სფეროს, კერძოდ, მედიცინის დარგს, უფრო კერძოდ, დაავადებათა მკურნალობის ხერხებს, ხოლო კიდევ უფრო კონკრეტულად – სიმსივნით გამოწვეული დაავადებების მკურნალობას ეხება. როგორც ვხედავთ, საერთაშორისო კლასიფიკაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ ძალიან ღრმად დავანვრთილმანოთ ძიების საგანი და, თუ, მაგალითად, ჭანჭიკები გვინტერესებს, მივაგნოთ იმ საკლასიფიკაციო ინდექსს, რომელშიც მხოლოდ ჭანჭიკების შესახებ იქნება ინფორმაცია.

საერთაშორისო კლასიფიკაცია ხუთ წელიწადში ერთხელ გადაისინჯება ხოლმე, სადღეისოდ მოქმედებს მეექვსე კლასიფიკაცია. გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს დღემდე არ გააჩნია საერთაშორისო კლასიფიკაციის ქართული თარგმანი და ხელმძღვანელობს უმეტესად რუსული ტექსტით. ჩვენი აზრით, სასწრაფოდ უნდა დაიწყოს მუშაობა მის თარგმანზე, რაც ხანგრძლივი პროცესი იქნება და მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა. კლასიფიკაციის ქართულად თარგმნა შეუფასებელ ამავს გაუნევეს ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის სრულყოფას. სტრასბურგის შეთანხმებას აქვს კავშირი და ასამბლეა, რომელსაც შეადგენს კავშირის ყველა ქვეყანა.

22. სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების ჰააგის შეთანხმება

ამ საუკუნის დასაწყისში, როდესაც უკვე მოქმედებდა სასაქონლო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ხელშეკრულება, აქტუალური გახდა სამრეწველო ნიმუშებზე სხვადასხვა ქვეყანაში დაცვის მოპოვების გაიოლების საჭიროება. სამრეწველო ნიმუში, თავისი ბუნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო ვაჭრობის პროცესში, გარეგნულად რაც უფრო მიმზიდველია საქონელი, მით უფრო წარმატებულია ვაჭრობა. სამრეწველო ნიმუში ისევე, როგორც ინტელექტუალური საკუთრების სხვა მრავალი ობიექტი, მეკობრეთა გაცხოველებულ ინტერესს იწვევს (ეს ფაქტი დღესაც არ გამქრალა). ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ (საერთაშორისო დონეზე) სულ უფრო მკაფიოდ გაისმოდა მოთხოვნა სამრეწველო ნიმუშების დაცვისათვის ქმედითი სამართლებრივი სისტემის შექმნის შესახებ. კონკრეტულად, საკითხი ვაშინგტონის 1911 წლის დიპლომატიურ კონფერენციაზე იქნა განხილული. დიდი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ 1925 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა სამრეწველო ნიმუშების რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმება (Hague Agreement Concerning the International Deposit of Industrial Designs).

ჰააგის ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1928 წლის ივნისში. შეთანხმება მრავალგზის გადაისინჯა, ამჟამად მოქმედებს 1984 წლის 1 აგვისტოს რედაქცია.

ჰააგის შეთანხმების თანახმად, ნებისმიერ პირს შეუძლია მიაწოდოს განაცხადი ისმოს საერთაშორისო ბიუროს და მოახდინოს სამრეწველო ნიმუშის საერთაშორისო დეპონირება, რაზედაც მას მინიმალურ ფორმალობების შესრულება და ხარჯის გაღება დასჭირდება. ასეთი დეპონირების შემდეგ განმცხადებლის (დეპოზიტორის) უფლებები დაცული იქნება ჰააგის შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე ყოველგვარი დამატებითი ძალისხმევით და ხარჯების გაღების გარეშე. საერთაშორისო დეპონირების უფლება აქვთ ჰააგის შეთანხმების მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს. ამასთან, საერთაშორისო დეპონირება არ არის დამოკიდებული საკუთარ ქვეყანაში დეპონირებაზე. ჰააგის შეთანხმების თანახმად საკუთარი ქვეყნის ეროვნულმა კანონმა შეიძლება დაავალდებულოს სამრეწველო ნიმუშის დეპოზიტორი პირი, რომ საერთაშორისო დეპონირება ეროვნული უწყების გავლით განხორციელდეს. საერთაშორისო დეპონირების საფუძველზე და მასთან ერთდროულად შესაძლებელია წარმოშობის ქვეყანაშიც იქნეს მოპოვებული უფლებები მოცემულ სამრეწველო ნიმუშზე. ქვეყანამ, საკუთარი კანონმდებლობის საფუძველზე, შეიძლება უარი განაცხადოს საერთაშორისო დეპონირების ძალაზე მის

ტერიტორიაზე. უარის თქმა დაუშვებელია რაიმე ფორმალური მოთხოვნების საფუძველზე. უარი ითქმის მხოლოდ მაშინ, თუ სამრეწველო ნიმუშში ვერ აკმაყოფილებს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ არსებითი ხასიათის მოთხოვნებს, მაგალითად, დაცვითუნარიანობის კრიტერიუმებს. დეპონირებული სამრეწველო ნიმუში აღირიცხება საერთაშორისო ბიუროს მიერ, რომელიც აქვეყნებს შესაბამის მონაცემებს. ჰააგის ქვეყნები არ არიან ვალდებული თავად განახორციელონ ახალი გამოქვეყნება. დაცვისათვის საკმარისია საერთაშორისო გამოქვეყნების ფაქტი. ქვეყანას, რომელმაც მიიღო საერთაშორისო ბიუროს მიერ გამოქვეყნებული პერიოდული ბიულეტენი, ეძლევა ექვსი თვე, რათა განაცხადოს თავისი გადაწყვეტილება საერთაშორისო დეპონირების ცნობის თაობაზე. ამასთან, დეპოზიტორს უნდა გააჩნდეს დაცვის ყველა ის საშუალება, რითაც მოცემული ქვეყნის მოქალაქე სარგებლობს. პერიოდული ბიულეტენის დასახელებაა "International Designs Bulletin", მასში ქვეყნდება სამრეწველო ნიმუშების გამოსახულება. დეპოზიტორს უფლება აქვს შეაჩეროს გამოქვეყნება 12 თვით (მაგრამ არა უმეტეს) საერთაშორისო დეპონირების თარიღიდან.

საერთაშორისო დეპონირებას ძალა აქვს ხუთი წლით, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს მომდევნო ხუთი წლით. იმ ქვეყნებისათვის რომელთა ეროვნული კანონი ითვალისწინებს დაცვის 10 წელიწადზე მეტ ხანგრძლივობას, დასაშვებია ახალი, მომდევნო ხუთი წლით საერთაშორისო დეპონირების გაგრძელება. ასეთი გაგრძელება შეიძლება განხორციელდეს დაცვის მაქსიმალური ვადის ამონურვამდე.

საერთაშორისო ბიუროს სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ეწევა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ბიულეტენიც ერთდროულად ამ ენებზე ქვეყნდება.

2001 წლის ბოლოსათვის საერთაშორისო დეპონირებათა რიცხვმა გადააჭარბა 7000, ხოლო ძალაში მყოფი დეპონირებული სამრეწველო ნიმუშების რიცხვი შეადგენდა დაახლოვებით 30 000.

ჰააგის შეთანხმებით დაფუძნებულია კავშირი, რომლის სტოკჰოლმის აქტს მიერთებული წევრები შეადგენენ ასამბლევას.

საქართველო ჰააგის შეთანხმების წევრი არ არის, მასში მონაწილეობს 30-მდე ქვეყანა.

23. სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის დანესების ლოკარნოს შეთანხმება

საპატენტო უწყებები ერთმანეთს ინფორმაციას უცვლიან, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მესამე პირებისთვის და შესაბამისი დარგის სპეციალისტებისათვის. როგორც ცნობილია, ყოველდღიურად, მსოფლიოში ინფორმაციის უზარმაზარი მასივები ფორმირდება. განსაკუთრებულ ნაკადს წარმოადგენს ინფორმაცია სამრეწველო ნიმუშების შესახებ, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მონაცემს შეიცავს. ცხადია, არსებობს მოთხოვნილება რაიმე საერთაშორისო ინსტრუმენტზე, რომელიც გადანყვეტდა ინფორმაციის ამ ზღვაში ორიენტაციისა და საჭირო მონაცემთა დაძებნის გაადვილების ამოცანას. გამოგონებათათვის ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება სტრასბურგის საერთაშორისო ხელშეკრულებით დამკვიდრებული საერთაშორისო კლასიფიკაცია.

სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის დანესების საერთაშორისო ხელშეკრულება დაიდო ლოკარნოში 1968 წელს. იგი გადასინჯული იქნა 1979 წელს. ინგლისურად მისი სრული დასახელებაა: "Locarno Agreement Establishing an International Classification for Industrial Designs". მისი მონაწილე ქვეყნების რაოდენობა სამ ათეულს უახლოვდება. საქართველო იყენებს ამ კლასიფიკაციას, მაგრამ მისი წევრი არ არის. პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანას შეუძლია მიუერთდეს ლოკარნოს ხელშეკრულებას.

ლოკარნოს ხელშეკრულება ავალდებულებს მონაწილე ქვეყნებს, რომ მათმა უწყებებმა საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისი ინდექსი მიუთითონ ოფიციალურ საბუთებზე, რომლებიც სამრეწველო ნიმუშების რეგისტრაციას, ან დეპონირებას ეხება (იგივე შეიძლება გავრცელდეს პატენტგაცემულ სამრეწველო ნიმუშებზეც). იდენტური ვალდებულება ვრცელდება სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებულ ნებისმიერ პუბლიკაციაზე. საერთაშორისო კლასიფიკაცია გადასინჯვას ექვემდებარება.

კლასიფიკაცია შედგება 32 კლასისაგან და 223 ქვეკლასისაგან. შემუშავებულია ალფაბეტური საკლასიფიკაციო საძიებელი, შედგენილი ნაწარმის სახეობების მიხედვით. მასში შესულია 6000-ზე მეტი ნაწარმის დასახელება.

ლოკარნოს ხელშეკრულებით დადგენილ საერთაშორისო კლასიფიკაციას იყენებენ ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც მისი წევრები არ არიან, მათ შორის საქართველოც. ასეთი ქვეყნების რიცხვი ალემატება მასში მონაწილე ქვეყნების რაოდენობას.

ლოკარნოს ხელშეკრულებით შექმნილია კავშირი, რომელსაც აქვს მისი წევრი ქვეყნებისაგან შემდგარი ასამბლეა.

24. ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ

ამ ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებდა მრავალწლიანი საერთაშორისო ექსპერტების მძიმე მუშაობა და მრავალი საორგანიზაციო შეხვედრა იმისათვის, რომ დადებულიყო ხელშეკრულება, რომელიც დააფუძნებდა სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის ჰარმონიზებულ საერთაშორისო ძირითად პრინციპებს. ეს მცდელობა მხოლოდ ნაწილობრივ დაგვირგვინდა და ხელშეკრულებას სათაური კი შემორჩა ფართო მოცულობისა, მაგრამ მისი შინაარსი შემოფარგლულია საერთაშორისო (ფორმალური) მოთხოვნების დანესებით. ხელშეკრულება დაიდო 1994 წელს, მასში 1997 წლის 17 აპრილისათვის მ სახელმწიფო მონაწილეობდა. საქართველო მათ რიცხვში არ არის.

ხელშეკრულება მიმართულია იმისკენ, რომ განმცხადებელს რაც შეიძლება ნაკლები ფორმალური ხასიათის ჯებირი შეექმნას სასაქონლო ნიშანზე განაცხადის სწორად მიწოდებისათვის.

ხელშეკრულება უმეტესწილად განიხილავს უწყების მიერ შესაბამისი პროცედურის ჩატარებას.

მოთხოვნები ჩამოყალიბებულია:

- განაცხადის მიმართ;
- რეგისტრაციის შემდგომ ცვლილებათა მიმართ;
- რეგისტრაციის გაგრძელების მიმართ.

ხელშეკრულება შეიცავს იმ მაქსიმალურ მოთხოვნათა ჩამონათვალს, რომელთა გარდა ეროვნულ უწყებებს სხვა მოთხოვნების დანესების უფლება აღარ აქვს.

მაგალითად, თუ ზოგიერთი ეროვნული კანონი არ უშვებს, რომ ერთი განაცხადით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და დაცვა გავრცელდეს საქონლის ჩამონათვლის რამდენიმე კლასზე, ამ ხელშეკრულებისადმი მიერთების შემდეგ ქვეყანა იძულებული იქნება შეცვალოს ეს პირობა და დაუშვას ნიშნის რეგისტრირება ერთი განაცხადით იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონელი განეკუთვნება სხვადასხვა კლასს. ასევე, ქვეყნის კანონმდებლობა ვეღარ მოითხოვს (თუ ამას მოითხოვდა), რომ მენარმემ წარადგინოს ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან მისი საწარმოს რეგისტრირების შესახებ. განაცხადის წარდგენისათვის და ნიშანზე დაცვის მოპოვებისათვის არ არის დასაშვები მოთხოვნილ იქნეს იმის მტკიცების უზრუნველყოფა, რომ განმცხადებელი ნამდვილად ეწევა სამენარმეო ან კომერციულ საქმიანობას.

რეგისტრაციის შემდგომი ცვლილებების შეტანის შესახებ დანესებულ მოთხოვნათაგან აღსანიშნავია მთავარი, რომ განმცხადებელს ერთი წე-

რილობითი განცხადების საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს მრავალი ცვლილების შეტანა, ხოლო მათი რაოდენობა განსაზღვრული არ არის.

რეგისტრაციის გაგრძელების შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთ სტანდარტულ ვადას – 10 წელიწადს ყოველი მომდევნო გაგრძელებისათვის.

ხელშეკრულება შეიცავს წარმომადგენლობის განევაზე გასაცემ მინდობილობის სტანდარტულ ბლანკს და აწესებს, რომ თუ ასეთი შინაარსის ბლანკის მიხედვით არის გაფორმებული მინდობილობა, სხვა ფორმალური მოთხოვნები ამ დოკუმენტისადმი ვეღარ დაწესდება.

აკრძალულია ხელმოწერის ლეგალიზაციის, ნოტარიუსთან ან სხვაგვარი დამონმების მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ისეთ მნიშვნელოვან ქმედებას, როგორცაა რეგისტრაციის გაუქმება ან რეგისტრაციაზე უარის თქმა.

25. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულება (მადრიდის ხელშეკრულება)

მადრიდის ხელშეკრულება, რომელიც 1891 წლის 14 აპრილს დაიდო, პირველია იმ საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რომლებიც სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების მოპოვების საერთაშორისო პროცედურას აფუძნებენ. ამ ხელშეკრულებამ დააფუძნა სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის საერთაშორისო ორგანო – “მადრიდის კავშირი”. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მიეცათ შესაძლებლობა ერთი განაცხადის მიწოდებით მოიპოვონ განსაკუთრებული უფლებები სასაქონლო ნიშანზე კავშირის ყველა ქვეყანაში.

სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციისათვის დადგენილი იქნა შესაბამისი მოთხოვნები და დამტკიცებულ იქნა ინსტრუქცია.

საერთაშორისო რეგისტრაცია შეიძლება მოახდინოს ნებისმიერმა პირმა, რომელიც არის მოქალაქე ან გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან ნამდვილი (მოქმედი) სამრეწველო, ან სავაჭრო სანარმო მადრიდის კავშირის რომელიმე ქვეყანაში. უფლებათა მოპოვება იწყება განაცხადის წარდგენით. საერთაშორისო განაცხადი უნდა შესრულდეს ერთ ენაზე – ფრანგულზე და მიენოდოს ისმოს საერთაშორისო ბიუროს. განაცხადმა უნდა დააკმაყოფილოს ფორმალური მოთხოვნები. საერთაშორისო განაცხადის მიწოდებამდე ნიშანი აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული წარმოშობის ქვეყანაში. როგორც ხედავთ, მადრიდის ხელშეკრულება ეფუძნება ეროვნული რეგისტრაციის განხორციელების პრინციპს ნიშნის მფლობელის საკუთარ ქვეყანაში ან სხვა ისეთ ქვეყანაში, რომელიც მიიჩნევა “წარმოშობის ქვეყნად”. მადრიდის ხელშეკრულების 1(3) მუხლი განმარტავს, რომ წარმოშობის ქვეყანა მადრიდის კავშირის ის ქვეყანაა, სადაც განმცხადებელს გააჩნია ნამდვილი მოქმედი სანარმო, ან საცხოვრებელი ადგილი, ან მოქალაქეობა.

წარმოშობის ქვეყანაში რეგისტრაციის შემდეგ არაუგვიანეს ორი თვისა საერთაშორისო განაცხადი უნდა მიენოდოს კავშირის საერთაშორისო ბიუროს, რომელიც ასრულებს სარეგისტრაციო პროცედურის ყველა ფორმალობას. თუ მიწოდების ვადა დაირღვა, მაშინ საერთაშორისო განაცხადს რეგისტრაციის თარიღად დაუდგინდება საერთაშორისო ბიუროს მიერ განაცხადის მიღების დღე. განაცხადის საერთაშორისო ბიუროში გადაგზავნა ხდება მხოლოდ წარმოშობის ქვეყნის საპატენტო უწყების მიერ, ანუ იმ ორგანოს მიერ, რომელმაც განახორციელა ეროვნული რეგისტრაცია. განმცხადებელს შეუძლია ისარგებლოს საკონვენციო პრიორიტეტის უფლებით, თუ ეროვნული რეგისტრაცია განხორციელდა არაუგვიანეს 6 თვისა განაცხადის შეტანის დღიდან. იმისათვის, რომ გა-

ნაცხადმა გაიაროს ექსპერტიზა საერთაშორისო ბიუროში, დანესებულია შესაბამისი საფასურების გადახდა. ეს საფასურები ყველა შემთხვევაში გაცილებით უფრო შელავათიანია, ვიდრე განმცხადებელს უნდა გადაეხადა ყველა ქვეყანაში განაცხადის წარდგენისას. გარდა ამისა, აღარ არის საჭირო სხვადასხვა ენაზე განაცხადის გაფორმება, რაც დროის ეკონომიის გარდა ფულად დანახარჯებსაც მნიშვნელოვნად ზოგავს.

საერთაშორისო ბიურო ამონებებს განაცხადის ფორმალური მოთხოვნებისადმი შესაბამისობას და, თუ ექსპერტიზის შედეგი დადებითია, ახორციელებს საერთაშორისო რეგისტრაციას, კავშირის ქვეყნებისათვის რეგისტრაციის შესახებ ოფიციალური შეტყობინების გაგზავნას და საერთაშორისო ბიულეტენში "Les Marques Internationales" გამოქვეყნებას.

კავშირის ქვეყანას, რომელიც მიიღებს საერთაშორისო ბიუროს შეტყობინებას ნიშნის რეგისტრაციის შესახებ, უფლება აქვს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ჩაატაროს აღნიშნული ნიშნის ექსპერტიზა და, შედეგების მიხედვით, შეატყობინოს საერთაშორისო ბიუროს, ანიჭებს თუ არა თავის ქვეყანაში მოცემულ ნიშანს ეროვნულ დაცვას. ამგვარი ქმედების განსახორციელებლად მადრიდის ხელშეკრულება იძლევა ერთი წლის ვადას, რომელიც ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის დღიდან აითვლება. თუ ნიშნის დაცვას რომელიმე ქვეყანაში ეთქვა უარი, განმცხადებელი, თავის უფლებების დასაცავად, ისარგებლებს პარიზის კონვენციით დათქმული ეროვნული რეჟიმით, ანუ მას იგივე საშუალებების გამოყენება შეუძლია, რაც მოცემული ქვეყნის განმცხადებელს გააჩნია. თუ ქვეყანამ საერთაშორისო ბიუროს სანიშნააღმდეგო არ შეატყობინა აღნიშნული ერთი წლის განმავლობაში, მაშინ საერთაშორისო რეგისტრაცია ეროვნული რეგისტრაციის ძალას იძენს. ამასთან, საერთაშორისო ბიულეტენში ნიშნის გამოქვეყნების ფაქტი საკმარისად ითვლება უფლებათა მოპოვების თვალსაზრისით (მუხლი 3(5)).

საერთაშორისო რეგისტრაცია ძალაშია 20 წელიწადს რეგისტრაციის თარიღიდან და მოქმედებს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლებშიც განმცხადებელმა მოითხოვა დაცვა. ქვეყნის მითითების საჭიროება იმის გამო დანესდა, რომ მადრიდის ხელშეკრულების 3^{bis} მუხლით კავშირის ქვეყანას უფლება მიეცა გაეკეთებინა განცხადება მის ტერიტორიაზე საერთაშორისო რეგისტრაციის ძალის გავრცელების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა, რომ ამ ქვეყანაში ნიშანს დაცვა მიენიჭებოდა იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ამას პირდაპირ მოითხოვდა. ასეთი დეკლარაცია კავშირის ყველა ქვეყანამ გააკეთა და ამიტომ, საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება მოცემულ ქვეყანაში დამოკიდებული გახდა განმცხადებლის მოთხოვნაზე.

საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება დამოკიდებულია წარმო-

შობის ქვეყანაში ნიშნის რეგისტრაციაზე. თუ წარმოშობის ქვეყანაში რეგისტრაცია რაიმე მიზეზით გაუქმდა, საერთაშორისო რეგისტრაციაც ისპობა. ასეთი პირობა მოქმედებს საერთაშორისო რეგისტრაციის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში. ამ ხუთი წლის გასვლის შემდეგ ეროვნული რეგისტრაციის გაუქმება საერთაშორისო რეგისტრაციის გაუქმებას ველარ გამოიწვევს. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ეროვნული რეგისტრაცია გაუქმდა, მაგრამ საერთაშორისო კი ძალაშია. ამ შემთხვევისას ცოტა პარადოქსული სიტუაცია იქმნება – წარმოშობის ქვეყანაში ნიშანი აღარ იმოქმედებს, ხოლო სხვა ქვეყნებში კი ძალაში იქნება.

საერთაშორისო რეგისტრაცია შეიძლება გაგრძელებულ იქნეს ყოველი მომდევნო 20 წლით. ამასთან, რეგისტრაციის ხელახალი გაგრძელება ჯერადობით შეზღუდული არ არის.

მადრიდის ხელშეკრულების წევრი ქვეყნების რაოდენობა 1996 წლის იანვრისათვის 46 იყო. მიუხედავად ხელშეკრულების ცხოვრებაში წარმატებით გატარებისა, რაზედაც მონაშობს საერთაშორისო რეგისტრაციათა რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად 20 000 აღემატება, ხოლო მოქმედი საერთაშორისო ნიშნების რიცხვი 350 000 აღწევს, მისი წევრები არ გახდნენ ინგლისი, იაპონია, აშშ და სხვა ინგლისურენოვანი ქვეყნები.

ისმო-მ საგანგებო ღონისძიებანი ჩაატარა, შეიმუშავა და მიიღო ახალი დამატებითი შეთანხმება – საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლი, რომელიც ზემოთ იქნა განხილული

26. საქონელზე ყალბი ან შემაჯდნელი აღნიშვნის დატანის აღკვეთის შესახებ მადრიდის ხელშეკრულება

საქონლის წარმოშობის ზუსტი მინიშნება კომერციული წარმატებისათვის ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა. ამგვარი აღნიშვნების გაყალბების ან შეცდომითი აღნიშვნების გამოყენება პატიოსან საქმიანობას ზიანს აყენებს, ხოლო არაპატიოსან მოსაქმეს უსაფუძვლო გამდიდრების შანსს აძლევს. საერთაშორისო ურთიერთობების გააქტიურების დროს ამ საკითხების სამართლებრივ მონესრიგებას ევროპის თუ ამერიკის კონტინენტის წამყვანი ქვეყნები შესაფერის ყურადღებას უთმობდნენ და უთმობენ ამჟამადაც. არაკეთილსინდისიერი საქმიანობის ამ გამოვლენას პარიზის კონვენცია ჯერ კიდევ ახალი ამოქმედებული იყო როცა, მისივე ეგიდით, მიღებულ იქნა ახალი საერთაშორისო ხელშეკრულება.

1891 წელს მიღებული მადრიდის აღნიშნული ხელშეკრულება ნებისმიერი სახის საქონელზე კრძალავს ისეთი აღნიშვნის დატანას, რომელიც მოცემული საქონლის წარმოშობის ყალბ მითითებას ან შეცდომაში შეყვანას წარმოადგენს. ასეთი მითითება შეიძლება იყოს პირდაპირი, მაგალითად, როდესაც კონკრეტულ ქვეყანას ან სხვა გეოგრაფიულ დასახელებას შეიცავს საქონელზე დატანილი აღნიშვნა, რომელიც სინამდვილეს არ შეეფერება. მაგალითად, საქონელი ოდესაშია წარმოშობილი, ხოლო აღნიშვნაზე მითითებულია სან-ფრანცისკო. მითითება შეიძლება იყოს ირიბიც, მაგალითად, აღნიშვნა შეიცავს ეიფელის კოშკის გამოსახულებას, ხოლო საქონელი წარმოშობილია პოლონეთში. ყოველი ასეთი საქონელი, რომელსაც ყალბი ან შეცდომითი აღნიშვნები აქვს, ექვემდებარება დაყადაღებას ქვეყანაში მათი შეტანის მცდელობისას. ან მათ მიმართ ქვეყნებმა უნდა განახორციელონ სხვა ქმედითი ზომები, რომ არ დაუშვან ასეთი საქონლის თავისუფალი მიმოქცევა.

ხელშეკრულება კრძალავს, აგრეთვე, ნებისმიერი ხასიათის საქონლის გაყიდვას, დემონსტრირებას ან გასასაღებლად შეთავაზებისას სარეკლამო აღნიშვნების გამოყენებას, რომლებიც იწვევენ, ან შეიძლება გამოიწვიონ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა საქონლის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით. მონაწილე ქვეყნის სასამართლო ორგანოებს უფლება აქვთ განსაზღვრონ რომელი დასახელება არ განიხილება შეცდომის გამომწვევად.

მადრიდის ამ ხელშეკრულებაში მონაწილე ქვეყანათა რიცხვი არც თუ ისე დიდია. 1996 წლის 1 იანვრისათვის მადრიდის ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობდა 31 სახელმწიფო. საქართველო ამ ხელშეკრულების მონაწილე არ არის.

27. ნარმოშობის ადგილის დასახელებათა დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულება (ლისაბონის ხელშეკრულება)

პარიზის კონვენციის ეგიდით დადებული ეს ხელშეკრულება მიზნად ისახავს საქონლის ნარმოშობის ადგილის დასახელების საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფას აღნიშნული დასახელების საერთაშორისო რეგისტრაციის გზით.

ლისაბონის ეს ხელშეკრულება დაიდო 1958 წელს. საქონლის ნარმოშობის ადგილად (ადგილწარმოშობა) ხელშეკრულება მიიჩნევს საქონლის აღნიშვნისათვის გამოყენებულ იმ გეოგრაფიულ დასახელებას (ქვეყანა, რაიონი, ან სხვა ადგილი – სოფელი, დაბა და ა.შ.), საიდანაც არის მოცემული საქონელი ნარმოშობილი. ამასთან, საქონლის თვისებები და მისი "არაჩვეულებრივობა" უკავშირდება მხოლოდ ამ ადგილის გეოგრაფიულსა და ადამიანურ გარემოს.

ადგილწარმოშობის დაცვა, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე, დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და ძალზე მნიშვნელოვანიც არის. ამიტომ, ისმომ ამ ბოლო ათწლეულში რამოდენიმე საერთაშორისო სიმპოზიუმში მიუძღვნა ამ პრობლემის მოწესრიგებას. ერთ-ერთი საერთაშორისო სემინარი, ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებისათვის, ჩატარდა ქ. თბილისში 1996 წლის ოქტომბერში. სემინარს ესწრებოდა ისმოს მაშინდელი გენერალური დირექტორი, ბატონი არპად ბოგში, რომელსაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო წოდება "HONORIS CAUSA" მიენიჭა.

ამ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შეუძლიათ ისმოს საერთაშორისო ბიუროს მიანოდონ განაცხადი ადგილწარმოშობის საერთაშორისო რეესტრში შესატანად. განაცხადის წარდგენის უფლება გააჩნია ქვეყნის შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს. საერთაშორისო რეგისტრაციის შემდეგ მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან დაიცვან ადგილწარმოშობა და დაცვა უნდა იყოს უზრუნველყოფილი მანამ, სანამ თვით ნარმოშობის ქვეყანა იცავს მათ. საერთაშორისო რეგისტრაციის ფაქტი ეცნობებათ ყველა მონაწილე ქვეყნებს, რომლებსაც ერთი წლის განმავლობაში უფლება აქვთ განაცხადონ, რომ მოცემული ადგილწარმოშობის დაცვას ვერ განახორციელებენ.

ადგილწარმოშობის დასახელების დაცვა უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. საქმე ისაა, რომ ქართული პროდუქცია, რომელიც კარგი რეპუტაციით სარგებლობდა ახლო წარსულში მთელი სოციალისტური სამყაროს ტერიტორიაზე, ზუსტად იმ კატეგორისაა, რომელიც ადგილწარმოშობას უკავშირდება. მარტო ფრაზა "Грузинское вино" მყიდ-

ველში (იგივე რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე ან უკრაინაში და ა.შ.) ნოსტალგიურ განწყობილებას იწვევს. მეფისდროინდელ რუსეთში ეკლესია ქართულ ღვინოს იყენებდა. ცნობილია, რომ "Церковное вино" – ქართული ღვინოს სინონიმია. დღეს "ხვანჭკარა", "ქინძმარაული", "წინანდალი", გარდა ამისა, მინერალური წყლები განთქმული "ბორჯომი"-ს თამადაობით ფალსიფიკაციის ფართო ობიექტებად იქცა. ერთ-ერთი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ქართული ნაწარმის დაცვას იგივე სივრცეზე ის არის, რომ ეროვნული კანონი ადგილწარმოშობის შესახებ ჯერ არ ამოქმედებულა. გარდა ამისა, არ არის დადებული არც ერთი ორმხრივი ხელშეკრულება ადგილწარმოშობის შესახებ. არის სხვა ხელისშემშლელი პირობებიც.

საქართველო ლისაბონის ხელშეკრულების მონაწილე არ არის. 1997 წლის 1 იანვრისათვის მონაწილე ქვეყანათა რაოდენობა შეადგენდა 17 ქვეყანას. ამავე თარიღისათვის საერთაშორისო რეესტრში შეტანილია 738 ადგილწარმოშობის აღმნიშვნელი გეოგრაფიული დასახელება.

28. ნიჰეჯის რეჰისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიციის ხელშეკრულება

ნიციის ხელშეკრულება დაიდო 1957 წლის 15 ივნისს და ძალაში შევიდა 1961 წლის 8 აპრილს. მისი ტექსტის ბოლო გადამონმება მოხდა ჟენევაში 1973 წელს. ხელშეკრულების დადების მიზანი იყო გარკვეული ერთგვაროვნების მიღწევა და ჰარმონიზაცია საქონლისა და მომსახურების კლასიფიკაციაში.

ნიციის ხელშეკრულებაში მონაწილე ქვეყნების რაოდენობა 1997 წლის 4 მარტისათვის 50 იყო. მიუხედავად ამისა, ამ ხელშეკრულებით შემოღებულ საქონლისა და მომსახურების ნუსხას იყენებს 130 ქვეყანაზე მეტი.

ამჟამად არსებობს ნიციის კლასიფიკაციის ავთენტური ორი ტექსტი ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. კლასიფიკაცია, რომელიც შეიცავს საქონლისა და მომსახურების ნუსხას, დაყოფილია 34 საქონლის ჩამონათვლის მქონე და 8 მომსახურების ჩამონათვლის მქონე კლასებად. აღნიშნული ჩამონათვლების საერთო მოცულობა შეადგენს 11 000-მდე დასახელებას. კლასიფიკაცია დროდადრო გადაისინჯება ხოლმე და ძალაში შედის ახალი რედაქცია. სადღეისოდ მოქმედებს საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-7 რედაქცია, რომელიც ძალაშია 1997 წლის 1 იანვრიდან.

გარდა კლასებად დაყოფილი საქონლისა და მომსახურების ნუსხისა ძალაშია აგრეთვე, მათი აღფაბეტური ჩამონათვალი.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ძნელია საქონლის მიკუთვნება რომელიმე კლასისთვის, რადგან, ბუნებრივია, რომ შეუძლებელია ერთმა კლასიფიკაციამ ამოწეროს არსებული საქონლის დასახელებანი და გაითვალისწინოს მომავალში შექმნილი საქონელი. გაითავისა რა სირთულეთა შესაძლებელი ხარისხი, ისმომ საერთაშორისო ბიუროსთან ჩამოაყალიბა მომსახურება, როგორც მარეგისტრირებელი უწყებებისთვის, ისე კერძო პირთათვის. მომსახურების ჯგუფს მსურველებმა შეუძლიათ მიმართონ გარკვეული საფასურის გადახდის პირობით. სადღეისოდ ყოველთვიურად ეს ჯგუფი ღებულობს 20 შეკვეთამდე.

ნიციის ხელშეკრულებაში მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან ოფიციალურ დაკუმენტებში მიუთითონ საქონლისა ან მომსახურების კლასი, რომლისთვისაც მოითხოვება ნიშნის დაცვა.

ნიციის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანა თვითონ ადგენს მის მოქმედების ძალას ეროვნული კანონმდებლობით. კერძოდ, თავისთავად ნიციის ხელშეკრულება არ არის ქვეყნისათვის ისეთი მოთხოვნის მქონე, რომ ქვეყანა ვალდებული იყოს ნიშნის დაცვის საზღვრები შემოფარგლოს საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით. უფრო მეტიც, ყოველ ქვეყანას უფლება აქვს გამოიყენოს საერთაშორისო კლასიფიკაცია საკუთარი

ეროვნული კლასიფიკაციისათვის, როგორც დანამატი. ამასთან, ქვეყანას შეუძლია დაანესოს, რომ მხოლოდ საერთაშორისო კლასიფიკაციას იყენებს.

საქართველო ნიციის ხელშეკრულების მრნაწილე არ არის, მაგრამ იყენებს (თუმცა რაიმე საკანონმდებლო აქტით ეს დადგენილი არ არის) საერთაშორისო კლასიფიკაციას, როგორც ერთდერთ საშუალებას სასაქონლო და მომსახურების ნიშნების რეგისტრაციისათვის. დიდი ნაკლი ის არის, რომ არ არსებობს ამ კლასიფიკაციის ქართული ტექსტი და გამოიყენება რუსული ტექსტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პრაქტიკაში დაეების გადანყვეტისას შეიძლება წარმოიქმნას სიტუაცია, როდესაც გასარკვევი გახდება, რას უნდა დაეყრდნოს სასამართლო რეგისტრირებულ ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების საზღვრების დადგენისას.

29. ნიშნავის გამოსახულებითი ელემენტების შესახებ ვენის საერთაშორისო ხელშეკრულება (ვენის ხელშეკრულება)

ნიცის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ვენის ხელშეკრულება სხვა მიზანს ისახავს. შემუშავებულ იქნა ნიშნებში შემავალი გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაცია, რამაც შესაძლებელი გახადა ნიშნის იდენტიფიცირება მთლიანად. მის საფუძველზე შესაძლებელია და პრაქტიკულადაც არსებობენ (მათ შორის საქპატენტში) ნიშნის საძიებო სისტემები.

ამ კლასიფიკაციას არავითარი გავლენა არ გააჩნია ნიშნის დაცვის ფარგლებზე. გამოსახულებითი ელემენტების ვენის კლასიფიკაცია, როგორც ეს ნიცის კლასიფიკაციის გაშუქებისას აღინიშნა, შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც დამოუკიდებლად, ასევე ეროვნული საკლასიფიკაციო სისტემის დანამატად. ყოველმა ქვეყანამ თვითონ უნდა დაადგინოს ეს ფარგლები. თუ ქვეყანა იყენებს ვენის კლასიფიკაციას, მას არ შეუძლია გამოსახულებით ელემენტს მიუჩინოს საერთაშორისოსაგან განსხვავებული სიმბოლო. კლასიფიკაცია შედგება 29 კატეგორიისა, 144 ჯგუფისა და 1560 ქვეჯგუფისაგან.

ვენის კლასიფიკაციას იყენებს 30 ქვეყნის უწყებაზე მეტი, თუმცა 1997 წლის 4 მარტისათვის მისი მონაწილე სულ 9 ქვეყანა იყო. საქართველო ამ ხელშეკრულებაში არ მონაწილეობს.

30. ოლიმპიური სიმბოლოს დაცვის ნაირობის ხელშეკრულება

ოლიმპიური მოძრაობა დროთა განმავლობაში სულ უფრო კომერციალიზებული ხდებოდა. მისი სიმბოლიკით მონიშნული ნაწარმისა და საქონლის გასაღება უფრო წარმატებულად ხორციელდებოდა, განსაკუთრებით ოლიმპიადის ჩატარების წელიწადს. ასეთმა ვითარებამ დღის წესრიგში დასვა ოლიმპიური სიმბოლოს საერთაშორისო დონეზე დაცვის უზრუნველყოფა. შედეგად, 1981 წელს ნაირობში ხელი მოეწერა ოლიმპიური სიმბოლოს დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებას. მისი ინგლისური დასახელებაა: "Nairobi Treaty on the Protection on the Olimpic Symbol". ნაირობის ხელშეკრულებაში მონაწილეობს 40-მდე ქვეყანა. მას შეუძლია მიუერთდეს ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც არის გაეროს, ისმოს, პარიზის კონვენციის ან გაეროს სხვა სპეციალიზებული ორგანიზაციის წევრი.

წევრი ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ ოლიმპიური სიმბოლოს სამართლებრივი დაცვა, რომელიც ხუთ ურთიერთგადაბმულ რგოლს წარმოადგენს. დაცვას ექვემდებარება კომერციული მიზნებისათვის გამოყენება, რაც გულისხმობს ამ სიმბოლოს აღბეჭდვას თავად საქონელზე, სასაქონლო ნიშნად ან სარეკლამო მასალებში.

ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომელსაც სალიცენზიო საზღაური გადაუხადებს, უზრუნველყოფს მისი წევრი ქვეყნებისათვის გარკვეული წილის ოდენობის თანხის გადარიცხვას.

საქართველო ამ ხელშეკრულების წევრი ჯერ არ გამხდარა. ჩვენი აზრით, მისი წევრობა უკანასკნელი პირობიდან გამომდინარე ფინანსურად სასარგებლო იქნება.

III. რეგიონალური კონვენციები და ხელშეკრულებები

31. ევროპის საპატენტო კონვენცია

ევროპის საბჭოს წევრად გახდომის შემდეგ აქტუალურად ჟღერს საქართველოს მისწრაფება ევროპის სხვადასხვა რეგიონალურ ორგანიზაციაში განწევრიანების საკითხი. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციაში ევროპის საპატენტო უწყება გვევლინება, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს ევროპის საპატენტო კონვენციის საფუძველზე. ეს კონვენცია იძლევა ე.წ. ევროპის პატენტის მოპოვების შესაძლებლობას და ამ თვალსაზრისით მის პირობებთან გაცნობა საინტერესო იქნება ქართველ გამომგონებელთა და მენარმეთათვის. ევროპის ერთიანი პატენტის გაცემის სისტემის ჩამოყალიბების მცდელობა დასაწყისს 1950-იან წლებში იღებს და დღესაც მთავარი მიზანი მიღწეული არ არის. ჯერ კიდევ ძალაში არ შესულა ლუქსემბურგის 1975 წლის კონვენცია ევროპის საერთო ბაზრის პატენტის შესახებ, რომელსაც შემდგომ – 1985 წელს ევროპის თანამეგობრობის შეთანხმება ეწოდა. მაშასადამე, გაერთიანებული ევროპის პატენტი ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

ამჟამად მოქმედებს ევროპის საპატენტო კონვენცია, რომელსაც 1973 წელს ხელი მიუხსენში მოენერა. ეს კონვენცია ძალაში 1977 წლის ოქტომბერს შევიდა. მისი ეგიდით დაარსებულია ევროპის საპატენტო ორგანიზაცია, რომლის შტაბ-ბინა განლაგებულია მიუნხენში (გერმანია). ორგანიზაციას ფილიალები გააჩნია ჰააგაში – საპატენტო საძიებო ორგანო (ატარებს საპატენტო საინფორმაციო გამოკვლევებს და ადგენს გამოგონების ტექნიკის დონეს ყოველ კონკრეტულ განაცხადზე), ვენაში – საპატენტო დაკუმენტაციისა და ინფორმაციის სფეროში პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანო, ბერლინში – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის ორგანო, თანამშრომელთა რიცხვი 4000 კაცს უახლოვდება. ევროპის საპატენტო ორგანიზაცია საკუთარი სახსრებით ფარავს თავისი საქმიანობისათვის საჭირო ხარჯებს. 1989 წლამდე ეს ორგანიზაცია ფინანსირდებოდა წევრი ქვეყნების მიერ. ევროპის საპატენტო კონვენციას ხელი 17-მა ქვეყანამ მოანერა, ამჟამად ეს რაოდენობა 18-ს შეადგენს (ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, შვეიცარია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მონაკო, პორტუგალია, ჰოლანდია, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი). უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთის რიგი ქვეყნებისა და კავშირებულია ევროპის საპატენტო ორგანიზაციასთან და საქმიანობს, როგორც ასოცირებული წევრი. ეს ქვეყნებია: თურქეთი, ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა, რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი და

ა.შ. საქართველო მათ შორის ჯერ არ არის, მაგრამ საკითხი განხილვის პროცესშია.

ევროპის პატენტის მიღება შეუძლია პარიზის კონვენციის წევრი და საპატენტო კოოპერაციის მონაწილე ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს. გასაგებია, რომ ევროპის საპატენტო კონვენციის მონაწილე ქვეყნის მოქალაქეს უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნია ამისა, თუმცა ის ვალდებული არ არის. მას შეუძლია მიიღოს საკუთარი ქვეყნის ეროვნული პატენტი ან პირდაპირ მიმართოს სხვა ქვეყანას, რომელშიც მას პატენტის მიღების სურვილი აქვს. ითვლება, რომ ევროპის პატენტის მიღება სარფიანია, როდესაც გამოგონების დაპატენტება ხდება სულ ცოტა 3 ქვეყანაში მაინც. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია ევროპის პატენტი საერთაშორისო განაცხადით მიიღოს (საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების საფუძველზე), თუ ის აღნიშნავს და აირჩევს ევროპის საპატენტო უწყებას. ევროპის საპატენტო ორგანიზაცია სამ ენაზე: მუშაობს ინგლისურზე, გერმანულსა და ფრანგულზე.

ევროპის საპატენტო უწყება განაცხადის მიღების შემდეგ ატარებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას და გამოქვეყნებას მე-18 თვის გასვლის თავზე. გამოქვეყნებიდან 6 თვის დამლევამდე განმცხადებელმა ან სხვა პირმა უნდა მიანოდოს ევროპის საპატენტო უწყებას საგანგებო თხოვნა არსობრივი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. თუ ეს თხოვნა არ იქნა, განაცხადი უქმდება. დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში გაიცემა ე.წ. ევროპის პატენტი, რომელსაც "დახუნძლულ პატენტს" უწოდებენ. ის დახუნძლულია იმდენი პატენტიდან გამომდინარე უფლებით, რამდენ ქვეყანაზეც გავრცელდება მისი მოქმედება, რაც გარკვეული ფორმალობების შესრულებასთან არის დაკავშირებული. ამის გამო ითვლება, რომ ევროპის პატენტი ერთი პატენტი არ არის და ერთიან დოკუმენტს არ წარმოადგენს, იმ გაგებით, რომ მისი მოქმედება ავტომატურად არ ვრცელდება ყველა მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე. ევროპის პატენტი რომ ყველა ქვეყანაში ამოქმედდეს, საჭიროა პატენტმფლობელმა შესაბამისი ქვეყნის უწყებაში ოფიციალურ ენაზე შესრულებული გამოგონების ფორმულის თარგმანი წარადგინოს, რასაც ეროვნულ ფაზაში გადასვლა სდევს თან. ამ დროს საჭიროა უწყებასთან ეროვნული პატენტრმუნებულის მეშვეობით წარიმართოს საქმიანობა. ამასთან, პატენტმფლობელი ვალდებულია გადაიხადოს პატენტის ძალაში შენარჩუნების წლიური საფასური. თანხა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ქვეყანაში სურს მას პატენტის მოქმედების გავრცელება.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ, გარდა წმინდა საპატენტო ექსპერტიზით საქმიანობისა, ევროპის საპატენტო უწყება დახმარებას უწევს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მათი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებაში. "საქპატენტის" თანამშრომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მის მი-

ერ გამართულ სემინარებში. 1998 წელს ევროპის საპატენტო უწყებამ და "საქპატენტმა" ერთობლივად ორი სემინარი გამართეს საქართველოში. თანამშრომლობა 1999 წელსაც გრძელდება.

იმედია, ახლო მომავალში საქართველო ევროპის კონვენციის ასოცირებული წევრი გახდება, რაც უფრო გააიოლებს ქართველ გამომგონებელთა მიერ ევროპის პატენტის მიღებას.

32. ევრაზიის საპატენტო კონვენცია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წლის 1 დეკემბრიდან, როდესაც ერთიანი საპატენტო სისტემა დაიშალა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებმა დაიწყეს ეროვნული საპატენტო სისტემების ჩამოყალიბება. საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა აამოქმედა თავისი ეროვნული საპატენტო სისტემა. სხვა ქვეყნებმა უფრო მოგვიანებით. რუსეთის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ 1990 წელს იგრძნო ინტეგრაციული პროცესების წამოწყებისა და განვითარების საჭიროება საპატენტო საქმიანობის სფეროში. უკვე 1991 წელს მუშავდება ღონისძიებები ერთიანი საპატენტო სივრცის შენარჩუნებისათვის. 1991 წლის 27 დეკემბერს (ჯერ კიდევ ერთი თვეც არ არის გასული საბჭოთა კავშირის დანგრევიდან!) მინსკში, დსთ-ს ფარგლებში დაიდო ხელშეკრულება სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და ხელი მოეწერა სამრეწველო საკუთრების დაცვის დროებით შეთანხმებას. ეს უკანასკნელი ქვეყნებს სთავაზობდა, დაყრდობოდნენ სსრ კავშირის კანონს გამოგონებების შესახებ, რომელიც 1991 წლის ივლისში ამოქმედდა. მინსკში რუსეთის დელეგაციამ შესთავაზა მონაწილე ქვეყნებს შეექმნათ ერთიანი საპატენტო სისტემა ერთიანი პატენტის გაცემით (გაერთიანებული ევროპის პატენტის მსგავსად, რომელიც დღესაც ვერ ამოქმედდა!). 1993 წელს შეიქმნა სამრეწველო საკუთრების სახელმწიფოთაშორისო საბჭო დსთ-ს ფარგლებში. შემდეგ შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომელსაც დაევალა კონვენციის პროექტის შემუშავება. 1994 წელს კონვენციას ხელი მოეწერა მოსკოვში დსთ-ს მთავრობათა ხელმძღვანელების სხდომაზე. კონვენციას ხელი მოაწერა საქართველომაც (ო.ფაცაცია), მაგრამ ის დღემდე საქართველოსთვის ძალაში შესული არ არის, რადგან პარლამენტს რატიფიცირება არ მოუხდენია. კონვენცია ძალაში შევიდა მისი 3 ქვეყნის მიერ რატიფიცირებიდან (თურქმენეთი – 01.05.1995; რესპუბლიკა ბელარუსი – 08.05.1995 და ტაჯიკეთი – 12.08.1995) 3 თვის გასვლის შემდეგ, ანუ 1995 წლის 12 აგვისტოდან. ამჟამად ევრაზიული კონვენცია მოქმედებს რუსეთის, ბელარუსის, მოლდოვას, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთისათვის. ევრაზიული კონვენციის წევრი შეიძლება გახდეს გაეროს, პარიზის კონვენციისა და საპატენტო კოოპერაციის წევრი ქვეყანა, რომელიც მდებარეობს ევროპასა ან აზიაში. ანუ, ჩანაფიქრით, ეს კონვენცია რეგიონალური ტიპისაა, მაგრამ არ შემოიფარგლება დსთ-ს ქვეყნებით. თუმცა ეს ამოცანა მიუწვდომელი იქნება, სანამ ერთადერთ მუშა ენად რუსული ენა გამოცხადებული. კონვენციით შექმნილია ევრაზიის საპატენტო უწყება, რომლის შტაბ-ბინა მოსკოვშია განთავსებული.

განაცხადი მიენოდება რუსულ ენაზე, გადის ფორმალური მოთხოვნე-

ბის ექსპერტიზას და მე-18 თვეზე ქვეყნდება. ამის შემდეგ 6 თვის გასვლამდე უნდა აღიძვრას შუამდგომლობა ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. თუ ასეთი შუამდგომლობა არ იქნა, განაცხადი განვეუქლად ითვლება და პატენტი არ გაიცემა. განაცხადი შეიძლება მიწოდებულ იქნეს, როგორც პირდაპირ, ასევე საპატენტო კოოპერაციით დადგენილ საერთაშორისო განაცხადში ევრაზიული საპატენტო უწყების აღნიშვნის მეშვეობით. ექსპერტიზას ანარმობს სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტთა სამეულის. დადებითი გადანყვეტილების შემთხვევაში, გაიცემა პატენტი, რომელიც ავტომატურად ყველა მონაწილე ქვეყნის ტერიტორიას ფარავს პირველი ორი წლის მანძილზე. შემდეგ პატენტმფლობელს თავისი სურვილით შეუძლია შეწყვიტოს პატენტის მოქმედება რომელიმე ქვეყანაში შესაბამისი საფასურის გადაუხდელობით. საფასურები გადაიხდება ცენტრალიზებულად, რომელიც შემდგომ ნაწილდება მონაწილე ქვეყნებზე. ყველა საფასური განაცხადის მიწოდებასთან და განხილვასთან დაკავშირებით ეკუთვნის ევრაზიის საპატენტო უწყებას და გადანაწილებას არ ექვემდებარება. ძალაში შენარჩუნების საფასურის გადანაწილება იმ პროპორციით ხდება, რომელსაც დაადგენს ადმინისტრაციული საბჭო. ამასთან, ევრაზიის საპატენტო უწყებას ეკუთვნის ყველა ძალაში შენარჩუნების საფასურის ჯამის არანაკლებ 20% (ანუ ამაზე ნაკლები სიდიდის პროპორცია ვერ დადგინდება). ქართველი გამომგონებლისათვის ევრაზიის საპატენტო კონვენციით დადგენილი პირობებით გამომგონების დაპატენტება ხელსაყრელია, რადგან მიეწოდება ერთი განაცხადი, რუსულ ენაზე გაფორმებული და პატენტრწმუნებული საჭირო არ არის.

33. ხელშეკრულება გაერთიანებული ევროპის სასაქონლო ნიშნის შესახებ

ევროპის ქვეყნების ლტოლვა ერთმანეთში ურთიერთთანამშრომლობისაკენ სასაქონლო ნიშნების დაცვის სფეროში და დაცვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებისკენ წარმატებულად განხორციელდა და გაერთიანებული ევროპის სასაქონლო ნიშნის ცნობით დასრულდა. კონკრეტული წინადადება ერთიანი სასაქონლო ნიშნის შემოღების თაობაზე 1980 წელს შეიმუშავა ევროპის კომისიამ. 1993 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება და გამოიცა ევროპის საბჭოს დადგენილება №40/94, რომელმაც დააფუძნა შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყება, რომლის ადგილსამყოფელი ალიკანტეში, (ესპანეთი), განისაზღვრა.

ამ დროისათვის გაერთიანებული ევროპის ბაზარზე უკვე თავისუფლად მოძრაობს საქონელი. გამოცემულია სპეციალური აქტები, რომელიც საქონლის გადაადგილებას აწესებს ასეთ პირობებში. ამდენად, ერთიანი სასაქონლო ნიშნის არსებობა ხელშემწყობ იარაღად ითვლება საქონლის მიმოქცევის პროცესის მონესრიგებულად წარმართვისათვის.

აღსანიშნავია, რომ ევროპის თანამეგობრობის სასაქონლო ნიშნის შემოღებით ეროვნული სისტემები არ გაუქმებულა. აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე ნიშანი შეიძლება იყოს დაცული გაერთიანებული ევროპის უწყებაში რეგისტრაციით და მასთან ერთდროულად ეროვნული რეგისტრაციითაც. ამოქმედების დღიდან – 1996 წლის 1 აპრილიდან – გაერთიანებული ევროპის უწყებაში ნიშნის რეგისტრაცია ფარავს 15 ქვეყნის ტერიტორიას, ესენია: ავსტრია, იტალია, ბელგია, დანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ფინეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, შვედეთი, გერმანია, ესპანეთი, საბერძნეთი, დიდი ბრიტანეთი და ირლანდია.

ევროპის თანამეგობრობის სასაქონლო ნიშნად თავისი აღნიშვნა შეუძლია დაარეგისტრიროს პარიზის კონვენციის წევრი ქვეყნის ნებისმიერმა მოქალაქემ, მათ შორის საქართველოს მენარმემაც. ალიკანტეს უწყება მუშაობს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და ესპანურ ენებზე. ამდენად, განმცხადებელმა თუ ევროპის სხვა ენაზე შეადგინა განაცხადი, მაშინ მან უნდა ამოირჩიოს აღნიშნული ხუთი ენიდან ერთ-ერთი და თავის განაცხადზე საქმის წარმოება განაგრძოს ამ ერთ ენაზე. რეკისტრაციას ძალა ყველა 15 ქვეყნის ტერიტორიაზე აქვს. ხარჯების გაწევა განმცხადებელს ერთხელ უხდება, ამასთან, იგი მხოლოდ ერთ პატენტრწმუნებულს ირჩევს, თუ რეგისტრაცია უქმდება, ის ყველა ტერიტორიაზე კარგავს ძალას, მაგრამ დასაშვებია განაცხადის ეროვნულ განაცხადად გარდაქმნა.

ნიშნის ექსპერტიზა, ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გარდა ითვალისწინებს ექსპერტიზას აბსოლუტურ საფუძვლებზე. ამის შემდეგ

გათვალისწინებულია შედავებების პროცედურა, რომლის დროსაც მესამე პირებს ეძლევათ უფლება შეედავონ ნიშნის რეგისტრაციას ადრე რეგისტრირებული ნიშნის მიხედვით. ამასთან, საკმარისია ასეთი ნიშანი ეროვნულ უწყებაში იყოს ადრე რეგისტრირებული. აქედან გამომდინარე, ევროპის რეგისტრაციის მოპოვება მრავალგზის უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ერთ ქვეყანაში, თუნდაც გერმანიაში. ეროვნულმა უწყებებმა მხოლოდ საკუთარ რეგისტრირებულ ნიშნებთან შედარებით შეიძლება არ მოახდინონ რეგისტრაცია შედავების საფუძველზე.

შელავათად შეიძლება ჩაითვალოს ერთ ქვეყანაში ნიშნის გამოყენებით გაერთიანებული ევროპის ნიშნის რეგისტრაციის შესაძლო გაუქმების თავიდან აცილება. ნიშნის მოქმედების ვადა 10 წელია შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით ყოველი მომდევნო 10 წლით, ასეთი 10-წლიანი პერიოდების შეუზღუდავად.

გაერთიანებული ევროპის სასაქონლო ნიშნად რეგისტრირდება ნებისმიერი გრაფიკულად გამოსახვადი აღნიშვნა. რეგისტრაციას ექვემდებარება, აგრეთვე, მომსახურების ნიშანი.

34. ხელშეკრულება აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის შესახებ

1962 წელს აფრიკის 12-მა ფრანგულენოვანმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ლიბრევილის შეთანხმებას, რომლითაც დაარსდა აფრიკისა და მალაგასიის სამრეწველო საკუთრების ორგანიზაცია. ეს შეთანხმება შემდეგ გადაიხინჯა და რეგიონალურ ორგანიზაციას ეწოდა აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (Organisation africaine de la propriété industrielle – შემოკლებით OAPI). ამ ორგანიზაციამ საქმიანობა 1982 წელს დაიწყო.

OAPI მონაწილე ქვეყნების სახელით აწარმოებს განაცხადების მიღებას, ექსპერტიზასა და დამცავი დოკუმენტების გაცემას. დამცავი დოკუმენტი მოქმედებს ყოველ კონკრეტულად აღნიშნულ ქვეყანაში. თუმცა მისი მოქმედება შეიძლება ერთი ქვეყნის მიმართ შეწყდეს და არა აუცილებლად ყველა მონაწილე ქვეყნის მიმართ. ამ რეგიონალური ორგანიზაციის საქმიანობა ვრცელდება საავტორო სამართლის ობიექტებზეც.

ისმო დიდ დახმარებას უწევს აფრიკის რეგიონალურ ორგანიზაციებს, კერძოდ, მისი უშუალო ძალისხმევით იაუნდეში (კამერუნი), სადაც მდებარეობს OAPI-ს შტაბ-ბინა, დაფუძნდა საპატენტო დოკუმენტაციის დეპარტამენტი. მისი დაფუძნება და აღჭურვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით განხორციელდა გაეროს სპეციალური პროგრამით.

ამჟამად, OAPI დამცავ დოკუმენტებს გასცემს შემდეგი ქვეყნების სახელით: ბენინი, ბურკინა ფასო, კამერუნი, აფრიკის ცენტრალური რესპუბლიკა, ჩადი, კონგო, კოტდივუარი, ჯიბუტი, გაბონი, გვინეა, მალი, მავრიტანია, ნიგერი, სენეგალი, ტოგო.

35. ხელშეკრულება სამრეწველო საკუთრების აფრიკის რეგიონალური ორგანიზაციის შესახებ

1976 წლის დიპლომატიური კონფერენციის მუშაობის შედეგად, რომელშიც აფრიკის ინგლისურენოვანი 13 ქვეყანა მონაწილეობდა, ხელი მოეწერა შეთანხმებას ამ ქვეყნებისათვის სამრეწველო საკუთრების ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ. ეს შეთანხმება ძალაში 1978 წელს შევიდა. სამრეწველო საკუთრების აფრიკის რეგიონალური ორგანიზაცია (African Regional Industrial Property Organization – შემოკლებით ARIPO) აწარმოებს საქმიანობას პატენტებთან, ნიშნებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებით. გამოგონებისა და სამრეწველო ნიმუშის პატენტი გაცივება და მოქმედებს იმ ქვეყნების მიმართ, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს. ექსპერტიზა წარმოებს რეგიონალურ უწყებაში, მაგრამ ქვეყნებს უფლება აქვთ არ ცნონ მათ ტერიტორიაზე პატენტის მოქმედება, თუ არ კმაყოფილდება ეროვნული კანონის მოთხოვნები. იგივე ითქმის სამრეწველო ნიმუშის მიმართაც.

1993 წლიდან შესაძლებელი გახდა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია რეგიონალური უწყების მეშვეობით. სპეციალურ შეთანხმებას ხელი 6 ქვეყანამ მოაწერა.

1993 წლიდან საპატენტო კოოპერაციის მიხედვით საერთაშორისო განაცხადში შეიძლება მითითებულ იქნეს აფრიკის რეგიონალური ორგანიზაცია და პატენტის მიღება შემდეგი ქვეყნების ტერიტორიაზე: ბოტსვანა, გამბია, განა, კენია, ლესოტო, ზიმბაბვე, მალავი, სიერა-ლეონე, სომალი, სუდანი, სვაზილენდი, ტანზანია, უგანდა.

პატენტი მოქმედებს 20 წელიწადს განაცხადის შეტანის დღიდან.

სამრეწველო საკუთრების აფრიკის რეგიონალური ორგანიზაცია განთავსებულია ჰარარეში, (ზიმბაბვე).

36. შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამართალდარღვევათა აღკვეთის შესახებ

1998 წლის 6 მარტს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მთავრობების მეტაურებმა ხელი მოაწერეს განსახილველ შეთანხმებას. ხელშეკრულების დადებისას იხელმძღვანელეს დსთ ქვეყნების ტერიტორიებზე ორგანიზებულ და სხვა საშუალებით დანაშაულებთან ერთობლივი ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებების სახელმწიფოთაშორისი პროგრამით. შეთანხმება ეყრდნობა, აგრეთვე, სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლებრივ საქმეებთან დაკავშირებით სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ 1993 წლის 22 იანვრის კონვენციას. განსახილველი შეთანხმების დადების ერთერთი მამოძრავებელი მიზეზი და მიზანი ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ მიმართული დსთ ქვეყნების ძალისხმევის კოორდინაცია და შესაბამისი ეფექტური ზომების ცხოვრებაში გატარების სურვილი იყო.

შეთანხმება შედგება პრეამბულისა და 19 მუხლისაგან. მასში გამოყენებული ცნება "ინტელექტუალური საკუთრება" ჩვეულებრივად გაგებულ შინაარსის მატარებელია, ანუ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული არსისა და მოცულობისაა. უფლებების დაცვისათვის მხარეები ითვალისწინებენ დსთ სხვა ქვეყნის მოქალაქეთათვის საკუთარი ქვეყნის მოქალაქის თანაბრად ხელსაყრელი სამართლებრივი რეჟიმის მიცემას. ეს დებულება ითვალისწინებს ნაცვალგების პრინციპის გამოყენებას.

მხარეები ერთმანეთს უცვლიან სამართალდარღვევათა საკითხებთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას, ქმნიან ერთობლივ საინფორმაციო ბაზას. შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე სამართალდარღვევათა აღკვეთასთან, არდაშვებასთან და ა.შ. დაკავშირებულ ერთობლივი ღონისძიებების გატარებას, დაგროვილი გამოცდილების ერთმანეთისათვის გაზიარებას, ერთობლივი სამეცნიერო გამოკვლევების, კონფერენციების და სხვ. მოწყობას, კადრების მომზადების სფეროში ერთმანეთისათვის ხელშეწყობას.

გარდა ამისა გათვალისწინებულია: ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა; საბაჟო ორგანოებისათვის საქონლის საზღვარზე შეჩერების უფლების მინიჭება და შესაბამისი პროცედურების დაკანონება; სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების შემუშავება და ამოქმედება, რომლებითაც გათვალისწინებული იქნება ქვეყნების ერთობლივი მოქმედება სამართალდარღვევათა წინააღმდეგ.

შეთანხმებით გათვალისწინებულია ერთობლივი კომისიის შექმნა, რომელიც დაკავებული იქნება მიღებული ღონისძიებების ქმედითობის ამაღლებით. ქვეყნები უფლებამოსილია ამ შეთანხმების ფარგლებში ერთმანეთთან ორმხრივი და მრავალმხრივი სხვა ხელშეკრულებებიც დადონ.

ბამოყენებულ ლიტერატურა

ეროვნული ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ
4. საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ
5. საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ
6. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ
7. საქართველოს საპატენტო კანონი
8. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ
9. საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ
10. საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ
11. საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ
12. საქართველოს კანონი სელექციური მიღწევების შესახებ
13. საქართველოს კანონი სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ
14. საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ

საერთაშორისო აქტები

15. Convention Establishing the World Intellectual Property Organization
16. Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works
17. WIPO Copyright Treaty
18. WIPO Performances and Phonograms Treaty
19. International Convention for the Protection of Performers, Producers of Phonograms and Broadcasting Organizations (Rome Convention)
20. Geneva Convention for the Protection of Producers of Phonograms Against Unauthorized Duplication of Their Phonograms
21. Brussels Convention Relating to the Distribution of Programme-Carrying Signals Transmitted by Satellite
22. Paris Convention for the Protection of Industrial Property
23. Patent Cooperation Treaty

24. Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks
25. Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks
26. Hague Agreement Concerning the International Deposit of Industrial Designs
27. Madrid Agreement for the Repression of False or Deceptive Indications of Source on Goods
28. Trademark Law Treaty
29. Lisbon Agreement for the Protection of Appellation of Origin and their International Registration
30. Patent Law Treaty
31. Budapest Treaty on the International Recognition of the Deposit of Microorganisms for the Purposes of Patent Procedure
32. Strasbourg Agreement Concerning the International Patent Classification
33. Nice Agreement Concerning the International Classification of Goods and Services for the Purposes of Registration of Marks
34. Vienna Agreement Establishing an International Classification of the Figurative Elements of Marks
35. Locarno Agreement Establishing an International Classification for Industrial Designs
36. Nairobi Treaty on the Protection of the Olympic Symbols
37. Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights
38. International Convention for the Protection of New Varieties of Plants
39. Treaty on Intellectual Property in Respect of Integrated Circuits
40. European Patent Convention
- 41.
42. European Trademarks
43. დსთ ქვეყნებთან საქართველოს მიერ დადებული მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებები
44. თურქეთთან, რუმინეთთან და ბულგარეთთან დადებული ორმხრივი შეთანხმებები.

სამეცნიერო და სხვა ლიტერატურა

45. თენგიზ ლილუაშვილი. საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2000წ.
46. საერთაშორისო სამართალი, სახელმძღვანელო, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1949 წ.
47. კონსტანტინე კორკელია. საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბილისი, 1998 წ.

48. Copyright and Neighbouring Rights, by Delia Lipszyc, UNESCO Publishing, 1999
49. Intellectual Property Reding Material, WIPO, 1998, second edition, WIPO Publication No. 476(E)
50. Copyright Bulletin, UNESCO Publishing, 1999-2001 vols.
51. Г.Боденхаузен "Парижская конвенция по охране промышленной собственности". Комментарий, М. 1977г.
52. Ю. Матвеев "Международные конвенции по авторскому праву", М. 1975г
53. სანდრო ჯორბენაძე, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1998წ.
54. დავით ძამუკაშვილი, პარიზის კონვენცია, ბერნის კონვენცია, თბილისი, 2000წ.
55. დავით ძამუკაშვილი, სამრეწველო საკუთრება (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში), თბილისი, 1997წ.
56. დავით ძამუკაშვილი, სამრეწველო საკუთრება (კომერციული აღნიშვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა), თბილისი, 1998წ.
57. დავით ძამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2000წ.
58. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ლექციათა კურსი, თბილისი, 2001წ.
59. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტის" 1992-2002 წლების ანგარიში.

დაწერეთ

საერთაშორისო აქტივები

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციასთან შეერთების თაობაზე

საქართველოს პარლამენტის ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციას.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.
თბილისი, 1994 წლის 24 ნოემბერი.

ბერნის კონვენცია ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ

მიღებული 1886 წლის 9 სექტემბერს, პარიზში 1896 წლის 4 მაისს მიღებული დამატებებით, გადასინჯული ბერლინში 1908 წლის 13 ნოემბერს, შევსებული ბერნში 1914 წლის 20 მარტს და გადასინჯული რომში 1928 წლის 2 ივნისს, ბრიუსელში 1948 წლის 26 ივნისს, სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს და პარიზში 1971 წლის 24 ივლისს, შეცვლილი 1979 წლის 2 ოქტომბერს.

კავშირის ქვეყნებმა, შთაგონებულებმა ერთი სურვილით – ეფექტურად და ერთნაირად დაიცვან ავტორთა უფლებები თავიანთ ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია,

აღიარებენ რა 1967 წელს კონვენციის გადასინჯვის თაობაზე სტოკჰოლმში გამართული კონფერენციის მუშაობის მნიშვნელობას,

გადაწყვიტეს გადასინჯონ სტოკჰოლმის კონფერენციაზე მიღებული აქტი, უცვლელად სტოკჰოლმში რა ამ აქტის 1-20 მუხლებს და 22-26 მუხლებს.

ამის შესაბამისად ქვემოთ ხელისმომწერი რწმუნებულები, თავიანთი რწმუნებების წარდგენის შემდეგ შესაბამისი ფორმითა და სრული წესით შეთანხმდენ შემდეგზე:

მუხლი 1

(კავშირის შექმნა)

ქვეყნები, სადაც გამოიყენება ეს კონვენცია, ქმნიან კავშირს ავტორთა უფლებების დაცვის მიზნით თავიანთ ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებზე.

მუხლი 2

(დასაცავი ნაწარმოებები: 1. "ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები"; 2. ფიქსაციის შესაძლო მოთხოვნა; 3. მეორეული ნაწარმოებები; 4. ოფიციალური ტექსტები; 5. კრებულები; 6. დაცვის ვალდებულება; პირები, რომლებიც სარგებლობენ დაცვის უფლებით; 7. გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები და სამრეწველო ნიმუშები; 8. სიახლეები).

(1) ტერმინი "ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოები" მოიცავს ყველა ნაწარმოებს ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების დარგში, როგორი საშუალებითა და ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული; ნიგნებს, ბროშურებს და სხვა წერილობით ნაწარმოებებს; ლექციებს, მიმართვებს, ქადაგებებს და სხვა ამგვარ ნაწარმოებებს; დრამატულ და მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებებს; ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებს და პანტომიმებს; მუსიკალურ ნაწარმოებებს ტექსტითა და უტექსტოდ; კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებს, რომლებსაც უთანაბრდება კინემატოგრაფიულის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოებები; ნახატებს, ფერწერის, არქიტექტურის, ქანდაკების, გრაფიკისა და ლიტოგრაფიულ ნაწარმოებებს; ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებს, რომლებსაც უთანაბრდება ფოტოგრაფიულის ანალოგიური საშუალებით გამოხატული ნაწარმოებები; გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებს; ილუსტრაციებს; გეოგრაფიულ რუკებს; გეგმებს, ესკიზებსა და პლასტიკურ ნაწარმოებებს, რომლებიც განეკუთვნება გეოგრაფიას, ფოტოგრაფიას, არქიტექტურას ან მეცნიერებას.

(2) ამავე დროს კავშირის ქვეყნების კანონმდებლობებს უნარჩუნდებათ უფლება განანესონ, რომ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები ან მათი რომელიმე გარკვეული კატეგორია არ ექვემდებარება დაცვას, თუ არ არის განმტკიცებული რომელიმე მატერიალური ფორმით.

(3) თარგმანი, ადაპტაცია, მუსიკალური არანჟირება და ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების სხვაგვარი გადაკეთება დაცულია ისევე, როგორც ორიგინალური ნაწარმოები, ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლებების შეუღალახავად.

(4) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობები ინარჩუნებენ უფლებას განსაზღვრონ დაცვა, რომელიც მიეცემათ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო ხასიათის ოფიციალურ ტექსტებს და ასეთი ტექსტების ოფიციალურ თარგმანებს.

(5) ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების კრებული, მაგალითად, ენციკლოპედია და ანთოლოგია, რომლებიც მასალების შერჩევით და განლაგებით წარმოადგენენ ინტელექტუალური შემოქმედების ნაყ-

ოფს, დაცული უნდა იქნეს როგორც ასეთი ამ კრებულის შემადგენელი ნაწილის – ყოველი ნაწარმოების ავტორის უფლებების შეუღალხავად.

(6) ამ მუხლში მითითებული ნაწარმოებები სარგებლობენ დაცვის უფლებით კავშირის ყველა ქვეყანაში. ეს დაცვა ხორციელდება ავტორისა და მისი უფლებამონაცვლის სასარგებლოდ.

(7) ამ კონვენციის მე-7 მუხლის (4) პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით კავშირის ქვეყნების კანონმდებლებს უნარჩუნდებათ უფლება განსაზღვრონ მათი კანონების გამოყენების ხარისხი გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა და სამრეწველო ხასიათის ნახატებისა და ნიმუშების მიმართ, აგრეთვე ამ ნაწარმოებების, ნახატებისა და ნიმუშების დაცვის პირობები. იმ ნაწარმოებთა მიმართ, რომლებიც დაცულია მათი წარმოშობის ქვეყანაში მხოლოდ როგორც ნახატები და ნიმუშები, კავშირის სხვა ქვეყნებში შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ სპეციალური დაცვა, რომლითაც ეს ქვეყანა უზრუნველყოფს ამ ნახატებსა და ნიმუშებს, მაგრამ თუ ქვეყანაში ასეთი დაცვა არ ხორციელდება, ეს ნაწარმოებები დაცული უნდა იქნეს როგორც მხატვრული ნაწარმოებები.

(8) ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის უფლება არ ვრცელდება ახალ ამბებზე ან ცნობებზე სხვადასხვა მოვლენების შესახებ, რომლებსაც უბრალო პრეს-ინფორმაციის ხასიათი აქვს.

მუხლი 2^ბ

(გარკვეულ ნაწარმოებთა შესაძლო შეზღუდვა: 1. გარკვეული წარმოთქმული სიტყვები; 2. ლექციებისა და მიმართებების გარკვეული გამოყენება; 3. ასეთი ნაწარმოებების კრებულთა მომზადების უფლება).

(1) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობები ინარჩუნებენ უფლებას სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტონ წინა მუხლით გათვალისწინებული დაცვის უფლება პოლიტიკური სიტყვებისა და სასამართლო პროცესზე წარმოთქმული სიტყვების მიმართ.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობები ინარჩუნებენ აგრეთვე უფლებას დაადგინონ პირობები, რომლებითაც ლექციები, მიმართებები და ასეთი სახის სხვა საჯაროდ წარმოთქმული ნაწარმოებები შეიძლება დაიბეჭდოს პრესაში, გადაიცეს ეთერში, გადაიცეს საყოველთაო გაცნობისათვის მავთულებით და შეადგინოს საჯარო შეტყობინების საგანი, რომელსაც ითვალისწინებს ამ კონვენციის მე-11 მუხლის (1) პუნქტი, როდესაც ასეთი გადაცემა გამართლებულია ინფორმაციის მიზნით.

(3) ამავე დროს ავტორი სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით მოამზადოს თავის ნაწარმოებთა კრებულები, რომლებიც მოხსენიებულია წინა პუნქტებში.

მუხლი 3

(დაცვის უფლების მინიჭების კრიტერიუმები: 1. ავტორის მოქალაქეობა; ნაწარმოების გამოქვეყნების ადგილი; 2. ავტორის საცხოვრებელი ადგილი; 3. "გამოქვეყნებული ნაწარმოები"; 4. "იმავედროულად გამოქვეყნებული ნაწარმოებები").

(1) ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვის უფლება გამოიყენება:

(ა) ავტორთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეებს, მათი როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების მიმართ;

(ბ) ავტორთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეებს, მათი ნაწარმოებების მიმართ, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში ან ერთდროულად გამოქვეყნდა ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, და კავშირის ქვეყანაში.

(2) ავტორები, რომლებიც კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები არიან, მაგრამ აქვთ თავიანთი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში, ამ კონვენციის მიზნებისათვის უთანაბრდებიან ამ ქვეყნის მოქალაქეებს.

(3) "გამოქვეყნებულ ნაწარმოებში" უნდა ვიგულისხმოდ ნაწარმოები, გამოქვეყნებული მისი ავტორის თანხმობით, მიუხედავად იმისა, როგორია ეგზემპლარის დამზადების წესი, იმ პირობით, თუ ეს ეგზემპლარები გამოშვებულია საზოგადოების დაკმაყოფილებისათვის საჭირო გონივრული რაოდენობით, ნაწარმოების ხასიათის გათვალისწინებით. არ ითვლება გამოქვეყნებულად დრამატული, მუსიკალურ-დრამატული ან კინემატოგრაფიული ნაწარმოების დადგმა, მუსიკალური ნაწარმოების შესრულება, ლიტერატურული ნაწარმოების საჯარო კითხვა, ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების მავთულებით გადაცემა ან ეთერში გადაცემა, ხელოვნების ნაწარმოების ჩვენება და არქიტექტურული ნაწარმოების აგება.

(4) ნაწარმოები ითვლება გამოქვეყნებულად ერთდროულად რამოდენიმე ქვეყანაში, თუ იგი გამოქვეყნდა ორ ან მეტ ქვეყანაში ორმოცდაათი დღის განმავლობაში მისი პირველი გამოქვეყნებიდან.

მუხლი 4

(კინემატოგრაფიული ნაწარმოებისათვის, არქიტექტურული ნაწარმოებისათვის და კონკრეტული მხატვრული ნაწარმოებისათვის მინიჭებული დაცვის უფლების კრიტერიუმები).

(1) ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის უფლება გამოიყენება მაშინაც კი, თუ მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობები არ შესრულდებოდა:

(a) კინემატოგრაფიული ნაწარმოებების ავტორთა მიმართ, რომლებ-

საც აქვთ თავიანთი შტაბ-ბინა ან ჩვეულებრივი ადგილსაცხოვრებელი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში;

(b) იმ არქიტექტორული ნაწარმოებების ავტორთა მიმართ, რომლებიც აგებულია კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში ან სხვა ისეთი მხატვრული ნაწარმოებების ავტორთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს.

მუხლი 5

(გარანტირებული უფლებები: 1 და 2. წარმოშობის ქვეყნის გარეთ; 3. წარმოშობის ქვეყანაში; 4. "წარმოშობის ქვეყანა").

(1) იმ ნაწარმოებთა მიმართ, რომელთა ავტორებსაც ამ კონვენციის ძალით ენიჭებათ დაცვის უფლება, ისინი სარგებლობენ კავშირის ქვეყნებში, ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნის გარდა, უფლებებით, რომლებიც ენიჭებათ ამაჟამად ან მიენიჭებათ შემდგომ ამ ქვეყნის კანონებით ამავე ქვეყნის მოქალაქეებს, აგრეთვე იმ უფლებებით, რომელთაც განსაკუთრებულად მიანიჭებს ეს კონვენცია.

(2) ამ უფლებებით სარგებლობა და მათი განხორციელება დაკავშირებული არ არის რაიმე ფორმალობის შესრულებასთან; ასეთი სარგებლობა და განხორციელება დამოკიდებული არ არის ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში განხორციელებულ დაცვაზე. მაშასადამე, ამ კონვენციით დადგენილი დებულებების გარდა, ავტორისთვის დაცვის მოცულობას ისევე, როგორც დაცვის საშუალებებს მისი უფლებების განხორციელების უზრუნველსაყოფად, არეგულირებს მხოლოდ და მხოლოდ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც არის დაცვის მოთხოვნა.

(3) წარმოშობის ქვეყანაში დაცვა რეგულირდება შინაგანი კანონმდებლობით. თუმცა, თუ ავტორი არ არის ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნის მოქალაქე, რომლის მიმართაც ენიჭება დაცვის უფლება ამ კონვენციის ძალით, იგი ამ ქვეყანაში სარგებლობს ისეთივე უფლებებით, როგორც იმ ქვეყნის მოქალაქე ავტორები.

(4) წარმოშობის ქვეყნად ითვლება:

(a) კავშირის რომელიმე ქვეყანაში პირველად გამოქვეყნებული ნაწარმოებისათვის – ეს ქვეყანა, კავშირის რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად გამოქვეყნებული ნაწარმოებისათვის, სადაც დაცვის სხვადასხვა ვადებია გათვალისწინებული – ის ქვეყანა, რომელშიც დაცვის ყველაზე მოკლე ვადაა დადგენილი;

(b) ნაწარმოებისათვის, რომელიც ერთდროულად გამოქვეყნდა ქვეყანაში, რომელიც კავშირში არ შედის და კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში, – ეს უკანასკნელი ქვეყანა;

(c) ნაწარმოებისათვის, რომელიც არ გამოქვეყნებულა ან ნაწარმოებისათვის, რომელიც პირველად გამოქვეყნდა კავშირის გარეშე არსებულ

ქვეყანაში და ერთდროულად არ გამოქვეყნებულა კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში – კავშირის ის ქვეყანა, რომლის მოქალაქეც არის ავტორი იმ პირობით, თუ:

(i) კინემატოგრაფიული ნაწარმოების მიმართ, რომლის დამამზადებელსაც აქვს თავისი შტაბ-ბინა ან ჩვეულებრივი ადგილსაცხოვრებელი კავშირის რომელიმე ქვეყანაში, ნარმოშობის ქვეყნად ითვლება ეს ქვეყანა, და

(ii) არქიტექტურული ნაწარმოების, ნაგებობის მიმართ კავშირის რომელიმე ქვეყანაში ან სხვა მხატვრული ნაწარმოების მიმართ, რომელიც შეადგენს კავშირის რომელიმე ქვეყანაში მდებარე შენობის ან ნაგებობის ნაწილს, ნარმოშობის ქვეყნად ითვლება ეს ქვეყანა.

მუხლი 6

(დაცვის შესაძლო შეზღუდვა გარკვეული ნაწარმოებების მიმართ იმ გარკვეული ქვეყნის გარკვეულ მოქალაქეთათვის, რომელიც არ შედის კავშირში: 1. პირველი გამოშვების ქვეყანაში და სხვა ქვეყნებში; 2. უკუქმედებითი ძალის არარსებობა; 3. შეტყობინება).

თუ კავშირის გარეშე არსებული რომელიმე ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს ავტორის უფლებებს, რომელიც კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეა, ამ უკანასკნელ ქვეყანას შეუძლია შეზღუდოს იმ ავტორის უფლებები, რომელიც ნაწარმოების პირველი გამოქვეყნების დროისათვის სხვა ქვეყნის მოქალაქეა და რომელსაც არა აქვს ჩვეულებრივი ადგილსაცხოვრებელი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში. თუ ქვეყანა, რომელშიც ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდა, ისარგებლებს ამ უფლებით, კავშირის სხვა ქვეყნები ვალდებული არ არიან იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ასეთ განსაკუთრებულ რეჟიმს ექვემდებარებიან, მიანიჭონ დაცვის უფრო ფართო უფლებები, ვიდრე ის დაცვაა, რომელსაც სთავაზობს მათი პირველი გამოქვეყნების ქვეყანა.

(2) წინა პუნქტით დადგენილი არავითარი შეზღუდვა არ შეეხება უფლებებს, რომლებიც შექმნილი აქვს ავტორს კავშირის რომელიმე ქვეყანაში გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე ამ შეზღუდვების შემოღებამდე.

(3) კავშირის ქვეყნები, რომლებიც ამ მუხლის შესაბამისად ზღუდავენ ავტორთა უფლებებს, ამის შესახებ აცნობებენ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს (შემდგომ – „გენერალური დირექტორი“) წერილობითი განცხადების გზით, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნებს, სადაც უნდა შეიზღუდოს ამ ქვეყნის მოქალაქე ავტორთა უფლებები. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს ამ განცხადებას კავშირის ყველა ქვეყანას.

მუხლი 6^ბ

(არაქონებრივი უფლებები: 1. ავტორობის ცნობის მოთხოვნა, წინააღმდეგობა გაუნიოს გარკვეული ცვლილებების შეტანას და სხვა უფლებების დამრღვევ მოქმედებებს; 2. ავტორის სიკვდილის შემდეგ; 3. დაცვის საშუალებები).

(1) ავტორის ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და ამ უფლებების დათმობის შემდეგაც კი მას უფლება აქვს მოითხოვოს ნაწარმოების მიმართ თავისი ავტორობის აღიარება და შეენიანაღმდეგოს ამ ნაწარმოების ყოველგვარ გაუკუღმართებას, დამახინჯებას ან სხვაგვარ შეცვლას, აგრეთვე ნაწარმოების სხვა ნებისმიერ ხელყოფას, რომელსაც შეუძლია ავნოს ავტორის ღირსებასა და რეპუტაციას.

(2) წინა პუნქტის საფუძველზე აღიარებული საავტორო უფლებები ინარჩუნებენ ძალას მისი სიკვდილის შემდეგაც, ყოველ შემთხვევაში ქონებრივი უფლებების შეწყვეტამდე და მათ ახორციელებენ ის პირები ან დანესებულებები, რომლებიც უფლებამოსილი არიან იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიერ, სადაც არის დაცვის მოთხოვნა. თუმცა ის ქვეყანა, რომლის კანონმდებლობაც ამ აქტის რატიფიკაციის მომენტში ან მასთან შეერთების მომენტში არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც წინა პუნქტში ჩამოთვლილი ყველა უფლების დაცვას უზრუნველყოფს ავტორის სიკვდილის შემდეგ, შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ზოგიერთი ამ უფლებათაგანი ავტორის სიკვდილის შემდეგ ვერ ინარჩუნებს ძალას.

(3) ამ მუხლით მინიჭებული დაცვის უფლებების უზრუნველსაყოფი საშუალებები რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც იქნება დაცვის მოთხოვნა.

მუხლი 7

(დაცვის ვადა. 1. ზოგადი დებულება; 2. კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისათვის; 3. ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოშვებული ნაწარმოებებისათვის; 4. ფოტოგრაფიული ნაწარმოებებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის; 5. ათვლის დაწყების თარიღი; 6. უფრო ხანგრძლივი ვადები; 7. უფრო მოკლე ვადები; 8. გამოსაყენებელი კანონმდებლობა; ვადების „შეჯერება“).

(1) ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა შეადგენს ავტორის სიცოცხლის მთელ დროს და ორმოცდაათ წელიწადს მისი გარდაცვალების შემდეგ.

(2) ამავე დროს კავშირის ქვეყნის კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათ წელიწადში მას შემდეგ, რაც ავტორის თანხმობით ნაწარმოები საყოველთაოდ მისაწვდომი გახდა, ან – თუ ასეთი ნაწარმოების შექ-

მნიდან ორმოცდაათი წლის განმავლობაში ეს არ მოხდა – დაცვის ვადა იწურება ნაწარმოების შექმნიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ.

(3) ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოშვებული ნაწარმოებებისათვის ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათ წელიწადში მას შემდეგ, რაც ნაწარმოები მართლზომიერად მისაწვდომი გახდა ყველასათვის. მაგრამ, თუ ავტორის ფსევდონიმი უჭკველად ადასტურებს მის პიროვნებას, დაცვის ვადა შეადგენს ვადას, რომელსაც ითვალისწინებს (1) პუნქტი. თუ ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოშვებული ნაწარმოების ავტორი თავის პიროვნების ზემოაღნიშნულ ვადაში გაამჟღავნებს, გამოიყენება დაცვის ვადა, რომელსაც ითვალისწინებს (1) პუნქტი. კავშირის ქვეყნები მოვალენი არ არიან დაიცვან ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოშვებული ისეთი ნაწარმოებები, რომელთა მიმართ სრული საფუძველი აქვს ივარაუდონ, რომ მისი ავტორის გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წელი გავიდა.

(4) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება განსაზღვროს ფოტოგრაფიული ნაწარმოებებისა და გამოყენებითი ხელოვნების იმ ნაწარმოებთა დაცვის ვადა, რომლებიც დაცულია როგორც მხატვრული ნაწარმოებები. მაგრამ ეს ვადა არ შეიძლება იყოს ოცდახუთ წელზე ნაკლები ამ ნაწარმოების შექმნიდან.

(5) ავტორის გარდაცვალების შემდეგ მინიჭებული დაცვის ვადა და (2), (3) და (4) პუნქტებით გათვალისწინებული ვადები იწყება ავტორის გარდაცვალების დღიდან ან ამ პუნქტებში აღნიშნული მოვლენის დაწყების დღიდან, მაგრამ იწყება ყოველთვის გარდაცვალების წლის ან ასეთი მოვლენის დადგომის წლის მომდევნო წლის 1 იანვრიდან.

(6) კავშირის ქვეყნებს უფლება აქვთ დაადგინონ დაცვის ვადა, რომელიც წინა პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებს აღემატება.

(7) კავშირის ქვეყნებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ამ კონვენციის რომაულ აქტთან და ამ აქტის მოქმედების მომენტში მოქმედ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში დაცვის უფრო მოკლე ვადებს ადგენენ, ვიდრე წინა პუნქტები ითვალისწინებს, უფლება აქვთ ამ აქტისადმი შეერთებისას ან მისი რატიფიკაციისას შეინარჩუნონ ეს ვადები.

(8) ნებისმიერ შემთხვევაში ვადა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, სადაც არის დაცვის მოთხოვნა; მაგრამ, თუ ამ ქვეყნის კანონმდებლობა სხვაგვარად არ ითვალისწინებს, ეს ვადა არ შეიძლება უფრო ხანგრძლივი იყოს, ვიდრე ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დადგენილი ვადა.

მუხლი 7^{bis}

(თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებების დაცვის ვადა)

წინა მუხლის დებულებანი გამოიყენება თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებებისთვისაც, იმ პირობით, რომ ავტორის გარდაცვალების დღი-

დან განსაზღვრული ვადები აითვლება თანავეტორებიდან უკანასკნელი ავტორის გარდაცვალების დღიდან.

მუხლი 8

(თარგმნის უფლება)

ამ კონვენციით დაცული ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს ორიგინალურ ნაწარმოებებზე უფლების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში თავიანთი ნაწარმოებების თარგმნისა და თარგმნის ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლება აქვთ.

მუხლი 9

(ნაწარმოების მეორადი გამოყენების უფლება: 1. ზოგადი დებულება; 2. შესაძლო გამონაკლისები; 3. ბგერითი და ვიზუალური ჩანაწერები)

(1) ამ კონვენციით დაცული ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს განსაკუთრებული უფლება აქვთ გასცენ ნებისმიერი სახის ან ნებისმიერი ფორმით ამ ნაწარმოებების მეორადი გამოყენების ნებართვა.

(2) კავშირის ქვეყნის კანონმდებლობას უფლება რჩება გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევაში გასცეს ამ ნაწარმოებების მეორადი გამოყენების უფლება იმ პირობით, რომ ასეთი გამოყენება ზიანს არ მიაყენებს ნაწარმოების ნორმალურ ექსპლუატაციას და უსაფუძვლოდ არ შელახავს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

(3) ამ კონვენციის მიზნებისათვის ნებისმიერი ბგერითი ან ვიზუალური ჩანერა მეორად გამოყენებად ჩაითვლება.

მუხლი 10

(ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების გარკვეული შემთხვევები: 1. ციტატები; 2. ილუსტრაციები სასწავლო მიზნით; ნყაროს და ავტორის მითითება).

(1) დასაშვებია იმ ნაწარმოების ციტატების მოყვანა, რომელიც მართლზომიერად უკვე საყოველთაოდ მისაწვდომი გახდა, ოღონდ იმ პირობით, რომ დაცული იქნება კეთილი ჩვეულებანი, და ისეთი მოცულობით, როგორც გამართლებული იქნება დასახული მიზნით, მათ შორის ჟურნალ-გაზეთების სტატიების ციტირება პრესის მიმოხილვის ფორმით.

(2) კავშირის ქვეყნის კანონმდებლობით და სპეციალური შეთანხმებებით, რომლებიც დადებულია ან დაიდება მათ შორის, შეიძლება ნებადართული იყოს ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოებების გამოყენება ისეთი მოცულობით, რომელიც გამართლებული იქნება დასახული მიზნით, გამოცემის ილუსტრაციების სახით, რადიო და სატელევიზიო გადაცემების და სასწავლო ხასიათის ბგერითი ან გამოსახულებითი ჩანაწერე-

ბის სახით, ოღონდ იმ პირობით, რომ ასეთი გამოყენებისას დაიცავენ კეთილ ჩვეულებებს.

(3) ამ მუხლის წინა პუნქტების შესაბამისად ნაწარმოებების გამოყენებისას მითითებული უნდა იყოს წყარო და ავტორის სახელი, თუ ეს სახელი აღნიშნულია ამ წყაროში.

მუხლი 10^ბ

(ნაწარმოებების შესაძლო თავისუფალი გამოყენების დამატებითი შემთხვევები: 1. ეთერში გადაცემული გარკვეული სტატიებისა და ნაწარმოებებისა; 2. მიმდინარე ამბების მსვლელობაში ნაჩვენები ან გამოქვეყნებული ნაწარმოებებისა)

(1) კავშირის ქვეყნის კანონმდებლობას რჩება უფლება გასცეს იმის ნებართვა, რომ გამოაქვეყნონ პრესაში, გადასცენ ეთერში ან სადენებით საყოველთაოდ გასაცნობად ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებზე ან ამავე ხასიათის ეთერში გადაცემული ნაწარმოებები, თუ ეთერში გადაცემის ან სადენებით გადაცემის ასეთი გამოყენება საგანგებოდ არ იყო შეთანხმებული. მაგრამ წყარო ყოველთვის მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული; ამ ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები იმ ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრება, სადაც არის დაცვის მოთხოვნა.

(2) კავშირის ქვეყნის კანონმდებლობას რჩება იმის უფლება, რომ განსაზღვროს პირობები, რომელთა თანახმადაც მიმდინარე ამბების მსვლელობაში ნაჩვენები ან გამოქვეყნებული ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები შეიძლება საინფორმაციო მიზნით გამართლებული მოცულობით გამოიყენონ ან საყოველთაოდ მისაწვდომი გახადონ მიმდინარე ამბების მიმოხილვისას ფოტოგრაფიული ან კინემატოგრაფიული საშუალებებით ან ეთერში გადაცემის გზით, ან საყოველთაოდ გასაცნობად სადენებით გადაცემის გზით.

მუხლი 11

(დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორების გარკვეული უფლებები: 1. საჯარო წარმოდგენის ან საყოველთაოდ გასაცნობად წარმოდგენის გადაცემის უფლება; 2. თარგმნის მიმართ)

(1) დრამატული, მუსიკალურ-დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებს განსაკუთრებული უფლება აქვთ:

(i) საჯაროდ წარმოადგინონ და შეასრულონ თავიანთი ნაწარმოებები, მათ შორის საჯაროდ წარმოადგინონ და შეასრულონ ნებისმიერი საშუალებით და ხერხით;

(ii) საყოველთაოდ გასაცნობად, ნებისმიერი საშუალებით, გადასცენ ნაწარმოების დადგმა და შესრულება.

(2) დრამატული და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების ავტორებს ასეთივე უფლება ენიჭებათ თავიანთი ნაწარმოებების თარგმანების მიმართ ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

მუხლი 11^{bis}

(ეთერში გადაცემა და ამასთან დაკავშირებული უფლებები: 1. ეთერში გადაცემა და უსადენო გადაცემის სხვა ხერხები, სადენებით ან ეთერში განმეორებითი გადაცემით საჯარო გამოქვეყნება, რადიოთი ან ანალოგიური აპარატის მეშვეობით ეთერში გადაცემული ნაწარმოების შესახებ საჯარო ცნობა; 2. იძულებითი ლიცენზიები; 3. ჩანაწერები; ხანმოკლე გამოყენების ჩანაწერები)

(1) ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს განსაკუთრებული უფლება აქვთ გასცენ ნებართვა, რომ:

(i) ეთერში გადაიცეს მათი ნაწარმოებები ან საჯაროდ გამოქვეყნდეს ეს ნაწარმოებები ნიშნების, ბგერების ან გამოსახულების უსადენო გადაცემის ნებისმიერი სხვა საშუალებით;

(ii) სადენებით თუ უსადენო კავშირგაბმულობის საშუალებებით, ეთერში განმეორებით გადაიცეს ყოველგვარი საჯარო გადაცემა, თუ ამას აკეთებს სხვა, და არა თავდაპირველი ორგანიზაცია;

(iii) საჯაროდ გადაიცეს ეთერში გადაცემული ნაწარმოები რადიოთი ან ნებისმიერი სხვა აპარატით, რომელიც ნიშნებს, ბგერებს ან გამოსახულებებს გადასცემს.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს იმ უფლებების განხორციელების პირობები, რომლებსაც ითვალისწინებს წინა პუნქტი; მაგრამ ამ პირობების მოქმედება ზუსტად იქნება განსაზღვრული იმ ქვეყნების ფარგლებით, რომლებმაც ეს პირობები დაადგინეს. ამ პირობებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შელახოს არც ავტორის არაქონებრივი უფლებები, არც ავტორის კუთვნილი უფლებები სამართლიანი ანაზღაურების მიღებაზე, რომელსაც, თუ შეთანხმება არ არსებობს, კომპეტენტური ორგანოები ადგენენ.

(3) ამ მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად გადაცემული ნებართვა, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, არ შეიცავს ეთერში გადაცემული ნაწარმოების ჩანაწერის გადაცემას ინსტრუმენტით, რომელიც აფიქსირებს ბგერებს ან გამოსახულებას. მაგრამ კავშირის ქვეყნების კანონმდებლობამ შეიძლება განსაზღვროს მოკლევადიანი გამოყენების იმ ჩანაწერების რეჟიმი, რომელსაც აწარმოებენ რადიომაუწყებელი ორგანიზაციები საკუთარი საშუალებებით და თავიანთი გადაცემებისათვის. ამ

კანონმდებლობით შეიძლება ნებადართული იყოს ასეთი ჩანაწერების შენახვა ოფიციალურ არქივებში, თუ ისინი მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტური ხასიათისაა.

მუხლი 11^{ter}

(გარკვეული უფლებები ლიტერატურულ ნაწარმოებებზე: 1. საჯაროდ წაკითხვის უფლება და საყოველთაო გაცნობისათვის კითხვის გაცემის უფლება; 2. თარგმანების მიმართ)

(1) ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს განსაკუთრებული უფლება აქვთ ნებართვა გასცენ:

(i) თავიანთი ნაწარმოებების საჯაროდ წასაკითხად, მათ შორის ისეთი საჯარო კითხვისათვის, რომელიც ნებისმიერი საშუალებით და ხერხით ხორციელდება;

(ii) საყოველთაო გაცნობისათვის თავიანთი ნაწარმოებების ნებისმიერი ხერხით გადასაცემად.

(2) ასეთივე უფლებები ენიჭებათ ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს თავიანთი ნაწარმოებების თარგმნის მიმართ მთელი იმ ვადის განმავლობაში, სანამ ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებები მოქმედებს.

მუხლი 12

(გადაკეთების, ორანჟირებისა და სხვა ცვლილებების უფლება)

ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს განსაკუთრებული უფლება აქვთ გასცენ თავიანთი ნაწარმოებების გადაკეთების, ორანჟირებისა და სხვა ცვლილებების ნებართვა.

მუხლი 13

(მუსიკალური ნაწარმოების და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექსტის ჩანერის შესაძლო შეზღუდვა: 1. იძულებითი ლიცენზირება; 2. გარდამავალი ღონისძიებანი; 3. ავტორის ნებადაურთველად შემოტანილ ეგზემპლარებზე ყადაღის დადება)

(1) კავშირის ყოველ ქვეყანას შეუძლია თავისთვის დაადგინოს შენიშვნები და პირობები მუსიკალური ნაწარმოების ავტორისა და იმ ნებისმიერი ტექსტის ავტორისთვის მინიჭებული განსაკუთრებული უფლების თაობაზე, რომელმაც უკვე დართო ამ ტექსტთან ერთად მუსიკალური ნაწარმოების ბგერითი ჩანაწერის გაკეთების ნებართვა, თუ ასეთი ტექსტი არსებობს; მაგრამ ყველა ასეთი შენიშვნა და პირობა გამოიყენება მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებშიც ისინი დაანესეს, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს ამ ავტორის კუთვნილ უფლებას, მიიღოს სა-

მართლიანი ანაზღაურება, რომელსაც, თუ შეთანხმება არ არსებობს, კომპეტენტური ორგანოები ადგენენ.

(2) მუსიკალური ნაწარმოებების ჩანაწერები, რომლებიც კავშირის რომელიმე ქვეყანაში გაკეთდა, 1928 წლის 2 ივნისს რომში ხელმოწერილი და 1948 წლის 26 ივნისს ბრიუსელში ხელმოწერილი კონვენციების მე-13 (მე-3) მუხლის შესაბამისად, ამ ქვეყანაში შეიძლება მუსიკალური ნაწარმოების ავტორის ნებადაურთველად გადაინეროს, სანამ ორი წელი არ გაევა მას შემდეგ, როცა ამ ქვეყანაში ამოქმედდება წინამდებარე აქტი.

(3) ამ მუხლის (1) და (2) პუნქტების შესაბამისად გაკეთებული ჩანაწერები, რომლებიც დაინტერესებული მხარეების ნებადაურთველად იმ ქვეყანაშია შეტანილი, სადაც ისინი უკანონოდ ითვლება, ყადაღადასადავბია.

მუხლი 14

(კინემატოგრაფიული დადგემები და მათთან დაკავშირებული უფლებები: 1. კინემატოგრაფიული გადაკეთება და მეორადი გამოყენება; გავრცელება; მეორადად გამოყენებული ან გადაკეთებული ნაწარმოებების საჯარო წარდგენა და სადენებით მათი საყოველთაო გაცნობისათვის გადაცემა; 2. კინემატოგრაფიული დადგემების გადაკეთება; 3. იძულებითი ლიცენზიების გამოუყენებლობა)

(1) ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება დართონ ნება:

(i) თავიანთი ნაწარმოებების კინემატოგრაფიული გადაკეთებისა და მეორადი გამოყენებისათვის და გადაკეთებული ან მეორადად გამოყენებული ნაწარმოებების გავრცელებისათვის;

(ii) გადაკეთებული ან მეორადად გამოყენებული ნაწარმოებების საჯარო წარმოდგენისა და სადენებით მათი ყველას საყურადღებოდ გადაცემისათვის.

(2) ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების მიხედვით განხორციელებული კინემატოგრაფიული დადგმის გადაკეთების დროს, მისი სხვა ნებისმიერი მხატვრული ფორმით გამოსატყვისას, საჭიროა არა მხოლოდ კინემატოგრაფიული დადგმის ავტორის ნებართვა, არამედ ორიგინალური ნაწარმოების ავტორის ნებართვაც.

(3) 13 (1) მუხლის დებულებანი არ გამოიყენება.

მუხლი 14^{bis}

(სპეციალური დებულებანი კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთა თაობაზე: 1. "ორიგინალურ" ნაწარმოებთან გათანაბრება; 2. უფლების მფლობელები; იმ გარკვეული პირების ზოგიერთი უფლებების შეზღუდვა, რომ-

ლებსაც წვლილი აქვთ ნაწარმოების შექმნაში; 3. ზოგიერთი სხვა პირები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ნაწარმოების შექმნაში)

(1) საავტორო უფლებების შეულახავად ნებისმიერ ნაწარმოებზე, რომელიც შეიძლება გადაკეთდეს ან მეორადად იქნეს გამოყენებული, კინემატოგრაფიული ნაწარმოები ექვემდებარება დაცვას ისევე, როგორც ორიგინალური ნაწარმოები. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელი სარგებლობს ისეთივე უფლებებით, როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორი, წინა მუხლით გათვალისწინებული უფლებების ჩათვლით.

(2) ა) კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მქონე პირების განსაზღვრა შეუძლია იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომელშიც იქნება დაცვის მოთხოვნა.

(ბ) ამავე დროს, კავშირის ქვეყანაში, რომლის კანონმდებლობა კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელებს შორის ჩათვლის ავტორებს, რომლებსაც წვლილი აქვთ შეტანილი ამ ნაწარმოების შექმნაში, ამ ავტორებს, თუკი მათ იკისრეს თავიანთი წვლილის შეტანა, არა აქვთ უფლება, რაიმე საპირისპირო ან განსაკუთრებული პირობის არარსებობისას, წინააღმდეგობა გაუწიონ ნაწარმოების მეორად გამოყენებას, გავრცელებას, საჯარო წარმოდგენასა და შესრულებას, სადენებით გადაცემას საყოველთაო გაცნობისათვის, ეთერში გადაცემას ან ნებისმიერი საჯარო პოპულარიზაციას, აგრეთვე მისი ტექსტის სუბტიტირებასა და დუბლირებას.

(ც) საკითხი იმის შესახებ, რომ ზემოაღნიშნული ვალდებულება წინა (ბ) პუნქტის გამოყენების მიზნით უნდა იყოს გამოხატული წერილობითი შეთანხმებით ან ტოლმნიშვნელოვანი წერილობითი აქტის ფორმით, წყვეტს იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელშიც კინემატოგრაფიული ნაწარმოების დამამზადებელს აქვს თავისი შტაბ-ბინა ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი. მაგრამ კანონმდებლობას კავშირის იმ ქვეყნისა, რომელშიც არის დაცვის მოთხოვნა, რჩება უფლება გაითვალისწინოს, რომ ასეთი ვალდებულება დგინდება წერილობითი შეთანხმებით ან ტოლმნიშვნელოვანი წერილობითი აქტით. ქვეყნები, რომლებიც ამ უფლებით ისარგებლებენ, ატყობინებენ ამის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომლის შინაარსსაც იგი დაუყოვნებლივ აცნობს კავშირის ყველა სხვა ქვეყანას.

(დ) "საპირისპირო ან განსაკუთრებულ პირობაში" იგულისხმება ნებისმიერი შემზღუდავი პირობა, რომელსაც კავშირი აქვს ზემოთ დასახელებულ ვალდებულებასთან.

(3) თუ ეროვნული კანონმდებლობა ამ საკითხს სხვაგვარად არ წყვეტს, ზემოაღნიშნული პუნქტის (2) (ბ) დებულება არ გამოიყენება კინემატოგრაფიული ნაწარმოების დადგმისათვის შექმნილი სცენარების,

დიალოგებისა და მუსიკის ავტორის მიმართ, ან ამ ნაწარმოების დამდგმელი რეჟისორის მიმართ. ოღონდ, კავშირის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ დასახელებული პუნქტის (2) (ბ) მიყენებას დამდგმელი რეჟისორისადმი, ამის შესახებ ატყობინებენ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომლის შინაარსსაც იგი დაუყოვნებლივ აცნობს კავშირის სხვა ქვეყნებს.

მუხლი 14^{ლრ}

("წილობრივი მონაწილეობის უფლება" ხელოვნების ნაწარმოებებსა და ორიგინალებზე; 1. უფლება გადაყიდვისაგან მიღებული შემოსავლის წილზე 2. გამოსაყენებელი კანონმდებლობა; 3. პროცედურა)

(1) ხელოვნების ნაწარმოებთა ორიგინალებთან და მწერლებისა და კომპოზიტორების ხელნაწერების ორიგინალებთან მიმართებაში, ავტორი, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ეროვნული კანონმდებლობის მიერ უფლებამოსილი პირები ან დანესებულებები სარგებლობენ განუსხვისებელი უფლებით წილობრივი მონაწილეობისა ნაწარმოების ყოველ გაყიდვაში, რომელიც მოჰყვება ნაწარმოების ავტორის მიერ მის პირველ დათმობას.

(2) წინა პუნქტით გათვალისწინებული საავტორო უფლების დაცვის მოთხოვნა შეიძლება იქნეს კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელსაც განეკუთვნება ავტორი, ამის უფლებას იძლევა და იმ მოცულობით, რომელიც დაშვებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიერ, რომელსაც მოეთხოვება ეს დაცვა.

(3) გადასახდელი თანხის გადახდის წესსა და ოდენობას განსაზღვრავს ეროვნული კანონმდებლობა.

მუხლი 15

(დაცული უფლებების დაცვის უფლება: 1. როდესაც ავტორი დასახელებულია ან როცა ფსევდონიმი არ იწვევს ეჭვს ავტორის პიროვნებაში; 2. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან მიმართებაში; 3. ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოშვებულ ნაწარმოებებთან მიმართებაში; 4. კონკრეტულ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებთან მიმართებაში, რომელთა ავტორი უცნობია)

(1) იმისათვის, რომ ამ კონვენციით დაცული ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორი საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში განიხილებოდეს, როგორც ჭეშმარიტი ავტორი და ამის შესაბამისად კავშირის ქვეყნებში უფლება ჰქონდეს აღძრას სასამართლო დევნა კონტრაქტორების წინააღმდეგ, საკმარისია ავტორი

აღნიშნული იყოს ნაწარმოებზე ჩვეულებრივი წესით. ეს პუნქტი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნაწარმოებზე აღნიშნულია ფსევდონიმი და ავტორის ფსევდონიმი ეჭვს არ იწვევს მის პიროვნებაში.

(2) საპირისპირო მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, კინემატოგრაფიული ნაწარმოების დამამზადებლად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი და გვარი ან ფსევდონიმი აღნიშნულია ამ ნაწარმოებზე ჩვეულებრივი წესით.

(3) ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოშვებულ ნაწარმოებებთან მიმართებაში, იმათ გარდა, რომლებიც ზემოთაა მითითებული (1) პუნქტში, გამომცემელი, რომელიც დასახელებულია ნაწარმოებში, საპირისპირო მტკიცებულებათა არარსებობის შემთხვევაში, აღიარებული იქნება ავტორის წარმომადგენლად და ამ სახით იგი უფლებამოსილია დაიცვას ავტორის უფლებები და უზრუნველყოს მათი განხორციელება. ამ პუნქტის დებულებათა მოქმედება შეწყდება მაშინ, როცა ავტორი გაამხელს თავის პიროვნებას და განაცხადებს თავის, როგორც ნაწარმოების ავტორის უფლებების შესახებ.

(4) (a) თუ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების ავტორი უცნობია, მაგრამ ყველა საფუძველი არსებობს იმის საფარად, რომ იგი კავშირში შემავალი ქვეყნის მოქალაქეა, ამ ქვეყნის კანონმდებლობას აქვს უფლება, დანიშნოს კომპეტენტური ორგანო, რომელიც იქნება ამ ავტორის წარმომადგენელი და ექნება უფლებამოსილება დაიცვას მისი უფლებები და უზრუნველყოს მათი განხორციელება კავშირის ქვეყნებში;

(b) კავშირის ქვეყნები, რომლებიც ამ დებულების შესაბამისად დანიშნავენ სათანადო ორგანოს, ატყობინებენ ამის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს სრულ ინფორმაციას ასეთი წესით დანიშნულ ორგანოზე. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს ამ განცხადების შინაარსს კავშირის ყველა ქვეყანას.

მუხლი 16

(კონტრფაქტური ეგზემპლარები: 1. ყადაღის დადება; 2. ყადაღის დადება შემოტანის დროს; კანონმდებლობის გამოყენება)

(1) ნაწარმოების კონტრფაქტურ ეგზემპლარებს ყადაღა უნდა დაედოთ კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, რომელშიც ეს ნაწარმოები სამართლებრივი დაცვით სარგებლობს.

(2) წინა პუნქტის დებულებანი გამოიყენება აგრეთვე მეორადი გამოყენების მიმართაც იმ ქვეყანაში, სადაც ნაწარმოები დაცული არ არის ან აღარ სარგებლობს დაცვით.

(3) ყადაღა დაიდება ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17

(ნაწარმოების გავრცელებაზე, შესრულებასა და ჩვენებაზე კონტროლის შესაძლებლობა)

ამ კონვენციის დებულებებს არ ძალუძთ ხელყონ კავშირის ნებისმიერი ქვეყნის უფლება ნება დართოს, გააკონტროლოს ან აკრძალოს საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული წესით გავრცელება, შესრულება ან ჩვენება ნებისმიერი ნაწარმოებისა ან დადგმისა, რომელთა მიმართ ამ უფლების გამოყენებას აუცილებლად მიიჩნევენ კომპეტენტური ორგანო.

მუხლი 18

(ნაწარმოებები, რომლებიც უკვე არსებობენ იმ მომენტისათვის, როცა კონვენცია ძალაში შედის: 1. დაცული ნაწარმოებები, როცა წარმოშობის ქვეყანაში მათ დაცვის ვადა არ გასვლიათ; 2. დაუცველნი, როცა დაცვის ვადა გაუვიდათ იმ ქვეყანაში, სადაც არის დაცვის მოთხოვნა; 3. ამ პრინციპების გამოყენება; 4. სპეციალური შემთხვევები)

(1) ეს კონვენცია მიეყენება ყველა ნაწარმოებს, რომლებიც მისი ძალაში შესვლის მომენტისათვის ჯერ არ ქცეულან წარმოშობის ქვეყანაში საერთო საკუთრებად დაცვის ვადის გასვლის გამო.

(2) მაგრამ თუკი ნაწარმოებისათვის ადრე მიცემული დაცვის ვადის გასვლის გამო იგი უკვე გახდა საერთო საკუთრება ქვეყანაში, რომელშიც არის დაცვის მოთხოვნა, ეს ნაწარმოები ხელახლა აღარ დაექვემდებარება დაცვას ამ ქვეყანაში.

(3) აღნიშნული პრინციპი გამოიყენება იმ სპეციალური კონვენციების დებულებების შესაბამისად, რომლებიც დადებულია ან დაიდება ამ მიზნით კავშირის ქვეყნებს შორის. ასეთი დებულებების არარსებობის შემთხვევაში თითოეული ქვეყანა თავისთვის განსაზღვრავს ამ პრინციპის გამოყენების პირობებს.

(4) წინა დებულებები გამოიყენება აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის ქვეყანა ერთიანდება კავშირში და იმ შემთხვევაში, როცა დაცვა ფართოვდება მე-7 მუხლის გამოყენების დროს ან დამატებით შენიშვნებზე უარის თქმის შედეგად.

მუხლი 19

(უფრო ფართო დაცვა, ვიდრე ეს კონვენციითაა გათვალისწინებული) ამ კონვენციის დებულებანი არ ეწინააღმდეგება უფრო ფართო დაცვის გამოყენებას, რომელზეც უარს არ იტყვის კავშირის ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა.

მუხლი 20

(სპეციალური შეთანხმებანი კავშირის ქვეყნებს შორის)

კავშირის ქვეყნების მთავრობები იტოვებენ უფლებას დადონ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებანი, თუ ეს შეთანხმებანი მიანიჭებენ ავტორებს უფრო ფართო უფლებებს, ვიდრე ამ კონვენციითაა დადგენილი, ან შეიცავენ სხვა დებულებებს, რომლებიც ამ კონვენციას არ ეწინააღმდეგებიან. მოქმედი შეთანხმებების დებულებანი, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნის დებულებებს, შემდგომშიაც იქნება გამოყენებული.

მუხლი 21

(სპეციალური დებულებანი, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს ეხება: 1. მითითება დამატებით კარზე; 2. დამატებითი კარი – აქტის ნაწილი)

(1) სპეციალურ დებულებებს, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს ეხება, შეიცავს დამატებითი კარი.

(2) 28 (1) (b) მუხლის დებულებათა გათვალისწინებით დამატებითი კარი შეადგენს ამ აქტის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 22

(ასამბლეა: 1. დაფუძნება და შემადგენლობა; 2. ამოცანები; 3. კვორუმი, ხმის მიცემა, მეთვალყურე; 4. მონვევა; 5. პროცედურის წესები)

(1) (a) კავშირს აქვს ასამბლეა, რომელიც შედგება კავშირის ქვეყნებისაგან, რომლებიც დაკავშირებულნი არიან 22-26 მუხლებით;

(b) ყოველი ქვეყნის მთავრობას წარმოადგენს ერთი დელეგატი, რომელსაც შეუძლია იყოლოს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები;

(c) ყოველი დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მისი დამნიშნელი სახელმწიფო.

(2) (a) ასამბლეა:

(I) განიხილავს ყველა საკითხს, რომლებიც ეხება კავშირის შენარჩუნებას, განვითარებას და ამ კონვენციის გამოყენებას;

(II) აძლევს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიუროს (შემდგომ ტექსტში – “საერთაშორისო ბიურო”), გათვალისწინებულს კონვენციაში, რომელიც აფუძნებს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (შემდგომ ტექსტში – “ორგანიზაცია”), მითითებებს კონვენციის ზოგიერთი მუხლის გადასინჯვის თაობაზე კონფერენციის მომზადებასთან დაკავშირებით, და ამასთან სათანადო ყურადღებას უთმობს კავშირის იმ ქვეყნების შენიშვნებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი 22-26 მუხლებით;

(III) განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და მოღვაწეობას კავშირთან მიმართებაში და აძლევს ყველა აუცილებელ ინსტრუქციას იმ საკითხებზე, რომლებიც კავშირის კომპეტენციაში შედის;

(IV) ირჩევს ასამბლეის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს;

(V) განიხილავს და ამტკიცებს თავისი აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშებს, იწონებს მის მოღვაწეობას, აგრეთვე აძლევს შესაბამის ინსტრუქციებს;

(VI) განსაზღვრავს კავშირის პროგრამას, იღებს მის ორწლიან ბიუჯეტს და ამტკიცებს ფინანსურ ანგარიშებს;

(VII) ამტკიცებს კავშირის ფინანსურ რეგლამენტს;

(VIII) ქმნის ისეთ ექსპერტების კომიტეტებს და მუშა ჯგუფებს, რომლებიც მიზანშეწონილად მიაჩნია კავშირის მიზნების განსახორციელებლად;

(IX) განსაზღვრავს, თუ რომელი ქვეყნები, რომლებიც კავშირის წევრები არ არიან, და რომელი სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება იყვნენ დაშვებულნი მის სხდომებზე მეთვალყურეების სახით;

(X) იღებს შესწორებებს 22-26 მუხლებზე;

(XI) ახორციელებს ნებისმიერ სხვა სათანადო მოქმედებას, მიმართულს კავშირის მიზნების მისაღწევად;

(XII) ასრულებს ყველა სხვა ფუნქციას, რომლებიც ამ კონვენციიდან გამომდინარეობს;

(XIII) იმ შემთხვევაში, თუ თანახმაა, ახორციელებს ისეთ უფლებებს, რომლებსაც ანიჭებს მას ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია.

(B) იმ საკითხებზე, რომლებიც ინვევენ სხვა კავშირების ინტერესსაც და რომელთა ადმინისტრაციას ახორციელებს ორგანიზაცია, ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრის მოსმენის შემდეგ, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებებს.

(3) (a) ყოველ ქვეყანას – ასამბლეის წევრს ერთი ხმა აქვს;

(b) ასამბლეის წევრი ქვეყნების ნახევარი შეადგენს კვორუმს;

(c) ქვეპუნქტ (B)-ს დებულების მიუხედავად, თუ რომელიმე სესიაზე წარმოდგენილი ქვეყნების რაოდენობა ნახევარზე ნაკლებს შეადგენს, მაგრამ იმდენივეა ან აჭარბებს ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთ მესამედს, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებანი, მაგრამ ასამბლეის ყველა გადაწყვეტილება, იმ გადაწყვეტილებათა გამოკლებით, რომლებიც პროცედურის მის საკუთარ წესებს ეხება, ძალაში შედის მხოლოდ ქვემოთ მოყვანილი პირობების შესრულებისას. საერთაშორისო ბიურო უგზავნის ზემოთ ნახსენებ გადაწყვეტილებებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, რომლებიც მასზე არ იყვნენ წარმოდგენილნი და წინადადებას აძლევს მათ წერილობით შეატყობინონ სამი თვის ვადაში, გადაწყვეტილებათა გაგზავნის თარიღის ჩათვლით, ხმას აძლევენ თუ არა ამ გადაწყვეტილებებს, წინააღმდეგნი არიან, თუ თავს იკავებენ. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ რაოდენობა იმ ქვეყნებისა, რომლებმაც ხმა მისცეს ან თავი შეიკავეს, მიაღწევს იმ რაოდენობას, რომელიც სესიაზე კვორუმის მიღწევას დააკლ-

და, გადანყვეტილებები ძალაში შედის, ოღონდ იმ პირობით, რომ იმავე დროს შენარჩუნებული იქნება აუცილებელი უმრავლესობა;

(d) 26 (2) მუხლის დებულებათა შესრულების პირობებში ასამბლეა იღებს გადანყვეტილებებს ხმების უმრავლესობით ანუ ორი მესამედით;

(c) იმათი ხმები, ვინც თავი შეიკავა, ანგარიშში არ ჩაითვლება;

(z) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მხოლოდ მისი სახელით;

(g) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები, მის სხდომებზე დაიშვებიან მხოლოდ როგორც მეთვალყურენი.

(4) (ა) ასამბლეა მორიგ სესიაზე იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ გენერალური დირექტორის მონვევით და, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, იმავე დროს და იმავე ადგილას, როგორც ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.

(5) ასამბლეა იკრიბება საგანგებო სესიაზე, რომელსაც იწვევს გენერალური დირექტორი აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით, ან ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(5) ასამბლეა ლებულობს პროცედურის თავის წესებს.

მუხლი 23

(აღმასრულებელი კომიტეტი: 1. დაფუძნება; 2. შემადგენლობა; 3. წევრთა რიცხვი; 4. გეოგრაფიული განაწილება; სპეციალური შეთანხმებები; 5. ვადა, გადარჩევნების უკიდურესი ვადა, არჩევნების წესები; 6. ამოცანები; 7. მოწვევა; 8. კვორუმი; ხმის მიცემა; 9. მეთვალყურენი; 10. პროცედურის წესები)

(1) ასამბლეს ჰყავს აღმასრულებელი კომიტეტი.

(2) (A) აღმასრულებელი კომიტეტი შედგება ქვეყნებისაგან, რომლებსაც ირჩევს ასამბლეა ასამბლეის წევრი ქვეყნების რიცხვიდან. ამის გარდა, ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზე განლაგებულია ორგანიზაციის შტაბ-ბინა, კომიტეტში აქვს ერთი ადგილი იმ პირობით, თუ შესრულებული იქნება 25 (7) (B) მუხლის დებულებები.

(B) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ყველა ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილია ერთი დელეგაციით, რომელსაც შეუძლია იყოლიოს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.

(C) ყოველი დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მისი დამნიშნავი მთავრობა.

(3) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების რაოდენობა შეადგენს ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ერთ მეოთხედს. ადგილების რაოდენობის განხილვისას, რომლებიც უნდა შეივსოს, ნაშთი, რომელიც ოთხზე გაყოფის შემდეგ წარმოიქმნება, ანგარიშში არ ჩაითვლება.

(4) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევნისას ასამბლეა სათა-

ნადო ყურადღებას უთმობს სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას, აგრეთვე იმის აუცილებლობას, რომ სპეციალური შეთანხმების მონაწილე ქვეყნები იყვნენ იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებიც შეადგენენ აღმასრულებელ კომიტეტს.

(5) (A) აღმასრულებელი კომიტეტის წევრები ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს ასამბლეის იმ სესიის დახურვიდან, რომელზეც ისინი არჩეულ იქნენ, ასამბლეის მომდევნო მორიგი სესიის დახურვამდე.

(B) აღმასრულებელი კომიტეტის წევრები შეიძლება გადარჩეული იყვნენ, ოღონდ იმ რაოდენობით, რომელიც არ აღემატება მათი შემადგენლობის ორ მესამედს.

(C) ასამბლეა ადგენს აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევნებისა და შესაძლო გადარჩევნების დანვრილებით წესებს.

(6) (A) აღმასრულებელი კომიტეტი:

(I) ამზადებს ასამბლეის დღის წესრიგის პროექტს;

(II) წარუდგენს ასამბლეას წინადადებებს, რომლებიც ეხება გენერალური დირექტორის მიერ მომზადებული კავშირის პროგრამისა და ორწლიანი ბიუჯეტის პროექტს;

(III) ამოღებულია;

(IV) წარუდგენს ასამბლეას სათანადო შენიშვნებით გენერალური დირექტორის პერიოდულ ანგარიშებს და საფინანსო რევიზიების ყოველწლიურ აქტებს;

(V) ასამბლეის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც წარმოიქმნება ასამბლეის ორ მორიგ სესიას შორის, იღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა უზრუნველყოს კავშირის პროგრამის შესრულება გენერალური დირექტორის მიერ;

(VI) ასრულებს ამ კონვენციის შესაბამისად მასზე დაკისრებულ ყველა სხვა ფუნქციას.

(BB) იმ საკითხებზე, რომლებიც იწვევენ, აგრეთვე, სხვა კავშირების ინტერესსაც, რომელთა ადმინისტრაციას ორგანიზაცია ახორციელებს, ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრის მოსმენის შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს.

(7) (A) აღმასრულებელი კომიტეტი მორიგ სესიაზე იკრიბება წელიწადში ერთხელ, გენერალური დირექტორის მოწვევით, თუ შესაძლებელი იქნება იმავე დროს და იმავე ადგილას, როგორც ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტი.

(B) აღმასრულებელი კომიტეტი იკრიბება საგანგებო სესიაზე, რომელსაც იწვევს გენერალური დირექტორი საკუთარი ინიციატივით ან თავმჯდომარის თხოვნით, ან აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8) (a) ყოველ ქვეყანას - აღმასრულებელი კომიტეტის წევრს აქვს ერთი ხმა.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების ნახევარი შეადგენს კვორუმს.

(c) გადანყვეტილებანი მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით.

(d) მათი ხმები, რომლებმაც თავი შეიკავეს, ანგარიშში არ ჩაითვლება.

(e) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მხოლოდ მისი სახელით.

(9) კავშირის ის ქვეყნები, რომლებიც აღმასრულებელი კომიტეტის წევრები არ არიან, დაიშვებიან მის სხდომებზე, როგორც მეთვალყურე-ნი.

(10) აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია მიიღოს პროცედურის თავი-სი წესები.

მუხლი 24

(საერთაშორისო ბიურო: 1. საერთო ამოცანები, გენერალური დირექტორი; 2. საერთო ინფორმაცია; 3. ჟურნალი; 4. ქვეყნებისათვის განკუთვნილი ინფორმაცია; 5. გამოკვლევები და სამსახურის განევა; 6. სხდომებში მონაწილეობა; 7. კონფერენციები გადასინჯვის თაობაზე; სხვა ამოცანები)

(1) (a) კავშირის ადმინისტრაციული ამოცანები ხორციელდება კავშირის ბიუროს მემკვიდრის საერთაშორისო ბიუროს მიერ, რომელიც გაერთიანებულია სამრეწველო საკუთრების დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი კონვენციის მიერ დაფუძნებული კავშირის ბიუროსთან.

(B) საერთაშორისო ბიურო ასრულებს, კერძოდ, კავშირის სხვადასხვა ორგანოების სამდივნო ფუნქციებს.

(c) ორგანიზაციის გენერალური დირექტორი არის კავშირის მთავარი თანამდებობის პირი და წარმოადგენს კავშირს.

(2) საერთაშორისო ბიურო აგროვებს და აქვეყნებს ინფორმაციას, რომელიც ეხება საავტორო უფლებების დაცვას. კავშირის ყოველი ქვეყანა დაუყოვნებლივ გადასცემს საერთაშორისო ბიუროს ყოველი ახალი კანონის ტექსტს და ყველა ოფიციალურ ტექსტს, რომელიც საავტორო უფლებების დაცვასთანაა დაკავშირებული.

(3) საერთაშორისო ბიურო გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს.

(4) საერთაშორისო ბიურო კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოთხოვნით გადასცემს მას ცნობებს საავტორო უფლებების დაცვის საკითხებზე.

(5) საერთაშორისო ბიურო ახდენს გამოკვლევებს და ეწევა სამსახურს საავტორო უფლებების დაცვის გაადვილების მიზნით.

(6) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პერსონალის ნებისმიერი წევრი ხმის უფლების გარეშე მონაწილეობენ ასამბლეის, აღ-

მასრულებელი კომიტეტის, ექსპერტთა ნებისმიერი კომიტეტის ან სამუშაო ჯგუფის ყველა სხდომაში. გენერალური დირექტორი ან მის მიერ დანიშნული პერსონალის წევრი თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით წარმოადგენს ამ ორგანოების მდივანს.

(7) (ა) საერთაშორისო ბიურო ასამბლეის მითითებათა შესაბამისად და აღმასრულებელ კომიტეტთან თანამშრომლობით ამზადებს კონფერენციებს კონვენციის იმ დებულებათა გადასახინჯად, რომლებსაც არ შეიცავენ 22-ე და 26-ე მუხლები.

(B) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია კონსულტაციები ჩაატაროს მთავრობათაშორისი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან გადასინჯვის თაობაზე კონფერენციების ჩატარების საკითხებზე.

(C) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პირები მონაწილეობენ ამ კონფერენციების მუშაობაში ხმის უფლების გარეშე.

(8) საერთაშორისო ბიურო ასრულებს მასზე დაკისრებულ ნებისმიერ ამოცანას.

მუხლი 25

(ფინანსები: 1. ბიუჯეტი; 2. სხვა კავშირებთან კოორდინირება; 3. დაფინანსების წყაროები; 4. შენატანები; წინა ბიუჯეტის გახანგრძლივების შესაძლებლობა; მოსაკრებლები და გადასახდები; 6. საბრუნავი სახსრების ფონდი; 7. იმ ქვეყნის მთავრობის ავანსები, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს თავისი შტაბ-ბინა; 8. საფინანსო რევიზია)

(1) (a) კავშირს აქვს ბიუჯეტი.

(B) კავშირის ბიუჯეტი შეიცავს საკუთრივ კავშირის შემოსავალსა და გასავალს, მის შენატანს კავშირებისათვის საერთო ხარჯების ბიუჯეტში, აგრეთვე შესაბამის შემთხვევებში – ანარიცხებს ორგანიზაციის კონფერენციის ბიუჯეტში.

(C) კავშირებისათვის საერთო ხარჯებად ითვლება ისეთები, რომლებიც არ მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ კავშირს, მაგრამ ერთდროულად მიეკუთვნება სხვა ერთ ან რამდენიმე კავშირს, რომელთა ადმინისტრაციას ორგანიზაცია ახორციელებს. ამ საერთო ხარჯებში კავშირის წილი შეესაბამება მის დაინტერესებას მოცემული ხარჯებით.

(2) კავშირის ბიუჯეტი მიღებული უნდა იყოს სხვა კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინირების მოთხოვნის სათანადო გათვალისწინებით, იმ კავშირებით, რომელთა ადმინისტრაციას ორგანიზაცია ახორციელებს.

(3) კავშირის ბიუჯეტი ფინანსდება შემდეგი წყაროებიდან:

(I) კავშირის ქვეყნების შენატანებით;

(II) მოსაკრებლებითა და გადასახდელებით, საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირისათვის განეული სამსახურისათვის;

(II) შემოსავლებით საერთაშორისო ბიუროს იმ პუბლიკაციების გაყიდვიდან, რომლებიც კავშირს ეხება, და ამ პუბლიკაციებზე უფლებების გადაცემისაგან;

(IV) შემონირულობებით, ანდერძით დატოვებული სახსრებით;

(V) რენტებით, პროცენტებით და სხვა შემოსავლით.

(4) (a) იმისათვის, რომ განსაზღვროს თავისი შენატანი ბიუჯეტში, კავშირის ყოველი ქვეყანა მიეკუთვნება გარკვეულ კლასს და თავის წლიურ შენატანს იხდის ერთეულების რიცხვის შემდეგნაირად დადგენილ საფუძველზე:

I კლასი	25
II კლასი	20
III კლასი	15
IV კლასი	10
V კლასი	5
VI კლასი	3
VII კლასი	1

(b) ყოველი ქვეყანა, რომელსაც ადრე ეს არ გაუკეთებია, სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის შესანახად ჩაბარებასთან ერთდროულად მიუთითებს კლასს, რომელთანაც მიკუთვნება სურს. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია შეიცვალოს კლასი. თუ ქვეყანა ირჩევს უფრო დაბალ კლასს, მან ამის შესახებ უნდა განაცხადოს ასამბლეის მორიგ სესიაზე. ასეთი ცვლილება მოქმედებაში შედის კალენდარული წლის დასაწყისიდან, რომელიც მოსდევს აღნიშნულ სესიას.

(c) ყოველი ქვეყნის წლიური შენატანი უტოლდება თანხას, რომელიც ისეთ მიმართებაშია კავშირის ბიუჯეტში შენატანების საერთო თანხასთან, რომელიც ყველა ქვეყანამ უნდა გადაიხადოს, როგორ მიმართებაშიაცაა მისი ერთეულების რაოდენობა შენატანების გადამხდელი ქვეყნების ერთეულების საერთო რაოდენობასთან.

(d) შენატანების გადახდა აუცილებელია ყოველი წლის პირველი იანვრიდან.

(e) ქვეყანა, რომელსაც აქვს დავალიანება შენატანების გადახდაში, კარგავს ხმის უფლებას კავშირის ყველა ორგანოში, რომელთა წევრიცაა იგი, თუ მისი დავალიანების თანხა უტოლდება ან აჭარბებს მისი შენატანების თანხას, რომელიც უნდა გადაეხადა ორი წინა წლიური წლის განმავლობაში. თუმცა, ყოველ ამ ორგანოს შეუძლია ნება დართოს ასეთ ქვეყანას განაგრძოს ხმის უფლებით სარგებლობა მანამდე, სანამ ეს ორგანო დარწმუნებულია, რომ გადახდის ვადის გადანევა მოხდა განსაკუთრებულ და გარდაუვალ გარემოებათა გამო.

(f) იმ შემთხვევაში, როცა ბიუჯეტი არ არის მიღებული ახალი საფინანსო პერიოდის დასაწყისამდე, საფინანსო რეგლამენტის მიერ გათვალ-

ისწინებული წესის შესაბამისად, მოქმედებს წინა წლის დონეზე მყოფი ბიუჯეტი.

(5) მოსაკრებლებისა და გადასახდელების ოდენობას, რომლებსაც უხდიან საერთაშორისო ბიუროს კავშირის სახელით განხორცილებული მომსახურებისათვის, ადგენს გენერალური დირექტორი, რომელიც ამის შემდეგ მოახსენებს ასამბლეასა და აღმასრულებელ კომიტეტს.

(6) (ა) კავშირს აქვს საბრუნავი სახსრების ფონდი, რომელიც დგება კავშირის ყოველი ქვეყნის მიერ შემოტანილი ერთჯერადი გადასახდელისაგან. თუ საბრუნავი სახსრების ფონდი არასაკმარისია, ასამბლეა წყვეტს საკითხს მისი გადიდების შესახებ.

(ბ) დასახელებულ ფონდში ყველი ქვეყნის თავდაპირველი გადასახდელის ოდენობა ან მისი წილი ამ ფონდის გადიდებაში პროპორციულია ამ ქვეყნის შენატანისა იმ წლისათვის როდესაც შექმნილია ფონდი ან მიღებულია გადანყვეტილება მისი გადიდების შესახებ.

(ე) ამ პროპორციას და გადასახდელის გადახდის პირობებს ადგენს ასამბლეა გენერალური დირექტორის წინადადებით მას შემდეგ, რაც იგი მოისმენს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრს.

(7) (ა) შეთანხმებაში შტაბ-ბინის შესახებ, რომელიც იდება ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს თავისი შტაბბინა, გათვალისწინებულია, რომ იმ შემთხვევაში, როცა საბრუნავი სახსრების ფონდი არასაკმარისი აღმოჩნდება, ეს ქვეყანა იძლევა ავანსებს. ამ ავანსების თანხა და პირობები, რომელთა თანახმადაც ისინი გაიცემა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება საგანი განსაკუთრებული შეთანხმებისა ამ ქვეყანასა და ორგანიზაციას შორის. მანამდე, სანამ ასეთ ქვეყანას აკისრია ვალდებულება გასცეს ავანსები, მას თავისი მდგომარეობის მიხედვით აქვს ერთი ადგილი აღმასრულებელ კომიტეტში.

(ბ) ისევე, როგორც (ა) ქვეპუნქტში დასახელებულ ქვეყანას, ასევე ორგანიზაციასაც აქვს უფლება წერილობითი შეტყობინებით მოახდინოს ავანსების გაცემის დენონსირება. დენონსაცია მოქმედებაში შედის სამი წლის გასვლის შემდეგ იმ წლის დასასრულიდან, როცა მოხდა შეტყობინება.

(გ) საფინანსო რევიზია ხორციელდება საფინანსო რეგლამენტის წესების შესაბამისად კავშირის ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მიერ, ან გარეშე რევიზორების მიერ, რომლებსაც მათივე თანხმობით ნიშნავს ასამბლეა.

მუხლი 26

(ცვლილებანი: 1. დებულებანი, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს ასამბლეის მიერ; წინადადებანი; 2. მიღება; 3. ძალაში შესვლა)

(1) წინადადებანი 22, 23, 24, 25 მუხლებში და აგრეთვე ამ მუხლში შესწორებების შეტანის შესახებ შეიძლება წამოყენებულ იქნეს ასამბლეის

ნევრი ნებისმიერი ქვეყნის, აღმასრულებელი კომიტეტის ან გენერალური დირექტორის მიერ. გენერალური დირექტორი ასეთ წინადადებებს უგზავნის ასამბლეის წევრ ქვეყნებს ასამბლეაში მათ განხილვამდე არანაკლებ ექვსი თვით ადრე.

(2) (1) პუნქტში გათვალისწინებულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი შესწორება მიიღება ასამბლეის მიერ, რისთვისაც საჭიროა ხმათა უმრავლესობა სამი მეოთხედის ოდენობით; მაგრამ ნებისმიერი შენიშვნა 22 მუხლში და მოცემულ პუნქტში მიიღება უმრავლესობით, ხმების ოთხი მეოთხედის ოდენობით.

(3) (1) პუნქტით გათვალისწინებულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი შესწორება ძალაში შედის ერთი თვის გასვლის შემდეგ იმ თარიღიდან, როცა წერილობითი შეტყობინებანი მისი მიღების შემდეგ, რომელიც განხორციელდა ყოველი ქვეყნის საკონსტიტუციო პროცედურის შესაბამისად, მიღებულია გენერალური დირექტორის მიერ იმ ქვეყნების სამი მეოთხედისაგან, რომლებიც ასამბლეის წევრები იყვნენ მის მიერ ამ შესწორების მიღების დროს. აღნიშნულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი შესწორება, მიღებული ამგვარად, აუცილებელია ყველა ქვეყნისათვის, რომლებიც ასამბლეის წევრები იყვნენ იმ დროს, როცა შესწორება ძალაში შევიდა ან გახდნენ მისი წევრები ამ თარიღის შემდეგ, ოღონდ ნებისმიერი შესწორება, რომელიც ადიდებს კავშირის ქვეყნების ფინანსურ ვალდებულებებს, აუცილებელია მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც შეატყობინეს გენერალურ დირექტორს მათ მიერ ასეთი შესწორების მიღება.

მუხლი 27

(გადასინჯვა: 1. მიზანი; 2. კონფერენციები; 3. მიღება)

(1) ეს კონვენცია შეიძლება გადაისინჯოს მასში იმ ცვლილებების შეტანის მიზნით, რომლებიც კავშირის სისტემას სრულყოფენ.

(2) ამ მიზნით კავშირის ქვეყნებში რიგ-რიგობით ტარდება აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციები.

(3) 26-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, რომლებიც გამოიყენება 22-26 მუხლებში შესწორებების შეტანისას, ნებისმიერი გადასინჯვა ამ აქტისა, დამატებითი კარის ჩათვლით, მოითხოვს ერთსულოვან თანხმობას.

მუხლი 28

(მიღება და ძალაში შესვლა აქტისა კავშირის ქვეყნებისათვის: 1. რატიფიკაცია, მიერთება; გარკვეული დებულებების ამოღების შესაძლებლობა; გამოწვევის გაუქმება; 2. 1-დან 21-მდე მუხლების და დამატებითი კარის ძალაში შესვლა; 3. 22-38 მუხლების ძალაში შესვლა)

(1) (a) კავშირის ყველა ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ აქტს,

შეუძლია მოახდინოს მისი რატიფიკაცია, ან თუ ხელი არ მოუწერია, შეუძლია შეუერთდეს. სარატიფიკაციო სიგელები და აქტები შეერთების შესახებ შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(b) ყოველ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს თავისი სარატიფიკაციო სიგელში ან აქტში შეერთების შესახებ, რომ რატიფიკაცია ან შეერთება არ ვრცელდება 1-21 მუხლებზე და დამატებით კარზე; მაგრამ თუ ასეთმა ქვეყანამ უკვე გააკეთა განცხადება დამატებითი კარის (l) მუხლის შესაბამისად, მას ამ შემთხვევაში მოცემულ სიგელში ან აქტში შეუძლია განაცხადოს მხოლოდ იმის შესახებ, რომ მისი რატიფიკაცია ან შეერთება არ მიეყენება 1-20 მუხლებს.

(c) კავშირის ყოველ ქვეყანას, რომელმაც (e) ქვეპუნქტის შესაბამისად ამოიღო აღნიშნული შესაბამისი დებულებები თავისი რატიფიკაციის ან შეერთების მოქმედების სფეროდან, შეუძლია მოგვიანებით, ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი ავრცელებს თავისი რატიფიკაციის ან შეერთების მოქმედებას ამ დებულებებზე. ასეთი განცხადება შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(2) (a) 1-21 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედიან სამი თვის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა შესრულებული იქნება შემდეგი ორი პირობა:

(l) სულ ცოტა კავშირის ხუთი ქვეყანა მოახდენს ამ აქტის რატიფიკაციას ან შეუერთდება მას ისე, რომ არ გააკეთებს (1) მუხლის (b) პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას;

(ll) ესპანეთი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი ხელშეკრულნი იქნებიან საავტორო უფლების შესახებ მსოფლიო კონვენციით, რომელიც გადასინჯულია პარიზში 1971 წლის 24 ივლისს.

(b) ქვეპუნქტ (a)-ში აღნიშნულის ძალაში შესვლა ეხება კავშირის იმ ქვეყნებს, რომლებმაც ხსენებულ ძალაში შესვლამდე სულ ცოტა სამი თვით ადრე ჩააბარეს შესანახად სარატიფიკაციო სიგელები ან აქტები შეერთების შესახებ ისე, რომ არ გაუკეთებიათ (1) მუხლის (b) პუნქტით გათვალისწინებული განცხადება.

(c) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელსაც არ მიეყენება ქვეპუნქტი (b) და, რომელმაც რატიფიკაცია გაუკეთა ამ აქტს ან შეუერთდა მას ისე, რომ არ გაუკეთებია (1) (b) პუნქტით გათვალისწინებული განცხადება, 1-21 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედიან სათანადო სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის შესანახად ჩაბარების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, თუ სიგელში ან აქტში არ იქნება აღნიშნული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში 1-21 მუხლები და დამატებითი კარი ამ ქვეყნის მიმართ ძალაში შედიან ამგვარად აღნიშნული თარიღიდან.

(დ) (ა) და (ც) ქვეპუნქტების დებულებანი არ ახდენენ გავლენას დამატებითი კარის VI მუხლის გამოყენებაზე.

(3) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც მოახდენს ამ აქტის რატიფიკაციას ან შეუერთდება მას ისე, რომ გააკეთებს ან არ გააკეთებს განცხადებას, გათვალისწინებულს (1) (b) პუნქტით, 22-38 მუხლები ძალაში შედიან სათანადო სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის შესანახად ჩაბარების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, თუ სიგელში ან აქტში არ იქნება აღნიშნული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში 22-38 მუხლები ამ ქვეყნის მიმართ ძალაში შედიან ამგვარად აღნიშნული თარიღიდან.

მუხლი 29

(მიღება და ძალაში შესვლა ქვეყნებისათვის, რომლებიც არ არიან კავშირის წევრები: 1. შეერთება; 2. ძალაში შესვლა)

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის კავშირის წევრი, შეუძლია შეუერთდეს ამ აქტს და ამრიგად გახდეს ამ კონვენციის მხარე და კავშირის წევრი. აქტები შეერთების შესახებ შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(2) (ა) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც არ არის კავშირის წევრი, (ბ) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ეს კონვენცია ძალაში შედის შეერთების შესახებ მისი აქტის შესანახად ჩაბარების თაობაზე გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, თუ შეერთების აქტში არ იყო აღნიშნული უფრო გვიანი შეერთების თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ამ ქვეყნის მიმართ ეს კონვენცია ძალაში შედის ამგვარად აღნიშნული თარიღიდან.

(ბ) თუ ძალაში შესვლა (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად წინ უსწრებს 1-21 მუხლების და დამატებითი კარის ძალაში შესვლას, 28 (2) (ა) მუხლის შესაბამისად, დასახელებული ქვეყანა ამასობაში ხელშეკრული იქნება 1-21 მუხლების და დამატებითი კარის ნაცვლად ამ კონვენციის ბრიუსელის აქტის 1-20 მუხლებით.

მუხლი 29^ბ

(აქტის მიღების შედეგები ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის კონვენციის მე-14 (2) მუხლის მიზნებისათვის)

ამ აქტის რატიფიკაცია ან მასთან შეერთება ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომელიც ხელშეკრული არ არის ამ კონვენციის სტოკჰოლმის აქტის 22-38 მუხლებით, ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის მხოლოდ და მხოლოდ 14 (2) მუხლის მიზნებისათვის აღნიშნული სტოკჰოლმის აქტის რა-

ტიფიკაციის ან ამ აქტთან შეერთების ტოლფასია იმ შეზღუდვით, რომელსაც ითვალისწინებს ამ აქტის 28-ე (1) (b) (i) მუხლი.

მუხლი 30

(შენიშვნები: 1. შენიშვნების გაკეთების შესაძლებლობის შეზღუდვა; 2. ადრე გაკეთებული შენიშვნები; შენიშვნა თარგმნის უფლების მიმართ; შენიშვნის ამოღება)

იმ ამოღების გამოკლებით, რომელიც დაშვებულია ამ მუხლის (2) პუნქტით, 28-ე (i) (b) მუხლით, 33 (2) მუხლით და დამატებითი კარით, რატიფიკაციას ან შეერთებას ავტომატურად მოსდევს ყველა დებულების აღიარება და ყველა იმ უპირატესობის მიღება, რომლებსაც ეს კონვენცია ადგენს.

(2) (a) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც მოახდენს ამ აქტის რატიფიკაციას ან შეუერთდება მას, შეუძლია დამატებითი კარის V (2) მუხლის შესაბამისად შეინარჩუნოს მანამდე მის მიერ ჩამოყალიბებული შენიშვნების უპირატესობანი, ოღონდ იმ პირობით, თუ ამის თაობაზე განცხადებას გააკეთებს შესაბამისად სარატიფიკაციო სიგელისა ან შეერთების თაობაზე აქტის ჩაბარებისას.

(b) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც კავშირის წევრი არ არის, ამ კონვენციასთან შეერთებისას და დამატებითი კარის V (2) მუხლის შესაბამისად შეუძლია განაცხადოს, რომ განზრახული აქვს დროებით მაინც ამ აქტის მე-8 მუხლი თარგმნის უფლების თაობაზე შეცვალოს პარიზში 1896 წელს შევსებული 1896 წლის საკავშირო კონვენციის მე-5 მუხლის დებულებებით, და იმის ნათელი შეგნებით, რომ ეს დებულებანი გამოიყენება მხოლოდ ამ ქვეყნის საყოველთაოდ მიღებულ ენაზე თარგმნის მიმართ დამატებითი კარის I (6) (b) მუხლის შესაბამისად. კავშირის ყოველ ქვეყანას უფლება აქვს ნაწარმოების თარგმნის უფლების მიმართ იმ ქვეყნისათვის, რომელიც ამ ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაა და ასეთი შენიშვნით ისარგებლა, გამოიყენოს დაცვა, რომელიც ამ ქვეყნის მიერ განხორციელებული დაცვის ეკვივალენტური იქნება.

(c) ნებისმიერ ქვეყანას ნებისმიერ დროს შეუძლია გააბათილოს ასეთი შენიშვნები გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილი შეტყობინების გზით.

მუხლი 31

(ზოგიერთი ტერიტორიებისადმი გამოყენება: 1. განცხადება; 2. განცხადების უკან წაღება; 3. ძალაში შესვლის თარიღი; 4. ფაქტობრივი ვითარების მიღება არ იგულისხმება)

(1) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია თავის სარატიფიკაციო სიგელში ან შეერთების აქტში განაცხადოს, ან ნებისმიერ სხვა დროს გენერალურ დირექტორს წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს იმის თაობაზე, რომ

ეს კონვენცია გამოიყენება ყველა ან ზოგიერთი ტერიტორიისადმი, რომლებიც მითითებული იქნება განცხადებაში ან შეტყობინებაში და რომელთა საერთაშორისო ურთიერთობისათვის იგი პასუხისმგებლობას კისრულობს.

(2) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა ან ასეთი შეტყობინება გაგზავნა, ნებისმიერ დროს შეუძლია შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ წყდება ამ კონვენციის გამოყენება ყველა ან ზოგიერთი ასეთი ტერიტორიისადმი.

(3) (ა) ყოველგვარი განცხადება, რომელიც (1) პუნქტის შესაბამისად გაკეთდა, ძალაში შედის იმავე დღეს, როცა ძალაში შედის რატიფიკაცია ან შეერთება, რომელთა დოკუმენტები შეიცავდა ამ განცხადებას, ხოლო ყოველი შეტყობინება, რომელიც აღნიშნული პუნქტის შესაბამისად გაიგზავნა, ძალაში შედის სამ თვეში მას შემდეგ, რაც გენერალური დირექტორი მას გამოაქვეყნებს.

(ბ) ყოველგვარი შეტყობინება, რომელიც (2) პუნქტის შესაბამისად გაიგზავნა, ძალაში შედის თორმეტ თვეში მას შემდეგ, რაც იგი გენერალურმა დირექტორმა მიიღო.

(4) ეს მუხლი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განიმარტოს ისე, თითქოს კავშირის ნებისმიერი ქვეყანა უსიტყვოდ ცნობდეს ან ეთანხმებოდეს დებულებებს ტერიტორიის მიმართ, სადაც ეს კონვენცია კავშირის სხვა ქვეყნის მიერ გამოიყენება იმ განცხადების ძალით, რომელიც (1) პუნქტის შესაბამისად გაკეთდა.

მუხლი 32

(ამ აქტის და უფრო ადრეული აქტების გამოყენება: 1. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც კავშირის წევრები არიან; 2. კავშირში განუერთიანებულ ნებისმიერ ქვეყანასა და კავშირის წევრ სხვა ქვეყნებს შორის; 3. დამატებითი კარის გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში)

(1) ეს აქტი კავშირის ქვეყნების ურთიერთობაში და იმდენად, რამდენადაც იგი გამოიყენება, ცვლის ბერნის 1886 წლის 9 სექტემბრის კონვენციას და მისი გადასინჯვის მომდევნო აქტებს. მანამდე ძალაში შესული აქტები კვლავინდებურად გამოიყენება მთლიანად ან იმდენად, რამდენადაც წინამდებარე აქტი ვერ შეცვლის მათ წინა წინადადებათა გამო, კავშირის იმ ქვეყნების ურთიერთობაში, რომლებიც რატიფიკაციას არ უზამენ ამ აქტს ან არ შეუერთდებიან მას.

(2) ქვეყნები, რომლებიც კავშირის წევრები არ არიან და ამ აქტის მხარეები ხდებიან, (3) პუნქტის შესაბამისად, მას იყენებენ კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც ხელშეკრული არ არის ამ აქტით, ან თუნდაც ხელშეკრულია წინამდებარე აქტით, მაგრამ გააკეთა განცხადება, რომელსაც ითვალისწინებს 28-ე (1) (ბ) მუხლი. ასეთი ქვეყნები ცნობენ, რომ კავშირის აღნიშნულ ქვეყანას მათთან ურთიერთობაში:

(1) შეუძლია გამოიყენოს უკანასკნელი წინამორბედი აქტის დებულებანი, რომლებითაც იგი ხელშეკრულია, და

(1) დამატებითი კარის 1 (6) მუხლის შესაბამისად, უფლება აქვს შეუთავსოს დაცვა იმ დონეს, რომელსაც ითვალისწინებს ეს აქტი.

(3) ყოველ ქვეყანას, რომელმაც გამოიყენა დამატებითი კარით გათვალისწინებული ნებისმიერი შესაძლებლობა, შეუძლია გამოიყენოს იმ უფლებებისა და შესაძლებლობების თაობაზე დამატებითი კარის დებულებანი, რომლებითაც ისარგებლა კავშირის ამ აქტით ხელშეკრულ ნებისმიერ ქვეყანასთან ურთიერთობაში, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ქვეყანა დასაშვებად მიიჩნევს აღნიშნულ დებულებათა გამოყენებას.

მუხლი 33

(დავა: 1. საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია; 2. შენიშვნა ასეთი იურისდიქციის მიმართ; 3. შენიშვნის ამოღება)

(1) კავშირის ორ ან რამდენიმე ქვეყანას შორის ნებისმიერი დავა, რომელიც ამ კონვენციის განმარტებას ან გამოყენებას შეეხება და მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, აღნიშნული ქვეყნებიდან ნებისმიერს შეუძლია გადასცეს საერთაშორისო სასამართლოს, რისთვისაც განცხადება შეაქვს სასამართლოს სტატუსის შესაბამისად, თუ აღნიშნული ქვეყნები ვერ შეთანხმდნენ დავის მოგვარების სხვა წესზე. ქვეყანამ, რომელსაც განცხადება შეაქვს, საერთაშორისო ბიუროს უნდა შეატყობინოს იმ დავის შესახებ, რომელიც სასამართლოს განხილვისათვის გადაეცა; საერთაშორისო ბიურომ ეს უნდა ამცნოს კავშირის სხვა ქვეყნებს.

(2) ამ აქტის ხელმონერის ან სარატიფიკაციო სიგელისა თუ შეერთების აქტის შესანახად ჩაბარების მომენტში ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, რომ თავს არ თვლის ხელშეკრულად (1) პუნქტის დებულებებით. რაც შეეხება დავას ამ ქვეყანასა და კავშირის ნებისმიერ სხვა ქვეყანას შორის, (1) პუნქტის დებულებანი მათზე არ ვრცელდება.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განცხადება გააკეთა (2) პუნქტის დებულებათა შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს გამოითხოვოს იგი უკან, რისთვისაც შეტყობინება უნდა გაუგზავნოს გენერალურ დირექტორს.

მუხლი 34

(ზოგიერთი, უფრო ადრეული დებულების გაუქმება: 1. წინამორბედი აქტებისა; 2. სტოკჰოლმის აქტის ოქმისა)

(1) 29 მუხლის გათვალისწინებით არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ამ კონვენციის წინამორბედი აქტების რატიფიკაცია ან მათთან შეერთება მას შემდეგ, რაც ძალაში შევა 1-21 მუხლები და დამატებითი კარი.

(2) 1-21 მუხლებისა და დამატებითი კარის ძალაში შესვლის შემდეგ

არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია განცხადების გაკეთება, რომელიც გათვალისწინებულია ოქმის მე-5 მუხლით განვითარებადი ქვეყნების მიმართ და თან ერთვის ეტოკპოლმის აქტს.

მუხლი 35

(კონვენციის მოქმედების ვადა; დენონსაცია: 1. განუსაზღვრელი ვადა; 2. დენონსაციის შესაძლებლობა; 3. დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღი; 4. დენონსაციის გადადება)

(1) ეს კონვენცია ვადით შეუზღუდავად მოქმედებს.

(2) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ აქტის დენონსაცია გენერალური დირექტორისთვის გაგზავნილი შეტყობინების მეშვეობით. ასეთი დენონსაცია ამასთანავე ყველა წინა აქტის დენონსაციაა და ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყანაზე, რომელმაც იგი გააკეთა, ხოლო კავშირის დანარჩენი ქვეყნების მიმართ კონვენცია ძალაში რჩება და უნდა სრულდებოდეს.

(3) დენონსაცია ძალაში შედის ერთ წელიწადში იმ დღიდან, როცა გენერალური დირექტორი შეტყობინებას მიიღებს.

(4) ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლების გამოყენება არ შეუძლია არც ერთ ქვეყანას, სანამ ხუთი წელი არ გავა იმ დღიდან, რაც იგი კავშირის წვერი გახდა.

მუხლი 36

(კონვენციის გამოყენება: 1. საჭირო ღონისძიებათა განხორციელების ვალდებულება; 2. მომენტი, რომლიდანაც არსებობს ვალდებულება)

(1) ამ კონვენციის მონაწილე ყოველი ქვეყანა ვალდებულებას კისრულობს თავისი კონსტიტუციის შესაბამისად განახორციელოს ამ კონვენციის გამოყენების უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

(2) იგულისხმება, რომ ყოველ ქვეყანას, იმ მომენტში, როცა იგი ხელშეკრული ხდება ამ კონვენციით, შეეძლება, თავისი საშინაო კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს ამ კონვენციის დებულებანი.

მუხლი 37

(დასკვნითი დებულებანი: 1. აქტის ენები; 2. ხელმოწერა; 3. დამონმებული ასლები; 4. რეგისტრაცია; 5. შეტყობინება)

(1) (ა) ამ აქტს ხელს აწერენ ერთ ეგზემპლარზე ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და, (2) პუნქტის შესაბამისად იგი შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(ბ) ოფიციალურ ტექსტს შეიმუშავენ გენერალური დირექტორი, დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ, არაბულ, ესპანურ, იტალიურ, გერმანულ და პორტუგალიურ ენებზე, აგრეთვე სხვა ენებზე, რომლებსაც ასამბლეა განსაზღვრავს.

(ც) სხვადასხვა ტექსტის განმარტებისას უთანხმოების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ფრანგულ ტექსტს.

(2) ეს აქტი ღიაა ხელმოსანერად 1972 წლის 31 იანვრამდე. ამ თარიღამდე (1) (ა) პუნქტში აღნიშნული ეგზემპლარი შესანახად ბარდება საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას.

(3) გენერალური დირექტორი დაამონმებს ამ აქტის ხელმონერილი ტექსტის ორ ასლს და უგზავნის კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობასაც.

(4) გენერალური დირექტორი ამ აქტს რეგისტრაციაში გაატარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

(5) გენერალური დირექტორი კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას აცხობინებს, რომ აქტი ხელმონერილია, სარატიფიკაციო სიგელების შესანახად ჩაბარებულია, ასევე ჩაბარებულია შეერთების და იმ განცხადებების აქტები, რომლებსაც ეს დოკუმენტები შეიცავს ან გაკეთდა 28 (1) (c), 30 (2) (a) და (b) და 33 (2) მუხლების შესაბამისად. ამ აქტის ნებისმიერ დებულებათა ძალაში შესვლის, დენონსაციათა შეტყობინების და იმ შეტყობინებათა შესახებ, რომლებიც გაგზავნილია 30 (2) (c), 31 (1) და (2), 33 (3) და 38 (1) მუხლების შესაბამისად, აგრეთვე იმ შეტყობინებათა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია დამატებითი კარით.

მუხლი 38

(გარდამავალი დებულებანი: 1. „ხუთწლიანი“ პრივილეგიების გამოყენება; 2. კავშირის ბიურო, ბიუროს დირექტორი; 3. კავშირის ბიუროს მემკვიდრეობითობა)

(1) კავშირის ქვეყნებს, რომლებმაც არ მოახდინეს ამ აქტის რატიფიცირება, შეუერთდნენ მას, ან ხელშეკრულნი არ არიან ამ კონვენციის სტოკჰოლმის აქტის 2-26 მუხლებით, შეუძლიათ, თუ მოისურვებენ, 1975 წლის 26 აპრილამდე ისარგებლონ უფლებებით, რომლებიც აღნიშნული მუხლების ძალით ენიჭებათ ისევე, თითქოს ხელშეკრულნი იყვნენ ამ მუხლებით. ყოველი ქვეყანა, რომელსაც სურს ისარგებლოს ასეთი უფლებით, გენერალურ დირექტორს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, რომელიც ამოქმედდება მისი მიღების დღიდან. ასეთი ქვეყნები ასამბლეის წევრებად ითვლებიან აღნიშნულ ვადამდე.

(2) მანამდე, სანამ კავშირის ყველა ქვეყანა არ გახდება ორგანიზაციის წევრი, მისი საერთაშორისო ბიურო ამასთანავე ფუნქციონირებს როგორც კავშირის ბიურო, ხოლო გენერალური დირექტორი მოქმედებს როგორც ამ ბიუროს დირექტორი.

(3) როგორც კი კავშირის ყველა ქვეყანა გახდება ორგანიზაციის წევრი, კავშირის ბიუროს უფლებები, მოვალეობები და ქონება ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს გადაეცემა.

დამატებითი კარი

(საპაციალური დეზულეზაჰი, რომელიც ეხება განვითარებად ქვეყნებს)

მუხლი I

(განვითარებადი ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი შეღავათები: 1. გარკვეული შეღავათების არსებობა; განცხადება; 2. განცხადების მოქმედების ხანგრძლივობა; 3. განვითარებადი ქვეყნის სტატუსის შეწყვეტა; 4. ეგზემპლარების არსებული მარაგი; 5. განცხადება გარკვეულ ტერიტორიათა შესახებ; 6. ნაცვალგების ფარგლები)

(1) ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად ითვლება განვითარებად ქვეყნად, რომელიც რატიფიცირებას ახდენს ან უერთდება ამ აქტს, რომლის განუყოფელ ნაწილსაც შეადგენს დამატებითი კარი და რომელსაც, მხედველობაში იღებს რა თავის ეკონომიკურ მდგომარეობას, თავის სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს, მიაჩნია, რომ ვერ შეძლებს დაუყოვნებლად აამოქმედოს დებულება ამ აქტით გათვალისწინებულ ყველა უფლების დაცვის შესახებ, შეუძლია შეტყობინებით, რომელსაც შესაძლებელია გადასცემს გენერალურ დირექტორს სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის დეპონირებისას ან V (1) (C) მუხლის თანახმად, ნებისმიერ შემდგომ დროს განაცხადოს, რომ იგი ისარგებლებს II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით ან III მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, ან ორივე ამ შეღავათით. მას შეუძლია II მუხლში გათვალისწინებული შეღავათის ნაცვლად გააკეთოს განცხადება V (a) მუხლის თანახმად.

(2) (a) ნებისმიერ განცხადებას, გაკეთებულს (1) პუნქტის შესაბამისად, ათწლიანი პერიოდის გასვლამდე ამ დამატებითი კარის 1-21 მუხლების ძალაში შესვლის შემდეგ, 28 (2) მუხლის თანახმად ძალა აქვს დასახლებული პერიოდის გასვლამდე. ნებისმიერი ასეთი განცხადება შეიძლება განახლდეს მთლიანად ან ნაწილობრივ ათწლიანი პერიოდებისათვის შეტყობინებით, რომელიც შენასახად ბარდება გენერალურ დირექტორს, არა უმეტეს თხუთმეტი და არანაკლებ სამი თვით მიმდინარე ათწლიანი ვადის გასვლამდე.

(a) ნებისმიერ განცხადებას, რომელიც გაკეთდება (1) მუხლის შესაბამისად 1-21 მუხლების და დამატებითი კარის მუხლების ძალაში შესვლიდან ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, 28 (2) მუხლის თანახმად, ძალა აქვს მიმდინარე ათწლიანი პერიოდის გასვლამდე. ნებისმიერი ასეთი

განცხადება შეიძლება განახლდეს, როგორც ეს გათვალისწინებულია (ა) ქვეპუნქტის მეორე ფრაზაში.

(3) კავშირის ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად, (1) პუნქტის შესაბამისად, ვერ განაახლებს თავის განცხადებას, როგორც ეს (2) პუნქტშია გათვალისწინებული და მიუხედავად იმისა ოფიციალურად უკან გამოიხმობს თუ არა თავის განცხადებას, ველარ ისარგებლებს (1) პუნქტში მოხსენიებული შეღავათებით მიმდინარე ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, ან სამწლიანი პერიოდის გასვლიდან მას შემდეგ, რაც უკვე აღარ ჩაითვლება განვითარებად ქვეყნად; ამასთან გამოიყენება ის პერიოდი, რომელიც უფრო გვიან გადის.

(4) იქ, სადაც იმ დროისათვის, როდესაც (1) და (2) პუნქტების შესაბამისად გაკეთებული განცხადება ნყვეტს თავის მოქმედებას და არის ამ დამატებითი კარის ძალით გაცემული ლიცენზიით დამზადებული სათადარიგო ეგზემპლარები, ეს ეგზემპლარები შეიძლება განაგრძობდნენ გავრცელებას მანამდე, სანამ მათი მარაგი მთლიანად არ ამოიწურება.

(5) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც ხელშეკრულია ამ აქტის დებულებებით და რომელმაც შესანახად ჩააბარა განცხადება ან შეტყობინება 31 (1) მუხლის შესაბამისად ამ აქტის გამოყენების შესახებ რომელიმე ტერიტორიასთან დაკავშირებით, რომლის მდგომარეობაც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც (1) პუნქტში მითითებული ქვეყნების მდგომარეობის ანალოგიური, შეუძლია ამ ტერიტორიის თაობაზე გააკეთოს განცხადება, მოხსენიებული (1) პუნქტში და შეტყობინება განახლების შესახებ, მოხსენიებული (2) პუნქტში. ასეთი განცხადების ან შეტყობინების მოქმედების ვადის განმავლობაში ამ დამატებითი კარის დებულებები გამოიყენება ასეთი ტერიტორიის მიმართ.

(6) (ა) ის გარემოება, რომ რომელიმე ქვეყანა სარგებლობს (1) პუნქტში გათვალისწინებული შეღავათებით, არ უქმნის შესაძლებლობას მეორე ქვეყანას მიანიჭოს ნაწარმოებები, რომელთა წარმოშობის ქვეყანაც არის პირველი ქვეყანა, ნაკლები დაცვა ვიდრე არის ის, რომელიც ვალდებულია მიანიჭოს 1-20 მუხლების თანახმად.

(ბ) ეკვივალენტური დაცვის უფლება, რომელიც გათვალისწინებულია 30 (2) (ბ) მუხლში (მეორე ფრაზა), არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ვადაზე ადრე, როდესაც გავა პერიოდი, გამოყენებული 1 (3) მუხლის შესაბამისად იმ ნაწარმოებთა მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა V (1) (ა) მუხლის თანახმად არის განმცხადებელი ქვეყანა.

მუხლი II

(თარგმნის უფლების შეზღუდვა: 1. კომპეტენტური ორგანოების გაცემული ლიცენზია; 2-დან 4-მდე. ასეთი გაცემის პირობები; 5. მიზნები, რომლებისთვისაც ასეთი ლიცენზიები შეიძლება გაიცეს; 6. ლიცენზიების მოქ-

მედების შეწყვეტა; 7. ნაწარმოებები, რომლებიც ძირითადად ილუსტრაციებისგან შედგება; 8. ამოღებული ნაწარმოებები; 9. ლიცენზიები ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ეთერით გადაცემებს ახორციელებენ)

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განაცხადა, რომ ისარგებლებს ამ მუხლში გათვალისწინებული შეღავათებით, შეუძლია ბეჭდვითი ან სხვა ანალოგიური მეორადი გამოყენების ფორმით გამოცემული ნაწარმოების მიმართ თარგმნის განსაკუთრებული უფლება, გათვალისწინებული მე-8 მუხლში, შეცვალოს არაგანსაკუთრებული და არაგადასაცემი ლიცენზიების სისტემით, რომელთაც გასცემენ კომპეტენტური ორგანოები ქვემოთ მითითებული პირობებით და I V მუხლის გათვალისწინებით.

(2) (a). (3) პუნქტის გათვალისწინებით, თუ სამწლიანი პერიოდის ან ნებისმიერი უფრო ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ, რომელსაც ადგენს დასახელებული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა და რომელიც აითვლება ნაწარმოების პირველი გამოქვეყნებიდან, ასეთი ნაწარმოების თარგმანი არ გამოქვეყნებულა ამ ქვეყნის საერთო სარგებლობის ენაზე იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს თარგმნის ან თარგმანზე ნების დართვის უფლება, ასეთი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ლიცენზია დასახელებულ ენაზე ამ ნაწარმოების თარგმანზე და გამოაქვეყნოს ასეთი თარგმანი ბეჭდვითი ან მეორადი გამოყენების ანალოგიური ფორმით.

(b) ამ მუხლში გათვალისწინებული პირობებით ლიცენზია შეიძლება გაიცეს აგრეთვე იმ შემთხვევებშიც, როდესაც ამ ენაზე გამოქვეყნებული თარგმანის ყველა გამოცემა უკვე გაიყიდა.

(3) (a) იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოები თარგმნილია ენაზე, რომელიც არ არის საერთო სარგებლობის ენა კავშირის მონაწილე ერთ ან რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში, ერთწლიანი პერიოდი ცვლის (2) (a) პუნქტში გათვალისწინებულ სამწლიან პერიოდს.

(B) (1) პუნქტში მოხსენიებულ ნებისმიერ ქვეყანას ერთსულოვანი შეთანხმებით კავშირის მონაწილე განვითარებულ ქვეყნებთან, რომლებშიც იგივე ენა არის საერთო სარგებლობის ენა, შეუძლია ამ ენაზე თარგმნის შემთხვევაში (2) (b) პუნქტში გათვალისწინებული სამწლიანი პერიოდი შეცვალოს ამ შეთანხმებაში დადგენილი უფრო ხანმოკლე პერიოდით, ამასთან ასეთი პერიოდი არ შეიძლება ერთ წელზე ნაკლები იყოს, თუმცა წინა წინადადების დებულებები არ ვრცელდება ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. ის მთავრობები, რომლებმაც მიაღწიეს ასეთ შეთანხმებას, ამის შესახებ ატყობინებენ გენერალურ დირექტორს.

(4) (a) ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად, სამი წლის შემდეგ მიღებული ლიცენზიები არ შეიძლება გაიცეს დამატებითი ექვსთვიანი ვადის გასვლამდე, ხოლო ერთი წლის შემდეგ გაცემული ლიცენზიები – დამატებითი ცხრათვიანი ვადის გასვლამდე:

(1) თარიღიდან, რომლისთვისაც განმცხადებელი შეასრულებს IV (1) მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან

(1) თუ ცნობილი არ არის პიროვნება, ან იმ პიროვნების მისამართი, რომელსაც თარგმნის უფლება აქვს, თარიღიდან, რომლისთვისაც ლიცენზიაზე განმცხადებელი გაგზავნის, როგორც IV (2) მუხლშია გათვალისწინებული, ლიცენზიების გამცემი კომპეტენტური ორგანოსათვის გადაცემული თავისი განცხადების პირს.

(ბ) ამ მუხლით გათვალისწინებული ლიცენზია არ გაიცემა, თუ თარგმანი იმ ენაზე, რომლის მიმართაც გაკეთდა განცხადება, ქვეყნდება იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს თარგმნის უფლება ან თარგმანზე ნებართვის გაცემის უფლება, აღნიშნული ექვსი ან ცხრათვიანი პერიოდის მანძილზე.

(5) ნებისმიერი ლიცენზია, ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად, გაიცემა მხოლოდ სკოლებში, უნივერსიტეტებში გამოსაყენებლად ან გამოკვევის მიზნით.

(6) თუ ნაწარმოების თარგმანი გამოქვეყნდება იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს თარგმნის ან თარგმანზე ნებართვის გაცემის უფლება ჩვეულებრივ ანალოგიური ნაწარმოებებისთვის ქვეყანაში დადგენილ ფასებში, ნებისმიერი ლიცენზია, რომელიც ამ მუხლის თანახმად გაიცემა, წყვეტს თავის მოქმედებას, თუ ასეთი თარგმანი შესრულებულია იმავე ენაზე და ძირითადად იმავე შინაარსისაა, როგორც ლიცენზიით გამოცემული თარგმანი. ყველა ეგზემპლარი, გამოცემული მანამდე, სანამ ლიცენზია ძალას დაკარგავდა, შეიძლება განაგრძობდეს გავრცელებას მანამდე, სანამ მთლიანად გაიყიდება.

(7) ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ძირითადად შედგება ილუსტრაციებისაგან, თარგმნისა და ტექსტის გამოქვეყნების ლიცენზია და ნაწარმოების მეორადი გამოყენებისა და ილუსტრაციების გამოშვების ლიცენზია გაიცემა, თუ ასევე სრულდება III მუხლის პირობები.

(8) ლიცენზია არ შეიძლება გაიცეს ამ მუხლის შესაბამისად, თუ ავტორმა მიმოქცევიდან ამოიღო თავისი ნაწარმოების ყველა ეგზემპლარი.

(9) (ა) ლიცენზია ნაწარმოების თარგმანზე, რომელიც გამოქვეყნებულია ბეჭდვითი ან მეორადი გამოყენების ანალოგიური ფორმით, შეიძლება ასევე მიეცეს ნებისმიერ რადიომაუწყებლობით ორგანიზაციას, რომელსაც აქვს თავისი შტაბ-ბინა (1) პუნქტში აღნიშნულ ქვეყანაში, განცხადების წარდგენის შემდეგ ამ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოსათვის, თუ ამასთან სრულდება ყველა შემდეგი პირობა:

(1) თარგმანი შესრულებულია ეგზემპლარიდან, რომელიც დამზადებული და შექმნილია ამ ქვეყნის კანონების შესაბამისად;

(1) თარგმანი განკუთვნილია მხოლოდ რადიოგადაცემებში გამოქვეყნებისთვის სწავლების ან სპეციალური სამეცნიერო ან ტექნიკური გამოკე-

ლევების შედეგების გავრცელების მიზნით კონკრეტული პროფესიის სპეციალისტებს შორის;

(III) თარგმანი გამოიყენება მხოლოდ (II) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი მიზნებისათვის კანონიერად განხორციელებულ გადაცემებში, რომლებიც განკუთვნილია მსმენელებისათვის ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ გადაცემების ჩათვლით, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ამ გადაცემების მიზნებისათვის კანონიერად გაკეთებული ბგერითი ან ვიზუალური ჩანაწერების საშუალებებით;

(IV) თარგმანის ყოველგვარი გამოყენება არ ისახავს კომერციულ მიზნებს.

(b) ამ პუნქტის ძალით გამოცემული ლიცენზიის საფუძველზე რადიო-მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ შესრულებული თარგმანის ბგერითი ან ვიზუალური ჩანაწერები (ა) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი მიზნებისა და პირობების გათვალისწინებით და ამ ორგანიზაციის თანხმობით, შეიძლება აგრეთვე გამოიყენოს რადიომაუწყებლობის სხვა რომელიმე ორგანიზაციამ, რომელსაც ქვეყანაში აქვს თავისი შტაბ-ბინა და რომლის კომპეტენტურმა ორგანომაც გასცა ეს ლიცენზია.

(c) იმ პირობით, თუ (ა) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ყველა კრიტერიუმი და პირობა სრულდება, ლიცენზია შეიძლება აგრეთვე გასცეს რადიო-მაუწყებლობის ორგანიზაციამ აუდიო-ვიზუალური ჩანაწერის შემცველი ნებისმიერი ტექსტის თარგმანისთვის, რომელიც თავისთავად დამზადებული და გამოქვეყნებულია მხოლოდ და მხოლოდ სისტემატური სწავლების მიზნით გამოყენებისათვის.

(d). (a)-(c) ქვეპუნქტების გათვალისწინებით წინა პუნქტების დებულებები გამოიყენება ამ პუნქტის შესაბამისად გაცემული ლიცენზიის გაცემისა და რეალიზაციისას.

მუხლი III

(მეორად გამოიყენებაზე უფლების შეზღუდვა: 1. კომპეტენტური ორგანიებისათვის გაცემული ლიცენზია; 2-5. ასეთი ლიცენზიების გაცემის პირობები; 6. ლიცენზიის მოქმედების შეწყვეტა; 7. ნაწარმოებები, რომელთა მიმართ გამოიყენება ეს მუხლი)

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განაცხადა, რომ ისარგებლებს ამ ქვეყანაში გათვალისწინებული შეღავათებით, უფლება აქვს შეცვალოს მე-9 მუხლში გათვალისწინებული უფლება ნაწარმოების მეორად გამოყენებაზე, არაგანსაკუთრებული და არაგადასაცემი ლიცენზიების სისტემით, რომლებსაც გასცემს კომპეტენტური ორგანო IV მუხლის გათვალისწინებით და შემდეგი პირობებით:

(2) (ა) თუ ნაწარმოების მიმართ, რომელსაც მიეყენება ეს მუხლი (7) პუნქტის ძალით, გაივლის ვადა:

(1) შესაბამისი პერიოდისა, რომელიც განსაზღვრულია (3) პუნქტში, დაწყებული კონკრეტული გამოცემის პირველი გამოქვეყნების თარიღიდან, ან

(1) ნებისმიერი უფრო ხანგრძლივი პერიოდისა, რომელიც განსაზღვრულია (1) პუნქტში ნახსენები ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით, დაწყებული იმავე თარიღიდან.

თუ ასეთი გამოცემის ეგზემპლარები არ იყო გავრცელებული ამ ქვეყნის საზოგადოებაში ან სისტემურ სწავლებასთან დაკავშირებით არ გავრცელა პირმა, რომელიც ფლობს მეორადი გამოყენების უფლებას ან მისი ნებართვით არ გავრცელდა ამ ქვეყანაში ანალოგიური ნაწარმოებებისათვის დადგენილი ჩვეულებრივი ფასების შესაბამის ფასში, ამ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ლიცენზია ასეთი გამოცემის მეორად გამოყენებასა და გამოქვეყნებაზე ამავე ან უფრო ნაკლებ ფასად სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით გამოსაყენებლად.

(b) ლიცენზია გამოცემის მეორად გამოყენებასა და გამოშვებაზე, რომელიც გავრცელებული იყო ისე, როგორც (a) ქვეპუნქტშია აღწერილი. შეიძლება გაიცეს ამ მუხლში გათვალისწინებული პირობებით, თუ გამოსაყენებელი პერიოდის გავლის შემდეგ არც ერთი ნებადართული ეგზემპლარი მოცემულ ქვეყანაში არ იყო გაყიდვის საგანი საზოგადოებაში ან სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით ექსთენიანი პერიოდის განმავლობაში ფასებში, რომლებიც შეესაბამება ამ ქვეყანაში ჩვეულებრივ ანალოგიურ ნაწარმოებებზე დანესებულ ფასებს.

(3) მე-(2) (a) (1) პუნქტში აღნიშნული პერიოდი შეადგენს ხუთ წელიწადს, ოღონდ:

(1) საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერების დარგის, მათემატიკისა და ტექნიკის ჩათვლით, გამოცემებისათვის ეს პერიოდი შეადგენს სამ წელიწადს;

(1) მხატვრული, პოეტური, დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის, აგრეთვე ხელოვნების დარგის ნივთებისათვის ეს პერიოდი შეადგენს შვიდ წელიწადს.

(4) (ა) არავითარი ლიცენზია, რომელიც სამი წლის შემდეგაა ხელმისაწვდომი, არ გაიცემა ამ მუხლის შესაბამისად ექსთენიანი პერიოდის გასვლამდე.

(1) იმ თარიღიდან, რომლის დადგომისას განმცხადებელი შეასრულებს IV (1) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებებს, ან

(1) თუ უცნობია პიროვნება ან მისამართი იმისი, ვინც ფლობს მეორადი გამოყენების უფლებას, იმ თარიღიდან, როცა განმცხადებელი, როგორც ეს გათვალისწინებულია IV (2) მუხლში, გააგზავნის ასლებს თავისი განცხადებისა, წარდგენილს ორგანოსადმი, რომელიც კომპეტენტურია გასცეს ლიცენზიები.

(e) თუ ლიცენზიები ხელმისაწვდომია სხვა პერიოდების შემდეგ და IV (2) მუხლის გამოყენება შესაძლებელია, არავითარი ლიცენზია არ გაიცემა, სანამ არ გაივლის სამთვიანი პერიოდი იმ თარიღიდან, როცა განცხადების ასლები გაიგზავნა.

(c) თუ (a) და (b) ქვეპუნქტებში აღნიშნული ექვსთვიანი ან სამთვიანი პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა გავრცელებას, როგორც ეს აღწერილია (2) (a) პუნქტში, ამ მუხლის შესაბამისად არავითარი ლიცენზია არ გაიცემა.

(d) არავითარი ლიცენზია არ გაიცემა, თუ ავტორმა ამოიღო მიმოქცევიდან ყველა ეგზემპლარი გამოცემისა, რომლის მეორად გამოყენებასა და გამოქვეყნებაზე მოთხოვილი იყო ლიცენზია.

(5) ლიცენზია ნაწარმოების მეორად გამოყენებასა და მისი თარგმანის გამოქვეყნებაზე ამ მუხლთან შესაბამისად არ გაიცემა შემდეგ შემთხვევებში:

(I) როცა თარგმანი არ იყო გამოქვეყნებული პირის მიერ, რომელიც ფლობს თარგმანის უფლებას ან მისი ნებართვით, ან

(II) როცა თარგმანი გაკეთებულია არა იმ ენაზე, რომელიც საყოველთაოდ იხმარება ქვეყანაში, სადაც მოთხოვილი იყო ლიცენზია.

(6) როდესაც პირი, რომელიც ფლობს მეორადი გამოყენების უფლებას, ან ვინმე მისი ნებართვით ავრცელებს ასეთი გამოცემის ეგზემპლარებს (1) პუნქტში ნახსენებ ქვეყანაში, საზოგადოებაში ან სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით ფასებში, რომლებიც შეესაბამება ამ ქვეყანაში ანალოგიური ნაწარმოებებისათვის ჩვეულებრივად დადგენილ ფასებს, ნებისმიერი ლიცენზია, გაცემული ამ მუხლის შესაბამისად, ნყვეტს თავის მოქმედებას, თუ ასეთი გამოცემა გამოქვეყნებულია იმავე ენაზე და ძირითადად იმავე შინაარსისაა, როგორც ლიცენზიით გამოქვეყნებული გამოცემა. ყველა ეგზემპლარი, გამოცემული მანამდე, სანამ ლიცენზია ძალას დაკარგავდა, შეიძლება განაგრძობდეს გავრცელებას, სანამ მთლიანად არ გაიყიდება.

(7) (a) პუნქტ (b)-ს გათვალისწინებით ნაწარმოებთა წრე, რომლებზეც ვრცელდება ეს მუხლი, იფარგლება ბექდვითი ან ანალოგიური ფორმით გამოქვეყნებული ნაწარმოებებით.

(b) ეს მუხლი ვრცელდება აგრეთვე აუდიო-ვიზუალური ფორმით წარმოდგენილ მეორად ნაწარმოებებზე, კანონიერად განხორციელებულ აუდიო-ვიზუალურ ჩანაწერებზე, საავტორო უფლებით დაცულ ნებისმიერ ნაწარმოებებზე, რომლებსაც ეს ჩანაწერები შეიცავენ, აგრეთვე ვრცელდება ამ ჩანაწერებში ჩართული ნებისმიერი ტექსტის თარგმანზე იმ ენაზე, რომელიც საყოველთაოდ იხმარება იმ ქვეყანაში, სადაც ლიცენზია მოითხოვება, იმ პირობით, რომ ყველა ამ შემთხვევაში აღნიშნული აუდიო-

ვიზუალური ჩანაწერები მომზადებულია და გამოშვებულია სისტემატური სწავლებისათვის გამოყენების განსაკუთრებული მიზნით.

მუხლი IV

(დებულებები, რომლებიც საერთოა II და III მუხლების შესაბამისად გაცემული ლიცენზიებისათვის: 1. და 2. პროცედურა; 3. ნაწარმოების ავტორისა და სახელწოდების მითითება; 4. ეგზემპლარების ექსპორტი; 5. შეტყობინება; 6. კომპენსაცია)

(1) ლიცენზიები II ან III მუხლების შესაბამისად შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ პირობით, თუ პირი, რომელმაც განაცხადი გააკეთა ლიცენზიაზე, დაამტკიცებს ამ ქვეყანაში დადგენილი წესების თანახმად, რომ მან ნებართვისათვის მიმართა პიროვნებას, რომელიც ფლობს უფლებას მოამზადოს და გამოაქვეყნოს თარგმანი ან მეორადად გამოიყენოს და გამოუშვას რომელიმე ნაწარმოები და უარი მიიღო ან მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ვერ შეძლო დაედგინა პიროვნება, რომელიც ამ უფლებას ფლობს. ლიცენზიის მოთხოვნისას განმცხადებელი ინფორმაციას აწვდის (2) პუნქტში ნახსენებ ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრს.

(2) თუ შეუძლებელია იმ პირის დადგენა, ვინც ფლობს უფლებას, ლიცენზიის მოთხოვნი გზავნის შეკვეთილი ავიაფოსტით თავისი განცხადების ასლებს, რომელიც წარუდგინა ლიცენზიის გაცემაში კომპეტენტურ ორგანოს, გამომცემელს, რომლის გვარიც აღნიშნულია ნაწარმოებზე, აგრეთვე ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო ცენტრს, რომელიც შეიძლება აღნიშნული იყოს გენერალური დირექტორისადმი გაგზავნილ შესაბამის ნოტიფიკაციაში იმ ქვეყნის მთავრობის მიერ, რომელშიც, როგორც ნაწარმადევი, ძირითადად ეწევა თავის პროფესიულ საქმიანობას გამომცემელი.

(3) ავტორის გვარი აღნიშნება თარგმანის ან მეორადი გამოცემის ყველა ეგზემპლარზე, რომლებიც გამოქვეყნდა II ან III მუხლის შესაბამისად გაცემული ლიცენზიით, ნაწარმოების სახელწოდება იბეჭდება ყველა ასეთ ეგზემპლარზე. რაც შეეხება თარგმანს, ნაწარმოების ორიგინალური სახელწოდება იბეჭდება ყველა შემთხვევაში, ყველა აღნიშნულ ეგზემპლარზე.

(4) (a) არავითარი ლიცენზია, გაცემული II და III მუხლების შესაბამისად, არ ვრცელდება ნაწარმოების ეგზემპლარების ექსპორტზე და ძალაშია მხოლოდ თარგმანის ან შესაბამისად, მეორადი გამოცემის გამოქვეყნებისას იმ ქვეყნის ფარგლებში, სადაც არის ლიცენზიის მოთხოვნა.

(b) ქვეპუნქტ (a)-ს მიზნებისათვის ექსპორტის ცნება შეიცავს ეგზემპლარების გაგზავნას ნებისმიერი ტერიტორიიდან ქვეყანაში, რომელმაც ამ ტერიტორიის მიმართ გააკეთა განცხადება | (5) მუხლის თანახმად.

(c) როცა სამთავრობო ან სხვა ორგანიზაცია ქვეყნისა, რომელმაც II მუხლის შესაბამისად გასცა ლიცენზია თარგმანის მომზადებაზე ნებისმიერ ენაზე, ინგლისურის, ესპანურის ან ფრანგულის გარდა, მეორე ქვეყანაში გზავნის ასეთი ლიცენზიის გამოშვებული თარგმანის ეგზემპლარებს, ეგზემპლარების ასეთი გაგზავნა (ა) ქვეუქტის მიზნებისათვის არ ითვლება ექსპორტად, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

(I) ეგზემპლარების მიმღებნი არიან ლიცენზიის გამცემი ქვეყნის მოქალაქენი ან ის ორგანიზაციები, რომელნიც ამ მოქალაქეებს აერთიანებენ;

(II) ეგზემპლარების გამოყენება შეიძლება მარტო სკოლებში, უნივერსიტეტებში ან კვლევის მიზნით;

(III) ეგზემპლარების გაგზავნა ან მათი შემდგომი გავრცელება მიმღებთა შორის არ ემსახურება კომერციულ მიზნებს; და

(IV) ქვეყანა, რომელშიც იგზავნება ეგზემპლარები, დაეთანხმა ქვეყანას, რომლის კომპეტენტურმა ორგანომაც გასცა ლიცენზია, ნება დართოს მიღებაზე, გავრცელებაზე ან ორივე ერთად და ასეთი შეთანხმების შესახებ შეატყობინა გენერალურ დირექტორს ლიცენზიის გამცემი ქვეყნის მთავრობამ.

(5) ყველა ეგზემპლარს, გამოქვეყნებულს II ან III მუხლის ძალით, თან ახლავს შეტყობინება შესაბამის ენაზე იმის შესახებ, რომ ეგზემპლარები შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ იმ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება მოცემული ლიცენზია.

(6) (a) იღებენ აუცილებელ ზომებს ეროვნულ დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს:

(I) ის, რომ ლიცენზია ითვალისწინებდეს სამართლიანი კომპენსაციის გადახდას იმ პირისათვის, რომელიც ფლობს უფლებას თარგმანზე ან შესაბამის მეორად გამოყენებაზე, ჰონორარის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებსაც ჩვეულებრივ იყენებენ ლიცენზიების მიმართ თავისუფალი მოლაპარაკების დროს გარკვეულ პირებს შორის ორ შესაბამის ქვეყანაში; და

(II) კომპენსაციის გადახდა და გადაგზავნა. თუ მოქმედებენ განსაკუთრებული ეროვნული სავალურო წესები, კომპეტენტური ორგანოები ყველა ზომას ხმარობენ, რომ საერთაშორისო მექანიზმის დახმარებით უზრუნველყონ კომპენსაციის გადაყვანა საერთაშორისო კონვენტირებულ ვალუტაში ან მის ეკვივალენტში.

(b) ეროვნული კანონმდებლობა იღებს აუცილებელ ზომებს სწორი თარგმანის ან შესაბამისად, ამა თუ იმ გამოცემის ზუსტი განმეორებისათვის.

მუხლი V

(ალტერნატიული შესაძლებლობა თარგმანზე უფლების შესაზღუდავად: 1. ამისათვის გათვალისწინებული პროცედურა 1886 და 1896 წლების აქტებში; 2. შეუძლებლობა პროცედურის შეცვლისა II მუხლის თანახმად; 3. ვადა ალტერნატიული შესაძლებლობის არჩევისათვის)

(1) (ა) ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც აქვს უფლება განაცხადოს, რომ იგი ისარგებლებს II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, შეუძლია ამის ნაცვლად ამ აქტის რატიფიკაციისას ან მასთან შეერთების დროს:

(1) თუ იგი არის ქვეყანა, რომელსაც მიეყენება 30 (2) (a) მუხლი, გააკეთოს განცხადება თარგმანზე უფლების თაობაზე;

(1) თუ იგი არის ქვეყანა, რომელსაც 30 (2) (a) მუხლი არ მიეყენება, და უფრო მეტიც – არ არის ისეთი ქვეყანა, რომელიც კავშირში არ შედის, გააკეთოს განცხადება, როგორც ეს გათვალისწინებულია 30 (2) (b) მუხლში, პირველი ფრაზა.

(b) თუ ქვეყანა უკვე აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად, როგორც ეს გათვალისწინებულია I (1) მუხლით, განცხადება გაკეთებული ამ პუნქტის შესაბამისად ძალაშია I (3) მუხლის შესაბამისად დასაშვები ვადის გასვლის თარიღამდე.

(c) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ პუნქტის თანახმად, არ შეუძლია შემდგომში ისარგებლოს II მუხლში გათვალისწინებული შეღავათებით, მაშინაც კი, თუ იგი უკან გამოითხოვს აღნიშნულ განცხადებას.

(2) მე-(3) პუნქტის თანახმად ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ისარგებლა II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, არ შეუძლია შემდგომში გააკეთოს განცხადება (1) პუნქტის თანახმად.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად, როგორც ეს გათვალისწინებულია I (1) მუხლში, შეუძლია არა უგვიანეს ორი წლით ადრე I (3) მუხლის თანახმად დასაშვები პერიოდის გასვლამდე, გააკეთოს განცხადება იმ მიზნით, რომელიც გათვალისწინებულია 30 (2) (b) მუხლში, პირველი ფრაზა, მიუხედავად იმისა, რომ იგი აღარ არის ქვეყანა, რომელიც კავშირში არ შედის. ასეთი განცხადება ძალაში შედის იმ თარიღის დადგომისას, როცა მიიწურება I (3) მუხლის თანახმად დასაშვები ვადა.

მუხლი VI

(დამატებითი კარის ზოგიერთი დებულების გამოყენების შესაძლებლობა ან გამოყენების დაშვება იმ მომენტამდე, როცა იგი ხელშემკვრელი გახდება ქვეყნებისათვის: 1. განცხადება; 2. განცხადების დეპონირება და მისი ძალაში შესვლის თარიღი)

(1) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, დაწყებული

ამ აქტის მიღების თარიღიდან და ნებისმიერ დროს, მანამდე, სანამ იგი ხელშეკრული იქნება 1-21 მუხლებით და დამატებითი კარით:

(I) თუ იგი არის ქვეყანა, რომელსაც თუ ხელშეკრული იქნებოდა 1-21 მუხლებით და ამ დამატებითი კარით, ექნებოდა უფლება ესარგებლა I (1) მუხლში ნახსენები შეღავათებით, რომ იგი გამოიყენება II ან III მუხლის, ან ორივე ამ მუხლის დებულებებს იმ ნაწარმოებების მიმართ, ან, რომელიც ხელშეკრულია 1-21 მუხლებით და ამ დამატებითი კარით; ასეთ განცხადებას იმის ნაცვლად, რომ დაიმონმოს II მუხლი, შეუძლია დაიმონმოს V მუხლი.

(II) რომ მას დასაშვებად მიაჩნია ამ დამატებითი კარის გამოყენება იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანასაც იგი წარმოადგენს, ქვეყნების მიერ, რომლებმაც გააკეთეს განაცხადი ზემოთ ნახსენები I) ქვეპუნქტის ან შეტყობინების თანახმად I მუხლის შესაბამისად.

(2) ნებისმიერ განცხადებას, გაკეთებულს (1) პუნქტის შესაბამისად, უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა და დეკონირებული უნდა იყოს გენერალურ დირექტორთან. განცხადება ძალაში შედის მისი დეკონირების თარიღიდან.

შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ

წერი სახელმწიფოები,

გამოთქვამენ რა სურვილს, შეამცირონ საერთაშორისო ვაჭრობის დამაბრკოლებელი და ხელშემშლელი ფაქტორები და ითვალისწინებენ რა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ეფექტური და ადექვატური დაცვის ხელშეწყობის, აგრეთვე იმის უზრუნველყოფის საჭიროებას, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა განსახორციელებლად გამიზნულმა ღონისძიებებმა და პროცედურულმა ნორმებმა თავისთავად არ შეუშალოს ხელი კანონიერ ვაჭრობას;

აღიარებენ რა, რომ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ახალი წესებისა და დისციპლინების შექმნა, რომლებიც მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

ა) GATT 1994-ის და ინტელექტუალური საკუთრების თაობაზე დადებული შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების ძირითადი პრინციპების გატარება;

ბ) ვაჭრობასთან დაკავშირებულ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არსებობის, მოქმედების სფეროსა და გამოყენების თაობაზე ადექვატური სტანდარტებისა და პრინციპების შემუშავება;

გ) ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა განხორციელებისთვის ეფექტური და სათანადო საშუალებების უზრუნველყოფა ეროვნული საკანონმდებლო სისტემებს შორის არსებულ განსხვავებათა გათვალისწინებით;

დ) მთავრობათა შორის წარმოქმნილი დავების მრავალმხრივი აღკვეთისა და დარეგულირებისათვის ეფექტური და გადაუდებელი პროცედურული ნორმების შემუშავება; და

ე) გარდამავალ ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს მოლა-პარაკეტების შედეგებში სრული მონაწილეობის მიღებას;

აღიარებენ რა გაყალბებული საქონლით საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით პრინციპების, წესებისა და რეგლამენტების მრავალმხრივი სისტემის არსებობის საჭიროებას;

აღიარებენ რა, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებები წარმოადგენს პირად უფლებებს;

აღიარებენ რა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემების ფუნდამენტალურ სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებს, განვითარებისა და ტექნოლოგიური განვითარების მიზნების ჩათვლით;

აღიარებენ რა აგრეთვე ყველაზე ნაკლებად განვითარებული წერი

სახელმწიფოების სპეციფიკურ საჭიროებებს კანონებისა და რეგლამენტების ქვეყნის შიგნით განხორციელების მაქსიმალურად მოქნილი სისტემის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რათა მათ შეძლონ მტკიცე და სიცოცხლისუნარიანი ტექნოლოგიური ბაზის შექმნა;

ბაზს უსვამენ რა დაძაბულობების შენელების მნიშვნელობას, რაც უნდა განხორციელდეს უფრო მტკიცე ვალდებულებების აღების გზით მრავალმხრივი პროცედურების მეშვეობით ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების საკითხებთან მიმართებით წარმოქმნილი დავების დარეგულირების მიზნით.

გამოთქვამენ რა სურვილს, დაამყარონ ურთიერთდამხმარე ურთიერთობა მსო-სა და მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციას, (წინამდებარე შეთანხმებაში მოხსენიებული როგორც "ისმო") ისევე როგორც სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის; თანხმდებიან შემდეგზე:

ნ ა ნ ი ლ ი I

ზოგადი დებულებები და ძირითადი პრინციპები

მუხლი 1. ვალდებულებების ხასიათი და ფარგლები

1. ნეერი სახელმწიფოები აამოქმედებენ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ დებულებებს. ნეერ სახელმწიფოებს შეუძლიათ, თუმცა ვალდებულნი არ არიან, თავიანთ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ უფრო ფართო დაცვა, ვიდრე ეს განსაზღვრულია წინამდებარე შეთანხმებით, იმ პირობით, რომ ასეთი სახის დაცვა არ ეწინააღმდეგება წინამდებარე შეთანხმების დებულებებს. ნეერ სახელმწიფოებს ეძლევათ სრული თავისუფლება თავად განსაზღვრონ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განხორციელების სათანადო მეთოდი საკუთარი სამართლებრივი სისტემისა და პრაქტიკის ფარგლებში.

2. წინამდებარე შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი "ინტელექტუალური საკუთრება" მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების ყველა იმ კატეგორიას, რომლებიც განხილულია – ნაწილი II 1-7 თავებში.

3. ნეერი სახელმწიფოები სხვა ნეერი სახელმწიფოების მოქალაქეებს უმკვიდრებენ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ რეჟიმს.¹ რაც შეეხება ინტელექტუალური საკუთრების შესაბამის უფლებას, სხვა ნეერ სახელმწიფოთა მოქალაქეები ნიშნავს იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პარიზის კონვენციით (1967 წ.), ბერნის კონვენციით (1971 წ.), რომის კონვენციით და ინტეგრალურ სქემებთან მიმართებაში ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესახებ შეთან-

ხმებით გათვალისწინებული დაცვის უზრუნველყოფის კრიტერიუმებს, იმ შემთხვევაში, თუ "მსო"-ს შეთანხმების ყველა წევრი სახელმწიფო ამ კონვენციის წევრია.² თითოეული წევრი სახელმწიფო, რომელიც სარგებლობს რომის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით ან მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, აცნობებს ამის შესახებ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების საბჭოს ("TRIPS"-ის საბჭო), აღნიშნული დებულებების თანახმად.

მუხლი 2. ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული კონვენციები

1. წინამდებარე შეთანხმების II, III და IV ნაწილების თანახმად წევრი სახელმწიფოები იცავენ პარიზის კონვენციის (1967 წ.) მუხლების 1-12 და 9 დებულებათა მოთხოვნებს.

2. წინამდებარე შეთანხმების I-IV ნაწილებიდან არცერთი არ ითვალისწინებს გამოწვევას იმ ვალდებულებებიდან, რაც თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს ნაკისრი ერთმანეთის მიმართ პარიზის კონვენციის, ბერნის კონვენციის, რომის კონვენციისა და ინტელექტუალური მიკროსქემებთან მიმართებაში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 3. ეროვნული ხელშეწყობის რეჟიმი

1. თითოეული წევრი სახელმწიფო სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს სთავაზობს ხელშეწყობის ისეთ რეჟიმს, რომელიც არ იქნება იმაზე უფრო ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე რეჟიმი, რომელსაც ისინი სთავაზობენ თავიანთ მოქალაქეებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მხრივ³, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია შესაბამისად პარიზის კონვენციით (1967 წ.), ბერნის კონვენციით (1971 წ.), რომის კონვენციით ან კიდევ ინტელექტუალურ სქემებთან დაკავშირებულ ინტელექტუალური საკუთრების შესახებ შეთანხმებებით. რაც შეეხება შემსრულებლებს, ფონოგრამათა მწარმოებლებს და სამაუნუებლო ორგანიზაციებს, ეს ვალდებულება შეეხება მხოლოდ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებებს. ყოველი წევრი სახელმწიფო, რომელიც სარგებლობს ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლი 6 ან რომის კონვენციის მუხლი 16 1(ბ) პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, მოვალეა ამის შესახებ აცნობოს "TRIPS"-ის საბჭოს, აღნიშნული დებულებების თანახმად.

2. წევრებს შესაძლებლობა ეძლევათ ისარგებლონ პუნქტით 1 გათვალისწინებული გამონაკლისებით სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით, მათ შორის მისამართის მითითება შეტყობ-

ბინების გასაგზავნად ან რომელიმე წევრი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში აგენტის დანიშვნა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი სახის გამონაკლისები საჭიროა იმ კანონების და ინსტრუქციების დასაცავად, რომლებიც არ ეწინააღმდეგება წინამდებარე შეთანხმების დებულებებს და როდესაც ასეთი სახის პრაქტიკა არ გამოიყენება ისეთი სახით, რომ მან ფარულად შეზღუდოს ვაჭრობა.

მუხლი 4. უპირატესი ეროვნული ხელშეწყობის რეჟიმი

ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან მიმართებით, ნებისმიერი უპირატესობა, პრივილეგია და იმუნიტეტი, რომლებსაც რომელიმე წევრი სახელმწიფო ანიჭებს სხვა რომელიმე ქვეყნის მოქალაქეებს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა გავრცელდეს ყველა დანარჩენი წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებზე. ეს ვალდებულებები არ ვრცელდება წევრი სახელმწიფოს მიერ ნებადართულ ყველა იმ უპირატესობაზე, პრივილეგიაზე ან იმუნიტეტზე, რომელიც:

ა) გამომდინარეობს საერთაშორისო შეთანხმებებიდან საერთო ხასიათის სასამართლო დახმარების ან კანონის აღსრულების შესახებ და რომლებიც არ შემოიფარგლება კონკრეტულად ინტელექტუალური საკუთრების დაცვით;

ბ) მინიჭებულია ბერნის (1971 წ.) ან რომის კონვენციის დებულებებით, რომლებიც ითვალისწინებს, რომ ნებადართული რეჟიმი წარმოადგენდეს არა ეროვნული რეჟიმის მოქმედებას, არამედ სხვა ქვეყანაში ნებადართული რეჟიმისა;

გ) ეხება შემსრულებელთა, ფონოგრამათა მწარმოებლების და სამაუნყებლო ორგანიზაციების უფლებებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე შეთანხმებით;

დ) გამომდინარეობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რომლებიც ძალაში შევიდა "მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლამდე, იმ პირობით, რომ ასეთი სახის შეთანხმებების შესახებ ეცნობება "TRIPS"-ის საბჭოს და ისინი არ ითვალისწინებენ დანარჩენი წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების თვითნებურ ან გაუმართლებელ დისკრიმინაციას.

მუხლი 5. მრავალმხრივი შეთანხმებები დაცვის უფლების ვოკოვებაზე ან შენარჩუნებაზე

მუხლებით 3 და 4 გათვალისწინებული მოვალეობები არ შეეხება იმ პროცედურებს, რომლებიც გათვალისწინებულია "ისმო"-ს ეგიდით დადებულ მრავალმხრივ შეთანხმებებით და რომლებიც განეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მიღებასა და შენარჩუნებას.

მუხლი 6. უფლებათა ვადის გასვლა

წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული დავათა დარეგულირების მიზნით და მუხლების 3 და 4 თანახმად წინამდებარე შეთანხმების არცერთი პუნქტი არ უნდა იქნას გამოყენებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ვადის გასვლის საკითხის განსახილველად.

მუხლი 7. მიზნები

ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვა და აღსრულება გამიზნული უნდა იყოს ტექნოლოგიური სიახლეების შემუშავების, გაცემისა და გავრცელების ხელშესაწყობად, ტექნოლოგიური ცოდნის როგორც მწარმოებელთა, ისე მომხმარებელთა საერთო სარგებლობისთვის და ისეთი გზით, რომ ხელი შეუწყოს სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობას და დაამყაროს ნონანსნორობა უფლებებსა და მოვალეობებს შორის.

მუხლი 8. პრინციპები

1. ნევრ სახელმწიფოებს თავიანთი კანონებისა და რეგლამენტების ფორმულირების ან შესწორების დროს შეუძლიათ მიიღონ საჭირო ზომები ადამიანთა ჯანმრთელობის და კვების პირობების დასაცავად და ხელი შეუწყონ საზოგადოების დაინტერესებას მათი სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სფეროებით, იმ პირობით, რომ ასეთი სახის ზომები შესაბამისობაში იქნება წინამდებარე შეთანხმების დებულებებთან.

2. შესაბამისი ზომების მიღება შეიძლება საჭირო გახდეს უფლების მფლობელთა მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად ან ისეთი პრაქტიკის აღსაკვეთად, რომელიც გაუმართლებლად ზღუდავს ვაჭრობას ან ხელშემშლელ ზემოქმედებას ახდენს ტექნოლოგიის საერთაშორისო გადაცემაზე იმ პირობით, რომ ასეთი ზომები შესაბამისობაში იქნება წინამდებარე შეთანხმების დებულებებთან.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით სარგებლობის, ფარგლების და გამოყენების სტანდარტები

ნაკვეთი 1: საავტორო უფლება და მასთან დაკავშირებული უფლებები

მუხლი 9. დამოკიდებულება ბერნის კონვენციასთან

1. ნეერი სახელმწიფოები იცავენ ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლების 1-21 და ამ კონვენციის დანართის დებულებებს. მიუხედავად ამისა, წინამდებარე შეთანხმების თანახმად ნეერ ქვეყნებს არ ენიჭებათ უფლებები და არ ეკისრებათ მოვალეობები აღნიშნული კონვენციის ნების მუხლით მინიჭებულ უფლებებთან ან მათგან მომდინარე უფლებებთან დაკავშირებით.

2. საავტორო უფლების დაცვა ვრცელდება გამოსახვის ფორმებზე და არა იდეებზე, პროცედურებზე, ფუნქციონირების მეთოდებზე ან მათემატიკურ კონცეფციებზე, როგორც ასეთზე.

მუხლი 10. კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები

1. კომპიუტერული პროგრამები, იქნება ეს წყაროს თუ ობიექტის კოდით, დაცულია ბერნის კონვენციით (1971 წ.), როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები.

2. მონაცემთა ან სხვა მასალის ბაზები, იქნება ეს მანქანურად წაკითხვადი თუ სხვა ფორმით წარმოდგენილი, რომლებიც მათი შინაარსის შერჩევის ან წყობის მიზეზის გამო უტოლდება ინტელექტუალურ ქმნილებას, ასევე ექვემდებარება დაცვას როგორც ასეთი. ასეთი დაცვა, რომელიც არ ვრცელდება თვით მონაცემებზე ან მასალაზე, არ უნდა ეხებოდეს საავტორო უფლებას, რომელიც ვრცელდება მონაცემებზე ან თვითონ მასალაზე.

მუხლი 11. გაქირავების უფლებები

რაც შეეხება ისეთ ქმნილებებს, როგორებიცაა, სულ მცირე, კომპიუტერული პროგრამები და კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, ნებისმიერი ნეერი სახელმწიფო ავტორებს და მათ სამართალმემკვიდრებს აძლევს საზოგადოებისათვის თავიანთი საავტორო ნაშრომთა ორიგინალების ან ასლების კომერციული მიქირავების ნებართვის გაცემის ან აკრძალვის უფლებებს. ნებისმიერი ნეერი სახელმწიფო თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან, როცა საქმე ეხება კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებს

თუ ასეთი სახის გაქირავებამ ამ ნაწარმოებთა ფართოდ გავრცელებულ ასლგადაღებას არ შეუწყო ხელი, რაც არსებით ზიანს მიაყენებდა რეპროდუქციების განსაკუთრებულ უფლებას, რომელიც ამ წევრ სახელმწიფოში ავტორს ან მის მემკვიდრეს აქვს მინიჭებული. რაც შეეხება კომპიუტერულ პროგრამებს, ეს ვალდებულება არ ეხება ისეთი სახის გაქირავებას, როდესაც თვით პროგრამა არ წარმოადგენს გაქირავების ძირითად საგანს.

მუხლი 12. დაცვის ვადა

როდესაც ისეთი ნაწარმოების დაცვის ვადა, რომელიც არ მიეკუთვნება ფოტოგრაფიული ან გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებს, გამოითვლება არა ფიზიკური პირის სიცოცხლის ხანგრძლივობის საფუძველზე; იგი შეადგენს არანაკლებ 50 წელს ნებადართული გამოქვეყნების კალენდარული წლის დასასრულიდან, ან 50 წელს ნაწარმოების შექმნიდან, ხოლო ასეთი ნებადართული გამოქვეყნების არარსებობის შემთხვევაში – 50 წელს მისი შექმნის კალენდარული წლის დასასრულიდან.

მუხლი 13. შეზღუდვები და გამონაკლისები

წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გარკვეულ სპეციფიურ შემთხვევებში დაუწესონ შეზღუდვები ან გამონაკლისები განსაკუთრებულ უფლებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და დაუსაბუთებლად არ ბღალავდეს უფლების მფლობელის კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 14. შემსრულებელთა, ფონოგრამათა (ბგერის ჩანაწერთა) მწარმოებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციათა უფლებების დაცვა

1. რაც შეეხება ფონოგრამაზე ნაწარმოებთა ფიქსირებას, შემსრულებლებს ეძლევათ შემდეგი ქმედებების აღკვეთის შესაძლებლობა, თუ ისინი ხორციელდება მათი ნებართვის გარეშე: მათი დაუფიქსირებელი ნაწარმოებების ფიქსირება და ასეთი ფიქსირების აღწარმოება. შემსრულებლებს შესაძლებლობა ეძლევათ აღკვეთონ აგრეთვე შემდეგი სახის ქმედებები, რომლებიც ასევე მათი ნებართვის გარეშე ხორციელდება – მაუწყებლობა ეთერში და ცოცხალი შესრულების გაცნობა საზოგადოებისათვის.

2. ფონოგრამათა მწარმოებლებს უფლება აქვთ გასცენ ნებართვა მათი ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით აღწარმოებაზე.

3. სამაუწყებლო ორგანიზაციებს უფლება აქვთ აკრძალონ შემდეგი სახის ქმედებები, თუ ისინი მათი ნებართვის გარეშე ხორციელდება: ფიქსირება, აღწარმოება, რადიოგადაცემათა რეტრანსლირება ეთერის გამო-

ყენებით, ასევე საზოგადოებისათვის სატელევიზიო გადაცემათა მიწოდება. თუ წევრი სახელმწიფოები სამაუწყებლო ორგანიზაციებს არ ანიჭებენ ასეთ უფლებებს, ისინი მოვალენი არიან რადიოგადაცემათა საგანზე საავტორო უფლების მფლობელებს მისცენ ზემოაღნიშნული ქმედებების აღკვეთის შესაძლებლობა ბერნის კონვენციის (1971 წ.) დებულების თანახმად.

4. მუხლი 11 დებულებები, რომლებიც ეხება კომპიუტერულ პროგრამებს, *mutatis mutandis* გამოიყენება ფონოგრამათა მწარმოებლების და ფონოგრამებზე უფლებების მფლობელი ნებისმიერი პირის მიმართ, როგორც ეს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობითაა განსაზღვრული. თუ 1994 წლის 15 აპრილისათვის წევრ სახელმწიფოებში ძალაში იყო უფლების მფლობელთა სამართლიანი კომპენსაციის სისტემა ფონოგრამათა გაქირავებასთან დაკავშირებით, ასეთი სისტემა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას იმ პირობით, რომ ფონოგრამათა კომერციული გაქირავება არ გახდება უფლების მფლობელთა აღწარმოების განსაკუთრებული უფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების მიზეზი.

5. დაცვის ვადა, რომელსაც ითვალისწინებს წინამდებარე შეთანხმება შემსრულებელთა და ფონოგრამების მწარმოებელთა მიმართ, განისაზღვრება სულ მცირე დროის 50-წლიანი პერიოდით, რომელიც აითვლება დაფიქსირების განხორციელების ან შესრულების კალენდარული წლის დასასრულიდან. პუნქტი 3 თანახმად მინიჭებული დაცვის ვადა გრძელდება სულ მცირე 20 წლის მანძილზე იმ კალენდარული წლის დასასრულიდან მოყოლებული, რომელ წელსაც გავიდა რადიოგადაცემა ეთერში.

6. ნებისმიერ წევრი ქვეყანა უფლებამოსილია პუნქტებით 1, 2 და 3 მინიჭებულ უფლებებთან დაკავშირებით გაითვალისწინოს პირობები, შეზღუდვები, გამონაკლისები და შენიშვნები რომის კონვენციით განსაზღვრულ ფარგლებში. მიუხედავად ამისა, ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლი 18 დებულებები გამოიყენება აგრეთვე, *mutatis mutandis*, შემსრულებელთა და ფონოგრამათა მწარმოებლების უფლებათა მიმართ.

ნაკვეთი 2: სასაქონლო ნიშნები

მუხლი 15. დაცვის საგანი

1. ნებისმიერი ნიშანი, ან ნიშანთა ერთობლიობა, რომელსაც უნარი შესწევს ერთი საწარმოს საქონელი ან მომსახურება განასხვავოს სხვა საწარმოთა საქონლის ან მომსახურებისაგან, შეიძლება წარმოადგენდეს სასაქონლო ნიშანს. ასეთი სახის ნიშნებს, კერძოდ, სიტყვებს, მათ შორის საკუთარ სახელებს, ასოებს, ციფრებს, ფიგურულ ელემენტებს და ფერთა კომბინაციებს, აგრეთვე ასეთ ნიშანთა ნებისმიერ კომბინაციას ენი-

ჭება რეგისტრირების უფლება სასაქონლო ნიშნის სახით. როდესაც ნიშნებს არ შესწევთ შესაბამისი საქონლის ან მომსახურებათა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განსხვავების უნარი, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაუშვან მათი რეგისტრაცია, რაც დამოკიდებული იქნება მათი განსხვავების უნარზე უკვე გამოყენების პროცესში. წევრ სახელმწიფოებს რეგისტრაციის პირობის სახით შეუძლიათ მოითხოვონ, რომ აღნიშნული ნიშნები იყოს ვიზუალურად აღქმადი.

2. პუნქტი 1 არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ თითქოს ის გულისხმობდეს წევრი ქვეყნის მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე სხვა საფუძვლით უარის თქმის აკრძალვას იმ პირობით, რომ აღნიშნული საფუძვლები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პარიზის კონვენციის (1967 წ.) დებულებებს.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაუშვან ისეთი რეგისტრაცია, რომელიც დამოკიდებული იქნება გამოყენებაზე. მიუხედავად ამისა, სასაქონლო ნიშნის ფაქტობრივი გამოყენება არ ჩაითვლება იმის პირობად, რომ წარდგენილ იქნას განაცხადი რეგისტრაციაზე. დაუშვებელია განაცხადზე უარის თქმა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ განზრახულ გამოყენებას ადგილი არ ჰქონია განაცხადის წარდგენის თარიღიდან სამნობიანი ვადის გასვლამდე.

4. საქონლისა და მომსახურების ხასიათი, რომელსაც განეკუთვნება სასაქონლო ნიშანი, არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქცეს დაბრკოლებად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის.

5. წევრი სახელმწიფოები თითოეულ სასაქონლო ნიშანს აქვეყნებენ მათი რეგისტრაციის წინ ან რეგისტრაციისთანავე და უზრუნველყოფენ სათანადო შესაძლებლობას რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე განაცხადის გასაკეთებლად. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უზრუნველყონ აგრეთვე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გასაჩივრების შესაძლებლობაც.

მუხლი 16. მინიჭებული უფლებები

1. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება აუკრძალოს ყველა მესამე პირს მისი თანხმობის გარეშე ვაჭრობის პროცესში იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენება ისეთი საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელიც იდენტური ან მსგავსია საქონლისა ან მომსახურებისა, რომელთა მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი და როდესაც ასეთმა გამოყენებამ შეიძლება წარმოქმნას არევე-დარევის ალბათობა. არევე-დარევის ალბათობა მტკიცდება მაშინ, როდესაც იდენტური ნიშნის გამოყენება ხდება იდენტურ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით. ზემოთ აღწერილი უფლებები არ უნდა არღვევდეს უკვე არსებულ უფლებებს და არ უნდა

ენინაალმდეგებოდეს წევრი სახელმწიფოების მიერ უფლებების მინიჭების შესაძლებლობას მათი გამოყენების საფუძველზე.

2. პარიზის კონვენციის (1967 წ.) 6^ბ მუხლის დებულებები *mutatis mutandis* ეხება მომსახურებასაც. იმის დასადაგენად, არის თუ არა სასაქონლო ნიშანი საყოველთაოდ ცნობილი, წევრი სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ სასაქონლო ნიშნის შესახებ საზოგადოების შესაბამის წრეებში არსებულ ცოდნას, მათ შორის შესაბამის წევრ სახელმწიფოში მის შესახებ არსებულ ცოდნას, რაც სასაქონლო ნიშნის რეკლამირების შედეგად იქნა შეძენილი.

3. პარიზის კონვენციის (1967 წ.) 6^ბ მუხლი *mutatis mutandis* გამოიყენება იმ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელიც არ არის იმ საქონლის ან მომსახურების მსგავსი, რომელთა მიმართაც არის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, იმ პირობით, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენება აღნიშნულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით მიუთითებს ამ საქონელსა ან მომსახურებას და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს შორის კავშირზე და რომ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელის ინტერესები შეიძლება შეილახოს ასეთი გამოყენებით.

მუხლი 17. გამონაკლისები

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაანესონ შეზღუდული გამონაკლისები რომლებიც სასაქონლო ნიშნით მინიჭებული უფლებებიდან, როგორცაა აღწერილობითი ტერმინების კეთილსინდისიერი გამოყენება, იმ პირობით, რომ ასეთი სახის გამონაკლისებში გათვალისწინებული იქნება სასაქონლო ნიშნის მფლობელისა და მესამე პირების კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 18. დაცვის ვადა

სასაქონლო ნიშნის თავდაპირველი რეგისტრაცია და რეგისტრაციის ყოველი განახლება უნდა განხორციელდეს არანაკლებ შვიდი წლის ვადით. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განახლება შესაძლებელია დაუსრულებლად.

მუხლი 19. გამოყენების მოთხოვნა

1. თუ გამოყენება საჭიროა რეგისტრაციის ძალაში შესანარჩუნებლად, რეგისტრაციის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ გამოუყენებლობის სულ მცირე სამწლიანი უწყვეტი პერიოდის გასვლის შემდეგ, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი არ მიუთითებს დასაბუთებულ მიზეზზე, რომელიც ემყარება ასეთი გამოყენებისათვის დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობას. გამოუყენებლობის დასაბუთებულ მიზეზად ჩაითვლება ის

გარემოებები, რომლებიც სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნება და რომლებიც დაბრკოლებას უქმნის სასაქონლო ნიშნის გამოყენებას, როგორცაა იმპორტის შეზღუდვები ან სხვა მოთხოვნები სამთავრობო დონეზე სასაქონლო ნიშნით დაცული საქონლის ან მომსახურების მიმართ.

2. როდესაც სასაქონლო ნიშანი მისი მფლობელის კონტროლის ქვეშაა, ამ ნიშნის გამოყენება სხვა პირის მიერ ჩაითვლება როგორც სასაქონლო ნიშნის გამოყენება მისი რეგისტრაციის შენარჩუნების მიზნით.

მუხლი 20. სხვა მოთხოვნები

ვაჭრობის პროცესში სასაქონლო ნიშნის გამოყენება არ უნდა ექვემდებარებოდეს გაუმართლებელ შევიწროვებას სპეციალური მოთხოვნებით, როგორცაა სხვა სახის სასაქონლო ნიშანთან ერთად გამოყენების მოთხოვნა, სპეციალური ფორმით ან ისეთი სახით გამოყენების მოთხოვნა, რომელიც ზიანს მიაყენებს მის შესაძლებლობას, განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი ან მომსახურება სხვა საწარმოს საქონლის ან მომსახურებისაგან. ეს არ გამოორიცხავს საქონლის ან მომსახურების მწარმოებლის საიდენტიფიკაციო სასაქონლო ნიშნის ისეთ ნიშანთან ერთად გამოყენების, მაგრამ არა მასთან მიერთების მოთხოვნას, რომელიც განასხვავებს ამ საწარმოს მიერ წარმოებულ საქონელს ან მომსახურებას.

მუხლი 21. ლიცენზირება და უფლების გადაცემა

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განსაზღვრონ სასაქონლო ნიშნების ლიცენზირების და მათზე უფლების გადაცემის პირობები, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სასაქონლო ნიშნების სავალდებულო ლიცენზირება არ იქნება ნებადართული, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს ექნება სასაქონლო ნიშანზე უფლების გადაცემის უფლება იმ საწარმოს გადაცემასთან ერთად, ან გადაცემის გარეშე, რომელსაც ეს ნიშანი მიეკუთვნება.

ნაკვეთი 3: გეოგრაფიული აღნიშვნები

მუხლი 22. გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა

1. წინამდებარე შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე გეოგრაფიული აღნიშვნები წარმოადგენს ისეთ აღნიშვნებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ ესა თუ ის საქონელი წარმოებულია წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან ამ ტერიტორიის ცალკეულ რაიონში ან ადგილზე და რომ საქონლის განსაკუთრებული ხარისხი, მისი რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები არსებითად განპირობებულია მისი გეოგრაფიული წარმოშობით.

2. გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით, ნევრი სახელმწიფოებრივი დაინტერესებულ მხარეებს უზრუნველყოფენ სამართლებრივი საშუალებებით, რომლებიც კრძალავენ:

ა) საქონლის აღსანიშნავად ან წარმოსადგენად ნებისმიერი საშუალების გამოყენება, რაც მიუთითებს ან მიანიშნებს, რომ მოცემული საქონელი დამზადებულია მისი წამდვილი წარმოშობის ადგილისაგან განსხვავებულ ადგილზე, რაც შეცდომაში შეიყვანს საზოგადოებას ამ საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის თაობაზე;

ბ) ნებისმიერი სახის გამოყენებას, რაც პარიზის კონვენციის (1067 წ.) 10^ა მუხლის თანახმად წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ქმედებას.

1. ნევრი სახელმწიფო, ეს გათვალისწინებულია მისი კანონმდებლობით ან ამას მოითხოვს დაინტერესებული მხარე, *ex officio* ამბობს უარს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ან აუქმებს მას თუ ეს სასაქონლო ნიშანი შეიცავს ან შედგება გეოგრაფიული აღნიშვნებისაგან იმ საქონელთან დაკავშირებით, რომელიც არ არის წარმოებული აღნიშნულ ტერიტორიაზე, თუ აღნიშვნის გამოყენება ასეთი საქონლისათვის განკუთვნილ სასაქონლო ნიშანზე ამ ნევრ სახელმწიფოში ისეთ ხასიათს მიიღებს, რომ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება წარმოშობის ჭეშმარიტი ადგილის თაობაზე.

2. პუნქტებით 1, 2 და 3 განსაზღვრული დაცვა გამოიყენება იმ გეოგრაფიული აღნიშვნების მიმართ, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ისინი ლიტერატურულად სწორად აღნიშნავენ საქონლის წარმოშობის ტერიტორიას, რაიონს თუ ადგილს, მაინც მცდარ წარმოდგენას უქმნიან საზოგადოებას თითქოს ეს საქონელი სხვა ტერიტორიაზე იყოს წარმოებული.

მუხლი 23. დამატებითი დაცვა ღვინოებისა და ალკოჰოლური სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნებისთვის

1. თითოეული ნევრი სახელმწიფო დაინტერესებულ მხარეებს უზრუნველყოფს სამართლებრივი მექანიზმებით გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების აღსაკვეთად იმ ღვინოებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის წარმოებული მოცემული გეოგრაფიული აღნიშვნით მითითებულ ადგილზე ან იმ ალკოჰოლურ სასმელებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის წარმოებული მოცემული გეოგრაფიული აღნიშვნით მითითებულ ადგილზე მაშინაც კი, როდესაც მითითებულია საქონლის ჭეშმარიტი წარმოშობა ან გეოგრაფიული აღნიშვნა გამოყენებულია თარგმანის სახით ან თან ახლავს ისეთი გამოთქმები, როგორებიცაა "სახის", "ტიპის", "სტილის", "იმიტაცია" და ა.შ.⁴

2. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ღვინოებისთვის, რომელიც შეიცავს ან შედგება ღვინოების წარმოშობის მაჩვენებელი გეოგრაფიული

აღნიშვნისაგან; ან კიდევ ალკოჰოლური სასმელებისათვის, რომელიც შეიცავს ან შედგება ალკოჰოლური სასმელების წარმოშობის მაჩვენებელი გეოგრაფიული აღნიშვნისაგან, არ დაიშვება ან უქმდება *ex officio* თუ ამას ითვალისწინებს ნვერი სახელმწიფოს კანონმდებლობა, ან მოითხოვს დაინტერესებული მხარე იმ ღვინოების ან ალკოჰოლური სასმელების მიმართ, რომელთაც არ გააჩნიათ აღნიშნული წარმოშობა.

3. ღვინოებთან დაკავშირებით ომონიმური გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების შემთხვევაში, (მუხლი 22 პუნქტი 4 თანახმად) დაცვა გათვალისწინებულია თითოეული აღნიშვნისათვის. თითოეული ნვერი სახელმწიფო განსაზღვრავს პრაქტიკულ პირობებს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს აღნიშნული ომონიმური აღნიშვნების ერთმანეთისაგან გარჩევა, იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამის მწარმოებლებს ეძლევათ სამართლიანი მოპყრობის თანაბარი გარანტია და რომ მომხმარებელი არ იქნას შეყვანილი შეცდომაში.

4. ღვინოებთან დაკავშირებული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის გამარტივების მიზნით "TRIPS"-ის საბჭოში იმართება მოლაპარაკებები გეოგრაფიული აღნიშვნების შეტყობინებების და რეგისტრაციის მრავალმხრივი სისტემის დაფუძნების შესახებ იმ ღვინოებისათვის, რომლებისთვისაც ამ სისტემის მონაწილე სახელმწიფოებში გათვალისწინებულია დაცვის უფლება.

მუხლი 24. საერთაშორისო მოლაპარაკებები: გამონაკლისები

1. ნვერი სახელმწიფოები თანხმდებიან გამართონ მოლაპარაკებები, რომლებიც მიზნად ისახავს ცალკეული გეოგრაფიული აღნიშვნების მუხლით 23 გათვალისწინებული დაცვის გაძლიერებას. ქვემოთ მოყვანილი პუნქტები 4 და 8 არ გამოიყენება ნვერი სახელმწიფოს მიერ მოლაპარაკებების გამართვაზე უარის სათქმელად ან ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დასადებად. ამ მოლაპარაკებათა კონტექსტში ნვერი სახელმწიფოები გამოთქვამენ მზადყოფნას მუდმივად გამოიყენონ ეს დებულებები ცალკეულ გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენებაც წარმოადგენდა ამ მოლაპარაკებათა საგანს.

2. "TRIPS"-ის საბჭო მუდმივად განიხილავს წინამდებარე ნაკვეთის დებულებათა გამოყენებას; პირველი ასეთი განხილვა გაიმართება "მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში. ნებისმიერი გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის ამ დებულებებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებას, შეიძლება ეცნობოს საბჭოს, რომელიც ნვერი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე მიმართავს ნებისმიერ ნვერ სახელმწიფოს ან ნვერ სახელმწიფოებს ამ გარემოების თაობაზე, რომელთან დაკავშირებითაც შეუძლებელი აღმოჩნდა საკითხის დამაკმაყოფილებელი დარეგულირება შესაბამის ნვერ სახელმწიფოებს შორის

ორმხრივი ან მრავალმხრივი კონსულტაციების საფუძველზე. საბჭო ახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნას წინამდებარე ნაკვეთის განხორციელების და მისი მიზნების მიღწევის ხელშეწყობა ღონისძიებად.

3. წინამდებარე ნაკვეთის განხორციელებისას წვერი სახელმწიფო არ ამცირებს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის დონეს, რომელიც ამ წვერ სახელმწიფოში არსებობდა უშუალოდ "მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღის წინ.

4. წინამდებარე ნაკვეთის არც ერთი მუხლი წვერ სახელმწიფოს არ ავალდებულებს აღკვეთოს მისი მოქალაქეების ან მუდმივი მაცხოვრებლების მიერ მეორე წვერი სახელმწიფოს კონკრეტული გეოგრაფიული აღნიშვნის ხანგრძლივი და მსგავსი გამოყენება, რომელიც ახდენდა ღვინოების ან ალკოჰოლური სასმელების იდენტიფიკაციას საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, მოქალაქეების ან მუდმივი მაცხოვრებლებისა, რომლებიც ამ წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად იყენებდნენ მოცემულ გეოგრაფიულ აღნიშვნას იგივე ან მასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიმართ ა) 1994 წლის 15 აპრილამდე სულ მცირე 10 წლის განმავლობაში, ან ბ) კეთილსინდისიერ საფუძველზე ამ თარიღამდე.

5. თუ სასაქონლო ნიშანი გამოიყენებოდა ან დარეგისტრირებულ იქნა კეთილსინდისიერი მიზნებისთვის, ან უფლებები სასაქონლო ნიშანზე შექმნილ იქნა მისი კეთილსინდისიერად გამოყენებით:

ა) მოცემულ წვერ სახელმწიფოში წინამდებარე დებულებების გამოყენების თარიღამდე IV ნაწილის თანახმად; ან

ბ) გეოგრაფიულ აღნიშვნაზე დაცვის დანებსებამდე მისი წარმოშობის ქვეყანაში;

წინამდებარე ნაკვეთის განხორციელებისათვის საჭირო ზომების მიღება არ ხელყოფს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის უფლებას ან მის კანონიერებას, ან სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლებას იმის საფუძველზე, რომ ასეთი სასაქონლო ნიშანი იდენტურია ან მსგავსია გეოგრაფიული აღნიშვნისა.

6. წინამდებარე ნაკვეთის არცერთი მუხლი წვერ სახელმწიფოს არ ავალდებულებს გამოიყენოს მისი დებულებები სხვა წვერი ქვეყნის გეოგრაფიული აღნიშვნების მიმართ იმ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელთა შესაბამისი აღნიშვნა იდენტურია სალაპარაკო ენაში ხმარებული ტერმინისა, როგორც ამ წვერი ქვეყნის ტერიტორიაზე ასეთი სახის საქონლის ან მომსახურებისათვის მიღებული საერთო სახელწოდება. წინამდებარე ნაკვეთის არცერთი მუხლი წვერ სახელმწიფოს არ ავალდებულებს გამოიყენოს მისი დებულებები სხვა წვერი ქვეყნის გეოგრაფიული აღნიშვნების მიმართ მევენახეობის პროდუქტებთან

დაკავშირებით, რომელთა შესაბამისი აღნიშვნა იდენტურია სალაპარაკო ენაში ხმარებული ტერმინისა, როგორც ამ წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ყურძნის სახეობის ზოგადი სახელწოდებისა "მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის.

7. წევრმა სახელმწიფომ შეიძლება გაითვალისწინოს, რომ მოცემული ნაკვეთის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი მოთხოვნა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით წარდგენილ უნდა იქნას ხუთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც დაცული აღნიშვნის არაკანონიერი გამოყენება საყოველთაოდ ცნობილი გახდა ამ სახელმწიფოში ან კიდევ ამ სახელმწიფოში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღის შემდეგ, იმ პირობით, რომ ამ თარიღისათვის სასაქონლო ნიშანი უკვე გამოქვეყნებულია, თუ ეს თარიღი უფრო ადრინდელია, ვიდრე ის, როდესაც არაკანონიერი გამოყენება საყოველთაოდ გახდა ცნობილი ამ სახელმწიფოში, იმ პირობით, რომ გეოგრაფიული აღნიშვნა არ იქნა არაკეთილსინდისიერად გამოყენებული ან რეგისტრირებული.

8. წინამდებარე ნაკვეთის დებულებები არცერთ შემთხვევაში არ ლახავს ნებისმიერი პირის უფლებას ვაჭრობის პროცესში გამოიყენოს თავისი ან ბიზნესში თავისი წინამორბედის სახელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს სახელი იხმარება ისეთი სახით, რომ შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

9. წინამდებარე შეთანხმება არ ითვალისწინებს არანაირ ვალდებულებას, დაცულ იქნას ის გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც არ არის ან აღარ არის დაცული მათი წარმოშობის ქვეყანაში, ან კიდევ გამოსულია ხმარებიდან ამ ქვეყანაში.

ნაკვეთი 4: სამრეწველო ნიშნუშები

მუხლი 25. მოთხოვნები დაცვისათვის

1. წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ დამოუკიდებლად შექმნილი სამრეწველო ნიშნუშების დაცვას, რომლებიც ახალია ან ორიგინალური. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გაითვალისწინონ, რომ ნიშნუშები არ არის ახალი ან ორიგინალური, თუ ისინი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ცნობილი ნიშნუშებისაგან ან ცნობილ ნიშნუშთა ნიშნების კომბინაციისაგან. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გაითვალისწინონ, რომ ასეთი სახის დაცვა არ გავრცელდება იმ ნიშნუშზე, რომელთა შექმნაც ტექნიკური ან ფუნქციონალური მოსაზრებებით არის ნაკარნახევი.

2. თითოეული წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ საფეიქრო ნაწარმის ნიშნუშთა დაცვის მოთხოვნები, კერძოდ, ფასთან, ექსპერტიზასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებლად არ შეამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ მოთხოვნილ ან მიღებულ იქნას ასეთი

დაცვა. ნეერი სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ ამ მოვალეობის შესრულების პირობებს სამრეწველო ნიმუშების ან საავტორო უფლებების შესახებ კანონის მეშვეობით.

მუხლი 26. დაცვა

1. დაცული სამრეწველო ნიმუშის მფლობელი უფლებამოსილია მესამე პირებს აუკრძალოს მისი თანხმობის გარეშე იმ საგნების დამზადება, გაყიდვა ან იმპორტირება, რომლებზეც აღბეჭდილია ან რომლებიც შეიცავენ სამრეწველო ნიმუშს, რომელიც წარმოადგენს დაცული ნიმუშის ასლს ან არსებითად ასლს, თუ ასეთი ქმედება ხორციელდება კომერციული მიზნებით.

2. ნეერ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ შეზღუდული გამოჩენის სახის სამრეწველო ნიმუშების დაცვასთან დაკავშირებით, იმ პირობით, თუ ასეთი გამოჩენისები გაუმართლებელ წინააღმდეგობაში არ იქნება დაცული სამრეწველო ნიმუშების ნორმალურ ექსპლუატაციასთან და დაუსაბუთებლად არ ხელყოფს დაცული სამრეწველო ნიმუშის მფლობელის კანონიერ ინტერესებს, მესამე პირთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით.

3. დაცვის ხანგრძლივობა განისაზღვრება, სულ მცირე 10 წლით.

ნაკვეთი 5: პატენტები

მუხლი 27. დაპატენტების საგანი

1. პუნქტები 2 და 3 დებულებების თანახმად, პატენტი გაცემა ნებისმიერ გამოგონებაზე, ეს იქნება პროდუქტი თუ სანარმოო პროცესი, ტექნიკის ყველა დარგში, თუ ისინი ახალია, მათში ჩადებულია გამომგონებლური მარცვალი და შესაძლებელია მათი სამრეწველო გამოყენება.⁵ მუხლის 65 პუნქტი 4, მუხლის 70 პუნქტი 8 და წინამდებარე მუხლის პუნქტი 3 დებულებების თანახმად, პატენტის გაცემა და მასზე უფლებით სარგებლობა ხორციელდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, გამოგონების ადგილის, ტექნიკის დარგის ან იმ საფუძველზე, იმპორტირებულია ეს პროექტები, თუ ადგილობრივი წარმოებისაა.

2. ნეერ სახელმწიფოებს შეუძლიათ პატენტუნარიანად არ ჩათვალონ გამოგონებები, რომელთა კომერციული გამოყენების აკრძალვა მათ ტერიტორიაზე აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის ან მორალის დასაცავად, მათ შორის ადამიანის, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად, ან გარემოსათვის სერიოზული ზიანის მიყენების ასაცილებლად იმ პირობით, თუ ეს გამოჩენისი არ არის მხოლოდ იმიტომ დაშვებული, რომ ასეთი ექსპლუატაცია მათი კანონით არის აკრძალული.

3. ნევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ პატენტუნარიანად არ ჩათვალონ აგრეთვე შემდეგი ობიექტები:

ა) ადამიანების ან ცხოველთა სამკურნალო დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მეთოდები;

ბ) მცენარეები და ცხოველები, გარდა მიკროორგანიზმებისა, და მცენარეთა და ცხოველთა აღწარმოების არსებითად ბიოლოგიური პროცესები, გარდა არაბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური პროცესებისა. მიუხედავად ამისა, ნევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ მცენარეთა სახეობების დაცვას ან პატენტების მეშვეობით ან კიდევ ეფექტური *sui generis* სისტემის მეშვეობით, ან ნებისმიერი მათი კომბინაციის გამოყენებით. ამ ქვეპუნქტის დებულებები გადასინჯვას ექვემდებარება "მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ოთხი წლის შემდეგ.

მუხლი 28. მინიჭებული უფლებები

1. პატენტი მის მფლობელს ანიჭებს შემდეგ განსაკუთრებულ უფლებებს:

ა) როდესაც პატენტის საგანს წარმოადგენს პროდუქტი, აუკრძალოს მესამე პირებს მისი მფლობელის თანხმობის გარეშე დაამზადოს, გამოიყენოს, შესთავაზოს გასაყიდად, გაყიდოს ეს პროდუქტი, ან მოახდინოს მისი იმპორტირება^ა ამ მიზნით;

ბ) როდესაც პატენტის საგანს წარმოადგენს სამრეწველო პროცესი, აუკრძალოს მესამე პირებს მისი მფლობელის თანხმობის გარეშე გამოიყენოს, შესთავაზოს გასაყიდად ეს პროცესი ან უშუალოდ ამ პროცესის შედეგად მიღებული გაყიდოს პროდუქტი, ან მოახდინოს მისი იმპორტირება ამ მიზნით.

1. პატენტის მფლობელებს უფლება ეძლევათ აგრეთვე გაასხვისონ ან მემკვიდრეობით გადასცენ პატენტი და დადონ სალიცენზიო ხელშეკრულება.

მუხლი 29. პატენტზე განმცხადებლისათვის წაყენებული მოთხოვნები

1. ნევრი სახელმწიფოები პატენტზე განმცხადებლისაგან მოითხოვენ, რომ გამოგონება გამულავენებულ იქნას იმდენად ნათლად და სრულად, რომ დარგის სპეციალისტმა შეძლოს ამ გამოგონების განხორციელება, ნევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება აგრეთვე მოითხოვონ გამოგონების განხორციელების საუკეთესო ვარიანტის აღწერა, რომელიც განმცხადებლისათვის იქნება ცნობილი განაცხადის წარდგენის თარიღისათვის, ან პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში – განაცხადის პრიორიტეტული თარიღისათვის.

2. ნევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ პატენტზე განმცხადებლისაგან

მოითხოვონ ინფორმაციის მონოდება მის მიერ უცხოეთში შეტანილი განაცხადებისა და აღებული პატენტების შესახებ.

მუხლი 30. გამონაკლისები მინიჭებული უფლებებიდან

ნევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაანსონ შეზღუდული გამონაკლისები პატენტით მინიჭებულ უფლებებზე იმ პირობით, რომ ასეთი გამონაკლისები დაუსაბუთებლად არ დააბრკოლებს პატენტის ნორმალურ გამოყენებას და დაუსაბუთებლად არ შეზღუდავს პატენტის მფლობელის კანონიერ ინტერესებს, მესამე პირების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 31. სხვა სახის გამოყენება უფლების მქონე პირის ნებართვის გარეშე

თუ ნევრი სახელმწიფოს კანონი ითვალისწინებს პატენტის საგნის სხვა სახის გამოყენებას⁷ უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე, მათ შორის სახელმწიფოს მიერ, ან სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი მესამე პირების მიერ, დაცულ უნდა იქნას შემდეგი დებულებები:

ა) ასეთი გამოყენების ნებართვა ეფუძნება საგნის ინდივიდუალურ თვისებებს;

ბ) ასეთი გამოყენება ნებადართული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამოყენების წინ სავარაუდო მომხმარებელი ეცადა მიეღო ნებართვა უფლებების მქონე პირისაგან მისაღებ კომერციულ პირობებზე და ასეთი მცდელობა წარმატებით არ დასრულებულა დროის მისაღები პერიოდის მანძილზე. ნევრმა სახელმწიფომ შეიძლება უგულებელყოს ეს მოთხოვნა უკიდურესი ეროვნული აუცილებლობისას, ქვეყანაში სხვა ექსტრემალური გარემოებების წარმოშობის გამო, ან კიდევ სახელმწიფოს მიერ არაკომერციული დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში. უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, ან სხვა ექსტრემალურ სიტუაციებში უფლების მფლობელს მაინც ეცნობება ამის შესახებ შეძლებისდაგვარად სწრაფად. სახელმწიფოს მიერ არაკომერციული დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში, როდესაც მთავრობისათვის ან ხელშეკრულების ხელშემკვრელი პირისათვის საპატენტო მოკვლევის ჩატარების გარეშე ცნობილია, ან მას აქვს აშკარა საფუძველი იცოდეს იმის შესახებ, რომ ძალაში მყოფი პატენტი გამოიყენება, ან მომავალში იქნება გამოყენებულ სახელმწიფოს მიერ, ან სახელმწიფოს ინტერესებისათვის, უფლების მფლობელს დაუყოვნებლივ ეცნობება ამის შესახებ.

გ) ასეთი გამოგონების ფარგლები და მოქმედების ვადა შემოიფარგლება იმ მიზნებით, რომლისთვისაც ის იქნა ნებადართული, ხოლო ნახევარგამტარული ტექნოლოგიის შემთხვევაში ეს გამოყენება შეეხება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ არაკომერციული დანიშნულებით გამოყენებას, ან

კიდევ იმ პრაქტიკის გამოსწორებას, რომელიც სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცედურების საფუძველზე ანტიკონკურენციულად იქნა მიჩნეული;

დ) ასეთი გამოყენება არაექსკლუზიური ხასიათისაა;

ე) ასეთი გამოყენება არ ექვემდებარება გასხვისებას გარდა სანარმოის იმ ნაწილისა, ან მისი არამატერიალური აქტივებისა, რომლებიც ამ გამოყენებით სარგებლობს;

ვ) ნებისმიერი ასეთი გამოყენება ნებადართულ იქნება პირველ რიგში იმ წევრი სახელმწიფოს შიდა ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომელიც გაცემს ასეთი გამოყენების ნებართვას;

ზ) ასეთ გამოყენებაზე გაცემული ნებართვა ექვემდებარება გაუქმებას, ასეთი გამოყენების უფლების მიმღები პირების კანონიერი ინტერესების სათანადო დაცვიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში და როდესაც გარემოებები, რომელთაც ეს განაპირობებს უფლების გაცემა, აღარ არსებობს და მოსალოდნელი არ არის მათი ხელახალი წარმოქმნა. კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე გადასინჯოს ამ გარემოებების უწყვეტი არსებობა.

თ) უფლების მფლობელს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება თითოეული შემთხვევის გარემოებებიდან გამომდინარე ნებართვის გაცემის ეკონომიკური ღირებულების სათანადო გათვალისწინებით;

ი) ნებისმიერი გადაწყვეტილების იურიდიული ძალა, რომელიც შეეხება ასეთ გამოყენებაზე ნებართვის გაცემას, ექვემდებარება სასამართლოს მიერ ამ სხვა სახის დამოუკიდებელ გადასინჯვას ამ წევრი სახელმწიფოს გარკვეული ზემდგომი ორგანოს მიერ.

კ) ნებისმიერი გადაწყვეტილება ანაზღაურების შესახებ ასეთ გამოყენებასთან დაკავშირებით ექვემდებარება სასამართლოს მიერ ან სხვა სახის დამოუკიდებელ გადასინჯვას ამ წევრი სახელმწიფოს გარკვეული ზემდგომი ორგანოს მიერ;

ლ) წევრი სახელმწიფოები არ არიან ვალდებული გამოიყენონ ბ) და

ვ) პუნქტებში მითითებული პირობები, თუ ასეთი გამოყენება ნებადართულია იმ პრაქტიკის გამოსასწორებლად, რომელიც სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცედურების საფუძველზე მიჩნეულია როგორც ანტიკონკურენციული; ანტიკონკურენციული პრაქტიკის გამოსწორების საჭიროება შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული ასეთ შემთხვევებში ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას. კომპეტენტური ორგანოები უფლებამოსილნი არიან უარი თქვან გაცემული ნებართვის გაუქმებაზე იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ ასეთი გადაწყვეტილების განმაპირობებელი გარემოებები შეიძლება ხელახლა წარმოიშვას;

მ) თუ ასეთი გამოყენება ნებადართულია პატენტის ("მეორე პატენ-

ტის") გამოყენების დაშვების მიზნით, რომელიც თავის მხრივ არ შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა პატენტზე ("პირველი პატენტის") უფლების დარღვევის გარეშე, გამოიყენება შემდეგი დამატებით პირობები:

(i) გამოგონება, რომლის დაცვა მოითხოვება მეორე პატენტით, უნდა შეიცავდეს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე მნიშვნელოვან ტექნიკურ გადამწყვეტას იმ გამოგონებასთან შედარებით, რომლის დაცვაც მოითხოვება პირველი პატენტით;

(ii) პირველი პატენტის მფლობელს აქვს უფლება მიიღოს ჯვარედინალიცენზია მისაღები პირობებით იმისათვის, რათა გამოიყენოს გამოგონება, რომლის დაცვაც მოითხოვება მეორე პატენტით;

(iii) გამოყენება, რომელიც ნებადართულია პირველ პატენტთან დაკავშირებით, არ ექვემდებარება გასხვისებას, გარდა მეორე პატენტზე უფლების გადაცემისა.

მუხლი 32. პატენტის გაუქმება/პატენტზე უფლების ჩამორთმევა

ნებისმიერი გადანყვეტილება პატენტის გაუქმებასთან, ან პატენტზე უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით შეიძლება გადასინჯულ იქნას სასამართლო წესით.

მუხლი 33. დაცვის ვადა

მიღებული დაცვის ვადა არ ამოიწურება განაცხადის წარდგენის თარიღიდან 20-წლიანი პერიოდის გასვლამდე.⁸

მუხლი 34. პატენტები სამრეწველო პროცესზე: დამამტკიცებელი საბუთის მოყვანის ვალდებულება

1. მუხლი 28 პუნქტში 1(ბ) მითითებული უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით სამოქალაქო ვესამართალწარმოების მიზნით, თუ პატენტის საგანს პროდუქციის დამზადების ხერხი წარმოადგენს, სასამართლო ორგანოებს უფლება აქვთ მოპასუხისაგან მოითხოვონ იმის დამტკიცება, რომ იდენტური პროდუქციის დამზადების ხერხი განსხვავდება დაპატენტებული ხერხისაგან. აქედან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოები ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან ერთ-ერთ შემთხვევაში მაინც ითვალისწინებენ, რომ ნებისმიერი იდენტური პროდუქცია, რომელიც მზადდება პატენტის მფლობელის თანხმობის გარეშე, საწინააღმდეგოს დამამტკიცებელი საბუთის გარეშე ჩაითვლება დაპატენტებული ხერხით დამზადებულად, თუ:

ა) დაპატენტებული ხერხით დამზადებული პროდუქცია ახალია;

ბ) არსებობს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ იდენტური პროდუქტი დამზადებულ იქნა მოცემული ხერხის გამოყენებით, ხოლო პატენ-

ტის მფლობელმა სათანადო მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო განესაზღვრა, თუ რა ხერხი იქნა სინამდვილეში გამოყენებული.

1. ნებისმიერი ნვერი სახელმწიფო თავისი შეხედულებისამებრ ითვალისწინებს, რომ პუნქტი 1 მითითებული დამამტკიცებელი საბუთის წარმოდგენის ვალდებულება სავარაუდო დამრღვევს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულდება (ა) პუნქტში მითითებული პირობა, ან კიდევ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულდება (ბ) პუნქტში მითითებული პირობა.

2. საწინააღმდეგოს დამამტკიცებელი საბუთების მოყვანის დროს მხედველობაში იქნება მიღებული მოპასუხეთა სამრეწველო და კომერციულ საიდუმლოებების დაცვასთან დაკავშირებული კანონიერი ინტერესები.

ნაკვეთი 6: ინტეგრალური სქემების ტოპოლოგიები (ტოპოგრაფიები)

მუხლი 35. "ისიმ" შეთანხმებასთან კავშირი

ნვერი სახელმწიფოები თანხმდებიან, უზრუნველყონ ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიების (ტოპოგრაფიების) დაცვა (წინამდებარე შეთანხმებაში შემდგომში მოხსენიებული როგორც "ტოპოლოგიები") ინტეგრალურ მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ შეთანხმების მუხლების 2-7, 12 (გარდა მუხლის 6 პუნქტი 3), მუხლების 12 და მუხლის 16 პუნქტის 3 თანახმად და, გარდა ამისა, შეასრულონ ქვემოთ მოყვანილი დებულებები.

მუხლი 36. დაცვის ფარგლები

მუხლის 3 პუნქტის 1 დებულებების შესრულების შემთხვევაში ნვერი სახელმწიფოები არაკანონიერად მიიჩნევენ შემდეგი სახის ქმედებებს, თუ ისინი ხორციელდება უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე: დაცული ტოპოლოგიის, დაცული ტოპოლოგიის შემცველი ინტეგრალური მიკროსქემის ან ასეთი ინტეგრალური მიკროსქემის შემცველი საგნის იმპორტირებას, გაყიდვას ან სხვა სახის გავრცელებას კომერციული მიზნით, იმდენად, რამდენადაც ასეთ საგანში კვლავ შედის უკანონოდ აღწარმოებული ტოპოლოგია.

მუხლი 37. ქმედებები, რომლებიც არ საჭიროებენ უფლების მფლობელის ნებართვას

1. მუხლი 36 მიუხედავად არცერთი ნვერი სახელმწიფო არ მიიჩნევს არაკანონიერად ნებისმიერი იმ ქმედების განხორციელებას, რომელზეც საუბარია ამ მუხლში ისეთ ინტეგრალურ მიკროსქემებთან დაკავშირებით,

რომელიც შეიცავს უკანონოდ აღწარმოებულ ტოპოლოგიას ან ყველა იმ საგანთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს ასეთ ინტეგრალურ მიკროსქემას, იმ შემთხვევაში, თუ პირმა, რომელიც ახორციელებს ასეთ ქმედებებს ან გასცემს განკარგულებას ასეთი ქმედებების განსახორციელებლად, ინტეგრალური მიკროსქემის ან ასეთი ინტეგრალური მიკროსქემის შემცველი საგნის შექმნის დროს არ იცოდა და არც ჰქონია სარწმუნო საფუძველი სცოდნოდა იმის შესახებ, რომ მასში შედიოდა უკანონოდ აღწარმოებული ტოპოლოგია. წვერი სახელმწიფოები ითვალისწინებენ, რომ მას შემდეგ, რაც ეს პირი მიიღებს დასაბუთებულ შეტყობინებას ტოპოლოგიის არაკანონიერი აღწარმოების შესახებ, აღნიშნულ პირს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი ქმედება პროდუქციის არსებულ მარაგთან ან ამ დრომდე შეკვეთილ პროდუქციასთან დაკავშირებით, თუმცა მოვალეა უფლების მფლობელს გადაუხადოს თანხა, რომელიც ექვივალენტური იქნება ასეთ ტოპოლოგიაზე შეთანხმებული ლიცენზიის თანახმად გადასახდელი ჰონორარის.

2. მუხლი 31 (ა)-(ლ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობები, *mutatis mutandis* გამოიყენება ტოპოლოგიის ნებისმიერი არანებაყოფლობითი ლიცენზირების, ან მისი მთავრობის მიერ ან მთავრობის სასარგებლოდ გამოყენების შემთხვევაში უფლებების მფლობელის ნებართვის გარეშე.

მუხლი 38. დაცვის ვადა

1. წვერი სახელმწიფოებში, სადაც დაცვის უზრუნველყოფის პირობას წარმოადგენს რეგისტრაციის მოთხოვნა, ტოპოლოგიის დაცვის ვადა არ მთავრდება ათწლიანი პერიოდის გასვლამდე, რომელიც აითვლება რეგისტრაციაზე განაცხადის წარდგენის თარიღიდან ან მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე პირველი კომერციული გამოყენებიდან.

2. წვერი სახელმწიფოებში, სადაც დაცვის უზრუნველყოფის პირობას არ წარმოადგენს რეგისტრაციის მოთხოვნა, ტოპოლოგიის დაცვის ვადა შეადგენს არანაკლებ 10 წლისა მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე მისი პირველი კომერციული გამოყენების თარიღიდან.

3. ქვეპუნქტების 1 და 2 მიუხედავად, წვერი სახელმწიფოს შეუძლია გაითვალისწინოს, რომ დაცვის ვადა ამოიწუროს ტოპოლოგიის შექმნიდან 15 წლის შემდეგ.

ნაკვეთი 7: დახურული ინფორმაციის დაცვა

მუხლი 39

1. არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტური დაცვის უზრუნველყოფის პროცესში, პარიზის კონვენციის (1976 წ.) 10^ა მუხლის თანახმად, წვერი სახელმწიფოები დახურულ ინფორმაციას იცავენ მე-2 პუნ-

ქტის მიხედვით, ხოლო მონაცემებს, რომელიც გადაეცემა მთავრობებს ან სამთავრობო დაწესებულებებს პუნქტის 3 მიხედვით.

2. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალება ეძლევათ წინ აღუდგნენ მათ კონტროლის ქვეშ კანონიერად მყოფი ინფორმაციის სხვებისათვის გამჟღავნებას, სხვების მიერ მიღებას ან გამოყენებას მათი თანხმობის გარეშე ისეთი ხერხით, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლიანი კომერციულ პრაქტიკას¹⁰ იმდენად, რამდენადაც ეს ინფორმაცია:

ა) წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას იმ გაგებით, რომ ის მთლიანობაში ან მისი კომპონენტების გარკვეული კონფიგურაციით და კომპილაციით არ არის საყოველთაოდ ცნობილი ან ადვილად ხელმისაწვდომი იმ წრეების წარმომადგენლებისთვის, რომლებსაც ჩვეულებისამებრ ასეთ ინფორმაციასთან აქვთ საქმე;

ბ) თავისი საიდუმლო ხასიათის გამო გააჩნია კომერციული ღირებულება;

გ) გარკვეული ვითარებიდან გამომდინარე იმ პირმა რომელიც კანონიერად აკონტროლებდა ამ ინფორმაციას, სათანადო ზომები მიიღო, რათა საიდუმლოდ დაეცვა იგი.

1. წვერი სახელმწიფოები, რომლებიც ახალი ქიმიური ნივთიერებების შემცველი ფარმაცევტული ან აგროქიმიური პროდუქტების რეალიზაციის ნებართვის გაცემის პირობად მოითხოვენ დახურული ექსპერიმენტული ან სხვა მონაცემების წარმოდგენას, რომელთა მოპოვებაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან ძალისხმევასთან, ასეთ მონაცემებს იცავენ არაკეთილსინდისიერი კომერციული მიზნებით გამოყენებისაგან. გარდა ამისა, წვერი სახელმწიფოები ასეთ მონაცემებს იცავენ გამჟღავნებისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია მოსახლეობის ინტერესების დასაცავად, ან კიდევ იმ შემთხვევაში, როდესაც არ მიიღება რაიმე ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს მონაცემები დაცულ იქნას არაკეთილსინდისიერი კომერციული მიზნებით გამოყენებისაგან.

ნაკვეთი 8: ანტიკონკურენციულ პრაქტიკაზე კონტროლის განხორციელება სახელშეკრულებო ლიცენზირებისას

მუხლი 40

1. წვერი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზოგჯერ სალიცენზიო პრაქტიკამ ან ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულმა გარემოებებმა, რომლებიც ზღუდავს კონკურენციას, შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ვაჭრობაზე და ხელი შეუშალოს ტექნოლოგიის გადაცემას და გავრცელებას.

2. წინამდებარე შეთანხმების არც ერთი მუხლი წვერ სახელმწიფოებს

არ ზღუდავს თავიანთ კანონმდებლობაში გათვალისწინონ სალიცენზიო პრაქტიკის სახეები ან პირობები, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება გამოიწვიოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ბოროტად სარგებლობა და უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კონკურენციაზე შესაბამის ბაზარზე. როგორც ზემოთ იყო გათვალისწინებული, წინამდებარე შეთანხმების სხვა დებულებების თანახმად ნევრ სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები ასეთი პრაქტიკის აღსაკვეთად ან მასზე კონტროლის დასაწესებლად, რაც შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, განსაკუთრებულ პირობების გათვალისწინებას უკან გადაცემაზე, ან პირობებისა, რომლებიც აღკვეთენ ნამდვილობასა და შესაფუთი მასალის იძულებითი ლიცენზირების გასაჩივრებას, ამ ნევრი სახელმწიფოს შესაბამისი კანონებისა და წესების ჭრილში.

3. თითოეული ნევრი სახელმწიფო მოთხოვნის საფუძველზე მართავს კონსულტაციებს ნებისმიერ სხვა ნევრ სახელმწიფოსთან, რომელსაც გააჩნია საფუძველი მიიჩნიოს, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელი, რომელიც იმ ნევრი სახელმწიფოს მოქალაქეა, ან ცხოვრობს იმ ნევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელსაც მიმართეს მოთხოვნით კონსულტაციის გამართვის თაობაზე, ახორციელებს საქმიანობას იმ ნევრი სახელმწიფოს კანონებისა და წესების დარღვევით, რომელმაც მოითხოვა კონსულტაციების გამართვა მოცემულ ნაკვეთში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, და რომელსაც სურს, უზრუნველყოს ამ კანონმდებლობის დაცვა ისე, რომ არ დაირღვეს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება ან არ შეილახოს თითოეული ნევრის უფლება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ნევრი სახელმწიფო, ვისაც მიმართეს მოთხოვნით, სრული მზადყოფნით და კეთილგანწყობით განიხილავს და ახორციელებს იმ ნევრ სახელმწიფოსთან კონსულტაციების გამართვის შესაძლებლობას, რომელმაც იგი მოითხოვა და თანამშრომლობს მასთან განსახილველი საკითხის თაობაზე საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, ღია, არაკონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციის და ყველა სხვა სახის ინფორმაციის მინოდებით, რომელიც მას გააჩნია, ეროვნული კანონმდებლობის დაცვითა და ურთიერთმისაღები შეთანხმების დადების პირობით, რომ ის ნევრი სახელმწიფო, რომელმაც მოითხოვა კონსულტაციები, უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას.

4. ნევრ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეების ან მის ტერიტორიაზე მცხოვრები პირების მიმართ სხვა ნევრ სახელმწიფოში აღძრულია საქმე ამ უკანასკნელის კანონებისა და წესების დარღვევის ბრალდებით მოცემულ ნაკვეთში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს კონსულტაციები ამ სხვა

ნაწილი III

ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა აღსრულება

ნაკვეთი 1: ზოგადი მოვალეობები

მუხლი 41

1. ნვერი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მათი კანონმდებლო-
ბით გათვალისწინებულია წინამდებარე ნაწილით განსაზღვრული აღმას-
რულებელი პროცედურები, რომლებიც მიზნად ისახავს წინამდებარე
შეთანხმებით მოცული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა
დამრღვევი ნებისმიერი ქმედების წინააღმდეგ ეფექტურ ღონისძიების
განხორციელებას, მათ შორის დარღვევის აღსაკვეთად სასწრაფო ზომე-
ბის მიღებას და ზომებისა, რომლებიც არ დაუშვებენ შემდგომ დარ-
ღვევებს. ეს ღონისძიებები ისეთნაირად უნდა იქნას გატარებული, რომ
კანონიერ ვაჭრობას არ შეექმნას ბარიერები და უზრუნველყოფილ იქნას
მათი დაცვა ბოროტად გამოყენებისაგან.

2. ღონისძიებები, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების
უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას, უნდა იყოს სამართლიანი და თან-
აბარი. ისინი არ უნდა იყოს ზედმეტად რთული ან ძვირადღირებული და
არ უნდა გამოიწვიოს არაგონივრული ვადების დაწესება ან გაუმართლე-
ბელი შეფერხებები.

3. გადაწყვეტილებები საქმის არსის შესახებ მიიღება უპირატესად
წერილობითი სახით და სათანადო დასაბუთებით. ისინი გაუმართლებე-
ლი დაყოვნების გარეშე წარედგინება, სულ მცირე, პროცედურული განხ-
ილვის მონაწილე მხარეებს. გადაწყვეტილებები საქმის არსის თაობაზე
ეფუძნება მხოლოდ იმ დამამტკიცებელ საბუთებს, რომელთა დაკავშირე-
ბითაც მხარეებს მიეცათ თავიანთი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

4. პროცედურული განხილვის მონაწილე მხარეებს ეძლევათ შესაძლე-
ბლობა მოითხოვონ სასამართლო ორგანოს მიერ გამოტანილი საბოლოო
ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების და სასამართლო გადაწყ-
ვეტილების, სულ მცირე, იმ სამართლებრივი ასპექტების გადასინჯვა
რომლებიც საქმის არსს შეეხება, თანახმად ნვერი სახელმწიფოს კანონში
არსებული სამართლებრივი დებულებებისა საქმის მნიშვნელობის შეს-
ახებ. მიუხედავად ამისა, არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართ-

ლის საქმის თაობაზე გამოტანილი გამამართლებელი გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობის უზრუნველყოფის ვალდებულება.

5. იგულისხმება, რომ მოცემული ნაწილი არ ითვალისწინებს ვალდებულებას შეიქმნას სასამართლო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა აღსრულებას და რომელიც განსხვავებული იქნება საერთოდ კანონების აღსრულების უზრუნველყოფის სისტემისაგან, იგი არ ეხება აგრეთვე წევრი სახელმწიფოების კომპეტენციას აღასრულოს თავიანთი კანონმდებლობა მთლიანობაში. მოცემულ ნაწილში არაფერია ისეთი, რაც წარმოქმნიდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა და საერთოდ კანონის აღსრულებას შორის საშუალებათა განაწილების ვალდებულებას.

ნაკვეთი 2: სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალ-წარმოება და სასამართლო დაცვის საშუალებები

მუხლი 42. სამართლიანი და თანაბარი სამართალწარმოება

წევრი სახელმწიფოები უფლების მფლობელებს¹¹ უზრუნველყოფენ სამოქალაქო სამართალწარმოების მოთხოვნის შესაძლებლობით ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი უფლების აღსრულებასთან დაკავშირებით, რომელსაც მოიცავს წინამდებარე შეთანხმება. მოპასუხეებს უფლება ეძლევათ მიიღონ წერილობითი შეტყობინება, რომელიც მათ დროულად მიენოდება და რომელშიც მოცემული იქნება საკმარისად დეტალური ინფორმაცია, სარჩელის საფუძვლის ჩათვლით. მხარეებს ნება ეძლევათ წარმოდგენილ იქნან დამოუკიდებელი ვეჭილით, ხოლო პროცედურული ნორმები არ უნდა ითვალისწინებდეს პირადად გამოცხადების აუცილებლობის ზედმეტად დამამძიმებელ მოთხოვნებს. ასეთი განხილვების ყველა მხარეს ეძლევა ჯეროვანი უფლება დაასაბუთოს თავიანთი სარჩელი. და წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული ყველა დამამტკიცებელი საბუთი. პროცედურული ნორმები ითვალისწინებს კონფიდენციალური ინფორმაციის იდენტიფიცირების და დაცვის საშუალებებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება არსებულ კონსტიტუციურ მოთხოვნებს.

მუხლი 43. დამამტკიცებელი საბუთები

1. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე წარმოადგენს დასაბუთებულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისია მისი სარჩელის განსამტკიცებლად და მიუთითებს სხვა დამამტკიცებელი საბუთებზე, რომელიც საჭიროა მისი სარჩელის დასაბუთებისათვის და რომლებიც იმყოფება მონინაალმდევე მხარის განკარგულებაში, სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ მონინაალმდევე მხარისაგან მოითხოვონ აღნიშნული

დამტკიცებული საბუთების წარმოდგენა, შესაბამისი შემთხვევებისთვის გათვალისწინებული პირობების თანახმად, რაც უზრუნველყოფს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო განხილვის ერთ-ერთი მხარე შეგნებულად და სათანადო მიზეზის გარეშე უარს აუცილებელ ინფორმაციასთან დაშვებაზე, ან არ წარმოადგენს ამ ინფორმაციას დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, ან არსებითად აფერხებს აღსრულებისათვის საჭირო ზომების მიღებას, ნეერ სახელმწიფოს შეუძლია სასამართლო ორგანოებს მიანიჭოს უფლებამოსილება წინასწარი და საბოლოო გადანყვებილებათა მიღებისა, იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი, მათთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, იმ მხარის მიერ გაკეთებული საჩივრისა თუ განცხადების ჩათვლით, რომელზეც უარყოფითად იმოქმედა ინფორმაციის მინოდებაზე უარის თქმამ, თანახმად პირობისა, მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა, გამოთქვან თავიანთი შეხედულებები განცხადებების ან დამამტკიცებელი საბუთების შესახებ.

მუხლი 44. სასამართლო აკრძალებები

1. სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ უბრძანონ ნებისმიერ მხარეს თავი შეიკავონ სამართალდარღვევისაგან, კერძოდ, აღკვეთონ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ სავაჭრო ქსელში იმპორტირებული საქონლის შეტანა, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევას უკავშირდება, ასეთი საქონლის განბაჟების შემდეგ. ნეერი სახელმწიფოები მოვალენი არ არიან ასეთი უფლებამოსილება მიანიჭონ იმ დაცული საგნების მიმართ, რომლებიც შექნილ ან შეკვეთილ იქნა პირის მიერ, რომელმაც ჯერ არ იცოდა, ან არ ჰქონდა საკმარისი საფუძველი სცოდნოდა, რომ ასეთ საგანთან დაკავშირებული გარიგებები გამოინვევდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დარღვევებს.

2. მოცემული ნაწილის სხვა დებულებების მიუხედავად და იმის გათვალისწინებით, რომ დაცულია I ნაწილის დებულებები, რომლებიც შეეხება უფლებათა გამოყენებას მთავრობის ან მთავრობის მიერ უფლებამოსილი მესამე პირების მიერ უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე, ნეერ სახელმწიფოებს შეუძლიათ ასეთი გამოყენების წინააღმდეგ არსებული სასამართლო დაცვის საშუალებები შეზღუდონ კომპენსაციის გადახდით, მუხლი 31 ქვეპუნქტის (თ) თანახმად. სხვა შემთხვევებში გამოყენებულ იქნება მოცემული ნაწილით განსაზღვრული სასამართლო დაცვის საშუალებები, ან თუ აღნიშნული საშუალებები ეწინააღმდეგება ნეერი სახელმწიფოს კანონმდებლობას, შეიძლება გამოყენებულ იქნას დეკლარაციული სახის გადანყვებილებები და შესაბამისი კომპენსაცია.

მუხლი 45. ზარალის ანაზღაურება

1. სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ სამართალდამრღვევ პირს უბრძანონ კომპენსაცია გადაუხადოს უფლების მფლობელს, რათა მას სათანადოდ აუნაზღაუროს ის ზარალი, რომელიც უფლების მფლობელმა განიცადა სამართალდამრღვევი პირის მიერ მისი ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის შედეგად, რომელმაც იცოდა, ან საკმარისი საფუძველი ჰქონდა ცოდნოდა, რომ იგი სამართალსაწინააღმდეგო ეწეოდა საქმიანობას.

2. სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ აგრეთვე სამართალდამრღვევ პირს უბრძანონ უფლების მფლობელს აუნაზღაუროს მის მიერ განეული ხარჯები, რაც შეიძლება მოიცავდეს ვეჯილის ანაზღაურებას. შესაბამის შემთხვევებში წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ სასამართლო ორგანოებს მიანიჭონ უფლება მოითხოვონ მოგების დაბრუნება და/ან წინასწარ დადგენილი დანაკლისების გადახდა მაშინაც კი, როდესაც სამართალდამრღვევმა პირმა არ იცოდა, ან კიდევ არ ჰქონდა საკმარისი საფუძველი სცოდნოდა, რომ ეწეოდა სამართალსაწინააღმდეგო საქმიანობას.

მუხლი 46. სასამართლო დაცვის სხვა საშუალებები

უფლებათა დარღვევის აღმკვეთი ეფექტური საშუალებათა შექმნის მიზნით, სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ გასცენ ბრძანება, რათა ის საქონელი, რომელთა მიმართაც დადგენილი იქნა უფლებათა დარღვევა, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ამოღებულ იქნას სავაჭრო ქსელიდან ისე, რომ გამოირიცხოს უფლების მფლობელისათვის რაიმე ზიანის მიყენების შესაძლებლობა, ან აღნიშნული საქონელი განადგურებულ იქნას, თუ ეს ეწინააღმდეგება არსებულ კონსტიტუციურ მოთხოვნებს. სასამართლო ორგანოებს ეძლევათ უფლება აგრეთვე გასცენ ბრძანება, რათა ის მასალები და ხელსაწყოები, რომლებიც უმთავრესად გამოიყენებოდა უფლებათა დამრღვევი საქონლის შესაქმნელად, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე იქნას ამოღებულ სავაჭრო ქსელიდან ისეთი სახით, რომ შემდგომი დარღვევების რისკი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. ასეთი მოთხოვნების განხილვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას სამართალდარღვევის სერიოზულობის და დადგენილი სასამართლო დაცვის საშუალების ურთიერთთანაფარდობა და მესამე მხარეების ინტერესები. რაც შეეხება გაყალბებული სასაქონლო ნიშნის მქონე საქონელს, უკანონოდ გამოყენებული სასაქონლო ნიშნის უბრალოდ მოცილება არ წარმოადგენს საკმარის ზომას ამ საქონლის სავაჭრო ქსელში გასაშვებად, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

მუხლი 47. ინფორმაციის მიღების უფლება

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, თუ ეს არ ცილდება სამართალ-დარღვევის სერიოზულობის თანაფარდობის ნორმებს, სასამართლო ორგანოს მინიჭოს უფლება, რომ ამ უკანასკნელმა სამართალდამრღვევ პირს მოსთხოვოს უფლების მფლობელს მიანოდოს ინფორმაცია უკანონო საქონლის ან მომსახურების წარმოებაში და გავრცელებაში მონაწილე მესამე პირთა ვინაობის და განაწილების არხების შესახებ.

მუხლი 48. კომპენსაციის გადახდა მოპასუხისათვის

1. სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ მხარეს, რომლის მოთხოვნის საფუძველზე იქნა ზომები მიღებული და რომელმაც არაკეთილსინდისიერად გამოიყენა უფლებათა აღსრულების უზრუნველყოფის პროცედურები, მოსთხოვოს შესაბამისი კომპენსაციის გადახდა იმ მხარისათვის, რომელსაც არაკანონიერად დაეკისრა აკრძალვა ან შეზღუდვა, იმ ზიანისათვის, რომელიც ამ არაკეთილსინდისიერი გამოყენებით იქნა გამოწვეული. სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ აგრეთვე, განმცხადებელს მოსთხოვონ მოპასუხისათვის დანახარჯების ანაზღაურება, რაც შეიძლება მოიცავდეს ვექილის საზღაურსაც.

2. ნებისმიერი კანონის გამოყენებისას, რომელიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას ან აღსრულებას, წევრი სახელმწიფოები სახელმწიფო ორგანოებს და ოფიციალურ პირებს ათავისუფლებენ შესაბამისი სასამართლო დაცვის საშუალებების გამოყენების მოვალეობისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ კანონის გამოყენების პროცესში მათ მიერ კეთილსინდისიერად იქნა განხორციელებული ქმედებანი, ან იყო მცდელობა ასეთი ქმედების განხორციელებისა.

მუხლი 49. ადმინისტრაციული პროცედურები

იმდენად, რამდენადაც ყოველგვარი სამოქალაქო-სამართლებრივი დამცავი საშუალების გამოყენება შეიძლება ნაკარნახევი იყოს რაიმე საქმის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოებით, ასეთი პროცედურები უნდა შეესაბამებოდეს იმ პრინციპებს, რომლებიც არსებითად ტოლფასია მოცემულ განყოფილებაში განხილული პრინციპებისა.

ნაკვეთი 3: დროებითი ზომები

მუხლი 50

1. სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ მრითხოვონ გადაუდებელი და ეფექტური დროებითი ზომების მიღება, რომელთა მიზანია:

ა) აღმოფხვრას ნებისმიერი სახის ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის შესაძლებლობა, და, კერძოდ, არ დაუშვას მათი

იურისდიქციის ქვეშ მყოფ სავაჭრო ქსელში საქონლის შეტანა, მათ შორის იმპორტირებული საქონლისა, უშუალოდ განბაჟების შემდეგ;

ბ) შეინარჩუნოს შესაბამისი დამამტკიცებელი საბუთები სავარაუდო დარღვევების შესახებ.

1. სადაც შესაძლებელია, სასამართლო ორგანოებს ეძლევათ დროებითი ზომების მიღების უფლება *inaudita altera parte*, კერძოდ, იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ნებისმიერმა დაყოვნებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს უფლების მფლობელს ან, როდესაც არსებობს აშკარა რისკი იმისა, რომ მამტკიცებელი საბუთები შეიძლება განადგურებულ იქნას.

2. სასამართლო ორგანოებს ეძლევათ უფლება განმცხადებელს მოსთხოვონ ნებისმიერი საკმარისი დამამტკიცებელი საბუთი, რათა საკმარისად დამაჯერებლად დარწმუნდნენ იმაში, რომ განმცხადებელი წარმოადგენს უფლების მფლობელს და რომ მისი უფლება ირღვევა, ან კიდევ ეს დარღვევა გარდაუვალია, და მოსთხოვონ განმცხადებელს უზრუნველყოფის ან ექვივალენტური გარანტიის წარმოდგენა, რომელიც საკმარისი იქნება მოპასუხის დასაცავად და ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

3. თუ დროებითი ზომები მიღებულია *inaudita altera parte*, იმ მხარეებს, რომელთაც ისინი ეხება, ეცნობებათ ამის თაობაზე, მაქსიმუმ ამ ზომების მიღების შემდეგ. გადასინჯვა, მათ შორის სიტყვით გამოსვლის უფლება, ხორციელდება მოპასუხის თხოვნის საფუძველზე, რათა ზომების მიღების თაობაზე შეტყობინებიდან დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე მიღებულ იქნას გადანყვეტილება შეიცვალოს, გაუქმდეს თუ დამტკიცდეს აღნიშნული ზომები.

4. ორგანომ, რომელიც იღებს დროებით ზომებს, შეიძლება მოსთხოვოს განმცხადებელს სხვა სახის ინფორმაციის მიწოდება, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საქონლის იდენტიფიკაციისათვის.

5. პუნქტის 4 დარღვევის გარეშე, დროებითი ზომები, რომლებიც ხორციელდება პუნქტების 1 და 2 საფუძველზე, მოპასუხის თხოვნის საფუძველზე უქმდება ან სხვაგვარად ხდება მათი მოქმედების შეჩერება, თუ სასამართლო განხილვა, რომლის საფუძველზეც ხდება გადანყვეტილების გამოტანა საქმის არსის შესახებ, არ დაიწყება სათანადო დროის განმავლობაში, რომელსაც განსაზღვრავს სასამართლო ორგანო, რომელსაც გამოაქვს გადანყვეტილება ზომების მიღების შესახებ. თუ ეს გათვალისწინებულია ნევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, ან თუ არ არსებობს ასეთი განსაზღვრა, ეს დრო არ უნდა აღემატებოდეს 20 სამუშაო დღეს ან 31 კალენდარულ დღეს იმისდა მიხედვით, თუ რომელი პერიოდი იქნება უფრო ხანგრძლივი.

6. დროებითი ზომების მიღების გაუქმების ან შეწყვეტის შემთხვევა-

ში, რაც გამონეულია განმცხადებლის მიერ განხორციელებული რაიმე ქმედებით ან უმოქმედებით, ან თუ მოგვიანებით დადგენილ იქნა, რომ არ ჰქონია ადგილი ინტელექტუალური უფლების დარღვევას ან დარღვევის საშიშროებას, სასამართლო ორგანოებს უფლება ეძლევათ განმცხადებელს მოპასუხის თხოვნის საფუძველზე მოსთხოვონ მოპასუხისათვის შესაბამისი კომპენსაციის გადახდა იმ ზიანისთვის, რაც ამ ზომების მიღებით იქნა მიყენებული.

7. იმდენად, რამდენადაც ყოველგვარი დროებითი ზომების გამოყენება შეიძლება ნაკარნახევი იყოს რაიმე საქმის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოებით, ასეთი პროცედურები უნდა შეესაბამებოდეს იმ პრინციპებს, რომლებიც არსებითად ტოლფასია მოცემულ განყოფილებაში განხილული პრინციპებისა.

ნაკვეთი 4: სასაზღვრო ღონისძიებებთან დაკავშირებული სპეციალური სახის მოთხოვნები¹²

მუხლი 51. საბაჟო ხელისუფლების მიერ საქონლის ბრუნვაში გაშვების შეჩერება

ნევრი სახელმწიფოები ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებების თანახმად იღებენ ზომებს¹³, რათა უფლების მფლობელმა, რომელსაც გააჩნია საკმარისი საფუძველი ეჭვისათვის, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ყალბი სასაქონლო ნიშნის მქონე ან საავტორო უფლებების დარღვევით დამზადებული საქონლის¹⁴ იმპორტს, კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოებში შეიტანონ წერილობითი განცხადება საბაჟო ორგანოების მიერ ასეთი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შეჩერების შესახებ. ნევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ასეთი სახის განცხადების გაკეთების უფლება დაუშვან იმ საქონლის მიმართ, რომელიც შეიცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა სხვა სახის დარღვევებს, იმ პირობით, რომ დაცული იქნება მოცემული ნაკვეთით გათვალისწინებული დებულებები. ნევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ აგრეთვე გაითვალისწინონ შესაბამისი პროცედურული ზომები საბაჟო ორგანოების მიერ მათი ტერიტორიიდან საექსპორტოდ გამიზნული უფლების დამრღვევი საქონლის გაშვების შესაჩერებლად.

მუხლი 52. განცხადება

უფლების ნებისმიერ მფლობელს, რომელიც აღძრავს საქმეს 51-ე მუხლის თანახმად, მოეთხოვება უფლებამოსილი ორგანოების დასარწმუნებლად შესაბამისი დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა იმის შესახებ,

რომ იმპორტიორი სახელმწიფოს კანონების თანახმად ადგილი აქვს ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელის უფლებათა *prima facie* დარღვევას, აგრეთვე საქონლის საკმარისად დანვრილებითი აღწერის მინოდება საბაჟო ორგანოების მიერ მისი ადვილად ამოცნობის მიზნით. უფლებამოსილი ორგანოები განმცხადებელს სათანადო ვადაში აცნობებენ მათ მიერ განცხადების მიღების ან არმიღების შესახებ, ხოლო მათ მიერ გადანყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, აცნობებენ იმ ვადას, რომლის განმავლობაშიც საბაჟო ორგანოები მიიღებენ ზომებს.

მუხლი 53. უზრუნველყოფა ან მისი ტოლფასი გარანტია

1. უფლებამოსილ ორგანოებს ეძლევათ უფლება განმცხადებელს მოსთხოვონ უზრუნველყოფის ან ექვივალენტური გარანტიის წარმოდგენა, რომელიც საკმარისი იქნება მოპასუხის და უფლებამოსილი ორგანოების დასაცავად და ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ასეთი სახის უზრუნველყოფამ ან ექვივალენტურმა გარანტიამ დაუსაბუთებლად არ უნდა გამოიწვიოს ასეთი ზომების მიღებისაგან თავის შეკავება.

2. თუ მოცემული ნაკვეთის შესაბამისად წარდგენილი განაცხადის თანახმად საქონლის, მათ შორის სამრეწველო ნიმუშების, პატენტების, ინტელექტუალური მიკროსქემების ტოპოლოგიების ან დახურული ინფორმაციის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება შერჩერებულ იქნა საბაჟო ორგანოების მიერ იმ გადანყვეტილების საფუძველზე, რომელიც გამოტანილია არა სასამართლო ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, და თუ 55-ე მუხლით გათვალისწინებული პერიოდი ამოიწურა სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიმოქცევაში პირობითი გაშვების ნებართვის გაცემის გარეშე, და თუ შესრულებულია იმპორტთან დაკავშირებული ყველა სხვა პირობა, ასეთი საქონლის მესაკუთრე, იმპორტიორი ან მიმღები, უფლებამოსილია მათ გაშვებაზე მიმოქცევაში უზრუნველყოფის წარმოდგენისთანავე, რომლის ოდენობაც საკმარისი იქნება უფლების მფლობელის დასაცავად ნებისმიერი დარღვევისაგან. ასეთი უზრუნველყოფის შეტანამ ზიანი არ უნდა მიაყენოს სასამართლო დაცვის ნებისმიერ სხვა საშუალებას, რომელიც შეიძლება გამოიყენოს უფლების მფლობელმა. ამასთანავე იგულისხმება, რომ უზრუნველყოფა დაბრუნებულ იქნება, თუ უფლების მფლობელი დროის სათანადო პერიოდის განმავლობაში არ გამოიყენებს თავის უფლებას სარჩელის აღძვრის თაობაზე.

მუხლი 54. შეტყობინება შერჩერების შესახებ

იმპორტიორს და განმცხადებელს დაუყოვნებლივ ეცნობება საქონლის მიმოქცევაში გაშვების შერჩერების შესახებ მუხლი 51 თანახმად.

მუხლი 55. შეჩერების ხანგრძლივობა

თუ განმცხადებლისთვის შეჩერების შესახებ შეტყობინების გადაცემიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის მანძილზე საბაჟო ორგანოებს არ ეცნობებათ, რომ რომელიმე მხარის, მაგრამ არა მოპასუხის მიერ დანყებულ იქნა სასამართლო განხილვა, რომლის შედეგად გამოტანილი იქნება გადაწყვეტილება საქმის არსის თაობაზე, ან თუ სათანადო უფლებამოსილების მქონე ორგანოებმა მიიღეს დროებითი ზომები საქონლის მიმოქცევაში გაშვების შეჩერების გასახანგრძლივებლად, საქონელზე ყადაღა მოიხსნება იმ პირობით, რომ დაცული იქნება იმპორტირებასთან დაკავშირებული ყველა პირობა: განსაკუთრებულ შემთხვევებში აღნიშნული ვადა შეიძლება გახანგრძლივებულ იქნას დამატებითი 10 სამუშაო დღით. თუ სასამართლო განხილვა, რომლის შედეგად გამოტანილი იქნება გადაწყვეტილება საქმის არსის თაობაზე, დანყებულ იქნა, მაშინ გადასინჯვა, მათ შორის მოსმენის უფლება განხორციელდება მოპასუხის მოთხოვნით, რათა დროის სათანადო პერიოდში გადაწყვეტილ იქნას, მიზანშეწონილია თუ არა ამ ზომების შეცვლა, გაუქმება თუ დამტკიცება. ზემორეტქმულის მიუხედავად, იმ შემთხვევებში, თუ საქონელზე ყადაღის მოხსნის შეჩერება ხდება ან გრძელდება დროებით სასამართლო ზომის მიღების შესაბამისად, გამოიყენება 50-ე მუხლის მე-6 პუნქტის დებულებები.

მუხლი 56. იმპორტიორისთვის და საქონლის მესაკუთრისათვის ზარალის ანაზღაურება

შესაბამის ორგანოებს უფლება ეძლევათ განმცხადებელს მოსთხოვონ იმპორტიორისთვის, ტვირთის მიმღები პირისათვის და საქონლის მესაკუთრისათვის სათანადო კომპენსაციის გადახდა იმ ზარალისათვის, რაც მათ განიცადეს საქონლის არაკანონიერი დაკავების შედეგად, ან იმ საქონლის დაკავების შედეგად, რომელიც მუხლის 55 თანახმად არის ბრუნვაში გაშვებული.

მუხლი 57. ინფორმაციის შემონახვის უფლება

კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის პირობების დაურღვევლად, ნეერი სახელმწიფოები უფლებამოსილ ორგანოებს ანიჭებენ უფლებას, რომ უფლების მფლობელს მიეცეს სათანადო შესაძლებლობა შეამოწმოს საბაჟო ორგანოების მიერ დაკავებული ყველა საქონელი, რათა მას მიეცეს თავისი სარჩელის დასაბუთების საშუალება. უფლებამოსილ ორგანოებს ენიჭებათ აგრეთვე უფლება იმპორტიორებს მისცენ ნებისმიერი ასეთი სახის საქონლის შემონახვის თანაბარი შესაძლებლობა. თუ გამოტანილ იქნა დადებითი გადაწყვეტილება საქმის არსის თაობაზე, ნევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უფლებამოსილ ორგანოებს მინიჭონ უფლება, უფლების მფლობელს აცნობონ ტვირთის გამგზავნის, იმპორტიო-

რის და ტვირთის მიმღების ვინაობა და მისამართები, აგრეთვე ინფორმაცია მოცემული საქონლის რაოდენობის შესახებ.

მუხლი 58. Ex Officio ქმედება

თუ ნევრი სახელმწიფოები უფლებამოსილი ორგანოებისაგან მოითხოვენ საკუთარი ინიციატივით მოქმედებას და იმ საქონლის მიმოქცევაში გაშვების შეჩერებას, რომლის მიმართაც მათ გააჩნიათ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა *prima facie* დამამტკიცებელი საბუთები, მაშინ:

ა) უფლებამოსილ ორგანოებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ უფლების მფლობელს ინფორმაციისათვის, რაც მათ შეიძლება ამ უფლებამოსილებათა განხორციელებაში დაეხმაროს;

ბ) იმპორტიორს და უფლების მფლობელს დაუყოვნებლივ ეცნობება საქონლის მიმოქცევაში გაშვების შეჩერების შესახებ. თუ იმპორტიორმა საჩივარი შეიტანა უფლებამოსილი ორგანოების წინაშე საქონლის მიმოქცევაში გაშვების შეჩერების წინააღმდეგ, ეს შეჩერება უნდა განიხილებოდეს *mutatis mutandis* მუხლში 55 მოყვანილი პირობების მიხედვით.

გ) ნევრი სახელმწიფოები სახელმწიფო ორგანოებს და მის ოფიციალურ პირებს ათავისუფლებენ შესაბამისი სასამართლო ზომების მიღების მოვალეობისაგან, თუ ქმედებები კეთილსინდისიერად ხორციელდება, ან არსებობს განზრახვა მათ კეთილსინდისიერად განხორციელებისა.

მუხლი 59. სასამართლო დაცვის საშუალებები

უფლების მფლობელისათვის ხელმისაწვდომი დანარჩენი უფლებების დაცვით მიიღოს სათანადო ზომები, აგრეთვე თანახმად მოპასუხის უფლებისა, მოითხოვოს სასამართლო ორგანოების მიერ გადასინჯვა, უფლებამოსილ ორგანოებს ენიჭებათ უფლება მოითხოვონ სამართალდამრღვევი საქონლის განადგურება ან განკარგვა მუხლში 46 მოყვანილი პრინციპების მიხედვით ყალბი სასაქონლო ნიშნის მქონე საქონელთან დაკავშირებით აღნიშნული ორგანოები არ გასცემენ ასეთი საქონლის უცვლელ მდგომარეობაში ექსპორტის, ან მათ მიმართ სხვა სახის საბაჟო პროცედურების გამოყენებას ნებართვას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

მუხლი 60. უმნიშვნელო რაოდენობის საქონლის იმპორტი

ნევრ სახელმწიფოებს ზემოაღნიშნულ დებულებები შეუძლიათ არ გამოიყენონ მცირე რაოდენობის არაკომერციული ხასიათის საქონლის მიმართ, რომელიც მგზავრთა მოთავსებულია პირად ბარგში, ან კიდევ იგზავნება მცირე პარტიებად.

ნაკვეთი 5: სისხლის სამართლის პროცედურები

მუხლი 61

წერი სახელმწიფოები ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პროცედურებსა და დამსჯელ ქმედებებს, რომლებიც გამოიყენება სულ მცირე ისეთ შემთხვევებში, როგორცაა სასაქონლო ნიშნის განზრახ გაყალბება ან საავტორო უფლებების დარღვევა კომერციული მასშტაბებით. დანაშაულის აღკვეთის ღონისძიებები მოიცავს დაპატიმრებას და/ან ფულად ჯარიმებს, რომლებიც საკმარისი იქნება დანაშაულის შესაკავებლად და შეესაბამება მსგავსი სიმძიმის დანაშაულისათვის განსაზღვრულ აღმკვეთ ზომებს. შესაბამის შემთხვევებში დანაშაულის აღკვეთის ღონისძიებები მოიცავს აგრეთვე სამართალდამრღვევ საქონელზე და ყველა იმ მასალაზე და დანადგარებზე ყადაღის დადებას, კონფისკაციას და განადგურებას, რომლებიც უპირატესად გამოიყენებოდა სამართალდარღვევების ჩადენის დროს. წერი სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ სისხლის სამართლებრივი პროცედურები და სადამსჯელო ღონისძიებები ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დარღვევის სხვა შემთხვევებისათვის, კერძოდ, თუ ისინი ჩადენილია წინასწარი განზრახვით და კომერციული მასშტაბებით.

ნაწილი IV

ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მოპოვება და ძალაში შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული *INTER PARTES* პროცედურები

მუხლი 62

1. II ნაწილის მე-2-მე-6 ნაკვეთებით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მოპოვებისა და ძალაში შენარჩუნების პირობის სახით, წერი სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ სათანადო პროცედურებისა და ფორმალობების დაცვა. ასეთი პროცედურები და ფორმალობები უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე შეთანხმების დებულებებს.

2. თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლება მოპოვება ხდება უფლების მინიჭების ან რეგისტრაციის გზით, წერი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მინიჭების და რეგისტრაციის პროცედურები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს ასეთი უფლებების მოსაპოვებლად წაყენებულ ძირითად პირობებს, იძლეოდეს მინიჭებისა და რეგისტრაციის საშუალებას

დროის სათანადო პერიოდის განმავლობაში, რათა თავიდან იქნას აცილებული დაცვის ვადის გაუმართლებელი შეკვეცა.

3. პარიზის კონვენციის (1967) მუხლი 4 *mutatis mutandis* გამოიყენება მომსახურების ნიშნებისათვის.

4. თუ ნევრი სახელმწიფოს კანონი ითვალისწინებს ისეთ პროცედურებს, როგორცაა ადმინისტრაციული გაუქმება, და *inter partes* პროცედურებს, როგორცაა შენიშვნა, აღმდგენი, გაუქმება და ანულირება, მაშინ ეს პროცედურები ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მოპოვებისა და ძალაში შენარჩუნების პროცედურებთან ერთად რეგულირდება მუხლის 41 პუნქტებით მე-2 და მე-3 გათვალისწინებული ზოგადი პრინციპებით.

5. მე-4 პუნქტში მითითებული ნებისმიერი პროცედურის განხორციელებისას საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები ექვემდებარება გადასინჯვას სასამართლო ან კვაზისასამართლო ორგანოს მიერ. მიუხედავად ამისა, არ არსებობს არანაირი ვალდებულება გადაწყვეტილებათა ასეთი გადასინჯვისათვის შესაძლებლობის გათვალისწინებისა ნარუმატბელი შენიშვნების ან ადმინისტრაციული გაუქმების შემთხვევაში, იმ პირობით, რომ ასეთი პროცედურების საფუძვლები შეიძლება გასაუქმებელი პროცედურების საგანი გახდეს.

ნ ა ნ ი ლ ი V

დავთა თავიდან აცილება და დარეგულირება

მუხლი 63. გამჭვირვალობა

1. წინამდებარე შეთანხმების საგნის თაობაზე ნევრი სახელმწიფოს მიერ ამოქმედებული კანონები და წესები, ისევე როგორც საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებები და ზოგადი ხასიათის ადმინისტრაციული დადგენილებები, (ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა არსებობა, ფარგლები, მოპოვება, აღსრულება და ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება) ექვემდებარება გამოქვეყნებას ეროვნულ ენაზე, ან თუ პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე ასეთი გამოქვეყნება მიზანშეწონილი არა არის, მათ შესახებ საზოგადოების ინფორმირებას, რათა სამთავრობო ორგანოებმა და უფლების მფლობელებმა შეძლონ მათი გაცნობა. გამოქვეყნებას ექვემდებარება აგრეთვე შეთანხმებები, რომლებიც დადებულია წინამდებარე შეთანხმების საგანის თაობაზე და ძალის მქონეა ორი ნევრი სახელმწიფოს მთავრობებს ან სამთავრობო ორგანოებთვის.

2. ნევრი სახელმწიფოები პუნქტში 1 მითითებულ კანონებსა და წესებს აწვდიან "TRIPS"-ის საბჭოს, რათა ხელი შეუწყონ ამ საბჭოს წინამდებარე შეთანხმების შესრულების პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებაში. საბჭო ცდილობს რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ის ტვირთი, რაც აწევს ნევრ სახელმწიფოებს ამ მოვალეობის შესრულებისას, შეუძლია გაათავისუფლოს ისინი ასეთი კანონებისა და წესების შესახებ შეტყობინების მოვალეობისაგან უშუალოდ საბჭოსათვის თუ "ისმო"-თან გამართული კონსულტაციები საერთო რეესტრის შექმნის შესახებ, რომელიც ასეთ კანონებსა და წესებს უნდა შეიცავდეს, წარმატებულად დასრულდება. ამ თვალსაზრისით საბჭო განიხილავს აგრეთვე ნებისმიერ ქმედებას, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს შეტყობინებასთან დაკავშირებით წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული მოვალეობების თანახმად და რომლებიც გამომდინარეობს პარიზის კონვენციის (1967 წ.) 6^ლ მუხლის დებულებებიდან.

3. თითოეული ნევრი სახელმწიფო სხვა ნევრი სახელმწიფოს წერილობითი თხოვნის პასუხად მზად უნდა იყოს პუნქტში 1 მითითებული ინფორმაციის მისაწოდებლად. ნევრ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს საფუძველი მიიჩნიოს, რომ გარკვეული სასამართლო გადაწყვეტილება ან ადმინისტრაციული დადგენილება ან ორმხრივი შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა სფეროში არღვევს მის წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებებს, შეუძლია წერილობით მოითხოვოს ასეთი სახის სასამართლო გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული დადგენილების ან ორმხრივი შეთანხმებების მისთვის მიწოდება ან მათ შესახებ საკმარისად დეტალური ინფორმაციის მიღება.

4. პუნქტების 1, 2 და 3 არც ერთი დებულება არ ავალდებულებს ნევრ სახელმწიფოს, გაამყლავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუშლიდა კანონის აღსრულებას, სხვაგვარად შეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს, ან შელახავდა ცალკეული სახელმწიფო თუ კერძო სანარმოს კომერციულ ინტერესებს.

მუხლი 64. დავათა დარეგულირება

1. "GATT"-ის (1994 წ.) XXII და XXIII მუხლების დებულებები, რომლებიც შემუშავებული და გამოყენებულია დავათა დარეგულირების შესახებ შეთანხმების მიხედვით, გამოიყენება წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული კონსულტაციების გასამართავად და დავათა დასარეგულირებლად, თუ მასში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. "GATT"-ის (1994 წ.) არ გამოიყენება წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული დავების დასარეგულირებლად "მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

3. პუნქტში 2 მითითებული დროის განმავლობაში "TRIPS"-ის საბჭო

შენიშნავს ნინამდებარე შეთანხმების შესაბამისად წარდგენილი "GATT"-ის (1994 წ.) XXIII მუხლის 1(ბ) და 1(გ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული სარჩელების ტიპების მოქმედების სფეროს და წარდგენისათვის საჭირო ფორმალობებს და თავის რეკომენდაციებს დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრთა კონფერენციას. მინისტრთა კონფერენციის ნებისმიერი გადაწყვეტილება ასეთი რეკომენდაციების დამტკიცების ან პუნქტი 2 მითითებული ვადის გაგრძელების შესახებ მიიღება მხოლოდ კონსენსუსის საფუძველზე, ხოლო მიღებული რეკომენდაციები ყველა წევრი სახელმწიფოსათვის ძალაში შევა მათი მიღების შემდგომი ფორმალური პროცედურების გარეშე.

ნაწილი VI

გარდამავალი შეთანხმებები

მუხლი 65. გარდამავალი შეთანხმებები

1. პუნქტების 2, 3 და 4 დებულებათა თანახმად არცერთი წევრი სახელმწიფო არა არის ვალდებული გამოიყენოს ნინამდებარე შეთანხმების დებულებები "მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ერთწლიანი საერთო ვადის გასვლამდე.

2. განვითარებად წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ ოთხი წლით გადაავადონ ნინამდებარე შეთანხმების დებულებათა პუნქტით 1 გათვალისწინებული გამოყენება, გარდა მუხლებისა 3, 4 და 5.

3. ნებისმიერ სხვა წევრი სახელმწიფოს, რომელიც ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო, თავისუფალ სამენარმოე ეკონომიკაზე გადასვლის სტადიაზეა და რომელიც საკუთარი ინტელექტუალური საკუთრების სისტემის სტრუქტურულ რეფორმას ახორციელებს და აწყდება ინტელექტუალური საკუთრების კანონებისა და ნუსების მომზადებასა და რეალიზებასთან დაკავშირებულ სპეციფიურ პრობლემებს, აგრეთვე შეუძლია ისარგებლოს პუნქტით 2 გათვალისწინებული გადავადების შესაძლებლობით.

4. იმდენად, რამდენადაც ნინამდებარე შეთანხმება განვითარებად წევრ სახელმწიფოს ავალდებულებს გაავრცელოს პროდუქციის საპატენტო დაცვა ტექნიკის ისეთ დარგებში, რომლებიც ასეთ დაცვას არ ექვემდებარება აღნიშნული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნინამდებარე შეთანხმების გამოყენების საერთო თარიღისათვის, მას პუნქტის 2 თანახმად შეუძლია გადაავადოს II ნაწილის მე-5 ნაკვეთში განხილულ პრო-

დექციის დაპატენტების შესახებ დებულებების გამოყენება ასეთი დარგების მიმართ კიდევ 5 წლით.

5. ნევრი სახელმწიფო, რომელიც პუნქტების 1, 2, 3 და 4 შესაბამისად გარდამავალი პერიოდით სარგებლობს უზრუნველყოფს, რომ ამ პერიოდში მის კანონებში, დებულებებსა და პრაქტიკაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება არ შეამცირებს მათი შესაბამისობის დონეს წინამდებარე შეთანხმებასთან.

მუხლი 66. ყველაზე ნაკლებად განვითარებული ნევრი სახელმწიფოები

1. ყველაზე ნაკლებად განვითარებული ნევრი სახელმწიფოების სპეციფიური საჭიროებებისა და მოთხოვნების, მათი ეკონომიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული შეზღუდვების და მათთვის სიცოცხლისუნარიანი ტექნოლოგიური ბაზის შესაქმნელად საჭირო მოქნილობის მოთხოვნის გათვალისწინებით, ასეთი სახელმწიფოების მიმართ წინამდებარე შეთანხმების დებულებები, გარდა მუხლებისა 3, 4 და 5 არ გამოიყენება, მუხლის 65 პუნქტით 1 განსაზღვრული გამოყენების თარიღიდან 10 წლის განმავლობაში. "TRIPS"-ის საბჭო ყველაზე ნაკლებად განვითარებული ნევრი სახელმწიფოს ჯეროვნად დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე აგრძელებს აღნიშნულ პერიოდს.

2. განვითარებული ნევრი სახელმწიფოები ახორციელებენ მათ ტერიტორიებზე განლაგებული საწარმოებისა და დანესებულებების სტიმულირებას, რათა ხელი შეუწყონ ტექნოლოგიის გადაცემას ყველაზე ნაკლებად განვითარებული ნევრი სახელმწიფოებისათვის მათთვის მტკიცე და სიცოცხლისუნარიანი ტექნოლოგიური ბაზის შექმნის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 67. ტექნიკური თანამშრომლობა

წინამდებარე შეთანხმების განხორციელების გაადვილების მიზნით განვითარებული ნევრი სახელმწიფოები განვითარებად და ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ნევრ ქვეყნებს გაუწევენ ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას მათი მოთხოვნისა და ორმხრივად შეთანხმებული პირობების საფუძველზე. ასეთი თანამშრომლობა მოიცავს დახმარებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის და აღსრულების შესახებ კანონებისა და დებულებების მომზადებაში, აგრეთვე ასეთი უფლებებით ბოროტად სარგებლობის თავიდან აცილებაში, აგრეთვე მოიცავს დახმარებას იმ ეროვნული უწყებებისა და დანესებულებების შექმნასა და განმტკიცებაში, რომლებიც ამ საკითხებით იქნებიან დაკავებულნი, მათ შორის კადრების მომზადებაში.

ინსტიტუციონალური ღონისძიებები; დასკვნითი დებულებები

**მუხლი 68. ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა
ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების საბჭო**

"TRIPS"-ის საბჭო აკონტროლებს წინამდებარე შეთანხმების შესრულებას, კერძოდ, წვერი სახელმწიფოების მიერ შეთანხმების თანახმად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და წვერი სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას გამართონ კონსულტაციები ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტების თაობაზე. იგი ახორციელებს აგრეთვე წვერი სახელმწიფოს მიერ მასზე დაკისრებულ ნებისმიერ მოვალეობას, და კერძოდ, სთავაზობს ნებისმიერი სახის დახმარებას, რომელსაც მისგან მოითხოვენ დავათა დარეგულირების პროცედურებთან დაკავშირებით. თავისი ფუნქციების შესრულებისას "TRIPS"-ის საბჭოს შეუძლია რჩევისათვის მიმართოს და მოიძიოს ინფორმაცია ნებისმიერ წყაროდან, რომელსაც იგი ამ თვალსაზრისით შესაფერისად მიიჩნევს. "ისმო"-თან გამართული კონსულტაციების შესაბამისად საბჭო თავისი პირველი სხდომიდან ერთი წლის განმავლობაში მიიღებს შესაბამის ზომებს აღნიშნული ორგანიზაციის ორგანოებთან თანამშრომლობის დასამკვიდრებლად.

მუხლი 69. საერთაშორისო თანამშრომლობა

წვერი სახელმწიფოები თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობაზე იმ თვალსაზრისით, რომ აღმოფხვრილ იქნას საერთაშორისო ვაჭრობა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დამრღვევი საქონლით. ამ მიზნით ისინი თავიანთ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ქმნიან საკონტაქტო პუნქტებს, იტყობინებიან ამის შესახებ და მზად არიან სამართალდამრღვევი საქონლით ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვალვლად. კერძოდ, ისინი ხელს უწყობენ საბაჟო ორგანოებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და თანამშრომლობას გაყალბებული სასაქონლო ნიშნიანი საქონლითა და საავტორო უფლებების დარღვევით დამზადებული საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებით.

მუხლი 70. არსებული ობიექტის დაცვა

1. წინამდებარე შეთანხმება არ წარმოშობს მოვალეობებს იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც მოცემული წვერი სახელმწიფოს მიერ

განხორციელებულ იქნა მოცემული შეთანხმების გამოყენების თარიღამდე.

2. თუ წინამდებარე შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წინამდებარე შეთანხმება წარმოშობს მოვალეობებს ინტელექტუალური საკუთრების ყველა იმ საგანთან დაკავშირებით, რომლებიც არსებობდა ცალკეული წევრი სახელმწიფოს მიმართ წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის და რომლებიც დაცულია ამ სახელმწიფოში აღნიშნული თარიღისათვის, აგრეთვე რომლებიც შეესაბამება ან შემდგომში მოვა შესაბამისობაში წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული დაცვის კრიტერიუმებთან. რაც შეეხება მოცემული პუნქტის და პუნქტების 3 და 4 დებულებებს, საავტორო უფლებებთან დაკავშირებული მოვალეობები არსებული ნაწარმოებების მიმართ განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლზე 18 დაყრდნობით, ხოლო მოვალეობები, რომლებიც ფონოგრამების მწარმოებელთა და არსებულ ფონოგრამებში შემსრულებელთა უფლებებს ეხება, განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლის 18 მიხედვით იმდენად, რამდენადაც ის გამოყენებადია წინამდებარე შეთანხმების მუხლის 14 პუნქტის 6 მიხედვით.

3. არანაირი მოვალეობა არ წარმოიშვება ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტებზე უფლებათა დაცვის აღსადგენად, რომლებიც მოცემული წევრი სახელმწიფოს მიერ წინამდებარე შეთანხმების გამოყენების დაწყების თარიღისათვის სახელმწიფო საკუთრებაში აღმოჩნდა.

4. ნებისმიერ იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება კონკრეტულ საგნებს, რომლებშიც შედის ისეთი ობიექტები, რომლებიც წინამდებარე შეთანხმების შესაბამისი კანონმდებლობით თანახმად სამართალდამრღვევი ობიექტები გახდნენ, და რომელთა გამოშვება დაიწყოს ან რომელთა დაკავშირებითაც განხორციელდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ "მსო"-ს შეთანხმებისთვის მიღების თარიღამდე, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გაითვალისწინოს უფლების მფლობელის ხელთ არსებული სამართლებრივი დაცვის შეზღუდვა ასეთი ქმედებების გაგრძელების შემთხვევაში ასეთი წევრი სახელმწიფოსათვის მოცემული შეთანხმების გამოყენების დაწყების თარიღის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ასეთ შემთხვევებში წევრი სახელმწიფო ითვალისწინებს, სულ მცირე, სათანადო ანაზღაურების გადახდას.

5. წევრი სახელმწიფო მოვალე არ არის გამოიყენოს მუხლის 11 და მუხლის 14 პუნქტის 4 დებულებები იმ დედანთა და ასლთა მიმართ, რომლებიც ამ წევრი სახელმწიფოსათვის მოცემული შეთანხმების გამოყენების დაწყებამდე იქნა შექმნილი.

6. წევრი სახელმწიფოები არ არიან მოვალენი გამოიყენონ მუხლის 31 დებულებები, ან მუხლის 27 პუნქტის 1 მოთხოვნები იმის შესახებ, რომ

პატენტზე უფლებები მინიჭებულ უნდა იქნას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ტექნიკის დარგის მიუხედავად და გამოყენება უნდა მოხდეს უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე, როდესაც ასეთ გამოყენებაზე ნებართვა მთავრობის მიერ იქნა გაცემული იმ თარიღამდე, სანამ წინამდებარე შეთანხმება ცნობილი გახდებოდა.

7. თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვა რეგისტრაციის პროცესით ხორციელდება, მაშინ ასეთი დაცვის მისაღებად წარდგენილ განაცხადებში, რომლებიც მოცემული წვერი სახელმწიფოსათვის წინამდებარე შეთანხმების ამოქმედების თარიღისათვის განხილვის სტადიაში იმყოფება, ნებადართულია შესწორებების შეტანა, რომლის მიხედვით მოთხოვნილ იქნება წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული უფრო ფართო დაცვა. ასეთი შესწორებები არ უნდა შეიცავდეს ახალ საკითხებს.

8. თუ წვერი სახელმწიფო "მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის არ უზრუნველყოფს საპატენტო დაცვას ფარმაცევტულ და აგროქიმიურ პროდუქტებზე მის მიერ მუხლის 27 თანახმად ნაკისრი მოვალეობების შესაბამისად, ეს წვერი სახელმწიფო:

ა) VI ნაწილის დებულებების მიუხედავად, "მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან მოყოლებული ითვალისწინებს ისეთ პროცედურულ ქმედებებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ასეთ გამოგონებებზე პატენტის მისაღებად განაცხადების შეტანა;

ბ) წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან მოყოლებული ასეთი განცხადებების მიმართ იყენებს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს ისეთი სახით, თითქოს ეს კრიტერიუმები გამოიყენებოდა აღნიშნულ წვერ სახელმწიფოში განაცხადის შეტანის თარიღისათვის ან პრიორიტეტის არსებობისა და მისი მოთხოვნის შემთხვევაში – პრიორიტეტული თარიღისათვის; და

გ) უზრუნველყოფს საპატენტო დაცვას წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად პატენტის გაცემის თარიღიდან და პატენტის მოქმედების დარჩენილი ვადის განმავლობაში, რომელიც აითვლება იმ განაცხადების წინამდებარე შეთანხმების მუხლის 33 მიხედვით შეტანის თარიღიდან, რომლებიც აკმაყოფილებს (ბ) ქვეპუნქტში მითითებულ დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს.

1. თუ წვერ სახელმწიფოში პროდუქციის თაობაზე მ(ა) პუნქტის თანახმად გაკეთებულია განაცხადი პატენტის მისაღებად, VI ნაწილის დებულებათა მიუხედავად დაიშვება განსაკუთრებული უფლებები გასაღებაზე აღნიშნულ წვერ სახელმწიფოში გასაღებაზე ნებართვის მიღებიდან ხუთი წლის განმავლობაში, ან ამ წვერ სახელმწიფოში პროდუქტზე პატენტის გაცემამდე ან მის გაცემაზე უარის თქვამდე, იმისდა მიხედვით, თუ რომე-

ლი ვადა იქნება უფრო მოკლე, იმ პირობით, რომ "მსო"-ს შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ აღნიშნულ პროდუქტზე შეტანილ იქნა საპატენტო განაცხადი და პატენტი გაცემულ იქნა სხვა წევრ სახელმწიფოში და გასაღებაზე ნებართვა მიღებული იქნა ამ სხვა წევრ სახელმწიფოში.

მუხლი 71. კონტროლის განხორციელება და შესწორებების შეტანა

1. "TRIPS"-ის საბჭო წინამდებარე შეთანხმების განხორციელებას განიხილავს მუხლის 65 პუნქტში 2 მითითებული გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ. საბჭო იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც შეიძინა შეთანხმების განხორციელების პროცესში, მის მოქმედებას განიხილავს ამ თარიღიდან ორი წლის შემდეგ და შემდეგ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. საბჭოს შეუძლია აგრეთვე განხილვა მოაწყოს ნებისმიერი სიახლის შუქზე, რომლებიც შეიძლება წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებებისა და შესწორებების შეტანის საფუძველი გახდეს.

2. შესწორებები, რომელთა მიზანია მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის უფრო მაღალ დონის დამკვიდრება, რაც უკვე მიღწეულია და ამოქმედებული სხვა მრავალმხრივი შეთანხმებებით და რომელიც აღიარებულია "მსო"-ს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, "მსო"-ს შეთანხმების X მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ასამოქმედებლად უნდა მიენოდოს მინისტრთა კონფერენციას "TRIPS"-ის საბჭოს მიერ კონსენსუსის პრინციპით შემუშავებული წინადადების საფუძველზე.

მუხლი 72. დათქმები

წინამდებარე შეთანხმების ნებისმიერ დებულებაში რაიმე დათქმის გათვალისწინება დანარჩენი წევრი სახელმწიფოების თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

მუხლი 73. უსაფრთხოების მიზნით დაშვებული გამონაკლისები

წინამდებარე შეთანხმებაში არცერთი დებულება არ უნდა იქნას გაგებული როგორც:

ა) ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსათვის იმ ინფორმაციის მონოდების მოთხოვნა, რომლის გამჟღავნებასაც იგი თავისი უსაფრთხოების ინტერესების საზიანოდ მიიჩნევს; ან

ბ) წევრი სახელმწიფოებისათვის ნებისმიერი იმ ქმედების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, რომელსაც ის თავისი ძირითადი უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად მიიჩნევს საჭიროდ:

(i) გახლეჩად მასალებთან ან იმ მასალებთან დაკავშირებით, საიდანაც ისინი მიიღება;

(ii) იარაღით, ტყვია-წამლით და სამხედრო ტექნიკით ვაჭრობასთან

დაკავშირებით, აგრეთვე სხვა სახის საქონლითა და მასალებით ვაჭრობასთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ სამხედრო ძალების შესაიარაღებლად ხორციელდება;

(iii) თუ ეს ქმედებები საომარი ან საერთაშორისო ურთიერთობაში სხვა სახის განსაკუთრებული მდგომარეობის დროს ხორციელდება; ან

გ) ნებისმიერ წვერი სახელმწიფოსათვის ხელის შეშლა იმ ქმედებათა განხორციელებაში, რომლებიც მის მიერ გაერთიანებული ერების წესდების თანახმად საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით ნაკისრ ვალდებულებებს შეესაბამება.

ტექსტში გამოყენებულ ქართულ სიტყვებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

- ¹ წინამდებარე შეთანხმებაში, როდესაც საუბარია ცალკე საბაჟო ტერიტორიაზე – “მსო”-ს შეთანხმების წევრზე, სიტყვის “მოქალაქეები” ქვეშ, იგულისხმება ის ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ან აქვთ ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან კომერციული დაწესებულება აღნიშნულ საბაჟო ტერიტორიაზე.
- ² წინამდებარე შეთანხმებაში “პარიზის კონვენცია” ნიშნავს სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციას; “პარიზის კონვენცია (1967წ)” ნიშნავს ამ კონვენციის 1967 წლის 14 აპრილით დათარიღებულ სტოქჰოლმის აქტს. “ბერნის კონვენცია” ნიშნავს ბერნის კონვენციას ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ; “ბერნის კონვენცია (1971წ)” ნიშნავს ამ კონვენციის 1971 წლის 24 ივლისით დათარიღებულ პარიზის აქტს. “რომის კონვენცია” ნიშნავს ხელოვან შემსრულებელთა, ფონოგრამათა მწარმოებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციათა უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციას, რომელიც მიღებული იქნა რომში 1961 წლის 26 ოქტომბერს. “შეთანხმება ინტეგრალურ მიკროსქემებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ” (“ისიმ”-ის შეთანხმება) ნიშნავს ინტეგრალური მიკროსქემების მიმართ ინტელექტუალური საკუთრების შესახებ შეთანხმებას, რომელიც მიღებული იქნა ვაშინგტონში 1989 წლის 26 მაისს. “მსო”-ს შეთანხმება ნიშნავს “მსო”-ს დამფუძნებელ შეთანხმებას.
- ³ მუხლების 3 და 4 მიხედვით “დაცვა” მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც შეეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა არსებობას, მოპოვებას, ფარგლებს, ძალაში შენარჩუნებასა და აღსრულებას, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების გამოყენების საკითხს, რო-

შნავს მრავალმხრივ სავაჭრო შეთანხმებებს და საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ფაქტობრივად ამ შეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

GATT 1994 – GATT, რომელიც დაფუძნდა მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების ურუგვაის რაუნდის შედეგად, მოიცავს ტექსტს GATT - 1947, აგრეთვე მრავალმხრივ შეთანხმებას, რომელიც ინტერპრეტირებას უკეთებს GATT ცალკეულ მუხლებს ან ავრცელებს მის მოქმედებას ახალ სფეროებზე: შეთანხმება საიმპორტო ლიცენზირების შესახებ, შეთანხმება GATT VII მუხლის ინტერპრეტაციის შესახებ (ანტიდემინგური კოდექსი), შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ, შეთანხმება სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ, შეთანხმება დამცავი ღონისძიებების შესახებ, შეთანხმება წინაგადმოსატვირთი ინსპექციის შესახებ, შეთანხმება ტექსტილურ ნაწარმზე და ტანსაცმლის შესახებ, შეთანხმება საქონლის წარმოშობის წესების შესახებ, შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების შესახებ, შეთანხმება საინვესტიციო ღონისძიებების სავაჭრო ასპექტების შესახებ, შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ. აღნიშნული შეთანხმებები შეადგენენ GATT- 1947 შემადგენელ ნაწილს. თავად GATT-1947 გახდა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის ნაწილი.

პარიზის კონვენციის ქართული არაოფიციალური თარგმანი

Paris Convention for the Protection of Industrial Property
of March 20, 1883,
as revised

at Brussels on December 14, 1900, at Washington on June 2, 1911,
at The Hague on November 6, 1925, at London on June 2, 1934,
at Lisbon on October 31, 1958, and at Stockholm on July 14, 1967,
and as amended on September 28, 1979

Official English Text, WIPO Publication N201 (E)

World Intellectual Property Organization, Geneva, 1996

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია

20 მარტი 1883 წ.

1900 წ. 14 დეკემბერს ბრიუსელში, 1911 წ. 2 ივნისს ვაშინგტონში, 1925
წ. 6 ნოემბერს ჰააგაში, 1934 წ. 2 ივნისს ლონდონში, 1958 წ. 31 ოქტომ-
ბერს ლისაბონში, 1967 წ. 14 ივლისს სტოკჰოლმში გადასინჯული და, 1979
წ. 28 სექტემბერს ცვლილებებ შეტანილი სახით.

მუხლი 1

(კავშირის შექმნა; სამრეწველო საკუთრების ფარგლები)*

(1) ქვეყნები, რომლებისთვისაც ძალაშია ეს კონვენცია, ქმნიან სამრეწ-
ველო საკუთრების დაცვის კავშირს.

(2) სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია პატენტები, სასარ-
გებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები, მომსა-
ხურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, წარმოშობის აღნიშვნები ან
წარმოშობის ადგილის დასახელებები და არაკეთილსინდისიერი კონკუ-
რენციის აღკვეთა.

(3) სამრეწველო საკუთრება გაიგება ფართო მნიშვნელობით და მოი-
ცავს არა მარტო მრეწველობასა და კომერციას, მათი პირდაპირი მნიშვ-
ნელობით, არამედ მრეწველობასაც სოფლის მეურნეობისა და სასარგებ-
ლო წიაღისეულის მოპოვების სფეროში; ყველა სახის დამზადებულსა და

* მუხლები დასათარებულია ტექსტის აღქმის გასაადვილებლად. გასაადვილებ-
ლად (ფრანგული ტექსტი) სათაურებს არ ითვალისწინებს

მელსაც განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი წინამდებარე შეთანხმებაში.

- ⁴ 42-ე მუხლის პირველი წინადადების მიუხედავად, ნევრ სახელმწიფოებს ამ მოვალეობასთან დაკავშირებით შეუძლიათ სანაცვლოდ გაითვალისწინონ იძულებითი ზომების მიღება ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით.
- ⁵ მოცემული მუხლის მიზნებიდან გამომდინარე ტერმინები "გამომგონებლური მარცვალი" და "სამრეწველო გამოყენებადობის მქონე" ნევრი სახელმწიფოს მიერ შეიძლება იქნას მიჩნეული შესაბამისად ტერმინთა "არაცხადის" და "სასარგებლოს" სინონიმებად.
- ⁶ ეს უფლება, ისევე როგორც წინამდებარე შეთანხმების მიხედვით გამოყენებასთან, გაყიდვასთან, იმპორტირებასთან და საქონლის სხვა სახის გავრცელებასთან დაკავშირებით მინიჭებული სხვა უფლებები, განიხილება მე-6 მუხლით.
- ⁷ "სხვა სახის გამოყენება" გულისხმობს ნებისმიერ იმ სახის გამოყენებას, რომელიც არ მიეკუთვნება 30-ე მუხლით ნებადართულ გამოყენებას.
- ⁸ იგულისხმება, რომ იმ ნევრ სახელმწიფოებს, რომელთაც თავდაპირველი პატენტის გაცემის სისტემა არ გააჩნიათ, შეუძლიათ გათვალისწინონ, რომ დაცვის ვადა აბრუნდება თავდაპირველი პატენტის გაცემის სისტემაში განაცხადის შეტანის თარიღიდან.
- ⁹ მოცემულ ნაკვეთში ტერმინი "უფლების მფლობელი" გაგებულ უნდა იქნას იგივე მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც ენიჭება ტერმინს "უფლების მქონე პირი" "ისიმ"-ის შეთანხმებაში.
- ¹⁰ წინამდებარე დებულების მიზნებიდან გამომდინარე გამოთქმა "მეთოდი, რომელიც პატიოსან კომერციულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება" გულისხმობს სულ მცირე ისეთი სახის პრაქტიკას, როგორცაა შეთანხმების დარღვევა, ნდობის დაკარგვა, ან ნდობის დაკარგვისთვის ხელის შეწყობა, და მოიცავს დახურული ინფორმაციის მოპოვებას მესამე პირების მიერ, რომელთათვისაც ცნობილი იყო, ან მათთვის უხეში დაუდევრობის გამო უცნობი დარჩა, რომ ასეთი სახის მოპოვება ასეთი პრაქტიკის განხორციელების შედეგია.
- ¹¹ წინამდებარე ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე ტერმინი "უფლების მფლობელი" მოიცავს ფედერაციებსა და ასოციაციებს, რომელთაც გააჩნიათ ასეთი უფლების მოთხოვნის სამართლებრივი სტატუსი.
- ¹² თუ ნევრმა სახელმწიფომ გააუქმა ყველა სახის კონტროლი საქონლის გადატანაზე სხვა ნევრ სახელმწიფოსთან მისი საზღვრზე, რომელთანაც ერთად იგი ქმნის საბაჟო კავშირის ნაწილს, მაშინ აღნიშნულ საზღვარზე არ მოითხოვება წინამდებარე შეთანხმების დებულებათა გამოყენება.

¹³ იგულისხმება, რომ ასეთი სახის ზომების გატარება საქონლის იმპორტის მიმართ, რომელიც გაშვებულია საბაზრო მიმოქცევაში სხვა წევრ სახელმწიფოში უფლების მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით, ისევე როგორც ტრანზიტული საქონლის მიმართ, აუცილებელი არ არის.

¹⁴ წინამდებარე შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე:

ა) გამოთქმა "გაყალბებული სასაქონლო ნიშნის მქონე საქონელი" გულისხმობს ყველა იმ საქონელს, მათი შეფუთვის ჩათვლით, რომელზეც ნებართვის გარეშე დასმულია ისეთი სასაქონლო ნიშანი, რომელიც ასეთი სახის საქონლის მიმართ კანონიერადაა დარეგისტრირებული, ან კიდევ რომელიც არსებითი ნიშნების მიხედვით შეუძლებელია გარჩეულ მსგავსი სასაქონლო ნიშნისაგან და რომელიც ამის გამო იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს არღვევს;

ბ) გამოთქმა "საქონელი, რომელიც არღვევს საავტორო უფლებებს", გულისხმობს ყველა იმ საქონელს, რომელიც უფლების მფლობელის ან მის მიერ საქონლის წარმოების ქვეყანაში სათანადოდ უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე დამზადებულ ასლს წარმოადგენს, და რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დამზადებულია რაიმე საგნისაგან, თუ აღნიშნული ასლის დამზადება იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად საავტორო უფლების ან მასთან დაკავშირებული უფლების დარღვევას წარმოადგენდა.

ტექსტში გამოყენებული ლათინურენოვანი სიტყვების ახსნა

mutatis mutandis – საჭირო ცვლილებების შეტანით, შესაბამისი ცვლილებებითურთ.

sui generis – თავისებური, განსაკუთრებული სახის.

inaudita altera parte – მეორე მხარის მოუსმენლად.

prima facie – სავარაუდოდ, აღნიშნული მონაცემების მიხედვით.

inter partes – მხარეებს შორის.

ex officio – თანამდებობის მიხედვით, დაკავებული თანამდებობის ძალით.

Trips – (Agreement on trade related intellectual property rights) შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ.

GATT (General Agreement on Tariffs and Trade) – გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ. დაფუძნდა 1974 წ. 30 ოქტომბერს და ძალაში შევიდა 1948 წ. 1 იანვარს. შედგება 38 მუხლისაგან, რომლებიც მოიცავს სამართლებრივ ნორმებსა და დებულებებს, რომელთა ბაზაზეც ვითარდება საერთაშორისო ვაჭრობა. ტერმინი *GATT* აღნი-

ბუნებრივ პროდუქტს, მაგალითად, ღვინოს, მარცვლეულს თამბაქოს ფოთოლს, ხილს, პირუტყვს, წიაღისეულს, მინერალურ წყალს, ლუდს, ყვავილებსა და ფქვილს.

(4) პატენტებად იგულისხმება კავშირის ქვეყნების კანონმდებლობებით აღიარებული სხვადასხვა სახის სამრეწველო პატენტები, როგორცაა შემოტანილი პატენტი, გაუმჯობესების პატენტი, დამატებითი პატენტი და მონმოზა და სხვ.

მუხლი 2

(ეროვნული რეჟიმი კავშირის ქვეყნების მოქალაქეებისათვის)

(1) სამრეწველო საკუთრების დაცვის თვალსაზრისით კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე კავშირისავე ყველა სხვა ქვეყანაში უნდა სარგებლობდეს იმ ხელსაყრელი პირობებით, რაც მოცემული სხვა ქვეყნის მოქალაქეს აქვს მინიჭებული, ან ექნება მინიჭებული მომავალში საკუთარი ქვეყნის შესაბამისი კანონებით; ყოველივე ეს ხორციელდება ამ კონვენციით სპეციალურად დანესებული უფლებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. აქედან გამომდინარე, პირველს უნდა გააჩნდეს თავისი უფლებების დაცვის იგივე შესაძლებლობა და უფლებების დარღვევის საწინააღმდეგო იგივე სამართლებრივი საშუალებები, რაც აქვს ზემოაღნიშნული სხვა ქვეყნის მოქალაქეს, იმის გათვალისწინებით, რომ შესრულდეს მოქალაქეთა მიმართ ნაყენებული სავალდებულო პირობები და ფორმალობები.

(2) ამასთან, იმ ქვეყნებში, სადაც მოითხოვება დაცვა, დაუშვებელია საცხოვრებელი ადგილის ქონის ან სანარმოს დაფუძნების თაობაზე რაიმე მოთხოვნა დაუწესდეს კავშირის ქვეყნების მოქალაქეებს, სამრეწველო საკუთრებითი რომელიმე უფლებით სარგებლობისათვის.

(3) უპირობოდ რჩება ძალაში კავშირის ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნები სასამართლო, ადმინისტრაციული პროცედურებისა და იურისდიქციის შესახებ, აგრეთვე, მომსახურებისათვის მისამართის მითითების, ან წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე, რაც გათვალისწინებულია სამრეწველო საკუთრების დაცვის კანონებით.

მუხლი 3

(ზოგიერთი კატეგორიის პირთათვის იმავე უფლებების მინიჭება, რაც აქვთ კავშირის ქვეყნების მოქალაქეებს)

კავშირის არანეკრი ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ნამდვილი და მოქმედი სანარმო კავშირის რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმავე უფლებებითა და საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობით, რითაც სარგებლობს კავშირის ქვეყნის მოქალაქე.

მუხლი 4

(A-1 პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, ნიმუშები, საავტორო მონუმენტები; პრიორიტეტის უფლება. – G. პატენტები: განაცხადის გაყოფა)

A

(1) ნებისმიერი პირი, ან მისი უფლებამონაცვლე, რომელმაც დადგინილი მოთხოვნების დაცვით კავშირის რომელიმე ქვეყანაში შეიტანა განაცხადი გამოგონებაზე, ან სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, კავშირის სხვა ქვეყნებში განაცხადის შეტანისათვის სარგებლობს პრიორიტეტის უფლებით ქვემოთ მითითებული დროის პერიოდების განმავლობაში.

(2) ნებისმიერი განაცხადის მიწოდება, რომელიც კავშირის ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ან კავშირის ქვეყნებს შორის დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების მიხედვით გათანაბრებულია მოცემულ ქვეყანაში განაცხადის ოფიციალურ მიწოდებასთან, მიჩნეულ უნდა იქნეს პრიორიტეტის უფლების წარმოშობის საფუძვლად.

(3) განაცხადის სწორი მიწოდება ნიშნავს მის იმ სახით წარდგენას, რაც პასუხობს თარიღის დადგენისათვის იმ შესაბამისი ქვეყნის მოთხოვნებს, რომელშიც იქნა იგი მიწოდებული. ამასთან, განაცხადის შემდგომ ბედს მნიშვნელობა არა აქვს.

B.

შედეგად, ზემოთ აღნიშნული დროის პერიოდში კავშირის რომელიმე ქვეყანაში განაცხადის ნებისმიერი შემდგომი მიწოდება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ძალის არ მქონედ დროის ამ პერიოდში რაიმე ქმედების განხორციელების გამო, კერძოდ, სხვა განაცხადის წარდგენის, გამოგონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ან გამოყენების, სამრეწველო ნიმუშის ეგზემპლარების სავაჭრო ქსელში მოთავსების, ან ნიშნის გამოყენების გამო. ამასთან, ასეთი ქმედებები ვერ გახდება მესამე პირთათვის რაიმე უფლების ან პირადი მფლობელობის უფლების წარმოშობის საფუძველი. მესამე პირების მიერ მოპოვებული უფლებები, კავშირის შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით ძალაში რჩება იმ პირველი განაცხადის მიწოდების თარიღამდე, რაც პრიორიტეტის უფლების საფუძველია.

C.

(1) აღნიშნული პრიორიტეტის დროის პერიოდები უნდა შეადგენდეს 12 თვეს პატენტებისა და სასარგებლო მოდელებისათვის, 6 თვეს სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნებისათვის.

(2) მითითებული დროის პერიოდები უნდა იწყებოდეს პირველი განაც-

ხადის მიწოდების დღიდან; თავად მიწოდების დღე დროის პერიოდში აჩათვლება.

(3) თუ იმ ქვეყანაში, სადაც დაცვა მოითხოვება, პერიოდის ბოლო დღე უქმია ან ისეთი დღეა, რომ უწყება ღია არ არის განაცხადის მიღებისათვის, მაშინ პრიორიტეტის დროის პერიოდი უნდა გახანგრძლივდეს პირველ მომდევნო სამუშაო დღემდე.

(4) მომდევნო განაცხადი, რომელიც მიწოდებულია კავშირის იმავე ქვეყანაში და რომელიც წინა პირველი განაცხადის არსის შემცველია, ზემოთ მოყვანილი მე-(2) პუნქტის შინაარსის გათვალისწინებით უნდა განიხილებოდეს, როგორც პირველი განაცხადი, რომლის მიწოდების თარიღი მიჩნეულ უნდა იქნეს პრიორიტეტის დროის პერიოდის ათელის წერტილად იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო განაცხადის მიწოდებამდე დასახელებული წინა განაცხადი გატანილ იქნა, მასზე უარი იქნა განაცხადებული, ან საჯაროდ გამოქვეყნების გარეშე გამოტანილ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება და არ დარჩენილა რაიმე სადაო უფლება და იგი აქამდე არ იქნა გამოყენებული პრიორიტეტის უფლების მოთხოვნის საფუძველად.

აღნიშნულის შემდეგ მომდევნოს წინა განაცხადი ველარ გახდება პრიორიტეტის უფლების მოთხოვნის საფუძველი.

D.

(1) ნებისმიერი პირი, რომელსაც განაცხადის მიწოდების პრიორიტეტის უპირატესობით სურს ისარგებლოს, ვალდებულია განაცხადოს ასეთი სურვილის შესახებ და მიუთითოს პირველი განაცხადის მიწოდების თარიღი და ქვეყანა. კავშირის ყოველმა ქვეყანამ უნდა დაადგინოს ზღვრული ვადა ასეთი განაცხადების გაკეთებისათვის.

(2) აღნიშნული მონაცემები უნდა მიეთითოს ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს ოფიციალურ გამოცემებში, კერძოდ, პატენტებსა და მათთან დაკავშირებულ აღწერილობებში.

(3) კავშირის ქვეყნებს უფლება აქვს, პრიორიტეტით სარგებლობის შესახებ განაცხადების შემტან პირს მოსთხოვონ ადრე მიწოდებული განაცხადის ასლის (აღწერილობა, ნახაზები და სხვ.) წარდგენა. აღნიშნული განაცხადის მიმღები ორგანოს მიერ დედანთან შესაბამისობის თვალსაზრისით დამონმებული ასლი არ საჭიროებს ნამდვილობის რაიმე სხვაგვარ დამონმებას, ამასთან, იგი შეიძლება წარდგენილ იქნეს საფასურის გადახდის გარეშე შემდგომი განაცხადის მიწოდების დღიდან 3 თვის განმავლობაში. დასაშვებია დანესდეს მოთხოვნა, რათა დამონმებულ განაცხადს თან ახლდეს დამამონმებელი უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი მონმობა, რომელშიც მითითებული იქნება პირველი განაცხადის მიწოდების თარიღი, აგრეთვე თარგმანი.

(4) პრიორიტეტით სარგებლობის შესახებ განაცხადების წარდგენისათვის არ შეიძლება დანესდეს არანაირი სხვა ფორმალობა. კავშირის ყველა

ქვეყანამ უნდა განსაზღვროს ამ მუხლით დადგენილი ფორმალობების შეუსრულებლობის შედეგები, რაც არ შეიძლება აღემატებოდეს პრიორიტეტის უფლების დაკარგვას.

(5) შემდგომში შეიძლება დაწესდეს სხვა მტკიცებულებათა ნარდგენა. ნებისმიერ პირს, რომელსაც სურს ისარგებლოს პირველი განაცხადის პრიორიტეტის უფლებით, უნდა მოეთხოვოს ამ განაცხადის ნომრის მითითება; განაცხადის ნომერი უნდა გამოქვეყნდეს ამ მუხლის მე-(2) პუნქტით გათვალისწინებულის მიხედვით.

E.

(1) თუ კავშირის რომელიმე ქვეყანაში განცხადებული სამრეწველო ნიმუშისათვის პრიორიტეტის უფლება მოითხოვება სასარგებლო მოდელის საფუძველზე, მაშინ პრიორიტეტის პერიოდი განისაზღვრება სამრეწველო ნიმუშისათვის დაწესებული დროის პერიოდით.

(2) გარდა აღნიშნულისა, პრიორიტეტის მოთხოვნა სასარგებლო მოდელისათვის დასაშვებია საპატენტო განაცხადის საფუძველზე და პირიქით.

F.

კავშირის არც ერთ ქვეყანას არა აქვს უფლება უარყოს საპატენტო განაცხადი იმის საფუძველზე, რომ განმცხადებელი მოითხოვს მრავლობით პრიორიტეტს, თუნდაც ეს უფლება წარმოიშვას სხვადასხვა ქვეყანაში მიწოდებული განაცხადების საფუძველზე, ან იმის საფუძველზე, რომ განაცხადი, რომლისთვისაც მოითხოვება მრავლობითი პრიორიტეტი, შეიცავს ერთ ან მეტ ისეთ ელემენტს, რომელიც არ არის ჩართული განაცხადში ან ორივე შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნა გამოგონების ერთიანობისადმი.

იმ ელემენტთან დაკავშირებით, რომელიც არ იყო ჩართული განაცხადში ან განაცხადებში, რომელთა მიხედვითაც მოითხოვება პრიორიტეტი, შემდგომი განაცხადის მიწოდება წარმოშობს პრიორიტეტის უფლებას ჩვეულებრივი განაცხადისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

G.

(1) თუ ექსპერტიზა გამოავლენს, რომ საპატენტო განაცხადი შეიცავს ერთზე მეტ გამოგონებას, მაშინ განმცხადებელს უფლება აქვს დაყოს იგი გამოცალკევებულ რამდენიმე განაცხადად და ყოველს შეტანის თარიღად შეუნარჩუნოს პირველი განაცხადის შეტანის თარიღი და ისარგებლოს პრიორიტეტის უფლებით, თუ კანონმდებლობით ასეთი რამ არის გათვალისწინებული,

(2) განმცხადებელს შეუძლია, აგრეთვე, თავისი ინიციატივით დაყოს საპატენტო განაცხადი და ყოველ გამოცალკევებულ განაცხადს შეუნარჩუნოს პირველი განაცხადის მიწოდების თარიღი და ისარგებლოს პრიო-

რიტეტის უფლებით, თუ კანონმდებლობით ასეთი რამ არის გათვალისწინებული. კავშირის ყოველ ქვეყანას აქვს უფლება დაადგინოს ასეთი დაცვის დასაშვები მოთხოვნები.

H.

პრიორიტეტი არ შეიძლება უარყოფილ იქნეს იმ საფუძველზე, რომ იმ გამოგონების ცალკეული ელემენტები, რომლებისთვისაც მოითხოვება პრიორიტეტი, არ არის ჩართული წარმოშობის ქვეყანაში წარდგენილ გამოგონების ფორმულაში, თუკი აღნიშნული ელემენტები ნათლად არის გახსნილი ერთმთლიანად აღებულ საგანაცხადო საბუთებში.

L

(1) იმ ქვეყანაში, სადაც განმცხადებელს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ შეიტანოს განაცხადი პატენტის ან საავტორო მონუმობის მისაღებად, საავტორო მონუმობის მისაღებად წარდგენილი განაცხადი უნდა წარმოადგენდეს პრიორიტეტის უფლების მოთხოვნის ისეთსავე საფუძველს, როგორსაც ამ მუხლის მოთხოვნებით პატენტის მისაღებად წარდგენილი განაცხადი წარმოადგენს.

(2) იმ ქვეყანაში, სადაც განმცხადებელს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ შეიტანოს განაცხადი პატენტის ან საავტორო მონუმობის მისაღებად, ამ მუხლით საპატენტო განაცხადებისათვის დადგენილი მოთხოვნების მიხედვით, საავტორო მონუმობის მისაღებად წარდგენილი განაცხადის განმცხადებელი სარგებლობს პატენტის, სასარგებლო მოდელის ან საავტორო მონუმობის მისაღებად წარდგენილ განაცხადზე დაფუძნებული პრიორიტეტის უფლებით.

მუხლი 4^{bis}

(პატენტები: სხვადასხვა ქვეყანაში მოპოვებული იმავე გამოგონების პატენტების დამოუკიდებლობა)

(1) კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში კავშირის ქვეყნების მოქალაქეთა მიერ მიწოდებული განაცხადების საფუძველზე მიღებული პატენტები დამოუკიდებელია იმ პატენტებისაგან, რომლებიც იმავე გამოგონებისათვის არის მიღებული კავშირის სხვა წევრ ან არაწევრ ქვეყნებში.

(2) ეს მოთხოვნა გაგებული უნდა იქნეს შეზღუდვების გარეშე, კერძოდ, პატენტები, რომელთა მიღების თაობაზეც განაცხადები მიწოდებულ იქნა პრიორიტეტის დროის პერიოდის განმავლობაში, დამოუკიდებელია როგორც მათი ბათილად ცნობისა და მათზე უფლებების შეწყვეტის საფუძველბთან დაკავშირებით, ასევე საპატენტო უფლებების დროში მოქმედების მხრივაც.

(3) ეს მოთხოვნა გაგებული უნდა იქნეს შეზღუდვების გარეშე, კერძოდ, პატენტები, რომელთა მიღების თაობაზეც განაცხადები მიწოდებულ იქნა პრიორიტეტის დროის პერიოდის განმავლობაში, დამოუკიდებელია

ბია როგორც მათი ბათიოლად ცნობისა და მათზე უფლებების შეწყვეტის საფუძვლებთან დაკავშირებით, ასევე საპატენტო უფლებების დროში მოქმედების მხრივაც.

(3) ეს მოთხოვნა გამოიყენება ყველა იმ პატენტისათვის, რომელიც არსებობს მისი ძალაში შესვლის მომენტისათვის.

(4) ანალოგიურად, აღნიშნული მოთხოვნა გამოყენებულ უნდა იქნეს ახალი ქვეყნების ამ კონვენციისადმი მიერთების შემთხვევაში, ყველა იმ პატენტისათვის, რომელიც არსებობს ნებისმიერ მხარეს, მიერთების მომენტისათვის.

(5) პატენტებს, რომლებიც კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში არის მიღებული პრიორიტეტის უფლების გამოყენებით, ისეთივე მოქმედების ვადა აქვს, როგორც ექნებოდა პრიორიტეტის უფლების გამოყენების გარეშე განაცხადის წარდგენის ან, ამ უფლებით სარგებლობის გარეშე პატენტის მიღების შემთხვევაში.

მუხლი 4^{ter}

(პატენტები: გამომგონებლების დასახელება პატენტში)

პირს, რომელმაც გამოგონება შექმნა უფლება აქვს პატენტში დასახელდეს გამომგონებლად.

მუხლი 4^{quater}

(პატენტები: პატენტუნარიანობა კანონმდებლობით დადგენილი ვაჭრობის შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში)

არ შეიძლება პატენტის გაცემაზე უარის თქმა, აგრეთვე პატენტის გაბათილება იმის საფუძველზე, რომ დაპატენტებული პროდუქტი ან დაპატენტებული ხერხით მიღებული პროდუქტი ექვემდებარება ვაჭრობის აკრძალვებს ან შეზღუდვებს, ადგილობრივი კანონმდებლობიდან გამომდინარე.

მუხლი 5

(A. პატენტები: ნაწარმის იმპორტირება; გამოუყენებლობა ან არასაკმარისი გამოყენება; იძულებითი ლიცენზიები. – B. სამრეწველო ნიმუშები: გამოუყენებლობა; ნაწარმის იმპორტირება. – C. ნიშნები: გამოუყენებლობა; განსხვავებული სახე (ფორმა); გამოყენება თანამფლობელთა მიერ. – D. პატენტები, სასარგებლო მოდელები, ნიშნები, სამრეწველო ნიმუშები: ნიშანდება)

A

(1) პატენტმფლობელის მიერ კავშირის რომელიმე ქვეყანაში გამოშვებული ნაწარმის იმპორტირება იმ ქვეყანაში, სადაც გაიცა პატენტი, არ იწვევს საპატენტო უფლებების დაკარგვას.

(2) კავშირის ყველა ქვეყანას აქვს უფლება მიიღოს საკანონმდებლო ზომები, რომლებიც გაითვალისწინებს იძულებითი ლიცენზიების გაცემას, რათა თავიდან იქნეს აცილებული პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებებით ბოროტად სარგებლობა, მაგალითად, პატენტის გამოუყენებლობა.

(3) დაუშვებელია პატენტის გაუქმება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც იძულებითი ლიცენზიის გაცემა არ აღმოჩნდება საკმარისი უფლებების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. დაუშვებელია რაიმე პროცედურის დაწესება პატენტის გაუქმებისათვის მანამ, სანამ 2 წელი არ გავა პირველი იძულებითი ლიცენზიის გაცემიდან.

(4) არ შეიძლება პატენტის გამოუყენებლობის ან არასაკმარისად გამოყენების საფუძვლით მოთხოვნილ იქნეს იძულებითი ლიცენზიის გაცემა, სანამ არ გავა 4 წელი საპატენტო განაცხადის მიწოდების დღიდან, ან 3 წელი პატენტის გაცემის დღიდან, ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს რომელი ვადა იწურება უფრო გვიან; იძულებითი ლიცენზია არ უნდა გაიცეს, თუ პატენტმფლობელი თავის უმოქმედებას პატივსადები მიზეზით გაამართლებს. ასეთი იძულებითი ლიცენზია არ შეიძლება იყოს განსაკუთრებული და სხვა პირისათვის გადაცემადი, ქველიცენზიის სახითაც კი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთ ლიცენზიასთან ერთად გადაიცემა იმ საწარმოს ნაწილი ან გუდვილი, რომელიც იყენებს აღნიშნულ ლიცენზიას.

(5) ზემოთ მითითებული მოთხოვნები სასარგებლო მოდელებისათვის გამოიყენება მუტატის მუტანდის.

B.

სამრეწველო ნიმუშის დაცვა არ შეიძლება გახდეს უარყოფის საგანი იმგვარ გარემოებათა გამო, როგორცაა გამოუყენებლობა ან ისეთი ნაწარმის იმპორტირება, რომელიც დაცულის მსგავსია.

C.

(1) თუ კავშირის რომელიმე ქვეყანაში რეგისტრირებული ნიშნის გამოყენება სავალდებულოა, მაშინ რეგისტრაცია შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად მხოლოდ გონივრული დროის პერიოდის გასვლის შემდეგ და მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი პირი ვერ გაამართლებს თავის უმოქმედებას.

(2) ნიშნის მფლობელის მიერ კავშირის რომელიმე ქვეყანაში რეგისტრირებულთან განსხვავებული ელემენტებისაგან შემდგარი ნიშნის გამოყენება, რაც არ უკარგავს მას განსხვავებულობას, არ იწვევს რეგისტრაციის გაუქმებას ან მისი დაცვის ფარგლების შეზღუდვას.

(3) იდენტურ ან მსგავს საქონელზე ნიშნის ერთდროულმა გამოყენებამ ისეთი სამრეწველო ან სავაჭრო ხასიათის საწარმოთა მიერ, რომლებიც კავშირის იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც ნიშნის

დაცვა მოითხოვება, თანამფლობელებად განიხილებიან, არ შეიძლება ხელი შეუშალოს მის რეგისტრაციას ან რამენაირად შეზღუდოს კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში შექმნილი აღნიშნული ნიშნის დაცვის ფარგლები, თუკი ასეთი გამოყენება არ იწვევს საზოგადოებრიობის შეცდენას ან არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს.

D.

დაცვის უფლების ცნობისათვის არ მოითხოვება საქონელზე პატენტის, სასარგებლო მოდელის, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ან სამრეწველო ნიმუშის დეპონირების შესახებ არანაირი აღნიშვნის ან მითითების დატანა.

მუხლი 5^{bis}

(ყველა სახის სამრეწველო საკუთრებითი უფლება: უფლებათა შენარჩუნებისათვის საფასურების გადახდის საშელავათო დროის პერიოდი; პატენტები: უფლებათა აღდგენა)

(1) სამრეწველო საკუთრებითი უფლებების შენარჩუნებისათვის დადგენილი საფასურების გადასახდელად დაშვებულ უნდა იქნეს არანაკლებ ორ თვის საშელავათო დროის პერიოდი, რაც შეიძლება გახდეს საურავის დაწესების საფუძველი, თუ ადგილობრივი კანონმდებლობა ამას გაითვალისწინებს.

(2) კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ დაანესონ საპატენტო უფლებების აღდგენა, თუ პატენტმა ძალა დაკარგა საფასურების გადაუხდელობის გამო.

მუხლი 5^{ter}

(პატენტები: დაპატენტებული მონოპოლიტები, რომლებიც ქმნიან საზღვაო, საჰაერო ხომალდის ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების ნაწილს) კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში პატენტმფლობელის უფლებათა დარღვევად არ ჩაითვლება:

1. კავშირის სხვა ქვეყნის საზღვაო ხომალდზე, კერძოდ მისი კორპუსის, მანქანა-მექანიზმების, აღჭურვილობისა და სხვა დამატებითი საკუთნოებისათვის, ისეთი მონოპოლიტების გამოყენება, რომლებიც პატენტის საგანს ქმნიან, როდესაც აღნიშნული ხომალდი, დროებით ან შემთხვევის გამო, შესულია მოცემული ქვეყნის წყლებში, ამასთან, აღნიშნული მონოპოლიტები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ხომალდის საჭიროებისათვის;

2. საჰაერო ხომალდის ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციებისათვის, ან მათი მუშაობის უზრუნველყოფისათვის, ან მათი დამატებითი საკუთნოებისათვის ისეთი მონოპოლიტების გამოყენება, რომლებიც პატენტის საგანს განეკუთვნება, როდესაც აღნიშნული

საპაერო ხომალდი ან სახმელეთო საშუალება დროებით ან შემთხვევით აღმოჩნდა კავშირის ქვეყნის ტერიტორიაზე.

მუხლი 5 ^{quater}

(პატენტები: იმპორტის განმარტოვებელი ქვეყანაში დაპატენტებული ხერხით წარმოებული პროდუქტის შემოტანა) როდესაც პროდუქტი კავშირის ისეთ ქვეყანაში შეიტანება, სადაც მისი წარმოების ხერხი არსებული პატენტით არის დაცული, პატენტმფლობელს აღნიშნული პროდუქტის მიმართ უნდა გააჩნდეს ყველა ის უფლება, რაც მას ხერხის პატენტის საფუძველზე იმპორტის განმარტოვებელი ქვეყნის კანონმდებლობით აქვს მინიჭებული ამ ქვეყანაში წარმოებული პროდუქტის მიმართ.

I მუხლი 5 ^{quinq}

(სამრეწველო ნიმუშები)

სამრეწველო ნიმუშები დაცულ უნდა იქნეს კავშირის ყველა ქვეყანაში.

მუხლი 6

(ნიშნები: მოთხოვნები რეგისტრაციისათვის; სხვადასხვა ქვეყანაში იმავე ნიშნის დაცვის დამოუკიდებლობა)

(1) სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციისათვის მოთხოვნები განისაზღვრება კავშირის ყოველ ქვეყანაში, ადგილობრივი კანონმდებლობით.

(2) ამასთან, კავშირის რომელიმე ქვეყნის მოქალაქის მიერ კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი განაცხადი არ შეიძლება უარყოფილ იქნეს, ხოლო რეგისტრაცია ბათილად იქნეს ცნობილი იმის საფუძველზე, რომ განაცხადი არ წარდგენილა, არ დარეგისტრირებულა, ან რეგისტრაცია არ გაგრძელებულა წარმოშობის ქვეყანაში.

(3) კავშირის რომელიმე ქვეყანაში მართლზომიერად რეგისტრირებული ნიშანი უნდა განიხილებოდეს კავშირის სხვა ქვეყნებში რეგისტრირებული ნიშნისაგან დამოუკიდებლად, წარმოშობის ქვეყნის ჩათვლით.

მუხლი 6 ^{bis}

(ნიშნები: საყოველთაოდ ცნობილი ნიშნები)

(1) თუ კანონმდებლობა ამის შესაძლებლობას იძლევა კავშირის ქვეყანა ვალდებულია ეს ოფფიცო ან დაინტერესებული პირის მოთხოვნით უარყოს ან ბათილად ცნოს რეგისტრაცია და აკრძალოს ისეთი ნიშნის გამოყენება, რომელიც გამეორებას, მიბაძვას ან თარგმანს წარმოადგენს, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს აღრევად იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, სადაც რეგისტრაცია ან გამოყენება ხდება საყოველთაოდ

ცნობილ ნიშნად აღიარებულ სხვა ისეთ ნიშანთან, რომელიც უკვე ეკუთვნის ამ კონვენციის შეღავათებით სარგებლობის უფლების მქონე პირს და რომელიც იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის გამოიყენება. ეს მოთხოვნები ძალაშია აგრეთვე, მაშინ, როდესაც ნიშნის მთავარი ნაწილი ნებისმიერი ასეთი საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის გამოყენებას ან მიბაძვას წარმოადგენს, რამაც მასთან შეიძლება აღრევა გამოიწვიოს.

(2) ასეთი ნიშნის ბათილად ცნობის მოთხოვნისათვის უნდა დაწესდეს არანაკლებ ხუთი წლის პერიოდი, რომელიც რეგისტრაციის დღიდან ათვლება. ამასთან, კავშირის ქვეყანას უფლება აქვს დაადგინოს დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაიშვება ამგვარი ნიშნის გამოყენების აკრძალვის მოთხოვნა.

(3) არ შეიძლება დაწესდეს რაიმე ზღვრული ვადა ისეთი ნიშნის გაბათილების ან გამოყენების აკრძალვის მოთხოვნისათვის, რომელიც რეგისტრირებულია ან გამოიყენება არაკეთილსინდისიერად.

მუხლი 6¹⁰⁸

(ნიშნები: აკრძალვები, რომლებიც სახელმწიფო ემბლემებს, ოფიციალურ დამლებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ემბლემებს ეხება)

(1) (a) კავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ უარყოფნა ან ბათილად ცნობა რეგისტრაცია და სათანადო ზომების გატარებით აკრძალონ, უფლებამოსილი ორგანიზაციის თანხმობის გარეშე, კავშირის ქვეყნების გერბების, დროშებისა ან სხვა სახელმწიფო ემბლემების, მათ მიერ დამტკიცებული კონტროლისა და გარანტიის აღნიშნული ოფიციალური აღნიშვნებისა და დამლების გამოყენება, როგორც სასაქონლო ნიშნად, ისე სასაქონლო ნიშნის ნაწილად, აგრეთვე პერალდიკური თვალსაზრისით ნებისმიერი მიბაძვა.

(b) ზემოთ მოყვანილი (a) ქვეპუნქტის მოთხოვნები მთლიანად ეხება აგრეთვე იმ საერთაშორისო ორგანიზაციების გერბებს, დროშებს, სხვა ემბლემებს, აბრევიატურებსა და სრულ სახელწოდებებს, რომელთა ნევრია კავშირის ერთი ან მეტი ქვეყანა მაინც. გამონაკლისს წარმოადგენს გერბები, დროშები, სხვა ემბლემები, აბრევიატურები და სრული სახელწოდებები, რომლებიც მათი დაცვისათვის გამიზნული მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების საგანია.

(c) კავშირის არც ერთ ქვეყანას არ მოეთხოვება ზემოთ მოყვანილი (b) ქვეპუნქტის მოთხოვნების შესრულება ნიშნის მფლობელის იმ უფლებათა საწინააღმდეგოდ, რომლებიც მოცემულ ქვეყანაში კონვენციის ძალაში შესვლამდე იქნა კეთილსინდისიერად მოპოვებული. კავშირის ქვეყნებს არ შეიძლება მოეთხოვოს აღნიშნული მოთხოვნების შესრულება, თუ (a) ქვეპუნქტით აღნიშნული გამოყენება ან რეგისტრაცია არ არის ისეთი ხასიათისა, რომ საზოგადოებას შეექმნას შთაბეჭდილება თითქოს რაიმე

კავშირი არსებობდეს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციასა და გერბებს, დროშებს, ემბლემებს, აბრევიატურებსა და სრულ სახელწოდებას შორის, აგრეთვე, თუ სავარაუდოა, რომ აღნიშნული გამოყენება ან რეგისტრაცია თავისი ხასიათით საზოგადოებრიობის შეცდენას ვერ გამოიწვევს იმ თვალსაზრისით, თითქოს გამოყენებულსა და საერთაშორისო ორგანიზაციას შორის რაიმე კავშირი არსებობდეს.

(2) აკრძალვები, რომლებიც ოფიციალური აღნიშვნების, კონტროლისა და გარანტიის დამლების გამოყენებას ეხება, დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ნიშნების გამოყენება, რომლებშიც ისინი არის ჩართული, გათვალისწინებულია იმავე ან მსგავსი სახის საქონელზე.

(3) (ა) ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების შესასრულებლად კავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ საერთაშორისო ბიუროს მეშვეობით ერთმანეთს დაუგზავნონ იმ სახელმწიფო ემბლემების, ოფიციალური აღნიშვნების, კონტროლისა და გარანტიის დამლების ჩამონათვალი, რომელიც მათ უკვე სურთ, ან შემდგომ მოისურვებენ დაუქვემდებარონ ამ მიზნით გათვალისწინებულ დაცვას მთლიანი მოცულობით, ან გარკვეული შეზღუდვებით. კავშირის ქვეყნები ერთმანეთს დაუგზავნიან, აგრეთვე, ზემოაღნიშნულ ჩამონათვალს ყველა შემდგომი ცვლილებებითურთ. კავშირის ყველა ქვეყანა სათანადო წესით საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდის მისთვის ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაცვით გამოგზავნილ ჩამონათვალს. მიუხედავად აღნიშნულისა, ზემოთ მითითებული ჩამონათვალის დაგზავნა აუცილებელი არ არის, როდესაც საქმე სახელმწიფო დროშას ეხება.

(ბ) ამ მიზნის (1) -ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ გერბების, დროშების, და სხვა ემბლემების, აბრევიატურებისა და საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის სრული სახელწოდებისათვის, იმ სახით რა სახითაც კავშირის ქვეყნებს ეცნობა საერთაშორისო ბიუროს მეშვეობით.

(4) კავშირის ყველა ქვეყანას უფლება აქვს შეტყობინების მიღების მომენტიდან თორმეტი თვის განმავლობაში, საერთაშორისო ბიუროს მეშვეობით გაუგზავნოს სათანადო ქვეყანას ან საერთაშორისო სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციას თავისი შედავება, თუ ასეთი გააჩნია.

(5) სახელმწიფო დროშების შემთხვევაში ზემოთ მოყვანილი (1)-ლი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ იმ ნიშნების მიმართ, რომლებიც 1925 წლის 6 ნოემბრის შემდეგ დარეგისტრირდა.

(6) კავშირის ქვეყნების სახელმწიფო ემბლემებისათვის, გარდა დროშების, ოფიციალური აღნიშვნებისა და დამლებისა, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციების გერბების, დროშების, სხვა ემბლემების აბრევიატურებისა და სრული სახელწოდებისა, აღნიშნული მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ იმ ნიშნებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულია ზე-

მომოყვანილი მე-(3) პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მი-
ღებებიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

(7) არაკეთილსინდისიერი ქმედების შემთხვევაში კავშირის ქვეყნებს
ეძლევათ უფლება გააუქმონ სახელმწიფო ემბლემების, აღნიშვნებისა და
დამლუბის შემცველი ისეთი ნიშნებიც კი, რომლებიც დარეგისტრირებუ-
ლია 1925 წლის 6 ნოემბრამდე.

(8) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც მიეცა თავი-
სი ქვეყნის სახელმწიფო ემბლემების, აღნიშვნებისა და დამლუბის გამო-
ყენების უფლება, შეუძლია მათი გამოყენება მაშინაც კი, როდესაც ისინი
სხვა ქვეყნის სახელმწიფო ემბლემების, აღნიშვნების ან დამლუბის მსგავ-
სია.

(9) კავშირის ქვეყანა მოვალეა აკრძალოს კავშირის სხვა ქვეყნის სა-
ხელმწიფო გერბის უნებართვო გამოყენება ვაჭრობის მიზნით, თუ ამ გა-
მოყენებამ ცრუ წარმოდგენა შეიძლება შექმნას საქონლის წარმოშობის
თაობაზე.

(10) ზემოთ მოყვანილი მოთხოვნები ხელს ვერ შეუშლის კავშირის ქვეყ-
ნებს განახორციელონ მე-6 ქუთინქუთის მუხლის B პუნქტის მე-3 ქვეპუნქ-
ტით მინიჭებული უფლებები, რომლებიც ისეთი ნიშნის უარყოფას ან გა-
უქმებას ეხება, რომელშიც ნებართვის გარეშეა ჩართული გერბები, დრო-
შები, სხვა სახელმწიფო ემბლემები ან კავშირის შესაბამისი ქვეყნის მიერ
დამტკიცებული ოფიციალური აღნიშვნები და დამლუბი, აგრეთვე, ამავე
მუხლის (1)-ლი პუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სახელმ-
წიფოთაშორისი ორგანიზაციების განმასხვავებელი აღნიშვნები.

მუხლი 6 *quarto*

(ნიშნები: ნიშნების გადაცემა)

(1) ვინაიდან კავშირის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ნიშნის
გადაცემა მართლზომიერია ნიშნის მფლობელი საწარმოს ან გუდვი-
ლის ნიშანთან ერთად გადაცემის შემთხვევაში, მაშინ ასეთი გადაცემის
მართებულად მისაჩნევად საკმარისია მოცემულ ქვეყანაში განლაგებუ-
ლი საწარმოს ნაწილის ან მისი გუდვილის გადაცემა უფლებამონაცვლი-
სათვის, მისთვის გადაცემული სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლის
ამ ქვეყანაში წარმოების ან ვაჭრობის განსაკუთრებული უფლების გა-
დაცემასთან ერთად.

(2) ზემოთ მოყვანილი დებულებები არ ავალდებულებს კავშირის ქვეყ-
ნებს ცნონ ისეთი ნიშნის გადაცემის მართლზომიერება, რომლის გამო-
ყენებამ უფლებამონაცვლის მიერ, სინამდვილეში, შეიძლება საზოგადო-
ებრიობის შეცდომა გამოიწვიოს, იმ საქონლის წარმოშობის, ბუნებისა და
ძირითადი თვისებების თაობაზე, რომელზედაც გამოიყენება აღნიშნუ-
ლი ნიშანი.

მუხლი 6 *Articles*

(ნიშნები: კავშირის ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული ნიშნის დაცვა კავშირის სხვა ქვეყნებში)

A.

(1) წარმოშობის ქვეყანაში მართლზომიერად რეგისტრირებული ყველა ნიშნისათვის, ამ მუხლით გათვალისწინებული დათქმებით, უნდა იქნეს დაშვებული კავშირის სხვა ქვეყანაში განაცხადის წარდგენა და იმავე რეგისტრირებული. ქვეყნებს, რომლებშიც მოითხოვება ასეთი დაცვა, უფლება აქვთ რეგისტრაციის პროცედურის დასრულებამდე მოითხოვონ წარმოშობის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული რეგისტრაციის დამადასტურებელი მონომობის წარმოდგენა. დაუშვებელია ასეთი მონომობის ნამდვილობის თაობაზე რაიმე დამატებითი მოთხოვნის დაწესება.

(2) წარმოშობის ქვეყნად განიხილება კავშირის ის ქვეყანა, სადაც განმცხადებელს ნამდვილი და მოქმედი საწარმო აქვს, ან, თუ მას ასეთი საწარმო კავშირის რომელიმე ქვეყანაში არა აქვს, კავშირის ის ქვეყანა, სადაც მას ადგილსამყოფელი აქვს, ან, თუ მას კავშირის რომელიმე ქვეყანაში ადგილსამყოფელი არა აქვს, კავშირის ის ქვეყანა, რომლის მოქალაქეცაა იგი.

B.

სასაქონლო ნიშანი, რომელსაც ეს მუხლი ეხება, არ შეიძლება დარეგისტრირდეს და არ შეიძლება გაუქმდეს, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

(1) როდესაც იგი ისეთი ხასიათისაა, რომ არღვევს მესამე პირის მიერ მოპოვებულ უფლებებს იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა;

(2) როდესაც მას არა აქვს რაიმე განმასხვავებელი თვისება, ან შედგება მხოლოდ ისეთი აღნიშვნებისა ან მინიშნებებისაგან, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვაჭრობისას საქონლის სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, განზრახული მიზნის, ღირებულების, საქონლის წარმოშობის ადგილისა ან დროის მისათითებლად, ან, როდესაც თანამედროვე ენისათვის იქცა ჩვეულებრივ გამოსაყენებელ სიტყვად იმ ქვეყნის ვაჭრობის კუთილსინდისიერი და დამკვიდრებული ჩვევებისათვის, სადაც მოითხოვება დაცვა;

(3) როდესაც იგი ეწინააღმდეგება მორალს ან საზოგადოებრივ წესრიგს, კერძოდ, თუ მას შეუძლია შეაცდინოს საზოგადოებრიობა. ითვლება, რომ ნიშანი არ შეიძლება განხილულ იქნეს საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულად მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ აკმაყოფილებს ნიშნების შესახებ კანონის მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული მოთხოვნები თავად წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნორმებს. ამასთან, მხედველობაში არის მისაღები

ის, რომ აღნიშნული დებულების გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მე-10ბის მუხლის მოთხოვნები.

C.

(1) იმის განსაზღვრისათვის ექვემდებარება თუ არა ნიშანი დაცვას მხედველობაში მიიღება ყველა ფაქტობრივი გარემოება, განსაკუთრებით, მისი გამოყენების ხანგრძლივობა.

(2) არ შეიძლება არც ერთი ნიშნის უარყოფა კავშირის სხვა ქვეყანაში მხოლოდ იმ მოტივით, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაცული ნიშნისაგან იგი მარტო ისეთი ელემენტებით განსხვავდება, რომლებიც არ ცვლის მის განსხვავებულობას და არ ახდენს გავლენას მის იდენტურობაზე, იმასთან შედარებით, რა სახითაც არის ის რეგისტრირებული აღნიშნულ წარმოების ქვეყანაში.

D.

არც ერთ პირს არ შეუძლია ისარგებლოს ამ მუხლის წესებით, თუ ნიშანი, რომლის დაცვაც მოითხოვება, არ არის რეგისტრირებული წარმოშობის ქვეყანაში.

E.

აღნიშნულის მიუხედავად, წარმოშობის ქვეყანაში რეგისტრაციის განახლება არც ერთ შემთხვევაში არ მოიცავს კავშირის სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული ნიშნის რეგისტრაციის განახლების ვალდებულებას.

F.

ნიშნის სარეგისტრაციოდ წარდგენის შემთხვევაში პრიორიტეტით სარგებლობის უფლება შენარჩუნებულ უნდა იქნეს ხელუხლებლად მე-4 მუხლით დანესებული დროის პერიოდში, მაშინაც კი, თუ წარმოშობის ქვეყანაში მისი რეგისტრაცია განხორციელდა აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ.

მუხლი 6 *sexies*

(ნიშნები: მომსახურების ნიშნები)

კავშირის ქვეყნები კისრულობენ მომსახურების ნიშნების დაცვის ვალდებულებას. მათგან არ მოითხოვება ასეთი ნიშნების რეგისტრაციის გათვალისწინება.

მუხლი 6 *septies*

(ნიშნები: მფლობელის თანხმობის გარეშე წარმომადგენლის ან აგენტის სახელზე ნიშნის რეგისტრაცია)

(1) თუ კავშირის რომელიმე ქვეყანაში დაცული ნიშნის მფლობელის აგენტი ან წარმომადგენელი კავშირის ერთ ან მეტ ქვეყანაში ნებართვის გარეშე მოითხოვს თავის სახელზე მფლობელის ნიშნის რეგისტრაციას, მაშინ მფლობელი უფლებამოსილი უნდა იყოს შეენინააღმდეგოს მოთხოვ-

ნილ უნებართვო რეგისტრაციას, ან მოითხოვოს მისი გაუქმება ან, თუ ქვეყნის კანონი იძლევა საშუალებას, მოითხოვოს რეგისტრირება თავის სახელზე, თუკი მითითებული აგენტი ან წარმომადგენელი ვერ დაასაბუთებს თავისი მოქმედების მართლზომიერებას.

(2) ნიშნის მფლობელს, რომელზედაც ვრცელდება პირველი პუნქტის მოქმედება, უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს შეენიანაღმდეგოს აგენტის ან წარმომადგენლის მიერ მისი ნიშნის უნებართვოდ გამოყენებას.

(3) ეროვნული კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს განსაზღვრული სამართლიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც ნიშნის მფლობელი განახორციელებს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების გამოყენებას.

მუხლი 7

(ბუნება საქონლისა, რომლისთვისაც გამოიყენება ნიშანი)

იმ საქონლის ბუნება, რომლისთვისაც განკუთვნილია ნიშანი, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გახდეს ნიშნის რეგისტრაციის დაბრკოლების მიზეზი.

მუხლი 7^{bis}

(ნიშნები: კოლექტიური ნიშნები)

(1) კავშირის ქვეყნები კისრულობენ ვალდებულებას მიიღონ განაცხადი და დაიცვან კოლექტიური ნიშანი, რომელიც ეკუთვნის გაერთიანებებს, რომელთა არსებობაც არ ენიანაღმდეგება წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობას, მაშინაც კი, როდესაც აღნიშნული გაერთიანებები არ ფლობენ სამრეწველო ან კომერციულ სანარმოს.

(2) ყოველმა ქვეყანამ თვითონ უნდა დაადგინოს კონკრეტული მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ნიშნის დაცვა ან დაცვის უარყოფა თუ ეს შეენიანაღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს.

(3) მიუხედავად აღნიშნულისა, არ შეიძლება უარი ეთქვას ზემოხსენებული ნიშნების დაცვას ნებისმიერი ისეთი გაერთიანებისათვის, რომლის არსებობა არ ენიანაღმდეგება წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობას, იმის საფუძველზე, რომ აღნიშნული გაერთიანება არ არის დაფუძნებული იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა, ან არ არის შექმნილი ამ ქვეყნის უკანასკნელი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 8

(საფირმო სახელწოდება)

საფირმო სახელწოდება დაცული უნდა იქნეს კავშირის ყველა ქვეყანაში განაცხადის მიწოდების ან რეგისტრირების დავალდებულების გარეშე, მიუხედავად იმისა შეადგენს თუ არა იგი სასაქონლო ნიშნის ნაწილს.

მუხლი 9

(ნიშნები, საფირმო სახელწოდებები: იმპორტირებისას დაყადალება და სხვ. იმ საქონლისა, რომლებზეც მართლსაწინააღმდეგოდ არის აღბეჭდილი ნიშანი ან საფირმო სახელწოდება)

(1) ყველა ისეთი საქონელი, რომელზეც მართლსაწინააღმდეგოდ არის აღბეჭდილისა საქონლო ნიშანი ან საფირმო სახელწოდება, ექვემდებარება დაყადალებას კავშირის იმ ქვეყანაში იმპორტირებისას, სადაც ნიშანს აქვს სამართლებრივი დაცვა.

(2) ზემოაღნიშნულის ანალოგიურად ყადალა იდება იმ ქვეყანაში, სადაც შესრულდა არამართლზომიერი აღბეჭდვა ან, იმ ქვეყანაში, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა საქონლის იმპორტირება.

(3) ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ყადალის დადება ხდება პროკურატურის ან სხვა კომპეტენტური ორგანოს, ან ნებისმიერი დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირის მოთხოვნით.

(4) შესაბამისი კომპეტენტური ორგანო არ არის შებოჭილი იმ ვალდებულებით, რომ განახორციელოს საქონლის დაყადალება ტრანზიტის დროს.

(5) თუ ქვეყნის კანონმდებლობით აკრძალულია დაყადალება საქონლის შემოტანისას, ყადალის დადების ნაცვლად უნდა აიკრძალოს საქონლის შემოტანა, ან დაშვებულ უნდა იქნეს ყადალის დადება ქვეყნის შიგნით.

(6) თუ ქვეყნის კანონმდებლობით დაშვებული არ არის ყადალის დადება არც საქონლის შემოტანისას, არც ქვეყნის შიგნით და არც საქონლის შემოტანა აკრძალული, მაშინ სანამ ქვეყნის კანონმდებლობა შესაბამის ცვლილებას განიცდიდეს, აღნიშნული საშუალებანი ისეთი ქმედებით და სხვა საშუალებით უნდა იქნეს შენაცვლებული, რომლის განხორციელების უფლება ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ ასეთ შემთხვევებში, მათი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 10

(ყალბი აღნიშვნები: დაყადალება შემოტანისას და სხვ. იმ საქონლისა, რომელზედაც მართლსაწინააღმდეგოდ არის აღბეჭდილი ყალბი აღნიშვნები მათი წარმოშობის ან მწარმოებლის შესახებ)

(1) ზემოთ მოყვანილი მუხლის მოთხოვნები გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ყალბი აღნიშვნები პირდაპირ ან ირიბად იხმარება საქონლის წარმოშობისათვის ან მწარმოებლის, დამამზადებლის, ან საქონლით მოვაჭრე პირის იდენტიფიცირებისათვის.

(2) ყველა შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი მწარმოებელი, დამამზადებელი ან ვაჭარი, იქნება ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც მოცემული საქონლის წარმოებით,

დამზადებით, ან ვაჭრობით არის დასაქმებული და რომლის საქმიანობაც დაფუძნებულია წარმოშობის ადგილად ყალბად მინიშნებულ ადგილას, ან იმ რეგიონში, სადაც მინიშნებული ადგილი მდებარეობს, ან ყალბად მინიშნებულ ქვეყანაში, რომლის ტერიტორიაზეც წარმოშობის ყალბი აღნიშვნა გამოიყენება.

მუხლი 10^ბ

(არაკეთილსინდისიერი კონკურენცია)

(1) კავშირის ქვეყნები შუბოჭილი არიან ვალდებულებით უზრუნველყოფის მოქალაქეებისათვის ქმედითი დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან.

(2) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენს ნებისმიერი კონკურენციის განევის აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამენარმეო თუ კომერციული საქმიანობის პატიოსან ჩვევებს.

(3) კერძოდ იკრძალება:

1. ყველა ისეთი ქმედება, რომელმაც რაიმე სახით შეიძლება გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის საწარმოსთან, საქონელთან, ან სამრეწველო თუ კომერციულ საქმიანობასთან;

2. ვაჭრობასთან დაკავშირებული ისეთი ხასიათის ყალბი განცხადებები, რომლებმაც უნდობლობა შეიძლება გამოიწვიოს კონკურენტის საწარმოს, საქონლის ან სამრეწველო, თუ კომერციული საქმიანობისადმი;

3. ისეთი მითითებები ან განცხადებები, რომელთა გამოყენებამ ვაჭრობისას შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრიობა საქონლის ბუნების, წარმოების ტექნოლოგიის, მახასიათებლების, დანიშნულებისათვის ვარგისიანობის ან ხარისხის შესახებ.

მუხლი 10^ლ

(ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, ყალბი აღნიშვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; დაცვის საშუალებანი, სარჩელის უფლება)

(1) კავშირის ქვეყნები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ კავშირის ქვეყნების მოქალაქენი შესაბამისი სამართლებრივი საშუალებებით, რომლებიც ქმედითი იქნება მე-9, მე-10 და მე-10^ბ მუხლებით გათვალისწინებული აქტების აღსაკვეთად.

(2) გარდა ამისა, ისინი კისრულობენ ვალდებულებას გაითვალისწინონ ღონისძიებები, რომლებიც ნებას დართავს გაერთიანებებსა და კავშირებს, რომლებიც წარმოადგენს მრეწველთა, დამამზადებელთა ან ვაჭართა ინტერესებს, თუ ამ გაერთიანებებისა და კავშირების არსებობა არ ეწინააღმდეგება საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობას, იმოქმედონ სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოთა წინაშე მე-9, მე-10 და მე-10^ბ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების აღსაკვეთად, იმ ზომითა და

საშუალებებით, რაც იმ ქვეყნის კანონმდებლობითაა დადგენილი გაერთიანებისა და კავშირებისათვის, სადაც მოითხოვება დაცვა.

მუხლი 11

(გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, ნიმუშები: დროებითი დაცვა ზოგიერთ საერთაშორისო გამოფენაზე)

(1) კავშირის ქვეყნებმა ეროვნულ კანონმდებლობათა შესაბამისად დროებითი დაცვა უნდა მიანიჭონ პატენტუნარიან გამოგონებებს, სასარგებლო მოდელებს, სამრეწველო ნიმუშებსა და სასაქონლო ნიშნებს კავშირის ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე მონყობილ ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ საერთაშორისო გამოფენებზე მათი შემცველი ნაწარმის ექსპონირების მიხედვით.

(2) აღნიშნული დროებითი დაცვა ვერ გაახანგრძლივებს დროის იმ პერიოდებს, რომლებიც მე-4 მუხლით არის დადგენილი. თუ, შემდგომში, მოთხოვნილ იქნა პრიორიტეტის უფლება, მაშინ ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია გაითვალისწინოს, რომ დროის პერიოდის ათვლა იწყება ზემოაღნიშნული ნაწარმის ექსპონირების თარიღიდან.

(3) გამოფენილი ეგზემპლარების იდენტიურობისა და ექსპონირების თარიღის დასადგენად კავშირის ქვეყანას შეუძლია მოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტური მტკიცებულებანი.

მუხლი 12

(სამრეწველო საკუთრების სპეციალური ეროვნული სამსახურები)

(1) კავშირის ყველა ქვეყანა კისრულობს ვალდებულებას ჩამოაყალიბოს სამრეწველო საკუთრების სპეციალური სამსახური და ცენტრალური ბიურო პატენტების, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების საჯარო გაცნობის უზრუნველსაყოფად.

(2) ამ სამსახურმა უნდა გამოაქვეყნოს ოფიციალური პერიოდული ჟურნალი.

რეგულარულად უნდა გამოქვეყნდეს:

(ა) გაცემული პატენტების მფლობელთა სახელები დაპატენტებულ გამოგონებების მოკლე დახასიათებასთან ერთად;

(ბ) რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების გამოსახულება.

მუხლი 13

(კავშირის ასამბლეა)

(1)

(ა) კავშირს აქვს ასამბლეა, რომელიც შედგება მე-13 - მე-17 მუხლების მოთხოვნებით შებოჭილი კავშირის ქვეყნებისაგან.

(ბ) ყოველი ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი დე-

ლეგატი, რომელსაც შეიძლება ახლდეს სხვა დელეგატები, მრჩეველები და სპეციალისტები.

(c) ხარჯები დელეგაციისათვის უნდა გაილოს მთავრობამ, რომელმაც დანიშნა დელეგაცია.

(2) ასამბლეა:

(i) ატარებს კავშირის მოქმედებასა და განვითარებასთან, აგრეთვე ამ კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ღონისძიებას;

(ii) აძლევს მითითებებს კონფერენციების მომზადების თაობაზე ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიუროს (შემდგომი "საერთაშორისო ბიურო") ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (შემდგომში "ორგანიზაცია") დამფუძნებელი კონვენციით, ამასთან, შესაბამის ყურადღებას მიერ გამოთქმულ აზრს, რომლებიც არ არიან შებოჭილი მე-13-მე-17 მუხლების მოთხოვნებით;

(iii) განიხილავს და ამტკიცებს "ორგანიზაციის" გენერალური დირექტორის კავშირთან დაკავშირებულ ანგარიშებსა და საქმიანობას, აგრეთვე, იძლევა ინსტრუქციებს კავშირის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

(iv) ირჩევს ასამბლეის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს;

(v) განიხილავს და ამტკიცებს აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშსა და საქმიანობას და გასცემს შესაბამის ინსტრუქციებს;

(vi) განსაზღვრავს კავშირის პროგრამას, ამტკიცებს ორწლიან ბიუჯეტსა და საფინანსო ანგარიშებს;

(vii) ამტკიცებს კავშირის საფინანსო წესდებას;

(viii) ნიშნავს სპეციალისტ-ექსპერტების ისეთ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებს, როგორც საჭიროდ მიაჩნია კავშირის მიზნების განსახორციელებლად;

(ix) საზღვრავს კავშირის რომელი არანევრი ქვეყანა და სამთავრობათაშორისი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება დაიშვას დამკვირვებლად მის სხდომებზე;

(x) იღებს მე-13 - მე-17 მუხლების ცვლილებებს;

(xi) ატარებს მისი მიზნების მისაღწევად გამიზნულ სხვა შესაბამის ღონისძიებებს;

(xii) ასრულებს ამ კონვენციის შესაბამის სხვა ფუნქციებს;

(xiii) ახორციელებს ასამბლეის მიერ ისეთ დასამტკიცებელ უფლებებს, რომელიც მოცემულია კონვენციაში ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ.

(b) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლითაც დაინტერესებულია ორგანიზაციის ადმინისტრირებას დაქვემდებარებული სხვა კავშირები, ასამბლეა ლებულობს გადაწყვეტილებებს მას შემდეგ რაც მოისმენს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევას.

(3)

(ა) ამ პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის დებულებებთან თანახმად დელეგატმა შეიძლება წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა.

(ბ) კავშირის ქვეყნები, რომლებიც სპეციალური შეთანხმებით არიან გაერთიანებული და, რომლებსაც მე-12 მუხლის შესაბამისად აქვთ სამრეწველო საკუთრების სპეციალური ეროვნული სამსახურის ხასიათის საერთო უწყება, დისკუსიების დროს შეიძლება ერთდროულად იყვნენ წარმოდგენილი ერთი რომელიმე მათგანით.

(4)

(ა) ასამბლეის ყოველ წევრ ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს ერთი ხმა.

(ბ) კვორუმს შეიძლება შეადგენდეს ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ნახევარი.

(ც) მიუხედავად (ბ) ქვეპუნქტის მოთხოვნისა, თუ რომელიმე სესიაზე წარმოდგენილი ქვეყნების რაოდენობა შეადგენს ნახევარზე ნაკლებს, მაგრამ ტოლია ან მეტია ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ერთი მესამედისა, ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, იმის გარდა, რომელიც საკუთრივ მის პროცედურას შეეხება. ყველა ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება შესრულდეს მხოლოდ ქვემო აღნიშნული პირობების დაცვის შემთხვევაში. საერთაშორისო ბიურომ აღნიშნული გადაწყვეტილებები უნდა დაუგზავნოს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ იყვნენ წარმოდგენილნი და სთხოვოს მათ გადაწყვეტილებების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში წერილობით აცნობონ ბიუროს უჭერენ მხარს, თავს იკავებენ, თუ წინააღმდეგნი არიან მიღებული გადაწყვეტილებებისა. თუ მოცემული დროის განმავლობაში ზემოაღნიშნულის თანახმად ხმის მიცემი, ან ისეთი ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც თავი შეიკავეს, მიაღწევს ქვეყნების იმ რაოდენობას, რაც თავად სესიაზე კვორუმს დააკლდება, მაშინ ასეთი გადაწყვეტილებები მიღებულად ჩაითვლება, ამასთან, გადაწყვეტილებები ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება ქვეყნების რაოდენობის საჭირო უმრავლესობა.

(ბ) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ასამბლეას შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანა, თუ მას ხმას მისცემს ქვეყანათა რაოდენობის ორი მესამედი.

(ე) თავის შეკავება ხმის მიცემად არ ჩაითვლება.

(5)

(ა) ამ პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით დელეგატმა ხმა შეიძლება მისცეს მხოლოდ ერთი ქვეყნის სახელით.

(ბ) მე-3 პუნქტის ბ ქვეპუნქტით აღნიშნული კავშირის ქვეყნები, ზოგადი წესის თანახმად, უნდა შეეცადონ ასამბლეის სესიებზე გამოგზავნონ საკუთარი დელეგაციები. მაგრამ თუ განსაკუთრებულ მიზეზითა გამო რომელიმე აღნიშნული ქვეყანა ვერ აგზავნის საკუთარ დელეგაციას, მას

შეუძლია ხმის მიცემის უფლება გადასცეს სხვა ქვეყანას. ასეთ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ყოველ დელეგაციას შეუძლია მინდობილობით ხმა მისცეს მხოლოდ ერთი ქვეყნის სახელით. აღნიშნული უფლებამოსილება შეიძლება გაიცეს სახელმწიფოს მეთაურის, ან კომპეტენტური მინისტრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით.

(6) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები, ამ ასამბლეის სხდომებზე დაიშვებიან დამკვირვებლებად.

(7)

(ა) ასამბლეის სესიების ჩვეულებრივი სხდომები ტარდება ყოველ მეორე კალენდარულ წელს გენერალური დირექტორის მიწვევით და, თუ არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული გარემოება, იმავე დროსა და იმავე ადგილას, როდესაც და სადაც იმართება ორგანიზაციის ასამბლეის სხდომა.

(ბ) ასამბლეა საგანგებო სესიებზე იკრიბება გენერალური დირექტორის მიწვევით, ან აღმასრულებელი კომიტეტის ან ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8) ასამბლეა თავად ამტკიცებს საკუთარ პროცედურულ წესებს.

მუხლი 14

(აღმასრულებელი კომიტეტი)

(1) ასამბლეს აქვს აღმასრულებელი კომიტეტი.

(2)

(ა) აღმასრულებელი კომიტეტი შედგება იმ ქვეყნებისაგან, რომლებსაც ასამბლეა ირჩევს თავისი წევრი ქვეყნების რიცხვიდან. გარდა ამისა, ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას თავისი შტაბ-ბინა გააჩნია, მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად, კომიტეტში ერთი ადგილი აქვს *ex officio*.

(ბ) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი წებისმიერი ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ახლდეს შემცველი დელეგატები, მრჩეველები და სპეციალისტები.

(ც) ხარჯები დელეგაციისათვის უნდა გაიღოს იმ მთავრობამ, რომელმაც დანიშნა დელეგაცია.

(3) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების რაოდენობა უნდა შეადგენდეს ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ერთ მეოთხედს. დარჩენილი შესავსები ადგილების განსაზღვრისას ქვეყნების რაოდენობის ოთხზე გაყოფის შემდეგ მიღებული ნაშთი მშხედველობაში არ მიიღება.

(4) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისას ასამბლემ შესაბამისი ყურადღება უნდა დაუთმოს სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებასა და კავშირის ამოცანებთან დაკავშირებით დადებულ სპეცია-

ლურ შეთანხმებებში მონაწილე ქვეყნების აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში ყოფნის საჭიროებას.

(5)

(a) აღმასრულებელი კომიტეტის ყოველი წევრი თავის საქმიანობას ეწევა ასამბლეის სესიის მუშაობის დამთავრებიდან, რომელმაც ის აირჩია, მომავალი ჩვეულებრივი სესიის მუშაობის დამთავრებამდე.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრები შეიძლება გადარჩეულ იქნენ, მაგრამ ასეთ წევრთა რიცხვმა არ უნდა შეადგინოს მათი საერთო რაოდენობის ორ მესამედზე მეტი.

(c) ასამბლეა ადგენს აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა არჩევისა და შესაძლო გადარჩევის დანერვილებით წესებს.

(6)

(a) აღმასრულებელი კომიტეტი:

(i) ამზადებს ასამბლეის დღის წესრიგის პროექტს;

(ii) წარადგენს წინადადებებს ასამბლეის დღის წესრიგის პროექტისა და გენერალური დირექტორის მიერ მომზადებული კავშირის ორწლიანი ბიუჯეტის პროექტების შესახებ;

(iii) (ამოღებულია);

(iv) შესაბამისი კომენტარებით წარუდგენს ასამბლეას გენერალური დირექტორის პერიოდულ ანგარიშებსა და წლიურ საფინანსო ანგარიშებს;

(v) ასამბლეის გადანყვეტილებათა შესაბამისად და ასამბლეის ორი ჩვეულებრივი სესიის შუალედში წარმოქმნილი გარემოებების გათვალისწინებით იღებს გენერალური დირექტორის მიერ კავშირის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ყველა ზომას;

(vi) ასრულებს ამ კონვენციის თანახმად მასზე დაკისრებულ ყველა სხვა ფუნქციას.

(b) იმ საკითხების თაობაზე, რომლითაც დაინტერესებულია ორგანიზაციის ადმინისტრირებას დაქვემდებარებული სხვა კავშირები, აღმასრულებელი კომიტეტი გადანყვეტილებებს იღებს მას შემდეგ, რაც მოისმენს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევას.

(7)

(b) აღმასრულებელი კომიტეტის ჩვეულებრივ სხდომებს იწვევს გენერალური დირექტორი, ყოველ კალენდარულ წელიწადში ერთხელ, უპირატესად იმავე დროსა და იმავე ადგილას, როდესაც და სადაც იმართება ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის სხდომა.

(b) აღმასრულებელი კომიტეტი, საგანგებო სესიებზე იკრიბება გენერალური დირექტორის მიწვევით, როგორც საკუთრივ მისი ინიციატივით, ასევე აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, ან აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა რაოდენობის ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8)

(ა) აღმასრულებელი კომიტეტის წევრ ნებისმიერ ქვეყანას აქვს ერთი ხმა.

(ბ) აღმასრულებელი კომიტეტის კვორუმს შეადგენს მისი წევრების რაოდენობის ნახევარი.

(გ) გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით.

(დ) თავის შეკავება ხმის მიცემად არ ჩაითვლება.

(ე) დელეგატმა შეიძლება წარმოადგინოს და ხმა მისცეს მხოლოდ ერთი ქვეყნის სახელით.

(9) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, სხდომებზე დაიშვებიან დამკვირვებლებად.

(10) აღმასრულებელი კომიტეტი ამტკიცებს პროცედურის საკუთარ წესებს.

მუხლი 15

(საერთაშორისო ბიურო)

(1)

(ა) კავშირის ადმინისტრაციულ ამოცანებს ასრულებს საერთაშორისო ბიურო, რომელიც უფლებამონაცვლეა ამ კავშირის იმ ბიუროსი, რომელიც გაერთიანდა ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კონვენციით დაფუძნებული კავშირის ბიუროსთან.

(ბ) კერძოდ, საერთაშორისო ბიურო ეწევა კავშირის სხვადასხვა ორგანოს სამდივნოს საქმიანობას.

(გ) ორგანიზაციის გენერალური დირექტორი კავშირის აღმასრულებელი ხელმძღვანელია და ურთიერთობებისას წარმოადგენს კავშირს.

(2) საერთაშორისო ბიურო თავს უყრის და აქვეყნებს ინფორმაციას სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ. კავშირის ყველა ქვეყანა დროულად უგზავნის საერთაშორისო ბიუროს სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა ახალ კანონსა და ოფიციალურ ტექსტს. გარდა ამისა, საერთაშორისო ბიუროს უნდა მიენოდოს ქვეყნის სამრეწველო საკუთრების დაცვის უფლებამოსილი სამსახურის ყველა ისეთი პუბლიკაცია, რომელიც პირდაპირ ეხება სამრეწველო საკუთრების დაცვას, და რომელსაც საერთაშორისო ბიურო სასარგებლოდ მიიჩნევს თავისი საქმიანობისათვის.

(3) საერთაშორისო ბიურო პერიოდულ გამოცემებს აქვეყნებს თვეში ერთხელ.

(4) საერთაშორისო ბიურო კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოთხოვნით აწვდის ინფორმაციას სასმრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ.

(5) საერთაშორისო ბიურო აწარმოებს კვლევით საქმიანობას და ეწე-

ვა მომსახურებას სამრეწველო საკუთრების დაცვის ხელშეწყობის მიზნით.

(ბ) გენერალური დირექტორი და სხვა მის მიერ დანიშნული თანამდებობის პირი ხმის მიცემის უფლების გარეშე მონაწილეობს ასამბლეის აღმასრულებელისა და ექსპერტთა ნებისმიერი სხვა კომიტეტის, ან მუშა ჯგუფის ყველა სხდომაში. გენერალური დირექტორი ან მის მიერ დანიშნული თანამდებობის პირი აღნიშნული ორგანოების მდივანია ეს ოფიციალურად.

(7)

(ა) საერთაშორისო ბიურო, ასამბლეის მითითებების შესაბამისად და აღმასრულებელ კომიტეტთან თანამშრომლობით, ამზადებს ამ კონვენციის დებულების (გარდა მე-13 - მე-17 მუხლებისა) გადასასინჯად გამიზნულ კონფერენციებს.

(ბ) აღნიშნული კონფერენციების მომზადებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ბიუროს შეუძლია მოეთათბიროს სამთავრობოთაშორისო და საპერტაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს.

(ც) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პირები ხმის მიცემის უფლების გარეშე მონაწილეობენ ამ კონფერენციებზე გამართულ დისკუსიებში.

(დ) საერთაშორისო ბიურო ახორციელებს მასზე დაკისრებულ სხვა ამოცანებსაც.

მუხლი 16

(ფინანსები)

(1)

(ა) კავშირს აქვს ბიუჯეტი.

(ბ) კავშირის ბიუჯეტი მოიცავს შემოსავლებსა და საკუთრივ კავშირის ხარჯებს, მის შესატანებს ბიუჯეტის ხარჯების ნაწილისათვის, რაც საერთოა ყველა კავშირისათვის და, შეძლებისდაგვარად ორგანიზაციის კონფერენციისათვის გამიზნულ თანხმებს.

(ც) ხარჯები, რომლებიც განკუთვნილია არა მარტო ამ კონვენციით დაფუძნებული კავშირისათვის, არამედ იმ კავშირისა ან კავშირებისათვის, რომლებსაც განაგებს ორგანიზაცია, განიხილება, კავშირის საერთო ხარჯებად. კავშირის წილი აღნიშნულ საერთო ხარჯებში შეესაბამება მოცემულ ხარჯებში მის ინტერესებს.

(დ) კავშირის ბიუჯეტი დგინდება ორგანიზაციის ადმინისტრირებას დაქვემდებარებულ სხვა კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინაციის მოთხოვნილებათა სათანადოდ.

(3) კავშირის ბიუჯეტი ფინანსდება შემდეგი წყაროებიდან:

(i) კავშირის ქვეყნების შესატანებიდან;

(ii) კავშირთან დაკავშირებული საერთაშორისო ბიუროს მიერ განუ-
ლი მომსახურებისათვის მიღებული გადასახადებიდან და საფასურები-
დან;

(iii) კავშირთან დაკავშირებული საერთაშორისო ბიუროს გამოცემების
გაყიდვით, ან მათზე უფლებათა გადაცემით მიღებული სხვადასხვა შე-
მოსავლიდან;

(iv) ჩუქები, უფლებამონაცვლეობით მიღებული ქონებიდან და სუბ-
სიდიებიდან;

(v) რენტიდან, პროცენტებიდან და სხვა სახის შემოსავლიდან.

(4)

(ა) ბიუჯეტში თავისი შესატანების განსასაზღვრად კავშირის ყოვე-
ლი ქვეყანა მიკუთვნებული უნდა იყოს შესაბამის კლასს და უნდა გადაიხა-
დოს ყოველწლიური შესატანი, რომლის ოდენობაც დგინდება ქვემოთ ჩა-
მოთვლილი ერთეულების მიხედვით:

კლასი I.....	25
კლასი II	20
კლასი III.....	15
კლასი IV	10
კლასი V	5
კლასი VI	3
კლასი VII.....	1

(ბ) ყოველმა ქვეყანამ, თუ მას აქამდე ეს არ გაუკეთებია, თავისი სა-
რატიფიკაციო დოკუმენტაციის ან მიერთების აქტის დეპონირებასთან
ერთად, უნდა მიუთითოს კლასი, რომელსაც სურს იყოს მიკუთვნებული.
ნებისმიერ ქვეყანას უფლება აქვს შეიცვალოს კლასი. თუ ქვეყანა აირ-
ჩევს უფრო დაბალ კლასს, მაშინ მან უნდა აცნობოს ამის შესახებ ასამბ-
ლეას რომელიმე ჩვეულებრივი სესიის დროს. ყოველი ასეთი ცვლილება
ძალაში შედის აღნიშნული სესიის მომდევნო კალენდარული წლის დასაწ-
ყისიდან.

(ც) ნებისმიერი ქვეყნის წლიური შესატანის ოდენობა, ისეთივე პრო-
პორციით უნდა შეეფარდებოდეს კავშირის ბიუჯეტში ყველა ქვეყნის მი-
ერ შესატან მთელ თანხას, როგორც მისი ერთეულების ოდენობა შეეფარ-
დება ყველა გადამხდელი ქვეყნის ერთეულების საერთო რაოდენობას.

(დ) შესატანები გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის პირველი იანვ-
რიდან.

(ე) დავალიანების მქონე ქვეყანას არა აქვს ხმის მიცემის უფლება კავ-
შირის ნებისმიერ ორგანოში, რომლის წევრიც ის არის, თუ მისი დავალი-
ანება აღემატება ან ტოლია წინა ორი სრული წლის შესატანების ჯამური
ოდენობისა. მაგრამ კავშირის ნებისმიერ ორგანოს შეუძლია დართოს ნე-
ბა ასეთ ქვეყანას გამოიყენოს ხმის მიცემის უფლება მოცემულ ორგანო-

ში მანამ, სანამ აღნიშნული ორგანო საპატიოდ თელის შესატანის გადახდის დაგვიანებას, რაც დაკავშირებული შეიძლება იყოს გამონაკლის და გარდაუვალ გარემოებებთან.

(f) თუ ბიუჯეტი ახალი საფინანსო პერიოდისათვის არ არის დამტკიცებული, მაშინ საფინანსო წესების თანახმად ითვლება, რომ იგი წინა წლის ბიუჯეტის დონისაა.

(5) იმ გადასახადებისა და საფასურების ოდენობას, რომლებიც განკუთვნილია საერთაშორისო ბიუროს კავშირის სახელით განეული მომსახურებისათვის, ადგენს და ასამბლეასა და აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგენს გენერალური დირექტორი.

(6)

(ა) კავშირს აქვს საბრუნავი კაპიტალი, რომელიც შედგება კავშირის ქვეყნების ერთჯერად გადახდილი თანხისაგან. თუ აღნიშნული კაპიტალი არასაკმარისი აღმოჩნდება, ასამბლეა ლებულობს გადაწყვეტილებას მისი გაზრდის შესახებ.

(ბ) ყოველი ქვეყნის პირველადი შესატანის ოდენობა აღნიშნულ კაპიტალში, ან მისი წლი კაპიტალის გაზრდისათვის იმ წლის შესატანი თანხის ოდენობის პროპორციული უნდა იყოს, რომელ წელსაც აღირიცხა აღნიშნული კაპიტალი, ან იქნა მიღებული იმ კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილება.

(ც) აღნიშნული პროპორცია და გადახდის პირობები დგინდება ასამბლეის მიერ გენერალური დირექტორის წინადადებით მას შემდეგ, რაც მოსმენილ იქნება ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევა.

(7)

(ა) ხელშეკრულებით შტაბ-ბინის შესახებ, რომელიც დადებულია იმ ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაცია აქვს შტაბ-ბინა, გათვალისწინებული უნდა იყოს პირობა, რომ საბრუნავი კაპიტალის ოდენობის უკმარისობის შემთხვევაში ამ ქვეყანამ უნდა გაილოს საავანსო თანხა. აღნიშნული ავანსის ოდენობა და მისი გამოყოფის პირობები, ყველა შემთხვევისათვის, მოცემული ქვეყნისა და ორგანიზაციის ცალკე შეთანხმებების საგანია. იმ დროის განმავლობაში, როდესაც მითითებულ ქვეყანას აქვს ავანსის გაცემის ვალდებულება, მას ex officio ეკუთვნის ერთი ადგილი აღმასრულებელ კომიტეტში.

(ბ) (ა) ქვეპუნქტში მოხსენიებულ ქვეყანასა და ორგანიზაციას აქვთ უფლება ავანსის გაღების ვალდებულების დენონსირებაზე, რომელიმე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. დენონსირება ძალაში შედის სამი წლის შემდეგ იმ წლის დამთავრებიდან, რომელ წელსაც იქნა მიწოდებული წერილობითი შეტყობინება.

(8) საფინანსო შემონმება ხორციელდება საფინანსო წესების თანახ-

მად, კავშირის ერთი ან რამდენიმე ქვეყნის გარეშე აუდიტორის მიერ, რომელსაც შეთანხმების საფუძველზე ნიშნავს ასამბლეა.

მუხლი 17

(მე-13-დან მე-17-მდე მუხლების ცვლილებები)

(1) მე-13, მე-14, მე-15, მე-16 მუხლებისა და ამ მუხლის ცვლილებების შესახებ წინადადებები შეიძლება წარდგენილ იქნეს ასამბლეის ნებისმიერი წევრი ქვეყნის, აღმასრულებელი კომიტეტის, ან გენერალური დირექტორის მიერ. აღნიშნულ წინადადებებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს წინასწარ აცნობს გენერალური დირექტორი, ასამბლეის მიერ საკითხის განხილვამდე არანაკლებ ექვსი თვით ადრე.

(2) პირველ პუნქტში აღნიშნული მუხლების ცვლილებები უნდა დამტკიცდეს ასამბლეის მიერ. დამტკიცებისათვის საჭიროა მიცემული ხმების რაოდენობის სამი მეოთხედი. ამასთან, მე-13 მუხლისა და მოცემული პუნქტის ცვლილებებისათვის საჭიროა მიცემული ხმების რაოდენობის ოთხი მეხუთედი.

(3) ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ეხება (1)-ლი პუნქტით გათვალისწინებულ მუხლებს, ძალაში შედის ასამბლეის წევრი ქვეყნების სამი მეოთხედის მიერ აღნიშნულის თაობაზე მათი კონსტიტუციური პროცედურის თანახმად მიღებული ცვლილებების შესახებ წარდგენილი წერილობითი შეტყობინების გენერალური დირექტორის მიერ მიღებიდან ერთი თვის შემდეგ, თუ აღნიშნული ქვეყნები მათ მიერ ცვლილებების მიღებისას იყვნენ ასამბლეის წევრები. აღნიშნულ მუხლებში ამგვარად შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ვრცელდება ყველა ამ ქვეყანაზე, რომელიც ცვლილებების ძალაში შესვლის მომენტისათვის ასამბლეის წევრი იყო, აგრეთვე, ყველა იმ ქვეყანაზე, რომელიც ასამბლეის წევრი ამ მომენტის შემდეგ გახდა. ამასთან, კავშირის ქვეყნებისათვის საფინანსო ვალდებულებების გაზრდის შესახებ მიღებული ნებისმიერი ცვლილება ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყანაზე, რომელმაც წარადგინა შეტყობინება მის მიერ ზემოთ აღნიშნული ცვლილებების მიღების შესახებ.

მუხლი 18

1-ლი - მე-12 და მე-18 - 30-ე მუხლების გადასინჯვა)

(1) კონვენცია ექვემდებარება გადასინჯვას კავშირის სისტემის გაუმჯობესებისათვის შემუშავებული ცვლილებების შეტანის თვალსაზრისით.

(2) აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კავშირის ქვეყნების წარმომადგენლების მონაწილეობით კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში რიგრიგობით იმართება კონფერენცია.

(3) მე-13 - მე-17 მუხლებში ცვლილებების შეტანა რეგულირდება მე-17 მუხლის მოთხოვნებით.

მუხლი 19

(სპეციალური შეთანხმებები)

ცხადია, რომ კავშირის ქვეყნები ინარჩუნებენ სამრეწველო საკუთრების დაცვის ცალკე სპეციალური ხელშეკრულებების ერთმანეთში დადების უფლებას, ამასთან, ეს ხელშეკრულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კონვენციის მოთხოვნებს.

მუხლი 20

(რატიფიკაცია კავშირის ქვეყნების მიერ ან მიემართება; ძალაში შესვლა)

(1)

(a) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ აქტს შეუძლია მოუერთდეს მას. რატიფიკაციისა და მიერთების დოკუმენტები უნდა ჩაბარდეს გენერალურ დირექტორს დეპონირებისათვის.

(b) ნებისმიერ ქვეყანას თავისი რატიფიკაციისა ან მიერთების დოკუმენტებით შეუძლია გამოაცხადოს, რომ რატიფიკაცია ან მიემართება არ ვრცელდება:

(i) 1-ელ - მე-12 მუხლებზე, ან

(ii) მე-13 - მე-17 მუხლებზე.

(c) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც (b) ქვეპუნქტის თანახმად არ გაავრცელა თავისი რატიფიკაცია ან მიერთება აღნიშნული ქვეპუნქტით მოცემული მუხლების რომელიმე ჯგუფზე, შემდგომ, ნებისმიერ დროს შეუძლია გამოაცხადოს მოცემული მუხლების ჯგუფზე თავისი რატიფიკაციის ან მიერთების აქტის გაავრცელების შესახებ.

ასეთი დეკლარაცია უნდა ჩაბარდეს გენერალურ დეპონირებისათვის.

(2)

(a) 1-ლი - მე-12 მუხლები ძალაში შედის კავშირის პირველი ათი ქვეყნისათვის, რომლებმაც დეპონირებისათვის ჩააბარეს თავიანთი რატიფიკაციისა და მიერთების დოკუმენტები (1)(b)(i) პუნქტით დაშვებული დეკლარაციის გარეშე, მას შემდეგ, რაც 3 თვე გავა დეპონირებისათვის რატიფიკაციის ან მიერთების მეთავე დოკუმენტის ჩაბარებიდან.

(b) მე-13 - მე-17 მუხლები ძალაში შედის კავშირის პირველი ათი ქვეყნისათვის, რომლებმაც დეპონირებისათვის ჩააბარეს თავიანთი რატიფიკაციისა და მიერთების დოკუმენტები (1)(b)(ii) პუნქტით დაშვებული დეკლარაციის გარეშე, მას შემდეგ, რაც 3 თვე გავა დეპონირებისათვის რატიფიკაციის ან მიერთების მეთავე დოკუმენტის ჩაბარებიდან.

(c) თუ ამ მუხლის (a) და (b) ქვეპუნქტებისა და (1)(b) პუნქტის პირობებზე არის დამოკიდებული (1)(b)(i) და (1)(b)(ii) პუნქტებით მითითებული მუხლების ორივე ჯგუფის თავდაპირველად შესვლა ძალაში, მაშინ კავშირის იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მოხსენიებული არ არიან (a) და (b) ქვეპუნქტებში და რომლებმაც რატიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტები ჩააბარეს დეპონირებისათვის, ან კავშირის ნებისმიერი სხვა ქვეყნისათვის, რომელმაც დეკლარაცია ჩააბარა დეპონირებისათვის (1)(c) პუნქტის თანახმად, 1-ლი - მე-17 მუხლები ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ ასეთი დეპონირების შესახებ შეტყობინების შესახებ შეტყობინების გავრცელებიდან სამი თვის შემდეგ, თუ დეკლარაციაში აღნიშნული არ იქნა უფრო გვიანდელი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოცემული ქვეყნისათვის ეს აქტი ძალაში შედის მის მიერ მითითებული თარიღიდან.

(3) კავშირის იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც დეპონირებისათვის ჩააბარეს რატიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტები, მე-18 - 30-ე მუხლები ძალაში შედის იმ უფრო ადრინდელი თარიღიდან, რომლიდანაც (1)(b) პუნქტში გათვალისწინებული მუხლების რომელიმე ჯგუფი შედის ძალაში აღნიშნული ქვეყნებისათვის (2)(a), (2)(b), ან (2)(c) პუნქტების თანახმად.

მუხლი 21

(კავშირისადმი არანევრი ქვეყნების მიერთება; ძალაში შესვლა)

(1) კავშირის ნებისმიერ არანევრი ქვეყანას შეუძლია მიუერთდეს ამ აქტს და გახდეს კავშირის წევრი. მიერთების დოკუმენტები დეპონირებისათვის უნდა ჩაბარდეს გენერალურ დირექტორს.

(2)

(a) კავშირის ნებისმიერი არანევრი ქვეყანისათვის, რომელიც მიერთების დოკუმენტებს დეპონირებისათვის ჩააბარებს ამ აქტის რომელიმე დებულების ძალაში შესვლამდე ერთი ან მეტი თვით ადრე, ეს აქტი ძალაში შევა იმ თარიღიდან, რომლიდანაც აღნიშნული დებულებები პირველად შედის ძალაში 20(2)(a), ან 20(2)(b) მუხლის თანახმად, თუ მიერთების დოკუმენტებში უფრო გვიანდელი თარიღი არ იქნა მითითებული, ამასთან:

(i) თუ ამ თარიღისათვის 1-ლი - მე-12 მუხლები ძალაში არ იქნა შესული, აღნიშნული ქვეყანა მოცემული დებულებების ძალაში შესვლის დრომდე მითითებული მუხლების სანაცვლოდ ჩაითვლება შებოჭილად ლისაბონის აქტის 1-ლი - მე-12 მუხლებით.

(ii) თუ ამ თარიღისათვის მე-13 - მე-17 მუხლები ძალაში არ იქნა შესული, აღნიშნული ქვეყანა მოცემული დებულებების ძალაში შესვლამდე მითითებული მუხლების სანაცვლოდ ჩაითვლება შებოჭილად ლისაბონის აქტის მე-13 და მე-14(3), მე-14(4) და მე-14(5) მუხლებით. თუ მიერთების აქ-

ტში ქვეყანა უფრო გვიანდელ თარიღს მიუთითებს, ეს აქტი, ამ ქვეყნის მიმართ, ძალაში შედის ამ მითითებული თარიღიდან.

(b) კავშირის არანეკერი ქვეყნისათვის, რომელმაც დეკონირებისათვის ჩააბარა მიერთების დოკუმენტი იმ თარიღისათვის, რომელიც უფრო გვიანდელია ან, რომელიც თვეზე ნაკლებით წინ უსწრებს ამ აქტის მუხლების რომელიმე ერთი ჯგუფის ძალაში შესვლას, ეს აქტი, (ა) ქვეპუნქტის დათქმების გათვალისწინებით, ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ აღნიშნული ქვეყნის მიერთების შესახებ შეტყობინების ცნობების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ უფრო გვიანდელი თარიღი არ იქნა მითითებული მიერთების დოკუმენტში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს აქტი მოცემული ქვეყნისათვის ძალაში შედის მის მიერ მითითებული თარიღიდან.

(3) კავშირის არანეკერი ქვეყნისათვის, რომელმაც დეკონირებისათვის ჩააბარა მიერთების დოკუმენტი მას შემდეგ, რაც ეს აქტი ძალაში შევიდა მთლიანად, ან ამ თარიღამდე ერთი თვით ადრე, ეს აქტი ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ აღნიშნული ქვეყნის მიერთების შესახებ შეტყობინების ცნობების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ უფრო გვიანდელი თარიღი არ იქნა მითითებული მიერთების დოკუმენტში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ეს აქტი მოცემული ქვეყნისათვის ძალაში შედის მის მიერ მითითებული თარიღიდან.

მუხლი 22

(რათიფიკაციის ან მიერთების შედეგები)

მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ ქვეპუნქტით და 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით მოცემული შესაძლო გამოაკლისების გათვალისწინებით, რათიფიკაცია ან მიერთება ავტომატურად იწვევს ამ აქტის ყველა დუბლების აღიარებასა და მასში მოცემული ყველა უპირატესობის ცნობას.

მუხლი 23

(მიერთება ადრინდელ აქტებთან)

ამ აქტის სრულად ძალაში შესვლის შემდეგ ქვეყანას არ შეუძლია მიუერთდეს ამ კონვენციის ადრინდელ აქტებს.

მუხლი 24

(ტერიტორიები)

(1) ნებისმიერ ქვეყანას თავისი რათიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტით შეუძლია გამოაცხადოს, ან, შემდგომ, წერილობით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ ეს კონვენცია ვრცელდება ყველა იმ ტერიტორიაზე ან იმ ტერიტორიების ნაწილზე, რომელიც მითითებულია რათიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტში, ან აღნიშნულია წერილობით

შეტყობაში და რომლისთვისაც ძალა აქვს ქვეყნის უფლებამოსილებას საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში.

(2) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც წარადგინა აღნიშნული დეკლარაცია ან წერილობითი შეტყობინება, შეუძლია ნებისმიერ დროს აცნობოს გენერალურ დირექტორს, რომ ეს კონვენცია აღარ გავრცელდება ყველა მოცემულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიების ნაწილზე.

(3)

(ა) ნებისმიერი დეკლარაცია, წარდგენილი (1)-ლი პუნქტის მიხედვით, ძალას იძენს იმ თარიღიდან, როდიდანაც ძალაში შედის რატიფიკაციისა ან მიერთების დოკუმენტი, რომელიც შეიცავს აღნიშნულ დეკლარაციას. აგრეთვე, ნებისმიერი წერილობითი შეტყობინება, რომელიც წარდგენილი იქნა ზემოთ მითითებული პუნქტის მიხედვით, ძალას იძენს გენერალური დირექტორის მიერ ამ შეტყობინების ცნობებიდან სამი თვის შემდეგ.

(ბ) მე-(2) პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ მისი მიღებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

მუხლი 25

(ეროვნულ დონეზე კონვენციის გამოყენება)

(1) ამ კონვენციის ნებისმიერი წევრი ქვეყანა ვალდებულია, თავისი კონსტიტუციის შესაბამისად მიიღოს ყველა საჭირო ზომა მოცემული კონვენციის გამოყენების უზრუნველსაყოფად.

(2) მხარეები თანახმაა, რომ ქვეყანას, სანამ ის დეპონირებისათვის ჩააბარებს თავის რატიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტს, უნდა შეეძლოს ამ კონვენციის დებულებების გამოყენება ეროვნული კანონმდებლობით.

მუხლი 26

(დენონსაცია)

(1) ეს კონვენცია მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

(2) ნებისმიერ ქვეყანას გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე უფლება აქვს მოახდინოს ამ აქტის დენონსაცია. ასეთი დენონსაცია გამოინვევს ყველა წინა აქტის დენონსაციასაც და ძალა აქვს მხოლოდ იმ ქვეყნისათვის, რომელიც აცხადებს აღნიშნულ დენონსაციას. კავშირის დანარჩენი ქვეყნებისათვის ეს კონვენცია მთლიანად რჩება ძალაში და მოქმედებაში.

(3) დენონსაცია ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

(4) ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მანამ, სანამ ქვეყნის კავშირის წევრად გახდომის დღიდან არ გავა ხუთი წელი.

მუხლი 27

(ადრინდელი აქტების გამოყენება)

(1) იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს აქტი კავშირის ნევრი ქვეყნების ურთიერთობებისათვის გამოიყენება, იგი ცვლის 1883 წლის პარიზის კონვენციას და მის მომდევნო გადასინჯულ აქტებს.

(2)

(ა) რაც შეეხება იმ ქვეყნებს, რომელთათვისაც ეს აქტი არ მოქმედებს, ან სრულად არ მოქმედებს, მაგრამ მოქმედებს 1958 წ. ლისაბონის აქტი სრულად ან იმ მოცულობით, რომლითაც ეს აქტი ზემოთ მოცემული (1)-ლი პუნქტის მიხედვით მას ვერ ცვლის, მათთვის ძალას ინარჩუნებს აღნიშნული ლისაბონის აქტი.

(ბ) იგივე პირობები დგინდება იმ ქვეყნებისათვის, რომელთათვისაც არც ეს აქტი, არც მისი ნაწილი, არც ლისაბონის აქტი არ მოქმედებს. მათთვის სრულად, ან იმ ნაწილში, რასაც ეს აქტი (1)-ლი პუნქტის მიხედვით ვერ ცვლის, ძალას ინარჩუნებს 1934 წ. 2 ივნისის ლონდონის აქტი.

(3) ქვეყნები, რომლებიც კავშირის ნევრები არ არიან, მაგრამ ამ აქტს უერთდებიან, იყენებენ მას კავშირის ნებისმიერ ქვეყანასთან ურთიერთობებისას, რომელიც ამ აქტს არ არის მიერთებული, ან იმ ქვეყანასთან ურთიერთობებისას, რომელიც ამ აქტს არის მიერთებული, მაგრამ წარდგენილი აქვს მე-20(1)(ბ)(i) მუხლით გათვალისწინებული დეკლარაცია. ასეთმა ქვეყნებმა უნდა სცნონ, რომ კავშირის მოცემულ ქვეყანას მათთან ურთიერთობებისას შეუძლია გამოიყენოს იმ ბოლო აქტის დებულებები, რომელთანაც ისინი მიერთებული არიან.

მუხლი 28

(დავები)

(1) კავშირის ორ ან მეტ ქვეყანას შორის წარმოქმნილი დავა ამ კონვენციის განმარტების ან გამოყენების თაობაზე, რისი გადაწყვეტაც ვერ მოხერხდა მოლაპარაკების გზით, შეიძლება რომელიმე ზემოაღნიშნულმა ქვეყანამ განსახილველად გადასცეს საერთაშორისო სასამართლოს მისი წესდების შესაბამისად განცხადების მიწოდების საფუძველზე, თუ ქვეყნები ვერ შეთანხმდნენ დავის სხვაგვარ მოწესრიგებაზე. ამასთან, ქვეყანამ, რომელმაც სასამართლოს წინაშე აღძრა დავა, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს საერთაშორისო ბიუროს; საერთაშორისო ბიურომ დავა უნდა აქციოს კავშირის ქვეყნების ყურადღების საგნად.

(2) ამ აქტის ხელმოწერისას, ან რატიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტების დეპონირებისათვის ჩაბარებისას, ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია გამოაცხადოს, რომ არ თვლის თავს შებოჭილად (1)-ლი პუნქტის მოთხოვნებით. ასეთ ქვეყანასა და კავშირის სხვა ნებისმიერ ქვეყანას შორის

წარმოქმნილი დავის გადასაწყვეტად (1)-ლი პუნქტის მოთხოვნები არ გამოიყენება.

(3) ქვეყანას რომელმაც წარადგინა დეკლარაცია მე-(2) დეკლარაცია გენერალური დირექტორის სათვის შეტყობინების გზით.

მუხლი 29

(ხელმოწერა, ენები, დეპოზიტარიუმის ფუნქციები)

(1)

(ა) ეს აქტი ხელმოწერილ უნდა იქნეს და დეპონირებისათვის ჩაბარდეს შვედეთის მთავრობას ფრანგულ ენაზე შესრულებულ ერთ ეგზემპლარად.

(ბ) ოფიციალური ტექსტები უნდა შემუშავდეს გენერალური დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციის შემდეგ. ტექსტები შემუშავდება ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, პორტუგალიურ, რუსულ და ესპანურ ენებზე, აგრეთვე, იმ სხვა ენაზე, რომელსაც მიუთითებს ასამბლეა.

(ც) სხვადასხვა ენაზე შედგენილი ტექსტების განმარტებისას, უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ფრანგულ ტექსტს.

(2) ეს აქტი 1968 წ. 13 იანვრამდე ღიაა ხელმოსაწერად სტოკჰოლმში.

(3) ამ აქტის ხელმოწერილი ტექსტის ორ ასლს, დამონებულს შვედეთის მთავრობის მიერ, გენერალური დირექტორი უგზავნის კავშირის ყველა ქვეყანას და ნებისმიერ სხვა ქვეყანას, მოთხოვნისამებრ.

(4) ამ აქტს გენერალური დირექტორი არეგისტრირებს გაერთიანებული ერების სამდივნოში.

(5) გენერალური დირექტორი კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას აცხობინებს ამ აქტის ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტების დეპონირებისათვის ჩაბარებისა და ამ დოკუმენტებში ჩართული ან მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის (ც) ქვეპუნქტის შესაბამისად წარდგენილი, ნებისმიერი დეკლარაციის შესახებ, აგრეთვე, ამ აქტის რომელიმე დებულების ძალაში შესვლის თაობაზე, დენონსაციის შესახებ შეტყობინებებისა და 24-ე მუხლის თანახმად გაგზავნილი შეტყობინების შესახებ.

მუხლი 30

(გარდამავალი დებულებები)

(1) სანამ გენერალური დირექტორი თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებას შეუდგება, ამ აქტში მოცემული მითითებები ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროზე ან გენერალურ დირექტორზე განიხილება მითითებებამდე კავშირის ბიუროზე ან მის დირექტორზე, შესაბამისად.

(2) კავშირის იმ ქვეყნებს, რომლებიც არ არიან შებოჭილნი მე-13 - მე-17 მუხლების დებულებებით, ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის გასვლამდე, სურვილისამებრ შეუძლიათ გამოიყენონ აღნიშნული მუხლები სრული ძალით. ნებისმიერმა ქვეყანამ, რომელსაც სურს გამოიყენოს აღნიშნულ მუხლებში მოცემული უფლებები, წერილობით უნდა შეატყობინოს გენერალურ დირექტორს თავისი სურვილის შესახებ; ასეთი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერს მისი მიღების დღიდან. დროის მითითებული პერიოდის ამონურვამდე აღნიშნული ქვეყნები განიხილებიან ასამბლეის წევრებად.

(3) კავშირის ორგანიზაციის წევრად კავშირის ყველა ქვეყნის გახდომამდე, ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო ერთდროულად მოქმედებს როგორც კავშირის ბიურო, ხოლო გენერალური დირექტორი როგორც ბიუროს დირექტორი.

(4) როგორც კი კავშირის ყველა ქვეყანა გახდება ორგანიზაციის წევრი, კავშირის ბიუროს უფლებები, მოვალეობები და ქონება გადადის ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს გამგებლობაში.

მთარგმნელი დავით ძამუკაშვილი

!

ისმომ-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ

მიღებულია დიპლომატიური კონფერენციის მიერ 1996 წლის
20 დეკემბერს

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 23/05/2001
№879-II ს დადგენილებით

პრეამბულა

ხელშეკრულების დამდები მხარეები,
სურთ რა მაქსიმალურად ეფექტურად და ერთგვაროვნად დახვეწონ
და დაიცვან ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორთა
უფლებები,

აღიარებენ რა ეკონომიკური, სოციალურ, კულტურულ და ტექნიკურ
განვითარებასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების ადეკვატურად
გადაწყვეტის მიზნით ახალი საერთაშორისო წესების შემოღებისა და
ზოგიერთი არსებული წესის უფრო ზუსტი განმარტებისათვის აუცილებ-
ლობას,

აღიარებენ რა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების
განვითარებასა და დაახლოების დიდ ზეგავლენას ლიტერატურული და
მხატვრული ნაწარმოებების შექმნასა და გამოყენებაზე.

ხაზს უსვამენ რა საავტორო უფლებების დაცვის, როგორც ლიტერ-
ატურული და მხატვრული შემოქმედების სტიმულის დიდ მნიშვნელობას,
აღიარებენ რა ავტორთა უფლებებსა და ფართო საზოგადოებრიობის
ინტერესებს შორის ნონასწორობის შენარჩუნების აუცილებლობას, კერ-
ძოდ, განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ინფორმაციის ხელმი-
საწვდომობის სფეროებში, როგორც ეს ასახულია ბერნის კონვენციაში,
შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიმართება ბერნის კონვენციასთან

(1) ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ლიტერატურული და მხატვრუ-
ლი ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მე -20 მუხლის

მიზნებიდან გამომდინარე სპეციალურ შეთანხმებას ხელშეკრულების მხარეებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ ამ კონვენციით დაფუძნებული კავშირის ნეერ სახელმწიფოებს. ეს ხელშეკრულება არანაირად არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე ხელშეკრულებებთან, გარდა ბერნის კონვენციისა, და არ ამცირებს მათ უფლებებსა და ვალდებულებებს ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებების მიმართ.

(2) ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ ამცირებს ვალდებულებებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის თანახმად.

(3) შემდგომში "ბერნის კონვენცია" ნიშნავს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის 1971 წლის 24 ივლისის პარიზის აქტს.

(4) ხელშეკრულების დამდები მხარეები იცავენ 1-21 მუხლებისა და ბერნის კონვენციის დამატებითი ნაწილის მოთხოვნებს.

მუხლი 2. საავტორო უფლებების დაცვის სფერო

საავტორო უფლება ვრცელდება გამომხატვის ფორმაზე და არა იდეებზე, პროცესებზე, ფუნქციონირების მეთოდებზე ან მათემატიკურ კონცეფციებზე, როგორც ასეთზე.

მუხლი 3. ბერნის კონვენციის 2-6 მუხლების გამოყენება

ხელშეკრულების დამდები მხარეები, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით, იყენებენ ბერნის კონვენციის 2-6 მუხლების დებულებებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის მიმართ.

მუხლი 4. კომპიუტერული პროგრამები

კომპიუტერული პროგრამები დაცულია როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები ბერნის კონვენციის მე - 2 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამგვარი დაცვა ვრცელდება კომპიუტერულ პროგრამებზე მათი გამომხატვის ხერხებისა და ფორმების მიუხედავად.

მუხლი 5. მონაცემთა კომპილაცია (მონაცემთა ბაზები)

მონაცემთა ან სხვა ნებისმიერი ფორმის ინფორმაციის კომპილაცია, რომელიც შერჩევისა და შინაარსის განლაგების მიხედვით წარმოადგენს ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგს, დაცულია. ამგვარი დაცვა არ ვრცელდება თვით მონაცემებსა და ინფორმაციაზე და არ ეხება კომპილაციაში არსებული თვით მონაცემებისა და ინფორმაციის საავტორო უფლებას.

მუხლი 6. გავრცელების უფლება

(1) ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ ორიგინალისა და საკუთარი ნაწარმოების ეგზემპლარების საყოველთაო გაცნობის განსაკუთრებული უფლებით გაყიდვისა ან საკუთრების უფლების სხვაგვარად გადაცემის გზით.

(2) ამ ხელშეკრულებაში არაფერი არ ახდენს გავლენას ხელშეკრულების დამდები მხარეების თავისუფლებაზე განსაზღვრონ ან არ განსაზღვრონ პირობები, რომელთა მიხედვით (1) პუნქტში ნახსენები უფლების ამონაწილი ხორციელდება ორიგინალის ან ნაწარმოების ეგზემპლარის პირველი გაყიდვისა და ან საკუთრების უფლების გადაცემის სხვა გზით, ავტორის ნებართვით.

მუხლი 7. გაქირავების უფლება

(1) ავტორები

(i) კომპიუტერული პროგრამებისა;

(ii) კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისა და,

(iii) ნაწარმოებებისა, რომლებიც განხორციელებულია ფონოგრამების სახით, როგორც ეს განსაზღვრულია ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ნაციონალური კანონმდებლობით,

სარგებლობენ ორიგინალების და თავისი ნაწარმოებების ეგზემპლარების კომერციული გაქირავების ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლებით

(2) პუნქტი (1) არ ვრცელდება:

(i) კომპიუტერული პროგრამების მიმართ, თუ თვით ეს პროგრამა არ წარმოადგენს გაქირავების ძირითად ობიექტს; და

(ii) კინემატოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ, თუ ასეთ კომერციულ გაქირავებას არ მოსდევს ამ ნაწარმოებთა საყოველთაო კოპირება, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს კვლავწარმოების განსაკუთრებულ უფლებას.

(3) პუნქტი (1) დებულების მიუხედავად, ხელშეკრულების დამდებ მხარეს, რომელშიც 1994 წლის 15 აპრილისათვის მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს ფონოგრამების სახით გავრცელებული ეგზემპლარებისა და ნაწარმოებების გაქირავებისაგან ავტორთათვის სამართლიანი ჰონორარის გაცემის სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამების სახით გავრცელებული ნაწარმოებების კომერციული გაქირავება არ აყენებს სერიოზულ ზიანს ავტორთა განსაკუთრებულ უფლებას კვლავწარმოებაზე.

მუხლი 8. საჯარო გადაცემის (გადაცემის საყოველთაო გაცნობისათვის) უფლება

ბერნის კონვენციის მუხლების 11(1)(ii), 11^{bis}(1) (i) და (ii), 11^{ter}(1) (ii), 14(1) (ii) და 14^{bis} (1) დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად ლიტერატურული და

მხატვრული ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებებით დართონ თავისი ნაწარმოებების საყოველთაო გაცნობისათვის საჯარო გადაცემის უფლება სადენებითა და კავშირგაბმულობის უმაჯოღო საშუალებებით. მათ შორის ისე, რომ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისათვის ასეთი ნაწარმოებები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

მუხლი 9. ფოტოგრაფიული ნაწარმოებების დაცვის ხანგრძლივობა

ფოტოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ ხელშეკრულების დამდები მხარეები არ ითვალისწინებენ ბერნის კონვენციის 7(4) მუხლის დებულებებს.

მუხლი 10. შეზღუდვები და გამონაკლისები

(1) ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში შეუძლიათ დაანესონ შეზღუდვები ან გამონაკლისები იმ უფლებებიდან, რომლებითაც სარგებლობენ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორები ამ ხელშეკრულებით ზოგიერთ განსაზღვრულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში ნაწარმოების ნორმალური გამოყენებისათვის ზიანის მიყენებისა და გარეშე.

(2) ბერნის კონვენციის გამოყენებისას ხელშეკრულების დამდები მხარეები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რაიმე შეზღუდვებსა და გამონაკლისებს აწესებენ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც არ აყენებენ ზიანს ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და დაუსაბუთებულად არ ლახავენ ავტორის კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 11. ვალდებულებები ტექნიკურ ზომებთან მიმართებაში

ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები შესაბამის სამართლებრივ დაცვასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტურ ზომებს ითვალისწინებენ იმ არსებული ტექნიკური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომლებსაც ავტორები ამ ხელშეკრულებით ან ბერნის კონვენციით დადგენილი თავიანთი უფლებების განსახორციელებლად იყენებენ და რომლებიც მათი ნაწარმოებების მიმართ ზღუდავენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც არ არის ნებადართული ავტორების მიერ ან აკრძალულია კანონით.

მუხლი 12. ვალდებულებები უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები სამართლებრივი დაცვის შესაბამის და ეფექტურ ზომებს ითვალისწინებენ ნებისმიერი იმ პირის მიმართ, რომელიც შეგნებულად ახორციელებს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებათაგანს, და რომელმაც იცის, ან, დაცვის სამოქალაქო სამა-

რთლებრივი ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, აქვს საკმარისი საფუძველი იცოდეს, რომ ამგვარი ქმედება გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს ან დაფარავს ამ ხელშეკრულებით ან ბერნის კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას:

(i) უფლებების მართვის შესახებ ნებისმიერი ელექტრონული ინფორმაციის უნებართვო მოსპობა ან შეცვლა;

(ii) ნაწარმოებების ან ნაწარმოებების ეგზემპლარების უნებართვო გავრცელება, გავრცელების მიზნით შემოტანა, ეთერში გადაცემა, შეტყობინება ან საჯარო გადაცემა, როცა ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია მათში უნებართვოდ იქნა მოსპობილი ან შეცვლილი.

(2) "ინფორმაცია უფლებების მართვის შესახებ" ამ მუხლში აღნიშნავს ინფორმაციას, რომელიც ახდენს ნაწარმოების, ნაწარმოების ავტორის, ნაწარმოებზე ან მის გამოყენებაზე რაიმე უფლების მფლობელის ინფორმაციის და ასეთი ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ციფრების ან კოდების იდენტიფიკაციას, როცა ინფორმაციის ამ ელემენტთაგან ნებისმიერი თან ახლავს ნაწარმოების ეგზემპლარს ან ჩნდება ნაწარმოების საჯარო გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 13. გამოყენება დროში

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები "ბერნის კონვენციის" მე-18 მუხლის დებულებებს იყენებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის ყველა სახეობის მიმართ.

მუხლი 14. დებულებები უფლებების უზრუნველყოფის შესახებ

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულია იღებენ თავიანთი სამართლებრივი სისტემების შესაბამისად გაატარონ ამ ხელშეკრულების გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებანი.

(2) ამ ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა უნდა უზრუნველყოფენ, რომ მათ კანონებში გათვალისწინებული იყოს უფლებების უზრუნველყოფელი ზომები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ნებისმიერი აქტის აღმკვეთი ეფექტური ქმედებების, მათ შორის დარღვევების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომებისა და შემდგომი დარღვევების შემაკავებელი ზომების გატარება.

მუხლი 15. ასამბლეა

(1) (ა) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები აფუძნებენ ასამბლევას.

(ბ) ამ ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე შეიძლება წარმოდგე-

ნილი იყოს ერთი დელეგატი, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.

(ა) ყოველი დელეგაციის ხარჯებს იხდის ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელმაც ის დანიშნა. ასამბლეას შეუძლია ფინანსური დახმარება სთხოვოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (შემდგომში "ისმო"), რათა ხელი შეუწყოს ასამბლეის მუშაობაში ხელშეკრულების დამდები მხარეების მონაწილეობას, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად განვითარებად ქვეყნებად განიხილებიან ან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში არიან.

(2) (ა) ასამბლეა განიხილავს ამ ხელშეკრულების დაცვას, განვითარებას, გამოყენებასა და მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

(ბ) ასამბლეა ახორციელებს მასზე 17 (2) მუხლით დაკისრებულ ფუნქციას ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად დაუშვას ზოგიერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.

(გ) ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ამ ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით ნებისმიერი დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის თაობაზე და ისმო-ს გენერალურ დირექტორს აძლევს აუცილებელ მითითებებს ამგვარი დიპლომატიური კონფერენციის მოსამზადებლად.

(3) (ა) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, ერთი ხმა აქვს და ხმას მხოლოდ თავისი სახელით აძლევს.

(ბ) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში ამ ორგანიზაციის ნევრი სახელმწიფოების ნაცვლად. ხმების რაოდენობა ემთხვევა ამ ორგანიზაციის ნევრი სახელმწიფოების რაოდენობას, რომლებიც ამ ხელშეკრულების დამდები მხარეებია. ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ ამ ორგანიზაციის ნევრი სახელმწიფოებიდან ნებისმიერი იყენებს თავის ხმის უფლებას და პირიქით.

(4) ასამბლეა მორიგ სესიებზე იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ. სესიებს ინვესს ისმო-ს გენერალური დირექტორი.

(5) ასამბლეა იღებს თავის საპროცედურო წესებს, მათ შორის რიგგარეშე სესიების მოწვევის, ქვორუმის მოთხოვნებისა და, ამ ხელშეკრულების დებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი უმრავლესობის თაობაზე.

მუხლი 16. საერთაშორისო ბიურო

ამ ხელშეკრულების შესაბამისად ისმო-ს საერთაშორისო ბიურო აღმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებს.

მუხლი 17. ხელშეკრულებაში მონაწილეობის უფლება

(1) ისმო-ს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

(2) ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად ნებისმიერი იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დაშვების თაობაზე, რომელიც აცხადებს, რომ კომპეტენტურია და აქვს თავისი, ამგვარი ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის სავალდებულო ნორმატიული ბაზა ამ ხელშეკრულებით დარეგულირებულ საკითხებზე და თავისი შინაგანი პროცედურების შესაბამისად სათანადოდ უფლებამოსილია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

(3) ევროპის გაერთიანებას, რომელმაც წინა პუნქტში ნახსენები განცხადება ამ ხელშეკრულების მიმღებ დიპლომატიურ კონფერენციაზე გააკეთა, შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

მუხლი 18. ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები

თუ ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სხვა სპეციალურ დებულებებს, ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე სარგებლობს ყველა უფლებით და თავის თავზე იღებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

მუხლი 19. ხელშეკრულების ხელმოწერა

ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსა და ევროპის გაერთიანებისათვის ეს ხელშეკრულება ხელმოწერისათვის ღიაა 1997 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 20. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის 30 სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 21. ხელშეკრულებაში მონაწილეობის დანყების თარიღი

ეს ხელშეკრულება სავალდებულო ხდება:

(i) 20-ე მუხლში ნახსენები 30 სახელმწიფოსათვის ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან;

(ii) ყოველი სხვა სახელმწიფოსათვის ამ სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის თავისი დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ;

(iii) ევროპის გაერთიანებისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი

თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ 20-ე მუხლის შესაბამისად, ან ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე;

(iv) ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც დაშვებულია ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად, ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 22. ხელშეკრულებაში შესწორებების შეტანის დაუშვებლობა

ამ ხელშეკრულებაში რაიმე შესწორებების შეტანა დაუშვებელია.

მუხლი 23. ხელშეკრულების დენონსაცია

ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ხელშეკრულების დენონსაცია ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით. ნებისმიერი დენონსაცია ძალაში შედის ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 24. ხელშეკრულების ენები

(1) ამ ხელშეკრულების ხელმონერა ხდება ერთ ეგზემპლარად რუსულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე. ამასთან, ამ ენებზე შესრულებული ყველა ტექსტი აუთენტიურია.

(2) ოფიციალურ ტექსტს ნებისმიერ ენაზე, გარდა (1) პუნქტში ნახსენები ენებისა, დაინტერესებული მხარის თხოვნით და ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ ამტკიცებს ისმო-ს გენერალური დირექტორი. ამ პუნქტში ნახსენები "დაინტერესებული მხარე" შეიძლება იყოს ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, რომლის ოფიციალური ან ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია, აგრეთვე ევროპის გაერთიანება და ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ამ ხელშეკრულების მონაწილე გახდეს, თუ მისი ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია.

მუხლი 25. დეპოზიტარი

ამ ხელშეკრულების დეპოზიტარია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

ისმომ-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ

მიღებულია დიპლომატიური კონფერენციის მიერ

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 23/05/2001
№ 880-II ს დადგენილებით

პრეამბულა

ხელშეკრულების დამდები მხარეები

სურთ რა მაქსიმალურად ეფექტურად და ერთგვაროვნად დახვეწონ და დაიცვან შემსრულებლებისა და ფონოგრამების მწარმოებლების უფლებები,

აღიარებენ რა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ტექნიკურ განვითარებასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების ადეკვატურად გადანყვეტის მიზნით ახალი საერთაშორისო წესების შემოღების აუცილებლობას,

აღიარებენ რა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და დაახლოების დიდ ზეგავლენას შესრულებებისა და ფონოგრამების წარმოებასა და გამოყენებაზე,

აღიარებენ რა ფონოგრამების შემსრულებლებისა და დამამზადებლების უფლებებსა და ფართო საზოგადოებრიობის ინტერესებს შორის ნონასნორობის შენარჩუნების აუცილებლობას, კერძოდ, განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში, შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიმართება სხვა კონვენციებთან

(1) ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ ამცირებს ვალდებულებებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ 1961 წლის 26 ოქტომბერს რომში დადებული "შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების ინტერესების დაცვის საერთაშორისო კონვენციის" (შემდგომში "რომის კონვენცია") თანახმად.

(2) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვა არ ვრცელდება და არანაირ გავლენას არ ახდენს ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებ-

ბებზე საავტორო უფლებების დაცვაზე. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ ამგვარ დაცვას ზიანი მიადგეს.

(3) ეს ხელშეკრულება არანაირად არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე ხელშეკრულებებთან და არ ამცირებს მათ მიერ განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

მუხლი 2. განსაზღვრებები

ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

(ა) "შემსრულებლები" – მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები და სხვა პირები, რომლებიც ასრულებენ როლებს, მღერიან, კითხულობენ (მათ შორის მხატვრულად), უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ახდენენ ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოებების ან ხალხური შემოქმედების ნიმუშების ინტერპრეტაციას ან რაიმე სხვა სახით ასრულებენ მათ;

(ბ) "ფონოგრამა" არის შესრულების ან სხვა ხმების ჩანერა, ან ხმების გამოხატულება, გარდა იმ ხმებისა, რომლებიც ჩანანერის სახითაა ჩართული კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში;

(გ) "ჩანანერი" არის ხმების ან მათი გამოხატულების განსახიერება, რომელიც მისი აღქმის, რეპროდუქციების ან შესაბამისი მოწყობილობის მეშვეობით გადაცემის საშუალებას იძლევა;

(დ) "ფონოგრამის დამამზადებელი" არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც თავის თავზე იღებს შესრულების ან სხვა ხმების, ან მათი გამოხატულების პირველი ჩანანერის ინიციატივას და პასუხისმგებელია ამ ჩანერაზე;

(ე) "გამოქვეყნება" – შესრულების ჩანანერის ან ფონოგრამის გამოქვეყნება ნიშნავს საზოგადოებისათვის შესრულების ჩანანერის ან ფონოგრამის შეთავაზებას უფლებამოსილების თანხმობითა და იმ პირობით, რომ საზოგადოებას ეგზემპლარები გონივრული რაოდენობით მიეწოდება;

(ვ) "საერთო მაუნყებლობა" არის კავშირგაბმულობის უმათულო საშუალებებით ხმების ან გამოსახულებების და ხმების ან მათი გამოხატულების მიწოდება საზოგადოებისათვის, თანამგზავრის მეშვეობით განხორციელებული ამგვარი გადაცემა ასევე "საეთერო მაუნყებლობა"; კოდირებული სიგნალების გადაცემა "საეთერო მაუნყებლობად" ითვლება, თუ დეკოდირების საშუალებები საზოგადოებას სამაუნყებლო ორგანიზაციის მიერ ან მისი თანხმობით მიეწოდება;

(ზ) "საჯარო გადაცემა (გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის)" – შესრულების ან ფონოგრამის საჯარო გადაცემა (გადაცემა საყოველთაო

გაცნობისათვის) არის ფონოგრამაზე ჩანერილი შესრულების ხმების, ხმების ან მათი გამოხატულების გადაცემა საზოგადოებისათვის ნებისმიერი საშუალებით, გარდა საერთო მაუნყებლობის. მე-15 მუხლში "საჯარო გადაცემა, გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის)" მოიცავს აგრეთვე ფონოგრამაზე ჩანერილი ხმების ან ხმების გამოხატულების გამოყენებას იმგვარად, რომ ისინი მისანვდომი გახდეს საზოგადოების სმენითი აღქმისათვის.

მუხლი 3. ამ ხელშეკრულებით დაცული პირები

(1) ხელშეკრულების დამდები მხარეები უზრუნველყოფენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაცვას ფონოგრამების იმ შემსრულებელთა და დამამზადებელთათვის, რომლებიც ხელშეკრულების დამდები სხვა მხარეების მოქალაქეები არიან.

(2) ხელშეკრულების დამდები სხვა მხარეების მოქალაქეებში ფონოგრამების ის შემსრულებლები ან დამამზადებლები იგულისხმებიან, რომლებიც დაცვის უზრუნველყოფისათვის "რომის კონვენციით" გათვალისწინებულ აუცილებელ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ ისე, თითქოს ამ ხელშეკრულების დამდები ყველა მხარე ამ კონვენციის დამდები სახელმწიფო იყოს. ხსენებულ კრიტერიუმებთან მიმართებაში ხელშეკრულების დამდები მხარეები ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამის განსაზღვრებებს იყენებენ.

(3) ხელშეკრულების დამდები ნებისმიერი მხარე, რომელიც იყენებს "რომის კონვენციის" მე-5 (3) მუხლით, ან ხსენებული კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებისათვის ამ კონვენციის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შესაძლებლობებს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) დირექტორს უგზავნის შეტყობინებას, როგორც ეს ხსენებული დებულებებითა გათვალისწინებულია.

მუხლი 4. ეროვნული რეჟიმი

(1) ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე სხვა მხარეების მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს მე-3 (2) მუხლით განსაზღვრულ იმავე რეჟიმს, როგორსაც საკუთარი მოქალაქეებისათვის იმ განსაკუთრებულ უფლებების თვალსაზრისით რომლებიც ამ ხელშეკრულებით სპეციალურადაა უზრუნველყოფილი და ჰონორარის მიღების უფლებით, როგორც ეს ამ ხელშეკრულების მე-15(3) მუხლითაა გათვალისწინებული.

(2) (1) პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ გამოიყენება იმ ზომით, რა ზომითაც ხელშეკრულების დამდები სხვა მხარე იყენებს ამ ხელშეკრულების მე 15(3) მუხლით დაშვებულ შესწორებებს.

შემსრულებლის უფლებები

მუხლი 5. შემსრულებლის პირადი არაქონებრივი უფლებები

(1) შემსრულებლის ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და ამ უფლებების გადაცემის შემდეგაც კი შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ აღიარებულ იქნეს თავისი შესრულებების შემსრულებლად თავისი ჩაუნერელი ზეპირი შესრულებების ან ფონოგრამაზე ჩანერილი შესრულებების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი უფლების მიუცემლობა შესრულების გამოყენების ხასიათითაა ნაკარნახევი, და გამოვიდეს თავისი შესრულებების ყოველგვარი ისეთი გაუკუღმართებული დამახინჯების ან სხვაგვარი შეცვლის წინააღმდეგ, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მის რეპუტაციას.

(2) (1) პუნქტის შესაბამისად შემსრულებლისათვის მინიჭებული უფლებები ქონებრივი უფლებების შეწყვეტამდე შენარჩუნდება მისი გარდაცვალების შემდეგაც და განხორციელდება იმ პირებისა და დაწესებულებების მიერ, რომლებსაც ამის უფლებამოსილება ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული, რომელშიც დაცვა გამოითხოვება. ხელშეკრულების დამდებმა იმ მხარეებმა კი რომელთა კანონმდებლობა ამ ხელშეკრულების რატიფიკაციისა ან მასთან მიერთების მომენტში არ ითვალისწინებს შემსრულებლის გარდაცვალების შემდეგ წინა პუნქტით გათვალისწინებული მისი ყველა უფლების დაცვას, შეიძლება დაადგინონ. რომ შემსრულებლის გარდაცვალების შემდეგ ამ უფლებებიდან ზოგიერთი შეწყდება.

(3) ამ პუნქტით უზრუნველყოფილი უფლებების განხორციელებისათვის აუცილებელი დაცვითი ღონისძიებები რეგლამენტირებულია ამ ხელშეკრულების დამდები მხარის კანონმდებლობით, რომლის შესაბამისად ხდება დაცვის გამოთხოვა.

მუხლი 6. შემსრულებლის ქონებრივი უფლებები თავის ჩაუნერელ

შესრულებაზე

შემსრულებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ:

(i) თავიანთი ჩაუნერელი შესრულებების ეთერში და საჯარო (საყოველთაო გაცნობისათვის) გადაცემის ნებართვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესრულდება უკვე გადაცემულია ეთერში; და

(iii) თავიანთი ჩაუნერელი შესრულებების ჩანერის ნებართვა.

მუხლი 7. რეპროდუცირების უფლება

შემსრულებლებს აქვს განსაკუთრებული უფლება გასცეს ფონოგრამაზე ჩანერილი შესრულებები ნებისმიერი სახითა და ფორმით პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირების ნებართვა.

მუხლი 8. გავრცელების უფლება

(1) შემსრულებელს აქვს განსაკუთრებული უფლება გაყიდვის ან საკუთრების უფლების სხვა სახით გადაცემის გზით გასცეს ფონოგრამაზე ჩანერილი თავისი შესრულებების ორიგინალისა და ეგზემპლარების საზოგადოებისათვის გაცნობის ნებართვა.

(2) ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ ზღუდავს ხელშეკრულების დამდები თავისუფლებას განსაზღვროს ან არ განსაზღვროს პირობები, რომელთა მიხედვითაც (1) პუნქტში ნახსენები უფლების ამონურვა ხდება შემსრულებლის ნებართვით პირველი გაყიდვის ან ჩანერილი შესრულების ორიგინალსა ან ეგზემპლარზე საკუთრების უფლების სხვა სახით გადაცემისას.

მუხლი 9. გაქირავების უფლება

(1) შემსრულებელს აქვს განსაკუთრებული უფლება ამ ხელშეკრულების დამდები მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად გასცეს ფონოგრამებზე ჩანერილი თავისი შესრულების ორიგინალის ან ეგზემპლარების საზოგადოებისათვის კომერციული გაქირავების ნებართვა შემსრულებლის მიერ ან მისი ნებართვით მათი გავრცელების შემდეგაც კი.

(2) (1) პუნქტის დებულებების მიუხედავად ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეს, რომელშიც 1994 წლის 15 აპრილისათვის მოქმედებდა და ამჟამადაც მოქმედებს ფონოგრამაზე ჩანერილი შესრულებების ეგზემპლარების დაქირავებისათვის შემსრულებლის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამების კომერციული გაქირავება არსებით ზიანს არ აყენებს შემსრულებლის განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე.

მუხლი 10. ჩანერილი შესრულების საჯარო გადაცემის უფლება

შემსრულებელს აქვს განსაკუთრებული უფლება გასცეს ფონოგრამაზე ჩანერილი თავისი შესრულებების სადენებით ან კავშირგაბმულობით უმავთულო საშუალებებით იმგვარი საჯარო გადაცემის ნებართვა, რომ ისინი საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები

მუხლი 11. რეპროდუქციების უფლება

ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ფონოგრამების ნებისმიერი სახითა და ფორმით პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუქციების ნებართვა.

მუხლი 12. გავრცელების უფლება

(1) ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გაყიდვის ან საკუთრების უფლების სხვა სახით გადაცემის გზით გასცენ თავიანთი ფონოგრამების ორიგინალისა და ეგ ზემპლარების საზოგადოებისათვის გაცნობის ნებართვა.

(2) ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ ზღუდავს ხელშეკრულების დამდები მხარეების თავისუფლებას განსაზღვრონ ან არ განსაზღვრონ პირობები, რომელთა მიხედვითაც (1) პუნქტში ნახსენები უფლების ამონურვა ხდება ფონოგრამის დამამზადებლის ნებართვით პირველი გაყიდვის ან ფონოგრამის ორიგინალსა და ეგ ზემპლარზე საკუთრების უფლების სხვა სახით გადაცემისას.

მუხლი 13. გაქირავების უფლება

(1) ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ფონოგრამების ორიგინალის ან ეგ ზემპლარების საზოგადოებისათვის კომერციული გაქირავების ნებართვა დამამზადებლის მიერ ან მისი ნებართვით მათი გავრცელების შემდეგაც კი.

(2) (1) პუნქტის დებულებების მიუხედავად ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეს, რომელშიც 1994 წლის 15 აპრილისათვის მოქმედებდა და ამჟამად მოქმედებს თავიანთი ფონოგრამების ეგ ზემპლარების გაქირავებისათვის ფონოგრამების დამამზადებელი სამართლიანი ანაზღაურების სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამების კომერციული გაქირავება არსებით ზიანს არ აყენებს ფონოგრამების დამამზადებლების განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუქცირებაზე.

მუხლი 14. ფონოგრამის საჯარო გადაცემის უფლება

ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ფონოგრამების სადენებით ან კავშირგაბმულობის უშუალო საშუალებებით იმგვარი საჯარო გადაცემის ნებართვა, რომ ისინი საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

ზოგადი დებულებები

მუხლი 15. საერთო მაუწყებლობისა და საზოგადოებაში გავრცელებისათვის პონორარის მიღების უფლება

(1) შემსრულებელსა და ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ უფლება მიიღონ ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურება საეთერო მაუწყებლობის ან საზოგადოებაში ნებისმიერი სხვა სახით გავრცელებისათვის კომერციული მიზნებით გამოქვეყნებული ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი გამოყენებისათვის.

(2) ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ თავიანთი ეროვნულ კანონმდებლობაში დაადგინონ, რომ მომხმარებლებისაგან ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს შემსრულებელს ან ფონოგრამის დამამზადებელს, ან შემსრულებელსა და ფონოგრამის დამამზადებელს ერთდროულად. ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც, შემსრულებელსა და ფონოგრამის დამამზადებელს შორის შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, დაადგენს პირობებს, რომელთა შესაბამისადაც ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურება ნაწილდება შემსრულებლებსა და ფონოგრამების დამამზადებლებს შორის.

(3) ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერი მხარეს შეუძლია ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის შესანახად ჩაბარებულ შეტყობინებაში განაცხადოს, რომ (1) პუნქტის დებულებებს მხოლოდ გამოყენების ზოგიერთ სახესთან მიმართებაში გამოიყენებს და შეზღუდავს სხვა რაიმე სახით მათ გამოყენებას ან საერთოდ არ გამოიყენებს ამ დებულებებს.

(4) ამ მუხლის თანახმად ფონოგრამები, რომლებიც საზოგადოებაში სადენებით ან კავშირგაბმულობის უმავეთულო საშუალებებით გავრცელდა იმგვარად, რომ საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით, განიხილება კომერციული მიზნებით გამოქვეყნებულად.

მუხლი 16. შეზღუდვები და გამონაკლისები

(1) ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლების უფლებების დაცვის თვალსაზრისით თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში დაანესონ იმავე სახის შეზღუდვები ან გამონაკლისები, რაც ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების საავტორო უფლებების დაცვის თვალსაზრისითაა გათვალისწინებული მათ ეროვნულ კანონმდებლობაში.

(2) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები ამ ხელშეკრულებით

გათვალისწინებული უფლებების რაიმე შეზღუდვებსა და გამონაკლისებს ანეხებენ განსაზღვრულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში შესრულების ან ფონოგრამის ნორმალური გამოყენებისათვის ზიანის მიყენებისას და შემსრულებლის ან ფონოგრამის დამამზადებლის კანონიერი ინტერესების უსაფუძვლოდ შელახვის გარეშე.

მუხლი 17. დაცვის ვადა

(1) შემსრულებლებისთვის ამ ხელშეკრულებით დაწესებული დაცვის ვადა გრძელდება არანაკლებ 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როდესაც შესრულება ფონოგრამაზე ჩაინერა.

(2) ფონოგრამის დამამზადებლებისათვის ამ ხელშეკრულებით დაწესებული დაცვის ვადა გრძელდება არანაკლებ 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როდესაც ფონოგრამა გამოქვეყნდა ან თუ ფონოგრამის ჩაწერიდან ამგვარი გამოქვეყნება 50 წლის განმავლობაში არ მომხდარა, 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როცა ჩაწერა მოხდა.

მუხლი 18. ვალდებულებები ტექნიკურ ზომებთან მიმართებაში

ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები შესაბამისი სამართლებრივ დაცვასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტურ ზომებს ითვალისწინებენ იმ არსებული ტექნიკური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომლებსაც შემსრულებლები და ფონოგრამების დამამზადებლები ამ ხელშეკრულებით დადგენილი თავიანთი უფლებების განსახორციელებლად იყენებენ და რომლებიც მათი შესრულებებისა და ფონოგრამების მიმართ ზღუდავენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც არ არის ნებადართული შემსრულებლების ან ფონოგრამების დამამზადებლების მიერ ან აკრძალულია კანონით.

მუხლი 19. ვალდებულებები უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები სამართლებრივი დაცვის შესაბამისი და ეფექტურ ზომებს ითვალისწინებენ ნებისმიერი იმ პირის მიმართ, რომელიც შეგნებულად ახორციელებს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებათაგანს, და რომელმაც იცის, ან, დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, აქვს საკმარისი საფუძველი იცოდეს, რომ ამგვარი ქმედება გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს ან დაფარავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას:

(i) უფლებების მართვის შესახებ ნებისმიერი ელექტრონული ინფორმაციის უნებართვო წაშლა ან შეცვლა;

(ii) შესრულებები, ჩაწერილი შესრულებები ან ფონოგრამების უნებართვო გავრცელება, გავრცელების მიზნით შემოტანა, ეთერში გადაცემა,

შეტყობინება ან საჯარო გადაცემა, როცა ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია მათში უნებართვოდ იქნა ნაშლილი ან შეცვლილი.

(2) "ინფორმაცია უფლებების მართვის შესახებ" ამ მუხლში აღნიშნავს ინფორმაციას, რომელიც ახდენს შემსრულებლის, შემსრულებლის შესრულების, ფონოგრამის დამამზადებლის, ფონოგრამის, შესრულებას ან ფონოგრამაზე რაიმე უფლების მფლობელის ან შესრულების ან ფონოგრამის გამოყენების პირობების შესახებ ინფორმაციის და ასეთი ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ციფრების ან კოდების იდენტიფიკაციას, როცა ინფორმაციის ამ ელემენტთან ნებისმიერი თან ახლავს ჩანერილი შესრულების ან ფონოგრამის ეგზემპლარს ან ჩნდება ჩანერილი შესრულების ან ფონოგრამის შეტყობინებას ან საჯარო გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 20. ფორმალობები

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების ქონა და განხორციელება არ არის დაკავშირებული რაიმე ფორმალობების დაცვასთან.

მუხლი 21. შესწორებები

15(3) მუხლის დებულებების გათვალისწინებით ამ ხელშეკრულებაში არ დაიშვება არანაირი შესწორებები.

მუხლი 22. გამოყენება დროში

(1) ფონოგრამების შემსრულებლებისა და დამამზადებლების ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დაცვისას ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები უნდა იყენებდნენ "ბერნის კონვენციის" მე-18 მუხლის დებულებებს შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით.

(2) (1) პუნქტის მიუხედავად ხელშეკრულების დამდებ მხარეს შეუძლია შეზღუდოს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის გამოყენება შესრულებებით, რომლებიც თარიღდება ამ მხარისათვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

მუხლი 23. დებულებები უფლებების უზრუნველყოფის შესახებ

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულია იღებენ თავიანთი სამართლებრივი სისტემების შესაბამისად გაატარონ ამ ხელშეკრულების გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებანი.

(2) ამ ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა უნდა უზრუნველყოფენ, რომ მათ კანონებში გათვალისწინებული იყოს უფლებების უზრუნველყოფელი ზომები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ნებისმიერი

აქტის აღმკვეთი ეფექტური ქმედებების, მათ შორის დარღვევების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომებისა და შემდგომი დარღვევების შემაკავებელი ზომების გატარება.

თავი V

ადმინისტრაციული და დასკვნითი დებულებები

მუხლი 24. ასამბლეა

(1) (ა) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები აფუძნებენ ასამბლევას.

(ბ) ამ ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.

(გ) ყოველი დელეგაციის ხარჯებს იხდის ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელმაც ის დანიშნა. ასამბლეა შეუძლია ფინანსური დახმარება სთხოვოს ისმო-ს, რათა ხელი შეუწყოს ასამბლემის მუშაობაში ხელშეკრულების დამდები იმ მხარეების მონაწილეობას, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად განვითარებად ქვეყნებად განიხილებიან ან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში არიან.

(2) (ა) ასამბლეა განიხილავს ამ ხელშეკრულების დაცვას, განვითარებას, გამოყენებასა და ამოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

(ბ) ასამბლეა ახორციელებს მასზე 26(2) მუხლით დაკისრებულ ფუნქციას ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად დაუშვას ზოგიერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.

(გ) ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ამ ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით ნებისმიერი დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის თაობაზე და ისმო-ს გენერალურ დირექტორს აძლევს აუცილებელ მითითებებს ამგვარი დიპლომატიური კონფერენციის მოსამზადებლად.

(3) (ა) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სახელმწიფოს წარმომადგენს, ერთი ხმა აქვს და ხმას მხოლოდ თავისი სახელით აძლევს.

(ბ) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას წარმომადგენს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ნაცვლად. ხმების რაოდენობა ემთხვევა ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების რაოდენობას, რომლებიც ამ ხელშეკრულების დამდები მხარეებია. ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებიდან ნებისმიერი იყენებს თავის ხმის უფლებას და პირიქით.

(4) ასამბლეა მორიგ სესიებზე იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ სესიებს იწვევს ისმო-ს გენერალური დირექტორი.

(5) ასამბლეა იღებს თავის საპროცედურო წესებს, მათ შორის რიგგარეშე სესიებს მოწვევის, კვორუმის მოთხოვნებისა და, ამ ხელშეკრულების დებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა გადანყვეტილების მისაღებად აუცილებელი უმრავლესობის თაობაზე.

მული 25. საერთაშორისო ბიურო

ამ ხელშეკრულების შესაბამისად ისმო-ს საერთაშორისო ბიურო ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებს.

მუხლი 26. ხელშეკრულებაში მონაწილეობის უფლება

(1) ისმო-ს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

(2) ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადანყვეტილება ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად ნებისმიერი იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დაშვების თაობაზე, რომელიც აცხადებს, რომ კომპეტენტურია და აქვს თავისი, ამგვარი ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის სავალდებულო ნორმატიული ბაზა ამ ხელშეკრულებით დარეგულირებულ საკითხებზე და თავისი შინაგანი პროცედურების შესაბამისად სათანადოდ უფლებამოსილია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

(3) ევროპის გაერთიანებას, რომელმაც წინა პუნქტში ნახსენები განცხადება ამ ხელშეკრულების მიმღებ დიპლომატიურ კონფერენციაზე გააკეთა, შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

მუხლი 27. ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები

თუ ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სხვა სპეციალურ დებულებებს, ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე სარგებლობს ყველა უფლებით და თავის თავზე იღებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

მუხლი 28. ხელშეკრულების ხელმოწერა

ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსა და ევროპის გაერთიანებისათვის ეს ხელშეკრულება ხელმოწერისათვის ღიაა 1997 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 29. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის 30 სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 30. ხელშეკრულებაში მონაწილეობის დაწყების თარიღი

ეს ხელშეკრულება სავალდებულო ხდება:

(i) 29-ე მუხლში ნახსენები 30 სახელმწიფოსათვის ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან;

(ii) ყოველი სხვა სახელმწიფოსათვის ამ სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის თავისი დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ;

(iii) ევროპის გაერთიანებისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ 29-ე მუხლის შესაბამისად, ან ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე;

(iv) ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც დაშვებულია ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად, ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 31. ხელშეკრულების დენონსაცია

ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ხელშეკრულების დენონსაცია ისმო-ს გენერალური რექტორისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით. ნებისმიერი დენონსაცია ძალაში შედის ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 32. ხელშეკრულების ენები

(1) ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ხდება ერთ ეგზემპლარად რუსულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე. ამასთან, ამ ენებზე შესრულებული ყველა ტექსტი აუთენტურია.

(2) ოფიციალურ ტექსტს ნებისმიერ ენაზე, გარდა (1) პუნქტში ნახსენები ენებისა, დაინტერესებული მხარის თხოვნით და ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ ამტკიცებს ისმო-ს გენერალური დირექტორი. ამ პუნქტში ნახსენები "დაინტერესებული მხარე" შეიძლება იყოს ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, რომლის ოფიციალური ან ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია, აგრეთვე ევროპის გაერთიანება და ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ამ ხელშეკრულების მონაწილე გახდეს, თუ მისი ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია.

მუხლი 33. დეპოზიტარი

ამ ხელშეკრულების დეპოზიტარია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.